

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტი

## ქართული ვოლკლორი

3 (XIX)

თბილისი  
2006

„ქართული ფოლკლორის“ მორიგი 3(XIX) კრებული მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ცნობილ ფოლკლორისტთა გამოკვლევებთან ერთად წარმოდგენილია სრულიად ახალბედა ასპირანტთა და მაძიებელთა საგულისხმო წერილები.

ვიმედოვნებთ, რომ თემატურად მრავალფეროვანი წინამდებარე წიგნი გარკვეულ დახმარებას გაუწევს და მთელი რიგი საკითხების გარკვევაში უმეგზურებს ხალხური სიტყვიერებით დაინტერესებულ საზოგადოებას.

**რედაქტორი:** ამირან არაბული  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი

**რეცენზენტები:** როსტომ ჩხეიძე  
ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი  
ნინო ბალანჩივაძე  
ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი

**კომპიუტერული უზრუნველყოფა:** ციური მღებრიშვილი  
თინათინ დუგლაძე

**რედაქციის მისამართი:**  
0108, თბილისი, კოსტავას ქ. № 5. ტელ.: 995300; 999044

**E-mail:** [rezomir@yahoo.co.uk](mailto:rezomir@yahoo.co.uk)

ISBN 999 40 – 715

## გივი ახვლედიანი

### წარმართული რელიგიის პრობლემები ნიკოლოზ ურბნელის (ხიზანაშვილის) ეთნოგრაფიულ ნაწერებში

ნიკოლოზ ხიზანაშვილმა – ცნობილმა ქართველმა სამართლის ისტორიკოსმა – ღრმა კავლი გაავლო ქართული ეთნოგრაფიის გაუტეხელ ყამირს. მან უდიდესი ყურადღება მიაქცია ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული სინამდვილის შესწავლას, ფეხსაცია უყო ამ მხარის სოციალურსა და რელიგიურ სინამდვილეს და ამით მეცნიერებას ხალხის ზე-ჩევეულებების შესახებ უძირფასესი მასალა შემოუნახა.

არაერთი მისი წერილია მიძღვნილი ფშავ-ხევსურეთის ყოფისადმი. მას წერილების სერიაში საინტერესო დაგვირვება აქვს ქართულ წარმართულ ჯვარ-ხატებზე. მითოლოგიურ იერარქიაში ნ. ხიზანაშვილი მთავარ ადგილს მორიგეს აკუთვნებს. მისი დაგვირვებით, მორიგე უზენაესია და წესსა და რიგს აძლევს ქვეყნიერებას. მას ხელქეყითნი, მოსამსახურები ჰყავს, რომელთაც ხატები ჰქვია. ხატი ფრთიანი ანგელოზია, ღვთის მოკარვე. პირველ ხატიდ მეცნიერი გუდანის ხატს მიიჩნევს. მას მკვლევართაგან ერთ-ერთ პირველს აქვს შენიშვნული, რომ გუდანის ხატი მოლაშქრე ღვთაებაა. გუდანის ხატი ტექსტებში მოიხსენიება საღვთო ბერი ბააღურის სახელით, ითვლება ხევსურეთის სამი ძირითადი საგარეულო-სათემო გაერთიანების – საარაბულოს, საჭინჭარაულოსა და საგოგოჭუროს მთავარ ღვთაებად.

ნ. ხიზანაშვილი განიხილავს თეთრი სახება ცროლის გორის, პირიმზე წმ. გიორგის, მაისტის (ქისტების), კარატის წვერის, კოპალასა და ხმელთა მოურავად წოდებულ კვირიას ჯვარ-ხატებს.

ფშავ-ხევსურული ჯვარ-ხატების საკითხი წინაქრისტიანული რწმენების ნაკლებად შესწავლილ საკითხთა რიგს ეკუთხოდა. პირველი მკვლევარი ნ. ხიზანაშვილი იყო, რომელმაც მეცნიერულად შესწავლა ჯვარ-ხატები, განსაკუთრებით – ლაშარის ჯვარისა და გუდანის ჯვარის – ორი მოლაშქრე „ბატონის“ ფუნქციები და მათ შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებები განავითარა.

ნარგევები „ისტორიული კავლი სახალხო პოეზიისა“ („ზურაბ არაგვის ერისთავი“) ნ. ხიზანაშვილი მოვითხოობს ზურაბ ერისთავის მიერ „ლაშარის ჯვრის“ ბერმუხის მოჭრის შესახებ. ნარგევების ეს ნაწილი უაღრესად მნიშვნელოვანია ფშაველთა მითოლოგიური შეხედულებების შესწავლის თვალსაზრისით. ნ. ხიზანაშვილი გადმოგვცემს: „მდგინგარე და ვერაგმა ზურაბმა ფშავის დაპყრობაც განიხრახა... ლაშარის ხატის დამორჩილება მოისურვა. ყოველი მისი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა თურმე, რადგან ხმელგორზე მოთავსებულ

სალოცავს სასწაულებრივად იცავდა იქ მდგარი ბერმუხა. ფესვმაგარი მუხა ოქროს ჯაჭვით – შიბით ზეცასთან ყოფილა დაკავშირებული. მუხის ანგელოზი ამ შიბით ადი-ჩამოდიოდა. სანამ მუხა არ წაიქცეოდა და, მაშასადამე, ზეცასთან შემაერთებელი შიბი არ გაწყდებოდა, მანამ გარეშე მტერსაც წარმატება არ ექნებოდა. ეს შეიტყო ზურაბ ერისთავმა და მუხს ჯარი შეუსია. დაიწყეს ხის ჭრა, მაგრამ ამაღდ. რამდენ ნაფოტს შეაგლეჯდნენ, პატავ უკან ბრუნდებოდა და ხეს ეწებებოდა. მომხდურებმა ვერაფერი დააკლეს წმინდა ხეს; გაწილდა მრისხანებ ბატონი. აა, ამ დროს ერთმა უკანაფშაველმა უღალატა თავის მამა-პაპის სალოცავს; ზურაბს ურჩია, კატის სისხლი მოუსვი ბერმუხას, ანგელოზი მოშორდება და მაშინ ადგილად მოსჭრიო. ამ ღალატმა ძირს დასცა წმინდა მუხა და გააფრთხო მფარველი ანგელოზი“. „ხალხი, – დასძენს ნ. ხიზანაშვილი, –უკადრი სიტყვებით იხსენიებს ზურაბ ერისთავს, ძირფესვიანად ამოგდებას და გადაშენებას უქადას ლაშარის ჯვრის შეურაცხყოფისათვის“.

მკვლევარს აქვე მოჰყავს ლექსი „ლაშარის ჯვრის“ „ბერმუხაზედ“, რომელიც საყურადღებო მითოლოგიურ მოტივებს შეიცავს (ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 50).

ლაშარის ჯვრის ბერმუხის მოჭრის შესახებ მოგვეპოვება გადმოცემები სხვადასხვა ვარიაციებით. ამ გადმოცემებში, ასევე პოეზიის ნიმუშებში, მოხსენიებულია კონკრეტული ისტორიული პირი ზურაბ არაგვის ერისთავი, რომელმაც მრავალგზის დალაშერა ფშავ-ზევსურეთი 1620-იანი წლებიდან. ეს გადმოცემები სინამდვილის ნიადაგ ზე აღმოცენებული, მაგრამ შეიცავს მითოლოგიურ მოტივებს და არ ასახავს სინამდვილეს. ალბათ, ძველი გადმოცემები მითოსის ელგებრნტებით აღრეც არსებობდა და ზურაბ ერისთავის სახელს შემდეგ მიეკუთვნა. ნ. ხიზანაშვილი თავის შეხედულებას გამოთქვამს ამ მითის რეალობასთან დამოკიდებულების შესახებ. მისი დაკვირვებით, „ხალხური გადმოცემა „ლაშარის ჯვრის“ „ბერმუხაზედ“ მარტო ფანტაზიის ნაყოფი არ არის და ღრმა აზრის შეიცავს. პირველად, წმინდა „ბერმუხა“ თავისი ანგელოზითა და ოქროს შიბით ბერრად მოგვაგონებს ძველი ხალხების ლაშერობის სალოცავს... ძველ დროს ომი, ლაშერობა გაღმერთებული იყო და ღვთიურს დაწესებულებას შეადგენდა. „ლაშარსაც“ ეს აზრი და ხასიათი აქვს. მეორედ ბერმუხის მოჭრა ღალატებს ფშავლების ლაშერის დამარცხებას... თვითონ ხალხს კი ღრმად სწამს თავისი „ლაშერის“ უძლეველობა და ჰგონია, ვითომ ღალატით აჯობეს „ბებერს ლაშარის ჯვარსაო“ (ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 136).

ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოიტევა ვაჟა-ფშაველამ. ვაჟუშტი ბატონიშვილის ცნობაზე დაყრდნობით ვაჟა ამბობს, რომ ლაშარის ჯვარი ლაშა გიორგისგან დაწესებული ხატია. „ამ ადგილას წინად ყოფილა აშენებული ლაშა გიორგისაგან უკლესია წმ. გიორგის სახელზედ, რომლისთვისაც მშვენიერი ხატი წმინდას გიორგის შეუწირავს. ეს გარემოება ხალხს დავიწყებია, შეწირული და შემწირველი გაუერთებია და კიდევაც გაულმერთებია“ (ვაჟა-ფშაველა, თხ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, გვ.

55–56). გაუას ამ მოსაზრებას ნ. ხიზანაშვილი არ ეთანხმება. იგი დაბეჭითებით აცხადებს, რომ „ფშაური ლაშარის ჯვარი“ „ლაშქრობის ჯვარია“ და არა ლაშა გიორგისაგან დაწესებული და დაარსებული ხატიო (ეთნოგრაფიული ნაწერები, გვ. 106).

წერილში „კიდევ ლაშარობაზე, წერილი ბატონ ვაჟა-ფშაველასთან“ 6. ხიზანაშვილი კვლავ პოლემიკას მართავს ვაჟასთან. იგი აღნიშნავს: „შეუძლებელია, რომ ხალხს, მეტადრე ისეთ პატიოსანს და ზნეობიანს, როგორნიც ფშავლები არიან, ლაშა გიორგი „გაედმერთებინა“... რა ღვთიური საქმე გააკეთა დირსეული დედის ყოვლად ულირსმა შვილა? – კითხულობს 6. ხიზანაშვილი და იქვე პასუხობს: – „არაფერი!“ „ლაშარის ჯვარს“ ლაშქრობის ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს და ნიშანას ლაშქრობის ჯვარსა, ლაშქრის ხატს... ფშავრი „ლაშარის ჯვარი“ „ლაშქრობის ჯვარია“ და არა ლაშა გიორგისაგან დაწესებული და დაარსებული ხატიო“ (ეთნოგრაფიული წერილები, გვ. 104–106).

ლაშარის ძირითადი ფუნქცია, მართალია, ლაშქრობაა, ამას ვაჟაც აღიარებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორია ვაჟა-ფშაველა, რომ „ლაშარობას მიეცა სახელი და არსებობა ლაშა გიორგისაგან და არა ლაშქრობისაგან“. ჩვენ ვერ გავიზიარებთ 6. ხიზანაშვილის მიერ გიორგი IV ლაშას უარყოფით დახასათებას. ამ მეფის შეფასებაში გაუგებრობა საისტორიით წყაროებიდან მოძინარეობს. პირველწყაროება გიორგი ლაშას შესახებ სხვადასხვაგვარ ცნობებს გვაწვდან. გიორგი IV ლაშას პოლიტიკა ხშირად იწვევდა დიდგვაროვნთა უკმაყოფილებას და ლაშას უარყოფითი დახასიათებაც ამ ნიადაგზე უნდა გაჩენილიყო.

ლაშა გიორგის სახელს უკავშირდება ლაშარის ჯვრის ხალხური გადმოცემაც (ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, ფშავი, გ. I, 1974, გვ. 39).

ნათლად ჩანს, რომ ლაშარის ჯვარი წარმართული ლაშქრობის ხატია, რომელმაც ჩვენამდე სახეშეცვლით მოაღწია. მას ქრისტიანობის ხანაში წმ. გიორგის სახელი დაუმკვიდრდა, ხოლო მოგვიანებით ლაშა გიორგის კულტს შეერწყო, ლაშქრობას ლაშას ანუ ლაშარის სახელი ჩაეხაცვლა. ამ ცვლილების მიზეზი ლაშარის გიორგისა და ლაშა გიორგის იდენტურობაა.

გაზ. „ივერიაში“ (1887, № 70) 6. ხიზანაშვილმა მოათავსა რიგით მე-12 წერილი ფშავ-ხევსურებზე. წერილში ჩართულია 10 ხალხური ლექსი. მკვლევარი ზეპირ ხალხურ მონაცემთა საშუალებით აღადგენს ქართველი ხალხის წარმოდგენებს საიქოზე და ჯოჯოხეთზე, ეხება სულის უკვდავების საკითხს, რომელიც უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქართველი ხალხის, კერძოდ, ხევსურების რელიგიური მსოფლმხედველობის შესასწავლად.

6. ხიზანაშვილის ეთნოგრაფიულ ნაწერებს ფშავ-ხევსურთა რელიგიური მსოფლმხედველობისა და რწმენა-წარმოდგენების შესახებ დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ღირებულება. ხალხის ყოფაში დაცული ეს მასალა მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა არა მარტი ფშავლებისა და ხევსურების, არამედ, საერთოდ, ქართველი ხალხის კულტურის ისტორიის შესასწავლად.

## ნანა კუცია

### ხატი ჟამისა (მგლის პარადიგმისათვის გ. ჩოხელის რომანში „მგელი“)

„აპა, მე მოგავლინებ თქვენ,  
გითარცა ცხოვართა, შორის  
მგელთა“... (მათე 10, 1).

ნათლისა და ბნელის ჭიდილის ასპარეზად მოაზრებული საწუთოს მხატვრულ მოდელს სიტყვით აგებს მწერლობა. „სიზრქითა ხორციათა“ შემოსილთ სიტყვის ლოგოსური არსი დაკვიწყნიათ. „მნენი საიდუმლოთა დმრთისათანი“ – მადალი მწერალინი – იგავური თხრობით მიაპყრობენ გარდაგულარძნილთა მზერას მარადისს. „ზრქელთა და უგულისხმოთა ხილულნი სახენი უფროისად შეაგონებენ“ (7, 25).

ჯერ კიდევ რუსთველის ქამს ჩამოიძერწა ფორმულად: „შეფარვით მითქამს“. ეს შეკვე აღარ იყო თხრობის ის ნირი, იოვანე საბანისძისაგან რომ მოითხოვდა სამოელ კათალიკოსი: „ხელყავ გამოთქმად სრულიად ჰეშმარიტად, ვითარ-იგი იყო და ვითარცა შენ თვით უწყი და აღწერე“ (16, 116).

ჰეშმარიტება იგავის საფანელში გაეხვია, „შეფარვით თქმულმა“ დაიმარხა.

შეფარვით თხრობის მაღალ დანიშნულებას მოციქულთ ამგვარად განუშმარტავს მაცხოვარი: „იგავით ვეტყვი მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, ესმის და არა ესმის, არცა გულისხმავიან,... რამეთუ განზრქა გული ერისაი ამის, და ყურითა მძიმედ ისმინეს და თუალნი მათნი დაიწუხენეს“ (მათე 13, 13-15).

გოდერძი ჩოხელიც იგავით ჰყვება, „შეფარვით უთქამს“; ბიბლიურ პარადიგმათა მოხმობით მარადისს ჰყვება.

მგელი ერთი მრავალთაგანია წიგნთა წიგნის პარადიგმათა შორის. ქამის ჟამიანობის წარმომჩენი თუა რომანის სათაურად ბნელი პარადიგმის არჩევა.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მგელი განიმარტება, როგორც „მხეცი ბოროტი“ (20, 455); საინტერესოა, რომ დიდი ლექსიკოგრაფი რატომდაც ცალკე ცნებად გამოყოფს სიტყვათშე-

თანხმებას „მხეცი ბოროტი“ და „მგლად“ განმარტავს (20, 555), თითქოს ერთგარ ინგერსიულ მოდელს ქმნის.

ცნება „მგლად“ ურთავს მინიშნებას: იოანე 10, 12. სახარების აღნიშნულ მუხლში თქმულია: „ხოლო სახყიდლით დადგინებულ-მან და რომელი არა არა მწყემსი, რომლისა არა არიელ ცხოვარნი თვისნი, იხილის რაი მგლი მომავალი, დაუტევნის ცხოვარნი და ივლტინ და მგლმან წარიტაცის იგინი და განაძნინის“.

განმარტებულია „მხეციც“: „მხეცი – ლომი, ვეფხვი, დათვი და მისთანანი (რედაქციაში დამატებულია მგლი), რომელინი ხორცთა ჭამებ და მავნებელნი არიან ხმელთა ანუ ზღვათა შინა; გველნიცა მხეცად ითქვმიან და უფროისად ეშმაკნი – მხეცნი სულთა მიმტაცებელნი“ (20, 555).

მხეცისა და მხეცი ბოროტის ცნებასაც ბიბლიური ციტაცია ერთვის: მხეცს – ფს. 103, 11; მხეც ბოროტს – დაბ. 37, 33:

„შორის მთათა დიოდიან წყარონი. სუან იგი ყოველთა მხეცთა ველისათა“ (2, 146).

„სამოსელი ძისა ჩემისაი არს ესე, მხეცმან ბოროტმან შე-ჭამა იგი, მხეცმან ბოროტმან მიმტაცა იოსები“ (3, 224).

ზიარებისწინა ლოცვაში იოანე ოქროპირი კრძალვით მიმართავს მაცხოვარს: „მეყავნ მე ნაკუერცხალი ყოვლად წმიდისა ხორცისა და პატიოსნისა სისხლისა შენისა... საცოდ ყოვლისა საეშმაკისა მოქმედებისა... მრავალჯამ განშორებული ზიარებისა შენისა, სანადირო ვიქმენ გონიერისა მგელისა“ (14, 163).

„ბიბლიურ ენციკლოპედიაში“ მგელი ხასიათდება, როგორც „გელური, დაუნდობელი, მტაცებელი ცხოველი, უსასტიკესი მტერი ცხოვართა“. დამოწმებულია ამონარიდი მათეს სახარებიდან, სადაც ცრუ წინასწარმეტყველნი მგლებს არიან შედარებულნი: „ეკრძალენთ ცრუ-წინასწარმეტყველთაგან, რომელნი მოვიდოდიან თქუენდა სამოსლითა ცხოვართაითა, ხოლო შინაგან იყვნეს მგელ მტაცებელ“ (მათე 7, 15).

სამოციქულოში კონსტატირებულია სიტყვათშეთანხმება „მგელნი მძიმენი“ (საქმე 20, 29) (1, 283).

იოანე ოქროპირი „მათეს სახარების“ განმარტებაში წერს: „გარდა ზემოხსენებულთა მათ ძაღლთა და ღორთა (ოქროპირი გულისხმობს ფრაზას: „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა“ (მათე 7, 6)) სხუა-ცა სახე წინააღმდეგომთა გაუწყა ფრიად მათსა უძირესი, რამე-თუ მათი (ძაღლთა და ღორთა) განცხადებული არს ბრძოლა, ხოლო ამათი – დაფარული. ამისთვის მათგან განყენება ბრძანა,

ხოლო ამათგან – დიდად კრძალვა და გონიერად **რიდობა** ... მარადის ეშმაკი მბრძოლი არს ჭეშმარიტებისა, პირველითგან ვიდრე აღსასრულადმდე“ (6, 90).

ოქროპირი აფრთხილებს სამწყსოს (იგავით, შეფარვით): „ნუ ტყავსა მას ცხოვრისასა განიცდით, არამედ ძალი საქმისა მათთა იხილეთ და ნაყოფთა მათთაგან იცნებით იგინი, რამეთუ ბოროტმან ნაყოფი კეთილი ვერ გამოიდის“. აღნიშნული ფრაზა კომენტარია მათეს სახარების მორიგი მუხლისა: „ნუუპუ შეკრბიან ეპალთაგან ყურძენი ანუ კუროსთავთაგან ლელვი ?“ (მათე 7, 16).

საინტერესოა, რომ ბიბლიის რუსულ თარგმანში „კუროსთავი“ წარმოდგენილია, როგორც ვოლცი (მცენარის სახელი სემანტიკურად მგელს უბავშირდება): „Еда объемлют от терния грозды или от репия смоквы“ (24, 81). თეოფილაქტე ბულგარელისეული კომენტარით, ეკალნი ფარისეველნი არიან – ჭრილობას იდუმალ, ფარულად გაყენებენ.

ქართული თარგმანისეული „ეკალი და კუროსთავი“ (შესაქმისა 3, 18) რუსულ ვარიანტში არის თერნია ი ვოლცი (22, 7).

„სიტყვები თერნია ი ვოლცი (ეკალი და კუროსთავი) განუყოფლადაა წარმოდგენილი წმინდა წერილში და აღნიშნავს უნაყოფო, უსარგებლო მცენარეს, რომელიც აღმოცენდა ცოდვითდაცემის შემდევდროინდელი წეველის შედეგად... მიტროპოლიტი ფილარეტის განმარტებით, მიწა მათ აღმოცენებს იქ, სადაც კაცი კვავილს რგავს, ან ხორბალს თესავს, რათა ცოდვა კაცის თვალთა წინაშე იყოს მარადის. იქ, სადაც ადრე სარონული კვავილი ხარბდა, ახლა ეკალია და კუროსთავი“ (25, 694).

ცხვრის ტყავში გამოწყობილ მგლებთან დაკავშირებით ოეოფილაქტე ბულგარელი წერს: „Ерეტიკოსი, ჩვეულებრივ ეშმაკი და თვალთმაქციი არიან, ამად ბრძანებს უფალი, ეკრძალებითო. ისინი ამოდმეტყველებენ, მოჩვენებითად ზნეკეთილად ცხოვრობენ, სულში კი საცდური აქვთ. „ცხვრის ქურქი“ მათს თვინიერებას წარმოაჩენს, მაგრამ საქმით (ნაყოფით) შეიცნობიან. უამიერ, იქნებ, კიდევ იმალვიან, მაგრამ მღვიძარეთათვის მათი საქმენი აშკარაა“ (22, 80).

ბიბლიური პატრიარქი იაკობი სიკვდილისწინა წინასწარმეტყველებაში ბენიამინის ტომის მტაცებლობას მგლისას ადარებს. „ბიბლიური ენციკლოპედიის“ განმარტებით: „ბენიამინ – მგელ მტაცებელ; ცისკრად ჭამდეს იგი და მწუხრი განუყოფდეს საზრდელსა“ (შესაქმისაი 49, 27) (3, 291).

ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში ისრაელის მომსრველთა სისასტიკე მგლის დაუნდობლობასაა შედარებული: „შეოქმულნი მისი [ისრაელის – ნ.კ.] წინასწარმეტყველნი, დომებივით ბრდდვინავენ... მისი მღვდლები აუკულმართებენ ჩემს რჯულს და ბდალავენ ჩემს სიწმინდეებს... მთავრები მგლებივით გლეჯენ ნადავლს, სისხლს დვრიან, სიცოცხლეს უსწრაფებენ ანგარებისათვის“ (ეზეკიელი 22, 25-27) (5, 775).

„განმარტებითი ბიბლია“ ეზეკიელის წინასწარმეტყველების ზემოთ დამოწმებულ პასაუს კომენტარს ურთავს: „თავდაპირველად მოიხსენიებიან წინასწარმეტყველნი და მღვდელნი, შემდგომ – მთავარნი. საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენელნი დასახელებულნი არიან იმ თანმიმდევრობით, რომელიც მათ საზოგადოებრივ მნიშვნელობას შეესაბამება (სარწმუნოებრივ-ზეობრივი თვალსაზრისით).

ცრუწინასწარმეტყველნი ერს ბედნიერ მომავალს პპირდებოდნენ (რარიგ ჰგავს ეს დეტალი იმ ეპოქის დამახასიათებელ შეტრიქებს, როდესაც „მგლი“ იქმნებოდა – ნ.კ.). მარტონი როდი მოქმედებდნენ – ერთიანობით განძლიერებულ დასებად.

სიტყვათშეთანხმება „ლომებივით ბრდდვინავდნენ“ ადვატოა სულიერებისაგან განძარცვის ხარისხს წარმოაჩენს. „მგლებივით წარგლეჯენ“ – ნაკლებეკეთილშობილური შედარებაა მოხმობილი მთავრებთან მიმართებით, მაგრამ წინასწარმეტყველებთან არაა ისეთი შემზარავი მხილება, ბრალდება, როგორც უკანასკნელებთან (მთავრებთან) მიმართებით: „სისხლს დვრიან“.

კვლავ ბიბლიური აღუზია: „სული ყოვლისა ხორცისა სისხლი თვისი არს“ (ლევიტ. 17, 11) (4, 81).

„განმარტებითი ბიბლია“ ეზეკიელის წინასწარმეტყველების პასაუს სოფონიას წინასწარმეტყველებისას ადარებს: „ვაი გაჯიუტებულსა და წაბილულს, მოძალადე ქალაქს! არაფერს ისმენს, არ შეიგონებს, უფალს არ ესავს, დმერთს არ ეკარება. მისი მთავრები მბრდდვინავი ლომებია მის შუაგულში, მისი მსაჯულები სადამოს მგლებია, დილისათვის ძვალსაც რომ არ ტოვებენ“ (სოფონია წინასწარმეტყველი 3, 1-3) (5, 848).

სოფონიას წინასწარმეტყველების საწყისი სტრიქონი იერუსალიმის მოსახლეობის ზეობრივი სახის წარმოჩენას ისახავს მიზნად. წინასწარმეტყველის თანამედროვეთა სარწმუნოებრივ-ზეობრივი ყოფა აბსოლუტურ დაცემა-დაკინებას განიცდის – ერი აღარ შეისმენს უფლის ხმას.

მესამე მუხლის მონაცემით, ცალ-ცალკე სახელდებიან მთავრები (სამეფო სახლის წარმომაღგნელნი) და მსაჯულნი (სასამართლო მოხელენი). პირველთ ადარებებს მბრდღვინავ ლომებს, ხარბად რომ დასტანებიან ალაფს – ეს ძალმოსილ მოძალადეთა წარმოსაჩენად ხშირად გამოყენებული შედარებაა ძველ აღთქმაში.

შდრ. იგავნი სოლომონისა (28, 15): „რაღა მბრდღვინავი ლომი და ღრიალი დათვი და რადა – ბოროტეული ბატონი ღარიბ-ღატაკი ხალხისათვის“.

ეზეკიელი (19, 6): „შეიქმნა ლომი და ისწავლა ნადავლის გლეჯა, ჭამდა ადამიანებს“.

ესაია (5, 29): „მისი ღრიალი ლომის ღრიალია, ლომის ბოკ-ვერებივით ბრდღვინავს, დაიღრიალებს და მსხვერპლს დაუცემს, გაიტაცებს და ვერავინ იხსნის“.

„საშოგარზე ბრდღვინვით მიმავალ ლომებს“ ადარებს „განმარტებითი ბიბლია“ იერუსალიმელ მთავრებს, ასევე ხასიათდებიან მსაჯულნიც, სამართლის დამვიწყებელნი, რომელთაც ხელობა ანგარებისა და გამდიღრების წყაროდ უქცევიათ, ძუნწ მგლებს ემსხვავებიან, ძვლების ალიონამდის გამსვლება მტაცებლებს, როგორც მიქა წინასწარმეტყველებს: „მთავრები ქრთამით სჯიან სამართალს, მდვდლები გასამრჯველოს ართმევენ დამოძღვრაში. წინასწარმეტყველნი ვერცხლზე მისნობებენ“ (21, 359).

„ბიბლიური ენციკლოპედიის“ განმარტებით, უდაბნოს მგელი დამით გამოიდის სანადიროდ და ეს პასაუი ალეგორიულად წარმოაჩენს უწმინდეულთა დაღუპვას. ენციკლოპედია იმოწმებს ამონარიდს იერემიას წინასწარმეტყველებიდან: „წავალ წარჩინებულებთან და დაველაპარაკები-მეოქი. მათ ეცოდინებათ უფლის გზა, ღვთის სამართალი, მაგრამ მათაც დაულექავთ უდელი და დაუწყვეტიათ აპეურები, ამიტომაც დაგლეჯს მათ მაღნარის ლომი, უდაბნოს მგელი გააჩანაგებს მათ, ეეფხვი დაუდარაჯდება მათ ქალაქებს, ყოველი გარეთ გამსვლელი დაიგლიჯება, რადგან გამრავლდა მათი ცოდვები, გახშირდა მათი განდგომილებანი“ (იერემია 5, 5-6).

ზემოთქმული მგლის პარადიგმის წარმომჩენ პასაუთა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვაა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში.

ქართული მწერლობის პირველსავ ძეგლში „მგლად“ და „ცოფად“ მოიხსენიება ჭეშმარიტი ღმრთის უარმყოფელი ვარსკენი; მზრინავი, ბნელი პარადიგმა მიემართება პერსონაჟს, რომელიც „ღმრთის მტრად“ მოიაზრება.

„მგელი“ და „ღმრთისა მტერი“ „შუშანიკის წამებაში“ სინონიმურ ცნებებად წარმოჩნდება, ოღონდ „მგელი“ პერსონიფიცირებულია, გაარსებითებული, „ღმრთისა მტერი“ – კლასიკური განსაზღვრება:

„მოვიდა მგელი იგი ტაძრად“... (17, 12);

„ყოველთა მე სიკვდილდ მიმითვალეს მტერსა ღმრთისასა ვარსექნს“ (17, 12).

„ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოუდო ხელთა მისთა“ (17, 73).

თუკი „ღმრთისა მტერი“ მგლად მოიაზრება, დვოისმოშიში – კრავად. „აბოს წამებაშიც“ წმინდანი მოსხენიებულია, როგორც „კრავი უმანკო, შემწუარი ცეცხლითა... ტარიგი“ (17, 145).

ბიბლიის გავლენით, „აბოს წამებაში“ უფალი იქსო მოსხენიებულია „მწყემს კეთილდად“, რომელმაც „ცხოვარნი შეცოომილნი მოგვაქცინა და მტერი იგი ჩვენი ლომი არგნითა ჯვარისაითა მოკლა და მისგან დახსნილი იგი გვამი პირველშექმნულისა მის ძალითა ღმრთელებისაითა კვალად განაცოცხლა და ნაპერი იგი გესლიანისა მის მგელისათ წყლულებითა თვისით განკურნა და გესლი იგი მომაკვდინებელი წამლითა მის ღმრთელებისა თვისისაითა განაქარვა... წყლულებითა მისითა ჩვენ განვიკურნეთ“ (17, 123).

წმინდანი მგელთ ათვინიერებდნენ. „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ აღწერილია ზემოთქმულის დამადასტურებელი სასწაული: „მგელი შესხვევია უდაბნოს სახედრებს. როცა ეს ამბავი მამა შიოს აცნობეს, იღოცა და ბრძანა, რათა მგელი იგი შემდეგ ამისა გამხდარიყო მწყემსად სახედართა. ბრძანება მისი ადსრულდა, მგელი არათუ ხელს ადარ ახლებდა სახედრებს, პირიქით, მწყემსავდა და ერთგული ძაღლივით იქცეოდა“ (9, 93).

წიგნთა წიგნისა და ჰაგიოგრაფიის მოხსობილ პასაუთა (მრავალთაგან მხოლოდ ზოგიერთის) დამოწმება მხოლოდ იმად დაგვჭირდა, წარმოგვეზინა, რაოდენ ფართოდ გამოიყენება მგლის პარადიგმა საღვთისმეტყველო ლიტერატურაში.

რომანის სათაურად „მგლის“ არჩევა იმთავითვე ძველთუმცველესი პარადიგმის ტყვეობაში აქცევდა მწერალს, რომლის თხზულებაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ბიბლიურსავე ჭეშმარიტებას: „ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს და ქუმყანა პგიეს უკუნისამდე და არა რა არს ყოველივე ახალ მზისა ქუმშე“ (ეპლესიასტე).

რომანის პვინტესენციას წარმოადგენს მგლადყოფილი და კვლავ კაცად მოქცეული თევდორეს მონათხრობი ჭაბუკი ლუკასათვის.

თხრობა ზამთრისპირს მიმდინარეობს ქალაქიდან შორს, თოვლით ჩაჩუმქრულ ხეობაში.

მწერალი შემთხვევით როდი ირჩევს მოქმედების ფონად ჩა-კეტილ სივრცეს. „ჩაპეტილი გარემო ყველაზე უპეტ ქმნის განმარტოების ეფექტს“ (27, 214).

ეს მაღალთა მარტობაა. როცა „მზერის ჩაშინაგანება“, სულში ჩაბრუნება ხდება და დიალოგი მონოლოგს უფრო ემსგავ-სება, სულის უძღუმალეს სიღრმეთა მოხილვას.

იმავდროულად, თევდორეს საცხოვრისი ესაიას წინასწარმეტ-ევალებაში აღწერილ, ნავენახარში განმარტოებულ ქოხს ჰგავს:

„ესაა ქოხი ნავენახარში... ხულა ნაპოსტნარში... ალყაშემორ-ტყმელი ქალაქი... ეს მცირე ნატამალი რომ არ დაერჩინა ჩვენთვის ცაბაოთ უფალს, სოდომად ვიქცეოდით, გომორას დავემსგავსებო-დით“ (ესაია 1, 8-9).

ქალაქიდან შორსაა თევდორეს სამკიდრო და ეს, სივრცული, სიშორე, უპირველესად, არსობრივი განსხვავების მიმნიშნებელია.

საინტერესოა, რომ ქალაქი, წიგნთა წიგნის სახისმეტყველვ-ბით, კაცისმკვლელთა შესავედრებლად, საცხოვრისად აიგო: „მოგ-ცეს უფალმან დმერთმან შენმან ქუეყანაი იგი დამკიდრებად და დაეშენო ქალაქითა მათთა და სახლთა მათთა... აღწონე გონებასა შენსა გზა იგი მისი... თითო ქალაქი იყოს იგი შესავედრებლად კაცისმკვლელთა“ (მეორისა სჯულისაი 19, 1-3) (4, 445).

ქალაქისა და გზის ურთიერთმიმართუების შესახებ „ბიბლი-ურ ენციკლოპედიაში“ გკიოთხულობთ: „გზებთან დაკავშირებით წმინდა წერილში მხოლოდ ერთგანაა საუბარი – წიგნში მეორისა სჯულისა – სადაც აღწერილია ქალაქი, უნებლიერ მკაფიოდ თავშესაფარი“ (25, 201).

აბსოლუტურად განსხვავებულია ქალაქისა და გზის სიმბო-ლიკა ქართული ჰაგიოგრაფიის სახისმეტყველებით (სამწუხაროდ, ჩოხელის რომანში აღწერილი ქალაქი, უმის უამიანობის „წყალო-ბით“, უფრო მეორე სჯულის წიგნში წარმოჩნდის ემსგავსება).

„გზა“ იქსოს პარადიგმა, საღმრთო სახელი.

რეგაზე სირაძე გიორგი მერჩულის („ზეცისა კაცისა და ქუე-განისა ანგელოზის“, ადამიანური ყოფიერების იდეალის პერსონა-ფიკაციის) სახეს სამი სიმბოლური ნიშნით წარმოაჩენს: „გზა“, „უდაბნო“ (ქალაქის ანტითეზა) და „მოძღვარი აღმშენებელი“, რო-

მელიც შეესაბამება იდეას სამშობლოს დატევებისა, სულიერი გამოცდის ასპარეზისა და მზადებისა აღთქმული ქვეყნისათვის.

გზის ფიზიკური შეუცნობლობა აქ არ გულისხმობს იმას, რომ უცნობი იყო გზის საზრისი... ეს იყო „გზა ახალი და ცხოველი“ (ებრ. 10, 19), ანუ გზა ცხოვრებისა (10, 147).

უამი სხვაა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“, სხვა – „მგლისა“. გზაა მარადიული.

იგავთა წიგნში ოქმულია: „სამნი არიან შეუძლებელ გულისხმის უოფად და მეოთხესა ვერა ვცნობ: კვალი ორბისა მფრინვალისა პაერსა ზედა, და გზა გველისა მცურავისა შემდგომად კლდესა, და კვალი ნავისა მცურავისა ზღვასა ზედა და გზა კაცისა სიჭაბუქესა შინა მისსა“ (იგავნი 30, 18).

გზა „სიჭაბუქესა შინა“ თევდორესთან მიიყვანს ლუკას, რათა მან, სხვისი გამოცდილებით განბრძნობილმა, განარჩიოს კაცად ყოფნის მადლი მგლად ყოფნის წყევლისაგან (თუ ნებისმიერი აღრჩევისაგან).

თევდორე – ლუკას მგელთაგან მხსნელი – თავადაც ნამგლარია. უფრო სწორად, თევდორე მაქცია არც არის – მგლად ყოფნისას ადამიანად ყოფნის უნარი ადარ პქონდა, რათა კვავილი (ქრისტეს პარადიგმა) არ ეპოვა.

პირველი საფრთხე მგელქალი იყო, ლუკას ბავშვობის ავი ზმანება, „სულ სხვანაირად დამშვიდებული ყოველთვის, როცა რაიმე სამგლო საქმეს სჩადიოდა... შემოგხედავდა და თვალებით შეგზარავდა“ (21, 55).

შემთხვევით როდი აქცენტირდება თვალები. შუასაუკუნეობრივი ესთეტიკური პრინციპით, „ხორციელი ბუნება, ადამიანის სხეული, მისი გარეგნობა ვერ ავლენს მისსავე სულიერ ბუნებას. სხეულიდან მხოლოდ ხელები და თვალები მიაჩნდათ სულის გამომხატველად. ხელებს ეტყობათ სულის ძრაობა, თვალები სულის სარკეა, თვალებში ჩანს კაცის სიკეთე ან ბოროტება, ადამიანის სული თვალებით გამოანათებს სხეულიდან“ (10, 5).

მგელქალის მოკვლის შემდეგ, დაზაფრულ ქრმა ლუკას მისი პირმშო არც გახსენებია. ახლადა, ნამგლარ თევდორესთან სტუმრობისას მოიგონა; უცნაური ფიქრი იპყრობს: „ნეტავ, სად არის ახლა ის ბალდი? იმას ხომ კუდიანი ქალის ძუძუ პქონდა ნაწოვი. იქნებ, ისიც მგლად მოიქცა და დადის კაცთა შორის? ვინ იცის, რამდენი მგელი დადის კაცის თუ ქალის სახით.

ეს ამბავი ერთხელაც არ გახსენებია ქალაქში.

სოფელი პატარაა და ერთმა მგელქალმა ხეირიანად ვერც კი დამალა თავი. ქალაქი დიდია, უამრავი ხალხი ირევა.

ნუთუ მართლა შეიძლება, მგელი კაცივით დადიოდეს?

თუ ასეა, ვინ იცის, რამდენჯერ გადაჰყრია მგელს. ზოგმა შემთხვევით ჩაუარა ჭებაში... იქნებ დაძრწიან დღისით და დამით, სამგლო საქმებით დატვირთულნი. უსხედებიან ერთმანეთს მანქანებში, ან საავადმყოფოებში იარებიან; ან უცებ თავს დაგესხმიან, ციხეში ამოგალპობებ, ან საგამოცდო კომისიაში დაგხვდებიან; ვინ რა იცის, რომ მგელთანა აქვს საქმე – კაცის სახე აქვს და ფარდობითობის თეორიას გეკითხება“ (21, 45).

ეს ბენდი ქარაგმა უამიანი უამის მხატვრული ასლია. ათეოზმის ალადების საზარი საუკუნის წინასწარმეტყველებისას დოსტოევსკიმ „შეფარვით“ თხრობას მგელთავის მათი ჰეშმარიტი სახელის დარქმევა არჩია – „ეშმაკინ“ უწოდა;

ხოხელთან ეშმაკინი ინათლებიან მგლებად – პარადიგმული სახისმეტყველების გავლენით.

ამ შემთხვევაში პარადიგმულობა, იგავური თხრობა არ გულისხმობს იმას, რასაც, წმინდა წერილის კვალდაკვალ, საფრთხედ და საცოტურად მოიაზრებდა იოვანე საბანისძე: „მოციქული პავლე მისწერს ტიმოთესა, ვითარმედ: მოვალს უამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღვრებასა არ თავს იდებდენ, არამედ გულისხმისაებრ თვისისა თავით თვისით შეიკრებდენ მოძღვრებასა ქავილითა ყურათითა და ჰეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე მიიქცინენ და ზღაპრებას მიეკცენ – რომელიცა ეს აწ, უამსა ამას აღესრულების ჩუენ შორის“ (17, 119).

„აწ, უამსა ამას“, საქართველოს უახლესი ისტორიისას, „სიცოცხლისა ამის მოძღვრებასა“ ოდენ იგავურ თუ მოპყვებოდნენ, პარადიგმები თუ დაიმარხავდნენ მგელთაგან უარყოფილ ჰეშმარიტებას. ეს იყო უამი, რომლის სისახტიკესაც უფალი იგავურ იწინასწარმეტყველებდა და ჰეშმარიტების დამმარხველთ (და არა მხოლოდ მოციქულთ, ვისაც უშუალოდ მიემართებოდა მათეს სახარებაში კონსტატირებული) დამოძღვრავდა: „აჲა, მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა. იყვენით უქუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი და უმანკო, ვითარცა ტრედნი“ (მათე 10, 16) (1, 29).

უფლის სიტყვების მაღალ საზრისს განმარტავს იოანე ოქროპირი: „ამიერითგან იწყებს თხრობად მოწევნადთა მათ ზედა ჭირთა და განსაცდელთა, არა რომელ იგი ხოლო ყოფად იყო, არამედ ყოველივე, რომელიც შემდგომად მრავლისა უამისა მოწევნად იყო, რაითა შორითვე შეჭურნეს და განმზადნეს ბრძოლად

ეშმაკისა. იტყვის, ვითარმედ შორის მგელთა მრავალთასა გიხმს შესლვა .. გვა, ბრძოლა ესე საკვირველი, განწესება ესე უცხო – ცხოვართა და ტრედთა მგელთა მიმართ განწყობა “.

ოქროპირი საოცარი სიღრმით წარმოაჩენს მოსახდენის არსეს. დავიმოწმებთ კრცელ ამონარიდს: „იხილედა მიუთხობელი იგი ძალი ერისმთაგრისაი მის, ვითარ ქმნა, რომელ ცხოარნი და ტრედი მგელთა მძლე ექმნებს და, შე-რაი-ვიდეს შორის მათსა, არა ხოლო თუ მრავლისა მის კბენისა მათისაგან არა იძლინეს, არამედ იგინიცა მგლობისაგან შეცვალნეს, რომელ იგი ფრიად უაღრეს არს და უზეშთაეს, ვიდრე მოკლვაი, შეცვალებაი ბუნებისა მგელთაისა, რამეთუ მგელთა მოკლვენ მრავალნი, ხოლო შეცვალებს მგელთა ცხოვრად ვერვინ, გარნა მათ, რომელნი ყოველთა მეუფისა მიერ აღჭურვილ იყვნებს... ათორმეტ იყვნებს და ყოველი სოფელი აღვებულ იყო მგელთაგან... რომელი არა მოიქცნეს, არა მოციქულთა იუო ბრალი, არამედ მათისა მის გარდარეულისაი და გარდამეტებულისა უკეთურებისაი .. მგელ თუ ვიქმნეთ, ვიძლინეთ, რამეთუ განგუეშორების ძალი იგი და შეწევნაი მწყემსმთავრისა მის, რომელი იგი ცხოართა პმწყსის, არა თუ მგელთა... მგელ თუ ვიყვნეთ, დაგვიტეობს ჩუენ.

ესე რქუა მათ: კმა არს ეს თქუნდა განმაძლიერებლად, რომელ მე წარგავლინებ. იხილეა ხელმწიფებაი ?... ძალისხმევა არა ვითარცა ცხოართა შორის მგელთა წარვლინებად, არამედ რაითამცა გყვნენ ვითარცა ლომნი საშინელ ყოველთა მიერ, არამედ ესრეთ ჯერ არს ყოფად, ვითარ ესე ვიქმ... ვითარცა იგი ოდესმე ეტყოდა პავლეს: „ქმა არს შენდა მადლი ჩემი, რამეთუ ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების“ (II კორ. 12, 9) (6, 208).

მგელთა სამკვიდროდ საწუთოს აღქმა აძრწუნებს ლუკას.

საინტერესო პარალელი ქართული პოეზიიდან: ანა ქალანდაძის „იციან მგზავრთა“ ხოხელის „მგელზე“ რამდენიმე ათწლეულით ადრეა შექმნილი. იღუმალ ლექსში თითქოს წინასწარ იკვეთება მომავალი რომანის კონტურები:

„დუმს მკვდარ დუმილით ველი ვრცელული...“

არ ვლენან გზადა მგზავრნი სოფლისა.

შორეულ მთათა შემოეხვევა ნისლი გრძნეული...“

და, იშვიათად, ველებზე გავლით, მეზობელ სოფლად გადავა  
მგზავრი...“

და, როცა გუგუნს მოისმენს ზართა, გამოდის მგელი

და მარხილს ელის განწირულ მგზავრთა,

რათა გადურჩეს დამშეულ ზამთარს სიკვდილის შიშხე ფიქრს მიცემული...

არ ვლენან გზადა: იციან მგზავრთა,

რომ **მგლისა არის ველი ვრცელი**“ (18, 20).

რარიგ ჰგავს ლექსის უპანასკნელი სტრიქონი იოანე ოქროპირთან კონსტატირებულ აზრს: „ყოველი სოფელი აღვსებულ იყო მგლითაგან“.

ჩოხელის რომანში „ლუკა იყო **მგზავრი**“ (21, 36).

რომანის ფონიც კი იგივეა, რაც ლექსისა – იმიტომ, რომ სოფელია, ველია იგივე – წუთისოფელი...

„აუუუუ! – გაისძა შემოღომის ფერწასულ ხეობაში მგლის ყმუილი“ (21, 33), – ასე იწყება რომანის ძირითადი ნაწილი, ლუკა თითქოს ჰადესში მოგზაურობს, რათა განწმედილი ამოვიდეს იქიდან (ანტიური თუ შეა საუკუნეების ლიტერატურის ტრადიციული მოდელი).

შემთხვევით როდია მოქმედების ადგილად არჩეული ხეობა – ჩაღრმავებული, ჩამუდროებული ალაგი, მისტერიულ ქვაბთა ანალოგი.

გრიგოლ ნოსელის განმარტებით, „ქვაბი, სადაც უფალი იშვა, ბნელი და სვრელებში დაფარული ცხოვრებაა; უფალი თვითონ ჩავიდა ამ ქვაბში, იქ მცხოვრები კი ღმრთების ნათელში აღიყვანა“ (16, 58).

ეს აღყვანა ნებისმიერია, არჩევითი, და არა იძულებითი. „იძულებით ქმნილი არა რა მე სათხოება არს“ (26, 19).

თევდორეს ქამიერ დილეგადაც კი ექცა ეხი (ქვაბი) ნადირობისას და, დაუფიქრებლად მიენდო რა ადგილის დედას ეხისას (აქ – ეშმაკეულს), დორაისხევში – სატანურ უფსკრულში, ჯოჯონეთის ფსკერზე – ამოყო თავი.

განსხვავებულია ხეობის ლუკასული აღქმა:

„მთლიანად იღუმალ გარემოში მოცეული ლუკა, რაც შეებლო, ფეხს უჩქარებდა. მისთვის მშობლიური იყო მთელი ხეობა და, ამდენი ხნის მონატრებულს, ახლა ყველაფერი სამოთხედ ეჩვენებოდა... [შდრ. ქალაქში მყოფი ლუკა საავადმყოფოდან რომ გაიქცა, ეგონა, მთელი ჯოჯონეთი უკან მისდევდა (21, 27)], გულსა და გონებას უხსნიდა და ათასნაირ ბავშვობისდროინდელ თავგადასავალს წარმოუდგენდა თვალწინ“.

ბავშვობისას ზამთარში „დედამიწა ზეცის მთახლოებას გრძნობდა... დიდი, იდუმალებითი სიმშვიდე იდგა მთელს ხეობაში... ასეთი ზეციური სიმშვიდის დროით გაზომვა შეუძლებელიც კია –

ზეცაა დედამიწაზე ჩამოსული... ეს ხმა ჰგავდა ზეციურ საგალო-ბელს“ (21, 33).

ეს ბავშვობის ხილვა იყო (ბავშვობა იმარხავდა მარადისობას, მარადისობა იღვრებოდა ბავშვობაში).

ახლა ლუაბა უკავ მგზავრია, ყრმობისა და სიჭაბუის მიჯნაზე მდგომი. ხეობაში განმარტოებულს ყრმობისას მრავალგზის ნანახი წარმოუდგა თვალწინ:

„ახლაც ასეა – ზეცა თანდათან ჩამოდის ქვემოთ. დედამიწას გული გადაუშლია და შესახვედრად ემზადება. ირგვლივ სიჩუმეა გამეფებული. სიოც კი არ არხევს ხის კენწეროებს. საცაა, უნდა დადგეს გარინდების წამი და წამოვიდეს შავ მიწაზე ზეციური საგალობელი.

სიჩუმეა და ამ სიჩუმეში უცებ გაისმის: აუუუუ!“ (21, 34).

აქაც, ხეობის სამოთხეშიც, იჭრება გონისმიერი ჯოჯოხეთი – აქაც, ქალაქიდან შორს.

ადამიანის – მარადი მგზავრის – ცნობიერებაში აწმეოსა და წარსულის ხილვები ერთურთს ერწყმის, ირევა. მოდის იღუმალი, მარადი ფიქრი: „იქნებ, არც კი ყოფილა ეს კველაფერი, იქნებ, როდესმე, ბავშვობისას, სიზმარში ნახა და ახლა სიზმარი და ცხადი ერთმანეთში ერევა. ახლა თვითონვე უნდა დააჯეროს თავს, რომ ეს [მგლების ალექა – ნ.კ.] სიზმარში მოხდა, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამე.

მაგრამ სიზმარში ხომ დაფრინავდა კიდეც, რატომ ვედარ იხსენებს, რატომ არ აგონდება ეს განცდა?

აუუუ! – იქნებ ეს ხმაც წარსულიდან ისმის და ახლა სულაც არ ყმუის მგელი? იქნებ, ეს თოვლის ფიფქებიც წარსულიდან მოდის, ეს ნიხლიც იქაურია, ეს გზა?“ (21, 44).

ავსულმა წარსულის სამოთხე უნდა დაავიწყოს [„მქონდა იგი თუ მომაგონდა?“] – გალაკტიონის სახისმეტყველებით] და ჯოჯოხეთური აწმე უძციოს დროის სამივე პიპოსტასად.

„არა, ასე ფიქრი არ შეიძლება“... (21, 47).

„მგელს რა საქმე აქვს ქალაქში ან სოფლად, კაცის სახით, თუგინდ ქალის სახით. მგელი ხომ შესჭამს ადამიანთა წილ სიყვარულს, კაცივით მათ შორის იტრიალებს და ნელ-ნელა გამოსწოვს, რაც კი რამ წმინდაა მათ შორის.

მგელს ასეთი ხასიათი აქვს: სისხლს გამოსწოვს და მძორს დასტოვებს. მერე მძორი თვისით გაიხრინება“... (21, 47).

„საზარელი თვისება აქვს – სისხლით გაუმაძღარია“.

სისხლით, ანუ სულით (ლევიტ. 17, 11)...

„საშინელ და განსაცვიფრებელ მოთხოვობად“ უხმობს იმე-რეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ავი სულის მიწიერ ცხოველში (კერძოდ, ღორთა კოლტში) შესვლის აღმწერ იგავს (მათგ 8); ეს „შესვლა“ თავად ეშმაკეულთა ვედრებით განხორციელდა.

„რას ნიშნავს ეს გასაოცარი თხოვნა სულთა უკეთურთა, [რომელთა], ნაცვლად სინათლისა, შეიმოსეს სიბრუნვე და შეიქმნეს უკეთურნი და ბოროტნი? საშინელი მოქმედება აქვს ცოდვას ყოველსა ქმნილებასა ზედა!... წაახდენს ცოდვა თვით მაღალთა, ნათლით შემოსილთა ანგელოზთა ბუნებათა... რა სახით გა-მახინჯოს [კაცის] სუსტი და უდონო ბუნება...“ (8, 391).

„საკვირაო სახარებათა განმარტებაში“ ეშმაკეულობა „უცნაურ მოვლენად“ კონსტატირდება: „ახალი აღთქმა ჩვენში არანაირ ეჭვს ადარ ტოვებს, რომ მაცხოვარიცა და მახარებელიც ნამდვი-ლად არსებულად აღიარებდნენ დემონთა მიერ ადამიანთა შეპყრობას.

ეშმაკი, ბოროტი სული შედის ადამიანის არსებაში და მის სულსა და სხეულს ეუფლება. ადამის შეცოდებისთანავე ეშმაკმა სელმწიფება მიიღო ადამიანებზე, როგორც თავის ტყვეებზე, მონებზე (ეფეს. 2, 2)...

მიუხედავად ასეთი დიდი ხელმწიფებისა ადამიანებზე, ეშმაკს არ ძალედვა და ძალუქს, ყოველ ადამიანში შევიდეს და ქენჯნოს, რაღაც, ღმრთის განგებულებით, მისი უსაზღვრო მოწყალებითა და სიყვარულით ჩვენდამი, ადამიანი მაინც დაცულია ეშმაკის პირდაპირი კეკიფებისაგან საღმრთო ძალით“ (12, 144).

თევდორეს მგლად მოქცევა მამის გზას გადაცდენით, ნადი-რობის უმიზნო უინით, ხეოს საბუთარი დედის რქეში მოხარშვით შემზადება, განიპირობება – ეშმაკი პიროვნების ნებისმიერი არ-ჩევანით შედის გვამში და ალდახხამოგებულს უკვე ნებისმიერად როდი – საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ აწამებს.

რიტუალივით აღიწერება თევდორეს მგლად მოქცევა:

„ინათლება მგლად... დღეის მერე ევალება: იყოს მგალი და მხოლოდ მგელი. სახე მისი არა კაცის ფერი [არა ხატი და მსგავსება ღმრთისა – ნ.კ.], არა სხევა რამის მსგავსი, არცა კატის, არცა ეშმაკისა.

დღეის მერე იყოს მორჩილი მბრძანებლისა ჩვენისა და მის-გან განწევებული ყოველი კანონის.

დღეის მერე სვას სისხლი და ერიდოს მძორს!

არ დაინდოს ადამიანის ძე!

არ უდალატოს მგლებს!

ნადირობისას არ მოშალოს რკალი!

არ გადავიდეს წინამდოლის ნება-სურვილს!

უოველივე, რაც განწესდება ჩვენს სამსჯავროზე, იყოს შეუ-  
ვალი კანონი მისთვის.

ეფლს გადაცმული ალდახი იყოს მისი მგლობის ბეჭედი.  
მოინათლოს!..

მოიტანეს მგლის სისხლი და ზედ გადამასხეს“ (21, 71).

ამგვარ ნათლობას, ბუნებრივია, საერთო არაფერი აქვს პაგი-  
ოგრაფის ღვთისმეტყველებაში აღწერილ სისხლით ნათლისდებასთან.

„ცეცხლითა და სულით ნათლისდება ქრისტეს ნათლობაზე  
მიანიშნებს (მათე 3, 11), რომელიც სულიწმინდით აღესრულება,  
ხოლო სისხლით ნათლისდება მოწამეთა და ქრისტეს სახელით  
მამულისათვის მებრძოლთა ხვედრია, რაც იმავე მადლის მოპო-  
ვებას ნიშნავს, როგორც ეს წმინდა სამების სახელით ნათლო-  
ბისას წყალში შთაფლვის ან წყლის პკურების საშუალებით მოი-  
პოვება. წმ. კირილე იქრუსალიმელი განმარტავს: „რომელმან არა  
ნათელ იღო, მას ცხორება არა აქუს, გარნა მარტვილთა ხოლო,  
რომელთა თვინიერ წყლისა ნათლისდებისა დაიპურან სასუფევე-  
ლი, რამეთუ რაჟამს იხსნიდა ჯვარითა სოფელს მაცხოვარი და  
გვერდსა უგმირეს, გამოხდა სისხლი და წყალი, რა თა, რომელ-  
თამე ქამსა მშვიდობისასა სულითა წმინდით და წყლითა ნათელ-  
იღონ და რომელთამე კუალად ქამსა დევნისა თვისთა სისხლითა  
ნათელ იღონ“ (13, 30).

სამგლეთის კანონი უპირისპირდება რომანში საღმრთო  
მადლის რომლის ნატამალიც არ არის დორაისხევში – უარსო  
ბოროტის სამეცნიერებელში (რასაკვირველია, თავად დორაისხე-  
ველთა ნებით – „არამიმდებელობისათვის ნათლისა“, თუ ფსევდო-  
დონისე არეოპაგელის სახისმეტყველებას დავესხებით).

ეს კანონი იმდენად ურყევია და დაუნდობელი, საკუთარ,  
თავისივ განაზარდ ხარსაც არ ინდობს მგლად მოქცეული (ხარმა  
თევდორეს მხრიდან მოინდობა რკალის გარდვევა – თვალებით  
თუ იცნო პატრონი) – „პირველი მე ვეგბერე“ (21, 77), – მზრინავია  
მონათხოვი.

მგლად მოქცევის შინაგანი არსის გაცნობიერების სურვილი  
გააწვალებს ლუკას: „ნუთუ იმისთვის მიპყიდეს მგლებს სული,  
რომ მგლებს ცხოვრებაში პირველობის მეტი უფლება აქვთ  
(მაგრამ „პირველი უპანასკნელი იქნებიან“). შეუვალია მათი  
კანონი: მხოლოდ ანადგურებს და არ ქმნის...

ვინ არის პირველი? ვინც უფრო მგელია (21, 95), სიბრა-  
ლულის სიმგაწყვეტილი (21, 106).

უამის უამიანობას ალეგორიულად წარმოაჩენს მწერალი. ლუკას უამბობს მრავლისგანმცდელი, ნამცდელები, კვლავ კაცად მოქცეული ოევდორე: „ხალხში ვეღარ ვჩერდები. გული ხან რომელ კაცზე მეტყვის, აეს კაცი მგელიაო, ხან რომელზე ერთხელ ქალაქში ვიყავი, კინადამ გადავირიე – სოფელში ცოტა ხალხია და ისე არ იგრძნობა.

სადაც კი წაგსულვარ, ყველგან მგლის სუნი ტრიალებს.

ხალხი ცხვარია – როგორც კი მგლის სუნი იკრავს, დაფრთხება, მით უმეტეს, თუ სინათლე არსაიდან ჩანს, და თუ სიბნელეში ცხვარი დაფრთხა, დაღუპულია იმ ფარის საქმე“ (21, 147).

დამდუპველია ფიქრი მგლობასთან დაზავებისა, ბილწოან ზავით შეკვრისა: „მოქცეული ხარ მგლების რკალში, თუ შეძლებ და გეოფა შენს თავში რწმენა და ძალა, მიდი, გაარღვიე ეს წრე, თუ არადა, დანებდი, შენც მგლად იქცი, შენც იმათ წრეში ჩადექი და სხვას ჩაუსაფრდი. მერე რა, რომ მგლად იქცევი?! განა ერთი და ორი მგელია შენს გარშემო?

ქვეყანა საგსეა მგლებით, იმათია ასპარეზი, ხოლო, ვინც კაცი გააჩინა, დაქარგულა, სადღაც იმალება. იშვიათად თუ ვინმეტ იცის მისი ადგილსამყოფელი. იმალება გამჩენი. მგლებს კი წრე აქვთ შეკრული“ (21, 172).

კონფორმიზმიცა და სულმოკლეობაც წამიერია.

შემოქმედის ეს „დაკარგგა“ ღმრთის მიერ ქმნილებაზე ხელის აღებას როდი ადასტურებს – ესაა ტკიფილიანი მარტომყოფა, მაღალი განრიდება შვილთა (რომელნიც უყარს!) გულარძილობისაგან, ჯერ კიდევ ესაიას წინასწარმეტყველებაში რომ კონსტატირდება: „ხელებს რომ ადაპყრობთ, თვალს გარიდებთ, ლოცვებს რომ მიმრავლებთ, არ ვისმენ“ (ესაია 1, 15) (5, 650).

უფლის მაღალი, იდუმალი, „უცნაური და უთქმელი“ განგებულებითაა „მიცემად უგევითარი იგი ეშმაქსა სატანჯველად ხორცითა, რა თა სული ცხოვნდეს დღესა მას უფლისა ჩუენისა იქოქრისტესა“ (I კორ. 5, 5) (1, 540); „ჭირი მოთმინებასა შეიქმს, მოთმინება – გამოცდილებასა, გამოცდილება – სასოებასა, ხოლო სასოებამან არა არცხვინოს, რამეთუ სიუჟარული ღმრთისა განფენილ არს გულთა შინა ჩუენითა სულითა წმიდითა, რომელი-იგი მოცემულ არს ჩუენიდა“ (პრომაჟლთა მიმართ 5, 3-5).

„საღმრთო წერილში პირდაპირ არის განმარტებული, რომ იქსო ქრისტე „მოგიდეს ქველის მოქმედად და განკურნებად ყოველთა მიმდლავრებულთა ეშმაქისათა“ (საქმ. 10, 38), რომ ძე ღმრთისა სწორედ იმისთვის გარდამოხდა ქვექნად, „რაითა დაარ-

დვივნეს საქმენი ეშმაკისანი“ (I იოანე 3, 8)... თავისი ურწმუნოებითა და შეცოდებებით ქრისტიანი კვლავ აძლევს ბოროტ სულებს ხელმწიფებას საკუთარ თავზე და ისინიც ამჯერად უფრო მეტის დახელოვნებით და მზაკვრობით მოქმედებენ, ძალუმთ, დიდი ზიანი მიაყენონ ადამიანებს, დამღვაპველად იმოქმედონ მორწმუნებზე და დაბრკოლონ ცხოვნების საქმე“ (12, 15).

ადამიანთა სულის ეშმაკთაგან გამოხსნის, ავსულთა დორთა კოლტში შესვლის წარმომჩენ იგავს (მათე 8, 28-34) იოანე ოქროპირი შემდეგ კომენტარს ურთავს: „განგებულებასა ადასრულებდა: ერთად – რაითა ასწაოს განთავისუფლებულთა მათ ეშმაკთაგან, თუ ვითარისა ბოროტისაგან ისნენ იგინი; მეორედ – რაითა ცნან ყოველთა, ვითარმედ არცა თუ დორთა ჰკადრებენ, უკუეთუ დმერომან არა მიუშვის...“

არა არს კაცი, რომელსა ზედამცა არა აჩუქნებდა დმერთი წყალობასა და მოღუაწებასა“ (6, 15).

„რა ვიცოდი, რომ მთელი საიდუმლო ჩემი მგლობისა იმ გამონასკენულ ალდახში იყოო“ (21, 218), ეტყვის თევდორე ლუკას.

ალდახი – ბალასთაგან დაწეული საბელი – საბასთან არ კონსტატირდება. არის ალერდი – ნედლი თივა (20, 46), ალიქაში – გვარლი, თივის თოვი, საბელი (20, 47), გვარლი – საბელი თივათგან შეგრეხილი (20, 20).

საზი გაესმის ალდახის სუბსტანციურ არამარადიულობას. „უფალმა უწყის დაბადება ჩუქნი, მოისხენა, რამეთუ მიწანი ვართ, კაცი, ვითარცა თივა არიან დღენი მისნი“ (ფს. 102, 14-15); „თივა იგი ველისა ... დღეს არის და ხვალე თორნესა შთაეგ ზნის“ (მათე 6, 30).

მონობაცა (მგლობაც) და მაღალი თავისუფლებაც (კაცად ყოფნაც) არჩევითია, ნებისმიერი – ნება ადამიანებისათვის მომადლებული მაღალი ჯვარია. ამადაც არ ანებებენ მგლად გარდასახულ თევდორეს დორაისხეველნი, დროდადრო მაინც მოექცეს კაცად – „კაცმა შეიძლება ყვავილი იპოვოს“ (21, 70), მგელმა – ვერასოდეს.

ძელზე დაკიდებისას ალდახის გაწყვეტაც ბიბლიურ ასოციაციებს იწვევს – ძელი თითქოს ჯვარია, ალდახი – მიწიერი, ცოდვისმიერი საკვრელი.

„კრებსაბმელი იგი ტაძრისა მის განიპო ორად ზეითგან გილრე ქავდმდე“ (მათე 27, 51).

„განპებაი იგი კრებსაბმელისა რაისთვის იქმნა? არათუ ტაძარი იგი შეურაცხყო, რამეთუ თავადი იტყოდა: ნუ ჰყოფთ სახლ-

სა მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო, არამედ იგინი უდირსად გამოაჩინა მას შინა ყოფისა, ამისთვის განკებითა მის კრეტისაბმელისაითა მოასწავა სრულიადი იგი მოოხებაი მისი და **უაღრესისა მიმართ შეცვალებაი საქმისაი** “ (7, 455).

ჩემი კარალელი დამის ხელიონურია, მაგრამ მსგავსია მიზანი კრეტისაბმელის განპობისა თუ ალდახის გაწყვეტისა – როგორც იოანე ოქროპირი განმარტავს – „უაღრესისა მიმართ შეცვალება საქმისა“.

„ცოფიც მგელმა გაუჩინა სოფელს“ (21, 237).

„დემონლოგიურ სახეთა ჩვენება იმთავითვე მრავალფეროვანი იყო... ქართული აგიოგრაფია ამისათვის სატაო მასალას გვაძლებს: ჯერ თვით „შუშანიკის წამება“, სადაც პირველადაა დადასტურებული ის, რომ ინდურ-ირანული ქეთილი ძალის განმასახიერებელი „დევი“ ქართველთა წარმოდგენაში უკვე გადაცეცელია ბოროტ ძალად. სულ სხვადასხვაგვარადა ჩანს დემონური ძალები „შიოსა და ევაგრეს ცხოვრებასა“ და „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“.

„აბიბოს ნეკრესელის წამებაში“ მსგავს ძალთა განსახიერებაა საკულტო ცეცხლი.

გიორგი მერჩულე ყურადღებას ამახვილებს ისეთ ასპექტზე, რომელიც დღეს ასე გამოითქმის: „დემონური მარად თან სდევს ადამიანს და ცხოვრება კაცისა – ესაა მარადიული ბრძოლა საკუთარ პიროვნებაში ჩაბუდებული დემონურის წინააღმდეგ („არა იყო დაუცხრომელი ბრძოლა წმიდათაი, არამცა მოიხსენეს ბრძოლაი იგი სიკედილდ მარადე, რამეთუ ხორცთა გული უთქვამს სულისათვის და სულისა ხორცთათვის და ესე მხდომინი არიან ურთიერთას... ოდესმე წმიდათა ანგელოზთა გონებაი პოვის ჩუენ შორის და ოდესმე – ეშმაკთაი .. ესევითართა ვნებათაი – დაფარულთა და ცხადთა – მხდომისა ღონისა ძლიერად ეწყვებოდეს დირსნი ესე მამანი“ („გრიგოლ სანდოელის ცხოვრება“) (თ. 7) (17, 49).

ჰაგიოგრაფიაში ხილვაც კი მოწოდებულია თანამოღვაწეთა სულიერი განმტკიცების მიზნით; განმარტებულია, რომ ეს ძალები დაიძლევა ადამიანის შინაგანი ძალისხმევით („ლოცვა მისი აღვიდოდა ცად, ჰაერთა განსწმედდა და განვლიდაო აითერსა“ – „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“) (11, 50).

მათეს სახარებაში განმარტებულია, რომ „ნათესავი ესე [ეშმაბნი] არარათ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხევითა“ (მათე 17, 21)).

„ლოცვა უკვე იმით, რომ მადლმოსილ ერთობაში მოვყავარო დმერთთან, ვისი ოდენ სახეც საშინელია დემონთათვის, განა-შორებს ჩვენგან ბოროტ სულებს. ლოცვა ამა ქვეყნისაგან ზე აღი-ყვასს ხოლმე ადამიანის სულს – იქიდან, საითკენაც მას დემონი მიაქანებს, ათაგისუფლებს მას ქვეყნიური, ცოდვიანი მიდრეაილუ-ბებისაგან... მგზებარედ მლოცველი ადამიანი თითქოს ფრთებს ისხამს [პასაჟი „მგლიდან“ – ლოცვის მადლით ცად ამაღლებული დონატა – ნ.კ.], ამაღლებება ამა ქვეყნაზე... ზეცით ცხოვრობს... მარხვა დმერთის მსგავსად შექმნის ადამიანებს...“

სახრდელით განძლომა ნიშნავს, ზეთი დავასხათ ვნებათ ცეცხლს“ (12, 200).

უპირველესი ქართული ნაწარმოების უკანასკნელ სტრიქონში ერთად მძღვარი თხა და მგელი მარხვის სახწაულებრივ ძალასაც წარმოაჩენს.

სხინის ერთადერთ გზად გ. ჩოხელის რომანში რწმენაა მოაზ-რებული. ის, რომ „მგლებს არ ესიამოვნათ ამხელა სინათლე“ (21, 59), კიდევ ერთხელ გვაბრუნებს წმიდა წერილთან, ალექორიულად რომ წარმოაჩენს დვთის განკაცებას: „ცხორებაი იგი იყო ნათელ კაცთა“ (იოვანე 1, 4).

„ნათელი იგი ბეჭედსა შინა გამობრწყინდება, ხოლო ბეჭედი მას ვერ ეწია, რამეთუ გამოჩინებითა ნათლისაითა უჩინო იქნების ბეჭედი, არათუ დაბნელდების წყვდიადისა მიერ“ (გრ. ნოსელი) (16, 57).

ლუკასთან საუბრისას თვევდორე გამუდმებით ახსენებს წმინ-და სამებას, რომლის მადლითა და წყალობით კვლავ მოექცა ადამიანად.

რომანის არსი ლუკასათვის თქმულში წარმოჩნდება: „რო არა წმიდა სამება, სამგლეთად მოიქცეოდა მთელი დედამიწა. ვერ ხედავ, ისედაც როგორც მომრავლდნენ მგლები, მძორად იქცა ქვეყანა.“

– რომელი ქვეყანა?

– რომელ ქვეყანას იცნობ კიდევ? ქვეყანა ერთია. ჩვენ ვართ და დვთის სამართალი. მგლების სამართალი კი სხვაა. იმათ სხვა უწერს მგლურ კანონებს, დვთის განგებას იმათიან საერთო არა-ფერი აქვს... რო არა სულიწმინდა, მგლებს დარჩებოდათ ეს ქვეყანა...

ქალაქში მგელი, რამდენიც გინდა, იმდენია, თუმცა, შენ რას გამოიცნობდი. კაცი კაცს ჰგავს და არა მგელს... ჩაუსახლდება ვინებს სულში მგელი და ააყმუვლებს იმის არსებობას, იმდენს აქნევინებს, ახლა სხვას მოაქცევს მგლად...

სადაც სულიწმინდა ფეხს ვერ იკიდებს, იქ იმ წუთში მგელი ჩასახლდება. მერე ეს მგელი ცდილობს, საზოგადოებას კრავად მოაჩვენოს თავი. მგლებს ხომ კანონები უყვართ. პოდა, ეს კრავიც კანონებს ეფარება, აქა-იქ იღობებს, კანონების ციხე-სიმაგრეში ცხოვრობს.

„სულიწმინდას რყვნიან, ხვრეპენ და იმით არიან ეგენი მაძლარი... ექ, დაილოცოს, წმიდა სამებავ, შენი განგება და ნუ მოაქცევ ქვეყნას სამგლეთად“ (21, 64).

„უკვე მეოთხე საუკუნეში მირითადი იდეოლოგიური კონფლიქტის საფუძველი [ეპლესის წიაღში] გახდა განსხვავებული თვალსაზრისი სამების დოგმატის შესახებ... არიანელთა იდეურ განადგურებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს კაბადოკიელმა მამებმა“ (16, 5), რომელთაც ეთნიკურად ქართულ სივრცეს მიაკუთვნებს მკვლევართაგან მრავალი.

მართლმადიდებლური სწავლებით, სამებაა „წყარო სახიერებისა და სიმართლისა, ყოვლისმპერობელი და მარადიული მეუფე, თვითნათელი, თვითსახიერება, თვითმქოფი, თვითარსება და თვითცხოვრება“ (13, 49).

„ღვთაებრივი რეალობა, ქრისტიანული მოძღვრებით, თავის წმინდა სახეში არის არა არარაობითი, არამედ პოობითი, რადგან უმაღლესია არა არარაობა ყოფიერების განასხრისა, არამედ წმინდა სამება... ქრისტე, როგორც ახალი იდუმალება სამყაროსი, არის ახალი საფეხური ადამიანის ცხოვრების ღვთაებრივი გზის ძიებისა. მისი პოობითი ოღოლოგია, მისი უმაღლესი ღვთაებრიობა, რომელიც არის წმინდა სამება, არ შეიძლება გულისხმობდეს ისეთსავე ეთიკურ გზას ცხოვრებისას, ისეთსავე იდეალს, როგორიც არის გზა ყოველივეს უარყოფისა.

**ქრისტიანული გზის იდეალი წმიდა სამებასთან მიმსგავსებაა** – როგორც მაცხოვარი გვეტყვის: „იყავით თქუენ სრულ, ვითარცა მამაი თქუენი ზეცათი სრულ არს“ (მათვ 5, 48).

გ. ჩოხელის რომანშიც მარადიული გზა-მოდელია წარმოჩენილი – სოფლის საცოტურთაგან ნებისმიერი თავდახსნა უფლის მაღალი შეწევნით.

ისევე, როგორც ქართული სახისმეტყველებითი აზროვნების უმკვიდრეს ლიბოში – ქართულ ჰაგიოგრაფიაში – გოდერძი ჩოხელთანაც იგულისხმება მნიშვნელოვანი რამ: ადამიანს „მინიჭებული აქვს თავისუფლება, ის არ არის ყოველმხრივ განსაზღვრული, მან თვითონ უნდა შექმნას და შეინარჩუნოს თავისი თავი: „არსებანი ვართ უკუდავნი და განკარვებლად დაბადებულნი, უფ-

როის ყოველთა დაბადებულთა ხილულთა, პატივცემულნი არსებითა დაუსრულებელითა და ამისთვის ჯერ არს, რა თა თავნითვისნი დავიცვნეთ და ვეკრძალენით მერმისა მისთვის ცხორებისა... და არ არს კაცი იგი ანგელოზ, არცა პირუტყვა, არამედ შორის მათსა“ (11, 55).

რომანის სათაური სახეობრივია. საბას განმარტებით, „სახის შემოღება იგავთ მოყვანაა“; იგავი კი არის „სიტყვით მაგალითი, გინა საჩვენებელი, გინა მოსანიშნავი“.

გააზრებულია, რომ სახეობრიობა წარმოაჩენს მოვლენის არსს; მოვლენა თავის პირველარსს უკავშირდება, როგორც სახე.

ამიტომ სახეობრიობა ამაღლებს მოვლენას თავის თავზე, სძენს მას უფრო მეტს, რადაც ისეთს, რაც მის მიღმა იგულისხმება“ (11, 138).

ეპოქის მხატვრული ანარეკლია „მგელი“.

„ძელი აღმოსავლური სიბრძნეა: ეძებე ახსნა ტექსტი კი არა, სახელწოდებაში“ (19, 9).

- დამწმებული ლიტერატურა:** 1. ახალი აღთქმაი , თბ., 2000; 2. ფსალმუნი, თბ., 2001; 3. წიგნი ძეგლისა აღთქმისანი, ნაკვ., I, ჟესაქმისაი, გამოსლვათაი, თბ., 1989; 4. წიგნი ძეგლისა აღთქმისანი, ნაკვ., II, თბ., 1990; 5. ბიბლია, თბ., 1989; 6. ოთანე ოქროპირი, თარგმანებაი მათეს სახარებისაი, II, თბ., 1996; 7. ოთანე ოქროპირი, თარგმანებაი მათეს სახარებისაი, III, თბ., 1998; 8. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, I, ქუთაისი, 1913; 9. წმინდანთა ცხოვრება, თბ., 1991; 10. რევაზ სირაძე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987; 11. რევაზ სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, წ. I, თბ., 1992; 12. საკვირაო სახარებათა განმარტებანი, I, თბ., 2001; 13. გვანცვა კოპლატაძე, გრიგოლ რუხაძე, პაგიოგრაფიის დათისმეტყველება, თბ., 1997; 14. ლოცვანი, რუსთავი, 2002; 15. დენიზა სუმბაძე, მიღმოგონებანი სამთავროს დედათა მონასტერზე „ხელოვნება“, №4, 1990; 16. ნინო მელიქიშვილი, ერეტიკოსებთან პოლემიკა კაადოკიული მამების ქრისტეშობის პომილიებში, „რელიგია“, №7-8-9, 1996; 17. ქართული პროზა, I, თბ., 1982; 18. ანა კალანდაძე, ერთტომეული, თბ., 1987; 19. „ჩვენი მწერლობა“, №27, 11-17 ივლისი, 2003; 20. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991; 21. გოდერძი ჩოხელი, მგელი, თბ., 2002; 22. ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები (ქანონიკური), წ. I, ლენინგრადი, 1990 (რუსულ ენაზე); 23. განმარტებითი ბიბლია, წმინდა წერილის ჰველა წიგნის კომენტარები, წ. II, პეტერბურგი, 1908-1910 (რუსულ ენაზე); 24. თეოფილაქტე ბულგარელი, სახარებათა განმარტებანი, წ. I, მ., 2000 (რუსულ ენაზე); 25. ბიბლიის ენციკლოპედია, არქიმ. ნიკოფორის გამოცემა, მ., 1891(1990) (რუსულ ენაზე); 6. წმ. ოთანე დამასკელი, გარდამოცემაი (მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწვნითი გადმოცემა), თბ., 2000; 27. ესეები, თბ., 1989.

## გამოქვაბულის დალი და დალთა ლაშქარი

დალი ქართული სამონადირო ეპოსის ყველაზე პოპულარული პერსონაჟია. მასზე დიდადი ლექს-სიმღერები და გადმოცემებია შექმნილი. იგივე ითქმის მეცნიერულ ლიტერატურაზეც. ქართულ ფოლკლორისტიკაში სამონადირო ეპოსის კვლევა არსებითად დალის ციკლის მასალებზე დაყრდნობით წარიმართა, მიუხედავად ამისა, პრობლემა მაინც არაა შესწავლილი სათანადო სიღრმითა და მრავალმხრივობით, ალბათ, იმ უმთავრესი მიზეზის გამო, რომ საკითხის კვლევა თავიდანვე ცალმხრივად, ტენდენციურად მიმდინარეობდა. მკვლევართა შრომებში აქცენტი უმეტესწილად დალისა და მონადირის ინტიმური ურთიერთობის აღწერასა და დახასიათებაზე იქნა გადატანილი, კერძოდ, დალის პირობების აღსრულების აუცილებლობაზე, მონადირის ვალდებულებებზე, ტაბუზე სანადიროდ წასვლის წინა დღეებში მთელი რიგი აკრძალვების დაცვაზე და სხვ.

ამ მიმართულებით დიდი მუშაობაა გაწეული და მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული, მაგრამ თუ ღრმად დავაკირდებით დალის ციკლის მასალებს, როგორც ტრადიციულს, ისე ახლად მოძიებულს, აღმოჩნდება, რომ სსენტებული დალი ერთერთია დალთა ლაშქარიდან და არა ერთადერთი, ხოლო მკვლევართა შრომებში ცალკეული მითოებებისა თუ მინიშნებების გარდა, რომლებსაც მომეტებულად აღწერითი ხასიათი აქვთ, არაფერია ნათქვამი დალთა ლაშქარზე, მათ ბუნებასა და სამყაროზე, ადამიანებთან თუ ცალკეულ დალებთან ურთიერთობაზე, სიწმინდესა და მთელ რიგ იდუმალებებით მოცულ ქმედებებზე. ასე, მაგალითად, მიხ. ჩიქოვანი მიუთითებს, რომ დალი ერთი არაა, ისინი ბევრი არიან, სგანური თქმულებებისა და ბალადების მიხედვით, დალები ჯგუფ-ჯგუფად ცხოვრობენ და ადვილად არ ეჩვენებიან ადამიანებს” [1,41]. ედ. ვირსალაძე მონადირე ჩორლას თავისი დასავალზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ სანადიროდ წასული ჩორლა „ერთის მაგიერ სამ საუკეთესო ჯიხვს კლავს, მეოთხესაც დაუმიზნებს, მაგრამ ნადირთ პატრონი დალები მას შებორგავენ და კლდეზე დააბამენ მარჯვენა ხელითა და მარცხენა ფეხით [2,118]- დაგძენთ, რომ დასახელებულ ნაშრომებში ხშირადაა

ნახსენები დალთა ლაშქარი, მაგრამ კვლევა ამის იქით აღარ მიდის, ე.ი. მხოლოდ ფაქტზეა მინიშნება. ეს მაშინ, როდესაც ისინიც ნადირთ პატრონები არიან, უფრო მეტად, ვიდრე მონადირესთან ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი დალი, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში არც ეს ურთიერთობაა სწორად გააზრებული. ასევე კურადღების მიღმა არის დარჩენილი, თუ მხედველობაში არ მივიღებო ცალკეულ გამონათქვამებს, დალის ბუნების გენეზისური სიწმინდე და კდემამოსილება. მკვლევართა ნაშრომებში დალისა და მონადირის ინტიმურ ურთიერთობებზე მსჯელობისას უფრო მეტად ქალდმერთის სიმკაცრე და შერისმაძიებლობა წინა კლანზე წამოწეული, ხოლო ამგვარ ქმედებათა საფუძლების ჩვენებისა თუ ახსნისაგან ჯერ კიდევ შორს ვართ. თქმულიდან გამომდინარე, თუ მთლიანობაში გადავხედავთ გამოქვეყნებულსა და ახლად მოძიებულ მასალებს, ჩვენი აზრით, ცალკე უნდა იქნას გამოკვლეული და დახასიათებული არა მარტო კონკრეტული დალი დამოუკიდებლად, არამედ დალთა მთლიანი სამყარო თავისი კერძო და ზოგადი გამოვლინებით, ხოლო პრობლემის არსეს რომ სიღრმისეულად ჩავწვდეთ, პირველ რიგში იმის გათვალისწინებაა აუცილებელი, თუ როგორაა დალი წარმოდგენილი სვანურ ყოფიერებასა და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში, ზეპირსიტყვიერ ძეგლებსა და ზნე-ჩვეულებებში, რა განსაკუთრებულ თვისებებს მიაწერენ მას მონადირები“. როგორია მისი გარეგნული იერსახე და რა ადგილი უჭირავს მას ადგილობრივ მქონებისა და ცნობიერებაში, რა არის მისი ესოდენ გამორჩეულობისა და პოპულარობის უმთავრესი მიზეზი და სხვა.

დალი, სვანთა წარმოდგენით, უდამაზესია. აქვს კოჟებამდე მწვდომი ოქროს ნაწინავები, მისი მუდმივი საბრძანისია კლდოვან-ყინულოვანი არეალი, ცალკეულ შემთხვევაში ალპურიც. ქალდმერთის უშუალო გამგებლობაშია ჯიხვი და არჩვი, უცოდველი, ანუ წმინდა ცხოველები. „დალები ბევრია, მთელი ლაშქარი, ისინი ჯგუფ-ჯგუფადაც ცხოვრობენ, ჰყავთ თავიანთი გამგებელი „დალთ დედოფალი“, აქვთ დამოუკიდებელი სამყარო, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავისათვის შეუვალია, დალები გაურბიან ადამიანებთან ურთიერთობას, მაგრამ ხდება ისე, რომ ერთ-ერთი შესცოდავს მონადირესთან, ამის გამო დალთა საუფლო დამძიმებულია, „დალთდედოფალი“ სამჯერ გაიმეორებს: „ვინ შესცოდა“, მაგრამ თავს არავინ ამჟღავნებს, ამიტომ გაჰყავს დალები კლდის ქიმზე და უბრძანებს: „გადავფრინ-

დით“, უცოდველები გადაფრინდებიან, ცოდვიანი ადგილზე რჩება, მას დალთა ლაშქარი შერისხავს, მოიკვეთს თავისი რიგებიდან (პირადი არქივიდან – ო.ონიანი). ასეთსავე ვითარებასთან გვაქვს საქმე მონადირე ჩორლას თავგადასავალშიც. აქაც ერთერთი დალი მოკვე-  
თილია დალთა ლაშქარიდან მემაობის გამო, მარტო დგას და ცრემლებს დვრის, მას ჩორლას საყარლობას სდებენ ბრალად. სწორედ ეს მოკვეთილი დალია, რომელიც შემდგომში ცალკე დაიდებს ბინას გამოქვაბულში, ეცხადება მონადირეს და მასთან ინტიმურ ურთიერთობაში შედის. იგი იმ დონეზე ფლობს საკუთარ სხეულს, რომ შეუძლია გაქრობა და ისევ ფიზიკურ სხეულში შესვლა. ამდენად, მოუხელთებელიცა. დალი იმდენად მომხიბლელია, რომ იოლად ეუფლება ადამიანის ცნობიერებას და მის მორჩილად ხდის. დალთან ურთიერთობაში მთელი რიგი აკრძალვები და პირობებია დასაცავი. უმეტეს შემთხვევაში მონადირეები ვერ ახერხებენ პირობების დაცვას და ამის გამო დალი მათ სჯის, ღუპავს, აგადმყოფობას მოუვლენს ან ნადირობას უკრძალავს. რასაკვირველია, სასჯელი დამოკიდებულია დანაშაულის რაგვარობაზე, ასე რომ, დალი მიმტევებული, როგორც ასეთი, არასოდეს არ არის.

ზემოთ დამოწმებული ტექსტიდან ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდზე შევჩერდებით, კერძოდ, ერთერთი დალი მონადირესთან ინტიმური ურთიერთობის გამოა მოკვეთილი. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ დალთა გენეზისური ბუნება წმინდაა და შეუვალი. მოკვეთილი დალი კი დაცემულია, მაგრამ იგი უკვე სრულიად ახალ არსობრიობაშია გადასული, კერძოდ, ღვთიური იმპულსის მატარებელია და ადამიანურისაც, ანუ მოკვდავისაც და უკვდავისაც, მოკლედ, ერთი რეალობიდან მეორე რეალობაშია გადასული. მისი ფიზიკური ადგილმონაცვლება და განვითარების გზაც მკეთრად განსხვავდება როგორც ჯგუფ-ჯგუფად მცხოვრები, ასევე დალთა მოლიანი ლაშქრისაგან. შეიძლება ითქვას, რომ მოკვეთილი დალის განვითარების გზა დამოუკიდებელია. იგი უკვე ადამიანურ ყოფიერებასთანაა მოახლოებული. აქედან გამომდინარე, სავსებით გასაგებია, რომ მონადირეები მათვის მახლობელ, ადამიანურობასთან წილნაყარ დალს შესთხოვენ ნადირობაში ხელის მომართვას, შინ მშვიდობით დაბრუნებას და არა დალთა ლაშქარს, რომელსაც დამოუკიდებელი სამყარო აქვს, სხვაგვარი თავისებურებებითა და ფუნქციებითაა წარმოდგენი-

ლი. ეს სხვაობა აშკარაა მონადირე ჩორლას თავგადასავალში, სადაც ერთერთმა დალმა, რომელსაც ჩორლას საყვარლობას სდებენ ბრალად, გათქვა დალთა ლაშქრის საიდუმლო. წმ. გიორგის კითხვაზე;

„ – დალებს ყველაზე უფრო რა აშინებს? მოკვეთილი დალი პასუხობს: „რა აშინებს და მეძავი ქალის ფეხის ნადგამზე მამაკაცის აქ მოყვანა! თუ ამას ეტყვი, ჩორლას აქ მოგოყვანენ“ (ა)ვარიანტი) [3,292].

წმ. გიორგი ამ გზით ახერხებს დალებზე ზემოქმედებას. კონკრეტულ შემთხვევაში მთავარი ისაა, რომ ნაწარმოებში ნადირთ პატრონად წარმოდგენილია დალთა ლაშქარი და არა ერთი რომელიმე დალი, კერძოდ, გამოქვაბულის. წმ. გიორგი დალებთან მართავს მოღაბარაკებას. ა) ვარიანტის მიხედვით მთავარმოწამე:

„შეერია დალთა ლაშქარს;  
თქვე დალებო, რას უშგრებით  
დავთის მოყვარე ჩორლას!“

წმ.გიორგიმ დალები არჩევანის წინაშე დააყენა, რითაც აშკარად იკვეთება ქრისტიანული წმიდანის აღმატებული უფლებამოსილება. იგი მუქარით მიმართავს მათ:

„თუ გერჩიოთ გამოგიშვიათ,  
თუ არა და არჩევანს მოგცემთ;  
მეძავ ქალის ფეხის ნადგამზე  
ფეხის დამდგმელს აქ მოგიყვანო  
თუ არა და ჩორლა გამოგიშვიათ“ (ა)ვარიანტი)

საინტერესო ისაა, რომ მონადირე ჩორლა კარგად არის ცნობილი დალთა ლაშქრისათვის. ჩანს, რომ მას თავისი ქმედებით ბევრჯერ მიუყენებია უსიამოვნება დალებისათვის, ბევრჯერ გაუმწარებია. ტექსტის მიხედვით, მონადირემ დიდძალი ნადირი დაუხოცა მათ. მთქმელის სიტყვებით, ას ოცამდე. ერთი კოჭლი თხა მარტო დაუტოვებია, რომელსაც ძლივს მიუღწევია დალის გამოქვაბულამდე;

„დალები კარგი გამოსცვენიან,  
ამბავი მიუვიდათ მეტად საწყენი;  
ჯიხვი და არჩევი ყველა დაუხოცავს  
იმ სისხლისმსმელ ჩორლას“ (ა. ვარიანტი)

მიუხედავად ამისა, წმ. გიორგის მუქარამ, თუ ჩორლა არ გამოგიშვიათ, მაშინ მეძავი ქალის ფეხის დანადგამზე ფეხის დამდგმელ კაცს მოვიყვანო, დალები დააშინა და მორჩილებით უპასუხეს:

„უფალო ჩვენო, რას გვაქნევინებ?“

ერთი კოჭლი თხა დაგვიტოვა

იმ მონადიოდ ჩორლაპ!

შენს ნაბრძანებს ჩვენ ვერ წავუვალთ,

დაგვებრუნებინოს ჩორლა შენთვის“ (ა. ვარიანტი)

მთავარმოწამისა და დალთა ლაშერის ურთიერთობისა და უფლებამოსილების თვალსაზრისით ერთობ განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე (ბ) ვარიანტში. ასე, მაგალითად (ა) ვარიანტში წმ.გიორგი დალებს თავის ხელქვეითად მიიჩნევს, როდესაც დვთიური ძაღლი საყლა შესჩივლებს, რომ მისი პატრონი:

„დიდ კლდეზე მაგრად ჰქიდია!“

წმ. გიორგი დაამშვიდებს და ეტყვის:

„—საყლავ ჩემო, ნუ გეშინია,

იმის მიზეზი დალები იქნებიან,

დალები ჩემი ხელქვეთ არიან.“

ამიტომაცაა, რომ მთავარმოწამე მბრძანებლურად მიმართავს დალებს და მოითხოვს ჩორლას განთავისუფლებას. (ბ) ვარიანტში კი პირიქითაა, წმ. გიორგის შემრიგებლური პოზიცია უკავია, ქვემოთ იცდის, კლდის ძირში და მოლაპარაკებით ცდილობს ჩორლას განთავისუფლებას: „დალებს მოციქულობა დაუწყო,  
ჩორლა გამოუშვით!„ (გამოუშვან)

ეს დალებმა გაიკავრებს“ (ბ. ვარიანტი)

როგორც ვხედავთ, დალები არამც თუ მორჩილობენ წმ. გიორგის, არამედ უკვირთ კიდევაც ჩორლას განთავისუფლების მოთხოვნა. ძეგლის ამ მონაკვეთში მოლაპარაკება, უფლებრივად, თითქმის თანასწორ დონეზეა წარმართული (გ) ვარიანტში კი ვკითხულობთ:

„წმ. გიორგი მობრძანდა,

დალებს მოციქული გაუგზავნა,

ჩორლა ახსენითო, შეუთვალა,

ეს დალებს სიცილად არ ეყოთ“.

დამოწმებულ ვარიანტიც დალებს მტკიცე პოზიცია უკავიათ, იმდენად, რომ მთავარმოწამის მოთხოვნა, რომ ჩორლა გაათავისუფლონ, „დალებს სიცილად არ ეყოთ“. ამის შემდეგ ორივე ვარიანტის შინაარსი ერთნაირად ვთარდება. წმ.გიორგიმ სხვა საშუალებას მიმართა. დალებს კვლავ მოციქული გაუგზავნა და შეუთვალა:

„ერჩიოთ გამოუშვან,

თუ არა და ჩორლასო

სამი ათასი ჯიხვი მოუკლავს,

წვრილი არჩვი უთვალაგია,

ის დღესვე სულ ფქხზე დამიუქნონ“ (ბ) ვარიანტი)

დამოწმებული ეპიზოდი მნიშვნელოვნად ბუნდოვანია. რა იგულისხმება მიმართვაში, სამი ათასი ჯიხვი და უთვალაგი არჩვი, რომელიც ჩორლას მოუკლავს, დღესვე ფქხზე დამიუქნონ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მონადირებული, თუ სხვა რამ? გაურკვევლია, ისე კი დასაშეგძლზე მეტი ნადირის დახოცვა ქრისტიანული რწმენითაც ცოდვად ითვლება. ამგვარ შემთხვევაში თვით წმ. გიორგიც არაა მპატიებელი...საბოლოოდ დალები ჩორლას ათავისუფლებენ, მაგრამ დასჯით მაინც დასაჯეს, მხარი მოსტებეს. როგორც გხედავთ, ორივე ვარიანტი, ასევე სხვაც. მთლიანად მთავარმოწამისა და დალთა ლაშქარს შორის დიალოგზეა აგებული, კონკრეტული დალი კი მოღალატის როლს ასრულებს. მან გათქვა საიდუმლო, ამის შემდეგ კი ქრება ასპარეზიდან, მხოლოდ დალთა ლაშქარსა და წმ. გიორგის ურთიერთობაზე, გადაწყვეტილების მიღებაზეა საუბარი, ე.ო. ორი, ქრისტიანული და წარმართული, რელიგიური სამყაროა დაპირისპირებული.

საანალიზოდ წარმოდგენილი ძეგლიდან, როგორც ითქვა, ვგებულობთ, რომ მოკვეთილმა დალმა გათქვა დალთა ლაშქარის საიდუმლო, რომ მათ ყველაზე მეტად აფრთხობთ მექავი ქალის ფქნის დანადგამზე ფქნის დამდგმელი კაცის ხილვა. წმ. გიორგიც სწორედ ამგვარი კაცის მოყვანით დაემუქრა. ეს ეპიზოდი ძალზე მნიშვნელოვანია. იგი იმის უტყუარი დადასტურებაა, რომ ცოუნებულიც მათი რიგბიდან არის, ჩვენი აზრით, აქ დიდი საიდუმლოებაა საფარველდებული. იგი ძალიან ბევრ საფიქრალს გვიჩნის. ჯერჯერობით ჭირს ზუსტი პასუხის გაცემა. დიალოგი ქრისტიან და წარმართ არსებათა შორის მიმდინარეობს, მათვე უნდა გადაწყვიტონ მონადირე ჩორლას ბედი. მისი განთავისუფლება მოციქულობის დონეზე უნდა გადაწყდეს. რასაკვირველია, მოციქული ადამიანი ვერ იქნება... ჩანს, რომ იგი სულიერი საუფლოს წარმომადგენელია, რომლის ვინაობა იღუმალების ბურუსითაა მოსილი, მაგრამ მისი ფუნქცია ძალზე დიდია. არსებითად იგია მომწესრიგებელი, უფრო ზუსტად, ორ რელიგიურ არსებათა მაკავშირებელი ძალა, მოციქულმა ორივე მხარის ინტერესები უნდა დაიცვას. აქ შეიძლება კუთხის ტრადიციების რაღაც-

ნაირი ანარეკლიც დაგონახოთ, მაგრამ მასზე საუბარი შორს წაგვიყვნდა. იგი ცალკეა გამოსაკვლევი...

მივევეთ ტექსტის თანმიმდევრობას, დალთა ლაშქრისაგან განთავისუფლებულ მსარმოტებილ ჩორლას წმ.გიორგი ეუბნება:

„–ჩორლა ჩემო, როგორა ხარ?

„როგორ ვიქნები ბეჩავი?...

მარჯვენა მსარი მომტეხეს,

– ჩამოდი ჩემთან,

სამ ჯიხეს ერთმანეთზე მიგიბამ,

თუ ამას მხარზე აიკიდებ,

მაშინ ნადირობაში ხელი არ შეგეშლება“ (ბ) ვარიანტი

რასაკვირველია, დამოწმებულ ეპიზოდში დაუჯერებელი ამბავია აღწერილი. ეს განსაკუთრებით ითქმის ბოლო სამ სტრიქონზე, რომ მსარმოტებილმა მონადირეებმ სამი ჯიხე აიკიდოს და ქედზე აგიდეს და არა შინ, ჯალაბთან. ეს ეპიზოდი როტული გასააზრებელია. აქ ყოველგვარი რაციონალური ასესნის ცდა ძალას კარგავს, ვინაიდან იგი არ შეესატევისება ადამიანური ყოფიერების რეალობას. ცხადია, მოსალოდნებლი იყო, რომ ჩორლას ნანადირვე შინ წამოვდო, მაგრამ ხდება პირიქით, წმ.გიორგი ეუბნება, რომ სამ ჯიხეს ერთმანეთზე მიგიბამ და მას თუ ქედამდე, ანუ მწვერვალამდე აიტანს, ნადირობაში ხელი არასოდეს არ შეეშლებათ. ე.ი. საქმე გვაქვს სულიერ ძალთა ქმედებასთან, რომელსაც ადამიანური ყოფიერების ლოგიკით ვერ ავხსნით და ვერც განვსჯით. იგი ახალი სინამდვილეა, რომელსაც თავისი ლოგიკა აქვს, ცხადია, ადამიანურისაგან განსხვავებული. აქ აღწერილი ამბავი სხვაგვარი რეალობაა. სიცხადისათვის პირველ რიგში იმის გათვალისწინებაა აუცილებელი, რომ დვოიური არსება ზრუნავს მის რჩეულ ყმაზე, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანისაგან უკვე განსხვავებული თავისთვალისა, სულიერი ზეადსვლის გზაზე დამდგარი, ვიცით, რომ მსარმოტებილი ჩორლა წმ. გიორგიმ მოარჩინა, ძალ-ძონე შემატა და შინ კი არ გაუშვა, რაც სავსებით ბუნებრივი იქნებოდა წმინდა ადამიანური გაგებით, არამედ მწვერვალზე, ანუ ზეკარზე აიყვანა, სადაც დვთავებათა საბრძანისია, დვთის შვილთა აკვანი ირწევა.

სწორედ აქ უნდა მოხდეს მონადირე ჩორლას სრული ფერის-ცვალება. თუ დრმად დავაკვირდებით ჩორლას თავგადასავალს, მისი სულიერი განვითარების გზას, იგი ამგვარი ფერისცვალებისათვის

მზადაა. ამ გზაზე მისი უშუალო წინამძღვრლი და ძალ-ღონის მიმცემი მთავარმოწამეა, მაგრამ მწვერვალზე ასვლამდე ბევრი სირთულეებია დასაძლევი, სამყაროული ტვირთაკიდებული ქედზე ასვლამდე თანდა-თანობით უნდა განიწინდოს იმ დონემდე, რომ ადამიანურ ზღურბლს გადააბიჯოს და დაფიქტურ საუფლოში შესვლის უფლება მოიპოვოს. ჩვენი აზრით, ესაა ინიციაციის ურთულესი გზა, უკვე ქრისტიანული, რომელიც მონადირე ჩორლამ უნდა გაიაროს. მწვერვალამდე სულ მცირე მანძილია დარჩენილი და წმ. გიორგი ეუბნება თავის რჩეულ ყმას:

„ჩორლა ჩემო, უკუ მოიხედვე,  
ერთ სეირს ახლავე გაჩვენებ,  
ჩორლამ უან მოიხედა,  
სევ-ხევ სეტყვა მოდის თურმე,  
მეწყერსა და ნიაღვარს ყველაფერი მიჰქონდა,  
შენი მხარის მოტეხისათვის  
ეს დალებს ჰქონდეს!" (გ ვარიანტი)

როგორც ვხედავთ, მოქმედება მთლიანად დალთა სამყაროში მომდინარეობს. მასში მთავარმოწამის, ჩორლასა და დალთა ლაშქარს შორის ურთიერთობაა აღწერილი. დალთა ლაშქარი დამოუკიდებელი თავისთავადობაა სვანურ სამონადირო ეპოსში. იგი ადამიანურ საცხოვრისს მიღმა საუფლოა, მასზე ადარ შევტერდებით, იგი ფართო განხილვას საჭიროებს... წინამდებარე ძეგლში კი საინტერესოა, რომ დალთა ლაშქარს წარდგნა წმ. გიორგიმ მოუგლინა, რის გამოც მთლიანად მოიშალა და განადგურდა მათი სამყარო; ცხადია, აქ ქრისტიანობის სრული გამარჯვებაა წარმართობაზე.

საანალიზოდ წარმოდგენილი ძეგლი მრავალმხრივაა საინტერესო, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში დალთა ლაშქარი გვაინტერესებდა, იგი გამოქვაბულის დალისაგან განსხვავებით ბევრი სპეციფიკურობით არის წარმოდგენილი სვანურ ლექს-სიმღერებსა და გადმოცემებში და დამოუკიდებელი კვლევის საგანია.

**დამწერებული ლიტერატურა:** 1. ქართული ხალხური პოეზია, I, 1972 წ. შემდგენელი მიხ. ჩიქოვანი, ნ. შამანაძე. 2. ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირო ეპოსი, 1964. 3. ა. შანიძე, ვ-ოლფურია, მ. გუჯევიანი, „სვანური პოეზია1, 1939.

## ნანა კოტეტიშვილი

### ვანო ხორნაული – ქართული ხალხური სიტყვიერების მოამაგე

ვანო გიორგის ძე ხორნაული ერთ-ერთი იმათთაგანი იყო, ვინც დიდი ენთუზიაზმით, უანგაროდ ემსახურა ქართულ კულტურას, ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრებისა და პოპულარიზაციის საქმეს. იგი XX ს-ის 20-იანი წლებიდან სიცოცხლის ბოლომდე, 1993 წლამდე, ფშავ-ხევსურეთში მცხოვრებ ხალხური საუნჯის ერთადერთ პროფესიონალ შემკრებად ითვლებოდა. ვანო ხორნაული დიდი გატაცებით და სიყვარულით აგროვებდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს.

ფშავში დაბადებულს, სოფ. კაწალხევში, ბავშვობიდან ნაზიარებს ფშავის ულამაზეს ბუნებას, საარაგოს მთებს და წყალ-ჭალებს, განსაკუთრებული სიყვარული გამოჰყევა ხალხური პოეზიისა, ქართული სიტყვისა. ამბობენ, ბუნება იმსგავსებს ადამიანს და ისიც, როგორც ამ ბუნების ნაწილი, მთელი არსებით ჩასწევდა იმ მითოსით, ლეგენდებით, გადმოცემებით და ხატ-სალო-ცავებით სავსე სამყაროს, რაც ძლიერი პოეზიის საფუძველს ქმნიდა. ვანო ხორნაული ნამდვილი მთიელი გაუქაცი იყო, კარგი მონადირე, გამრჯელი მეურნე, პოეტური ბუნების, ხალხური სიტყვიერების დიდი გულშემატკივარი, მოკაფიავე, მომლხენი, ფანდურზე ხალხური ლეგენდების შემსრულებელი. ვანო ფშავ-ხევსურეთში ცნობილი კაცი იყო, შეიძლება ითქვას, მთის კოლორიტული პიროვნება თავისთავადი ბუნებით, გარეგნობით, ხასიათით და ცხოვრების წესით.

ხორნაულების გვარის წარმოშობა, ზოგიერთი ვერსიით, ხორნაბუჯის ციხე-ქალაქებს უკავშირდება. ერთ-ერთი გადმოცემით, ამ ციხის აოხრების შემდეგ დედა-შვილი გაუპარებიათ და შეუფარებიათ ხევსურეთის სოფ. როშკაში. ბიჭი კარგი ვაჟაცი გაზრდილა, ამიტომ მისთვის საცხოვრებლად ადგილი ხორნაულთა გამოუყენათ. აქედან მოდის ხორნაულ-როშკივების მაძისძმობაც. ხორნაულების გვარი ხევსურეთში ერთ-ერთი მცირე, მაგრამ გამორჩეული გვარი იყო თავისი უნარიანობით და ვაჟქაცობით.

„ხორნაულთ ახალგაზრდები,  
ჯდანს იწროდ ბანდევნიანა,  
იმათი შიშით ლეკები  
გზაზე ვეღარა დიანა“.

ვანო ხორნაულის მამა გიორგი ხორნაული ბლოელ ხევსურთა ჩამომა-გალი, განათლებული, ვაჟაცობით განთქმული, ვაჟა-ფშაველას თანამედროვე იყო. ვაჟა ხშირად დადიოდა მასთან და სარგებლობდა მისი უნიკალური ბიბლიოთეკით, რაც მაშინ დიდ იშვიათობას წარმოადგენდა ფშავში. გიორგი

ხორნაული, ფშავ-ხევსურეთის „აბეშჩიკი“ (მეტყველე) მდიდარი კაცი იყო. მას 3000 სული ცხვარი ჰყავდა. პირველმა მან აიშენა სოფ. კაწალხევში ორსარ-თულიანი, თუნუქით გადახურული სახლი. ვანო ხორნაულის მოგონებიდან: „მამას ჰყვანდა კარგი საფერეპ ცხენი, ეცვა ჩერქეზკა, ვერცხლის ჩერქეზულ ბალობინ ქამარზე სულ ბითუმად, ვერცხლიანი ხანჯალი ება, რომელიც ტარზე ნატყვივრით ჩაჭყლეტილი იყო. თავისი საფერეპით კაწალხევიდან მურგვლად უვლიდა ფშავის და უკანა ფშავის, ხორნისა და შარახევის ხეობებს. ხალხს უყვარდა, რადგან ვისაც სახლი არა ჰქონდა, ავალებდა უფასოდ ან ცოტა ბილეთის აღებით გაეკეთებინა სახლი და გომური ან საბძელი. სამაგიეროდ, ისინიც პატივსა სცემდნენ. მამას ებარა როგორც ტყე, ისევე მჟავე წყლები, სადაც ხალხი სამკურნალოდ დადიოდა, აკეთებდნენ ფიჩხის ფოთლიან ქოხებს, აქ მცირე გადასახადს აწერდა ერთი სახელმწიფო ბილეთით. მეღმერთს ასევე მავედრებდა და მახვილებდა ხთისშვილებსაც – იაღსარსა (დედის სალოცავს) და ჭიშების ჯვარს ჩენს სალოცავს ხორნაულთაში:–ღმერთო, შენ მიეც ჩემ შვილ ვანოს ცხოვრების ნიჭიო“.

გიორგი ხორნაული 1916 წელს ფშავში, ბუსნის ჭალას მოკლეს, როგორც მდიდარი, მისი ქონება კი დაიტაცეს. ამაზე ლექსია გამოთქმული:

„ლომო, შე ლომის მოკლულო,

ბუსნის ჭალაის პირსაო,

ვინ შეგიღება მხარ-ბეჭი

წითელი ატლასისაო.

ვინ გაგიძეტა სათოფრად

პატრონი ბევრი ცხერისაო,

ჯავრისგან დაგიღრეჯია

კბილები ბროლებისაო,

ლამაზად დაგიტირებდი,

ხათრი არ შქონდეს ქმრისაო“.

ვანოს დედამ, ფშაველმა ქალმა ბაბალე ცოკილაურმა ოთხი ობოლი გაზარდა, ორი ვაჟი და ორი ქალი. ვანო მაშინ და-მქებში უფროსი, 10 წლისა იყო.

ვანო ხორნაული იმ ერთეული, ნიჭიერი ახალგაზრდების რიცხვს ეკუთვნიდა, ვინც თბილისის მუშვაგში მიიღო განათლება. მუშვაგის დამთავრების შემდეგ ზორებეტინინალური ინსტიტუტი დაამთავრა, დაუბრუნდა სოფელს და მთელი სიცოცხლე იქ გაატარა. იგი თავდადებით ემსახურებოდა მეცხოველეობის განვითარების საქმეს, როგორც კუთხის ზორტექნიკოსი.

ვანო წიგნიერი კაცი იყო, ბევრს კითხულობდა. შემდეგ მან სწავლა განაგრძო და დაუსწრებლად დამთავრა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამ პერიოდში ვანომ გაიცნო მწერალი კოტე სიმბიაშვილი, რომელიც ვანოს ნათესავის, მწერალ ლადო ბალიაურის უახლოესი მეგობარი იყო. მათ ირგვლივ გაერთიანებული იყო 40-ანი წლების ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალთა ჯგუფი. ამ ჯგუფში იყო ვანო ხორნაულიც, რომელსაც უკვე გამო-

ცემული ჰქონდა „ფშაური მილექსებანი“. ასევე გახდა ვანო ხორნაული კოტე ხიმშიაშვილის რომანის „ჯონქა ხორნაულის“ მთავარი გმირის პროტოტიპი. როდესაც დააპატიმრეს ე.წ. შეთქმულთა ჯგუფი, კოტე ხიმშიაშვილი და მასთან ერთად ცხრამეტი ახალგაზრდა, ვანო ხორნაულმაც ამ საქმის გამო ციხეში ერთი წელი დაჰყო.

ვანო ხორნაულს ფშავ-ხევსურეთში ყველა იცნობდა, როგორც უზნეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლს. მან ფშავში, სოფ. მაღაროსკარში გახსნა სკოლა, რომლის დირექტორიც თვითონვე იყო. შემდეგ ის აირჩიეს სოფ. ზემო თიანეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ბოლოს ისევ თავის მშობლიურ სოფელში დაბრუნდა და მეფეუტკრეობას მიჰყო ხელი. გარდაიცვალა 1993 წელს, 88 წლის ასაკში. დაკრძალულია თავისი სოფლის საგვარეულო სასაფლაოზე. ვანო ხორნაულს დარჩა შვიდი შვილი (რომელთაგან ორი ტრაგიულად დაიღუპა 2002 წელს), ოცდაერთი შვილიშვილი და ათი შვილთაშვილი.

ვანო ხორნაულმა 15 წლის ასაკიდან დაიწყო ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეგროვება. ჯერ თითქოს გატაცება იყო, შემდეგ კი პროფესიად ექცა. სადაც არ უნდა ყოფილიყო – ხატობაში, ქორწილში, ნათლობაში, ჭირსა თუ ლხინში, ყველაგან თან დაპქონდა რეველი და კალაძი. ვანო ხორნაული იწერდა ყველაფერს, რასაც ხალხში გაიგონებდა: ლექსებს, მილექსებებს, ან-დაზებს, ზღაპრებს, ხალხურ იუმორს, წამლეულობას, ადგილობრივ ლექსიკას, რომელიც მისი შვილის, გიგი ხორნაულის მიერ გამოცემულ „ფშაურ ლექსიკონშია“ შეტანილი. მას თვითონაც ეხერხებოდა, მისავე სიტყვებით, „ცოტ-ცოტად ლექსის თქმა“ და ფანდურზე დამდგრება. ხშირად პირველ ადგილზედაც გასულა სხვადასხვა შეკრუბებზე, რადიოთიც კი გადაუციათ სიმღრა მისი შესრულებით.

ფშავ-ხევსურეთი, თავისი დამახასიათებელი ყოფით, თავისთავადი ბუნებით, გამორჩეულია ძლიერი პოეზიით. ეს ყოველივე ხელსაყრელ პირობებს ქმნის ფოლკლორულ-შემკრებლობითი საქმიანობისათვის. რამდენ მოლექსეს, მოკაფიავეს, ექსპრომტად ლექსის მთქმელს შეხვდებით აქ, ეს პროცესი მუდმივად ცოცხალია.

ვანო ხორნაული მოესწრო ფშაური კაფიის კლასიკოსებად ცნობილ მოლექსებს: მდვდელს ღვთისო ქისტაურს, უძილაურ ჭრელას, ყრუვ გიორგის, ფრუშქას, შეთეს, მბდავან დავითს; ასევე სახალხო მთქმელებს: მიხა ხელაშვილს, გიორგი წიკლაურს, გოგი ჭიჭოშვილს და სხვებს. მიხა ხელაშვილის ლექსები ვანო ხორნაულმა შემოუნახა ქართველ ერს. მიხა ხელაშვილი მას უგზავნიდა თავის ლექსებს, ფანდურზე დასამღერებლად, ხალხში გასავრცელებლად. ამიტომ მასთან აღმოჩნდა უამრავი მასალა. მან კლდის ეხში დამალა ეს ლექსები, რომ არავის გაენადგურებინა. ამჟამად ამ ლექსების კრებული გამოსაცემად მზად არის.

1936-39 წლებში საქ. გეოგრაფიული და მხარეთმცოდნეობის საზოგა-დოებისაგან საგანგებოდ დაევალა ვანო ხორნაულს ფშავ-ზევსურეთში შეეგ-როვებინა ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის მასალები. ამ საზოგა-დოებამ შეკრებილი მასალების ნაწილი გამოსცა 1939 წელს „ფშავრი მიღექ-სებანის“ სახელწოდებით.

„ქართულ ხალხურ პოეზიაში ფშავრ მიღექსებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. პოეზიის ამ ჟანრს ახასიათებს ექსპრომტულ-დაილოგური გაშაირება ორ მოპირდაპირე პირსა თუ ჯგუფს შორის. საქმე ჯობნაზეა, თუ რომელი მხარე დასძლევს და გააქცევს მოწინააღმდეგეს“, - ასევე იწყებს თავის შესავალ წერილს ვანო ხორნაული.

მიღექსება ფშავში გავრცელებული ჩვეულებაა და იციან ხატობაში, ქორწილში, ნათლობასა და სხვა თავისრილობების დროს. ვანო ხორნაული აღ-წერს, თუ რაში მდგომარეობს მიღექსების თავისებურება. იგი დეტალურად აანალიზებს ფშავლებისათვის ამ მეტად თავისებურ ჩვეულებას. მიღექსება იციან სიმღერით. დამწყებს ბანს უუბნებიან მებანენი, ეუბნება თვით მოპაექრეც. თუ მძლევესბელთაგანმა საპასუხო სიტყვა ვერ მოასწრო, მაშინ ისევ გამარჯვებული „ეტყვის და ეტყვის შაირსა“, სანამ საყვედლურით არ ამოავსებს“. ისიც ხდება, რომ დამარცხებულს მობანებიდან გადმოეშველებიან ხოლმე.

ასეთი მიღექსება ორ ან სამ პირს შორის გრძელდება ხანდახან ერთი საათი, სანამ ერთ-ერთი მოკრილი სიტყვით არ დაამარცხებს მეორეს, რადგან ეს მოსწრებული სიტყვა (რითმული) სინამდვილესთან იქნება დაკავშირებული და ამიტომ ხმა აღარ ამოედება. ასეთი მიღექსების დროს ბევრი ლექსი ითქმის, ხოლო დაიხსომებენ მთავარს და კარგს, მოსწრებულს. თვითონაც შემდეგში ამას იძეორებენ, ერთი შეუძლებელს მეორეს და მეორე ისევ პირველის შემ-ლერებულს იძეორებს. ამ დროს მსმენელთა ყურადღება მიქცეულია არა ხმის პარმონიულობისაკენ, არამედ მოსწრებულ, რითმით დაბოლოებული პასუხისაკენ.

ფშაველს ენერხება ლექსისა და მიღექსებაში უსულო საგნების და ცხო-ველების ამეტყველება — აღნიშნავდა ვანო ხორნაული, რომელთა პასუხს თვითონვე მღერის და თავს მიაღექსებს. მაგ.:

„-ხმალ გასჭერ, თორო გაგყიდი,

ვაჭარი ამიჩენია!

-რად ეგრე, ჩემო პატრონო,

რა წუნი შაგმიჩნევია?

მამიკლავ შენი მამკლავი,

ჯავრი არ შამირჩენა.“.

ან ვითომ ძაღლმა მიაღექსა პატრონი:

- „ფურთხილად იარე, ძობანავ,

აქ ცუდ გზებია ზოგანა!

-რაღა ჩვენდ არი ცუდ გზები,

სულ ესრე დადის ქოყანა!“

ვანო ხორნაული აქვე გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, რომ წინათ, მთის ადათით, ქალები მამაკაცებთან პურის ჭამის და არყის სმის ღროს ვერ დასხ-დებოდნენ, მაგრამ თუ ქალი მოლექსე იყო, მას „მოიხდენდნენ თავის გვერდზე და ალექსებდნენ“.

ფშავლები თავის მილექსებაში დასცინიან გაურჯელ და ზარმაც ადა-მიანს. ვერ ითმერნენ ისეთ გლეხს, ვინც ვერ დახვდება სტუმარს და მოკეთეს, ვერ გაუმკლავდება კარზე მომდგარ უბედურებას. ამისთვის კი საჭიროა გარ-ჯა, შრომა და მომჭირნეობა. ქურდიც უშრომელივით ეჯავრება ფშაველს.

„თივას წუ მპარავ, ჩოთეშავ,  
მეც ლუბადა მყავ ლვინაო,  
ეგმაშინ მოთიბულია  
შენ რომ გრილოში გძინაო“.

ფშავლებს არც ძევდი ზნე-ჩვეულებანი მოსწონთ. მაგ. წაწლობა და მებოსლეობა, გულისწყრომით ალექსებენ სოფ-ლუშელებს. აქვთ მელექსეობა სარწმუნოებაზედაც.

-„წმინდა გიორგის მერჩივნა,  
ექ რო ქალმ ჩამაიარა.  
მაშ იმ ქალმ მოგცეს წყალობა,  
წმინდა გიორგიმკი არა“.

მილექსებაში ასახულია სოციალური და ეკონომიური უთანასწორობა.

„-ჩემთან გადმოხე, ხოხაო,  
ერთად ვატარით დრუება.  
-მდიდარს დარიბთან რა უძე,  
დაგსწვი შენ გადაყრუება“.

მილექსებაში მოსწრებული სიტყვებით ასახულია გლეხების ჭირ-ვარა-მი და მორალი. მილექსებით ერთმანეთს არცხვენენ, აშინებენ, ცუდს დასცინი-ან, კარგს აქებენ, უმოქმედოს აამოქმედებენ და მშრომელს ახალისებენ.

მილექსებაში ნახსენები სახელები: ყრუკ გიორგი, გოგიზი, სახელა, რუსა, ხოხა, ჩუგუა, მერცხალა, მჭადა, ჯოყელა, მამა მღვდელი და სხვები - განთქმული მოლექსები იყვნენ, რომელთაგან ზოგი დღესაც ცოცხალია და თავის ლექსობას კვლავ აგრძელებს - წერდა ვანო ხორნაული. ქისტაური ღვთისო სოფ. კუდოში მცხოვრებია, რომელმაც მას ჩააწერინა ორი რვეული ლექსები, მილექსებანი კი ერთი რვეული ვანო ხორნაულმა თვითონ შეავსო. იმან ვანო ხორნაულიც გალექსა.

ვანო ხორნაულის აზრით, ფშაური მილექსებანი ჯერ არ ყოფილა სპე-ციალური კვლევის საგანი. მართალია, ზოგიერთ მეკლევარს აქვს შეკრებილი და შეტანილი თავის შრომებში ფშაური მილექსაბანი, მაგ. დ. ხიზანიშვილს, სერგი მაკალათიას, მაგრამ ამ უნრის ლექსები მათ არა აქვთ ცალკე გამო-ყოფილი და დახასაითებული. თავისი წიგნის შესახებ კი ვანო ხორნაული აღ-ნიშნავდა, რომ ეს მასალა არაა სრული, იგი მცირე ნაწილია იმ მრავალ-

ფეროვან მიღებსებათა, რომლითაც ასე მდიდარია ფშაური ხალხური პოეზია. მთაში ექსპრომტული გალექსებით სახელგანთქმულნა არიან. სოფ. გოგოლაურთაში მცხოვრები, ხანშიშესული შეთე ხახინიშვილი და დავითო თურმანული, სოფ. კუდოში მცხოვრები ხთისო ჯარიას ძე ქისტაური (ჯარიაშვილი), შირაქელი გიორგი გულმაგარაშვილი (გოგიტი), სოფ. უძილაურთელი ხევსურა თათარაშვილი, თიანელი ელიბო მინდოდაური, ჩაბანოელი ბ. ალბუთაშვილი, პანქისელი ბოტა და სხვა მრავალი, რომელთა ლექსებს ხალხი მღერის ჩონგურსა და გარმონზე.

ფშაურ მიღებსებასთან ერთად ამ კრებულში შესულია აგრეთვე ფშაური საყოფაცხოვრები ლექსები და ნიმუშები ახალი ფშაური პოეზისა.

„ფშავ-ზევსურული პოეზია“ – შედგენილი ვანო ხორნაულის მიერ, გამოცემულია თბილისში, 1949 წელს. კრებულში შეტანილია და ცალკე თავებად გამოყოფილია: საისტორიო-საგმირო ლექსები, საყოფაცხოვრებო, ნადირობასა და მწყემსობაზე, ძველი ომი და სალდათობა, გალექსებანი, ნარევი – ლექსები სხავადასხვა თემაზე და შენიშვნები. ფშავ-ზევსურული პოეზიის ეს კრებული მხოლოდ ნაწილია იმ მრავალრიცხოვანი მასალისა, რომელიც ვანო ხორნაულმა მთის მოსახლეობაში შეკრიბა. მას ხალხური ლექსების დიდი ნაწილი ზეპირად ახსოვდა. კრებულში ცალკე თავად გამოყოფილია აგრეთვე საბჭოთა პერიოდის ამსახველი ლექსები.

წიგნის რედაქტორი ფოლკლორისტი პროფ. ქსენია სიხარულიძე თავის წინასიტყვაობაში, რომელიც წამდლვარებული აქვს ვანო ხორნაულის წიგნს „ფშავ-ზევსურული პოეზია“, მიუთითებს, რომ კრებული მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი შედგენილია იმ პირის მიერ, რომელიც თავის სიცოცხლეს ფშავსა და ხევსურეთში ატარებდა და რომელიც ხშირად მონაწილეობდა კიდევაც გალექსებასა და შემღერებაში, რისი ტრადიციაც ძლიერია მთაში. საგულისხმო იყო ის გარემოებაც, რომ კრებულში მოთავსებული მასალები ვანო ხორნაულმა ჩაწერა უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე. „ადრე ჩაწერილ გარიანტებთან მათი შედარება იძლევა საშუალებას ცოცხალ შემოქმედებით პროცესზე დაკვირვებისა. ბევრი ამ მოლექსეთაგან ივ. ხორნაულმა გამოავლინა. კრებული შეიცავს ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდებულ მასალებს: მთქმელებისა და ძველ მოლექსეთა შემოქმედების ნიმუშებს (ქს. სიხარულიძე).

ძველ მოლექსეთა შემოქმედებაში ასახულია მთიელ ხალხთა ცხოვრება წარსულში: ეკონომიური სიღუბჭირე, უცხო ტომების თარები, განუწყვეტელი თავდასხმები თემებისა ერთი-მეორეზე, ზურაბ ერისთავის სისხლიანი ლაშქრობები ფშავსა და ხევსურეთში და სხვა. მიუხედავად ამისა, ძველ ლექსებში ჩანს მთიელების უდრევი ნებისყოფა და გმირული სულისკვეთება. ყოველივე ეს გადმოცემულია საისტორიო და საგმირო პოეზიაში, ზოგი ნიმუში მთის ხალხთა ერთგარი სავაჟაცო კოდექსია“ – ასე ახასიათებს მათ ქალბატონი ქსენია სიხარულიძე.

„ყმა უმღერალი არ ვარგა,  
ვაჟქაცი უხელებელი,  
ვაჟქაცსა უხელებელსა,  
გველი სჯობ უხსენებელი“.

კრებულში შეტანილია ძეველი ლექსები წუთისოფელსა თუ საწუთროზე, სადაც ასახულია ხალხური წარმოლენა მარადიულ ღირებულებებზე, მათი ფილოსოფიური მრწამსი განვითარების ადრეულ პერიოდში. ამდენად, დიდია ამ ციკლის ლექსების მნიშვნელობა ხალხური პოეზიისათვის.

„ვინაც საწუთროს ენდობა,  
ისიც თავისა მტერია“.

პროფ. ქსენია სიხარულიძე აღნიშნავდა, რომ კრებულში სამამულო ომის ამსახველი ლექსები პირველად იბეჭდება და ხელმისაწვდომი ხდება მკითხველთა და სპეციალისტთა ფართო მასისათვის. ამ პერიოდში შექმნილ ლექსებში გადმოცემულია სამამულო ომის ეპიზოდები. განსაკუთრებით საყურადღებოა ფრონტებელების ლუკა მახაურისა და პავლე ბოძაშვილის ლექსები. მშობლიურ ფშავში წერილის სახით გამოგზავნილი, შემდგე ზეპარად გავრცელებული ლუკა მახაურის ლექსი „ომია გახურებული“, პავლე ბოძაშვილის ლექსი „ფშაველი ომში“ და სხვა.

სამშობლოს სადარაჯოზე მყოფი ფშაველ-ხევსურნი იგონებენ ოჯახს, მშობლიურ წეს-ჩვეულებებს.

აღსანიშნავია პ. ბოძაშვილის ლექსი „ფრონტიდან“.

ფშაველ-ხევსურებმა განსაკუთრებული გზნებით უმღერეს კავკასიის გმირულ ეპოქებას. 1942 წელს, როდესაც თერგის ხეობასთან მძვინვარებდა ომის ცეცხლი, ხევსურმა გ. ჭინჭარაულმა დაწერა ლექსი „ომია მყინვარწვერზედა“. ფშაველი და ხევსური მოლექსენა უმღერიან დიდი სამამულო ომის გამარჯვებას. მათ რიცხვს ეკუთვნიან: ახალგაზრდა მოლექსე ნიკო ბულალაური, სოფ. კანატიოდან, წ.კ. მცირე მცოდნე პანგისელი ნიკო გორელაშვილი, სოფ. შარახევში მცხოვრები დავითო ბოძაშვილი და იოსებ ბაიაშვილი, მაღარისკარელი ალ. ხუცურაული, სამამულო ომის მონაწილე პავლე ბოძაშვილი, კანატიოლი სამამულო ომის მონაწილე ჭრელა ხუმარას ძე უძილაური, შუაფხოელი დავითო იოსების ძე თვარელაშვილი, ახადელი კოფა გორელაშვილი, მიგრიაულთელი ივანე ბოიგარის ძე სულხანიშვილი, ჩარგლელი ივანე შავერდაშვილი და სხვა მრავალი.

იყვნენ ისეთი ნიჭიერი მოქმედებიც, რომელთაც სხვათა მიერ შექმნილი ლექსების მდიდარი რეპერტუარი ჰქონდათ: თანახლი პავლე ობგაიძე, ჩარგლელი ს. უამიაშვილი, შირაქელი ალ. ქეშიგაშვილი, პანკისელი ალ. ჭოლიკა-შვილი (იგი ავტორ-მთქმელიცაა) და ალ. ბექაური, სოფ. კაწალხევში მცხოვრები მართა და მაია ხორნაულები და სხვა. ისეც ხდება, რომ ავტორ-მთქმელებს საკუთარი ლექსი ავიწყდებათ და ხშირად სხვა პირისაგან უხდებოდა ჩაწერა ვანო ხორნაულს. იყვნენ ღრმად მოხუცებულნიც, რომელთაგანაც ვანო

ხორნაულმა მოასწრო და ჩაიწერა სხვადასხვა ჟანრის ნიმუშები. ესენი იყვნენ:  
ი. ხორნაული, გამახარე ხორნაული, ფ. წელაური და სხვა. მათი ლექსები  
სხვამ აღარავინ იცის, ან თუ იცის, სხვა ვარიანტებით. ვანო ხორნაული მაღ-  
ლობას უხდის ფველას, ვინც დაეხმარა მას ამ წიგნის შედგენასა და გამო-  
ცემაში. „ჩენ ჭირსა და ლხნში მთის ხალხში გვიხდებოდა ტრიალი და  
ცხოვრება. შეძლებისძაგვარად სრულმძნილად ჩავიწერეთ მათი რეპერტუარი:  
ლექსები, ანდაზები, ზღაპრები და სხვა. ამ მასალების შეკრება-გამოცემის  
საქმეში დიდი დახმარება გამიწიეს ალ. ჯიშიაშვილმა, ქს. სიხარულიძემ,  
გახტანგ ნათაძემ და ეთერ ხორნაულმა, რომელთაც დიდ მაღლობას მოვასხენებ“.

„ქართული ანდაზების“ კრებული როვერ გამოიცა. პირველ გამოცემაში  
ვანო ხორნაულის მიერ ფშავ-ხევსურეთში შეკრებილ ანდაზებს წიგნის მეორე  
ნაწილი დაუთმო. მეორე გამოცემაში კი, რომელიც ზ. ჭუმბურიძის რედაქტო-  
რობით გამოვიდა 1984 წელს, მხოლოდ მისი მასალაა შეტანილი. ანდაზების  
რაოდენობა ორიათას აჭარბებს. აյ ბევრია ნაკლებად ცნობილი და სრულიად  
უცნობი ანდაზა. ვანო ხორნაულის მიერ შეკრებილი ანდაზები ფასეულია იმ-  
დენად, რამდენადაც უმეტესობა ფშავ-ხევსურეთშია შეკრებილი, რაც უცნობი  
უნდა იყოს ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორის აღნიშვნით, თთიქმის ორმოცი წლის მანძილზე ეს მასალა  
საქმის ცოდნით და სიყვარულით, მთაში სათუთად არის ნაგროვები. დიდ  
ინტერესს იწვევს ანდაზის გავრცელების არე და ვარიანტული ცვლილებანი.  
მაგ. ჩვეულებრივ ურითმო ანდაზების ვარიანტები გარითმულია. „მანამ თონეა  
ცხელით, პური დაკარ სქელიო“, „მწყერი არ შეჯდა ხესაო, არც უგვარობდა  
ესო“ და სხვა.

ზოგ ანდაზას არსებითი შინაარსეული ცვლილება განუცდია. მაგ. „მიპ-  
ყე, მიპყე სიმართლესა, გამოგილევს სინათლესა. ვანო ხორნაულის ვარიანტით  
ასეა: „ემსახურე სიმართლესა, არ დაგილევს სინათლესა“. რედაქტორის შე-  
ნიშვნით, დიალექტიზმები მეტწილად გასწორებულია ჩამწერის მიერ, მაგრამ  
ზოგი ფორმა ხელუხლებლად დატოვებულია, რაც ნაკარნახევია ამგვარ ფორ-  
მათა მნატვრული ფუნქციით.

„ამ წიგნში წარმოდგენილია საქართველოს ერთ კუთხეში გავრცელე-  
ბული ანდაზები, რომელთა თავმოყრასაც ერთმა ჩუმბა და თავდადებულმა  
გულშემატეგივარმა ნახევარ საუკუნეზე მეტი მოანდომა. ვფიქრობთ, ამ კრე-  
ბულს ინტერესით გაეცნობიან როგორც სპეციალისტები, ასევე ფართო მკით-  
ხველი საზოგადოება“ (ზ. ჭუმბურიძე).

ამგვარად, დიდია ვანო ხორნაულის ღვაწლი ქართული ხალხური სიტყ-  
ვიერების სხვადასხვა ჟანრის მასალის შეგროვებისა, მისი სისტემატიზაციისა  
და კვლევის საქმეში. მის მიერ მომიებული დიდძალი მასალა, მისივე სიტყვე-  
ბით, ოც ტოშს მაინც შეადგენს. ამ ხალხური ტექსტებიდან ზოგი დაცულია  
ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივში, ნაწილი

გამოქვეყნებულია „ქართული ხალხური პოეზიის“ აკადემიურ გამოცემაში. მასალის დიდი ნაწილი საოჯახო არქივშია.

ვანო ხორნაულის მიერ მოძიებული ვარიანტების შედარება ადრე ჩაწერილ ვარიანტებთან საშუალებას იძლევა ცოცხალ შემოქმედებით პროცესზე დაკვირვებისა. მან პირველმა გამოაქვეყნა სამამულო ომის ამსახველი ლექსები. შემოგვინახა ავტორ-მთაქმელების, მთაში ექსპრომტული გალექსებით სახელგანთქმული ადამიანებისახელები და გვარები. ფშავ-ხევსურეთში შეკრებილი ანდაზების უმეტესობა, რაც უცნობი იყო საზოგადოებისათვის, დიდი ინტერესს იწვევს, განსაკუთრებით მისი გავრცელების არე და ვარიანტული ცვლილებები.

ვანო ხორნაულის მიერ ჩაწერილი ტექსტები გამოირჩევა ადგილობრივი დიალექტისა და წეს-ჩვეულებების ზედმიწვნითი ცოდნით. ეს მასალა ითვლება სანდოდ როგორც ფოლკლორისტებსათვის, ისე ეთნოგრაფებისა თუ დიალექტოლოგებისათვის. მის მიერ შეკრებილი მასალა განსაკუთრებით ფასეულია, ვინაიდან ძველი თაობის ცნობილი მოლექსებიდან ცოცხალი აღარავინ არის. ფშაურ კაფიას მრავალი მკვლევარი იკვლევდა. ბევრი მნიშვნელოვანი სამეცნიერო დასკნაა ცნობილი ფოლკლორისტების პროფ. აპოლონ ცანავას, გიგი ხორნაულის (რომელთაც ცალკე კრებულებად გამოსცეს), ელგუჯა დადუნაშვილის და სხვათა. მაგრამ განსაკუთრებით დიდია ვანო ხორნაულის დამსახურება ამ საკითხებთან დაკავშირებით, ვინაიდან მან პირველმა მიაქცია ეურადღება ფშაურ მილექსებანს და ცალკე უანრად გამოყოფა.

ვანო ხორნაულის მიერ მოძიებული მასალის უმეტესი ნაწილი მხოლოდ მისი ჩანაწერით შემოგვრჩა და ამიტომ ითვლება, რომ მას განსაკუთრებული მეცნიერული ღირებულება აქვს. მან შესძლო უამრავი მასალიდან ნაწილი სისტემაში მოეყანა და წიგნებად გამოეცა.

ვანო ხორნაულს არ ჰქონდას პირობები, რაც უნდა ჰქონდეს პროფესიონალ ფოლკლორისტს. მისი შრომა შეფასებულია ერთი კაცის მიერ გაკეთებულ სამაგალითო საქმედ. ამ საგანძურს მოვლა-პატრონობა, გაფრთხილება და გამომზეურება უნდა, რადგან ყოველივე ეს ერის შემოქმედებაა, მისი სულისა და გულის ნაწილია.

**დამოწმებული ღირებურატურა:** 1. მაკალათია სერგი, ფშავი, ტფილისი, 1934 წ. 2. სიხარულიძე ქსენია, წინასიტყვაობა წიგნისა „ფშავ-ხევსურული პოეზია“ შედგენილი ის. ხორნაულის მიერ, თბილისი, 1949. 3. ჭებურიძე ზურაბ, წინასიტყვაობა წიგნისა „ქართული ანდაზები“, ჩაწერილი და დამუშავებული ვანო ხორნაულის მიერ, თბილისი, 1984. 4. ხიზანიშვილი დ., „ფშაური ლექსები“, გაზ. „ივერია“, 1887 წ., № 120, 144, 172, 174, 188 და სხვა. 5. ხორნაული გიგი, „ფშაური ლექსიკონი“, თბილისი, 2000. 6. ხორნაული ვანო, „ფშაური მილექსებანი“ - შედგენილი მის მიერ, თავისივე წინასიტყვაობით, თბილისი, 1939; „ფშავ-ხევსურული პოეზია“, შედგენილი მის მიერ, თბილისი, 1949; „ქართული ანდაზები“, ჩაწერილი და დამუშავებული მის მიერ, თბილისი, 1984.

## მერი ხუხუნაიშვილი-წიკლაური ამირანის მშობლების მითოსური ძირების შესწავლისათვის

ამირანის თქმულება მრავალმა მკვლევარმა შეისწავლა სხვადასხვა გუთხით. წინამდებარე გამოკვლევა ეხმიანება პროფესორ ელენე ვირსალაძის საერთაშორისო აღიარების მქონე გამოკვლევას „ქართული სამონადირეო მითი და პოეზია“, კერძოდ, ნაშრომის მეხუთე თავში - „სამონადირეო ეპოსი და თქმულება ამირანზე“ - განხილულ პრობლემას ამირანის მშობლების შესახებ. აღნიშნულ ნაშრომში ხაზგასმულია, რომ თქმულების მხატვრული სახეები მჭიდროდ არიან დაკავშირებული ქართულ ისტორიულ სინამდვილესთან და ორგანული ნაწილია ქართული წარმართობის რელიგიური წარმოდგენების უძველესი კომპლექსის, რომ ამირანის თქმულების არსისა და პირველი სტრუქტურის მიკვლევა გულისხმობს თქმულების ყველა ვარიანტის შედარებით შესწავლას ქართული ეპოსის სხვა უანგებთან მჭიდრო კავშირში ქართული ეპიკური ტრადიციების საერთო ფონზე. ე. ვირსალაძე იზიარებს პროფ. მ. ჩიქოვანის აზრს თქმულების წარმოშობისა და გაფორმების პერიოდთან დაკავშირებით. ეს არის მატრიარქატის დაშლისა და გუთხური მიწათმოქმედების განვითარების ეპოქა, მაგრამ აქვე განმარტავს, რომ ამ ეპოქაში ჩამოყალიბებულმა ამირანის ეპოსმა აგრეთვე ასახა სამონადირეო წყობის ნიშნები და მჭიდრო კავშირშია ქართული სამონადირეო სიმღერების ციკლთან. სწორედ ამით არის განპირობებული ამირანის კავშირი დალისთან. ამავე დროს, ე. ვირსალაძე აღნიშნავს, რომ მესაქონლეობაზე გადასვლამ და გუთხურმა მიწათმოქმედებამ წარმართულ პანთეონში წინა პლანზე წამოსწია მზის ღვთაება, მიწათმოქმედთა მთავარი ღვთაება, რომელიც შედიოდა აღრეული პატრიარქატის ქართული წარმართული პანთეონის უმაღლეს ღვთაებათა სამეცნილები და რომ მათი კვალი ჩანს თქმულებაში.<sup>1</sup> მკვლევარი თქმულებას სამ ძირითად ნაწილად ჰყოფს: ამირანის დაბადება, ამირანის საგმირო საქმეები და ამირანის დასჯა. ჩვენი კვლევის ობიექტი თქმულების პირველი ნაწილია - ამირანის დაბადება და ამირანის მშობლები. ამირანის ეპოსის ვარიანტების ანალიზის საფუძველზე დასახელებული ეპიზოდი ასე შეიძლება დაჯგუფდეს:

1. ამირანის დედა ცნობილია, მამა - უცნობი;

2. ამირანის დედა ცნობილია, მამა არა, რადგანაც ამირანი უბიწოდ ჩაისახა, ჯადოსნური ნაყოფით ან ღმერთის შეწევნით გაწნდა;

3. ამირანის დედ-მამა ცნობილია;

4. ამირანის მამა ცნობილია, დედა უცნობია;

5. ამირანის მშობლები უცნობია.

განვიხილოთ თითოეული ჯგუფის მირითადი მახასიათებლები:

1. **ამირანის დედა ცნობილია და მამა - უცნობი.** კახური ვარიანტით (№ 20)<sup>2</sup>, მონადირე სულკალმახი, ბადრისა და უსუფის მამა, გამოქვაბულში გადაეყრება ექვსი თვის ფეხმძიმე ქალს. ქალმა არ იცის, ვინ მიეპარა მძინარეს და ვისგან ჩაესახა შვილი. ბავშვი ცხრათავიანი რომ გაჩნდეს, ქვეყნას დაღუპავს, ამიტომ დედამ თავი უნდა მოიკლას და ბავშვი ნაადრევად გააჩინოს. გაპეტოს თპერაცია სულკალმახმა უნდა ჩაატაროს და ზრდის დასრულებისათვის დედის საშოს მაგივრობა ბატქნისა და ხეოს ფაშვმა უნდა შეასრულოს. ამირანს სულკალმახი ზრდის.

2. **ამირანის ჩასახვა უბიწოდ, ჯადოსნური ნაყოფით, ღმერთის შეწევნით.** კახური ვარიანტით, ამირანი უბიწოდ ჩაესახა ტყეში, კლდეში მცხოვრებ ასულს,<sup>3</sup> მეგრული ვერსიით (№59), უშვილო გლეხის ცოლს მდინარიდან ამოღებული ვაშლის ჭამის შემდეგ ჩაესახა ამირანი, გურული ვარიანტით (№47), უშვილო ცოლ-ქმარს მოხუცებულობაში ღმერთმა უწყალობა ამირანი, აფხაზურ თქმულებაში (№62) სახელვანი და მძიდარი ოჯახის ასული ზეგარდმო ძალით დაორსულდა და შეეძინა აბრსკილი (ამირანი).

3. **ამირანის მშობლები ცნობილი:** ა) ამირანის გაჩენით მშობლებს ვნება არ ადგებათ; ბ) ამირანის გაჩენით მამას ადგება ვნება, კვდება; გ) ამირანის გაჩენით დედას ადგება ვნება, კვდება.

ა) კახეთში შეძლებულ ცოლ-ქმარს სიბერეში ეყოლა ამირანი (№13), ფშავური ვერსიით (№28), ამირანის დედა დარეჯანია, მამა - სულკალმახი, მძები უსიარ და ბადრი. გურულ თქმულებაში „კალმახელა“<sup>4</sup> ამირანის მამა მონადირე კალმახელა. წელზე თხილის წნელი აქვს შემოკრული, მხარზე დაოვის ტყავის ბოლჩა გადაკიდებული, მეგობრობს მგელთან და ძაღლებთან, დალის მცველის - გველის დახმარებით იმორჩილებს დალს, სჭრის ოქროს თმებს, საერთო ნაშიერს - ამირანს თვითონ ზრდის პირველ ცოლთან ზექალა - თუთაიასთან, სადაც მისი ორი ვაჟი ბადრი და უსუფი იზრდება. დალი არ იღუპება.

გ) გურული ვარიანტით (№48), უშვილო მონადირე სიზმარში შეიტყობს, რომ ცოლი ფეხმძიმედა და კვდება. მონადირის ცოლი

ცხრა თვის თავზე აჩენს ამირანს. ხევსურული ვერსიით (№37), ამირანი მონადირე დარუჯანისა და ნადირთპატრონის ურთიერთობის ნაყოფია. მამა ამირანის გაჩენამდე მიდის და კვდება. ნადირთპატრონი ზრდის ამირანს და მერე თავის ნახევარმებთან ურსიპთან და ბადრისთან აგზავნის. ქართლური ვერსიით (№2), ამირანის მამა უსიპი დარუჯანაშვილების გვარისაა, მისი ძმები სულკალმახი და ბადრია. უსიპს რკინის ქუდი ახურავს, ალვის ხეზე ადის და კივის, დევებს შიშით ძღვენი მოაქვთ. უსიპი კოშკში მზეთუნახავს გადაეყრება, სამი დღე მასთან ცხოვრობს, მერე მიდის და კვდება. წახვდის წინ მზეთუნახავს ალმასის ბეჭედს უტოვებს. ამირანი მამის სიკვდილის შემდეგ იბადება მოკლე ხმლით, როცა გაიზრდება, ბიძების საძებნელად მიდის. ამირანი მამას იმეორებს - მამის რეინის ქუდს მოირგებს, ალვის ხეზე ადის და კივის, დევებს გული უსკდებათ. მეორე ქართლური ვარიანტით (№5), ამირანის მამა სულთანია, მას აკრძალული აქვს ქალთან ცხოვრება. სულთანი ტყეში, გოლორთან მზესავით მანათობელ ქალს გადაეყრება, მასთან ცხოვრობს, რის გამოც სიცოცხლის მხოლოდ ერთწლიანი ვადა აქვს. ექვსი თვის თავზე მიდის, ტრიალ მინდორზე უკარო კოშკს იშენებს შიგნიდან და შიგვე აკდება. ამირანს დედა ზრდის. ამირანი მიდის მამის საძებნელად - ჯერ მამის მმისშევლებს ბადრისა და უსუბს პოულობს, მერე უკარო კოშკში დასვენებულ მამას. მამას ასაფლავებს და ამარცხებს მამის მტერს ბაფ-ბაყ დევს. ამირანის მიერ მამის პოვნის ეპიზოდი ამირანის ოქმულების სხვა ვერსიებში (№№ 2, 7, 16, 19, 24, 27, 30, 32, 57) გადმოცემული „ცამცუმის კოშკის“ ეპიზოდის სინონიმური წევილია. კახური ვერსიით (21), ამირანის მამა სოლომონია, მისი ძმებია ბადრი და უსუფი. სოლომონი ცხრა თვეში ერთხელ ხეზე ადის და კივის, დევის ქალებს მუცლები აწყდებათ. სოლომონი ტყეში ქალს გადაეყრება, მასთან ცხოვრობს, შეილის დაბადებამდე მიდის და კვდება, ქალს ჯაჭვს უტოვებს და უშენება, რომ მისი სამყოფელი აღმოსავლეთია. სოლომონი უკარო ციხეში ასვენია, გვერდით ხმალი უდევს წარწერით: „ვინც მე ბაყბაფ-დევს მომიკლავს, ჩემი ხმალი ალალ მისიო“. ამირანს დედა ზრდის, ის მამას იმეორებს - ხეზე ადის და კივის. ამირანი მამის საძებნელად მიდის, მამის ძებნის მოტივი აქაც „ცამცუმის კოშკის“ მოტივის სინონიმური წევილი. მესხურ-ჯავახური ტექსტის მიხედვით (№30), ამირანის მამა მონადირე ცუდალმახია. უსუფი და ბადრი ცუდალმახის ძმებია. ცუდალმახს აღთქმა ჰქონდა მიცემული, ცოლი არ უნდა შეერთო, თუ შეირთავდა, მოკვდებოდა. ცუდალმახი ტყეში, მაღაროში

მცხოვრებ ქალს გადაეყარა, ტაბუ დაარღვია და მოკვდა. ამირანი მამის სიკვდილის შემდეგ გაჩნდა პატარა ხმლით.

გ) ამირანის მშობლები ცნობილია, ვნება აქვს ამირანის დედას, ვნების მიზეზი ამირანის მამის პირველი ცოლია. ქართლური ვარიანტით (№11), ამირანის მშობლები კლდეში მომწყვდეული მზეთუნახავი და მონადირეა. მონადირის პირველმა ცოლმა არ უნდა იცოდეს მათი კავშირის შესახებ, თორებ მზეთუნახავი მოკვდება. ამირანი დაიბადა, მაგრამ მონადირემ პირობა დაარღვია, ცოლს უამბო მზეთუნახავთან კავშირის შესახებ. მეზოუნახავი კვდება, მისი თხოვნით, მამა ამირანს დედაბრის ქოხთან ტოვებს. რაჭული ვერსიით<sup>5</sup>, ამირანის მამა სირა მჟედელია, ის მონადირეცაა. დედა ოქროსთმიანი მზეთუნახავია. სირა არღვევს ტაბუს - უბრად უჭერდაგს მაკრატელს ცოლს. სირას ცოლი მზეთუნახავს სჭრის თმებს, რის გამოც მზეთუნახავი კვდება. მზეთუნახავი ფეხმძიმედა, სიკვდილის წინ სირა გაუპობს მუცელს მზეთუნახავს, ამოფგანს ამირანს, ოქროს აკანში ჩასვამს და დედის დავალებით ოქროს აკანს იამანის წყაროზე დგამს. იამანის წყალი თვეში ერთხელ უნდა ასვან ამირანს, აქვეა ირემიც, რომელიც ძუძუს აწოვებს. სვანური ვერსიით (№58), მჟედელს კლდიდან კივილი ეხმის. ქალის კივილი ნედლ ხეებს ახმობს და გამხმარს ნედლად აქცევს. ქალის კივილის მოზეზი მისი პირველ ქმრის ამირანის გახსენებაა, რომელიც წავიდა და ადარ დაბრუნდა. მჟედელი ცხოვრობს კლდის ქალთან. ქალი სთხოვს, დაბრუნდეს თავის ცოლთან, რადგანაც მისი ცოლი ეშმაკია, შეიძლება მიაგნოს მათ სამყოფელს და მძინარეს ოქროს ნაწინები მრავრას. მჟედელი არ მიდის, მჟედლის ცოლი მძინარე მზეთუნახავს თმებს აჭრის მზეთუნახავის მაკრატლით. ქალი უნდა მოკვდეს, მჟედელმა ამირანი უნდა ამოიყვანოს დედის მუცლიდან და მოზევრის ტყავში გახვეული იამანის წყაროზე დატოვოს. მეორე სვანური ვერსიით (№56), ამირანის დედა ნადირთპატრონი დალია, მამა - მონადირე დარჯელანი. დალი სთხოვს მონადირეს შინ დაბრუნდეს, თორებ გულთმისანი ცოლი შეიტყობს მათი ურთიერთბის შესახებ. კაცი არ მიდის, გულთმისანი ცოლი მიაგნებს მათ სამყოფელს და დალისავე ოქროს მაკრატლით სჭრის დალს ნაწინებს. დალი უნდა მოკვდეს, მუცლიდან ნააღრევად ამოიყვანილი ამირანი მამამ სამი თვე დეპეულის ფაშვში უნდა შეინახოს, სამი თვე კუროს ფაშვში და მერე აკვნით იამანის წყაროზე დატოვოს. მესამე სვანური ტექსტით (№57), ამირანის დედა დალ-ყარანია, მამა - დარიბი კაცი, რომელიც ცოლის დავალებით მიდის მაკრატლის გასაყიდად. ერთ სოფელში უცნაურ ამბავს შეიტყობს

- ყოველ ცხრომის პეირას კლდიდან დალ-ყარანი კივის, ვისაც თქმო კლდისაკენ აქვს, ამ დროს თეძმი უხმება. კაცი ადის კლდეზე და დალ-ყარანთან ცხოვრობს. დალი ფეხმიმე ხდება და სოხოვს კაცს, უყარაულოს, რომ ძილის დროს კაცის ცოლმა არ დაგლიჯოს. კაცის ცოლი ირემ-უშობეგლზე ზის და აბრეშუმის „სარხელი“ უჭირავს ხელში. ქალმა დაგლიჯა დალ-ყარანი. დალი უნდა მოკვდეს, ამირანი მამამ ნაადრევად უნდა ამოიყვანოს დედის მუცლიდან, ბუღას ტყავში გაახვიოს, ბუღას გული აწოვოს და „სამი გზის ჯვარედინზე“ დატოვოს. ჩვილი ამირანი დედას იმეორებს - კივის, ქვეყანას, ღმერთს აწუხებს. ღმერთი ყვავსა და ყორანს აგზავნის რიგრიგობით ამირანთან, ისინი ამირანს თვალებს ართმევენ. იესო ქრისტე ნათლავს ამირანს, შუაზე გაჭრილ ვაშლს თვალებად ჩაუდგამს და იამანს მიაბარებს.

4. ამირანის მამა ცნობილია, დედა - უცნობი. კახური ვერსიით (№18) ამირანის მამა ქვეყნის ბატონ-პატრონი ჟადალია. ჟადალი ქრისტეს უპირისპირდება და უვირილით ცდილობს მის შეშინებას. ქრისტე მოითხოვს ჟადალისაგან, თავი დაანებონ მან და ამირანმა ქვეყნის ბატონობას. მამა-შვილი ქრისტეს ღონეში ეჯიბრებიან და მარცხედებიან. ამირანის მამას ჟადალი იგივე „დასავლეთია“. მეგრულ ხალხურ სიტყვიერებაში „ჟადალი“ დასავლეთია, „ბუაიოლი“ - აღმოსავლეთი.

5. ამირანის მშობლები უცნობია. მესხურ-ჯავახურ ტექსტში (№32) ამირანი მონადირემ იპოვნა კლდის ძირში და ცოლს მიუყვანა გასაზრდელად, თვითონ კი ბავშვის მიყვანისთანავე მოკვდა. სვანური ვარიანტით<sup>7</sup>, ნადირობისას მეფე ივამ და მისმა შვილებმა უსიპმა და ბადრიმ მთის წვერზე იპოვნებს ხარის ტყავის მოხტუნავე ბურთი, რომელიც ხან აღმოსავლეთისაკენ და ხანაც დასავლეთისკენ ხტოდა. ივას შვილებმა მოხტუნავე ბურთი აბრეშუმის ბადით დაიჭირეს და სახლში მიიტანეს, კარ-ფანჯრები ჩაკეტეს და ბურთი გახსნება. ბურთიდან სანთელიფით ანთებული ბიჭი გამოხტა. ბიჭი გაქცევას შეეცადა, მაგრამ კარ-ფანჯრები ჩაკეტილი დახვდა, მაშინ ჭერისკენ დაიწყო ხტუნვა, ასე იხტუნავა მთელი დღე-დილით ხტუნვა შეწყვიტა და კერასთან დაჯდა. ბიჭი ქრისტემ მონათლა და აემირმი (ამირანი) დაარქვა.

ამირანის დაბადებისა და მისი მშობლების ვერსიათა ჩვენს მიერ წარმოდგენილმა კლასიფიკაციამ, რომელიც ემყარება თქმულების ვარიანტების ანალიზს, წარმოაჩნია თუ როგორი სახით განიცადა თქმულების პირველმა ნაწილმა სამონადირეო მითისა და პოეზიის გავლენა. ამირანის დედა კლდეში მცხოვრები ნა-

დირთპატრონია, ნადირთპატრონი მშობიარობს, ამირანს მთის ძირში პრულობენ, ამირანის მონადირე მამას ქალთან ურთიერთობა აკრძალული აქვს და ამ ტაბუს დარღვევის გამო იღუპება. ეს კომპონენტები ნადირთპატრონისა და მონადირის ურთიერთობის მითოსური გადმოცემების თავისებური მხატვრული გააზრებაა თქმულებაში. მეორეს მხრივ ადსანიშნავია ისიც, რომ მშობლების მახასიათებლებში, მათთან დაკავშირებულ ატრიბუტიკაში ჩნდება ნაყოფიერების – მიწამოქმედებისა და მესაქონლეობის მითოსური სიმბოლიკა, ცის მითოსის კვალი - ასტრალურ-ლუნარული წარმოდგენები.

ამირანის დედას და მამას ახასიათებთ კივილი. კივილი კოსმოგონიური სიმბოლოა და ცის და მიწის კავშირს აღნიშნავს.<sup>8</sup> ამრიგად, ამირანის დედასაც და მამასაც კავშირი ცასთან აქვს. დალის მზის ამოსევლისას სმინავს, ცხრომის ანუ მთვარის კლების კვირას მისი კივილი ვნებს ადამიანებს და ბუნებას, რაც დალის ლუნარულ ნიშნებზე მიუთითებს. საყურადღებოა დალის კავშირი სამი გზის გზაჯვარედინთან. სამი გზის გზაჯვარედინი უნივერსალური მითოსური სიმბოლოა. ბერძნულ მითოლოგიაში ის სამსახურან ჰეკატეს ეძღვნება.<sup>9</sup> ჰეკატე მფარველობდა მონადირეებს, მწყემსებს, მცენარეებს, განაგებდა დაბადებას, სიცოცხლეს და სიკვდილს. რომაელთა ლვთაება დიანა „ტრივიაც“ „სამი გზის ლვთაება იყო და განასახიერებდა სამ ძალაუფლებას - ცაზე, მიწაზე და მიწის ქვემოთ. ჰეკატეს და დიანას გამოსახულებებს სამი გზის გზაჯვარედინზე ათავსებდნენ, მსხვერპლსაც აქ სწორავდნენ. ჰეკატე ნადირობის ქალდმერთის არტემიდას დამისეულ კორელატად ითვლება. ჰეკატესაც და დიანასაც მთვარესთან აიგივებდნენ. დალის კავშირი სამი გზის გზაჯვარედინთან მას ფუნქციონალურად დიანასთან და ჰეკატესთან აახლოვებს. ამირანის მოთავსება სამი გზის გზაჯვარედინზე უნდა განვიხილოთ, როგორც დალის ანუ მისი მამრობითი კორელატის ამირანის (მითოსურ წარმოდგენებში შვილი იმეორებს მშობლებს) მოთავსება თავის ფუნქციონალურ სამყოფელზე მსგავსად ჰეკატესი და დიანასი. ტყავი მითოსურ სიმბოლიკაში დაკავშირებულია დაბადებისა და აღორძინების იდესთან, სწორედ დალის დავალებით უნდა გამოიზარდოს ამირანი ცხოველის ტყავში აღორძინებისათვის. დალი, როგორც ვხედავთ, ნაყოფიერების – დაბადებისა და აღორძინების გამგებელიცაა. ამირანმა დედის დავალებით ბუდას გული უნდა მოწოდოს. გული ანტიკურ წარმოდგენებში მზესთან ასოცირდება.<sup>11</sup> აქ ამირანის მზესთან კავშირი იკვეთება. დალის ატრიბუტია მაქრატელი, რითაც იგი იღუპება. მაკრატელი შობისა და სიკვდილის

სიმბოლოა მითოსურ წარმოდგენებში.<sup>12</sup> დალის შვილს მუცლიდან პატარა ხმალი დაჲყვება. ხმალი ცის ღვთაებათა ატრიბუტია, მისი პირი ცის ელვას განასახიერებს.<sup>13</sup> დალის მითოსური სიმბოლიკა მხოლოდ ნადირთპატრონთან და ხორნურ სამყაროსთან არ არის დაკავშირებული. ბერძნულ-რომაულ ღვთაებათა მსგავსად იგი სამი გზის ღვთაებაა, განაგებს დაბადებას, სიცოცხლეს და სიკვდილს, დაკავშირებულია ცასთან - მთვარესთან და მზესთან - ნაყოფიერებასთან.

საყურადღებოა ამირანის მამის მახასიათებლებიც. ამირანის მამა კალმახელა ნადირთპატრონის ნიშნებს ატარებს. მეგობრობს მგელთან, ძაღლებით ემუქრება დალის მცველ გველს, მისი სამოსიც ნადირთპატრონისას წააგავს, იმორჩილებს დალის, საერთო შვილის გაზრდის უფლებაც მას აქვს. კალმახელას სახეში ჩანს ნადირთქალბატრონის მამრობითი კორელატი, რომელიც პატრიარქის ვაოქაში უნდა ჩამოყალიბებულიყო და ნადირთქალბატრონის ფუნქციები შეეძინა. კალმახელას შვილის გარდა დალისთან არაფერი აკავშირებს, იგი ცხოვრობს თავის ცოლთან ზექალა - თუთაისთან (მზე-მოვარესთან) ანუ ხდება ამ ხორნური მითოსური სახის - ნადირთვთაების ასტრალურ სამყაროსთან დაკავშირება, ასტრალიზაცია. აქვე უნდა აღინიშნოს დალის ანტაგონისტი - ამირანის მამის პირველი ცოლი, ეშმაკი და გულთმისანი, რომელიც ზის უშობელზე და აბრეშუმის „სარხელი“ უჭირავს ხელში. ეს ქალი დალის მეტოქეა, დალის თანამეტყვილის ცოლია, ის ამარცხებს დალს. ეს ქალი თქმულების მნიშვნელოვანი პერსონაჟია. მისი სახით დალს პატრიარქატის ეპოქის ნადირთპატრონი უპირისპირდება: როგორც ჩანს სამონადირეო მითში იმდენად ძლიერი იყო ნადირთქალბატრონის სახე და როლი და მასთან დაკავშირებული გადმოცემები, რომელმაც დიდი გავლენა იქონია ამირანის თქმულების პირველი ნაწილის ჩამოყალიბებაზე, რომ ნადირთპატრონის წინა პლანზე წამოწევამ ვერ დაჩრდილა დალის პირველობა. მამრობითი კორელატისთვის მოქმედების ასპარეზის დასათმობად თქმულებაში შესანიშნავი მხატვრული ხერხია გამოყენებული - დალის სიკვდილი და მისი მამრობითი მექმევიდრის ამირანის გაჩენა, რომელსაც უკვე ასტრალური ნიშნები უწნდება. დალის სიკვდილი პატრიარქატის აღორძინების ეპოქაში მამაკაცის ხელიდან არ უნდა მომხდარიყო, ეს ქალს უნდა ჩაედინა. შესაძლოა ამიტომაც სტულს თქმულების მიხედვით ამირანს ქალები. დალის მეტოქე ქალი სწორედ ნადირთპატრონის დამითოლოგიზებული ცოლია. ვ. ბარდაველიძის მიერ მოპოვებული სეანური ეთნოგრაფიული მასალა შესაძლოა ამ პერსონაჟის ასახსნელად გა-

მოგვადგეს. „სულიშმინდის მოფენის მომდევნო ორშაბათიდან შაბათამდე სვანებს აღკვეთილი პქონდათ რძისა და მისი პროდუქტების სმაჭამა. ეს აღკვეთა ძროხების სახელზე და წველის ბარაქისათვის იყო განკუთვნილი, ამიტომ ამ ხალხურ დღეობას „ფურვბის მარხება“ ერქვა. ამ მარხების დამწესებლად ხალხს დეთაება ბარბოლი მიაჩნდა. დღეობის ბოლო დღეს, შაბათს ოჯახში ტარდებოდა რიტუალი სახლის აღმოსავლეთ კედლის მარჯვენა სარქმელთან, რომელსაც თან ახლდა ლოცვა. „ო-ო, დიღებამც მოგსვლოდეს, მადლიმც მოგსვლოდეს, ოთხეფხის (მსხვილფეხა საქონლის) დმერთს დიღება! ჩემს სახლში ფური და ხარი გაამრავლე, მადლი გექნება მადლიანი“. ამ დღეს ქალებს ტყიდან მოკქონდათ რძის საკვთის მოსარევი ეკალი - სარხელი.<sup>14</sup> უნდა ვიყიქროთ, რომ სწორედ ამ დღეს მოტანილ სარხელს ჰქონდა ის დვთაებრივი ძალა, რაც ხელს უწეობდა რძის კარგად შედეგებას და უდანაკარგოდ ყველის ამოყვანას სარხელმორეული პვეთის დახმარებით. დალის მეტოქე ქალი ფურ ირემზე ზის და ხელში „აბრეშუმის სარხელი“ - აბრეშუმის ეკალი (ეკლიანი ტოტი) უჭირავს. ჩვენი აზრით, აბრეშუმი აქ სიწმინდისა და ციური სიმბოლიკის მატარებელია. აღმოსავლური წარმოდგენებით აბრეშუმი სიწმინდის ნიშანია, ქართულ ხალხურ წარმოდგენებში ცასთან ასოცირდება. თუ შები მთვარეს „აბრეშუნის საცერეს“ ეძახიან.<sup>16</sup> დალის მეტოქე, რომელსაც მესაქონლეობის ნაყოფიერების სიმბოლო უპყრია ხელთ, ნადირთააზრონის ღვთაებრივ ირემზე ზის, მას უმჯე რრივე ფუნქცია აქვს შეთავსებული - შინაური საქონლისა და გარეული ნადირის პატრონის.

ნიშანდობლივია ამირანის მამის ატრიბუტები - რკინის ქუდი, ჯაჭვი, ალვის ხე, ალმასის ბეჭედი, სახელი „ქადალი“, სამყოფელი აღმოსავლეთი, უკარი კოშები.

რკინის ქუდი ცის სიმბოლოა, ჯაჭვი კოსმიურ სიმბოლიკაში ცისა და მიწის კავშირს აღნიშნავს, ქართულ წარმოდგენებში ჯაჭვი, შიბი, ხეწვი ცის ღვთაებათა მიწასთან საკომუნიკაციო საშუალებაა.<sup>17</sup> ალვის ხე ნაყოფიერების და გამრავლების სიმბოლოა.<sup>18</sup> ხე საზოგადოდ ღვთაებათა საბრძანისად განიხილება, ისე კე როგორც დროშის ტარი - ხე, რომელსაც ქადაგთა ენაზე „ალვის ტანი“ ეწოდება და ცისა და მიწის დამაკავშირებლად ითვლება.<sup>19</sup> აღმასი სინათლის სიმბოლოა.<sup>20</sup> ამირანის მამის სამყოფელი აღმოსავლეთია, მამის სახელი „ქადალი“ - დასავლეთი, რაც მზის მოძრაობის გზაა და ამირანის მამის მზიური სიმბოლიკის აღმიშვნელია.<sup>21</sup> ამირანის მამის სიცოცხლის დასრულება უკარი კოშები, ამირანის მიერ მისი პოვნა და დასაფლავება ამირანის

სხვა ვერსიებში ცნობილი მოტივის „ცამცუმის კოშკის“ სინონიმური წყვილია და „ჩასული“ ანუ „მკვდარი“ მზის მითოსურ ციკლზეა აღმოცენებული. ეს თემა ჩვენს მიერ შესწავლილია წინა გამოკვლევაში (კრებული „ქართული ფოლკლორი“, № 2, XVIII).

ამირანის თქმულების პირველი ნაწილის - დაბადებისა და მშობლების ვერსიათა კლასიფიკაციამ და ანალიზმა წარმოაჩინა თქმულების ვარიანტებზე სამონადირეო მითისა და გადმოცემების მოტივების გავლენა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ასტრალურ-ლუნარული წარმოდგენების, ნაყოფიერების კულტის კვალი. საყურადღებოა დალისთან დაკავშირებული „სამი გზის გზაჯვარებინი“ და მისი ფუნქციონალური ნათესაობა ბერძნულ-რომაულ ღვთაგებითან - პეგატე-დიანასთან. თქმულების ვარიანტებში ასევე იკვეთება ამირანის მამის როლიც, რომელიც ამირანის დედის მსგავსად ღვთაებრივი ნიშნების მატარებელია. ყოველივე ზემოთ თქმული კიდევ ერთხელ ამყარებს მკვლევართა მოსაზრებას, მათ შორის პროფ. ე. ვირსალაძის, თქმულების წარმოშობისა და გაფორმების პერიოდთან დაკავშირებით და მიანიშნებს თქმულების მოტივთა კავშირს არა მარტო სამონადირეო მითოსთან, არამედ ადრეული პატრიარქატის ასტრალურ პანთეონთანაც.

- დამოწერებული ლიტერატურა:** 1. Вирсаладзе Е. Б., Грузинский Охотничий Миф и Пoesия, М., Наука, 1976, გვ. 92, 93, 102, 103. 2. ვველა ტექსტი, რომელიც მოტანილია ნუმერაციით, იხილეთ იგივე ნომრით წიგნში: ხიჭვანი ბ., მიჯაჭავული ამირანი, თხუ, 1947. 3. Вирсаладзе Е. Б., Грузинский Охотничий Миф и Пoesия, М., Наука, გვ. 96. 4. რეხვიაშვილი ბ., ქართული ხალხური მეტალურგია, თქმულება „პალმახელა“, თბ., მეცნიერება, 1964. 5. რეხვიაშვილი ბ., მჭედლობა რაჭაში, სირა მჭედლი, თბ., მეცნიერება, 1953, გვ. 166-167. 6. ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, შემდგ კდანებლია, აპ. ცანვაძა, თხუ, 1991, გვ. 110-111. 7. Tuête Kevin, Achilles and the Caucasus, Université de Montréal, Canada, 1999, გვ. 9-10 (ნაბეჭდი ხელნაწერი). 8. კერლო Խუან ედუარდო, Словарь Символов, REFI - book, М., 1994, გვ. 563. 9. Мифы народов мира, Энциклопедия, I, М., 1987, გვ. 107, 269-376; კერლო, იქვე გვ. 321. 10. კერლო Խუաნ ედუარდო, Словарь Символов, გვ. 247. 11. კერლო Խუաნ ედუარდო, იქვე გვ. 460-461. 12. კერლო, იქვე გვ. 342. 13. Вильямс К. А., Энциклопедия Восточного Символизма, Золотой Век, М., 1996, გვ. 10, 167; კერლო, იქვე გვ. 320-321. 14. ბარდევლიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოებრის ისტორიიდან, ღვთაება-ბარბარი, თბ., 1941, გვ. 14-15. 15. Вильямс К. А., Энциклопедия Восточного Символизма, იქვე გვ. 407. 16. ხუანებია ბ., თუმერი კილო (ლექსიკი), თხუ, 1969, გვ. 63. 17. ვირსალაძე ე., ქართული სამონადირეო მითოსი, თბ., 1964, გვ. 49-53; სურვულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, მეცნიერება, თბ., 1986, გვ. 161. 18. Vickery, Roy, Oxford Dictionary of plant-Lore, 1995, გვ. 36, 37, 286, 397; Simpson Jacqueline, Roud Steve, A Dictionary of English Folklore, Oxford, 2000, გვ. 8, 299, 305, 306. 19.სურვულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, იქვე, გვ. 180-186. 20. კერლო Խუან, იქვე გვ. 73. 21. კერლო Խუან, იქვე, გვ. 563.

## რუსულან ჩოლოჭაშვილი

### ცხოველთა შესახებ ზღაპრების მთავარი გმირი – მელია

მელია რამდენიმე ქვეყანრის ზღაპრებში ასრულებს ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის ფუნქციას, მიუწედავად ამისა, მისი ძირითადი სფერო ცხოველთა ეპოსია. აქ სრულად იშლება მისი შესაძლებლობანი და გამოკვეთილად ჩანს ყველივე მისი ავ-კარგი. ის ქართული ცხოველთა ზღაპრის ყველაზე პოპულარული პერსონაჟია, მსგავსად ევროპული ცხოველთა ეპოსისა. ტრიქსტერი მელია მსმენელის სიმპათიებს იმსახურებს როგორც საზრინი, წინდახედული, მოხერხებული, ჭრვიანი და გულადი პერსონაჟი. მელიას ეს ღირსებანი ზღაპარში წინა პლანზეა წამოწეული, რადგანაც ხალხი ამ თვისებათა დადი დამფასებელია და სწორედ მათ გამო არის მის მსარეს.

ის სიუჟეტები მელიას მონაწილეობით, რომლებიც ცხოველთა ეპოსს განეკუთვნებან, თავის მხრივ რამდენიმე ტიპს აერთიანებენ, ისინი განირჩევან ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული სიუჟეტური ქარგით, მოტივთა წრიოთ და პერსონაჟთა ხასიათით.

პირველ ჯგუფს მივაკუთვნებთ იმ ზღაპრებს, სადაც მელია ცბიერებითა და მუხანათობით ღუპავს თავის „მმობილს“ და საერთო ნადავლს ან თვით „მმობილს“ საკვებად ისაკუთრებს.

მეორე ჯგუფში შევლენ ის ზღაპრები, სადაც მელია ტყუილით ცდილობს ფრინველთა შეცდენას და მათ შეჭმას. გარკვეულად კიდეც აღწევს მიზანს, მაგრამ ბოლოს მაიც თავისი გაუმაძლრობის მსხვერპლი ხდება და ერთ-ერთი ფრინველის საზრიანიბითა და მოხერხებით იღუპება.

მესამე ჯგუფში – მელია მარტო ვერ ართმევს თავს ამოცანას და დამხმარეს უხმობს.

მეოთხე ჯგუფში – ის მოსამართლე და საქმის გამრიგეა.

#### § 1. მელია და გარეული ცხოველები

პირველი ჯგუფის ტრიქსტერი მელია აქტიური პერსონაჟია. ის ან მოქმედებს, ან მომენტს ეძებს სამოქმედოდ. ყველაფერს თვითონ, თავის შესაძლებლობებზე დაყრდნობით აკეთებს და საკუთარი თავის იმედით არის გამსჭვალული. მელია სულ ახალ-ახალი ოინების ძიებაშია და აინტერესებს, რომელი მათგანი უკეთ, უფრო იოლად, დახვეწილად, ღიმილის მომგერელად მიიყვანს სასურველ შედეგამდე. ეს პერსონაჟი, ერთი შეხედვით, მხოლოდ საკუ-

თარი ინტერესებისათვის იბრძვის; სინამდვილეში კი ოოგორც მისი სახელი, მისი გამარჯვებაც მთელი თავისი კოლექტივის, მთელი გვარის გუთვინილებაა.

მელია ამ ტიპის ზაღარში ყველა მაზანს აღწევს, რასაც კი დაისახავს, მას წინ ვერაფერი გადაეღობება, ყველაფერ ამას კი საკმაოდ იოლად, მსუბუქად, აუღელვებლად, ძალდაუტანებლად, ზედმეტი ენერგიისა და დაძბვის გარეშე აღწევს. თავის გამარჯვებაში დარწმუნებული, თითქოს პირზე ღიმილ-მომდგარი მოქმედებს. ეს სიმუშუქე და დამაჯერებლობა მის გამარჯვებას კანონზომიერად წარმოგვიჩენს.

მელია, შეგავსად ყველა სხვა ტრიქსტერისა, დღევანდელი ეთიკით მორალური არ არის, მაგრამ მსმენელი ტრადიციის ძალითა და მთქმელის განწყობით შეუძლიად რომ ეს პერსონაჟი დადებითი გმირია და მას ასეთად ჩვენთვის ამოუცნიბი არქაიკი საიდუმლო წარმოგვიჩენს. ეს საიდუმლო კა ნაწილობრივ იძაშია, რომ უძველეს ხალხებს მათი აზროვნების თავისებურებების, რწმენა-წარმოდგენებისა და სოციალური ყოფის შესაბამისად დღეისათვის სრულიად განსხვავებული მისწავებანი და ეთიკა პქონდათ. რაც შეეხება მელის ზევით ჩამოთვლილ დადებით თვისებებს, ისინი მას თავიდანვე ახასიათებდა. „ფიზიკური ძალა და მოხერხება, მაგრა და ეშმაკობა, ხერხიანობა ძალიან არქაული მოვლენაა“ (Мелетинский, 1976, გვ. 274).

ქართულ ცხოველთა ეპოსში, თითქმის არ ვხვდებით მელის, და საერთოოდ, ცხოველთა დახასიათებას. საკმაოდ იშვიათია შემთხვევა, როდესაც დათვი ასე მიმართავს მელას: „...შენ გაძრომა-გამოძრომა, მელაობა გააკეთო“ (მსხალაძე, 1973, გვ. 18). სხვა ხალხების ზაღაპრებში კი ის მთქმელისეული კომენტარით გაცალებით უფრო ხშირად არის დახასიათებული. მაგალითად, სპარსული ზღაპარი „მელა და წერო“ ასე იწყება: „ერთმა პკითხა მეორეს: მელა კერცხსა დებს, თუ შვილებს აჩენსო“, მეორემ უპასუხა: იმისგან ყველაფერი მოსალოდნელია“ (სპარსული, 1962, გვ. 49). ან კიდევ: „იყო ერთი მოხერხებული მელია, რომელსაც მეტისმეტი სიეშმაკისგან მუცელში ერთი ნაწლავიც კი არა პქონდა სწორი“ (იქვე, გვ. 53). გერმანულ ზაპარში ნათქვამა: „მას ხომ ჭკუაც ბევრი აქვს და არც მოხერხება აქვს ცოტა“ (Братя Гримм, 1957, № 74).

მართალია, ქართულ ცხოველთა ეპოსში მელია საგანგებოდ დახასიათებული არ არის, მაგრამ მასზე მისი მოქმედებანი მეტყველებენ, რომლებშიც მშვენივრად ჩანს, რომ ის ციდერია, მატყუარა, უშმაკი, ხარბი, გაუმაძლარი და ქურდი. ოოგორც ვხედავთ, მას ღირსებათა პარალალურად უარყოფითი თვისებებიც გააჩნია. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ნაკლისა, თუ მკაცრად შევხედავთ მის მოქმედებებს, შეიძლება ითქვას, რომ ის დაუნდობელი, გამმეტებელი და ძმობილის მოღალატეა, მისი არც ერთი სიტყვა არ არის სანდო – ლაქუცითა და ტკბილი ენით შეუძლია ვერაგულად დაღუპოს ახლობელი. საერთოდ, მელია დაუნდობლად ექცევა ყველას, ვინც თავის გადარჩენის, ან სხვა მიზნის განსახორციელებლად დასჭირდება. უნდა ითქვას, რომ არც ერთი ხალხის ზღაპარი მელის ამ თვისებებზე აქცენტს არ აკეთებს, უფრო მეტიც, ვერ ამჩნევს და

ზღაპრის დასაწყისიდან ბოლომდე მელიის მხარეზეა, მისადმი თბილად და სიმპათიურადაც კი არის განწყობილი. არამარტო მთქმელებს, ზღაპრის მკვლევრებსაც კი არ გაუმახვილებიათ ყურადღება მელიის ამ უნარზე. მიუხედავად იმისა, რომ მას მოელ რიგ ზღაპრებში უარყოფითი თვისებებით შემკული გაბატინებული ქლასის წარმომადგენლადაც თვილიდნენ, რაც ამ ნაწარმოების ღირსებად უნდა ჩაითვალოს – ისე ოსტატურად არის ხალხისათვის სასურველი განწყობა გაბატონებული ნაწარმოებში, რომ გამოკვეთილად არც კი იგრძნობა XX საუკუნის მსენელის ფურისათვის საზარლად აღსაქმელი მისი ონები.

ცხოველთა ეპოსის პერსონაჟები ურთიერთშორის დაუნდობელ დამოკიდებულებას იჩენენ. მართალია, ასე ვთქვათ, ბარბაროსული მომენტების ჩვენება ზღაპრის მიზანი არ არის, მაგრამ მათ გაუთვალისწინებლად ამ უარის სწორად გაგება გაჭირდება. მათზე დაკვირვებით ვხვდავთ, რომ მელია მარტო ღიმილის მომგვრელი, მიმზიდველი ცხოველი კი არ არის, ან უბრალოდ მოხერხებული, უთვალავი სასაცილო და გონებამახვილური ოინების ჩამდენი, არამედ ის შეუპოვარი, ბრძოლისუნარიანი, მიზანდასახული არსებაა, რომელსაც წინ ვერაფერი გადაუღიტება და ბრძოლაში, რომელიც სრულიად შეგნებულად წამოიწყო, საბოლოო გამარჯვება მას დარჩება.

თითქოსდა უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილიც კი გამოსავალს პოულობს. მელია ფარ-ხმალს არასოდეს ყრის და არამარტო თავს იხსნის გარდუვალი დაღუპვისაგან, თავისი ძირითადი მიზანიც სისრულეში მოჰყავს – ღუპავს თავის მტერს. მაგ.: მგლის თათებში მოხვედრილი მელია გამოამჟღავნებს, რომ ცხოველთა დაჭრელების ხელოვნებას ფლობს. თითქოს უკვე განწირული მელიის ეს სიტყვები, ერთი შეხვდვით, მიღენად უადგილო და უსუსურია, რომ უნებლიერი ღიმილის იწვევს. მაგრამ რადგანაც შეჩვეულნი ვართ მით ყოვლისშემძლეობას, ეს ყველაფერი უბრალო თავმოკატუნებას ჰგავს, საბოლოო გამარჯვების მისაღწევად გამიზნულს. ასეთ დროს მოაგარია მელიამ ერთი ხმის აძოლება მაინც მოახერხოს, მერე კი წინ ვერაფერი დაუდგება.

## § 2. მელია და ფრინველები

მელია ყოველთვის ვერ გამოდის გამარჯვებული ქართულ ცხოველთა ეპოსში და, საერთოდ, უძლეველი, დაუმარცხებელი პერსონაჟი ხალხურ სიტყვიერებაში არ არსებობს. ასეთი მდგომარეობა გვაქვს არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიოს ყველა ხალხთა ცხოველთა ზღაპრებში. თურმე ყველას დამარცხება შეიძლება, მხოლოდ ხერხი (საშუალება) უნდა მოიძებნოს სათანადო; ცხოველთა ზღაპრებში იკვრება წრე, სადაც ერთის მძლეველი მერის მიერ ძლეული ხდება (Продески хитрий, 1977, გვ. 18). საბოლოოდ ყველას თავისი მიეზღვება. ტრადიციად ქცეული ეს წესი სძენს ამ ზაპრებს ჰუმანურ გაგებას. კიდევ უფრო ამაღლებს საზრიანობისა და მოხერხებულობის მნიშვნელობას.

მთქმელმა უკვე იცის, მართალია, ერთგან იმარჯვებს ეშმაკი მელია, მაგრამ სხვა შემთხვევაში თვითონ ხდება სხვისი ოინების მსხვერპლი. მეორე ჯგუფის ზღაპრებში, სადაც მელია ფრინველებთან ურთიერთობისას მარცხდება, მას სიხარბე, გაუმაძლობა წასძლევს ხოლმე. ფრინველებმაც იციან მისი სისუსტის ამბავი და ამას ყოველთვის იყენებენ. ამ ჯგუფში შეგა ისეთი ზღაპრები, როგორიცა „იერუსალიმს მიმავალი მელია“, „მამლისა და მელის ზღაპრი“, „მელია და კაკაბი“, „მელია და მწყერჩიტა“ და სხვა.

ამ ზღაპრებში მელიას უბრალო სიტყვით აღარ ენდობიან. ისიც აზალ ხერს პოულობს – ბერად შემდგარი, იერუსალიმს მიებგზავრება. ახლა კი წაჟყვებიან მამალი, ბატი, ძერა, მწყერი და ოფოფი – ეს სხვა მელააო. იმას კი აპა რა შეცვლის და მალე გაამჟავნებს კიდეც თავს, მაგრამ უკვე გვაან არის – ერთმანეთის მიყოლებით იღუპებიან გულუბრყფილო ურინველები. სხვების მწარე მაგალითი ბოლოსთვის შემორჩენილ ფრინველს ძალასა და აზრს მატებს და ისიც მელიასავე ხერხით – მოქარგული ენით, გადაირჩეს თავს და მელასაც საბოლოო განაჩენს გამოუტანს. ზღაპარში „მელია და მამლები“ მელამ სალოცავად 40 მამალი წაასხა, მერე კი მადაგა და მუსრის გავლებას შეუდგა (ფ.არქ. 13 115). მხოლოდ ხუთმა მამალმა მოახერხა თავის დახსნა – თვალები დათხარეს მელიას და მწევარის შეაჭამეს.

კარგი სეირი უყო მწყერჩიტამაც მელიას. მაძლარმა მელიამ ჯერ პირობა მისცა, საჭმელი მომანელებინე და ხელს აღარ გახლებო. მწყერჩიტაც მიეხ-მარა, მაგრამ მოშეიბულმა ისევ მოინდომა პირის წატანება. მწყერჩიტამაც გამოასწორა თავისი შეცდომა და ისეთი ოინი უყო, რომ თავი გაატეხინა. ზღა-პარში „მელიას თხოვნა“ (მსხალაბე, 1973, გვ. 9) მამალი აღარ ტყუვდება, როცა მელიამ სიმინდის ასკრეთად დაპატიჟა. მამალმა უთხრა – კარგი, დედლებსაც მოვიყვანო და ძაღლები კი მიუყვნა.

მელიას, მართალია, ზღაპარი ხარბს და ღორმუცელას არ უწოდებს, მაგ-რამ სიუჟეტის განვითარებიდან ჩანს, რომ სწორედ ამ თვისების მსხვერპლი ხდება, ეკარგება რა სიფრთხილე და წინდახედულება.

მოგვანებით, როცა დაუნდობლობით მოპოვებული გამარჯვების მიმართ საზოგადოებაში კრიტიკული დამოკიდებულება გაჩნდა, ასეთი გზით მოსიარულე საბოლოო მიზანს ვეღარ აღწევს. პირიქით, სხვისთვის ავის მსურველი თვითონ იღუპება. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ბოროტება და ავკაცობა აღარავის შერჩება. სოციალური პირობების გაუმჯობესება, როგორც ჩანს, მე-ტი კეთილძეზობლური ცხოვრების საშუალებას იძლევა და უარყოფითი და-მოკიდებულება უკვე გასაკიცხია. ყველა ხერხის გამოყენება მიზნის მისაღწე-ვად კრიტიკულად განიხილება. ამ ტიპის ზღაპრებში დაუნდობლობა და მტრობა ვეღარ იძარჯვებს, პირიქით, მისი მოსურნე თვითონ მარცხდება და იღუპება კიდეც. ე.ი. სწორედ ის არის დაგმობილი, რაც მინამ ჩვეულებრივი და მიღებული იყო.

მელიის დამარცხებაში უკვე სალხის უარყოფითი პოზიცია ჩანს არა როგორც ადამიანის რომელიმე უარყოფითი თვისებისადმი, არამედ ძალადობის, როგორც სოციალური მოვლენისადმი.

ამ ტიპის ზღაპრებს, სხვებთან ერთად მიეკუთვნება ზღაპარი „ჩიტი და მელია“: ჩიტმა ტყეში ხეზე ბუდე გაიკეთა, შიგ სამი კვერცხი ჩადო და გამოჩეკა. კვებავდა, უვლიდა – ჩქარა დავაფრენო, მაგრამ მიაგნო მელიამ და დაემუქრა: შენც შეგჭამ და შენს შვილებსაცო. შეშინებულმა ჩიტმა სხვა გამოსავალი ვერ ნახა და რიგორიგობით სამივე ბარტყი ჩამოუყარა. ბოლოს გაუმადარი მელია მონადირებ მოკლა. მონადირის ეპიზოდი ყველა ვარიანტში არა ჩანს. ამის გარეშე კი ეს ზღაპარი გარკვეულად დაუსრულებელ შთაბეჭდილებას ტოვებს და ერთგვარი უქმარისობის გრძნობასაც გვიჩენს. ამავი თითქოს იქ წყვება, სადაც ძირითადი უნდა დაწყებულიყო. ი. გოგებაშვილის „დედა ენა-ში“ სწორედ ის გარიანტია დაბეჭდილი, სადაც მონადირის ეპიზოდი არ ჩანს.

ქართული ზღაპარი „ჩიტი და მელია“ ერთი შეხედვით ცალკე დგას თავისი ბუნებით იმ ჯვეუფის ზღაპრებისაგან, სადაც მელია ფრინველებთან ძარცხდება. მაგრამ ეს თავისებურება, მისი ფრაგმენტულობით არის გამოწვეული. ამ ნაკლული ფორმით მის დამკვიდრებას, ხელი ალბათ, „დედა ენამაც“ შეუწყო. ქართულ ზღაპარში ფრინველების შემართება მელიის წინააღმდეგ და მისი საკუთარი ძალით დამარცხებაც გვხვდება. მაგ.: „მასალათა კრებულში“ დაბეჭდილ ინგილოურ ვარიანტში „კოდალა, მელიტა და ყორანი“ (СМОМПК, 1903, გვ. 131) კოდალამ ორჯერ ჩაუგდო მელიას ბარტყი, მესამედ კი ყორანმა დაარიგა ჭეუა და მელიისა აღარ შეეშინდა. მელია მიხვდა ყორნის ონს და სამაგიეროს გადახდის მიზნით დაიჭირა. მაგრამ ყორანმა თავს მაინც უშველა. მელია კი ქოფაქს დაგლეჯინა.

ამ ტიპის უცხოური ზღაპრებიც ფრინველების გამარჯვებით მთავრდება. მოვიტანი რამდგნიმე ნიმუშს. მაგალითად, სპარსული ზღაპარი „ყვავი და მელია“ (სპარსული, 1962, გვ. 57-60): ყვავმა თელის ხეზე ბუდე გაიკეთა, ხუთი ექვსი ბახალა გამოჩეკა, მაგრამ იქაც გაჩნდა მელია, რომელმაც გადაწყვიტა, როგორმე დასტყუოს ბახალები. ყვავიც უგდებს ბახალებს, მაგრამ აქ ჩანს, რომ ბახალების გადმოგდება ყვავს დროის მოსაგებად ჭირდება. ამასობაში კი კაჭკაჭი დაარიგებს – ნუ გეშინა, მელია ხეს ვერ მოჭრისო და ამის შემდეგ მელია უკვე ხახამშრალი რჩება. ამ ტიპის ზღაპრებში პირველი მსხვერპლი გარკვეულად აფხიზლებს და ჭეუას ასწავლის სხვას, ეს კი მელიის საბოლოო დამარცხებისათვის არის საჭირო.

ინდურ ზღაპარში „ჩიტუნია და სპილო“ (ინდური, 1970, გვ. 18-19) მელიას სპილო ენაცვლება.

აქ უკვე ჩიტი თვითონ ხვდება, როგორ უნდა მოიქცეოს:

„აღარ გაბედო და ამ ხეს მეორედ აღარ გაეკარო, თორემ შენს სეირს გაყერებინებო“.

როცა ოგივე მესამედ განმეორდა, გაბრაზებული ჩიტუნია სპილოს ყურში ჩაუძრა. ფრთხებით უღიტინებდა და ბრჭყალებით ფხაჭნიდა. სპილო ვერაფერს გახდა და „ბოლოს ქანცგამოლეული ძირს დაეცა. ჩიტუნია ამოფ-რინდა სპილოს ყურიდან და თავის ბარტყებთან დაბრუნდა. ის დღე იყო და ის დღე, სპილო აღარ გაჰკარებია იმ ხეს...“

ტაჯიკურ ზღაპარში „ჰიგგავი და სპილო“ (ტაჯიკური, 1972, გვ. 198-200) გამწარებულმა ჰიგგავმა რჩევა ყვავს ჰკითხა, იმან ფუტკართან წაიყვანა, იმან კი ბაყაყთან. ყველამ ერთად ჰკუა ასწავლეს სპილოს და „ამის შემდეგ სპილო კველაზე კეთილ და უწყინარ ცხოველად იქცა“.

ტაჯიკური ზღაპარი „ჩიკვი“ (იქვე, გვ. 187-189) განსაკუთრებულ სიახ-ლოვეს იჩენს ქართულ ზღაპართან. აქ ბოლოს ჩიკვმა ვეღარ მოითმინა, ერთ ბრძენ ყვავს ჰკითხა რჩევა.

მელია ხახმშრალი რომ დარჩა, „იფიქრა, იფიქრა და მიხვდა: ამას ნამდვილად ის წუწერი ყვავი ასწავლიდაო. მიხვდა და დაიფიცა, ...ყვავს მზეს დაუვარენელებო.

...გზის პირას დაწვა და თავი მოიმკვდარუნა,...ყვავის მოახლოებას ელოდა: ყვავი მოტყუვდა, მელიასაც ეს უნდოდა და სტაცა პირი. ყვავმა თავის გადარჩენა მანც მოახერხა – დაპირებებით თავი გააშვებინა და პირობა კი აღარ შეუსრულა. „გაბრაზებულმა მელიამ ყვავის დაჭერა მოინდომა, კლდიდან ისკუპა... და ძვალი და რბილი გაუერთიანდა. ასე გადაარჩინა ყვავმა ჩიკვი, თავიც დაიხსნა და მელიაც დაღუპა“.

ქართულ ფოლკლორშიც გვაქვს ერთი სიუჟეტი, სადაც მელია ასეთი მოტყუებით იჭერს ყვავს – ჯერ ღმერთის წყალობას ელოდა, მერე კი მიხვდა შიმშილისაგან დასუსტებული, რომ მოცდა აღარა ღირდა, თვითონვე „გაექანა“ და მიზანსაც მიაღწია. ეს ქართული ზღაპარიც ფრაგმენტულია, თუნდაც იმიტომ, რომ ფრინველებთან ტრადიციულად მელია მარცხდება, აქ კი ასე არ ხდება. თითქოს ქართულ ზღაპარს უკვე სხვა გააზრება აქვს შექნილი. აქ თითქოს, გამართლებაც კი არის მოცემული – როცა ის არ აქტიურობდა და მხოლოდ ღმერთის წყალობას ელოდა, კინაღამ დაიღუპა კიდეც შიმშილისაგან.

თუ ჩავთვლით, რომ ქართულ ზღაპარს „ჩიტი და მელია“ დაკარგული აქვს ფინალი, სადაც ფრინველებით თავანთი მოხერხებით ამარცხებენ მელიას, ეს ზღაპარიც იმ ჯგუფისად ჩაითვლება, სადაც მელია ფრინველებთან მარცხ-დება. ამ ზღაპრის ფინალში სამართლიანობა მიღწეულია, მაგრამ უკვე აღამი-ანის დახმარებით. ჩიტმა ეს ვერც დამოუკიდებლად მოახერხა და ვერც მეგობ-რების საშუალებით და თავისი ბარტყებიც უშწეოდ შეაჭამ მელიას. მხოლოდ ამის შემდეგ, შეიტყო რა ჩიტი-ჩიორას უბედურება მონადირემ, მოკლა მელია. მართალია, ეს ფინალი აზრობრივად ორგანულია ზღაპრისათვის, მასში მთქმე-ლის სურვილიც სახეზეა და ზღაპრის ძირითადი მიზანიც ჩანს, მაგრამ ის გარ-კვეულად ხელოვნური და მოგვიანი უნდა იყოს. რასაკვირველია, ადრინდელი ფინალი ის იქნებოდა, ჩიტს თვითონ რომ მოეხერხებინა თავის შველა და მელიის დამარცხება.

როგორც ვნახეთ, პირველი ჯგუფის ზღაპრებისგან განსხვავებით, აქ მელია მარცხდება. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მსოფლიოს ხალხთა ფოლეკლორშიც. ამის თაობაზე ვ. ბობროვი წერდა: „შეუძლებელია, ჩვენს რუსულ მელიაზე გქონდეთ ერთსახოვანი წარმოდგენა“ (Бобров, 1909, გვ. 86). ეს ზღაპრები პირველი ჯგუფის ზღაპრებთან შედარებით გვიანდელი პერიოდისაა და აქ სამართლიანობის სურვილი და მისი მიღწევის რწმენა გამოსჭივის.

ცხოველთა ეპოზში ცალკე ჯგუფს ქმნიან ზღაპრები, რომლებშიც მელია სხვა შინაურ ცხოველებთან ერთად მოქმედებს. ეს ზღაპრები გენეტიკურად აგრარულ რწმენებს უკავშირდება და ისინი ცალკე გვაქვს განხილული ჩვენს წიგნში - „უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპოზში“, IV თავის I პარაგრაფში - „აგრარულ მოტივთან დაკავშირებული ცხოველთა ზღაპრების მთავარი გმირი“.

### § 3. მელია და ადამიანი

დროთა განმავლობაში მიწათმოქმედების თემა შემოიჭრა ცხოველთა ეპოზში. ზღაპარში „გლეხი, დათვი და მელია“ უკვე ყანის მუშა-გლეხი გვხვდება პერსონაჟად და არა უბრალოდ კაცი ან მონადირე. ამ ზღაპარში დათვს პანტა ვერ მოენელებინა და გორაობდა. გლეხმა დაინახა და დათვის თხოვნის მიუხედავად ეს საიდუმლო არ შეინახა - ცოლს გაანდო. დათვმა იწყინა ეს ამბავი, მივიდა ყანაში გლეხთან და გასძახა:

„ადრე გამოხნავ, ადრე გამოგხრავ,  
გვიან გამოხნავ, გვიან გამოგხრავ“.

ეს მელიამ გაიგო და გლეხს მაშინვე გამოექომაგა - ასწავლა, როგორ მოეკლა დათვი. ამ სიუჟეტში დათვის ნაცვლად იმედიათად მგელიც გვხვდება.

ამ ზღაპარშიც მელიაა აქტიური. აქ მისი ფუნქცია უკვე გლეხის კაცის ერთგულებაა და მისი შესწევლის როლში გვევლინება. რაც შეეხება დათვს, ის ძლიერი ცხოველია, სახნის მომარჯვებული კაცი უძლურია მის წინაშე და გლეხი და მელა მხოლოდ გაერთიანებული ძალით აღწევენ სასურველ შედეგს. მართლია, ერთ ვარიანტში დათვს მელიის ხმის გაგონებაზე უკვე შიშის ზარი დაეცა (მსხალაძე, 1973, გვ. 29), მაგრამ მეორეგან მელიამ დათვის შესაშინებლად მოიგონა, ხელმწიფის ჯარი მოდისონ (ფ.არქ. 1142).

ამ ზღაპარში, თითქოს, ტაბუს დაცვაა საჭირო. სანამ კაცი მას იცავს, კარგად მისდის საქმე, მისი დარღვევებს შემდეგ კი ცუდად: დათვი ან მგელი სირცხვილს გაენდობა კაცს, იმ პირიბით, რომ არ გაემხილა. კაცი ინახავდა საიდუმლოს, მაგრამ ბოლოს ცოლს გაუმჯდავნა და თუ აქამდე მგელი ყოველ-დღე ცხვრით ასაჩუქრებდა, ახლა უკვე სიკედილით დაემუქრა (მსხალაძე, 1973, გვ. 29).

ამ ზღაპარშიც, როგორც უკვე ვნახეთ, მელიაა ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, მაგრამ ის აქ უკვე საქმის გამრიგეა, მოწინააღმდეგეთა ბედის გამკარგავი. ასევე სხვათა საქმის მომწესრიგებლის, მოსამართლის როლში

გამოდის მელია ზღაპარში: „მელია“ (ფ.არქ. 21935). ეს ზღაპარი „მელიას ოინგბათან“ ერთად, ცალკე ჯგუფად შეიძლება გაერთიანდეს.

ზღაპარში „მელია“ კაცმა მგელი ტომარაში დამალა და მონადირები-საგან გადაარჩინა. მგელი კი კაცს მიუბრუნდა – უნდა შეგჭამოო. სამართლი მელიას კითხეს, იმან კი ვთომ საქმის უკეთ გარჩევისთვის, მგლის ისევ ტო-მარაში ჩაძრომა ჩათვალა საჭიროდ. მერე კი კაცს უთხრა – მოკალიო. ასე გამოიტანა მელიას სამართლიანი განაჩენა და გადაარჩინა კაცი.

კაცი გადაარჩინა მელიამ უმაღური გველისაგანაც, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ იხსნა კაცმა. აფხაზურ ფოლკლორში გვხვდება ამ ტაიპის ერთი ზღაპარი „მუსულმანი მონადირე და ტახი“, სადაც ჩანს როგორც გამოსარჩ-ლების მიზეზი, ასევე გველის მტრობისაც. აქ მუსულმანი მონადირე ტახის გოჭს მიეხმარა ტალახიდან თავის დაღწევაში. ერთხელ მონადირემ ტყვეში ირემი მოკლა. ამ ირმის რქიდან ამომვრა გველი, შემოეხვია მონადირეს და ხეზე მიაჯაჭვა. მაგრამ გამოჩნდა ტახი, რომელმაც ის გადაარჩინა – გველი დაფლითა. ეს სწორედ ის ტახი იყო, რომელიც მონადირემ ტალახიდან ამოიყ-ვნა. შესაძლოა ქართულ ზღაპარსაც ჰქონდა ადამიანისა და გველის (მგლის) მტრობის და მელიასა და კაცის ერთგულების მიზეზის ახსნა, რომელიც ჩვენს ზაპარში აღარა ჩანს (Зуиха, 1970, გვ. 61).

ტრიქსტერ მელიას ძირითადად ერთი მიზანი ამოძრავებს, ის ყოველმხ-რივ ჩამოყალიბებულ სახეს ქმნის და, როგორც უკვე ვნახეთ, მრავალფეროვან სიუჟეტებში გვხვდება. ამის მიზეზი აღლათ ის არის, რომ ცხოველთა ზღაპარს მხოლოდ მოქმედების შედეგი კი არ აინტერესებს, მისი განხორციელების სა-შუალებათა მრავალფეროვნებაც იზიდავს.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ინდური ზღაპრები, მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები, თარგმნებს ა. გაგაბაძემ, გ. ჭიჭინაძემ და სხვებმა, თბ., 1970. 2. სპარსული ზეპარსიტყველების ნიმუშები, წინასიტყვობა, თარგანი და შენაშვნები 6. ბექურისა და ჯ. გიუნაშვილისა, I, თბ., 1972. 3. ტაჯიკური ზღაპრები, მსოფლიოს ხალხთა ზღაპ-რები, შეაღგინა, წინასიტყვაობა და შენაშვნები დაურთო აღ. გვახარიამ, თბ., 1972. 4. ფოლკლორული არქივი შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტი-ტუტის ფოლკლორის განციფილებისა. 5. ქართული (აჭარული) ზღაპრები, რედაქტო-რები: ალ. მსხალაძე, 6. ნოღამდევი, თბ., 1973. **6. Бобров В.**, Русские народные сказки о животных, Варшава, 1909. **7. Братья Гримм**, Сказки, Перевод Г. Петниковы, Минск, 1967. **8. Зухба С.А.** Абхазская народная сказка, Тб., 1970. **9. Мелетинский Е. М.**, Поэтика мифа, М., 1976. **10.** Проделки хитрецов, Мифы, сказки, басни и анекдоты о прославленных хитрецах и шутниках мирового фольклора, сост. вступ, статья и редакция текстов Г. А. Пермякова, М., 1977. **11.** Сборник материалов для описания и племен Кавказа. Издание управления Кавказского учебного округа, Тифл., 1881-1929.

## ეთერ თათარაიძე

### ეშმა ადამიანის ტყვეობაში

მხოლოდ სალოცავი ჯვარ-ხატი როდი ხვდება უცხო ძალის ტყვეობაში, ხორციელიც შეიძლება ჩაგარდეს დემონურ ძალთა ხელში და, პირიქით, ეშმა – ადამიანის „განკარგულებაში“.

ზურაბ კიქნაძის აზრით, „ჯვრის ტყვეობა არ არის ხალხის ფანტაზიის ნაყოფი და ის ისტორიული სიამდვილეა, ჩვენი ქვეყნის ბედუკულმართი წარსულის გამოძახილი ანდრეზებში (3,74).

„ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებში არაერთგზის არის მოთხრობილი, თუ როგორ ატყვევებდნენ უცხოტომელი მომთაბარე დამპყობლები ქრისტიანულ ხატებსა და ჯვრებს (5, 265), ხოლო მითოლოგიური გაღმიცემებიდან ცნობილია, რა სასწაულებს ხადიოდნენ ჯვარ-ხატები ტყვეობაში (გავისწენოთ ლომისი).

ასევე საურადოებოა ადამიანის ყოფნა ეშმაგის ტყვეობაში. როგორც ჯვარი, ისე ადამიანი ცდილობს, თავი დაიხსნას ჯოჯოხეთის შავბნელი ძალებისაგან, საიდანაც ის ზოჯვერ გამარჯვებულიც ბრუნდება.

ქაჯთაგან დანატყვევებ ადამიანებზე სუბრისას, ქაჯირველესად, ქაჯეთს ტყვედამყოფი მინდია გვახსენდება ვაჟა-ფშაველას პოემიდან „გველის მჭამელი“. არა მხოლოდ მინდიას ტრაგიკული ისტორიის ლიტერატურულ ვერსიაში, არამედ უამრავ ხალხურ თქმულებაშიც მინდია ქაჯეთში ყოფნის დროსაც ინარჩუნებს სიწმინდეს. ის ღვთიური იმპულსის მატარებელი გმირია, რომელიც არასოდეს ივიწყებს უფალს. მინდიას ხასიათის ამ მხარეს ვაჟა-ფშაველა ასე წარმოგვიდგენს:

„ეშველათ, ბევრჯელ ხატ-ღმერთსა  
მხურვალედ შაპველრება“ (1,9).

მაგრამ ის – „ქაჯთ მიღეთში“ მოხვედრილი, რომელიც გაივლის ბედის-წერით მისჯილ თორმეტ წელს, უნდა ეზიაროს ქაჯთა საიდუმლოს; მართალია, მინდია ეზიარება ქაჯთა საიდუმლო სიბრძნეს, მაგრამ იგი დემონური ბუნებით აღჭურვილი კი არ ბრუნდება უკან, როგორც თუშური თქმულების ერთი „ბალ-ლი“ პერსონაჟი, არამედ საკუთარ არსებაში ბოლომდე ინარჩუნებს ღვთაებრივ მაღლს.

ნანული აზიკურის მიერ ჩაწერილი ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, ცხრა წლის ტყვეობის შემდეგ ეშმაკთ ერულაში ნამყოფი ბალდი უბრუნდება ადამიანებს, მაგრამ მას თან მოჰყვება ქაჯ-ეშმაკთა ნიშნები:

„ჩემ ბებომ იცოდის, ერთ დედასავ შვილ დახარგვიყო-დ ერულაში ჩე-ბავ ეშმაკებსავ, ცხრა წლამდ აღარ გამოჩენილიყვ. მემრ მოსულიყო-დ ფრჩილებსავ ჯოხად იდგამდავ. ორ ციხეებ რომე, იმის მირ ხუჭათას დახ-კარგვიყვ, შიგავ ბარგ მალიანავ იქავ. დახლ კი დაბორტვდებოდ“.

ანალოგიური შინაარსის თქმულებები მრავლადაა, მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზანია დავაკირდეთ ეშმაკთაგან დატყვევებულ ადამიანს კი არა, ადამიანისგან დატყვევებულ დემონურ არსებებს და მათ ბუნებასა და საქმიანობას. უპირველესად საინტერესოა, რა ხერხი იცის ადამიანმა, ქართულ თქმულება-გადმოცემითა მიხდვით, არაწმინდა – დემონურ არსებათა დატყვევებისა.

ასეთი არსებები რომ მოიმადლიეროს, ადამიანი თმებს უპოხავს კარა-ქით, ერბოთი; რძით ბანს და ამთ მის ძალას „პოზიერს“ ხდის (თმა და ფრჩხილი ხომ დემონთა ძალა და სიბრძნეა, მათი საარსებო ღონეა). საპასუხოდ ასეთი არსებანი „ძხოლოდ კეთილს“ მოუკლენენ ოჯახს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თმებგაპოზილი ხთონური ეშმაკალა ადამიანმა დაატყვე-ვა. პირიქით, ასეთი ქმედების შემდეგ შეიძლება დალოცოს ოჯახი და სამუდა-მოდ გაეროოდს კიდეც: „გმატოს შენს ოჯახს შიოს მარანივითო“.

„კაცს, რომელთანაც წევს და რომლის ცოლიც თმებს რძეში უბანს, უბა-რებს ტყაშმაფა: დღეის შემდეგ გათავისუფლებ ჩემგან, ღმერთმა ხელი მოგი-მართოს ნადირობაში, შენი ნასროლი ტყვია ნადირს არ დასცდენოდესო“ (2, 14325).

თქმულება-გადმოცემების მეშვეობითვე ვებულობთ, რომ თუ ადამიანი ასეთ არსებას თმას მოკვეცს (გინდაც თმის წვერსა თუ ღერს), ეშმა უძალოა და თვისტომთა შორის დასაბრუნებელი გზა მოჭრილი აქვს. ასევე თავის მსა-ხურად აქცევს ხორციელი დემონურ არსებას იმ შემთხვევაში, თუ მას მარც-ხენა ხელის მტევანზე დაპრის ფრჩხილებს (თუნდაც მხოლოდ ნეკა თითზე მოაჭრის ერთ ფრჩხილს). არაწმინდა არსებათა ამ ნაწილებს ადამიანი გმანავს, კეტავს ხმლის ან ხანჯლის ქარქაში (უკეთესია „კაცმანაკლავ“-ი ხმლის ან ხანჯლის ქარქაში), რომელსაც ეშმაკი ვერ ეკარება.

დემონური არსება ცუდ დღეში ვარდება მაშინაც, როცა ადამიანმა იცის მისი დასათრგუნი ხერხები: მარცხენა ხელში თუ ბერა თითს (ჯიგვს) დაიმწყ-ვდევს ადამიანი, ზემწოლელა ვეღარსად მიდის, თუმცადა ცდილობს მისი ხელიდან დასხლოტომას და თავისი გულობისნობის წყალიბით არაფერს ერი-დება (თუნდაც უხერხულს), აცინებს ან მოულოდნელი ქმედებით „დამჟულნულ“ (დამუშტულ) ხელს აშლევინებს და უჩინარდება, ხატ-ღმერთის ხსენებაზე კი უწადიოდ, მაგრამ აუცილებლად „გადაიბამბლვლება“ და მსხვერპლს გაეცლება.

გაბურთ ეშმაზე არსებულ თქმულებათა ციკლის თითქმის ყველა ვარი-ანტში ჩანს, როგორ ატყუებს ალერდის მგრეხველი მთიბელი მის მბაძველ ეშმაქალს: „ალერდს აბრუნებს გაბურ და იხვევს ფეხზედ. იმ ეშმაქალამაც ფეხზე დაწყ ალერდის ხვევად. ამ კაცმ ჩქარა გაიძრინ ის ალერდი და იმ გაბურს ფოლადის ცელი სქონივა და იმას ხისა გაუკეთებავ („მზემასწვრალ ეშმასავითავ“- იციან. თუ მზე მასწრებს, ის გამოცხადდების, საფარველს ვეღარ დაიდებს. ის ვეღარ ჩაქრების, სანამ მზენ არ გადავლენ). მივიდ ეს გაბურ, დასჭრ ი ფჩხილებ, ჩაყარ კაცმანაკლავ ხანჯრის ქარქაშია და შადვ ის ჭერშია და იმას პელს ვერ მიახლებს ის“ (2, 2650).

ეშმაქალას დასატყვევებლად, რაჭული თქმულების მიხედვით, თუხი ისევ უკან ბრუნდება, ეკალ-ბარდნარში ჩამოქვეითდება, ბლომად ეკალს დაგლეჯს და ცხენს გავაზე დაკრავს, შეჯდება და მიღის. ზუსტად იმავე ადგილას გადმოუდეგება ის ქალი და ეუბნება: „თუხი, გიჯექ ცხენსაო“. სამჯერ რომ დამიძახა, ვუთხარი: „ჯექ და გადაყევი თანაო“. შეძომხვია ხელები, იმ ეკალმა აღარ გაუშვა, შინ მიყვანა მინდოლაო, ფჩხილები პქინდა თითქმის მკლავის სიგრძეთ და პირდაპირ შინ მივიყვანეო, როგორც კი შინ მივიყვანე, იმ წუთში დავჭერი ფრჩხილები და ჩამოვკიდე ჭერშო ის ფრჩხილებით. ხუთ-ექვს თვეს შინ მყავდა ეს ქალიო“ (4).

ფოლკლორული მასალიდან გამომდინარე, გარდა მათი ნაწილების მოკვეცისა და ეკლის კონაზე დასმისა, საინტერესოა ასეთი წარმოდგენაც: როგორც კი ეშმაკი „გამოგეცხადება“, თვალები აღარ უნდა დააფახულო, თორემ მას ვედარ დაიჭერ, „აი თოლები თუ დააკამურე, ვერ დაიჭერ“ (4).

„თვალის დახამსამებაზე გაქრა ეშმაკსავითო“, -ალბათ სწორედ ამის გამოა ნათქვამი.

ვარიანტთა უმრავლესობის მიხედვით, „ალერდის“, იგივე „ალდანის“ საშუალებით იჭერს გაბური ეშმას. თიბვა-ცელვა, ეშმას ხანმოკლე ტყვეობა, რაც მის ძროებით სიკვდილს უდრის, იქნებ ამ ალერდ-ალდანის (მოჭრილი, მოთიბული ბალანის გრეხილი) სიმბოლოშიც გამოიხატება?

ჩვენთვის საინტერესო სურათის ქმნიან თქმულებები, სადაც საუბარია ადამიანის მიერ დატყვევებულ ხთონურ არსებებზე. აქ სურათი სრულიად საპირისპიროა უწმინდური არსების ტყვედყოფნის ქამსაც და განთავისუფლების შემდეგაც. მიგადებოთ თვალი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თქმულება-გადმოცემებში მოტრიალე ეშმაქალებს (ამ თქმულებებში დატყვევებული დემონი ძირითადად ქალია).

როგორც უკვე ვოქვით, ადამიანი მათ ნაწილების (თმა, ფრჩხილები) მოჭრის შემდეგ იმორჩილებს, იჭერს და თავის საშასურში აყენებს, ატყვევებს, ოლონდ დაგალებას აძლევს „ეშმაკის წესზე“. როგორც „უკულმა“ აქვთ მათ კოჭები, ასევე შებრუნებით ესმით ხთონურ არსებებს ადამიანის ბრძანება. „დატყვევებული“ ხვავითა და ბარაქით ავსებს ოჯახს: უვლის საქონელს, ბავშვებს, აცხობს პურს, ქსოვს, თიბავს, მკის და დღვებს, აშენებს სახლებს და კინე-სიმაგრეებს. ერთი სიტყვით, აგეთებს ყველაფერ იმას, რაც შეუძლია გააკეთოს ადამიანმა, მაგრამ მათგან გაეკოტებული საქმე საოცრად მოსაწონა, ზედმიწევნით ხარისხიანი და, ამასთან ერთად, ბალიან მცირე დროში შესრულებული.

ტყვედყოფილ ეშმაქალოან თითქოს სამიჯურო ურთიერთობასაც აბამს მამაკაცი, მაგრამ ესეც მოჩვენებითია.

„ცოლ-ქმარნი ცხოვრობენ საბოსლოში მარტოანი. ცოლ სადამ იყვნასულ. მოვიდ ე ცოლი და ხედავს, იმის ქმარსთან ქალი წევს, ოქროს თმები აქვ ბანზე დაწყობილ. ადგ ე ქალი და ეს თმა აუკეც, ერბო წაუსვ, ის თმებ დაუხვივა და ჩაუწყვ ტახტში. ემ ქალმ ისეთ კარგებ გაუკეთ ემ ცოლს, იმოდენ

არგ, რომ ჩამასულან თავის სოფელში, ის აღარ წამახყოლივ. იქავ დარჩენილიყვ. ქსელს რო დაიქსავდ ეს ცოლ, ის ერთ დღეში გაუჭრიდ-მოურჩებოდ ყოფილამ. ერთ დღესაც ერთ ქალს უამბობს ეს ცოლ, ეგრ იყვავ ესივ. იმან მარგავ ესიცავ, ესიცავ. დახკარგ იმ ქალმ, რაიც იმისგან ხქონიყვ ნარგენ. ყველაის ბარაქა დახკარგ“ (4).

ეშმაკის, გრძელის თავის სამსახურში აყვანის საიდუმლოებას ადა-მიანი ეშმაქალისაგან ეცნობა:

„ჭონთიოელ სულთანელთ დათოსავ ოთხფურიან ცხენ ზყვანიყოვ, ერთ-თებულრიკა – ქალ ევალებ იმ ცხენის წართმად. შეიან-კარსიან სახელებიშ იყვის, ცოლ შიგის წევსა-დ ქმარ გარეთის, გამოიდ ცოლი-დ იმის ქმარსთან ქალ წევსა-დ ქოწლებ (თმები) დაბლ უწყვი. შევიდ, კარაქ გამოიღო-დ თავითა ბოლომდ გუ-პოს თმებ იმ თებულრიკას. იმათ ვერაფერ ვერ გაიგეს, იმ თებულ-რიკამ სკითხ იმის ქმარს, რო რა დავამაღლევ ისთავი შენ დაცსავ, რო თმებ დამიპოხავ, რა საქმეიც აქვავ, გაუკეთებავ. მემრ იმ ქმარს ეთქვა, რომევ დახლა დაქსულ ქსელ აქვაო-დ, სოფლის პირავ ერთ ყანაივ მოსრულივ. მემრ ეთქვავ, რომევ იმ ქსელმიავ ბეჭე შედვასავ უკუღეო-დ იმ ყანამიავ ული დადგასავ უკუღმევ. ის ეშმაკ აღარც მოსულიყვ მემრ. ერთ დილაობას გასრულიყო-დ ყანა დახტედრიყვ დასერკულ, ადგილ-ადგილ დაბულულაებულ, მომკილ“ (4).

გარდა საოჯახო, საქალო საქმეებისა (ბოსელში ნეხვისდახვეტა, ფურების წველა, კარაქის შედღვება, ყველის ამოყვანა, პურის გამოცხობა და სხვ.), ის საკაცო საქმესაც ასრულებს, თუერ მას გაშვებას, განთავისუფლებას დაპირდებას. თუშეთის ბეჭრ სოფელში ყველაზე გამორჩეულ, თლილი ქვით ნაშენ ციხეებზე და სახლებზე დღესაც თავგამოღებით ჰყებინ, რომ „თებულრიკაის აშენბულიავ“ (4).

„საყურაანთ ხყანიყვ თებჯორიკა (ამ ფორმითაც გვხვდება პერსონაჟის სახელი – ე.თ.). დღის თუერ ქსელს დიქსავენ პად უკუღმ ამაკვრენ თითებს, ქოჭ-გარას უკუღმ და უყნებენ. გაონდება-დ ქსელ გასაჭრელა-აქვ“ (4).

ასეთივე საკვირველია გაბურთ ეშმას ხელიდან მომდინარე ხვავი და ბარაქა: „ჩვეულებრივ საქმეს აკეთებდ, რასაც სხვებ აკეთებდეს, დალას რო გა-დასხმდეს, წავიდოდ ე გაბურთ ეშმა, კიდზე ყოფილამ დაწვებოდ, კრუშგაით ქაფს მახვდიდ წყალს და ამ საღლვებელთ დალაში ჩაურევდ იმას და პირდაპირ კარაქით აივსებოდ ის საღლვებელ“ (4).

„გაბურთ ეშმას“ სხვა ვარიანტებიდანაც ჩანს, რომ ეს ეშმა ხვავით ავ-სებს დამტყვევებლის სახლს. თითქმის სველა ვარიანტში ხვავი მას მდინარიდან მოაქვს: „კიდზე ყოფილამ დაწვებოდ, კრ უ შ კ ა ი თ ქაფს მახვდიდ“.

„გადაწვება თურმე კიდზე. ხედნებდ, ხედნებდ ამ წყალს და ერთ-უცბად თურმე ჩასცემდა ამ თუნგს და ამაჭრეფდა წყალს და თითქმის ცალიერა კარაქი იქნებოდა ეს წყალი“ (2, 14088).

„წავიდოდ ე ქალი და ხიდზე გადაწვებოდა, სამჯერ ამოხკრავდა წყალს ამ კელითა თუ ამ კელითა, არ ვიცი, მაიღებდა და ამ რძეში, ამ სადღვებელში და სრუ კარაქ იქნებოდა მთლიანად, იქ დოვი არაფერი დადგებოდა“ (2, 23832).

„წყალზე წავიდოდა, რძე რო ექნებოდა შესადლვები, გამასწევდა სამჯერ და ააგებდა თულუსს, წყალს აადუღებდა, გინდა ერთი ჯამი ყოფილიყო, ნახევარი კარაქი იყო, ნახევარი დოვი“ (2, 25530).

„წყალზე რო წავიდოდა წყლის მოსატანადაო, – წყლისა თულუხები იცოდნენ წინავ, – თულუსსა ხან მააცლიდაო წყალსაო. რათ აკეთებო ეგრეო, ეტყოლნენ და სუფთა წყალი უნდა ავილო“ (2, 25583).

ეს ეპიზოდი დანარჩენ ვარიანტებშიც ანალოგიურია. თითქმის ყოველ-თვის „საიდუმლო ბარაქის“ მოსატანად დატყვევებული ეშმა ქალა მიდის ხიდზე. სხვა მასალებიდან გამომდინარე, ხიდი სულაც არაა შემთხვევით მი-სასვლელი ალაგი ეშმაქალასათვის. ყველაზე უფრო სერიოზული გამოცდის ადგილია. ამ ხიდზე და ხიდის ყურეში იკრიბებიან ხიბალ-კუდიანები, როგორც „ყველაზე ნალაპ“ ადგილას, თავიანთი „სერობისა და ერობების“ დროს. ეშმა-ქალა მიდის იქ, სადაც ყველება თვისტომების საიდუმლო ძალა; საიდანაც მოიტანს თვალთმაცეცი წყლის მაგიერ რძეს და რძის მაგიერ კარაქს. ყველაზე ნალაპი ადგილი ყველაზე ნაყოფიერია. ამ მხრივ ნალაპი უპირისეპირდება წმინდა ადგილებს. ცნობილია, რომ წმინდა მამები ეკლესია-მონასტრების საშენებლად ირჩევდნენ ყველაზე მწირ და „ფეხუხვედრ“ ადგილებს, უდაბ-ნოებს, რის შესახებაც ვრცელ და საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართული აგიოგრაფია, კერძოდ, მუცადანოეთა ცხოვრებანი.

საინტერესოა, როგორ ხდება თავის დახსნა ადამიანის მიერ ეშმაკის ტყველიდან და ეშმაკისა – ადამიანისგან.

ხოგაის მინდი ქაჯითა ნაცარალაყრილ ხიდზე ფეხშებრუნებით, უფრო სწორად, „ზურგშექცევით“ უნდა გამოვიდეს, რათა მისი გამოსკლა მათი „საუფლოდან“ მათივე სამყოფლოში შესვლად ჩათვალონ.

ტყველყოფილი ეშმაქალებიც, საუბრიდან დაწყებული საქმედე, ყველა-ფერს უკუღმა ითხოვენ ადამიანისგან. მისგან ნაოჭებ „გააკეთეს“ არგაკეთებად გებულობებ და – პირუეუ. მისგან დაწყებულ საქმეს ვერ გააგრძელებენ თუ სათანადო ქმედებას არ მიმართეს: „ქსელშიავ ბეჭ შედგასავ უკუღმეო-დ იმ ყანაშიავ ულო დადგასავ უკუღმევ“ (4). ამის შემდეგ ისინი ხელ-ფეხ გახსნილ-ნია და მათი შრომის შედეგი – გამორჩეულად ხარისხიანი. აქედანაც ირკვევა, რომ ეშმაკი ღვთაებრივის წინააღმდეგია. სწორედ ამიტომ აქეს მას ადამიანის-გან განსხვავებული გარეგნობა, „კოჭუკუღმართობა“, ადამიანის საპირისპირო ქცევები და თვით აზროვნებაც კი შებრუნებული.

საინტერესოა, რ ხდება სახლში, რომელშიც ის იმყოფება, მისი ტყვეობის ჟამს: „არც ვინ ავად გახდებოდა იმათი, არც არაფერი გაუფუჭდებოდა“ (4).

ბევრ საიდუმლოსთან ერთად, ეშმა ყველა ავადობის წამლის მცოდნეცაა.

„აეშმა – ავი სული ავხორცობისა და წყრომის, მთელი თავისი სიძლიერით ეწინააღმდეგება სიწმინდეს და ერთგულებას, ანადგურებს ყველა კეთილ არსებას, ასახიჩრებს სხეულს ისრით. მისგან მომდინარეობს საიდუმლო ცოდნა და მკურნალობა“ (6, 105).

საინტერესო ცნობას ინახავს დატყვევებული დემონის „წამალმცოდნე-ობის“ შესახებ ერთ-ერთი გარიანტი ,გაბურთ ეშმასი“. წასასკლელად მომზა-დებულ,- თავის ნაწილებ (თმა და ფრჩხილები) ანაკრეფ ეშმაქალს სთხოვს ხალხი, რომ სანამ გაეყრება და სამუდამოდ დაეკარგება, ყველა საიდუმლოს მფლობელმა ასწავლოს, „სუევლაფერი წყლულებისაო რაი ასა“.

უთქამს, ეხლავე მკითხეთ, თორო როცა წაგალ, ზურგს შეგაქცევთ, აღარაფერს გეტყვითო. უსწავლებია ყველაფერი და „გატანჯულის“ (ნაბახუ-სევის) წამალი დაპვიწყებია. დაუძახებით, გატანჯულის წამალი გვასწავლეო. „პირით არ შამაბრუნვილ, ისე ქვა აუღავ დაბლიდან და თავზე დაუფშვნავ, - ქვის წა-მალი ქვა არიო, - უთქომ (ცული რო ქვაზე გაფუჭდეს, ისევ ქვაზ გალესოს (2, 25583).

თუნდაც ნაწილებანაკრეფი, ძალ-შეძლება სრულად აღმდგარი ეშმაქა-ლა სამსახურს უწევს ადამიანს მანამდე, სანამ ზურგს შეაქცევდეს, სანამ პი-რისპირ დგას, როგორც კი შებრუნდება, მას უკვე უფლება აღარა აქვს თავისი „ღვთისგან“ ამ ცოდნის გამჟღავნებისა; მზერა უკვე ხორნური სამყაროსებნ აქვს მიპრობილი და ადამიანთა სამკვიდრებლისკენ ზურგშექცეულია ანუ განშორებული (ისევე, როგორც ხოგას მინდი ტოვებს მათ ხიდზე ნაკვალევს).

„გველის ნაკმენსავ გველის შხამ შველსავ“..., „ძაღლის ნაკმენსავ ძაღ-ლის ბეწვ შველსავ“, - ნათქამია ქართულ ანდაზებში და ქვას იფშვნის ეშმაქა-ლაც თავზე და თან ამატებს: „გატანჯულიც ისევ ერთი იმავე სასმლით გამოს-წორდება, რომელმაც „გატანჯა“.

აქვე გვაგონდება „ეშმაკისთვის სულის მიყიდვის“ შემდგომი ცოდნა მურმანისა, ის თუ როგორ გაუჩნიოს ეთერს მგბენარი, რათა წარსტაცოს აქესალომში და ამ საშინელი ფინალის შემდგომ ისევ გამოიყენოს „საიდუმლო ცოდნა“ მებენარისაგან ეთერის განთავსეუფლებისა.

თუ ტყვეობაში მყოფი ეშმაკი სიკეთეს შვრება, ეხმარება ადამიანებს შრომაში, მკურნალობს მათ, საწინააღმდეგო მოვლენას ვხვდებით ჯვრის ტყვეობის ქაშს. იგი ხდება სასტიკი და დაუნდობელი.

„შენიშვნული იყო, რომ ჯვარჩენა სასტიკი მოვლენაა, სასტიკი თავად საკუთარი საყმოსათვისაც კი, თავისი უნჯი ყმისათვისაც კი, რომელსაც დაა-დებს თავის ძლიერ ხელს. მითუმეტეს, სასტიკი და დაუნდობელი უნდა იყოს ის, როცა დატყვევებულია და თავდახსნისათვის უნდა იჩინოს თავი. ჯვარჩენის ნიშნებია - და ამას ხვდება უცხო ქვეყნის მისანი - ნაყოფიერების შეწყვეტა ქვეყანაში, ადამიანთა და ცხოველთა სიბერწე, ფამიანობა და სხვა ეპიდემიები“...(3,80).

ეშმაკის ტყვეობის ქაშს არც ვინ ავად გახდებოდა იმათი, ვისგანც იყო დატყვევებულ-„დაჭერილი“ და არც არაფერი გაუფუჭდებოდა იმ ოჯახს. ასე-თი არსებების ტყვეობიდან თავდახსნის შემდეგ სურათი აბსოლუტურად იცვლებოდა: თუ ეშმას ტყვეობა საიდუმლოდ ჰქონდათ შენახული და ოჯახი-დან მისი „დახსნის“ შემდეგდა გაითქმებოდა, მასალამ დაგვანახა, რომ „ეშმაის ნასაქმარი“ და მისგან უსაზღვროდ მოტანილი ხვავ-ბარაქა და სიმდიდრე საი-დუმლოს გათქმისთანავე უპვალოდ უქრებოდა ოჯახს: „ერთ დღესაც ერთ ქალს

უამბობს ეს ცოლ, ეგრ იყვავ ესივ, იმან მარგავ ესიცავ, ესიცავ. დახტარგ იმ ქალმ, რაიც იმისებან ხქონიყვ ნარგენ, ყველაის ბარაქა დახტარგ“ (4).

ეს კიდევ არაფერი, ტყვეობიდან დემონური არსების წასვლა უსასტიკეს ნაგვალევს ტოვებს ზოგჯერ წასვლისთანავე და ზოგჯერ მოგვიანებით; ზოგ-ჯერ ოჯახის ერთ-ერთ წევრზე და ზოგჯერ მთელ „გვარ-ბიძაშვილზე“.

გნახოთ, რა სახის სისასტიკესა და შეღეგმებთან გვაქვს საქმე, რას ინახავნ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის თქმულება-გადმოცემათა ფარული ფენები.

„ამ ხალხში (კაპასებში- ე.თ.) ყველა შავი ძალები, რომლებსაც მოაქვთ ავადმყოფობა და სიკვდილი, წარმოლგენილი არიან ქალური სქესის არსებებად“ (8, 151-152).

და კიდევ: „საერთოდ, მისტიკური გააზრებით,ქალური საწყისი ბნელია, ვაჟური – ნათელი“ (7,80).

საინტერესოა, რა ხერხით იხსნიან ეშმაკები თავს ტყვეობიდან. ისინი პატარა ბავშვების ანუ ყველაზე უცოდველი არსების ცდუნებას ცდილობენ იმ დღის, როდესაც ოჯახში უფროსები არ არიან. ამდენად, თუ ეშმაკი, დემონური არსება ირჩევს ყველაზე უცოდველს, ჯვარ-ხატი – პირქით, ყველაზე ცოდვილს და დაცემულ ადამიანს, რომელსაც განსაკუთრებულ სასჯელს მოუვლენს ხოლმე.

ეშმაკები ბავშვებს სთხოვენ კაცმონაკლავი იარაღის ქარქაშს, სადაც მათი სხეულის ნაწილებია „დატყვევებული“; სთხოვენ, რომ თავ-თავგვე და-ატრიალონ და წამოყარონ. თავად ისინი იარაღს უფრთხისან, მითუმეტეს „კაც-მანაკლავს“ ვერ გაეკარებათ. ისხამენ სხეულის დაკარგულ ნაწილებს და სწორედ აქედან იწყება მათი „ბრჭყალების გამოჩენა“. სიავის ჩადენის, უბე-ღურების მისჯისა და მოლოდინის განჩენებს თავადვე გათქმამზნ ეშმანი: „ჩეგნ ღვთისაგან გვაქვ დაწერილ, დაუწყევრადა და უნებლად ვერ გაგვყრებით ადამიანს“ (4).

რაცი „თავის ღვთისაგან“ დაბედებულ-დაწერილი აქვს, რაც უნდა კმა-ყოფილი მიღიოდეს დამტყვევებულის ოჯახიდან, უფლება არა აქვს, არ დაწ-ყევლოს. სხვა რომ ვერაფრით გაიჩქერებს (გაიმტებს), დაიბარებს: „თქვენს ცეცხლსაო სინათლე ნუ ექნებაო“ (4).

რაჭული თქმულების ტყვე ეშმაქალი, მიუხედავად იმისა, რომ აკვანში მწოლიარე ტყვების თვალთახედვას გაყოლილი იაოვის თავის დატყვევებულ ნაწილებს, დაიბრუნებს ქაურ ძალმოსილებას, უმანკო არსებებს აკუწავს და ძღუდარეში ყრის; უფრო მეტიც, იძღნადაა დარწმუნებული თავის ეშმაურ ზვაობაში, რომ ხატის – კვირაცხოვლის კარზე მიდის და ქვეტექსტით თავის დამტყ-ვებულს უსამნლეს ამბავს ამცნობს: „თუხი, წყალი დუღს, ხორცი იქლამვისო“ (4).

ამით ეშმაკმა სასტიკად იძია შური თავის დამტყვევებულ თუხიზე.

რაჭული თქმულების მსგავსი დასასრული აქვს მთიულეთის სოფელ მაქართაში ჩაწერილ ერთ ამბავსაც. ავსული აპირქვავებინებს ხმალს, აისხამს თავის ფრჩხილებს და თავის მშველელ ბავშვს ეუბნება: „ხო არაფერი დაგი-შავებიათ ჩემთვინაო, წითელ პერანგს მოგცემთო, გამოუსვა ფრჩხილი და დააგდებინა თავი, ადგა და წავიდა“ (4).

უკანაფშავის სოფელ ელიაგზაში ჩაწერილი ტექსტი კი ასე მთავრდება: „ქარქაშს გამოსწიე, წითელ პერანგს ჩაგაცვამო“, – ბალლს ეუბნება. შამოყარა ფრჩხილები, შაუსხამ ფრჩხილები, ბალლი გაუკაწრა. წავიდა ეშმაკი. ბალლი დარჩა დაკაწრული“.

როგორც თქმულება – გადმოცემებიდან ირკვევა, იმ სახლში, სადაც ეშმაკი ტყვედ იმყოფება, გათავისუფლების შემდეგ იგი ტოვებს ნაკვალევს. ოჯახის რომელიმე წევრს კლავს, ადგს ნიშანს, ან წყევლის მათ.

თავისი წყევლით ეშმა-ქალი აუშორებდელ განაჩენს უტოვებს დამტყვევებელ ოჯახს. უფრო ხშირად ვაჟს წყევლის ალბათ იმიტომ, რომ კაცს ძნელად აცდუნებს, ქალს კი უფრო იოლად (მის დატყვევებულ ნაწილებს, უმეტეს შემთხვევაში, ქალი აბრუნებს). ამიტომაც, ქალი ებედება ასეთ გვარს და რჩება უძრო-უმეტყვიდრეოდ.

როგორც გხედავთ, ტყვე ეშმაკი მძღნვარე შურისგებით სჯის ოჯახს. ხშირ შემთხვევაში კი საშინელ წყევლას უტოვებს მას.

გარდაუვალია ეშმაქალას წყევლა; მიუხედავად იმისა, რომ ოჯახი მდიდრად და ბელნიერად ცხოვრობს, ამ ოჯახის დღე-ყოფა გაუთავებულ შიშსა და ავის მოლოდინში გადის.

თუკი ეშმაქალა ოჯახიდან წასვლის წინ ლოცავს მამრს, ვინც ნაწილებს (თმა, ფრჩხილები) უბრუნებს, სამაგიეროდ წყევლის მდედრს, ვისაც ვერ აცდუნებს, ანდა პირუჟუ – წყევლის მამრს და ლოცავს მდედრს.

ასეთი უამური და მძიმე კვალ-სენ-სარიჯლის დამტოვებელია თუნდაც წლობით ადამიანის სამსახურში მდგარი, მისთვის ხვავ-ბარაქისა და სიმდიდრის მომტანი, აგადიბისა და სხვა არასასურველი ამბების ამრიდებელი ტყვედ-ნამყოფი დემონი.

ეშმაკი დროებით დგება ადამიანის სამსახურში, რაც იძულება მისთვის, ის მაქციაა, მიწის გულის საიდუმლოს მცოდნე და ყოველთვის თვალგულ მიპყრობილი თავისფერთა სამყოფლოსკენ; სულ იმის ცდაშია, თავი დაიხსნას ადამიანის ტყვეობიდან (და იხსნის კიდეც), რათა ისევე შეერიოს თავისიდართა ერულაში და თავის „ღვთისგან“ განჩინებული ადათ – წესის ერთგული დარჩეს.

ჯვარი ტყვეობის დროს არის სასტიკა და დაუნდობელი. საშინელი და მრისხსნეა მისი სასჯელი. ტყვეობიდან გამოსვლიას კი დამტყვევებლებში მთავრდება ეპიდემიები, უნაყოფობა და მშვიდობას ეწევიან ისინი. ეშმაკი კი „ადამიანთაგან გამოსვლის“ შემდეგ ანუ ტყვეობიდან თავდაღწევის დროსა და განთავისუფლების შემდეგ იწყებს თავის სატანურ მოქმედებას.

**დამოწერებული ლიტერატურა:** 1. ვაჟა-ფშაველა, თხ. ტ. IV, თბ., 1964. 2. თსუფა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი). 3. კინაძე ზ., ქართული მთავრდება კიდევმიები, უნაყოფობა და მშვიდობას ეწევიან ისინი. ეშმაკი კი „ადამიანთაგან გამოსვლის“ შემდეგ ანუ ტყვეობიდან თავდაღწევის დროსა და 8. Томсон Дж., Исследования по истории древнегреческого общества, М., 1958.

## შარლოტა კვანტალიანი

### დევის ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“

ქართული ჯადოსნური ზღაპრის მოტივები „ვეფხისტყაოსანში“ რუსთველოლოგთა და ფოლკლორისტთა მიერ კარგად არის შესწავლილი, მაგრამ დევს, ვგონებ, ამ კუთხით, ადრე არავინ შეხებია.

პოემაში დევი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო და უჩინარია. იგი ნაწარმოებში გამოჩენისას უკვე დამარცხებული და მოკლულია, მაგრამ მასთან დაკავშირებული საგნები განაგრძობებ „სიცოცხლეს“ და დიდ როლსაც ასრულებენ პოემის სიუჟეტის განვითარებაში.

მიუვეოთ თანმიმდევრობით. ნაწარმოების მთავარი გმირები რომ ჩვეულებრივი ადამიანები არ არიან, ეს სადაცო აღარავისთვის ადარ არის; პოემის შინაარსი სრულებით არ უშლის ხელს იმას, რომ ბუნებრივად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ზღაპრული და რეალისტური მოტივები. ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ლეთისშვილები არიან, როგორც კოპალა და იახესარი და, ამდენად, „ლეთისაგან შათვლილნი“ ანუ „დავლათიანნი“ („იახესარი ანგელოზი იყო და ანგელოზად ჩამოვიდა ციდად... იახესარი გადის პირდაპირ და ულებს დევებს“. გაუაფშაველა, ტ. V).

ამგვარი პიროვნებების ამქვენიური მისია სიკეთის სამსახური და ბოროტების დამარცხება. „ვეფხისტყაოსანში“, ჯადოსნური ზღაპრების მსგავსად, ბოროტებას დევები და ქაჯები განასახიერებენ. კონკრეტულად რა ბოროტებას სხადის ან ერთი ან მეორე, ეს ნაწარმოებში არ ჩანს, მაგრამ აპრიორულად არის მიღებული მათი ბოროტება. „ფშავლებს დევები ბოროტმოქმედებად ჰყავთ წარმოდგენილი და არა კეთილ სულად, როგორც ინდოელებს“ გაუაფშაველა, ტ. V).

დევი ტარიელმა ავთანდილთან პირველი შეხვედრისას ახსენა:

„ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვენ, დევთა შეეკაფნეს,  
შემომებნეს, ამოეწყვიდენ, ყოლა ვერას ვერ მეხაფნეს,  
მათ მონანი დამიხოცნეს, ჯაჭვნი ავად მოექაფნეს,  
საწუთორომან დამაღრიჯა, ცქაფი მისნი კვლავ მეცქაფნეს.“

ამის მეტი, პირველ შეხვედრაზე, დევების შესახებ არაფერი თქმულა.

ქაჯების ბოროტება ამ პოემაში ნესტანის შეპყრობითა და დულარდუხტის მიერ მისი ძალდატანებითი დანიშვნით გამოიხატა, მაგრამ ასევე მოექცენ მას გულანშაროში: მთვრალმა უსენმა აღთქმა გატეხა და მზეთუნახავი ქალი ნივთივით აჩუქა მეფე მელიქ სურხავს, რომელმაც, ასევე ნესტანის სურვილის გაუთვალისწინებლად, დანიშნა იგი თავის ვაჟზე. მოტივიც ერთი და იგივეა – პატრონის გულის მოგება და კეთილგანწყობის მოპოვება. ადამიანის თავისუფლების ხელყოფა უდიდეს ბოროტებად არის პოემაში მინეული და ბოროტების სიმბოლოდ სახელდებული ქაჯების დანაშაულიც ეს არის. რითაა მათი დანაშაული გულანშაროელთა დანაშაულზე მეტი? საინტერესოა ისიც, რომ ქაჯების დამარცხების შემდეგ, მათი აურაცხელი ქონება რაინდება სწორედ მელიქ სურხავსა და ფატმანს აჩუქეს...

ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი, რა თქმა უნდა, ის „მითოლოგიური ცოდნაა“, რომელსაც ფლობს პოემის ავტორი. დევები და ქაჯები ხორცული არსებებია, ბოროტი სულები და არა აქვს მნიშვნელობა, ისინი მოცემულ მომენტში ჩაიდენენ რაიმე სიავეს თუ არა, ისინი თავისთავად არიან ბოროტები, ხოლო გულანშაროელი ვაჭრები გულდედალი და მიწიერ სიამეთ დაწაფებული ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მათთვის არავერი ადამიანური უცხო არ არის, მათ შორის, ზოგჯერ, ბოროტების ჩადენაც, რასაც შემდეგ გულწრფელად ნანობენ და ჩადენილი ცოდვების გამოსწორებას ცდილობენ. ამგვარი რამ კი ხორცული არსებების-თვის უცხო და მიუღებელია.

გულანშაროდან მობრნებულმა ავთანდილმა ნესტანის შესახებ სანატრელი ცნობა ჩამოიტანა და ტარიელის სიცოცხლეს კვლავ აზრი მისცა; ტარიელი ისევ გაიხსენებს დევებს და ამჯერად ამგვარ ცნობას აწვდის ძმადნაფიცს:

„გიამბობ რასმე ამბაქსა, მოამბედ ნუ გენასები:

მე ოდენ ქვაბნი წაგუხვენ, დაგხოცე დევთა დასტები,  
მას აქეთ მათი აქა ძეს საჭურჭლე ძვირ-ნაფასები.“

ტარიელი არ ტრაბახობს „დევთა დასტების დახოციოთ“, ეს მას იოლად მოუხერხებია, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ეს ბოროტი დევები, გარდა იმისა, რომ ფიზიკურად ადამიანზე გაცილებით ძლიერები იყვნენ, კიდევ „განძის მცველებიც“ ყოფილან, ადვილი წარმოსადგენია, რა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართებოდა მათ შორის (განძის მცველ ბოროტ სულებზე მსჯელობისას, ქართული ფოლკლორის გარდა, შეიძლება გაგვეხსენებინა „ფაუსტის“ ლეგენდა, ლიტერატურულ კლონი და სხვა).

ამ ბრძოლის აღწერაზე რუსთაველი დროს არ კარგავს; გარევულ დრომდე, ტარიელს არც გახსენებია, რომ ორმოცი ოთახი, „ძვირ-ანაფასები საჭურჭლით“ გავსებული, ჯერ ისევ დაპეტილი იყო. მანამდე სიცოცხლეს აზრი არ ჰქონდა, არც განძი სჭირდებოდა გმირს, მაგრამ უამი რომ მოვიდა, მაშინვე გაახსენდა და ავთანდილი მიიწვია დევთაგან დანატოვარის სახახავად:

„მე აგრე არა მინახავს, მართ ვითა არა მნდომია;

მოდი და გავსენაო, შევიგნეთ, საჭურჭლე თუ რა ზომია.“

ეს, „დრო-უამამდე“ უსარგებლოდ მყოფი, დაპეტილი კარები და განძით გატენილი ორმოცი ოთახის ამბავი ერთი ცნობილი ხალხური ლექსის მისტიკურ განწყობას ეხმიანება:

„რა ვქინისა“ ციხე ავაგვ,

ჯავრი შევაბი კარადა,

საიქიოდან მოიღენ

ამ ციხის სახახავადა.

ბევრი უარეს ციხესა,

კარ ვერ გატეხეს ძალადა,

მემრე თქვეს: დრო რომ მოალის,

კარ გაიღების თავადა.“

ეს „დრო“ (უამი) „ვეფხისტყაოსნის“ გმირებთანაც მოვიდა;, დრო, როცა მიეცა მოქმედების აზრი, როცა გაჩნდა რეალური შანსი, „გველის მიერ ჩანთქმული მთვარე“ ქაჯეთის ციხიდან გაეთავისუფლებინათ. დვთის რჩეულობისა და უფლის აშეარა თანაგრძნობის ნიშანი იყო ჩამალული აურაცხელ საგანძურში:

„შიგან ერთი კიდობანი დაბეჭდული, არ გახსნილი,

ზედ ეწერა: „აქა ძეს აბჯარი საკვირველიო,

თუ ქაჯნი დევთა შეებნენ, იყოს დღე იგი მნელიო!

უმისეამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკვლელიო.“

საინტერესოა, რატომ არ გამოიყენეს ეს „ალმასი ხრმალი ბასრისა“ დევებმა ტარიელის წინააღმდეგ, რატომ შეაკლეს თავი და ხელუხლებლად დაუტოვეს იმგვარი იარაღი, რითაც ადვილად დამარცხდებოდნენ ქაჯები; სწორედ ამ ეპიზოდში ჩანს რაინდოთა დვთის რჩეულობა. ისევე, როგორც კოპალა და იახსარი (დვთის-შვილები) არიან „დევების მებრძოლები“ და მხოლოდ მათ ძალუბთ, როგორც რჩეულებს, ბოროტების დამარცხება, ტარიელიც „დევების მებრძოლია. გავიხსენოთ ამ თემაზე შექმნილ მრავალ ლექსთაგან ერთი ხალხური:

„დევს მაუქნიე საგმირო,

კლდეს მააფარა თავიო,

კლდე თოხად გავანათოსე (გავაპე)  
 დევს გამოვსთხარე თვალიო,  
 წაწადის ტბაში ჩავარდა,  
 მიძრნა და მოძრნა ტბანიო,  
 დვთისაგან ვიყავ შათვლილი,  
 თან ჩავყვე იახსარიო,  
 დევი მოვიგდე ტბაშია,  
 თავს დავამტვრიე ფარიო.“

ამ ლექსში აღწერილი ამბავი თითქოს ტარიელს გადახდა თავს. აქ საყურადებოა შემდეგი პასაური: „დევს მაუქნიე საგმირო, კლდეს მააფარა თაგო“. ტარიელის დევიც კლდეშია თავშეფარებული და მეორე – „დვთისაგან ვიყავ შათვლილი“. ტარიელიც დვთისაგან იყო, ალბათ, „შათვლილი“, თორემ ასე ადვილად „დევთა დასებე“ ვერ დაამარცხებდა; აქვე დავუმატოთ, განსაკუთრებით ვერ დაამარცხებდა „განბის მცველ“ დევს, რომელიც საგანძურში ბოროტების მოსპობის იარაღს ინახავს და ამიტომ არის უფრო მეტად ძლიერიც და აგრესიულიც. რუსთაველი ამაზე არ გველაპარაკება, ეს მოტივი იმდროინდელ საქართველოში, ალბათ, იმდენად გავრცელებული და პოპულარული იყო, რომ საჭიროდ არ თვლის ამაზე ილაპარაკოს (როგორც არ თვლის საჭიროდ განმარტოს მრავალი რამ იმდროინდელი საზოგადოებისათვის სრულიად ბუნებრივად მისაღები, რომელთა შესახებაც დღეს ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქს, მაშინ როცა ხალხურმა სიტყვიერებამ დღემდე თითქმის ხელუხლებლად შემოვგინახა მრავალი მასალა, რომელიც რვა საუკუნის წინათ დაიბადა).

შოთა რუსთაველი დევებთან ბრძოლის შედეგებზე გვიამბდობს და არაორაზოვნად ამხელს, რომ ამ საქმეში დვთის ხელი ერია; კვლავ მივყვეთ ამბავს: უკვე ითქვა – თუ ქაჯები დევებს შეებიან, შევი დღე გაუთენდებათო, მაგრამ კიდობანის გახსნა „უმისუამისოდ“ არ შეიძლებაო. როგორც ვხედავთ, დრო მოსულა;

„კიდობანი გახსნება, პოვეს მუნ აბჯარი სამი ტანი,

რასაცა ვით შეიმოსენ მეომარნი სამნი ყმანი“.

საეჭვოა, ეს „სამი ტანი აბჯარი“ დევებისთვის ყოფილიყო განკუთვნილი. იგი რომ სწორედ დვთისაგან რჩეული „სამი გმირი მნათობისთვისაა“ გადანახული, ავთანდილი და ტარიელი თავადაც აღნიშნავენ:

„თქვეს: „ესე ნიშნად გეეყოფის, ვართო კარგისა ბედითა, დმერთმან მოგვხედნა თვალითა, ზეგარდმო მონახედითა“.

„ეს ბრძოლის დაწყების ნიშანი“ იყო სწორედ ბოროტების დამმარცხებელი დვოისაგან თავიდანვე ნიშანდადებული, „შათვლილი“, გნებავთ „დავლათიანი“ გმირებისათვის და, ამავე დროს, იმედი, რომ ღმერთი ზეგარდმო მათ კეთილი თვალით უყურებდა, როგორც რჩეულებს, როგორც დვოისშვილებს.

ამრიგად, დევი, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ თითქოს არცა ჩანს, თავისი „უჩინარი“ ფუნქციით დიდი მნიშვნელობისაა. იგი, ერთის მხრივ, აახლოებს პოემის მხატვრულ-ესოეტიკურ ქსოვილს ხალხურ სიტყვიერებასთან, მეორეს მხრივ, გვეხმარება პოემის გმირთა ფსიქოლოგიური პორტრეტის სრულყოფაში. დევბთან ანუ ბოროტ ძალებთან მებრძოლი გმირის იდეალი რომ არ სებობდა საქართველოში, ამის საიდუსტრაციოდ მხოლოდ „ამირანის მითიც“ იქმარებდა, მაგრამ ზეპირსიტყვიერი მასალა ამის გარდაც მრავალი მოიპოვება ფშავ-ხევსურულ, სვანურ, მეგრულ ოუ სხვა კუთხების ფოლკლორში. ხალხურ თქმულებებში და პოეზიაში გაბატონებული აზრი, რომ დევების და განსაკუთრებით კი „განდის მცენელი დევების“ დამმარცხებელი გმირები არ არიან ჩვეულებრივი ადამიანები, რომ ისინი განსაკუთრებული ძალისა და მაღალი ზნეობით გამორჩეული პიროვნებები არიან. „ვეფხისტყაოსნის“ რაინდებსაც დვოისშვილთა შორის მოგვააზრებინებს.

## დალილა ბედიანიძე

### „ნაცარქექია“ (ტიპოლოგიური პარალელები)

„ნაცარქექია“ ერთ-ერთი პოპულარული ზღაპარია ქართულ საზღაპრო ეპოქი. იგი საყოფაცხოვრებოა და მისი სიუჟეტი გახვდება თურქულ, ადი-ლურ, უბანურ, რუსულ, ტაჯიკურ ზღაპარებში (შესაძლოა სხვაგანაც, მაგრამ ჩვენ ამჯერად ზემოთ დასახელებული ქვეყნებით შემოვიწარგლებით). ქართულ „ნაცარქექია“ ასეთია:

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რძალ-მაზლი. მაზლი საშინელი ზარმაცი და ზორბა ტანისა იყო. არაფრის გაკეთება არ შეეძლო. სულ ბუხართან იჯდა, ხელში ჩიხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა, ამის გამო ნაცარქექია დაარქვეს. რძალი ბევრს ეცადა, ნაცარქექია სამუშაოდ გაეგდო, მაგრამ ამაოდ ერთხელ აღდგომის წირვაზე ნამყოფი ნაცარქექია რძალმა შინ აღარ შეუშვა. ნაცარქექიამ რძალს საგზაოდ გამოართვა ერთი გუდა ნაცარი, სადგისი და ახალი ყველი და გზას გაუდგა. გზად დიდ წყალთან ერთი უშველებელი დევი დაინახა, რომელიც წყალს დასწავლებოდა. ძალიან შეეშინდა, მაგრამ რას იზამდა! იფიქრა და ბოლოს ეს მოიფიქრა, გავილი და მტვერს დავაყენებო. გუდას სადგისი უჩხვლიტა და საშინელი მტვერი დააყენა. დევი შეშინდა და გაოცდა, ქვა აიღო და გამოსახახა: აბა, ამ ქვას წყალი გამოადინეო. ნაცარქექიამ ახალი ყველი ამოიღო, წყალი თქრიალით გამოადინა და დევს შესძახა – წყალგაღმა გამიყენეო. დევმა ნაცარქექია მხარზე შეისვა და უთხრა, ძალიან მსუბუქი ყოფილხარო. ეს იმიტომ, რომ ცალი ხელი ცაზე მაქვს მოკიდებულიო-თქვა ნაცარქექიამ. გაუშვი ცას ხელიო, – უთხრა დევმა. ნაცარქექიამ სადგისი ამოიღო და დევს კისერში ჩაურჭი. დევმა ტკივილისგან იყვირა და უთხრა, ისევ ცას მოჰკიდე ხელიო. გაღმა რომ გავიღნენ, დევმა ნაცარქექია სადილად თავისთან მიიპატიუა. ნაცარქექიას შეეშინდა, მაგრამ გაჰყვა. დევის სახლი მას ძალიან მოეწონა. დაინახა, ვეება კეცი ბუხარში იყო შეგდებული, ხმიადი ცხვებოდა. დევი სადილის მოსამაზადებლად წავიდა და ნაცარქექიას დაუბარა, ხმიადი არ დაწვაო. ნაცარქექიას ხმიადის გადაბრუნება უნდოდა, მაგრამ კეცი გადმოუბრუნდა და ქვეშ მოჰყვა. ვერაფრით ვერ გამოძვრა კეცის ქვემოდან. დევები შეგიდენ ოთახში და გაეგირდნენ, როცა კეცის ქვეშ მოყოლილი ნახეს. ნაცარქექიამ ერთ დევთაგანს უთხრა, მუცელი მტკიოდა და თბილი კეცი მუცელზე დავიდე, ახლა კარგად ვარ და აიღეო. დევმა კეცი აიღო.

სუფრას რომ მიუსხდნენ, დევებს ღვინო შემოელიათ და ნაცარქექია დიდი კოკით გაგზავნეს, ეზოში ქვევრია, ღვინო ამოიღე და მოგვიტანეო. ნაცარქექია გავიდა და დიდხანს აღარ დაბრუნდა. დევებმა მიაკითხეს და ნახეს, ნაცარქექია ქვევრს ძირს უთხრიდა – სჯობია, მთლად ამოვიღოთ ქვევრი,

თორემ პატაწინა ხელადით ღვინის მოტანა ადამიანს მოსწყინდება. დევებმა იფიქრეს: ცხრა ძმამ ძლიერ ჩავსვით ცარიელი ქვევრი, ეს კი მარტო აპირებს სავსე ქვევრის ამოღებასო და შეფიქრიანდნენ. სადიღად რომ ისხდნენ, ერთმა დევება დაახველა და ნაცარქექია ჭერს მიეკრა, ჭერის კოჭს მოეჭიდა. მანდრას აკოტებო, ჰეკითხეს დევებმა. როგორ გაბედეთ ჩემს წინ დახველება, ეს წკეპლა უნდა ჩამოვიდო და გვერდები აგიწვათო-უთხრა ნაცარქექიამ. დევები შე-შინდნენ: ცხრა ძმამ ძლიერ მოვიტანეთ თითო ზე, ეს კი წკეპლას ეძახისო. შეშინებული დევები გაფანტნენ. ნაცარქექია დევების რჯახს დაუპატრონა. ერთ გაქცეულ დევს გზად მელა შეხვდა და ჰეკითხა, საით მირბიზარო? დევება ყველაფერი უამბო. მელას გაეცინა: ის ნაცარქექიაა, საცოდავი კაცი. უქნარობისთვის რძალმა გამოაგდო. მათ მთელი ქათმები გავუჩანაგე და კარგად ვიცნობ. წამოდა, მაგ ლააჩარმა როგორ შეგაშინაო! დევება უთხრა, ვერ გენდობიო. მელა შეეხვეწა და დევი დაითანხმა, ოღონდო, უთხრა დევება, რომ არ მიღალატო, თვეით წელზე გამომებიო. ასეც მოიქცა მელა და გასწიეს დევის სახლისაკენ.

ნაცარქექიამ ისინი დაინახა და ძალიან შეეშინდა, მაგრამ რაღას იზამდა! მაშინვე კარში გამოუეტა და მელას დაუხახა: შე საძაგელო, -ჩემი თორმეტი დევი გემართა და ზედ მარტო ერთი მოგყავსო?!

დევს ისე შეეშინდა, რომ თვეით დაგლიჯა, მელა სულ მთლად დაფლითა და თვითონ ცხრა მთას იქით გადაიკარგა. ნაცარქექიამ დევების სარჩო და სიძიდერე სულ მთლად აქლემებს აპილა და თავის რძალთან წაიღო, რძალი გაამდიდრა და დაიწყეს ტებილი ცხოვრება (ხალხური სიბრძნე, ტ. II, ნაგადული, თბ., 1964, გვ. 176-179).

ამ ზღაპრის სხვა ქართული ვარიანტით ნაცარქექია არა რძალმა, არა-მედ მეოჯახე ძმებმა გააგდეს სახლიდან უქნარობისთვის. ეს ვარიანტი სხვაობას არ იჩენს ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ „ნაცარქექიასთან“, გარდა იმისა, რომ აქ ნაცარქექია არა სადგისით, არამედ შვინდის გამხმარი ჩხირით მოქმედებს და ძმები ჰყავს, რომელთაც დევის (დევი აქ ერთია) ქონება შესძინა, გადაულოცა და თვითონ კი ისევ ჩხირით ნაცრის ქექა განაგრძო კერაზე („იყო და არა იყო რა“, ნაგადული, თბ., 1977, გვ. 233-237).

ამავე სიუჟეტზეა აგებული თურქული ხალხური ზღაპარი „შვიდი დევი“ (თურქული ზღაპრები, ნაგადული, თბ., 1972, გვ. 285-288): ერთი უქნარა კაცი ორმა ცოლმა ლუქმაპურის საშონელად გააგზავნა. კაცმა ცოლს საგზალი დაამზადებინა – გუდა მოატანინა, ძირში ერთი კვერცხი ჩადო, ზედ ნაცარი მოაყრა და საჭმელი ჩაიწყო. იარა, იარა და მიადგი იმ ადგილს, სადაც შვიდი დევი ცხოვრობდა. გზაჯვარედინზე ერთი დევი შემოხვდა. გაქცევა გვაან იყო. დევება ვინაობა ჰეკითხა. კაცმა უთხრა – მე განთქმული ფალავანი ვარ, შენი ქება გავიგონე და სანახავად წამოვედიო. მოღი, ერთმანეთს გავეჯიბროთ – გზაზე გაქცეცი. თუ ისეთ მტვერს აყენებ, რომ ვეღარ დაგინახო, მაშინ დავიჯერებ შენს ღირსებასო. დევი გაიქცა, მაგრამ მტვერი ვერ აადინა. კაცმა უთხრა, აბა, თეთრ ქვას ხელი მოუჭირე, წვენს თუ გამოადენო. დევება ქვას წვენი ვერ

გამოადინა. კაცმა გუდას დანით უჩხვლიტა, გაიქცა და გზაზე ნაცრით ისეთი კორიანტელი დააყვნა, აღარ ჩანდა. მერე კვერცხს ხელი მოუჭირა და დევს უთხრა: აი, თეთრ ქვას წყალი გამოვადინეო. დევმა კაცს სთხოვა, დავმეგობრდეთო და შინ წაიყვანა თავის ძმებთან. დევებს სტუმარი თვალში არ მოსდიოდათ და მისი თავიდან მოშორება განიზრახეს – მთაში გაგზავნეს შეშის ჩამოსატანად. კაცმა რაც კი იმ სოფელში მხვილი თოკები იყო, ყველა მოითხოვა – ერთმანეთზე გადავაბამ, ერთ ბოლოს სახლის ბომს გამოვაბამ, მეორეს მთას შემოვახვევ, მერე თოკს მოვწევ, მთას მოვგლევ და ტყანად ჩამოვიტანო. დევები შეშინდნენ და მისი მოკვლა გადაწყვიტეს. ერთ ღამეს ერთი ღიადი კუნძი კაცის საწოლთან დააგდეს. ყველამ რომ დაიძინა, კაცმა კუნძი ლოგინში შეაგრია, თვითონ კი დაიძალა. შუალამისას დევები მივიღნენ და რკინის კეტები დაუშინეს კაცის ლოგინს. დილით ხედავენ, რომ კაცი ლოგინში წამოქვდარა – წუხელ რწყილები დამესივნენ, არ მომასევნეს და ადრე ავდექიო. დევებმა იმსკელეს, კაცს ერთი გუდა ოქროთი გაუვსეს და შეშინგბულებმა შინ გაისტუმრეს. იმ დევმა, რომელიც პირველად შეხვდა, იგი სახლამდე მიაცილა. შევიდნენ სახლში და კაცი დედაბომს დაებდაუჭა – ერთი უხეირო ცოლი მყავს, ამ ბოძით თავი უნდა გაუხეხეთქოო. შეშინებულმა დევმა შინ გაკურცხლა, მმებს ყველაფერი უამბო და დაუმატა – კიდევ კარგი, დროზე მოვიცილეთ თავიდან, თორუებ ცოცხლებს არ გაგვიშვებდათ. ღარიბმა კაცმა თავისი ჭკუთ და მოხერხებით ნაშოვნი ოქრო კარგად გამოიყენა.

ჩაეხედოთ უბისურ ზღაპარს „ბერიკაცი და დევი“ (ეს დევი ზღაპრის რუსულ თარგმანში თარგმნილია როგორც გოლიათი, რაც უფრო შეესაბამება სიმართლეს, რადგან უბისურ ფოლკლორში დევი არ გვხვდება, განვგდება გოლიათი): იყო ერთი ღარიბი, მოხუცი ცოლ-ქმარი. ცოლმა ქმარი დევებთან გაგზავნა, ცოტა ოქრო მოიტანეო. კაცმა საგზლად გუდით რამდენიმე წველა ახალი ყველი წაიღო და დევების ქვეყნისკენ გასწია. მიადგა ერთ ღია მდინარეს და გაღმა ნაპირზე ჩამოქვდარი დევი დაინახა. გამოდი, ამ წყალზე გადამიყვანეო, გასხახა ბერიკაცმა დევს. დევი გაბრაზდა, როგორ მიბედავო?! ბერიკაცმა გუდიდან ერთი წველა ყველი ამოიღო და დევს დაანახვა – ამ ქვას ხომ ხედავ, ამასავით გამოგადენ წვენსათ. ყველს ხელი მოუჭირა, წვენი გამოადინა და მოისროლა. დევმაც აიღო ქვა, მაგრამ წვენი ვერ გამოადინა. შეეშინდა, ბერიკაცი გაღმა გაიყვანა, დევების ქვეყნაში მიიყვანა და თავის დედის ძმებს მიჰვარა. ამათ არ მიიღეს ბერიკაცი. მერე დევმა მამის ძმებს მიუყვანა იგი. არც ამათ მიიღეს. ბოლოს შეისვა დევმა ბერიკაცი ზურგზე და თავის შვიდ ძმასთან მიიყვანა. ძმებმა ბერიკაცის ღამით დამდუღვრა გადაწყვიტეს. ბერიკაცმა ყველაფერი გაიგონა, ღამით თოახიდან ჩუმად გავიდა და დაიმალა. დევებმა მის თოახში მდუღარე წყალი შეასხეს. დილით ბერიკაცი ისევ იმ თოახში შებრუნდა და დევების შეკითხაზე, ხომ არაფერს შეუწუხებისარო, უპასუხა, არაფერს, ოღონდ კისერი მექავებაო.

დევებმა მეორე დღეს იგი ტყეში წაიყვანეს შეშის მოსატანად, თან ბერიკაცის თხოვნით თოვი წაიღეს. დევებმა თითო ხე ძირფესვიანად მოგლიჯეს და უკან დაბრუნება დააპირეს. ბერიკაცმა სთხოვა, ერთი ხის კენწერო მომიწიეთო. მოუწიეს. ბერიკაცი ხეს კენწეროზე მოექცა, ჩიტიც დაიჭირა, ხიდან ჩამოვიდა და დევებს უთხრა – აიღოთ ოთკა, ორმოციოდე ხე ერთად შეკარით, ბარებ ერთად მოვგლევ და წამოვიღებო. დევებმა თქვეს, ამდენი ხე ჩვენს ეზოში არ დაეტვეა, სახლს დაგვინგრევს, მივცეთ, რასაც მოგვთხოვს და თავის ქვეყანაში გავუშვათო. ჰკითხეს ბერიკაცს, რა სურდა. თუ გუდას ოქროთი გამივსებთ, შინ დაბრუნდებით, თქვა მან. გაუგსეს გუდა ოქროთი და ბერიკაცი შინ გაისტუმრეს, ვინც მიიყვანა, ისევ იმან შეისვა ზურგზე და წაიყვანა. დევებ ბერიკაცის სახლი ძალიან ეპატარავა. ბერიკაცმა ცოლს ღომის მოხარუში სთხოვა. ცოლმა ღომი მოხარუშა, ამოაგო მაგიდაზე და მოიბოდიშა, მისატანებელი არაფერი გვაქვსო. მოხუცმა უთხრა – კერაზე დაკიდებულ დევებში ყველაზე მსუქანი ამოარჩიე და შეგვიწვიო. ამის გაგონებაზე შეშინებული დევი უკანმოუხედავად გაიპარა. გზად მელა შემოეყარა. მელამ რომ გაიგო, დევებ ვისიც ეშინოდა, უთხრა, იმან როგორ შეგაშინა, ყოველდამ თითო ქათამს ვპარავ და ვერ დამიჭირაო. გაბრაზებული დევი ისევ ბერიკაცისეკენ გაქანდა. მელაც უკან გაჟყვა. ბერიკაცმა მელა დაინახა და შორიდან დაუძახა: ეგ დევი თუ გამხდარია, არ მინდა, მაგრამ თუ მსუქანია, მოიყვანეო! დევმა იფიქრა, ეტყობა ამათ პირი აქვთ შეკრული და შექმას მიპირებენო, მელა შუაზე გახლიჩა და თავისი ქვეენისაგნ მოკურცხლა. ბერიკაცსა და დედაბერს სიკვდილამდე ეყოთ დევებისგან წამოიღებული ოქრო (უბისური ფოლკლორი, კაკასიური სახლი, თბ., 2001, გვ. 33-35).

ადილური ზღაპარი „ქაჩალი და გოლიათები“ მოგვითხრობს: ერთ ქვეყანაში გაჩნდენ გოლიათები, რომელიც ძარცვავდენ მოსახლეობას. ამ ქვეყანაში ერთი ქაჩალი კაცი ცხოვრობდა. ერთხელ ქაჩალმა დედამისს საგზლად გუდაში ჩააწყობინა ფქვილი და ახალი ყველის პატარა თავი, დედას დაემშვიდობა და გზას გაუყვა. მიადგა ფართე მდინარეს. არ იცის, როგორ გადავიდეს. ამ დროს მეორე ნაპირზე ერთი გოლიათი დანახა და უბრძანა, აქეთ გადმოდი და გაღმა გამიყვანეო. გოლიათმა უთხრა, რომელიც უფრო ძლიერი ვიქებით, იმან გადაიყვანოსო. მერე მოუჭირა ხელი დიდ ქვას და დაფუშნა. ახლა მეორე ქვა აიღო და წყალი გამოაღინა. მაშინ ქაჩალმა თავისი გუდა მოსრისა და დააქნია და ირგვლივ მთელი ღრუბელი წარმოიქმნა ფქვილისაგან. მერე ამოიღო ყველის თავი, გამოაღინა წყალი და მისი ჭამა დაიწყო, თან გოლიათს ეუბნებოდა, შენ ხომ ქვის ჭამა არ შეგიძლია, ამიტომ მეორე ნაპირზე შენ უნდა გადამიყვანო. გოლიათმა მოიკიდა ზურგზე ქაჩალი და გადაჰყავდა, თან ფიქრობდა, წყალში ჩაეგდო. ქაჩალი მოუხვდა განზრახვას და კისერში სადგისით ჩხვდეტა დაუწყო. გოლიათმა პკითხა, რით მჩხვლეტო? ქაჩალმა უთხრა – მდინარის შუაში უფრო მეტად გიჩხვლეტო. გოლიათი შეშინდა და სწრაფად გადაიყვანა იგი, მაგრამ ქაჩალი მისი კისრიდან არ ჩამოვიდა –

ახლავე შენს სახლში მიმიყვანეო. გოლიათმა უთხრა, ჩვენ შვიდი ქმა ვართ და გაგანადგურებთო. ქაჩალი შეეპასუხა – ვერაფერს დამაკლებთ, მიმიყვანე, თქვენი ქონება უნდა გავყო და წილი ავიღოო, თან კიდევ ერთხელ უწინვლიტა სადგისით და თავი გოლიათების სახლში მიაყვანინა. გოლიათები განცვიფრდნენ – ეს ვინ მოიყვანეო. ამ გოლიათმა გააცნო მათ საქმის ვითარება. გოლიათებმა ქაჩალი საყონაღოში დააბინავეს და გადაწყვიტეს, დამით მოეკლათ. ქაჩალმა გოლიათებს უბრძანა, დაეკლათ სამი მსუქანი ხარი, რათა შეეჭამა ისინი ვახშმად, საუზმედ და სადილად. ჭამის შემდეგ კი ოქრო-ვერცხლი და სხვა სიმძიდრე უნდა გავყოო. გოლიათები შეეწინააღმდეგნენ, მაგრამ ქაჩალმა მათ დაჰყირა და შეაშინა. არც მიიპატიუა, რომ მისი თანდასწრებით დამსხდარიყნენ საყონაღოში. სადამოს გოლიათებმა ქაჩალს მსუქანი ხარი დაუკლეს და საჭმელი მოუმზედეს. ქაჩალმა ჭამა, რამდნიც უნდოდა, დარჩენილი საჭმელი კი ორმოში ჩაყარა, რომელიც წინასწარ ამოთხარა საყონაღოში. გოლიათები გაოცდნენ, ამდენი როგორ შეჭამა, ეს ხომ მოთლად გადაგვიჭამს საქონელსო.

დამით, როცა ქაჩალმა დაიძინა, გოლიათებმა საყონაღოს მილში ქვების ჩაყრა დაიწყეს, რათა ქაჩალი ჩაექვავებინთ. ხმაურზე ქაჩალს გაეღვიძეს, სხვენში აძვრა და იქ გაატარა დამე. გოლიათებმა საყონაღო ქვებით აავსეს და დაწყინარდნენ, მაგრამ დილით ქაჩალი საყონაღოს კართან დადგა, სადგისი მოიმარჯვა და აყვირდა, ახლავე გაწმინდეთ ქვებისგან საყონაღო. ვინც უკმაყოფილო იყო, ქაჩალი მას სადგისით ჩხვლეტდა და ასე გაატანინა ქვები. საუზმედ გოლიათებმა მეორე ხარი დაუკლეს და სავსე მაგიდა საჭმელი მიუტანეს. ქაჩალმა ჭამა, დარჩენილი საჭმელი კი ორმოში ჩაყარა. გოლიათებმა გასეირნება შესთავაზეს. ქაჩალი კისერზე შეაჯდა თავის მიმყვნ გოლიათს და ასე მისეირნობდა. ერთ ლამაზ მდელოზე ქაჩალი შეუაში ჩაჯდა, ირგვლივ გოლიათები შემოიკრიბა და მათ სხვადასხვა ისტორიებს უყვებოდა. ერთმა გოლიათმა მას სირბილში შეჯიბრი შესთავაზა – დამარცხებული გამარჯვებულს დაემორჩილოსო. ქაჩალმა უთხრა, ჩემს მაგივრად ჩემი უმცროსი ქმა ირბენს, ის ყორლანის უკან ზისო. მართლაც, გოლიათი რომ გაიქცა, ყორლანის უკანიდან კურდღლი გამოხტა და გაიქცა. გოლიათი დაედევნა, მაგრამ ვერ დაეწია. გოლიათებმა ახლა ჭიდაობა შესთავაზეს. ქაჩალმა მოხერხებულად ისინი დათვთან დააჭიდა, რომელმაც კარგად შეაშინა გოლიათები. შინ დაბრუნებულმა გოლიათებმა ქაჩალის გაფუფქვა გადაწყვიტეს. ვახშმად მას ათი მსუქანი ცხვარი დაუკლეს. ქაჩალმა ახლაც ორმოში ჩაყარა ზედმეტი საჭმელი. დამით გოლიათებმა ქაჩალის გაფუფქვა სცადეს საყონაღოს მილიდნ, მაგრამ ქაჩალი ახლაც სხვენზე აძვრა და იქ გამოიძინა. დილით ბრძანა, საყონაღო გააშრეთ თორებ წუხელ ისეთი თბილი წვიმა მოვიდა, მთელი დამე ვბანაობდიო. მერე გოლიათებს მშრალი ტანისამოსი და აბრეშუმის ლოგინა მიატანინა და სხვა ოთახში დაიძინა.

გოლიათებმა გადაწყვიტეს, ქაჩალისთვის მიეტანათ თავიანთი ოქრო-ვერცხლი და გაეყოთ. მათ მორეეს საქონელი, ოქრო-ვერცხლი და ხალხისგან

ნაბარცვი სხვა სიმდიდრე მიიტანეს და დააგროვეს ქაჩალის ფეხებთან. ამან მთელი ქონება ორ ნაწილად გაყო: ერთი ნაწილი თავისთვის გადადო, მეორე ნაწილი კი შვიდ გოლიათს მისცა, საქონელშიც დაუდო წილი. მერე იმ გოლიათმა, რომელმაც მიიყვანა, კისერზე შეისვა, მეორე გოლიათმა მისი წილი ოქრო-ვერცხლი აიკიდა და ქაჩალი შინ წაიყვანეს მისივე ბრძანებით. ქაჩალმა გოლიათები თავისი სახლიდან მოშორებით გააჩერა, შინ მივაღ და ჩემიანებს გავაფრთხილებ, არ შეეშინდეთ, მათ გოლიათი არ უნახავთო. მივიდა შინ ქაჩალი და დედა გააფრთხილა – სამი ქვაბი ხორბლის ფაფა მოხარშე და როცა ჩემი სტუმრებიანად მაგიდას მიუკადები, სხვენზე აძვერი, ხის ქოშებით დააბაკუნე და ხმამალლა თქვი: „ოჰ, შვილო, ძვლების გარდა გოლიათებისგან არაფერი აღარ დარჩაო“. დედა ასეც მოიქცა. გოლიათებს შეეშინდათ – თქვენ რა, გოლიათებს ჭამთო? ქაჩალმა უთხრა, ჩვენა საზრდო ეს არის, მაგრამ ამასწინ გამხდარი გოლიათები შემხვდა, ხორცი არ პეტნდათო. ეს ორი გოლიათი მსუქანი იყო. წამოხტენენ და გაიქცნენ. რომ მობოდნენ, მელა შემოეყარათ და ჰკითხა მათ, საით გარბოდნენ. ამათ უთხრეს, ქაჩალს გამოვექცით, შეჭმა დაგვაბირაო. მელას გაეცინა – ის ვერ შეგჭამო, თქვენი ეშნია, რომ არ შეჭამოთო. წამოდით, მე თქვენს ქონებას წავართმევ და მათ გავანადგურებო. მელამ გოლიათები ისევ ქაჩალთან მიიყვანა. მათ დანახვაზე ქაჩალმა იყვირა: ეი, მელავ! ევ გოლიათები ახლა იყვნენ ჩემთან სტუმრად. რომ მომწონებოდნენ, არ გამოვუშვებდი, მაგრამ ისეთი გამხდრები არიან, რომ მათ შენგან ვერ მივიღებ. ის ორი გოლიათი, რომელიც მე შენ გასესხე, ამათზე უფრო მსუქნები იყვნენო. ეს რომ გაიგონეს, გოლიათებმა მელას კუდში სტაცეს ხელი, ქაზე დანარცხეს და გაიქცნენ, ქაჩალი კი მდიდარი და მხიარული დარჩა (Адыгейские сказки, Майкоп, Адигецкое книжное издательство, 1957, стр. 249-254).

ამ ადიღურ ზღაპარში ყურადღებას იქცევს მთავარი გმირის სახელწოდება – ადიღურად კუიჯი სიტყვიდან კუი, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს ქაჩალს, უკარგისს, ქეციანს, საძაგელს. ეს არის საზოგადო სახელი ადიღთა შორის გავრცელებული ზღაპრების გმირისა, რომელიც უფრო ხშირად ფივურიობებს ზღაპარ-ანეკდოტებსა და ხალხურ ნოველებში. მას საზოგადო სახელ „ნაცარქექიასთან“ ის საერთო აქვს, რომ თავისი მნიშვნელობით უტილდება მას – თუმცა ადიღური ზღაპრის გმირი ნაცარს არ ქექვს, მაგრამ ისეთივე უქნარაა, როგორც ნაცარქექია, ნაცარქექიასავით შემთხვევითობის და საკუთარი მოხერხება-საზრიანობის წყალობით გადაურჩება გოლიათებს და სჯობნის მათ. რაც შეეხება ქართულ „ნაცარქექიას“, ეს სახელი უნდა უკავშირდებოდეს კერიის კულტის და ნაცარქექია აღბათ ამ კულტის მსახურად უნდა მივჩნიოთ. თურქულ ზღაპარშიც „შვიდი დევი“ მთავარი მოქმედი პირი ერთი უბრალო, უქნარა და დატაკი კაცია. იგი ისეთივე უქნარა და დატაკია, როგორიც ნაცარქექია. ნიშანდობლივია, რომ თურქული ზღაპრის ამ პერსონაჟმა გუდით ნაცარიც წაიღო ნაცარქექიას მსგავსად. რაც შეეხება უბისურ ზღაპარს, აქ მთავარი

გმირი საზრიანი ბერიკაცია, ისიც დარიბია, მაგრამ ნაცარქექიასავით და ზემოხსენებული ზღაპრის გმირებით დამცირებული არ არის.

ადილურ ზღაპარში აღწერილია ადილური ყოფა-ცხოვრება, მაგალითად, საყონალო, რომელიც პატივსაცემი სტუმრებისათვის განკუთვნილ საგანგებო ოთახს წარმოადგენს – სწორედ საყონალოში დაბინავეს გოლიათებმა ქაჩალი.

ნაციონალური ელემენტები შეტანილია ქართულ „ნაცარქექიაშიც“: დე-ვების კერიაზე ცხელ კეცებში ხმიადი ცხვება, ხოლო ეზოში მარანია, ქვევრია ღვინისთვის განკუთვნილი, საიდანაც კოკით თუ ხელადით იღებენ ღვინოს.

ფურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ადილური ზღაპრის გმირი სადგინით არის შეიარაღებული, როგორც ნაცარქექია. თურქულ ზღაპარში სადგინი არ ფიგურირებს, სამაგიროდ ფიგურირებს ნაცარქექიას მიერ დაყენებული მტვერი. როგორც უბისურ, ასევე ადილურ და ქართულ ზღაპრებში ასევე ფიგურირებს ახალი ყველიდან წყლის გამოწურვის მოტივი, ხოლო თურქულ ზღაპარში ყველი კვერცხით არის შეცვლილი. ხაჭოდან წყალს გამოწურავს ასევე რუსული ზღაპრის „ბოშა და გველის“ გმირი (რუსული ზღაპრები, ნაკადული, თბ., 1968, გვ. 299-303). ამ ზღაპრებში დევს გველი ცვლის, ხოლო ნაცარქექიას – ბოშა. გველმა დოლაბს მოუჭირა ხელი და დაფშვნა, ხოლო ბოშამ – ხაჭოს.

ქართულ, უბისურ და ადილურ ზღაპრებში ერთიდაიგივე ფინალია – ასპარეზზე გამოდის მელა, რომელიც ცდილობს გოლიათების თუ დევების დახმარებას ნაცარქექიას წინააღმდეგ და რომელსაც შეშინებული დევები და გოლიათები კლავენ. თურქული ზღაპრის ფინალში მელა არ გვხვდება, სამაგიეროდ გაწვეტება იგი ტაჯიკური ზღაპრის „ქაჩალი და დევება“ ბოლოს. ეს ტაჯიკური ზღაპარი დიდ სიახლოეს იჩენს ქართულ „ნაცარქექიასთან“, მაგრამ უცვრო მოკლეა და მელიას ეპიზოდი მასში თითქმის ზღაპრის ნახევარს შეადგენს (Сказки народов-востока-золотая птица, Московский рабочий, 1989, стр. 384-386).

როგორც ქართულ, ასევე უბისურ, თურქულ, ადილურ, რუსულ, ტაჯიკურ ზღაპრებში ზღაპრის გმირმა თავის მიზანს მიაღწია – დევებს და გოლიათებს ჭკუთ და მოხერხებით აჯობა და მათ სიმდიდრეს დაეპატრონა.

ზემოხსენებულ ზღაპრებში ტაბიურია პერსონაჟთა ხასიათები, სამოქმედო გარემო, ასპარეზი, მოქმედების ხასიათი, სიუჟეტური დეტალები, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მათ შორის მსგავსება ტიპოლოგიურია. ამ ზღაპრების სიუჟეტი საერთაშორისო გავრცელებისაა და თვითეულ ქვეყანაში ნაციონალური სინამდვილის შესაბამისად არის დამუშავებული.

# ნათელია კაპანაძე-გაფრინდაშვილი ბედის „წერა-მწერელნი“ ქართულ საბავშვო ზეპირსიტყვიერებაში

„ბედი მომეც და სანაგვებები გადამაგდეო“  
ანდაზა

ადამიანის ბედი „წერა-მწერელთაგან“ იწერება დაბადებისას და მისი შეცვლა არავის ძალუბს – ასევე განსაზღვრული ქართულ საბავშვო ზეპირსიტყვიერებაში კანონი ბედისწერისა.

ბედის „წერა-მწერელნი“, ხალხური რწმენით, არიან ანგელოზები, ყოველთვის სამნი, ისინი ელოდებიან ბავშვის დაბადებას და თავს დასტრიალგებენ ფეხმძიმე ქალის ოჯახს, განსაკუთრებით მშობიარობის წინა დღეებში არ სცილდებიან. დაი ბადება თუ არა ჩვილი, სამივე წარმოსონქვამს ამ ბავშვისათვის განსაზღვრულ ბედისწერას. ისინი ერთმანეთში შეთანხმდებიან, გადამწყვეტია ყოველთვის მესამის სიტყვა, დასწერენ ბავშვის ბედისწერას, რომელსაც ვერავინ შეცვლის და უცილობელ კანონად არის დადგენილი.

ბედის „წერა-მწერელნი“ ზეპირსიტყვიერებაში პერსონიფიცირებულად წარმო ს დგებიან, შექმნილია მათი ერთგვარი პორტრეტები:

ერთი „წერა-მწერელი“ კოჭლია, რომელსაც აქვს „ცალთბა“ (ცალფრთა) ისარი. ზოგიერთი ვარიანტით, პირველი, რომელსაც ისარი აქვს, ცალთვალაა და ამის გამო ცალთბა ისრით წარმოსდგება.

მეორე „წერა-მწერელი“ ბრძანა (აქვდან ხალხური გამოთქმა: „ბედისწერა ბრძანა“).

მესამე „წერა-მწერელი“ მუნჯია, მაგრამ ის მეტყველებს ბედისწერის წარმო სათქმელად და მისი სიტყვა გადამწყვეტია და საბოლოო. მისი გადაწყვეტილების შეცვლა არავის ძალუბს.

ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ბედის „წერა-მწერელნი“ ხალხს წარმოდ გენილი ჰყავს ნაკლული გარეგნობით. ერთგვარი სარკასტულობით (ცალთვალა და ბრძანი ისარს ისვრიან, მუნჯი – მეტყველებს, კოჭლი წერს ბედისწერას. ეს წარმოდგენა ბედის „წერა-მწერელთა“ ხალხური რწმენით წარმოსახული სიკვდილის – (მჭლე კაცი ცელით ხელში) პორტრეტს უახლოვდება და იმ რწმენით სულდგმულობს, რომ შეუბრალებლობა სიკვდილისა და ბედის „წერა-მწერელთა“ მათი არასრულყო ფი ლებისაგან წარმოსდგება, ისინი ბოროტები არიან და ბოროტად ესხმიან თავს

ადამიანებს... როგორც სიკვდილი, ისე განსაცდელი და მწუხარება ადამიანმა თავის წარმოდგენაში წინასწარგანსაზღვრულ, წინასწარდაგანონებულ, „დაწერილ“ და შეუცვლელ ბედად გაიაზრა.

ბედის „წერა-მწერელნი“ უხილავნი არიან, ადამიანისთვის თვალშეუგადი არსებები მუდამ თაგს დასტრიალებები მის საცხოვრისს. ხალცური რწმენა-წარმოდგენის მიხედვით, ყოფილა იშვიათი შემთხვევები ადამიანის ცხოვრებაში, გამონაკლისები, როდესაც თვალი შეუცდიათ ან მოუსმენიათ ბედის „წერა-მწერელთა“ საუბარი და განხინება: მთხოობელი აღწერს, რომ „არ ეძინა“ ან სამალავში იყო და ის ვერ შენიშვნებს. არსებობს გადმოცემები, რომელთა თანახმად თუ დედა სამი დამე და დღე არც ერთი წამით არ დაიძინებს, ის ბავშვის დაბადებისას იხილავს „ბედის წერა-მწერელთ“ და მოისმენს მათგან ბავშვისათვის დადგენილ ბედისწერას.

ადამიანი, რომელმაც მოისმინა ბავშვის ბედისწერა, საიდუმლოდ ინახავს მას და ცდილობს, ბავშვს აარიდოს უსიამოვნო ხეედრი, მაგრამ ყოველი ცდა ამაოა. წინასწარგანსაზღვრული, დადგენილი, ბედის „წერა-მწერელთაგან“ დაწერილი ბედისწერა შეუცვლელია. ამასთან დაკავშირებით მრავალი ამბავი და გადმოცმა არსებობს ხალცეში.

„ბაბუაჩემი მუშაობდა ჭიათურაში, მან გვიამბო ეს ამბავიც: ჩემი მმა ორი დღის საგალზე მუშაობდა, ერთხელაც შემოადამდა და ერთი გლეხის ოჯახში დამის გათევა ითხოვა. გლეხმა უთხრა, ცოლი მყავს თვეში მყოფ ფეხმიმედ და ვერ დაგაყენებ ჩემთანაო, თუ გინდა დერეფანში დაწექიო. მართლაც, იგი დერეფანში დაწოლილა. იმ დამეს ამ ქალს გასხენია არაჩვეულებრივი შვილი. ყველა დაწოლილა და დაუძინიათ. ჩემ მმას-კი, ვინაიდან ფქლი ჰქონდა თან, არ დაძინებია და დოუნახავს: მოსულან სამნი, დამსხდარან და გოდუწყვეტიათ, ეგერ, კაცი რომ იქვიტება დერეფანში და ამბობს, დარიიბი ვარო (სინამდვილეში ეს კაცი მდიდარი ყოფილა), მისი ქონება დარჩეს ამ ბავშვს. კაცი შეჩენია მშობლებს, ბოვში მე მომეციოთ. გოუტანებიათ ბოვში. გზაში ერთი დიდი ხიდი ყოფილა გასავლელი, კაცს ბოვში გოდოუგდია ხიდიდან, რომელიც მებადურებს უპოვნიათ და გოდურჩენიათ და გოუზრდიათ. ერთხელ მებადური და შვილობილი მიუწვევიათ ქორწილში, სადაც ყოფილა ის კაცი, ვინაც ეს ბოვში გადააგდო წყალში. მის ცოლს მოწინებია ქმარებილი და უთქვაშს: ჩემი სიძე უჩდა გახოთეს. მებადური არ დათანხმებია, მან უნდა მარჩინოსო. საბოლოოდ საქმე მაინც მოგვარებულა. გასულა ხანი და სიძეს თავისი

თავგადასავალი უამბნია და უთქვამს, რომ იგი მებადურის დფიძლი შეიღი არ იყო. სიმამრი მიმხვდარა, რომ მისი სიძე ის ბიჭი იყო, რომელიც მან ხიდიდან გადააგდო და უთქვამს, შენ მაინც არ ეშვები ჩემ ქონებასო? გადაუწყვეტია მისი მოკვლა და სიძისთვის უთხოვია, დუქანი დამზრა დია და გამომყენო. სიძეც გაყვა, სიმამრმა მოისყიდა ერთი კაცი და სთხოვა, ლამფა ვისაც ეჭირება ხელში, ეხროლე და მოკალიო. როცა გარეთ გასულან, სიძეს უთხოვია სიმამრისათვის, ერთი წუთით ლამფა დამიჭირე ხელშიო, ამ დროს მოსყიდულ კაცს უსერია და მოუკლავს სიმამრი. სიძე დაბრუნებულა უკან, სახლში, მებადურიც თავისთან მიუჟვანია და ცხოვრობდნენ ერთად ბედნიერად.

“მებედისწერეს ვერ აჯობებო“ (მთხოობელი – შეყილაძე ნატაშა დათას ასული, 64 წლის, ჭიათურა, სოფელი გეზროული).

„თურმე ქალი წყველიდა შვილს, ამინო – დაუძახნია მებედისწრეს. დედას უყვირია: არა, არა ჩემ შვილებს კი არა, ჩემს გოჭებსო. მას ცხრა გოჭი ყოლია, ცხრავე მომკვდარა“ (მთხოობელი წერეთელი ალექსანდრა პავლეს ასული, 92 წლის, ჭიათურა, სოფელი პერევისა).

„ჩემი დის სახლში ვიყავი და ამ დროს მეზობლის ქალი მშობარობდა. ოჯახი შეძლებული იყო და ძროხის ქურდი შეპარული იყო სახლში. დაბადებულა გოგონა, მოფრენილა სამი ანგელოზი. ერთს უთქვამს: ლამაზი იყოს და გარდაიცვალოს ადრეო; მეორეს უთქვამს: მახინჯი იყოს და ისე იცხოვროსო; მესამეს უთქვამს: აქ რომ ქურდია იმისი ცოლი გახოთხესო. ქურდი გაბრაზებულა, ეს ცოლად მე როდის მომესწრებაო, შეპარულა ბავშვთან, დაურტყამს დანა და სხვენზე აუგდია. ბავშვს ტაივილებისაგან ტირილი დაუწყია, დედ-მამას გაუგონია ხმა, ბავშვი ჩამოუჟვანიათ სხვენიდან, ჭრილობა შეუხვევიათ და ბავშვი გადარჩენილა. 17 წლისა დალიან კარგი გოგო გამხდარა. ერთხელ დედას გოგო გასვენებაში წაუჟვანია, იქ ის ცხენის ქურდი კაციც ყოფილა, მოსწონებია ეს გოგო ძალიან, ცოლობა უთხოვნია, გოგოც დათანხმებულა. კაცს ჭრილობა შეუმჩნევია გოგონასათვის და უკითხავს: ეს ჭრილობა საიდანა გაქვსო. გოგონას უამბნია კაცისათვის, რაც დაემართა ე.ი. რაც ბედი გიწერია, იმას ვერ აცდებიო ან სადაცაა ბედი შენი, იქ მიგიყვნის ბედი შენიო, უბედოდ არაფერი არ ხდებაო“ (მთხოობელი: სიგუა ჭვატა დიმიტრის ასული, 89 წლის, გამაჭვორი, სოფელი ნახუნაო).

„ბედის მწერლები იყვნენ, ერთ ოჯახში ქალი მშობიარობდა, ამ დროს ქრისტეს გაუვლია და დამის გათევა უთხოვია. იმ დამეს

დაბადებულა ბავშვი. ქრისტეს ბედისმწერლებისათვის მიუგდია ყური. ერთს უთქვამს: მეცნიერება, მესამეს უთქვამს: ქორწილი რომ ექნება, წყალმა დაახრჩოსო. მამამ სოხოვა ქრისტეს, ბავშვი მომინათლეო. ქრისტე დათანხმდა. იგი კოველდღე მოდიოდა და კურადღებას აქცევდა ნათლულს. ცოლი რომ მოიყანა, ბიჭს სამი მდინარე უნდა გამოველო. ერთი მდინარე რომ გამოიარა, წყალი მოსწყურდა. ნათლიამ არ მისცა ხება, წყლის დალევის და არც მესამეზე. მდინარეებს რომ გასცდა, ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. პატარა ნაკადულთან, რომელიც იქვე ჩამოედინებოდა, ცხვირის მოსაბანად მოვიდა, დაუცდა ფეხი და დაიხრჩო. ბედისწერას ვერ აცდა“ (მთხოვთ მარიამი არტერის ასული, 67 წლის, ბოლნისი, სოფელი რატევანი).

მეცნიერთაგან მრავალი შეხებია ბედის და ბედისწერის საკითხს, როგორც აცანავა აღნიშნავს: „ხალხში გავრცელებული იყო რწმენა, რომლის მიხედვით ადამიანისთვის არსებობს ბედი, ცხოვრებას არეცულირებს ბედისწერა, რომელიც მას დაბადებისთანავე დაეწერება. ასეთივე შეხედულება დასტურდება მსოფლიო ხალხთა მითოლოგიურ გადმოცემებში (3, 125).“

იმის ნათელსაყოფად, რომ ქართული რწმენა-წარმოდგენა მსგავსია მსოფლიო ხალხთა რწმენა-წარმოდგენისა, შეგვიძლია დავასახელოთ ზდაპარი „მძინარე მზეთუნასავი“ 14 წლის ასაკში ხელში თითისტარი შეერჭოს მეფის ასულს და მოქვდეს ფერიებმა სიკვდილი დაძინებით შეუცვალეს, მაგრამ მთლიანად ვერ ააცდინეს ბედისწერა...

მსგავსი სიუჟეტები ყველა ერის ზდაპრებშია გავრცელებული და ქართული ზდაპრებიც მდიდარია ამ მხრივ. ხალხური ბედის „წერა-მწერელთა“ რწმენა ზოგადი მითოლოგიური ცნობიერების ერთი ნაწილია.

ამირან არაბულის წერილი „წერა-მწერელნი“ საინტერესოდ წარმოადგენს ბედისწერის შესახებ ხალხური წარმოდგენის წარმომავლობის საფუძველს: „პროვიდენციალური ოვალთახედვა, რომელიც ბედისწერულობით და განგებისმიერობით ხსნის ყოველივეს, ერთობ რელიეფურად არის გამედავნებული სპონტანური სიბრძნისა და სისადავის ურდვევი ნიშნით აღბეჭდილ მრავალსაუკუნოვან ხალხურ სიტყვიერებაში, ასევე, მხატვრულ ლიტერატურაში, მოკიდებული ანტიკური ხანიდან ვიდრე ჩვენს დრომდე.“

კაცებრივი ძალმოსილების მიღმა ნაგულვები ირაციონალური ძალების უქველი არსებობის რწმენამ მიიყვანა თავისი ბუნე-

ბით ნაკლული, უსრული და ყოვლისშემძლე მოკვდავი ბედისწერის აღიარებამდე“ (1, 19).

ბედისწერის რწმენა კარგად მოჩანს სააკვნო სიმღერებსა და იავნანებში. ტკბი ლი ღულუნი, ვარდ—უვავილების მოფენა, ფერადი ქვების ხსენება, ასევე, დალოცა—სადიდებლები ახალდაბადებული ბავშვისა და საფერხულოები მიემართება ბედის წერა—მწერელთ და მათი გულის მოგებას ცდილობს.

„ნანა, ნანა, ნანა, ნანა,  
ნანა ნანას გეტუვიანა,  
მეტრები ღულუნებდიან,  
ანგელოზებ მდერდიან,  
დაიძინე, დაიძინე  
თეთრი ბედი შაიძინე“.

„თეთრი ბედი“ უპირისპირდება „შავ ბედს“, აქედან წარმოსდგა „ბედ—შავი“ – ბეჩავი...

ამგვარი ტექსტები მრავლადაა და ნათელი მომავლის სურვილს, ლოცვას გამოხატავს.

შელოცვებში, ანდაზებსა და გამოცანებში „ბედი“ წარმოსდგება ბავშვებისთვის გულისმოსაგებ არსებად, სრულდება ბედის გამოთხოვა, ფაქტობრივად, ბედის „შახვეწნა“, ბედის „დამწყალობება“.

„მე ვარ ბედი ბედნიერი,  
ტურფა სახე მშენიერი,  
ამოვალ ვერცხლივითა,  
დაგჯდები ცეცხლივითა“ (2, 83).

ბედის „წერა—მწერელთა“ ფუნქცია ქართულ ზეპირსიტყვიურებაში და ხალხურ ყოფაში (ჟონოგრაფიული მასალის საფუნდელზე) უახლოვდება ბატონების ფუნქციას და ახალ შობილის საძეობო რიტუალებსა და სადიდებელ ტექსტებში, წეს-ჩვეულებებსა და ფერხულებში, სააპენო სიმღერებში დასტურდება მათდამი „მოფონების“, ანუ გულის მოგებისა და მოფერების სურვილი, ამ თვალსაზრისით საგულისხმოა ლექსიკური მარაგი, ეტიმოლოგიური წიაღსვლები: ერთის მხრივ, ბედ—სვიანება—სვე—ბედი, ფეხ—ბედნიერი, სა—ბედ—ო, ქუდ—ბედ—იანი, ბედ—სვიანი და ა.შ. მეორე მხრივ, ბედ—კრულობა — უ—ბედ—ური, ბედ—შავი (აქედან ბეჩავი) უ—ბედ—ო, ბედ—კრული და ა.შ.

ცალკე საქითხია ბედის „წერა—მწერელთაგან“ დაბადებისას განსაზღვრული მომავალი საბედო, ცხოვრების თანამგზავრი, რას-თანაც უნდა იყოს ასევე დაკავშირებული ქართული ხალხური ტრადიცია აკვანში დანიშვნისა...

რწმენა იმისა, რომ ვისაც ბედის „წერა—მწერელნი“ დაუწესებენ საბედოდ, მას მაინც ვერ ასცდება, ზემომოხმობილ ეთნოგრაფიულ მასალაშიც ჩანს.

აკვანში დანიშვნის წესი უნდა მივიჩნიოთ ბედის „წერა—მწერელთა“ მორჩილების გამოხატულებად...

დაქორწინების დაგვიანება ქალისა ან ვაჟისათვის ამ „მორჩილების“ აუსრულებლობის შედეგად არის გააზრებული, რასაც კარგად გადმოსცემს ორი ამგვარი შესიტყვება:

„ბედის შეკვრა“ და „ბედის გახსნა“.

მეუღლეობა — ერთი უღლის ქვეშ ბედგომა, ერთი წრის არეში დადგომაა, სახლი და ოჯახი ერთი—ერთი წრეა, ხოლო მის გარეთ ყოველივე წარმოდგენილია უცხოდ, არაშინაურად, წრის გარე—სამყაროდ...

... ბედის „შეკვრა“ და „ბედის გახსნა“ — ძაფისა და გორგალის გადანასკვადაც წარმოდგება, როგორც ეს შელოცვების რიტუალებში დასტურდება.

კველა წარმოდგენით, ბედის „გახსნა“ და „შეკვრა“ „წერა—მწერელთა“ სურვილსა და ნებას უკავშირდება.

საინტერესოა ბედის „წერა—მწერელთა“ ერთგვარი მოტყუების, ტაბუს დადე ბის, მსგავსი ახალშობილის ყიდვის, გაჩუქრების, გაძიძებების ხალხური ტრადიცია, როგორც ნამდვილი სახელი არ წარმოითქმება და ბევრი სხვა სააღერსო თუ საქი ლიკო სახელით, სახელთა აღმნიშვნელი (მგელიკა, ვეფხია, ლომა, სხვისია და ა.შ.) სახელწოდებებით მოიხსენიება ადამიანი, რათა ავი თვალისა და ეშმაქეული ძალის თვის რომ ძნელად მისაგნები იყოს, ასევე „წერა—მწერელთაგან“ აგისმოსურნეობის თავიდან ასაცილებლად, ახალშობილის გარდაცვალებისაგან დასაცავად მოვიაზრებო ამგვარ „წერა—მწერლებს“ ქართულ ხალხურ ყოფიერებაში.

ბედის „წერა—მწერელთა“ კეთილმოსურნეობას, ხალხის რწმენით, განაპირობებს კოსმიური და ასტრალური სამყარო (მზე, მთვარე, ვარსკვლავები), ასევე წელიწადის დრო, ამინდი, დღესასწაულები, ის დრო—სივრცე, სადაც იბადება ბავშვი.

საინტერესო „ბედისკვარსკვლავის“ საზრისი, რასაც უძველესი რწმენა—წარმოდგების კვალი დღემდე მოჰყვა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში: ბავშვი დაიბადება თუ არა, ცაზე მისი ვარს-

კვლავიც ჩნდება, ეს ვარსკვლავი ქრება, როდესაც ადამიანი გარდაიცვლება...

მეგრელთა წარმოდგენით, ბავშვი გაჩნდება თუ არა, მისი სახელობის ვარსკვლავი ქრება, იშლება („ილასუ“) აქედან მომდინარეობს ტერმინი – „სი სახელი მოლასისი“ (შე სახელ წაშლილო ე.ი. მოსაკვდომო). მათ სწამო, აგრეთვე, რომ ახალ დაბადებულს უხილავი ხელით შებძლზე ეწერება თუ რამდენ სანს იცხოვოს „სა აქოს“, რა ასაკში მოკვდეს და რა სახის სიკვდილით. უბედოდ, უდღეოდ მკვდარ პაცხე იტყვიან „უცვაშჭარე“ – „ცვა“ – შებძლს ნიშნავს, „ჭარა“ – წერას, „უ“ არ ქონების მაწარმოებელი პრეფიქსია (ცხენი, უ-ცხენო), ე.ი. „უ-ცვაშჭარე“ ნიშნავს შებძლზე უნაწეროს, უბედოს (3, 125).

საინტერესოა ის ნივთები, ბედისწერის, „წერა-მწერელთა“ გუნებ-განწყობილების გასაუმჯობესებლად, რომ მოიაზრება: ეს არის ძვირფასი თვლები – მარგალიტი, ლალი, გიშერი, ოქრო-ვერცხლის ნაკეთობანი, ისეთი საოჯახო ნივებიც, როგორიცაა გარცლი და კიდობანი, ვერცხლის ფული, მარანი, სადაც პურ-ლინოს და სხვა სანოვაგეს ინახავენ.

ფერთამამეტყველება ტრადიციულად სამ ფერს მოიაზრებს – თეთრი, შავი და წითელი.

შელოცებში კარგად ჩანს ფეხმძიმობისას და ახალშობილობისას ამ ნივთებისა და ფერების საკრალურობა:

„ცხრა მულმა და მულისწულმა  
კიდობანი შეკრა, შებეჭა,  
დრომდე ჩემი ფეხმძიმობაცა  
ჩემს მუცელში ბავშვი ამჟოფე“ (ორსულის შელოცვა).

დაბადებამდე, ჯერ კიდევ მუცლადყოფნისას განსაკუთრებული მზრუნვე ლობა ორსულისადმი – სიმშვიდე, გარემომცველი სამყაროს პარმონია, ფერთა შერჩევა, საკვებისა და საქმიანობის რიგი აკრძალვები (სატირალში არ შეიძლება წასვლა, ჭირის სუფრასთან მისვლა და ა.შ.), გარდა დიდი სურვილისა თჯახის წევრთაგან, რომ ახალშობილი იყოს ჯანსაღი, ქართული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალის მიხედვით, ვფიქრობთ, ერთგვარად გულისხმობს ბედის „წერა-მწერელთა“ გულისმოგების წადილს, იდუმად შიშს მათი მსჯავრისადმი, სურვილს, აარიდონ ბავშვს ავი ბედისწერა.

ბედის „წერა-მწერელნი“ დაბადებამდე „უქმობენ“ (1, 13), მაგრამ ეს „უქმობა“ აღმართ ლოდინსაც გულისხმობს. „წერა-მწერელნი“ ორსულ ქალს თავს დასტრია ლებენ, მათი არგაბრაზების სურვილი იგულისხმება წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციათა აღწერილობებში.

ამგვარად, ბედის „წერა-მწერელთა“ მონათხრობის კანონიკა ქართულ ზეპირ სიტყვიერებაში ქრისტიანობამდელი წარმოდგენების ნათელი სურათია და ბერძნული ტრადიციის „ფატუმს“ ჰგავს. გარეგნულად „ანგელოზი“ დაერქვა „ბედის-მწერელთ“, ხშირად ნათლია ქრისტე მონაწილეობს, რათა შეცვალოს „წერა-მწერელთაგან“ დაწერილი ბედისწერა, მაგრამ ისიც უძლურია და ვერ იფარავს ბავშვს უბედურებისაგან, ვერ აუქმებს ბედისწერას....

ქრისტიანული საზრისი ადამიანური ნებისა, ღვთისაგან მონიჭებული თავისუფალი ნების ქმედითობა და პიროვნული არჩევანი სრულად უგულვებელ ყოფილია. ბედის „წერა-მწერელთა“ მიერ დაწერილი, ხალხური ტრადიციით, კანონია. ფაქტობრივად, ხალხურ ცნობიერებაში ეს წარმოდგენა დღემდე ძლიერია.

## არჩილ სპარსიაშვილი

### ქალი ხვარამზე – კოსმოსიდან?

ტექნიკის განვითარებისა და მეცნიერული მიღწევების თანამედროვე დონე ზეპირსიტყვიერებით ჩვენამდე მოსული ძეგლის, მისი ცალკეული ეპიზოდებისა თუ პლასტების შესწავლის საკითხს სხვანაირად აუკრიბებს. ახლა უკვე აღარავის აკვირვებს, ან ნიჭიერი ფანტაზიის შედეგად აღარ მიიჩნევს თუნდაც ქართული ზღაპრით წარმოქნილ მფრინავ ხალიჩასა თუ ჯადოსნურ სარკეს... უფოლოების, ოკულტიზმისა და პარაფსიქოლოგიის თანამედროვე აღმოჩენების ფონზე, ახლა ბევრი რამ აღარ გვაოცებს. აი, თუნდაც ერთი მაგალითი: “ამ რამდენიმე დღის წინ, -იუწყება გაზეთი ”ალია” / №1, 2000წ. / ამერიკის ქალაქ ნიუ-ჰეივენის / კონექტიკუტის შტატი/ მცხოვრებლები ადგილობრივ პარკში ხეზე ჯვარცმული ქრისტეს მოულოდნელმა გამოჩენამ განაცვიფრა. პირველად იგი გამვლელმა გოგონამ შეამჩნია. უცბად ხეზე მამაკაცის გაშიშვლებულმა ფიგურამ იწყო გამოჩენა. გარკვეულად ჩანდა, რომ ხელები მას გაშლილ ტოტებზე პერნილი მილურსმული, ხოლო ქვემოთ ჩამოვარდნილ თავზე ეპლის გვირგვინი აშკარად ემჩნევდა. გოგონა მიხვდა, რომ ეს ქრისტეს გამოცხადება იყო, მაშინვე მუხლებზე დაეცა და თვალცრუებლიანნა მხერგალედ დაიწყო ლოცვა. მალე ხეზე მიღურუსმული დმერთკაცის ფიგურასთან მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი და ისინიც ლოცვას შეუდგნენ.

ერთი საათის შემდეგ ქრისტეს ფიგურა ისევე მოულოდნებად გაქრა, როგორც გამოჩნდა.

მეორე დღეს, ზუსტად იმავე დროს, - განაგრძობს გაზეთი, - საოცარ ხესოან ხალხმა ისევ მოიყარა თავი და მასზე ჯვარცმული ქრისტე კალაპ გამოჩნდა. ხალხი ისევ მუხლებზე დაეცა და ლოცვა დაიწყო, თუმცა ზოგიერთ პრატიკულ ამერიკელს თან ვიდეოკამერა და ფოტოაპარატებიც წამოედო, რომ მაცხოვარი დაეფიქსირებინა. როგორც შემდეგში გამოირკვა, ფირზე მაცხოვრის მაგივრად თეთრი წაგრძელებული ლაქა დარჩენილა, რომელიც უხილავ სხივებს აფრქვევდა” /გ.8/.

ჩვენს ფოლკლორში ბევრია ისეთი თხზულება, სადაც მეტად შორეული წარსული ისეა დალექილი, რომ ხშირად ჭირს მის ფსევრზე დასევლა. ტექსტით წარმოდგენილი “სინამდვილის” მიკვლევა, ხშირად, შესაძლებელია მხოლოდ იმ პოეტურ სახეთა სწო-

რი ანალიზით, რომელთა შინაარსს საფუძვლად უნდა ედვას ძეგლით წარმოდგენილი ამბის რეალობა. ასეთ თხზულებად მიგვაჩნია ხალხური ლექსი “ქალი ხვარამზე”.

თავიდანვე ვიტყვით, რომ თხზულებაში, ჩანს, არაფერია რომანტიზმული, გარდა პოეტური სახისმეტყველებისა, რაც სინამდვილის მხატვრული გარდასახვის ბუნებაა.

დღემდე თხზულების სამი ვარიანტია მოპოვებული. ანალიზის დროს ორ მათგანს ვეყრდნობით და ორივეს თანაბარ მნიშვნელობას ვანიჭებთ (ერთი თედო რაზიკაშვილს ჩაუწერია, მეორე კი მამუკა ლიქოკელს).

ლექსის შესახებ საფურადდებოა ვ. კოტეტიშვილის აზრი. მეცნიერის თქმით, ეს ლექსი არის “უდიდესი მითოსი მზის ამოსვლისა... ხვარამზე - ამომავალი მზე არის... თანამდევ ვაჟში კი “მოვარე უნდა იგულისხმებოდეს”.

აღნიშნულთან ერთად, ბევრ სხვა საფიქრალსაც გვკარნახობს თხზულება. აქვე საჭიროდ მივიჩნიეთ ტექსტის სრული სახით დამოწმება.

აღმოსავლეთით ამოჩნდა  
თვალად ლამაზი ქალიო.  
ამაცყვა საყურ-ბეჭედი,  
უქრიალებდა ქარიო,  
თან მოქმე ამაიყოლა,  
ნათლად ეღება ფარიო.  
-აკოცეთ ქალსა ხვარამზეს,  
მე ვარ ამ ქალის ქმარიო,  
აკოცა ბიჭმა რეგვენმა,  
თავს გადიმტვრია ხმალიო,  
-რად ეგრე, ბიჭო რეგვენო,  
რაზედ მაიკალ თავიო?  
გაწყრა, გაჯავრდა ხვარამზე,  
მაღლა ჩაშალნა თმანიო,  
შაკაზმა მამის ლურჯაი,  
ზედ თავად შაჯდა ქალიო,  
სარბენლად არ ეყოფიან  
თრიალეთისა გზანიო,  
საძოვრად არ ეყოფიან  
დიდი ალგეთის მთანიო,  
სალოკად არ ეყოფიან  
სამნი მარილის ქვანიო,

სასმელად არ ეყოფიან  
ალაზანი და მტკვარიო,  
მუარდა გუმბრის წყალზედა,  
ელგით ენათა თვალიო,  
დაქწაფა და ზღვა გაშრა,  
გაგლიჯა მოსართავიო (2.354).

ლექსის პირველივე ტაქტები უცნაური ემოციებით გვტვირთავს, ათასნაირ ფიქრს აღგვიძრავს, სადღაც შორეთში გვეწევა, აქეთ მიგვიძლვის:

აღმოსავლეთით ამოჩნდა  
თვალად ლამაზი ქალიო,  
ამოჰყვა საყურ-ბეჭედი,  
უქრიალებდა ქარიო! (2.351)

სხვა ვარიანტით:

აღმოსავლეთით ამოჭდა  
თვალად ლამაზი ქალია,  
ამაჰყვა საყურ-ბეჭედი,  
ამააშუქნა მთანია (2.351)

გვიჩნდება კითხვა: “თვალად ლამაზი ქალი” რატომ მაინც და მაინც აღმოსავლეთით ამოჩნდა? “ამოჩნდა” და “ამოჭდა” ანალოგური შინაარსის ცნებებია. მათ შორის ნიანსური სხვაობა როგორ არ არის, მაგრამ... მაინც გვგონია, რომ აქ უფრო მთავარი არის სიტყვა “აღმოსავლეთი”. ვიმეორებო-რატომ აღმოსავლეთით და არა, ვთქვათ დასავლეთით, ჩრდილოეთით, ან – სამხრეთით?

უძველესი წარმოდგენებით, ისე როგორც წელიწადი – ზამთრად და ზაფხულად, სამყაროც ორ ნაწილად განიყოფებოდა – აღმოსავლეთად და დასავლეთად. იგი მზის მოძრაობასთან, მის ეწ. ამოსვლა-ჩასვლასთან არის დაკავშირებული. ზღაპარში “ამომავალი” აღმოსავლეთს ნიშნავს: “ხელმწიფების ძალიან გაუხარდა ვაჟის მისვლა, რაკი გაიგო, რომ ის ამომავალი ხელმწიფის შვილი იყო!” (2.129)

ქალი ხვარამზის საბრძანებელი აღმოსავლეთია!  
ორფუმიანობის გამო ანთროპონიმი “ხვარამზე” შესაძლებელია ცალკე უუძეებად დაიშალოს.

ფოლკლორში მზე ხშირად არის ქალის სიმბოლო. აქ იმ ცნობილი ხალხური ლექსის გახსენებაც იკმარებდა, “მზე დედაა ჩემი” რომ ჰქია.

ხვარამზის საბრძანებელი აღმოსავლეთია, ისევე როგორც მზის საბრძანებელი. მზიური სამყაროა ის ადგილი, საიდანაც

იწყება ნათელი, იწყება დღე, როგორც დამის დამხობისა და ბნელებების ზემით.

სვარამზე შესახედავად ლამაზი, საყურ-ბეჭდით დამშვენებული ქალია. ქარის გამო საყურ-ბეჭდის ზრიალი ამ სილამაზეს მეტ ესთეტიკურობას ანიჭებს. სახალხო მოქმედს სიტყვის სათანადო განცდა გააჩნია. მან იცის, რომ საყურის „უღრიალი“ სჯობია. „ურიალი“ სემანტიკურადაც დახვეწილ-დაწმენდილი ჩანს. „უღრიალი“ ხორკლიანი, მოსათელი და მკაცრია.

სხვა საქმეა მეორე ვარიანტის მეოთხე ტაპის სემანტიკის საკითხი:

ამაპყვა საყურ-ბეჭედი,  
ამააშუქნა მთანია.

საოცარი მეტაფორა!

როგორ გავიგოოთ: აღმოსავლეთით ამომავალმა /“ამოჩნდა“/ ქალმა „ამააშუქნა მთანი“, თუ საყურ-ბეჭედმა ამოაშუქნა მთანი? ალბათ, პირველმა. ვგრძნობთ, რომ „ამააშუქნა მთანი“ მარტივი მეტაფორა არ არის. აქ რადაც სხვაა, ვიდრე, ვთქვათ, ქალის გამოჩენით გამოწვეული ემოცია. იქნებ აქ კოსმოსურ მოვლენასთან გვაქსს საქმე, რამაც გარკვეული კვალი დატოვა დვდამიწელთა ცხოვრებაში, რის მხატვრულ დამუშავებადაც იქცა ეს ლექსი? აკი ხშირად გამბობთ, რომ ზეპირსიტყვიერებაში არ არსებობს ძეგლი, რომელსაც ადამიანის ცხოვრებაში არ პქონდეს საფუძველი.

ლექსის ჩვენთვის საინტერესო მომდევნო ტაქტებია:

თან მოყმე ამაიყოლა,  
ნათლად ეღება ფარიო.

მეორე ვარიანტით:

მოყმე ამოჰყოლია  
წითლად ნაღები ქმალიო.

ვინ შეიძლებოდა ხვარამზის /ხეარამზე/ თანმხლები ყოფილიყო? მოყმეს ვისგან უნდა დაეცვა ხვარამზე? /თუ თავისი თავი?/. კოსმოსიდან ხვარამზის მოსვლის შესახებ ზემოთ ნათქვამი ჩვენი ვარაუდი მართალი ხომ არ არის?

მოყმე წინასწარაა შეიარაღებული, მაშასადამე იცის სად მიემგზავრება მისი დაცვის ობიექტი და რა მოსალოდნელი საშიშროების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს იგი. ხვარამზისათვის მოყმე შემთხვევითი პიროვნება არ არის - მისი მეუღლეა. ამას იგი საქვეყნოდ აცხადებს: „მე ვარ ამ ქალის ქმარიო“. რატომ დასჭირდა ვაჟს ამის საჯაროდ გაცხადება?..

ისევ უკან დავიხიოთ: მოყმე შეიარაღებულია, თან ახლავს „წითლად ნაღები ქმალი“ და „ნათლად ნაღები ფარი“. „ნათელისა“ და „წითელის“ ფონეტიკური სიახლოვე აშეარაა, რაც ფოლკლორული ტექსტების ვარიანტულობის ერთ-ერთი შესაძლებლობა-ცაა. ტექსტის შინაარსთან მეტ სიახლოვეს „წითელი“ იჩენს. საქმე ის გახლავთ, რომ ფოლკლორული ტექსტების მიხედვით, წითელი, ხშირად სიკვდილის მაუწყებელი ფერია. ამაზე საუბარია ვ. კოტეტიშვილის შრომაშიც (4,357). ამის შესახებ არაერთ ზეპირსიტყვიერ თხზულებაშია ხაზგასმული. აი, თუნდაც:

შირაქის ველზე მივდივარ,

უკან მაბრუნებს ქარიო.

წინ შემეყარა პეპელა,

წითლად უჩანდა მხარიო.

საყვარლის კაბას ვამსგავსქ;

დმერთო, დამწერე ჯვარიო (5).

1946 წ. სოფელ შუაფხოში ჩაწერილი ლექსით, თინიბეჭი ბრძოლაში მოკლეს:

- მამამთილაო, რა უყავ

თინიბეჭი, ჩემი ქმარია?

- იქ დარჩა მუჭის დელესა

წითლის არაყით მთვრალია (6,102).

სხვა ლექსშიც წითელი სიკვდილის იდენტური ფერია: შიოსა და ცხენის დაალოგში ნათქვამია:

- საიდან მოხვალ, ოხერო,

პატრონ სად წაიყვანია?

- პატრონი გზაში დავტოვე,

წითლით დვინით მოვრალია (6,196).

ლექსში თვითონ მოყმე – წითლად ნაღები ხმალია. ლამის ასეთივე ფერისაა მისი ფარიც. ასეთი შეიარაღების მქონე დაცვა გვაფირებინებს იმაზე, რომ ხვარამზე ჩვეულებრივი, მიწიერი ქალი არ არის. მასთან დიალოგი, თუ მის ქმართან იარაღით კამათი, კარგის მაუწყებელი არ იქნება. ქმარი, ჩანს, ამაყი და თავნებაა. ამაზე თვითონვე გამომწვევად ბრძანებს:

ვინაც ვაჟი ხართ, აკოცეთ,

მე ორ ხორამზის ქმარია.

სხვა ვარიანტით:

ქალსა ხეარამზეს,

მე ვარ ამ ქალის ქმარიო.

ნეტავ რას უნდა გულისხმობდეს ეს „კოცნა“?!..

აშკარაა: მოყმე, დედამიწელებთან შედარებით, ამბიციურია, სჯერა თავისი ფიზიკური ძალისა, მიწიერთა შესაძლებლობებს წინასწარ იცნობს. შეუძლია ნებისმიერი გამოიწვიოს და შეებას კიდევ, რაკი მოწინააღმდეგის უთუო დამარცხების სრული რწმენა აქვს. წითელი ფერის სიმბოლიკას შეგვიძლია დაგმატოთ, რომ იგი მხოლოდ სიკვდილის მაუწყებელი ფერი არ უნდა იყოს. იქნებ, ამ შემთხვევაში, წითელი ფერი იმ სამყაროს ფერია, საიდანაც მოსალოდნელია ხვარამზისა და მისი ქმრის მოსვლა? თუ შავი ფერი ქვესანებლის ფერია... აღმოსავლეთის, ანუ ამომავალი მზის საბრძანებლის ფერი, წითელი როტომ არ შეიძლება იყოს?

ფერთა მცოცავი სხვადასხვაობიდან მომდინარე სიმბოლიკა მუდამ სწორხაზობრივი ვერ იქნება. ასე მოჩანს ჩვენი ლექსის მიხედვითაც. ერთი რამ კი ბოლომდე ნათელია: მოყმე საქმაოდ თავ-დაჯერებულია, რაც ახალ სამყაროში, ჩვენ ვიტყოდით-მიწიერთა შორის, უფრო გამორჩეულად იკვეთება.

მოყმის ქადილს – „ვინაც ვაჟი ხართ, აკოცეთ, მე ორ ხორამზის ქარია“ მსმენელთა შორის წინდაუხედავი, მოურიდებელი შურისმებნელი გამოუჩნდა. ჩვენს მიერ შურისმებნელად წოდებულ ბიჭს პირობითად დედამიწელი დავარქვით.

ტექსტის მიხედვით, ორთაბრძოლის პანორამა არ ჩანს, შედეგი კი წინასწარად განსაზღვრული: დედამიწელმა კოსმოსელის გამოწვევა მიიღო. ხვარამზეს „აკოცა ბიჭმა რეგვენძა“, რითაც „თავს გადიმტვრია ხმალიო“-ხვარამზის მეუღლემ განგმირა „რეგვენი ბიჭი“. ბიჭის სიკვდილმა კი ხვარამზე უფრო გააცოფა.

ისევ მივუბრუნდეთ ტექსტს: ხვარამზეს რატომ უნდა დასჭირებოდა ქმრის მიერ დაცვა? არა, იქნებ აქ ცოლ-ქმრის მარტივი, საყოფაცხოვრებო, საოჯახო დრამაა ამის მიზეზი, რაც ამომავალი მზის სამყაროშიც, სახალხო პოეტის წარმოდგენით, ისეთივე ბუნებრივია, როგორიც ის შეიძლება იყოს დედამიწაზე? იქნებ ამ დრამის გამიწიერება უფროა საფიქრებელი, ვიდრე პირუეული? ვინ იცის! ბიჭი რეგვენი მხოლოდ იმიტომაა, რომ გაბედა ხვარამზის კოცნა და ამდენად მისი ქმრის გამოწვევა? აკი შეეწირა კიდეც ამ წინდაუხედაობას! ამ ტრაგიკულმა პასაუმა კი იძალა და ხვარამზის სულ უფრო დასრულებული მხატვრული სახე ლამის ბოლომ-დე წარმოგვიდგინა. ხვარამზე მისი მეუღლის მეტოქის, უსახელო ვაჟის სიკვდილის გამო „გაწყრა, გაჯავრდა, მაღლა შაშალნა თმანია“. ბუნებრივად ისმის კითხვა: რა შეიძლებოდა ყოფილიყო მზეზი იმისა, რომ ხვარამზემ სხვა პლანეტაზე გაქცევითაც ვერ შეძლო უნდაური ქმრისაგან თავის დახსნა. ხომ ვნახეთ, რომ ქმა-

რი ამომავალი მზის ქვეყნიდან დედამიწაზეც კი მოჰყვება და მის-თვის ჩვეულებრივი რიხით ბრძანებს: ამ ქალის ქმარი მე ვარ, თუ ბიჭია ვინმე, სცადოს მისი კოცნაო!

დედამიწელის, ჩვენ ვიტყოდით, ხვარამზის მოსარჩდე ბიჭის მკაფელობაშ განსხვავებულად იმოქმედა ხვარამზეზე. აქამდე ქმრის უზურპაციაშ ვველა საზღვარი დააკარგვინა ქალს. და, ახლა უკვე დედამიწაზე, ხდება მხოლოდ კოსმიურის შესაბამისი შესაძლებელი სასწაული. ლექსში აქედან იწყება ზესკნელისა და შესასკნელის შესაძლებლობათა ერთმანეთში აღრევა... მერე უკალაფერი თავის ადგილს პოულობს. ხვარამზე მიწიერდება. აქამდელი შესაძლებლობებიდან რამებს კი არ პკარგავს, არამედ უფრო მეტად ავლენს მისი კოსმოსელობის დამადასტურებელ ნიშნებს /საფიქრებელი სხვაცაა/.

ისევ აჯანყება, ისევ გაქცევა!

გამწყრალ-გაჯავრებული ხვარამზე „მამის ყურთეთრ“ რაშს ჰერიზმაგს და ზედ თვითონ ჯდება. „მამის ლურჯა“ ყურთეთრია, რაც რადაც საინტერესო სიმბოლიკაზე უნდა მიგვანიშნებდეს და, ჩვენის ფიქრით, კოსმიურთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ქრისტიანულ კულტურაში თეორის სიმბოლიკა განსაკუთრებულია. სხვა რომ არაფერი, წმინდა გიორგი თეორ ცხენზე ამხედრებული გმირავს ურჩხულს...

ჩვენი აზრით, „ყურთეთრი“ სიმბოლური ნიშანი უნდა იყოს ხომალდისა, რომლითაც ხვარამზე დედამიწელებს ესტუმრა. ამასთან, „ყურთეთრი“ გამოიჩინებობის ნიშანიც უნდა იყოს, რაც, მთქმელის წარმოსახვით, ადვილი შესაძლებელია, კოსმიურის განსაკუთრებულობას უსვამდეს ხახს.

ვაკვირდებით თხულებას და აშკარად ჩანს ფაბულის ნაწილების გადაადგილება. მამისეული „ყურთეთრა“, მართლაც, ზებუნებრივი, ზღაპრული შესაძლებლობების მქონე რაშია. ლექსში არ არის მითითებული, რომ იგი ჩვეულებრივი ცხენია.

რაშის ფანტასტიურობასა და ხვარამზის არამიწიერებაში საეჭვო ცოტა რამდა რჩება. „ყურთეთრა“ რაშის შესაძლებლობების წარმოჩენა კოსმიურ მოცულობებზეა აგებული. აქ მკითხველ-მსმენელის თვალწინაა ის სამყარო, რაც ჩვენი ფოლკლორული ეპიკური ძეგლების „ამირანიანის“, „ეთერიანის“ თუ ფანტასტიკური ზღაპრების ერთი ნაწილისათვის ცნობილია. ყველაფერი ეს ლექსში ისე ორიგინალურადაა წარმოდგენილი, რომ კომენტარს არ საჭიროებს.

სვარამზის ლურჯა სასწაულებრივია, რაც მისი ფანტასტიკური შესაძლებლობებითაა ხაზგასმული:

სარბენდად არ ეყოფიან  
თრიალეთისა გზანიო,  
საძოვრად არ ეყოფიან  
დიდნი ალგეთის მთანიო,  
სალოკად არ ეყოფიან  
სამნი მარილის ქვანიო.  
სასმელად არ ეყოფიან  
ალაზანი და მტკვარიო /7.351/.

გვჯერა, რომ „თრიალეთის გზანი“ და „დიდნი ალგეთის მთანი“ „ამირანიანის“ მეგალიოური ფონის საფუძველზე /დ. მელიქეთ-ბეგი/ ლექსის შემთხვევითი, მხოლოდ მხატვრული ელემენტები არ უნდა იყოს.

ტექსტის სხვა ვარიანტები ხსნებულ კოსმიურ პასაჟს არ იცნობენ. აქ პრეტერი ხედვა ისეა დაკაბადონებული, რომ ჭირს არ იფიქრო ამ ზღაპრული რაშისა და მისი მხედრის არამიწიერებაზე. მართალია, ხალცურ მეტაფორულ ჰიპერბოლიზირებას თავისი მიზანი გააჩნია – შეუძლებლის შესაძლებლად წარმოჩენა, რაც ფოლკლორული ძეგლისათვის ბუნებრივია, მაგრამ რაღაც საფუძლის, რაღაც მინაცემების გარეშე, ცარიელ ნიადაგზე აქაც ტექსტის აღმოცენება ხომ ძნელი წარმოსადგენია?! აი, ეს კოსმოსური რაში-ხომალდი, ჩვენი სურვილების გარეშე, თავის მმართველ მესაჭესთან ერთად იღუპება მხედრითურთ.

მუარდა გუმბრის წყალზედა,  
ელვით ენათა თვალიო,  
დაუწაფა და ზღვა გაშრა,  
გაგლიჯა მოსართავიო /2.974/

ლექსის მკითხველი თუ მსმენელი თითქოს საკუთარი თვალით ხედავს „ყურთეთრ“ კოსმიურ ხომალდს, რომელსაც ხვარამზე მართავს; ხომალდის თვალი ელგასავით ანათებს /“ელვით ენათა თვალიო“, რაც კიდევ და კიდევ ხომალდის გამორჩეულობაზე უნდა მიანიშნებდეს. „მოსართავგაგლებილი“ იქნება ხომალდის მართვის სისტემის მოშლის ანალოგიური ცნებაა, რაც შეიძლება „ყურთეთრის“ ანუ ხომალდის დაღუპვას გულისხმობდეს.

აქ პერსონალურად გუმბრის /მდინარეა წყალტუბოს რაიონში/ წყალი, მარტივად წყალი არ უნდა იგულისხმებოდეს. ამის დამადასტურებელი არგუმენტია ლექსის მომდევნო ტაქტი „დაეწაფა და ზღვა გაშრა“. ლექსის ეს ადგილი არა მარტო კონკრეტული გუმბრის წყლის უარყოფაა, არამედ საგარაულო კოსმოსური ხომალდის დაღუპვის ადგილის მინიშნებაც, - ხომალდი ზღვაში დაინოქა! მოქმედისათვის „გუმბრი“ „ზღვის“ იდენტურ ცნებად მოჩანს.

ლექსის ვარიანტებში ეპოქებისეული შრეები ბევრია. ო. რაზიკაშვილისეული ტექსტის გამორჩეულობაზე დაკვირვებამ კი ზემოთქმედი და კიდევ ბევრი რამ გვაფიქრებინა.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ. 1961. 2. ქართული ხალხური პოეზია, ტ. III, თბ. 1974 წ. 3. ტექსტის სამივე ვარიანტი დაბეჭდილია წიგნში – ქართული ხალხური პოეზია, ტ. III, თბ. 1974 წ. 4. ქართული ზღაპრები, თბ. 1974 წ. 5. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ. 1961 წ. 6. ჩემი კერძო კოლექცია. 7. ქართული ხალხური პოეზია, ტ. IV, თბ. 1975 წ. 8. ქართული ხალხური პოეზია, ტ. IV, თბ. 1975 წ.

## თამილა გოვოლაძე

### გაუა-ფშაველას შემოქმედების ხალხური წყაროები

ზეპირსიტყვიერება და, განსაკუთრებით მშობლიური ფშაური ფოლგ-ლორი, ულევ მასალას აძლევდა ვაუა-ფშაველას თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებისათვეს. ბევრი რამ დაკარგულია და შეიძლება მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა ამა თუ იმ ნაწარმოების ხალხურ ძირებზე. ამიტომ საყურადღებოდ და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თიანეთის მხარეთმცოდნების მუზეუმის დირექტორის, აწ გარდაცვლილი, ბატონ ილია ბეჟანიშვილის მიერ 1959-61 წლებში თიანეთსა და მის რაიონში, ჯერ კიდევც ცოცხალი მოწმეების ან მათი შთამომავლებისაგან ჩაწერილი და, შემდგომ, გამოუცემელ მონოგრაფიად მომზადებული მასალები. კერძოდ, აღნიშვნული შრომის ნაწილი სათაურით - „ვაუა-ფშაველას შემოქმედების ხალხური წყაროები“.

თიანეთის მკვიდრის, ფიქრია გიანაშვილის ცნობები ილია ბეჟანიშვილის შესახებ ასეთია:

„ილია ბეჟანიშვილი დაიბადა 1913 წელს, ლარიბი გლეხის ოჯახში. 9 წლისა სწავლას იწყებს თიანეთის შვიდწლიან პოლიტექნიკურ სკოლაში. შემდეგ მიემგზავრება დედაქალაქში და ცოდნას ეუფლება თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1934-1938 წ.წ.). თბილისის დაბრუნებისთანავე იწყებს მასწავლებლობას თიანეთის რაიონის სხვადასხვა სკოლებში.

1938-49 წლებში ი. ბეჟანიშვილი თიანეთის რაიონული გაზეთის რედაქტორია; 1946 წლიდან 1948 წლამდე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებას განაგებს თიანეთში; შემდეგ 3 წლის მანძილზე არასრული საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობს; მაღლ კვლავ გაზეთის რედაქციას უბრუნდება. 1952 წლამდე ი. ბეჟანიშვილი რაიონული გაზეთის პასუხისმგებელი მდინარის თანამდებობაზეა.

1953 წელს ი. ბეჟანიშვილი ახმეტის რაიონული გაზეთის „გამარჯვების“ რედაქტორად დანიშნება. 1957 წლიდან კი კვლავ მშობლიურ თიანეთში ბრუნდება და მხარეთმცოდნების მუზეუმის დირექტორად მუშაობს გარდაცვალებამდე.

ამავე დროს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტში.

60 წლის კაცს მთელი თავისი ცხოვრება სწავლასა და შრომაში აქვს გატარებული. მან ფეხით თუ ცხენით მოიარა ყოფილი თიანეთის მაზრა და ჩაიწერა მოგონებები ვაუა-ფშაველაზე იმ კუთხეებში, რომელთანაც ჰქონდა მუდმივი ურთიერთობა მწერალს. ესაა ყოფილი თიანეთის მაზრა, ივრის ხეობა.

ი. ბეჟანიშვილი წერა-კითხვის მცოდნეთ აწერინებდა, შემდეგ კი თვითონაც აკეთებდა ჩანაწერებს. ასე შედგა ვრცელი საქალალდე, რომელშიც

შეკრებილია ოთხმოცამდე მოგონება ვაჟა-ფშაველასა და თიანეთზე“ (ფ.ვიანა-შვილი, „ვაჟა-ფშაველა და თიანეთი“, გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი“, აგვისტო, 2002 წ., გვ. 3).

ი. ბეჟანიშვილს მოუმზადებია გამოკვლევები „კიკნა-ფშაველა“, „რ.ერისთავის მოღვაწეობა“ და „გაჟა-ფშაველა და თიანეთი“, რომლის გამოცემაც სიცოცხლეში ვერ მოასწრო (სამწუხაროდ, ვერ დაგადგინეთ ი. ბეჟანი-შვილის გარდაცვალების ზესტი თარიღი).

ილია ბეჟანიშვილის ხელნაწერი შრომა ძირითადად ჩაწერილ მოგონებებს ეფუძნება, თუმცა მას ერთვის ავტორის სეული შეხედულებანიც სათანა-დო ლიტერატურის მოშველიებით.

ილია ბეჟანიშვილი გვაწვდის საყურადღებო ცნობებს ვაჟა-ფშაველას ნაცნობობაზე სახალხო მთქმელებთან, მათთან კაფიობაზე, მნიშვნელოვანია ცნობები პოეტის დაინტერესებაზე ხევსურული ხალხური პოეზიით, მოგონებანი „გოგოთურ და აფშინას“ ხალხურ წყაროებზე, მის მიერ ექსპრომტად დაწერილ ლექსებზე და სხვ.

ვცადეთ სრულად წარმოგედგინა ი. ბეჟანიშვილის ნაშრომის ზემოთ დასახელებული ნაწილი „ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხალხური წყაროები“, რომელსაც ალაგ-ალაგ ჩვენეული შენიშვნებიც დავუროვთ.

„ვაჟა-ფშაველას პოეტურ ქმნილებებს ხალხური შემოქმედება ასაზრ-დოებდა. იგი ხალხში, მშრომელ მასებში პოვებდა ხალხური შემოქმედების ობოლ მარგალიტებს. ანდაზებში, იგავებში, ლეგენდებსა და ხალხურ ლექსებში ხედავდა ჩვენი მგოსანი ხალხის გმირულისტორიული წარსულის სულის სიძლიერეს, მაღალ კულტურას, შემართებას, ვაჟაკორბასა და გმირობას.“

ამიტომაა, რომ მისი პოემები და ლექსები ძარღვიანია, გამძლე, მგრძნობიარე და ადამიანთა ფიქრთამცყრობელი.

იშვიათი იყო ფშავ-ხევსურეთში ისეთი დღეობა, რომ ვაჟას მონაწილეობა არ მიეღო, აյ იგი ხალხსეცნობოდა, ისმენდა მათ მკაფიო მახვილისიტყვაობას, საგმირო თავგადასავალს. დაფერფლილი ისტორიული წარსულის სიღრმეში ხედავდა პოეტის თვალი ფშაველ-ხევსურთა ვაჟაცების შერკინებას მტრის უროდებთან, ხედავდა მომავალი სახალხო გმირების - ჯოყოლას, ლუხუმის, მინდიას, გაფრინდაულის სახეებს. გადმოსცემენ, რომ ვაჟას უფრო სხვისი ნამბობი იზიდავდა, ვიდრე საკუთარი ლექსებისა და პოემების კითხვა.

ზურაბ დაღოშვილს ვაჟა-ფშაველას ხატში ყოფნის დროს ასეთი ამბავი აქვს მოთხრობილი:

„ფშავლების სალოცავ ლაშარში ვიყავით, ხალხი ერთ ადგილას იყო დაჯარებული, ისმოდა გახურებული ფშაური სიმღერები. განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც ერთი ადგილი იქცევდა. მე გულმა აღარ მომითმინა და იმ ჯგუფთან მიეველი. მისელისთანავე თვალი ვაჟაზე დამრჩა. იმის ვაჟეკურ ტანს ჩოხა და ქამარ-ხანჯალი ალამაზებდა. იჯდა დინჯად და მომღიმარი სახით შესცეკროდა ხალხს. ორი-სამი ფშაველი გამალებით ელექსებოდა და მოსვე-

ნებას არ აძლევდა. ვაუა მათ ისეთი მოსწრებული სიტყვებით უმასპინძლდებოდა, რომ მთელი მაყურებლები გატაცებით შესცემულნენ დიდებულ პოეტს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვაუა ჩვენს სუფრასთან მივიპატიუეთ, აქაც კვლავ გაგრძელდა მოლხენა და ლექსობა. სხვათაშორის იქ ერთი ხალხური ლექსიც იძღვრუს:

ლაშარის ჯვარის ლურჯასა  
ფაფარი უდგა გიშრისა,  
ის როცა გაემართება  
კვალი გაჰყვება ნისლისა.  
მიეშველება კარგ ყმასა,  
ხან რო იყოს მისვლისა,  
ლურჯასა მჯდომსა მხედარისა  
შუქი მიჰყვება ცისკრისა,  
ის რო ჩაების ომშია  
მტერს მაშინ ელის ღვთის რისხვა.

როგორც კი დამთავრდა ეს ლექსი, ვაუა ჩაიცინა და თქვა: „მართლაც ზოგიერთ ჩვენს მამა-პაპის ნათქვამ ლექსს კაცი რომ დააკვირდეს, იმის დავიწყება ცოდვაა“.

მან მაშინვე ამოიღო ჯიბიდან ქადალდი და დაიწყო წერა ლექსისა. მერე? მერე, ჩემო შეთე, მერე როგორდა არისო-ჰერთხავდა ის შეთეს და თან გაცხარებული წერდა. მე ძალიან გამიკვირდა ვაუასაგან ამ პატარა ლექსის ჩაწერა და თან ვფიქრობდი: „ნეტა რად უნდა? აქედან რა უნდა ისარვებლოს“.

ვავიდა რამდენიმე წელიწადი. ერთხელ ერთ ადგილას მის პოემებსა კითხულობდნენ. როცა დაიწყეს „ბაზტრიონის“ წაკითხვა, იქ ყური მოვკარ სიტყვებს:

ლურჯ ცხენზე იჯდა ლამაზი,  
სხივი თავს ადგა ღვთიური,  
რომ ვნახე, გულში ჩამიდგა  
სიამოვნება ციური!

იქ რომ ლაშარის ჯვარზე და იმის ცხენზე იყო ლაპარაკი, მაშინვე მივხვდი და ვთქვა: „აი, სად ჩაწერა ვაუამ ეს ლექსი და სად გამოუყვანია“.

ვაუას პოემის გმირები ხშირად გამოგონილი კი არ არიან, არამედ სი-ნამდვილიდანაა აღებული. ასეთია, მაგალითად „გოგოთური და აფშინა“.

სოფელ გომეწრის მცხოვრებ ხვთისო ლურბელაშვილს ამ პოემის შესახებ შემდეგი აქვს ნათქვამი:

<sup>1</sup> ლაშარის ჯვრის სახე ჩნდება მხედართა დასახმარებლად ვაუა-ფშაველას პოემა „ბაზტრიონის“ X თავში.

„თავისი შესანიშნავი ნაწარმოების „გოგოთური და აფშინას“ მთავარი გმირი გოგოთური ვაჟას სინამდვილიდანა აქვს აღებული, გოგოთური ფშაველი იყო სოფელ კოფჩიდან.

გოგოთურის ერთხელ ხევსურებმა წისქვილის ქვები მოჰქარეს, შეიტყო თუ არა ეს ამბავი, გოგოთური გამოეკიდა ქურდებს და დაეწია კოპალეს ქას-თან (ადგილია). დააბრუნა უკან, მიიყვანა სახლში, წისქვილის ქვებიც, რა თქმა უნდა, უკან მოატანინა. იგი ქურდებს სასტიკად მოეპყრო. გოგოთურმა მათ ჩაუსხა ძალის სალაფავი (საჭმელი) ძალისავე გეჯაში და აიძულა ეჭამათ<sup>1</sup>.

ქურდებს მეტი გზა აღარ ჰქონდათ, შეუდგნენ ჭამს. ჭამის შემდეგ გოგოთური მათ სიკვდილით დაემუქრა, თუ კიდევ გაბედავდნენ ქურდობას“.

ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებში „გიგლია“ ერთ-ერთი მოქმედი პირი მყვირალია. პოემაში ნათქვამია:

საყორნის ყელში ცხრას ლეკსა  
გიგლიაც თანა ჰყვებაო.  
მე უფრო გამისარდება,  
როცა ვაჟაცი კვდებაო.  
ლმერიმა მყვირალსაც უშველოს,  
ხუთ ლეკს მომიჭრა თავია,  
ტყვეებიც ასადს მაუდის  
ბაჟყვა გოღირდათ ქალია.

მყვირალი ვაჟას სინამდვილიდანა აქვს აღებული. იგი ფშაველია, ჩარგ-ლიდან (ავტორის სტილი დაცულია, -თ. გოგოლაძე).

საფურადლებო ცნობა გადმოგვცა იგივე ღურბელაშვილმა ამის შესახებ:  
„მყვირალს ჩარგალში ჰყავდა საყვარელი ქლი, რომელსაც წვარაშე ერქვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხვარამზეს მყვირალისაგან შეეძინა უკანონო შვილი. მაშინდელი ჩეულების მიხედვით ამ სამარცხვინო საქმის გამო ჩარგალმა მყვირალი მოიკვეთა და სოფელში აღარ უშვებდნენ. მყვირალი ცდილობდა თავისი დანაშაული გამოესყიდა. კანონის თანახმად ეს მხოლოდ გმირობით შეიძლებოდა. მართლაც მყვირალმა თავისი დანაშაული გამოისყიდა გიგლიას მიშველებით“.

სალხური შემოქმედების საუნგიდან აღებული მასალებით შექმნა ვაჟა-ფშაველამ პოემა „ივანე კოტორაშვილი“.

სინამდვილესთან ახლოა ვიფიქროთ, რომ ვაჟამ ამ პოემის საფუძვლად გამოიყენა ერთი ამბავი, რომელიც სოფელ დუღუზაურების მცხოვრებმა იოსებ ჯაბანაშვილმა გვიამბო:

„ახმეტის გზაზე მიმავალი ჯაბანაშვილები ლეკებმა დახოცეს. მოკლეს 6 კაცი, 12 ტყვედ წაიყვანეს. ამ ადგილს დღესაც „ჯაბანიანთ ნახოცები“

<sup>1</sup> ამ ამბავს თვით ვაჟა-ფშაველაც იმოწმებს წერილში „ჩემი პოემების შესახებ“. იხ. თხ. VII, 1956 წ., გვ. 335.

ეწოდება. ვაჟა დაინტერესებულა, გამოუკითხავს მომხდარი ამბავი, როგორ ყოფილაო, რამდენი დახოცეს და ტყვეები როგორ დაიხსნესო. გაიგო, რომ 12 ტყვეში თითოში ორმოცი თუმანი ვერცხლით გადაუხდევინებიათ. ალბათ, ეს გამოიყენ ვაჟის პოემისათვის - „ივანე კოტორაშვილი“.

უეჭველია, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ვაჟა-ფშაველა პოემაში მიუთითებს არხლით წაყვანილ ტყვეებზე (არხალი პატარა მდინარეა, ახლანდელ სოფელ დელუშაურებსაც ძველად მდინარის მიხედვით არხალი ერქვა), რომელნიც სოფელ ჩაბანოზე გაატარეს. ხალხი დღესაც ასახელებს იმ ადგილებს ივრის ხეობაში, საღაც შეფე ერეკლედან გამწყრალი ივანე წამოსულა და დაუსვენია სოფელ ბოკონის მახლობლად მდებარე პატარა ეკლესიას-თან“ (ავტორის სტილი დაცულია, -თ.გ.).

„შვლის ნუკრის ნაამბობის „ავტორს არ შეიძლება თვითონ არ განეცადა დაობლებული ნუკრის დედის ცრემლიანი თვალგბით გამოხატული საყვადური, რად მომისპე სიცოცხლეო. საინტერესო მოგონება ჩაგვაწერინა დაბა თიანეთის მცხოვრებმა 84 წლის მოხუცმა იაგორა სიმონის ხე ესაევმა:

„ვაჟა-ფშაველა ჩემი სიმამრის-ფერშალ გიორგი სარქისოვის კარგი მეგობარი იყო და ხშირად მოდიოდა მასთან.

ჩემს სიმამრს ვაჟამ თავისი მონადირეობის ასეთი ამბავი მოუყვა:

ერთხელ სანადიროდ წავედი დათვის მოსაკლავად. ტყეში შესვლის წინ მშვენიერმა მშველმა გამიარა. ჩემთვის ჩავილაპარაკე, წადი, მომშორდი, შენი ცოდო არ მინდაო და გზა განვაგრძე. ცოტა მანძილი რომ გავიარე, კიდევ წინ გამიარა, მესამედაც ასე მოხდა. მაშინ ავიღე და თოფი ვესროლე. იგი წაიქცა. მივედი სანახავად და საშინელი სურათის მოწმე გავხდი: მშველი ცრემლიანი თვალებით შემომცეკროდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა, თითქოს მეუბნებოდა, შე უღმერთო, რად მომკალი, რად მომისპე სიცოცხლე, შვილები რად დამირჩინეობლადა. ტირილი მომერია. ავიღე თოფი და გადავისროლე ტყეში. იმ დღი-დანვე ხელი ავიღე მონადირეობაზე და არც თოფი ამილია ხელშიო“.

ვაჟას მადლიანი კალამი დიდებით მოსავდა სახალხო გმირებს. მან არა ერთხელ აამეტყველა ისინი თავისპოვებსა და ლექსებში. განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდგობოდა პოეტი ცნობილ ხირჩლა ბაბურაულსა და ბერდია მამუკაურს.

სოფელ მაგრანეთის მცხოვრებმა გიორგი მოსეს ხე ობგაიძემ შემდეგი გვიამბო: „ვაჟას ძალიან უყვარდა ხალხური ლექსები და სახალხო გმირები. ერთ ღამეს თიანეთში გიორგი ხინჩილაშვილის (ლომაშვილის) ღუქანში შევი-ფარენით. ვიქეითვეთ. ბევრი ლექსები თექვა, მაგრამ ვაჟას მაინც ყველაზე მეტად ბაბურაულისა და მამუკაურის ლექსი უყვარდა:

ხმალსა სიმოკლე არ უშლის,

ვაჟაცსა სიმღაბალია,

ფეხი წადგი და წაგრძება

როცა გახდება ჩხუბალა

ომის კარ გაიზარდება.  
ბერდია მამუკაური  
და ხირჩლა ბაბურაული,  
სანეს შაყრილან სმაზედა,  
ბერდიამ უთხრა ხირჩლასა  
ჩემი მოკლეა ფრანგული  
ვერ ვათამაშე შეზედა.

- ხირჩლა -  
აქამდევის უთამაშებავ  
დაბალ ხირჩლაის ტანზედა,  
ეხლაიყოსა, ბერდიავ,  
სანეს ჩვენ ესედვართ სმაზედა.  
ბერდია -  
მაგისა მაშინ ვიაბათ  
რო შავიყრებით გზაზედა.

ამას რომ იტყოდა ვაჟა, ფეხზე წამოდგებოდა, ხელს მაღლა ამართავდა:  
„მეც ხირჩლა ბაბურაული ვარო“. თავის ლექსებს იშვიათად გვეტყოდა  
ხოლმე“ (ავტორის სტილი დაცულია, თ.გ.).

ვაჟას ახლო ურთიერთობა პქინდა ცნობილ სახალხო მთქმელებთან –  
მერცხალასთან, ჯაბათან, ყრუვ-გიორგისთან (გიორგი მგელიაშვილი, სოფე-  
ლი ლახატო), ფრუშკა წვეროშვილთან (სოფლიონი), ნიკო გრიქუროვიანა (სოფ.  
მაგრანეთი), გიორგი (ბუთლა) ალბუთაშვილთან (სოფ. ჩაბანო), დიმიტრი  
ქსნელაშვილთან (ახალსოფელი) და სხვ.

სამწუხაროდ, ამ ნიჭიერ სახალხო მთქმელთა ლექსებმა და კაფიებმა  
ბევრმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, დაიკარგა; ჩვენამდე არ მოაღწია ცნობებმა,  
მათმა ურთიერთობამ და მოგონებებმა ვაჟას შესახებ, მაგრამ რაც მათ დაგ-  
ვიტოვეს, ისიც საკმარისია იმისათვის, რომ ნათელგყოთ, თუ რამდენად ახლო  
იყო ვაჟა-ფშაველა მათოან, ხალხურ შემოქმედებასთან.

ფრუშკა წვეროშვილი – ჩვენი ცხოვრების გულწრფელი მომღერალი,  
ახლოს იცნობდა ვაჟას, მოხიბლული იყო მისი ლექსებითა და პოემებით. ორი  
ფშაველის – საქვევნოდ ცნობილი პოეტისა და ნიჭიერი სახალხო მთქმელის  
ურთიერთობა მკაფიოდ აისახა ხალხურ პოეზიაში:

ტყუილად მოჰკვეხ ფრუშკაო  
იხრინწანებ ხმასაო,  
ტყუილად სჩემიბ ლამაზის  
ლექსების გამოოქმასაო.  
მელექსე აგეთი უნდა  
ვაჟა რომ ჰყვდა მთასაო,  
ჩარგალში სიტყვას იტყოდა  
ქალაქში აწვდენს ხმასაო,  
მოდი, დაეხსენ ფრუშკაო,  
მოდი, ნუ იგდებ თავსაო.

(მიხ. ჩიქოვანი – „ვაჟა-ფშაველა და ხალხური პოეზია“, გვ. 55, 1965 წ.).

სახელოვანი მგოსანი აღფრთოვანებული იყო სახალხო მთქმელთა ნიჭიერად დაწერილი სტრიქონებით, იგი ყოველნაირად ხელს უწყობდა და აქეზებდა მათ.

ერთხელ ფრუშკა წვეროშვილი ჩარგალში ყოფნის დროს ვაჟას ქორწილში შეხვედრას. პოეტს მოსწონებია მისი ლექსობა და ასე შეუძლებრია:

ჩემთან მოდი, სოფლიფნელო

ვაჟამ გითხრას არაკები.

ფრუშკას არ დაუხანებია და მოკრძალებით შეუძლებრია:

ახლა ჩარგალში წამოვედ,

არტანს მოესპე არაჟბა,

მე უბრალო მოლექსე ვარ,

პოეტებთან რას გავხდები.

როგორც ზევით იყო აღნიშნული, ვაჟა-ფშაველა ძლიერი იყო პოეტური ქმნილებების გამოქტერწვაში, მაგრამ არანაკლებ ძლიერი იყო ექსპრომტად წარმოთქმულ ხალხური შემოქმედების ისეთ სახეში, როგორიცაა კაფიები.

თევდორე (ბერივი) კოჭლაშვილმა ჩაგვაწერინა:

ჩარგალში ჩემი ყოფნის დროს ვაჟას სოფლელები თინათინი და მარო არაყს ხდიდნენ. მათ ლუკამ ასე შეუძლებრა:

ქობ უდგა, არაყსა ხდიან,

თინათინი და მარუა.

ე, არაყ დაგვალევინე

ჩვენიც ეგეთა გამუა.

თინათინს მაშინვე შეუგებებია:

რომელ ერთს დაგალევინოთ

თქვენ წახვალოთ, ახლა სხვა მუ.

ვაჟა-ფშაველას თავისი მეზობლის გრიგოლის (რაზიკაშვილის) სახლის მახლობლად სახნავი მიწა ჰქონდა. დათესილ ნაკვეთს ხშირად აფუჭებდნენ გრიგოლის საქონელი. ამის გამო არა ერთხელ გაუფრთხილებია ვაჟას, ნათესს თქვენი საქონელი მიუჟებს და ნუ გაუშებთო. ერთხელ ვაჟა და გრიგოლი, რომელიც ცნობილი იყო თავისი სიმაღლით, ვახშამში მოხვდერილან. აქ გრიგოლს ასე შეუძლებრია:

გრიგოლი

ვაჟაგ, შენს დაფარულზედა,

გრიგოლს დაუდის ნახირი.

ვაჟა

დილასაც გადმოუვლია,

ვერ გავაგონე ბახილი.

გრიგოლი

შენ მაგას რას ჩამორჩები,

თუ არ იხმარე მახვილი.

ვაჟა

სადაც შავწვდები, იქ დავპრავ

ახლა კიბისთვის სად ვივლი.

ვაჟა-ფშაველას მიერ წარმოთქმულ კაფიებში კვლავ სამშობლოს დი-დებაზეა ლაპარაკი, მეფის მოხელეთა სიძულებილზე და მშრომელთა მხარდაჭერაზე.

ტოლაანთსოფელში მასწავლებლად ჩამოსვლისას სოფლის თავგაცებმა – ომამ, თორლეგმ, ჭრელამ, უშიშამ და ვეფხია ქისტაურებმა, ახლად წვერაშლილ ჭრაბუკ ვაჟას ქეიფი გაუმართეს. ვაჟა ძალიან გამხიარულებულა და თორლვა ქისტაურისთვის მიულექსია:

თქვენთან ბაასი მწადიან,  
ეხლა ძლივ შეგ ხვდით სწორთაო,  
ერწოა დიდი ბალდადი,  
ნეტა რა ძალამ მორთაო.  
იქ ყოფნა არა მწადიან,  
გულს მემატება შფოთვაო.  
ხელმწიფის მოხელეებსა  
გუშინაც ვცემე ორთაო.

ამის პასუხად თორლვას მიულექსებია:  
დიდი ხარ, ვაჟა-ფშაველავ,  
მხარბეჭიანი, კოჭტაო,  
ხელმწიფეს უნდა უმღერდე,  
რო თამარ მეფეს შოთაო

ვაჟას სამაგიერო კაფია შეუგებებია:  
დიდთან დიდია ვაჟაი,  
პატარიასთან ცოტაო,  
მოსისხლეს არას ვუმღერებ,  
მეცა ვცნობ თავის სწორთაო.

(ვანო ქისტაურის მასალებიდან: „დიდი ხარ, ვაჟა-ფშაველავ“, „სოფლის ცხოვრება“, № 132, 1961 წ.).

ვაჟა-ფშაველას ძალიან უყვარდა ხევსურული ვაჟკაცური ხალხური პოეზია. იგი არაერთხელ სტუმრებისა სალი კლლებისა და ჭიუხების მამაც რაინდებს. იშვიათად თუ დააკლდებოდა პოეტი ხევსურთა საჯარო რელიგიურ დღესასწაულებს. ამ პერიოდში ყველა მხირული იყო, ყველა თავის მჭევრ-მეტყველებას და ხელმარჯვეობას ამჟღავნებდა. დიდი მგოსნისთვის ეს დღეები ბედნიერი დღეები იყო. მიუჯდებოდა გვერდში ჭალარამოსილ ხევსურებს და ტკბებითა ხევსურთა ვაჟკაცობის ისტორიული წარსულის ამბების მოსმენით. თვითონაც აქტიურ მონაწილეობას დებულებდა მოსწრებულ სიტყვა-პასუხში და ფრთიან კაფიებში.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, ათენგენობას, ვაჟა სოფელ შატილს სწვევია. აქ პოეტს მონაწილეობა მიუღია ხევსურთა დღესასწაულში. გახურებული ღრუობის დასტურს ღუდით სავსე თასით ვაჟასთვის ფშაურად შეუმღერია: ვენაცვლე მამულიშვილსა,

ვინც გმირებს მისდევს კაპაზედა  
ვაჟგაცსა სახელიანსა

საკარგემო უნდა ჯარზედა.

ვაჟას მოსწონებია დასტურის ნათქვამი, მხარზე ხელი გადაუხვევია და ლექსითვე უპასუხია:

საკარგემო უნდა ძმობილო  
თავდადებულსა ცდაზედა,  
ვინც არ ასრებს ურჯელოს  
ქართველთა მიწა-წყლზედა!  
მე ნუ მიღოცავთ სახელსა  
ერთ-ორი სიტყვის თქმაზედა.

არხოოტელი გიგია წიკლაურის გადმოცემით, ერთხელ ვაჟა მას სტუმ-რებია ოჯახში. გიგიას სუფრა გაუშლია საევარელი პოეტისათვის. როცა ვაჟა კარგად შექეიფიანებულა, ლექსაობის ხასიათზე დამდგარა და შემოუძახნია:

მე ვაჟა-ფშაველად ვარ  
ფშავ-ხევსურეთის პოეტი.  
თვეში სამ თუმანს მაძლევენ  
ცხოვრებას ამით მოვები.

ქეიფის დროს გიგიას მეზობელს ვაჟასთვის შეუმღერია:

თოვი მე მომეც, ლუკაო,  
უნდა წავიდე ტყეშია,  
მეც უნდა მოვკლა ირემი  
უნდა მოვიღა ლეშია.

ვაჟა წუთით ჩაფიქრებულა და შემდეგ კი ღიმილით უპასუხია:

შენა მზემ, არხოტიონო,  
თორმეტ მაგაკლავს დღეშია,  
შენ უნდა იყო ჩემებრი –  
ქადალდზე ლექსებს წერდია,  
ან უნდა იყო ისეთი  
კლდეში ჯიხვებს რო სდევდა  
შენ მართლაც მაჰკლავ ირემსა  
გეტყობა პაჭიჭებშია.

ამგვარად, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მასაზრდოებელი წყარო ხალ-შური შემოქმედება იყო. პოეტობას მოხერხებულად იყენებდა, გარდაქმნიდა, ახალ სულს შთაბერავდა, ახალ ხორცს ასხამდა. ამიტომაა მისი ყველა ლექსი, პოემა ელგარე, მიზიდველი, პოპულარული, გასაგები, გულში ჩამწვდომი, გაუხუნარი და მარად „უკვდავი“ (თიანეთის სახელმწიფო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდები).

აღნიშნული ნაშრომი, ვთიქრობთ, საყურადღებოა არამარტო ფოლკლო-რისტების, არამედ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიის შესწავლით დაინტერესებულთათვის. მის მიერ შეგროვილი მასალა კი კვლავ ელის ბკვლევარს.

## სოფიო ჯაფარიძე

### იდუმალი ნიღბები

გრიგოლ რობაქიძე “ფალესტრა”-ში წერს: “კოფის საიდუმლო “მეში” მარხია. უნდა გაარღვიო “მე”, რომ იქცე სხვად, რომ ზიარიქმნებ ყოვლისა. ამ ქცევაში სახის ცვლა მასკით გამოდის”... (5) “მასების სიბრძნით” შემოქმედის დაინტერესება შემთხვევითი და არ უნდა იყოს. ეპოქისა და წეს-წყობილების მიუხედავად, ადამიანი მუდამ ისწრაფოდა დაფარულის გამჟღავნებისა თუ ფარდის მიღმა მიმაღლის გამომზურებისაკენ. ცხადია ერთი, “რომ ზიარიქმნებ ყოვლისა”, უნდა დასძლიო ყოველდღიურობა, საკუთარი თვი და შეეკედლო “სხვას” – ნიღაბს. თითქოს პარადოქსია, ადამიანი, რომელიც ცდილობს მარადიული საიდუმლო ნიღბისგან განძარცვოს, თავად ინიღბება. ამიტომაც, “ნიღბის” ფენომენი, ყოველ დროს მრავალი ინტერპერაციის საგანია. დიდი თუ პატარა ესწრაფების “მასების” საკუთარ სახეზე მორგებას, მასში შედწევას თუ მიღმა გაღწევას, მაგრამ ყველგან “მარადი ნიღაბი”; იქნებ, სწორედ, აქ არის ჭეშმარიტება. “მე” უნდა გაირღვეს, მაგრამ უნდა გაითქიფოს? ”(5), – კითხულობს ნიღბის ყოვლისმომცველობით შეფიქრანებული შემოქმედი.

ვეცადეთ გაგვერკვია ნიღბის ფუნქცია და გამოგვევეთა მისი გამოყენების მეტ-ნაკლები გააზრებულობა არქაულ კულტურათა საღმრთო რიტუალებისა და დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს. ამისათვის ვეყრდნობით უძველეს ქართულ ხალხურ, ნაყოფიერებისა და ბუნების აღორძინებისადმი მიძღვნილ აგრარულ დღესასწაულს – ბერიკაობა-ყენობას, მასში, სწორედ, ნიღბიანი მონაწილენი პრეცალიორებენ. შესაძლოა, არქაული რიტუალების დღემდე შემორჩენილ ფორმებში ამოვიკითხოთ ნიღბით შემოსვის საიდუმლო. თავდაპირველად რამდენიმე ფაქტს მოვიხმობთ დასავლური კულტუროლოგიის წარმომადგენლის, იოჰან პაიზინგას საინტერესო წიგნიდან “Homo Ludens”. ნაშრომის ერთ-ერთ თავში “რწმენა და თამაში”, ავტორი იმოწმებს ბრიტანული კოლუმბის მკვიდრის ამბავს: “კვაკიუტლის ტომის მამა მოკლავს თავის ქალიშვილს, რომელიც დაინახავს, როგორ იმზადებს მშობელი ცერემონიისათვის საჭირო ნიღაბს” (9). ეს შემთხვევა კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ნიღბის, კერძოდ, რიტუალური ნიღბების

იდუმალებაზე. ავტორის რწმენით, ამ მიმართების “სიმბოლური კავშირით” სახელდება არააღეცატურია, რადგან “ადამიანისა და ცხოველის დვოაებრივ-არსობრივი იგივეობა გაცილებით უფრო რეალურია, ვიდრე კავშირი სუბსტანციასა და მის ხატოვან სიმბოლოს შორის. ის მისტიკური ერთიანობა”(9).

”ადამიანისა და ცხოველის სულთა ერთი თვისებით გამოყოფა“ არანაკლებ აღელვებდათ ანტიკურ სამყაროშიც. ამის დასტურად, ფსევდო-არისტორელებს “ფიზიონომიაც” გამოდგება, სადაც იგი “ცოცხალ არსებათა ერთ ჯგუფში აერთიანებს გულად ადამიანსა და ლომს, რადგან ისინი ერთნაირი გარეგნობისა და ერთი სულისანი არიან”. მაგრამ საინტერესოა, რა უნდა გამოეხატა ამ შემთხვევაში ცხოველის სახეში განსხვეულებულ სულს. ამასთან დაკავშირებით გვასხენდება “ვეფხისტყაოსანი”, რომლის მთავარ გმირს, ტარიელს, თავსა და ტანს სწორედ ვეფხის ტყავი უმშვენებს. ტყავი ერთგვარი ნიღაბია და პოემაში აღწერილი მთელი თავგადასავალების მანძილზე გმირის მოუცილებელ ატრიბუტად რჩება. პროფ. დავით გელის მიხედვით, “ვეფხისტყაოსნობა” მიემართება არა ერთს, ტარიელს, არამედ ორს, ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს”(6). პოემის დასასრულს, გმირები უკვე ადარ არიან “ტყაოსნები”, აღარ საჭიროებენ გარდასახვას. მიზანი მიღწეულია და ფუნქცია, რომელიც ვეფხის ტყავს ეკისრებოდა, ამოწურული. რადგან ტარიელისთვის ვეფხია ნესტანი, მასთან მიახლების ერთადერთი საშუალება ამ ცხოველს შეკედლებაა, უკვე მოძიებულ ფასეულობასთან ზიარება კი მათ ყოველგვარი ნიღბისაგან ათავისუფლებს. საილუსტრაციოდ მოვიხმოთ “გილგამეშიანის” უძველესი ქაოსი, სადაც ველად გაჭრილი გილგამეში კლავს ვეფხს და მისი ტყავით მოხილი შედის სასუფეველში. დვოაება გმირის ვეფხის ტყავისაგან განძარცვას ითხოვს, რადგან “უმეტესად დამშვენდეს მისი სხეული”(3). როგორც კხედავთ, “ვეფხისტყაოსნობა”, “გარდაუგალ-მარადიულ” ფასეულობასთან – სიყვარულთან ზიარების საშუალებაა, სიყვარული კი უზენაესთან მიახლების წინაპირობა.

კნოზაძე აღნიშნავს, რომ “ვეფხეთან მითოლოგიურად დაკავშირებულია დიონისებ, ბახუსის კულტი. ბახუსი მგზავრობს ვეფხებშებმული ეტლით და თავადაც ვეფხის ტყავი მოსავს”(6). საფიქრებელია, შოთა რუსთაველსაც სცოდნოდა ზოომორფული ნიღბოსნობის ტრადიციის შესახებ საქართველოში და სურვილი აღმვროდა, თავისი სათაყვანებელი გმირი, ვეფხის ტყავით ინიციაგავლილი ეზიარებინა ჰეშმარიტებისათვის. თუკი ნიღაბს მარა-

დიულობასთან მიახლოების ფუნქციით აღვჭურავთ, მაშინ არც ის გაგდაკვირვებს, როდესაც დემოსტენესთან ვინმე ეპიკრატის გაპიცხვას ვხვდებით, რომელიც დიონისეს დდესასწაულზე იმდენად გაკადინერდა, პროცესის დროს უნიღბოდ გამოსვლა გაბედა – “რიტუალურ პროცესიაზე, ნიღბი, ფარავს ცალკეული პიროვნების სახეს და ამით საიდუმლო, მისტიკური ქმედების თანამონაწილედ ხდის მას”(6). ამ შემთხვევაში შეიძლება ისიც ვიგულისხმოთ, რომ “შიშვლად სიარული” ღმერთთა პრიორიტეტია, ჩვენ კი საკუთარი უსახურობის დასაფარად ნიღბით არსებობა გვიხდება მხოლოდ. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ნიღბოსანი, მისთვის სასურველ სახებასთან გაიგივებას და ერთარსად ქცევას ესწრაფვის. “გავისხვნოთ დიონისეს მსახურნი, რომდებიც მხოლოდ და მხოლოდ ნიღბით მიეახლებიან დავთაებას. ამ აზრით, ნიღბი, “საკულტო აღნიშვნაა გარდასახვის კანონისა”(4). ახლა ვნახოთ, როგორ აისახა ქართველთა უძველეს რიტუალებში, უმაღლეს დავთაებასთან ნიღბით მიმართება.

დღესასწაულის გროტესკულობის ფონზე საგულისხმოდ ვთვლით ბერიკაობის მონაწილეთა მიერ თავიანთი განუმეორებელი ნიღბების დამზადების სერიოზულობის წარმოჩენას. ბერიკას ნიღბით თხის, ცხვრის, ხარის ან ღორის ტყავებით, ზოგჯერ მათი გამხმარი თავებით, რქებით და ბუმბულითაც მზადდებოდა. ნაბდის ნიღბებს, ფრინველის ფრთაბუმბულის რქები ამკობდა, კბილები, საპირეში, სიმინდის მარცვლებით იყო წარმოდგენილი. ნიღაბზე ფერტილობის ასე უხვად ასახვა ამ ცერემონიას, ნაყოფიერების დავთაებასთან აკაგშირებს. წარმოსახვაში ბერმენთა მრავალსახოვანი დავთაება დიონისე იჭრება, რომელმაც, “მეკობრეთა გემზე მოხვედრისას, ყაჩაღები ნაყოფიერების სასწაულის მოწმენი გახადა: გემი სურნელოვანი დვინით აივსო და მტევნებით დაიხუნდლა, ნიჩბები კი ყვავილებითა და გვირგვინებით მოირთო”(8). ალბათ, შესაძლებელია, ქართველი რიტუალური ნიღბების ფიტომორფულობაში, უძველესი მითოლოგიური პლასტების სახით, ბუნების მარად ამაღლორძინებელი დავთაების, დიონისეს სიმბოლური გამოხატვაც ვიგულისხმოთ.

დავთაების სახე უნდა იყოს განსხვაულებული ფშაური ბერიკაობის კურდღლის ნიღაბშიც, რასაც “ბერიკანის” ასრულებისას, ერთი მონაწილის სახეზე ჩამოცმული კურდღლის თავი გვაფიქრებინებს. შესაძლებელია, კურდღლი ნაყოფიერებასთან დაკაგშირებული რომელიმე ფშაური დავთაების იპოსტასია, კურდღლის ნიღ-

ბოსანი ბერიკა კი მასთან ასოცირებული და ბარაქის მომნიჭებელი. ამ მოსახრებას სვანეთში დაცული ლექსითაც გავამყარებთ:

“ბერა მოდგა კარსაო, აღურიალებს თვალებსაო,  
ხელი ჩაჟარ ხალამშიო, დმერთი მოგცემს ბარაქასაო;  
ვინცა ბერას არას მისცემს, მელას მისცემს მის  
ქათმებსო” (7).

ბერიკაობაში, ქართული სამყაროსთვის თითქოს უცხო სახეს, მაიმუნის ნიღაბსაც ვხვდებით. დჯანელიძის აზრით, ეს ფაქტი ნიშნებულიც კია, თუ გავითვალისწინებოთ, რომ ქართული განმარტებით, მაიმუნს, ანთარი პეტრი (ს.ს.ორბელიანი), ქართულ მითოლოგიაში კი უურადღებას იქცევს, კოლხური დვთაების სახელწოდებით ცნობილი-“ანთარი”(8).

ქართულ მისტერიებში განსაკუთრებული ინტენსივობით ტანის ნიღაბი გამოიყენებოდა. ჩეკნთვის საუკრადღებო, სწორედ, მისი დამზადების სპეციფიკა: “შემსრულებელი ორი მხრიდან დაფარულია შალითით შეკერილი ღორის ტყვებით; მასზე მობმული ღორის მთელი თავი დიდი ეშვებით და ის თავზე ხურავს შენიდბულს. ქვედა ყბას მობმული პერნდა თოკი, მისი ხელშეშვებითა და ჩამოწევით, ყბები მოძრაობდა, ხან ხახადადებული იყო, ხან მოკუმული. ნიღაბი ჯოხზე იყო დამაგრებული, რომელსაც ბერიკა ხელში დაიჭერდა და მასში შევიდოდა”(1). ნიღაბში მისი ყოფნისას, ფეხზე ამდგარი ტანის იმიტაცია იქმნებოდა. აღწერილ ტრადიციას ანალოგი ძველებელი რელიგიურ მისტერიებში ექცენტია.

ბერიკაობა-უეენბობის რიტუალის ღროს, ქორწინების შემდეგ, დედოფლის მცველები კლავდენებ ბერიკას. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ღროს, ბერიკა, სხვადასხვა ცხოველის ნიღბითაა მოხილი. მისი დაღუპვა უშუალოდ მიემართება ინიციაციის მომენტს, რადგან “სიკვდილში ადამიანი ეზიარება ღმერთს, ხდება რა ერთარსი მისი”.

ჩვენ შევეცადეთ, მივახდოვებოდით ნიღბის გამოყენების საკრალურობას, ამოგვეცნო უძველესი ადამიანის მარადიული, ფარული ლტოლვა, რომელიც, წლის განსაზღვრულ ღროს, საკუთარი “მედან” გაღწევას და ეფემერულ გარდასხვას ცდილობდა. “ნიღაბი – ეს უფრო მეტად სახეა, ვიდრე თვით სახე”, სწამდათ ანტიკურ სამყაროში. ამის სახიერი მაგალითია ქართველთა უძველესი მითურ-ისტორიული დღესასწაული ბერიკაობა, რომლის მო-

ნაწილები ამგვარ გარდაქცევას ცხოველთა ნიღბებით აღწევდნენ. გარდასახვისას, თითოეულის იმედს წამიერად მაინც ხორცი ესხ-მოდა და იმ მარადიულობის თანაზიარი ხდებოდა, რომელსაც მისი სათაყვანო დვოაება გამოხატავდა. რადგან ნიღაბი უცვლელი და მუდმივია, ჩვენი წინაპრები ამით, დვოაებასთან მარადიულ მყოფობას ადასტურებდნენ და მათი განსახიერებით დროებით მაინც ერთვოდნენ “დასაბამიერ მონადას” და ეთხოვებოდნენ ემპირიულ “ხორცს”.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ბ. აბაკელია, სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში, თბ; 1997. 2. მ. ბახტინი, ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და შეასაუკუნეებისა და რენესანსის ხალხური კულტურა, ჟ. “საბჭ.ხელოვნება”, 1986. 3. გილგამეშის ეპონი, თბ., 1963. 4. გრ. რობაქიძე, ლერმონტოვის ნიღაბი, ჟ. “აფრა”, №3., 1998. 5. გრ. რობაქიძე, ფალესტრა, თბ., 1989. 6. დ. ჯანელიძე, ვეფხისტყაოსნობა, ჟ. “საბჭოთა ხელოვნება”, №7, 1988. 7. დ. ჯანელიძე, სახიობა, თბ., 1980. 8. დ. ჯანელიძე, ქართული ოვატრის ისტორია, თბ., 1983. 9. ი. ჰაიზინგა, Homo Ludens (კაცი მოთამაშე), თბ., 1997.

## ელენე გოგიაშვილი

### ქართული ზღაპრები ახალ საერთაშორისო კატალოგში

2004 წლის ნოემბერში ჰელსინკის მეცნიერებათა აკადემიის ფოლკლორისტთა კავშირმა გამოსცა ზღაპრის ტიპთა ახალი საერთაშორისო კატალოგი სამ ტომად სახელწოდებით „The Types of International Folktales. A Classification and Bibliography“. კატალოგის ბაზისს შეადგენდა ანტი აარნეს დაარსებული და შემდგომ სტილთომბსონის მიერ შეკსებული „ზღაპართა ტიპების სამიებული“, რომელიც გადაამუშავა და სრულყოფით გერმანელმა ფოლკლორისტმა და ზღაპარმცოდნებმ, პროფესორმა ჰანს-იორგ უთერმა. ამიერიდან სამეცნიერო მიმოქცევაში ზღაპრის ახალი კატალოგი მთითოებული იქნება შემოკლებით ATU (Aarne-Thompson-Uther).

ანტი აარნეს მიერ შედგენილი სისტემა ევროპაში გაგრცელებულ ზღაპართა ტიპებისათვის (Aarne, A.: Verzeichniss der Märchentypen, Helsinki 1910 = FF Communications 3.) სტილთომბსონმა იმ მასალით გაზარდა, რომელიც სრულიად უცნობი იყო აარნესათვის. თომბსონმა ორი გამოცემა მოამზადა (Aarne, A.: The Types of the Folktale. Translated and Enlarged by Stith Thompson, Helsinki 1928 = FF Communications 74; Aarne, A., Thompson, St.: The Types of the Folktale. A Classification and Bibliography. Second Revision, Helsinki 1961 = FF Communications 184.).

დღეს უკვე სელი გვაქს ჰანს-იორგ უთერის მიერ საფუძლიანად გადამუშავებული ზღაპრის ტიპთა კატალოგი, რომელშიც შემდგენელმა შეავსო ის ლაფესები, რაც წინა სამიებლებს ახლდა თან და ამავე დროს არ დაარღვია ტრადიციული პრინციპები სიუჟეტთა ტიპების აღწერისათვის.

აარნე-თომბსონ-უთერის საერთაშორისო კატალოგის სახით სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა სამაგიდო წიგნი ისტორიულ-კომპარატივისტულად ორიენტირებული ფოლკლორისტიკისათვის და, საერთოდ, ყოველგვარი ხალხური გადმოცემის ფართო მასშტაბით კვლევისათვის. ახალ კატალოგში დაფიქსირებულია ფოლკლორისტული მეცნიერების ძირითადი შედეგები 2003 წლამდე. წიგნში დასახელებულია უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ლიტერატურა.

ახალ საერთაშორისო კატალოგში გათვალისწინებულია რომელ ზღაპართა გარიანტების დიდი რაოდენობა, ასევე ცალკეუ-

ლი მონოგრაფიები თხრობით ქანრთა ტიპებზე და საგულდაგულოდ შევსებულია დღემდე არსებული ყველა საძიებლის მონაცემით. მათ შორის არის პროფ. თეიმურაზ ქურდოვანიძის მიერ შედგენილი ქართული ზღაპრის სიუკეტთა საძიებელი.

პროფ. თ. ქურდოვანიძე 1970 წლიდან მუშაობდა ქართული ხალხური ზღაპრის სიუკეტთა საძიებელზე. მისი პირველი პუბლიკაცია დაიბეჭდა 1976 წელს “ლიტერატურული ურთიერთობანის” VI ტომში, რომელიც ითარგმნა გერმანულ ენაზე და გამოხმაურება პპროფ. აღმოსავლეთ ეკრანის ქვექნებში.

თ. ქურდოვანიძის ნაშრომზე დაიწერა სლოვაკი და უნგრელი მეცნიერების, ვერა გაშპარიკოვას და ვილმოშ ვოიგბის რეცენზიები.

ქართული ზღაპრის საძიებელი დაერთო 1983 წელს თ. ქურდოვანიძის მონოგრაფიას “ქართული ხალხური ჯადოსნური ზღაპარი”.

1988 წელს მოსკოვში გამომცემლობა „ნაუკამ“ დასტამბათ. ქურდოვანიძის მიერ შედგენილი და სამეცნიერო აპარატით აღჭურვილი ორტომეული “Грузинские народные сказки”, რომელსაც ახლავს სიუკეტების ტიპოლოგიური ანალიზი.

პროფ. თ. ქურდოვანიძე მიწვეულ იქნა ფოლკლორისტთა სამეცნიერო კონგრესზე ბუდაპეშტში. 1996 წელს მის შესახებ დაიბეჭდა სტატია “Enzyklopädie des Märchens”-ში, რომელიც წარმოადგენს ისტორიული და შედარებითი ზღაპარმცოდნეობის უდიდეს ენციკლოპედიას.

2000 წელს ფონდ “დია საზოგადოება – საქართველოს” ხელშეწყობით თ. ქურდოვანიძემ დაასრულა თავისი მრავალწლიანი სამუშაო და ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოსცა ქართული ზღაპრის სიუკეტურ ტიპთა საძიებელი.

თ. ქურდოვანიძის მიერ შედგენილი ქართული ზღაპრის საძიებელი სამი განყოფილებისაგან შედგება: ცხოველთა ზღაპრები, საკუთრივ ზღაპრები (ანუ ჯადოსნური, ლეგნდარული და საყოფიერო-ხოველისტური) და ანეკდოტები. ავტორს გამოყენებული აქვს მე-19 და მე-20 საუკუნეში გამოქვენებული ქართული ზღაპრები. ზოგ შემთხვევაში, როცა რომელიმე იშვიათი სიუკეტური ტიპის დაფიქსირება იყო აუცილებელი, მოხმობილია საარქივო მასალებიც. საძიებლის დირექტულებას ზრდის თითოეული სიუკეტისათვის დართული პუბლიკაციების ნუსხა.

თ. ქურდოვანიძის საძიებელში საინტერესო სურათს იძლევა კონტამინირებულ სიუკეტთა აღრიცხვა და კონტამინაციის პროცესზე დაკვირვება. გამოყოფილი სიუკეტური ბირთვები შესაძლებლობას ქმნის, თვალი გავადევნოთ ფოლკლორული თუ ლიტერა-

ტურული ქანრების განვითარებას, აგრეთვე ავტორ-მთქმელის ოს-ტატობის ხარისხს.

თ. ქურდოვანიძის ზღაპართა საძიებლის მნიშვნელობა ვრცლად არის გადმოცემული დოკ. ქეთევნის სიხარულიძის „რეცენ-ზიაში, რომელიც დაიბეჭდა საუნივერსიტეტო ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“, 2001, №10-12(48). რეცენზიის დასკვნაში ქ. სიხარულიძე წერდა: „თ. ქურდოვანიძის მიერ შედგენილი საძიებელი მო-მავლისთვისაა გათვალისწინებული. დიდი შრომით შექმნილი ეს წიგნი ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს მომავლის მკვდევრებს. იგი სერიოზულ მეცნიერულ ბაზისს ქმნის ქართული საზღაპრო ეპოზის შესწავლისა და ბევრი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის კვლევისათვის, რომელიც ქართულ ფოლკლორისტიკაში ჯერ არ დასმულა“ (გვ. 37).

რეცენზების პროგნოზი ზუსტად სამ წელიწადში გამართდა: 2004 წელს თ. ქურდოვანიძის ქართული ზღაპრის სიუჟეტურ ტიპთა კატალოგი უდიდესი საერთაშორისო კატალოგის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი გახდა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ქარ-თული ზღაპრის საერთაშორისო მასშტაბით კვლევის პერსპექტივები.

თ. ქურდოვანიძის ქართული ზღაპრის საძიებლის უპირვე-ლესი დირსება ის არის, რომ იგი საფუძველს უქმნის ქართული საზღაპრო ეპოზის უფრო ღრმა და მრავალმხრივ კვლევას. ის, რომ თ. ქურდოვანიძის საძიებლის წყალობით ქართული ზღაპრები უახლეს საერთაშორისო კატალოგში აღმოჩნდა, ამით კიდევ უფ-რო მეტად გამოიკვეთა მსოფლიო ზღაპრების ტიპოლოგიური სიუ-ჟეტების შესაბამისი ქართული ზღაპრების განმასხვავებელი ნიშ-ნები და ეროვნულ თავისებურებათა რიგი.

ახალი საერთაშორისო კატალოგისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების ზღაპართა საძიებ-ლებს ანუ რეგიონალურ კატალოგებს. თუ აქამდე აარნეთომპასონის კატალოგში შესული იყო უმეტესად ევროპული და ევროპუ-ლებისთვის ცნობილი დასავლეთ აზიის ქვეყნების ფოლკლორი, ახლა ეს ნაკლი შევსებულია. მეცნიერთა ერთ-ერთი ძირითადი კრიტიკული შენიშვნა მცენი კატალოგის მიმართ სწორედ ეს იყო. გარდა ამისა, ევროპული მასალაც არათანაბრად იყო მოხმობილი. ნაწილობრივ არეული იყო კოდები და უამრავი მონაცემი არ იყო ზუსტი. საძიებელს ხშირად აკლდა აღმოსავლეთ და სამხრეთ ევ-როპის ფოლკლორის ნიმუშები. მცირე ეთნიკური ჯგუფების ფოლ-კლორი არ იყო ან საქმარისად არ იყო აღწერილი, მაგალითად, ბასკური.

ATU კატალოგის შედგენისას ასევე გათვალისწინებულ იქნა რამდენიმე არსებითი ნაკლოვანი მხარე, რაც ძველ კატალოგს ჰქონდა. ესენია:

1) ოხრობითი ჟანრების ტიპოლოგია თითქოსდა წარმოადგენდა ზუსტ საბუნებისმეტყველო სქემას, რაც ოხრობითი გადმოცემების ცოცხალ სინამდვილეში არ არსებობს.

2) ჟანრის განსაზღვრება და მოქმედ პირთა ფუნქციები ხშირად არც თქმატიკურად და არც სტრუქტურულად არ ემთხვეოდა ერთმანეთს. მაგალითად ტიპს AaTh 850-999: ოველლეჭ/დომანგიც თაღეს (საყოფაცხოვრებო ზღაპარი) საფუძვლად არ ედო არავითარი კონკრეტული ჟანრი.

3) „ფინური სკოლა“ მთლიანად კონცენტრირებული იყო მე-19 საუკუნის ზეპირ გადმოცემებზე, რაც უგულვებელყოფვდა გადმოცემების უფრო ძველ ფიქსირებულ ვარიანტებს და ლიტერატურულ წყაროებს მეორეულ წარმონაქმნად მიიჩნევდა.

4) ცალკეული ტიპების წარმოჩენა მცირერიცხოვანი ვარიანტებით კლასიფიკაციის სისტემას აბუნდოვანებდა.

5) საძიებელს ხშირად აკლდა რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურა.

6) კატალოგში მოხმობილი იყო ძველი კრებულები და თითქმის არ იყო გამოყენებული ახალი გამოცემები.

7) ზღაპართა ტიპები მწირად იყო აღწერილი, ხშირ შემთხვევაში არაზუსტადაც და აქცენტი მხოლოდ მამრობითი სქესის პერსონაჟების მოქმედებაზე იყო გაკეთებული.

8) სათუო იყო ე.წ. თავისებური (irregular) ტიპების აღწერილობა.

9) ზღაპრების ბევრი ვარიანტი ხშირად საარქივო მასალებიდან მომდინარეობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასალები ძნელად ხელმისაწვდომი იყო.

ძველი კატალოგის ამ ნაკლოვან მხარეებს თავისი მიზეზები ჰქონდა. საძიებლის სისტემას აკლდა საჭირო ინფორმაცია ისტორიული და თანამედროვე სიუჟეტების შესახებ, განსაკუთრებით კი იგავების, ცხოველთა ეპოსის, ლეგენდების, ზღაპრების, ანგკლოზბისა და ფორმულების სფეროში.

ასეთ სისტემაში, ცხადია, ვერ მოხერხდებოდა ყველა ზეპირი და ლიტერატურული ფორმის ფიქსირება, რომლებიც სოფლიოშია გავრცელებული. აარნე-თომპსონის კატალოგის ჟანრობრივი სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული თემატური კონცეფციები ამის საშუალებას არ იძლეოდა.

არამკაფიო იყო ტერმინი “ზღაპრის” (folktale) გამოყენება კრუბით ცნებად “ხალხური მოთხოვბებისათვის” (folk narratives). მაგალითისთვის გავიხსენოთ მქები გრიმები, რომლებიც ცნება “ზღაპარში” აერთიანებდნენ ეტიოლოგიურ გადმოცემებს, იგავებს, ცხოველთა ზღაპრებს, მორალისტურ ამბებს, შვანკებს, ექსემპლებს, ლეგენდებს, თქმულებებსა და შესაბამის შერეულ ფორმებს (ლეგენდარული შვანკები და ზღაპარ-ანეკდოტები).

მაშინ, როცა ზღაპარს მისადაგებული ჟანრები აარნე-თომპსონის კატალოგში შევიდა, ადმოჩნდა, რომ ხალხური მოთხოვბები არაევროპული რეგიონებიდან მხოლოდ პირობითად იქნათმატურად კლასიფიცირებული. ეს პირველ რიგში ეხება მითოსს, ეპოსს, თქმულებას და ეტიოლოგიურ გადმოცემებს.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე ფოლკლორისტების უმრავდესობა თვლიდა, რომ ზეპირი მოთხოვბები საუკუნეების მანძილზე გადაეცემოდა თაობიდან თაობას და წინაპართა რწმენების მნიშვნელოვან საბუთს წარმოადგენდა. ზეპირსიტყვიერების მნიშვნელობა ეროვნული იდენტობისთვის ლიტერატურულ წყაროებზე მეტადაც კი იყო დაფასებული.

ზეპირსიტყვიერების რომანტიკულ შეფასებაზე გავლენა მოახდინა მე-19 საუკუნეში ევროპაში დაწყებულმა ეროვნულმა მოძრაობებმა. ეს ტენდენცია მე-20 საუკუნეშიც გაგრძელდა ხალხური წყაროების შეკრებისას. თუ ანტი აარნემ ძველი ლიტერატურული წყაროები არსებოთად უარყო, თომბასონმა უურადღება მიაქცია ისეთი მნიშვნელოვანი მწერლების კრებულებს, როგორებიც არიან ჩოხერი, ბოკაჩო, ბაზილე და ოპანჯეს პალი. ამის მიუხედავად, ეს ლიტერატურული წყაროები მათ საძიებელში მაინც არასაკმარისად იყო ასახული და უყურადღებოდაც დარჩა.

უძველესი წერილობითი ნიმუში ცხოველთა ეპოსისა (animal tales) მრავალჯერ იქნა კლასიფიცირებული, როგორც “თავისებური” (irregular) ტიპი. ასეთი კლასიფიკაცია ნიშნავდა მასალის ისტორიული მნიშვნელობის უარყოფას და ნუმერაციის სისტემაში ართულებდა შემოწმების შესაძლებლობას. დღევანდები გადასახედიდან ყოვლად დაუშვებელია ლიტერატურული წყაროების გაუთვალისწინებლობა ზეპირსიტყვიერი მასალის კვლევისას.

ბევრ კ.წ. ხალხური გადმოცემას მდიდარი წერილობითი ტრადიცია აქვს. ბევრი ფოლკლორული ნიმუში თავისი სიუჟეტით მსოფლიო ლიტერატურიდან მომდინარეობს, რაც ხალხში ზეპირი გზით ვრცელდებოდა და მთქმელების (homo naran) ფანგაზით გადამუშავდებოდა. ეს ეხება უმეტესწილად ეზოპეს სახელთან და-

კაგშირებულ იგავ-არაკებს და მათ მსგავს მოთხრობებს აღმოსავ-ლურ ტრადიციაში. როგორც შეუაღედური რგოლი, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე შეასაუკუნეების არაბული ანექ-დოტები, ევროპული ექსემპლები, გვიანი შეასაუკუნეების ფარსები, ფაბლიოები და ნოველები. აარნე-თომასონის კატალოგში არ იყო აღნიშნული წერილობითი და ზეპირი გზით გადმოცემული მოთხ-რობების ურთიერთგავლენის საკითხები.

უვალა ეს მნიშვნელოვანი ნაკლოვანება გამოსწორებულია ახალ, აარნე-თომასონ-უთერის საერთაშორისო კატალოგში.

TUU კატალოგი ტიპებად ჰყოფს და აღნუსხავს სხვადასხვა დროისა და ეთნიკური წარმოშობის სიუკეტებს, წარმოადგენს მათ ტექსტებისა და ლიტერატურის მთთოებით და ამზადებს შემდგომი კვლევისათვის.

განსხვავება მოტივისა და ელემენტებს შორის, რომელიც ასახავს მოქმედ გმირებს, საგნებსა და მომხდარ ამბებს, მდგომარეობს შინაარსში. აქ არის კომბინაცია ამ სამივე ელემენტისა, მაგალითად: ქალი ჩნდება ჯადოსნური საჩუქრით და ცვლის არსებულ მდგომარეობას. ATU კატალოგში ცნება „მოტივ“ აქვს მკაფიო განსაზღვრება: „თხრობითი ერთეული“, რომ ამით ლიტერატურის მცოდნეობითი და ეთნოლოგიური კვლევისათვის მზად იყოს. მოტივს საფუძვლად უდევს დინამიკა, რადგან ის სხვა მოტივთა ელემენტებთან კომბინირებადია. აქედან გამომდინარე, მოტივები ელემენტარულ საშენ მასალას ქმნიან მოთხრობისათვის. მკვეთრი საზღვარი მოტივსა და ტიპს შეირის არ არსებობს: საზღვარი გარდამავალია. ეს შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ შინაარსებსა და თემებს შორის მოხდეს დიფერენციაცია, მეორე მხრივ კი გათვალისწინებულ იქნეს ფორმა და ფუნქცია, როგორც არსებითი ელემენტი ჟანრის კონსტრუქციისათვის.

კატალოგის შემდგენელის, პანს-იორგ უთერის აზრით, ბიოლოგიურ დიფერენციაციაზე დამყარებული საბუნებისმეტყველო სიზუსტე, რომელიც ტიპოლოგიის სისტემის მომხრევებმა წარმოიდგინებს და რამაც შემდგომ სემანტიკურ-სტრუქტურალისტურ კვლევაზე მოახდინა გავლენა, მაინც არ არის მიღწეული და მეცნიერებაში ჯერჯერობით ოცნების სფეროს არ სცილდება. სტრუქტურალისტური განსჯა მხოლოდ ფოლკლორული მასალის კოდიფიცირებისთვის არის საჭირო. ჟანრთა დაწვრილებითი განმარტებები შესაძლებლობას იძლევა მსგავსი თემები და სიუკეტები საბოლოოდ იქნას აღწერილი. თუმცა მათ შეიძლება განსხვავებული ფუნქციები პქონდეთ თავისი წარმოშობისა და არსებობის ისტორიის

მანძილზე. აარნე-თომპსონ-უთერის კატალოგი არის ბიბლიოგრაფიული ცნობარი ფოლკლორული ჟანრების მრავალფეროვნების შესახებ.

ATU კატალოგში ყოველ სიუჟეტურ ტიპს აქვს ნომერი, სახელწოდება და გადმოცემულია შინაარსი. ეს კონცეფცია “თხრობითი ჟანრის ტიპს” გაიაზრებს, როგორც “მოხევტიალებ”. ამით აღინიშნება არა როგორც ფიზიკური სიდიდე ანდა წარსულის მკვდარი მასალა, არამედ პირიქით: სიუჟეტური ტიპი განსაზღვრულია თავისი დიდი დინამიკით და ადაპტაციის უნარით – ტიპს შეუძლია სხვა თემატურ და შუალედურ კომპონენტებთან ინტეგრაცია.

სამეცნიერო ლიტერატურაში 100 წელზე მეტ ხანს გამოიყენებოდა აარნე-თომპსონის ზღაპართა საძიებლის ტიპთა ნომრები (AaTh). ეს ნომრები ახლაც იგივე დარჩა ყველა სიუჟეტური ტიპისათვის. უამრავი ზღაპრის ტიპი, რომელიც აარნე-თომპსონის კატალოგში სხვადასხვა ადგილას იყო გაფანტული და საერთო ჯამში ერთსა და იმავე ტიპს წარმოადგენდა, ამ ახალ საძიებელში ერთად დალაგდა (თავის დროზე, როცა თომპსონმა რეგიონალური ტიპების ნუმერაცია გააკეთა, ადარ მიაქცია ყურადღება, რომ მსგავსი ტიპები უკვე არსებობდა კატალოგში თავიანთი ნომრებით).

აარნე-თომპსონის „ტიპთა დაფიქსირება“ ATU კატალოგში ნაწილობრივ შეიცვალა „ტიპთა აღწერილობით“: გაფართოვდა და შეივსო. საინფორმაციო მოსაზრებით ძველი სახელწოდება ტიპისა იგივე დარჩა და ახალი დაემატა. ახალ სახელწოდებაში კი ჩაემატა მოქმედი გმირის სქესი, მთავარი მოქმედი პირების დასახელება და მათი მოქმედების არე. ამით არიდებული იქნება გაუგებრობა და შეცდომები. ტიპთა აღწერილობაში ადნიშნულია, აქტიურია თუ პასიურია გმირი, ვინ არის მათი მოწინააღმდეგებ, რა მოქმედება ხდება, რომელი საგნებით და, შესაბამისად, ამოსაცნობი იქნება ეს სიუჟეტური ტიპი. ეს აღწერილობა იძლევა ძირითად ფორმას, რომელშიც შედის ცენტრალური სტრუქტურული და შინაარსობრივი ელემენტები და უმნიშვნელოვანესი მოქმედი პირები. მოხმობილია რელევანტური ცნობები შედარებით დაშორებულ ვერსიებზე. ორიენტაციას აადვილებს წყაროების დასახელება სტრუქტურულად მსგავსი სიუჟეტების შესახებ.

რებრიკაში „კონტამინაცია“ განთავსებულია ტიპების ძირითადი კონტამინაციები. როგორც წესი, ეს ეხება კომბინაციების დასახელებას.

რებრიკაში „რემარკები“ დასახელებულია ძირითადი წყაროები ანდა მითითებულია სიუჟეტური ტიპის წამომავლობა.

რუბრიკა „ლიტერატურა/ვარიანტები“ ორი სახით არის განლაგებული: პირველად არის მითითებული ქრონოლოგიურად დალაგებული ძირითადი ლიტერატურა ვარიანტებითურთ. პუბლიკაციები შეიცავენ მონაცემებს გადმოცემის შესახებ (ასაკი, გავრცელება, წეროები) ანდა იძლევიან სტრუქტურულად მნიშვნელოვან ასენას. აქ ყველა გამოცემა არ არის დასახელებული იმ მოსაზრებით, რომ ახალ პუბლიკაციებში ისინი უკვე დამოწმებულია.

ATU კატალოგში საილუსტრაციოდ დასახელებულია ახალი კრებულები და არა საარქივო ან მნელიად ხელმისაწვდომი მასალები. ეს კი მკაფიოდ გამოცემა არ არის დასახელებული იმ მოსაზრებით, რომ ახალ პუბლიკაციებში ისინი უკვე დამოწმებულია.

ამის ქვემოთ მითითებულია სიუჟეტური ტიპის გეოგრაფიული გავრცელება. დოკუმენტირებულია მოცემული რეგიონების, ენობრივი და ეთნიკური ჯგუფების სიუჟეტურ ტიპთა და მოტივთა კატალოგები. ეს რეგიონალური კატალოგები შეიცავენ მდიდარი ინფორმაციას მოცემული რეგიონების შესახებ. ამ მხრივ თ. ქურდოვანიძის ქართული ზღაპრის საძიებელს სხვა ქვეყნების ზღაპრის საძიებლებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ATU კატალოგის სრულყოფაში.

პროფ. თ. ქურდოვანიძის დამსახურება ქართული ხალხური ზღაპრის შესწავლის საქმეში მხოლოდ ქართული ფოლკლორისტული მეცნიერებით არ შემოიფარგლება. მის მიერ ჩატარებულმა ხანგრძლივმა სამუშაომ დიდი სამსახური გაუწია ევროპელ ზღაპარმცოდნეებსა და ფოლკლორისტებს საერთაშორისო კატალოგის შედგენისას, რაც საგანგებოდ არის აღნიშნული კატალოგის წინასიტყვაობაში (ATU, გვ. 15).

ამგვარი რეგიონალური კატალოგების როლი ATU-სთვის განუსაზღვრელად დიდია. ეს უპირველეს ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ ისტორიულ-კომპარატივისტული მეცნიერების ფარგლებში პარადიგმულმა ურთიერთმიმართებამ სრულყოფას მიაღწია და ეს ამ ახალ კატალოგში სათანადოდ აისახა.

ATU-ში ქართული ზღაპრების საძიებლის არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ფოლკლორისტიკისათვის. პირველ რიგში, ადვილად ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია ქართული ფოლკლორული მასალის შესახებ საერთაშორისო ასპარეზზე. ქართული ზღაპრების სიუჟეტურ ტიპების გამოჩენა კატალოგის თითქმის ყოველ გვერდზე კიდევ ერთხელ ამზადებს, რომ ქართული ზღაპარი თავისი თავისებურებების გათვალისწინებით განუყოფელი ნაწილია მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების ერთიანი საუნივერსიტეტო კონფერენციაზე.

## მექა ხანგოშვილი

### რელიგიური ხასიათის სიმღერები ვაინაზურ ეპოსში

ვაინაზთა ქვეყანა გადაჭიმულია კავკასიის ქედის ჩრდილოეთ-აღმოსავ-ლეთის მასიურ კალთებზე და ისეთ გეო-პოლიტიკურ ზონაში მდებარეობს, რომ სხვადასხვა დროის მძლავრ სახელმწიფოთა ინტერესების სფეროში ხვდებოდა, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი იდეოლოგია (რელიგია) თავს მოეხვიათ მცირერიცხოვანი ერისათვის. ირანის მაზდეანობა, არაბთა ისლამი, ხაზართა იუდაიზმი, მონოლითა ბუდიზმი თუ ქართველთა ქრისტიანობა თავისებურ ზეგავლენას ახდენდა ძველი ვაინაზების სულიერ სამყაროზე.

ჩეჩნეთიდან არგუნის ხეობით ხევსურეთზე გავლით, შაროი არგუნის ხეობით თუშეთის გავლით, ინგუშეთიდან ასას ხეობით ხევსურეთისა და არმესის ხეობით ხევის გავლით მიემართებოდა საქართველოსაკენ სამგზავრო ბილიკები, ხოლო აზისა და ევროპის დამაკავშირებელი გზა გადიოდა საქართველოზე და დარიალის ხეობით, ინგუშეთთან შეხებით მიემართებოდა რუსეთისაკენ, რაც ხალხთა დაახლოებისა და კულტურული ურთიერთობის ძირითადი ფაქტორია.

საქართველოს გაერთიანების, პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერების შემდეგ, XI-XII საუკუნეებში იწყება საქართველოს მიერ საზღვრების გაფართოებისა და გავლენის სფეროების გაზრდისათვის ბრძოლა, რასაც თან სდევდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება დაპრობილ თუ ვასალურ მდგომარეობაში ჩაეყნებულ ქვეყნებში. საქართველოს მეფეთა ლაშქრობები საქართველოს მთიანეთში კავკასიის ჩრდილოეთ კალთებამდე აღწევდა და ზოგჯერ ახერხებდნენ მოიედ წარმართებში ქრისტიანობის გავრცელებას. ვაინაზების სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის მეცნიერული კვლევა მიგვინაშებს, რომ ჩეჩნებისა და ინგუშების რელიგია, რომელიც დღეისათვის მაპ-მადაიანურია, შეიცავს როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული რელიგიების ნიშნებს, ე.ო. ადგილობრივი ადათ-წესების შენარჩუნებით ჩამოყალიბდა სინკრეტული რელიგია.

არის მოსოაზრება, რომ ვაინაზები ადრეულ ხანაში წარმართები იყვნენ, შემდეგ ქრისტიანები გახდნენ და ბოლოს მაპმადაიანობა მიიღეს. ს. ბრონევსკის აზრით, „უძველეს დროში ინგუშები, ისე როგორც ყველა ქისტი, იყვნენ ქრისტიანები და ითვლებოდნენ საქართველოს მეფეების მოხარკედ. განუდგნენ რა ქრისტიანობას, ისინი დაუბრუნდნენ თავიანთი ქველი ღმერთების თაყვანის-ცემას; შემდეგ კვლავ წარმოიშვა მოკლე დროით ქრისტიანობა და, საბოლოოდ

მიიღეს მაპმადიანური ქანონი, მაგრამ თან ერთობლივად იცავენ წარმართულ და ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს<sup>1</sup>.

XIV-XV საუკუნეებიდან თანდათანობით იწყება მაპმადიანობის გავრცელება ჩრდილო კავკასიაში. ამ პერიოდში ისლამი ვრცელდებოდა უფრო თურქულენოვან მოსახლეობაში, შემდეგ სტეპებიდან მოიწევდა მთებისაკენ, მაგრამ მკვიდრად ვერ გაბატონდა მთიელებში, თუმცა, ამავე დროს, ქრისტიანობის გაბატონებასაც ხელს უშლიდა. ზ. დიდებულიძის მოსაზრებით, ქრისტიანობის გავრცელებას აძნელებდა ის, რომ მუსულმანური სარწმუნოება გზას იკვლევდა კავკასიის ქედის გავლით ჩრდილო კავკასიის ხალხებისაკენ<sup>2</sup>. ვაინახებში ახალი სარწმუნოების მასშტაბური გავრცელება ხდება მე-18 საუკუნის ბოლოს, შეის მანსურის (1785-1791 წლები) იმამობისა და მე-19 საუკუნის დასაწყისში დადგესტნელი იმამების, განსაკუთრებით შამილის (1834-1859 წლები) პერიოდში. სწრაფი ტემპით ვრცელდება ისლამი ვაინახებში რუსეთის კავკასიაში დაპყრობითი ომების დროს. ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიაში ისლამის გაბატონებისათვის ძალ-ღონებს არ იშურებენ თურქეთი და ირანი, ხოლო ქრისტიანობის აღდგენისათვის იღწვის რუსეთიც. მეთოდებიც მეტნაკლებად მსგავსია, რომელთაც იყენებდა ორივე მხარე: პროპაგანდა, მოსყიდვა, მატერიალური დაზნტერესება და ძალადობა. ჩვენი აზრით, მაკმადანობის წარმატება განაპირობა არა ისლამის დოგმებმა, არამედ ამ რელიგიის დაკავშირებამ თავისუფლებისათვის ბრძოლასთან. იმამები იბრძონენ მთიელთა დამოუკიდებლობისათვის ქრისტიანული რუსეთის წინააღმდეგ ისლამის დროშით და დასაბამიდან თავისუფლებისმოყვარე ვაინახებმაც აიტაცეს ახალი რელიგია, დაირაზმნენ მის გარშემო და თავისუფლებისათვის ბრძოლაში თავდაუზოგავად გადაეშვნენ.

რელიგიური მოღვაწეები, რომლებიც სათავეში ედგნენ საღვთო (ჰაზავათი) ომს ურწმუნოთა (ურუსთა) წინააღმდეგ ბრძოლაში, ხალხმა დიდებით შემოსა და შეიყვარა, როგორც სახალხო გმირები და ხოტბა-დიდება შეასხა. ვაინახურ ფოლკლორში უძრავი თქმულება, ლეგენდა თუ სიმღერა არსებობს ამ გმირებზე და მათი სიკვდილის შემდეგაც დარჩენენ უსთაზებად (მოღვრებად) სხვადასხვა რელიგიური ორდენებისა. მათში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქუნთ-ჰაჯის მოძღვრებას, რომელიც ყველაზე გავრცელებული მიმდინარეობაა შაფიიტური სუნიზმისა, მიმდინარეობისა, კერძოდ, კადირიული თარიქათისა. ეს პიროვნება და მასზე შექმნილი სიმღერები (ნაზმ) იმითაც არის საანტერესო, რომ მან თავისი მოძღვრება შექმნა იმამ შამილის დატყვევების შემდეგ და საოცარ წარმატებას მიაღწია. ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ, სანამ

<sup>1</sup> С. Броневский. Новейшие географические исторические сведения о Кавказе. Москва. 1833 г.

<sup>2</sup> Дидебулидзе З.Ш. О культурных взаимосвязях Грузии и центрального Предкавказья в X-XII в. Тбилиси, 1973 г.

მასზე და მის ვექილებზე (სასულიერო მოადგილეებზე) შექმნილ ეპოსს გან-  
ვიხილავთ, მოკლედ შევეხოთ ქუნთ-ჰაჯის ბიოგრაფიას და მის მოძღვრებას,  
რომელიც დღესაც წარმატებით უმკლავდება ჩრდილოეთ კავკასიაში მომბ-  
ლავრებულ ეწ. ვაჰაბიზმს.

ქუნთ-ჰაჯი დაიბადა დაახლოებით 1830 წელს. პოლიციის დოსიერი  
აღნიშნულია, რომ 1865 წელს იყო იყო 35 წლის<sup>1</sup>.

დაიბადა ქუნთ-ჰაჯი სოფელ მელჩი-ხიში, მამას ერქვა ქში, ხოლო  
დედას ხედი. შვიდი წლისა იყო ქუნთი, როდესაც მშობლები გადასახლდნენ  
სოფ, ილასხან-იურთში. ბავშვობაში, გადმოცემის თანახმად, გამოირჩოდა  
ჰუსა-გონებით, სხვისი ფიქრების გამოცნობითა და მოვლენების წინასწარი  
განჭვრეტით<sup>2</sup>. ათი წლისამ შეასრულა ზიქრი<sup>3</sup>, რომელიც აქამდე სრულიად  
უცნობი იყო ჩეჩენთ-ინგუშეთში. სავარაუდოა, რომ ადგილობრივ მეჩეთში შე-  
ისწავლა არაბული წერა-კითხვა და ფურანის კითხვა, რადგან იზრდებოდა რე-  
ლიგიურ ოჯახში. ის კარგად ფლობდა არაბულ ენას, ჰაჯობის დროს არაბე-  
თიდან სამშობლოში გზავნიდა გამართული არაბულით დაწერილ წერილებს,  
ასევე არაბულად წერდა წერილებს გადასახლებაში ყოფნის დროსაც. თუმცა  
არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც. მაგ. ა. იპოლიტოვი წერს, რომ „მას  
(ქუნთ-ჰაჯის) არ მიუღია არავითარი განათლება, და ამბობს, არ შეეძლო  
ფურანის კითხვაც კი“<sup>4</sup>.

ქუნთ-ჰაჯიმ პირველად მოილოცა წმინდა ქალაქი მექა მამასთან ერთად  
1848-1849 წლებში, ხოლო მეორედ ჰაჯობაზე იყო 1859-1861 წლებში და, ალ-  
ბათ, არაბეთში ყოლფნისას პირველად გაეცნო კადირიულ თარიქათს, რადგან  
მეორედ არაბეთში ყოფნისას გამოგზანილ წერილებში ნათესავებისადმი  
აყალიბებს ზოგად პრინციპებს თავისი მოძღვრებისა. ხოლო როდესაც დაბ-  
რუნდა არაბეთიდან, ჩამოაყალიბა რა თავისი რელიგიური მოძღვრება „ზიქრი“,  
დაიწყო ქადაგება მოსახლეობაში. ქუნთ-ჰაჯის მოძღვრება უპირისპირდებოდა  
ოფიციალურ ნახშბანდიურ თარიქათს, რასაც ეყრდნობოდა შამილი.

ა. იპოლიტოვი, მ. ვერტეპოვი, ხ. ივანენკო (რევოლუციამდელი მკვლევ-  
რები), ა. იანდაროვი, ა. აიდამიროვი<sup>5</sup> (რევოლუციის შემდგომი პერიოდის

<sup>1</sup> В.Х. Акаев, Шейх Кунта-Хаджи: Жизнь учение. Грозный. 1994 г.

<sup>2</sup> И.М.Сигаури. Очерки истории и государственного устройства чеченцев с древнейших времен. Москва. 1997 г.

<sup>3</sup> ზიქრი-რელიგიური რიტუალი, სრულდება რიტმული როგვითა და რიტმული წამოძახილებით.

<sup>4</sup> Иполитов А., Учение "Зикр" и его последователи в Чечне о Аргунском округе. Сборник сведений о Кавказе, горцах. Выпуск 2. Тифлис. 1869 г.

<sup>5</sup> А) Вертепов В., Сектантство в чечне. Записки Терекского люстество-любителей Казачьей старинны. № 2. Владикавказ. 1914 гш.

Б) Иполитов А. Учение "Зикр" и его последователи в Чечне о Аргунском округе. Сборник сведений о Кавказе, горцах. Выпуск 2. Тифлис. 1869 г.

მკვლევრები) თითქმის ერთი აზრისანი არიან იმის შესახებ, რომ შამილმა უარყოფითად შეაფასა ქუნთ-ჰაჯის ქადაგება, როგორც ისლამის წინააღმდეგ მიმართული მოძღვრება, აკრძალა „ზიქრი“ და დევნა დაუწყო. წმინდა რელი-გიური თვალსაზრისით შამილი მართალი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ალბათ ისიც აშფოთებდა, რომ მრავალწლიანი ომებისა და გაპარტახებისაგან შეწუხებულ გაინახებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქუნთ-ჰაჯის მო-წოდება მშვიდობისაკენ და შრომისაკენ, რაც ეწინააღმდეგებოდა ჰაზავათს.

ხალხური გადმოცემები კა სულ სხვას გვეუბნებიან: შამილმა, როცა შეიტყო ქუნთ-ჰაჯის ქადაგების შესახებ, დაიბარა იგი ვედენოში<sup>1</sup> სასულიერო თეოლოგების სასამართლოზე, განიხილეს მისი მოძღვრება, ქუნთ-ჰაჯის რე-ლიგიური ცოდნა და შამილმა იგი მოიწონა და მექაში გაგზავნა. მეორე ვერსი-ო, ვედენოში გამოცდის შემდეგ შამილმა ნება დართო ჰაჯის (შემოკლებით ასე უწოდებენ მიმღვრება), ექადაგა თავისი მოძღვრება. ხოლო მესამე ვერსიით, თავად შამილი თავისძაუნებურად ჩაერთო წრეში და „ზიქრის“ დასრულე-ბამდე არც გამოსულა.

ასეთ თუ ისე, შამილის დატყვევების შემდეგ, 1861 წელს, ქუნთ-ჰაჯი ბრუნდება არაბეთიდან სამშობლოში და იწყებს აქტიურ მოღვაწეობას და დიდ წარმატებასაც აღწევს.

ვ. აკაევის აზრით, ქუნთ-ჰაჯის წარმატება განაპირობა იმან, რომ იგი ქადაგებდა ადამიანის სულიერ სიწმინდეს, უარყოფდა ბოროტებას, ძალადო-ბას, მოუწოდებდა მშვიდობისაკენ. იგი მოუწოდებდა სოციალური თანასწო-რობისაკენ, მთიელთა მმური გაერთიანებისაკენ, ყოველივე ეს გამოძახილს პოულობდა ომისა და სისხლისღვრისაგან დაღლილ ჩეჩნებში, ასახავდა მათს მისწავლებას სიმშვიდისა და მშვიდობისაკენ<sup>2</sup>. მაგრამ ჰაჯის მოძღვრების ასე-თი აღმავლობა კიდევ განაპირობა იმანაც, რომ საბრძოლო განწყობილება ვაი-ნახებში შამილის დატყვევების შემდეგაც ბატონობდა: 1860 წელს იფექტა ჩეჩ-ნეთში აჯანყებამ ბაისანგურ ბენოევის, შამილის ყოფილი ნაიბის ხელმძღვანე-ლობით. ეს აჯანყება ჩაქრობილიქნა რუსებისათვის დამახასიათებელი სისას-ტიკით, მაგრამ წინააღმდეგობა არ ჩამოალა, უბრალოდ, არალეგალურ ორგა-ნიზაკიებად ჩამოყალიბდა, რომელთაც ხალხში ცნობილი პირები ხელმძღვანე-ლობდნენ (ყოფილი ნაიბი ათაბიათავევი, აბრაგი ვარა და სხვ.). ზუსტად არა-ლეგალური ორგანიზაციების არსებობამ გაადგილა „ზიქრის“ მიმდევართა

В) Иваненков Н.С. горные чеченцы. Владикавказ, 1910 г.

Г) Аидимиров А. Д. Суфизм и идеология национального-освободительного движения. Алма-Ата. 1975 г.

Д) Аидимиров А. Долгие ночи. М., 1996 г.

<sup>1</sup> ვედენო-შამილის რეზიდენცია ჩეჩნეთში.

<sup>2</sup> Акаев В.Х. Шейх Кунта-Хаджи. Грозный, 1994 г.

ასეთი მასშტაბიანი საძმოების ორგანიზება. იპოლიტოვი წერს ქუნთ-ჰაჯის სექტაში ორი ხელმძღვანელი ორგანოს არსებობის შესახებ: სასულიერო და საერო. სასულიერო ხელისუფლებას წარმოადგენდნენ იმამი ანუ უსთაზი<sup>1</sup> დაორი შეიხი, ხოლო საერო ხელისუფლებას ხელმძღვანელობდნენ ნაიბები, გვქილები და მათი მიურიდები. ჩეჩენეთში და ინგუშეთში რეა ნაიბი და მამა-სახლისები განაგებდნენ საიდუმლო ორგანიზაციებს, რომლებიც მართავდნენ მოსახლეობას<sup>2</sup>. ამ საიდუმლო ხელისუფლების სათავეში იდგა უსთაზი ქუნთ-ჰაჯი, რომლის საქმიანობაც ცარიზმის წარმომადგენლებს საშიში მოწმენათ და გადაწყვიტეს ხელმძღვანელთა დაპატიმრება. ასეთი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 1863-1864 წწ. ზამთარში კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ რომანოვის მიერ.

ქუნთ-ჰაჯი 1864 წლის 3 იანვარს დააპატიმრეს სოფ. სერუ-იურთში, თავისი ნაორესავის ოჯახში. ერთდროულად დააპატიმრეს მასთან დაახლოებული რამდენიმე ხელმძღვანელი, რომლებიც ჩაიყვანეს ციხე-სიმაგრე გროზნში, ხოლო შემდეგ სასწავლო გადაიყვანეს ვლადიგორეთში. აქაც დიდხანს არ გაუჩერებიათ, რადგან ეშინოდათ ამბოხებისა, სასწრავოდ სტავროპოლის გავლით გადაიყვანეს ნოვოჩერგასქში, სადაც დაახლოებით ნახევარი წელი გაატარა. 1864 წლის 20 მარტის რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით ქუნთ-ჰაჯი გადასახლეს ნოვგოროდის გუბერნიაში უვადოდ. ასევე მისი თანამომებებიც უვადოდ იქნენ გადასახლებულნი რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში.

ქუნთ-ჰაჯი გაამწესეს ქ. უსტიუჯნოში, დღეში გამოუყვეს 3 კაპიკი, რაც, რა თქმა უნდა, საჭმელშიც კი არ ეყოფოდა. ამაზე მეტყველებს მისი წერილი მეუღლისადმი, სადაც ფულის გამოგზავნას სთხოვს, რადგან ფაქტიურად საჭმელად არაფერი გააჩნია<sup>3</sup>. გადასახლებაში მისი ცხოვრების შესახებ არაფერია ცხობილი, თუმცა არის წყარო, რომ მას შეხვდა რუსი ისტორიკოსი ი. პოლვი, რომელზეც ჩეჩენმა უსტაზმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: „მასთან საუბრისას მე განმაცვითრა მისმა თავდაჭრის ტაქტიკამ, მისმა უნარმა საუბრის წარმართვისა, ღიმილმა, მიმიკამ, მისმა დიდებულებამ. ერთი სიტყვით, ეს ადამიანი შექმნილი იყო ბელადობისათვის, გამოირჩეოდა დიდი სანდომიანობითა და დკეთილშობილებით. ეს იყო მომზიბვლელი ადამიანი, საშიში პოლიტიკური თვალსაზრისით, რისკენაც ის მიიღო გოლოვანი“<sup>4</sup>.

ქუნთ-ჰაჯის გადასახლებაში დიდხანს არ უცოცხლია. იგი გარდაიცვალა 1867 წლის 19 მაისს. გარდაცვალების მიზეზი გახდა ავადმყოფობა,

<sup>1</sup> უსთაზი – მასწავლებელი, მოძღვარი.

<sup>2</sup> Иполитов А. Учение "Зикр" и его последователи в Чечне о Аргунском округе. Сборник сведений о Кавказе, горцах. Выпуск 2. Тифлис, 1869 г.

<sup>3</sup> Акаев В. Х. Шейх Кунта-Хаджи, Грозный, 1994 г.

<sup>4</sup> Акаев В.Х. Шейх Кунта-Хаджи. Грозный. 1994 г.

რომელიც გამოიწვია შიმშილით ორგანიზმის გამოფიტვამ: „ჩეჩენური ტრადიცია არ ცნობს ქუნთ-ჰაჯის სიკვდილს. მისი მიმღევრები დარწმუნებულები არიან, რომ უსთავი გაუჩინარდა ამ ქვეყნიდან და დროთა ვითარებაში კვლავ გამოჩნდება. ამრიგად, ისინი ქუნთ-ჰაჯის მაჰდიდ-მესიად მიიჩნევენ, რომელიც გამოცხადდება, რათა აუწყოს ქვეყანას დასასრულის მოახლოება“, -წერს სიგაური თავის ნაშრომში<sup>1</sup>.

ქუნთ-ჰაჯისა და საბმოს ხელმძღვანელთა დაპატიმრებამ დიდი მღელ-გარება გამოიწვია და მიურიდები, ახალი მოძღვრების მიმღევრები, შეიარაღდნენ და სოფ. შალისთან მოხდა შეტაკება რუსეთის რეგულარულ ჯართან, რაც ისტორიაში შევიდა „ხანჯლებით ბრძოლის“ სახელით. რელიგიური ხასიათის სიმღერის „შალისთან ბრძოლა“ თემა ეს ბრძოლაა, ახალი მოძღვრებისა და ყოველივე სიახლის ჩამხშობი დესპოტური რეჟიმის შეჯახება და ამიტომ გავეცნოთ, თუ როგორ აგვიწერენ ამ შემზარავ ბრძოლას მკვლევრები.

ახლა ძნელია იმისი დადგენა, შეიარაღებული გამოსვლა სტიქიურად წარმოიშვა თუ საიდუმლო ორგანიზაციის დაპატიმრებას გადარჩენილმა ხელ-მძღვნელებმა მოაწყეს და თუ ეს მეორე ვერსია სწორია, მაშინ ზიქრისტებმა ვერ შეაფასეს არსებული სიტუაცია, რაც შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს კიდეც. როგორც რუსეთის ოფიციალური წყაროები მოწმობენ, ქუნთ-ჰაჯის დაპატიმრებისთანავე დაიწყო აგიტაცია აჯანყებისათვის, მაგრამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მშვიდად იყო და აჯანყებულ მიურიდებს ახალ-გაზრდობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მიემხრო, ხოლო ზოგიერთი აული ჯარის ხელმძღვანელებს მიმართავდა, დაუცვათ ისინი ზიქრისტების შემოსულისაგან<sup>2</sup>.

აჯანყებულმა მიურიდებმა დაიწყეს თავმოყრა სოფ. გერმანჩუკთან, შალის ციხე-სიმაგრესთან ახლოს, რადგან ვარაუდობდნენ, რომ შალის ციხე-სიმაგრეში იმყოფებოდნენ დაპატიმრებულები. ჯერ გამოცხადდნენ ქუნთ-ჰაჯის მიმღევრები დიდი ჩეჩენეთიდან, შემდეგ შეუერთდნენ მიურიდები მცირე ჩეჩენეთიდან და იჩქერიდან. 14 იანვრისათვის მათი რაოდენობა სამ ათასს აღწევს და თანდათანობით იზრდება. მიურიდები არავითარ აქტივობას არ იჩენდნენ და ითხოვდნენ მხოლოდ დაპატიმრებულთა განთავისუფლებას.

გენერალ-მაიორმა თუმანოვმა ამბოხებულთა წინააღმდეგ გადაისროლა ექვსი ბატალიონი, ოთხი კაზაკთა ასეული, ორი საცხენო და ორიც ბატარეიის ქვემები. თერგის ოლქის ჯარის სარადალი ლორის-მელიქოვი ფეხოსანთა სამი ბატალიონითა და ორი ქვემენით ვლადიგავგაზიდან გროზნოსაკენ გამოემართა. გენერალ-მაიორი თუმანოვი თავისი ჯარით დაბანაკდა ქუნთ-ჰაჯის მიმღევარ-

<sup>1</sup> И.М.Сигаури. история и государственного устройства чеченцев с древнейших времен. Москва, 1997 г.

<sup>2</sup> ЦГВИА, Ф 38, Оп. 7. Д.429.Л.55.

თა პირისპირ და ზიქრისტებს თავისი მოთხოვნები წაუყენა: ზიქრის შეწყვეტა და გადასახლებამისჯილ პატიმართა გადაცემა.

ურუს-მართანის ნაიძის მაიორ საიდულა ოსმანოვის შუამავლობით მო-წინააღმდეგება მშვიდობას ინარჩუნებენ, თუმანოვი პირობას დებს, რომ პირ-გვლი არ დაიწყებს შეტევას, ზიქრისტებიც ითხოვენ უფროსებთან დეპუტა-ციის გაგზავნის ნებართვას, მაგრამ დაპირისპირებულთა შეტაკებას მხოლოდ პროვოკაცია სჭირდებოდა და ისიც გაჩნდა. ვ. აკაევის ვერსიით, პროვოკაცია წამოწყო მაჩიკ-მოლამ და აბრაგმა ვარამ. თითქოს მაჩიკ-მოლამ დაარწმუნა ზიქრისტები, რომ რუსების თოვები უსთაზბა წყლით გაავსო და ვერ გაისვრისო!

18 იანვარს მიურიდებმა გადაყარეს თოვები, იშიშვლეს ხანჯლები და ზიქრით გაემართნენ რუსებისაკენ. 60 მეტრზე რომ მიუახლოვდნენ, ხანჯლე-ბით ეცნენ სალდათებს. სალდათებმა ბრძანებაზე ცეცხლი გახსნეს. ბრძოლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა, მიურიდებმა მოკლულები, მათ შორის ხუთი ქალი, ბრძოლის ველზე დატოვეს და გაიქცნენ. გაქცეულებს კარტეჩი დააყა-რეს. დაღუსულთა რაოდენობა დაუდგენელია, მინიმალური მოკლული ასია, მაქსიმალური - როხასი.

შალისთან ხოცა-ულეტის შემდეგ ზიქრისტების ორგანიზაცია დაიშა-ლა, დაიწყო ცალკეული სასულიერო და საერო ხელმძღვანელების დაპა-ტიმრება, რამაც თავისი შედეგი გამოილო. ჰაჯის მიმდევართა დევნამ ცარიზ-მის მიერ დაასუსტა, დააკნინა მისი სამმო და უკვე აღარ წარმოადგენს მნიშვ-ნელოვან მიმდინარეობას სუფისტურ თარიქათში.

„თუ თქვენ გსურთ ერის ისტორიის ცოდნა, შეისწავლეთ მისი ფოლკ-ლორი“<sup>1</sup>-ბრძანა ერთმა ბრძენმა და, მართლაც, რომელიც გეგბავთ ერის ფოლკ-ლორი გვიხატავს იმ მოვლენებს, რომლებიც შეეხო ამ ერს. ასე რომ, ვაინა-ხური ფოლკლორი გვერდს ვერ აუქცევდა ისეთ მოვლენას, რომელმაც უდიდე-სი ზეგავლენა მოახდინა მის სულიერ საზრდოზე. ისლამის გაბატონების შემდეგ ვაინახურ ეპოშში ჩნდება ახალი უანრი რელიგიური ლირიკისა, რომე-ლიც „ნაზმების“<sup>2</sup> სახლლწოდებით დამკვიდრდა ვაინახურ ფოლკლორში, რო-გორც ლიტერატურული ნაწარმოები.

მიქაელ ელდიევი უურნალ „რიგაში“ გამოქვეყნებული ნაზმების წინა-სიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ნაზმები არის „რელიგიურ-განმანათლებლური ნაწარმოებები სიმღერების ფორმით. ეს უანრი დაიბადა ჩეჩენებში ისლამის მი-ღების დროს, რომელიც ამდევდა მათ წარმოადგენას ყურანის აიათებზე<sup>3</sup>, ხა-

<sup>1</sup> Акаев В. Х. Шеих Кунта-Хаджи. Грозный, 1994 г.

<sup>2</sup> ნაზმ-არაბული სიტყვიდან ნაზმ-უნ - ბრილიანტის ხიდზე გაიწკრიალა - ე.ი. სიმღერამ გაიწკრიალი.

<sup>3</sup> ფურანი დაყოფილია სურებად (თავებად) და აიათებად (მუხლებად).

დისებზე<sup>1</sup>, თაფსირებზე<sup>2</sup>. ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ეს უანრი უცნობია, ის მათთის არც იყო აუცილებელი, რადგან იქ თავის უფლად კითხულობენ და თარგმნან ფურანს და სხვა არაბულენოვან ლიტერატურას, ამიტომ ჩეჩენმა ლვთისმეტყველებმა და თეოლოგებმა, რომელთაც არ გააჩნდათ საკუთარი დამწერლობა და არ იცოდნენ არაბული ენა და დამწერლობა, რწმენის დანერგვის სხვა გზა ვერ ნახეს. აქედან გამომდინარე, ეს უანრი – „ნაზმანაშ“ – აღწერს მოციქულთა ცხოვრებას, მათ მისიას დედამიწაზე, მათ ყოფას ლირიულ-მუსიკალური ფორმით<sup>3</sup>.

აღნიშვნული მკვლევრის ზოგიერთ მოსაზრებას ვერ გავიზიარები, რადგან ვაინახებში გავრცელებული ნაზმების ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ ნაწარმოებთა თემა ყოველთვის არაა რელიგიური ხასიათის მოვლენები და რელიგიის მესვეურება, მით უმეტეს, ასეთი ეპიკური ხასიათის ნაწარმოებები, რომლებიც თავისი უანრით, კომპოზიციით, სიუჟეტით და იდეით ასე ახლოს დგას ვაინახურ საგმირო ეპოსთან, ვერასგზით ვერ შეძლებს ისლამის პრინციპებისა და დოგმების, საღვთო წიგნის-ფურანისა და მისი აიათების ქადაგებას. ცხადია, ჩვენ ვერ უარყოფთ მათ მნიშვნელობას ისლამის იდეას გატარებაში, იმ ტრადიციული ისლამისა, რომელიც არ უარყოფდა ვაინახების ადათ-წესებს, მათ სულიერ სამყაროს.

ამ უანრის წარმოშობაც არაბული ენის უცოდინარობით გამართლებული არ უნდა იყოს. დიდი აღმოსავლეთმცოდნე, არაბული ენისა და ისტორიის მცოდნე, ფურანის არაბულიდან რუსულ ენაზე მთარგმნელი აქადემიკოსი ო. კრაჩოვსკი წერს: არაბული ენა თავისი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ფართოდ რომ იყო გავრცელებული წმინდა არაბული ქვეყნების გარეთ, მეცნიერებისთვის დიდი ხნიდანაც ცონბილი, მაგრამ ჩრდილოეთ კავკასია ამ კუთხით გამოიყოფა. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1913 წ. აღმოსავლეთის ისტორიის საუკეთესო მცოდნე ვ-ვ. ბარტოლდი წერდა: „არაბული ენის ცოდნა აქ დღესაც კა ძალიან გავრცელებულია, ვიდრე სხვა მუსულმანურ ქვეყნებში არა არაბული მოსახლეობით“. ამჟამად ჩვენ მთელი უფლებით შეგვიძლია განვავითაროთ ეს აზრი და ვთქვათ, რომ არც ერთ არა არაბულ ქვეყანაში ადგილობრივი ლიტერატურა, წარმოქმნილი არაბულ ენაზე, არ შემონახულა ისეთი სიცოცხლისუხარიანობით XX ს.-ის მეორე მეოთხედამდე<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ხადისებში გადმოცემულია მოციქულ მუკამედის ცხოვრებისა და მოლვაწეობის მომენტებიც, რომლებიც საფუძვლად დაედო ფურანთან ერთად შარიათის საფუძვლებს.

<sup>2</sup> თაფსირები ფურანის კომენტარებია.

<sup>3</sup> Орга, № 2, 1999 შო. Джохар-Гиала, 1999 შო.

<sup>4</sup> И.Ю.Крачковский "Арабская письменность на северном Кавказе", том. VI. Академия наук СССР. 1960 г.

ი. ქრაჩკოვსკი იქვე აღნიშნავს, რომ მე-XX ს. 20-იან წლებში კავკა-სიის ხალხებში, როგორებიცაა ინგუშები, ხუნძები, დალესტნის მცხოვრებლები (იგი შეგნებულად არ ახსენებს ჩეჩენებს, რადგან „პერესტროიკამდე“ ჩეჩენებს ტაბუ ედოთ) კარგად ფლობდნენ არა მარტო არაბულ ენას, არამედ კარგად იცნობდნენ „ყველა ტრადიციულ მიმართულებას არაბული კლასიკური პოეზიასა, თავისუფლად იყენებდნენ მის ფორმებს თავის ლიტერატურულ პრაქტიკაში“<sup>1</sup>.

ასე რომ, ჩვენი აზრით არაბული ენის ცოდნამ, არაბული კლასიკური პოეზიის გავლენამ განაპირობა ვაინახურ ეპოქში ახალი, რელიგიურ-ლირი-კული უანრის ჩამოყალიბება და ეს პროცესი დაიწყო არა მხოლოდ ისლამის გაბატონების (მე-19 ს. I- ნახევარი) შემდეგ, არამედ უცრო ადრეულ ხანებში. იგივე აკადემიკოსი ი. ქრაჩკოვსკი თავის კვლევას ამ დასკვნამდე მიჰყავს: „კავკასიაში ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ არაბული გავლენის ორ ტალღას: პირველი, ადრინდელი დაბყრობითი ობების მიმყოლი, ღრმად რომ არ შეეხო წინა კავკასიის ადგილობრივ მოსახლეობას და მეორე, ნელ-ნელა აღმოცენებული XVI საუკუნიდან, რომელმაც თანდათან შექმნა დაღესტანში, ჩეჩენეთში, ინგუშეთში, ნაწილობრივ ყაბარდოსა და ჩერქეზეთში“.

აღმოსავლეთის ისტორიის მცოდნე და აღმოსავლური პოეზიის მკვლევარი ადვილად შეამჩნევს, რომ რელიგიურ სიძლეებს-ნაზმებს ახასიათებთ აღმოსავლეთის პოეზიის სტილი და ფორმა, მაგრამ მისი იდეური მხარე წმინდა ვაინახურია და პასუხობს ვაინახური საგმირო ეპოქის თითქმის ყველა მოთხოვნას. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნაზმების ის ნაწილი, რომლებიც ადგილად გასაგები და მისღებია ვაინახებისათვის. ესაა ნაზმები, რომლებიც მიძღვნილია რელიგიის მესვეურებისადმი, ე.წ. „უსთაზებისა<sup>2</sup> და უვლაბებისადმი<sup>3</sup>, რომლებიც სათავეში ედგნენ რელიგიურ სამმოებს და დიდი პატივით სარგებლობდნენ ხალხში. ნაზმების გმირები საგმირო ეპოქის დარად იარაღით ხელში კი არ იბრძვიან უსამართლობის, დამპრობლების, მჩაგვრელების წინააღმდეგ, არამედ წარმოადგენენ ადამიანების სულის თსტატებს, ადამიანთა სულების სფეროებში მოღვაწეობებს და ამ ასპარეზზე იჩენენ სულის სიმტკიცეს, ნებისყოფას და თავდადებას მათ მინდობილი ადამიანების მიმართ.

აქვე უნდა შეგნიშნოთ, რომ ნაზმების თემატიკა მხოლოდ რელიგიური თემებით კი არ არის შეზღუდული, არამედ საერო, ვაინახებისათვის საჭირობო-როტო საკითხებსაც ეძღვნება, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ნაზმების სტი-

<sup>1</sup> И.Ю.Крачковский "Арабская письменность на северном Кавказе", том. VI. Академия наук СССР. 1960 г.

<sup>2</sup> უსთაზი – წარმომაზილია არაბული სიტყვიდან –მასწავლებელი, რომელიც ასწავლის რელიგიას, ღმერთისკენ მიმავალ გზას.

<sup>3</sup> ევლაბა – წარმოშობილია არაბული სიტყვიდან–ადამიანი–წმინდანი, რომელიც მკაცრად მისღევს რელიგიას ჭურანში მითითებული გზით.

ლის, ფორმის, თემისა და იდეის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა საგმირო ეპოსის „ილლის“ ქანრმა. ამას ისიც დავუმატოთ, რომ ორივე ქანრის ლექსებს მღერიან სიმებიანი საკრავის ან გარმონის დაკვრით, ან ერთი მღერის და რამდენიმე ბანს იტყვის.

ერთი სიტყვით, ნაზმურ ქანრს დღესაც დიდი ადგილი უკავია ვაინაზურ ზეპირსიტყვიერებაში და დღიდ როლს თამაშობს ხალხში რელიგიური რწმენის განმტკიცებაში. „თავისებური ფორმის ეს ქანრი დღესაც იქმნება ხალხში. მან დაიკავა განსაკუთრებული ადგილი მხატვრულ ლიტერატურაში, აგსებს რა ვაინაზური პოეზის საგანძურს“<sup>1</sup>.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, შამილსა და ქუნთ-ჰაჯის ნახშბანდიურ და კადირულ მიმდინარეობას შორის დაპირისპირება აღინიშნებოდა. უსთაზის მესიად გამოცხადება, უსთაზის აღაპისა და მიურიდს შორის შუამავლად აღიარება, უსთაზის პასუხისმგებლობა აღაპის წინაშე თავისი მიურიდის საქცი-ელზე, უსთაზის დასწრება მისი მიურიდის აღსასრულისას, რა დროც და რა ადგილიც უნდა იყოს და სხვა სასწავლომოქმედი უნარის მიწერა ქუნთ-ჰაჯი-სათვა წმინდა რელიგიიდან გადასცვად მიიჩნიეს შამილის თეოლოგებმა და მათ შორის კონფლიქტიც წარმოიშვა, მაგრამ ნაზმების მთქმელები სხვაგვა-რად გვიხატავენ სურათს.

ნაზმში „დიდი ჰაჯი სესანიდან და დიმამ შამილი“ დასაწყისშივე იგრძნობა იმამ შამილის მკეთრო უარყოფითი დამოკიდებულება ქუნთ-ჰაჯისადმი. იგი უბრძანებს ჰაჯის, რომ მან უნდა დატოვოს ჩეჩენეთი, სადაც იგი ისლამს ქადაგებს და მის მაგივრად უსთაზობას გასწევს მისი გამოგზავნილი ღვთის-მეტყველი.

„ჰო, დიდო ჰაჯი, დიდო ჰაჯი სესანიელო,  
შენ ვალდებული ხარ დედა-ჩეჩენეთი დატოვო.  
მსურს ჩემი ჯამალდი ჩეჩენეთში გამოვაგზავნო  
რომ შენს მაგივრად ხალხს მან ასწავლოს სჯული“. <sup>2</sup>

როგორც ვხედავთ, შამილის ტონი კატეგორიულია, ხელეწიფებოდა კიდეც ბრძანების გაცემა, რადგან იგი იყო იმამი ჩეჩენეთისა და დაღესტნისა და ამდენად სასულიერო ხელმძღვანელიც. თუ რატომ უბრძანებს სამშობლოს დატოვებას იმამი, ვგებულობთ თვით ქუნთ-ჰაჯის პასუხიდან:

„არ დავტოვებ მე დედა-ჩეჩენეთის  
არ დამირღვევია მე ფიცი,  
ღვთის და მოციქულის წინაშე  
საუკუნოდ დადებული ჩემი“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Ш. Джамбеков. Нохчийн назманан проблемийн хыцкъехь. Огра № 2. 1999 шо. Джохар-Гиала. 1999 шо.

<sup>2</sup> ტექსტები გამოყენებულია ჩეჩენური მხატვრული უურნალ „ორგა“-დან.

მაშასადამე, ქუნთ-ჰაჯი ამტკიცებს, რომ იგი მისდევს ღმერთისა (ალაპისა) და მისი მოციქულის (მუჰამედის) რელიგიას, საუკუნო ფიცით აქვს ეს რელიგია მიღებული და ერთგულია მისი.

„დღდა სიმაგრე ჩემი წამლისა<sup>1</sup>,  
რამდენად ბევრია ჯარიც ჩემს უკან,  
მოვითხოვ, დატოვო დედა-ჩეჩენეთი“.

შამილის მუქარამ სულაც არ იმოქმედა ქუნთიზე, პირიქით, იგი თავის პასუხში პრეტენზიას აცხადებს, რომ მისი ლვაწლია ჩეჩენეთის გამაპმადიანება და ამ საქმეში მთელი დაღესტნისა და ჩეჩენეთის იმამის, ურწმუნოთა წინა-აღმდეგ მრავალწლიანი საღვთო ომის ხელმძღვანელის როლს აკნინებს. მოვუსმინოთ თავად ჰაჯის:

„ჰო, იმამო შამილ!  
გარდა ყოვლისშემძლე ღმერთისა,  
არვინ შეძლებს ჩემს შეშინებას,  
გარდა ჩვენი მოციქულისა,  
არვის ხათრს ვერ გავუწევ,  
არც დავტოვებ ამ დედა-ჩეჩენეთს  
ჰო, იმამო შამილ!  
როცა კლდეს მიყრდნობილი თვლემდი  
ხეთა, დიდ ზარბაზანთა ჩრდილში,  
ღმერთის, მიციქულის და შარიათის რელიგიისკენ  
დიდი შრომით მოქცეულ დედა-ჩეჩენეთს,  
მე არ დავტოვებ, იმამო შამილ!“

როგორც ვხედავთ, ჩეჩენეთში ისლამის გავრცელებაზე პრეტენზიას აცხადებს ქუნთ-ჰაჯი და არც აპირებს ლიდერობა დაუთმოს ვისმე, თუნდაც სახელგანთქმულ შამილს და აშკარად უპირისპირდება მას. ცხადია, რომ ამ ნაზმის ავტორისათვის ნათელი იყო, თუ ვინ არის ჩრდილო კავკასიის მთიელთა გაერთიანების ორგანიზატორი და ხელმძღვანელი დამპტობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და მაპმადიანური რელიგიის გამავრცელებელი დაღესტანსა და ჩეჩენეთში, მაგრამ იგი და მის შემდგომი ავტორები ამ ნაზმისა ცდილობენ, ისე წარმოაჩინონ საქმე, რომ ჩეჩენეთის რელიგიის მესვეური ქუნთ-ჰაჯია, მათი მიწა-წყლისა და სისხლ-ხორცის წარმომადგენელი და მიაწერენ მას იმ თვისებებს, რაც დამახასიათებელია საგმირო ეპონის გმირებისათვის.

შემდეგ ნაზმში მოვლენები შემდევნაირად ვითარდება: ქუნთ-ჰაჯი წერილს სწერს შამილს და თავის სტუმარ ბეშთოს გზავნის მასთან, სადაც, როგორც ნაზმის შინაარსიდან გამომდინარეობს, აყალიბებს თავისი მიმდევ-რების პრინციპებს, რომელთა გაცნობის შემდეგ იმამ შამილს გული მოუბ-

<sup>1</sup> იგულისხმება თოფის წამალი.

რუნდება უსთაზისაკენ და მას აძლევს ქადაგების უფლებას და მეგობრობასაც სთავაზობს:

„ახლა ჩემთვის ჭეშმარიტია,  
რომ შენ ღმერთის მონა ხარ,  
რომ ერთგული შუამავალი ხარ,  
შენს წინაშე ღრმად დამნაშავე ვარ“.

თავისთავად მრავლისმეტყველია, რომ შემძლი თეოლოგიურ პაექრო-  
ბაში უთმობს რიგით რელიგიის მასწავლებელს – უსთაზს, მაგრამ ყველაზე  
საყურადღებოა, რომ იგი აღიარებს ქუნთ-ჰაჯის ღმერთსა და თავის მიურიდს  
შორის შუამავლის როლს („ერთგული შუამავალი ხარ“), რაც ყველაზე მიუ-  
ღებელი პრინციპია ისლამისათვის. და კიდევ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ  
ნაზმი არაფურს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა მოსაზრებები, თავისი მოძღვ-  
რების რა პრინციპები გამოიყენა უსთაზ ჰაჯიმ, რომ დაერწმუნებინა დაღეს-  
ტნისა და ჩეჩენეთის იმამი. ჩვენი აზრით, ნაზმის აკტორის მიზანია არა იმდენად  
რელიგიის საკითხების წარმოჩენა, რამდენადც თავისი გმირის – ქუნთ-ჰაჯის  
აკტორიობების ამაღლება.

იმ თვალსაზრისით, თუ რა როლი აკისრია ქუნთ-ჰაჯის ღმერთისა და  
ერის წინაშე, საინტერესოა „ნაზმი ჰაჯიზე და მოგსარზე“<sup>1</sup>. ნაზმი თავშივე  
გვატყიბინებს, რომ ჰაჯი და მოგსარი ბნელეთის ჯურლმულში ჩააგდო მეფე  
ნიკოლოზმა, რადგან ქუნთმა დაანგრია დაღესტანი.

„დამანგრეველი სამუშაო დედა-დაღესტანში გაშალა,  
ეს დედა-დაღესტანი  
დაანგრია ქაშის ვაჟმა-  
დასმენები და არზები მოსწყინდა  
და იმ მიკლაი მეფეებ  
ხელ-ფეხს ბორკლი დაადო,  
იმ ჰაჯის და მოგსარს  
და შავ საპყრობილები ჩასგა“.

საპყრობილები მოგსარი თავის ძმას სრულიად ლოგიკურ კითხვას  
უსვამს:

როგორც ხალხში ლაპარაკობენ, თუ შენ ღმერთთან დაახლოებული, მი-  
სი გამორჩეული პიროვნება ხარ, რომელიც განკითხვის დღეს შენი მიმდევ-  
რების მოპასუხე და დამცველი ხარ, მაშინ რატომ ვსხედვართ ამ ბნელეთში  
ხელ-ფეხ შექრული?

„ჰაჯი, ხალხი ამბობს,  
ხალხი ამბობს, რომ შენ

<sup>1</sup> მოგსარი არის ჰაჯის ძმა, რომელიც მასთან ერთად დააპატირეს და ჩერქასკიდან  
გადასახლებაში გაგზავნისას გზიდან გაიქცა და თურქეთში წავიდა, სადაც ძმის  
ცოლ-შვილიც წაიყვანა.

ღმერთმა მოგავლინა, რომ  
განკითხვის დღეს უმწყემსო მათ“.

და თუ ეს ასეა, ნუთუ ჩვენ ხელიზე და ფეხებზე ბორკილებს დაგვა-  
დებდნენ? მოგსარი უფრო შორს მიდის:

„ცოლ-შვილი აგატირეს,  
მიურიდებს გული ატკინეს,  
მტერი ჩვენზე გააცინეს,  
ამ დროების მეფეზ  
ამ შავ საპრობილეზი  
ჩაგვსგა რატომ, ძმაო ჰაჯი?“

მოგსარი სრულიად სამართლიანად ეკითხება ძმას: რატომ მისცა  
უფალმა ნება, რომ ჩავეგდეთ მტერს ამ სატანჯველში, რომელიც აღმატება  
ჩვენს ნებისყოფას და ფიზიკურ გამძლეობას, რატომ არ სოხოვ ღმერთს,  
გვიხსნას ამ სატანჯველისგან.

ჰაჯის პასუხში გამოიკვეთა მისი როლი და დანიშნულება, როგორც  
ღმერთის რჩეულისა:

„განკითხვის დღეს, მკვდრეობით აღდგომის დღეს,  
როცა საბოლოოდ იმოქმედებს კადირის თარიქათი,  
განკითხვის დღეს მოგრინჭება შენი უფლებანი,  
ხოლო ამქვეყნად ტანჯვის ბედი არგუნეს შენს ძმას,  
ახლა შენ უნდა ზიდოო, ქიშის ძევ, მითხრა,  
ამ ქვეყნის ტანჯვათაგან ერთი მძიმე შენს ძმასაც ერგო...“

როგორც ვხედავთ, ჰაჯი აქ ამტკიცებს, რომ მას ღმერთისგან ებობა  
უფლება, იყოს თავის მიმღევართა სულების დამცველი, სამაგიეროდ ამ ქვეყნად  
უნდა იტანჯოს თავისი მიურიდების მაგივრად.

ისტორიულად ცნობილია, რომ ქუნთ-ჰაჯიმ იცოდა მისი მოსალოდნელი  
დაპატიმრების შესახებ, შეძლო არა თუ თავი აერიდებინა, არამედ ძალითაც  
დაპირისპირებოდა ამას, მაგრამ მან თავი გასწირა, რათა გადაერჩინა თავისი  
სამმო. ამავე დროს საინტერესოა მისი შეხედულება თავის შესაძლებლობებზე:  
მისი თქმით, მისთვის პრობლემას არ წარმოადგენს სასწაულების მოხდენა.  
როგორც ვიცით, თვით მუჰამედი, ალაჰის მოციქული, რომელსაც მოევლინა  
ყურანი და ალაჰისა სარწმუნოების ქადაგება დაავალა, როცა მისგან სასწაუ-  
ლებს მოითხოვდენ, ამბობდა, რომ იგი ჩვეულებრივი ადამიანია და არ ძალუდს  
სასწაულების მოხდენა, მისთვის ღმერთს ეს ნიჭი არ მოუმადლებია. ცხადია,  
რიგითი რელიგიის მასწავლებელი, თუნდაც ახალი სექტის დამაარსებელი,  
ვერ იქნებოდა სასწაულმოქმედი. ისტორიულად ჰაჯი უაღრესად თავმდაბალ,  
მართალ პიროვნებადაა ცნობილი. ნაზმში კი სულ სხვანაირად ჩანს მისი  
პიროვნება:

„თუ ჩვენ აღვმართავთ ხელებს თხოვნით დვთისადმი,  
დვთის მიერ ჭერად ქმნილი ეს ლურჯი ზეცა,  
ხელის მიწვდომაზე მოგვიახლოებს მას ღმერთი,  
ჩემო ძმაო მოგსარ,  
თუ ჩვენ აღვმართავთ ხელებს თხოვნით ყოვლისშემძლისადმი,  
ღმერთი ამ შავ მიწას ადგილიდან დაძრავდა  
ჩემო ძმაო მოვსარ.“

ეს მხოლოდ ქადილი არ იყო, შემდგომმა მოვლენებმა დაამტკიცა, რომ  
მას ძალუძდა სასწაულების მოხდენა. ქუნთ-ჰაჯიმ დოა<sup>1</sup> აღავლინა, ბრძანა:

„დაკეტილო ციხის კარებო  
უფლის ნებით ახლავ გაიღეთ,  
თავისუფლება გვიბოტეთ ჩვენ,  
მოვსარის სხეულს ვერ ძალუძს თმენა.  
ხელ-ფეხ შეკრულო რკინის ბორკილო,  
უფლის ნებით გაიხსენი,  
მოვსარის დაღლილ კიდურებს  
აღარ შეუძლია თქვენი თმენა.“

მართლაც, მტკიცედ დაკეტილი კარები გაიღო, ხელფეხს დადებული  
ბორკილები დაბლა დაცივდნენ, ყარაულები ტყბილ ძილს მიეცნენ და ჰაჯი  
ძმას თავისუფლებისკენ უთითებს. როცა მოვსარი სთხოვს, რომ ერთად წა-  
ვიდნენ, რომ უიძისოდ იგი არ გაიქცევა, ქუნთ-ჰაჯი უარს ამბობს გაქცევაზე  
და თავის მისაზე ახსნებს: იგი კალდებულია იტეროოს თავისი საძმოს  
წევრების ცოდვები, უნდა იტანჯოს მათვის.

აქ საინტერესოა ერთი დეტალი: ხალხი თავის უსთაშს მიაწერს იმ თვი-  
სებებს, რაც ახასიათებს ქრისტე ღმერთს. ცხადია, თვით ქუნთ-ჰაჯისათვის და  
სხვა შუსულმანებისათვის ნაცნობა ქრისტე, რომელსაც საკმაოდ დიდი ად-  
გილი უჭირავს ყურანში დვთისმშობელ მარიამთან ერთად. ყურანის მიხედვით  
ისა (იესო) არის ღმერთის ერთ-ერთი საპატიო მოციქული, რომელსაც შეეძლო  
სასწაულების ჩადენა და ადამიანთა ცოდვები იტეროო. თუმცა იგი არ გარ-  
დაცვლილა, როგორც სახარება გვაუწყებს, არამედ ცოცხალი წაიყვანა  
ღმერთმა თავისთან და განკითხვის დღეს მოევლინება ადამიანებს. ამ საკითხზე  
შეიძლება ბევრი მსჯელობა, თუმცა ეს სხვა თემაა.

ქუნთ-ჰაჯის, უსთაშის პირად უბედურებაზე, ოჯახის ბედზე მოგვითხ-  
რობს ნაზმი - „როგორ დიდია ოჯახი შენი, ჰაჯი“, სადაც აღნიშნულია, რომ  
ჰაჯის ოჯახის წევრები ჩემინეთის სხვადასხვა კუთხეში, დედამიწის სხვა-

<sup>1</sup> დოა - თხოვნა, ხვეწნა ღმერთისადმი, რასაც ასრულებენ თითქმის ყველა რელიგიური  
ცერემონიალის შემდეგ. ერთი, უმეტესად მოლა აღავლენს დოას, დანარჩენი  
ხელების ცისკენ აშვერით ამოწმებენ.

დასხვა მხარეში გაიფანტნენ, ხოლო მათ, ვინც სამშობლოში დარჩნენ, არავინ ჰყავთ მზრუნველი:

„ერთინ-ქორთის<sup>1</sup> გორაზე წევდი<sup>2</sup> დაკრძალულია,  
არაბთა მხარეში ესიათ<sup>3</sup> დაკრძალულია,  
რაოდენ დიდი შექმნა ღმერთმა დედამიწა,  
რაოდენ ბევრია შენი შვილი, ჰაჯი!  
არავინ ზრუნავს მათზე, ვისაც უყვარდი,  
ვის დაუტოვე შენა შვილები, ჰაჯი?!“

ამ ნაზმში საყურადღებოა ის, რომ ავტორი ყურადღებას ამახვილებს არა წმინდა რელიგიურ ასპექტზე, არამედ ადამიანის, სამმოს ხელმძღვანელის პირად ცხოვრებაზე და იმ ადამიანების მომავალზე, რომლებმაც გაიზიარეს ჰაჯის მოძღვრება და მისი დაპატიმრების შემდეგ აღმოჩნდნენ ცარიზმის მოხელეთა პირისპირ.

შემდეგ ნაზმში მოთხობილია, რომ:

„იღსეან-იურთში<sup>4</sup> ქიში<sup>5</sup> დაკრძალულია,  
არაბთის მხარეში მოვსარი დაკრძალულია,  
ევთარ-იურთში<sup>6</sup> მათა<sup>7</sup> დაკრძალულია,  
გუნოი-იურთში<sup>8</sup> საფოთი დაკრძალულია,  
იღსეან-იურთში მუცუ<sup>9</sup> დაკრძალულია,  
თურქეთის მხარეში ვისკა<sup>10</sup> დაკრძალულია!“.

თითოეული სტროფის შემდეგ მიმართვა ჰაჯისადმი: რამდენად დიდი შეუქმნია ღმერთს სამყარო, რაოდენ ბევრი შვილი ჰყოლია ჰაჯის და არავინაა, რომ მათზე იზრუნოს. ნაზმის „როგორ დიდია ოჯახი შენი, ჰაჯი“ ბოლო სტროფში გატარებულია ის აზრი, რომ უფლის ნებით დატოვა ჰაჯიმ ეს ქვეყანა, იტვირთა რა სალხის (იგულისხმება მისი მიმდევარი მიურიდები) უბედურება და მწუხარება:

<sup>1</sup> ერთინ-ქორთ – მთა ვედენის რაიონში, სადაც დასაფლავებულია ქუნთ-ჰაჯის დედა. ეს არის სალოცავი ცენტრი, სადაც ქუნთ-ჰაჯის მომხრეები მოსალოცად მიდიან სხვადასხვა კუთხიდან.

<sup>2</sup> წევდი – ქუნთ-ჰაჯის დედა.

<sup>3</sup> ესიათ – ქუნთ-ჰაჯის მუცელე.

<sup>4</sup> იღსეან-იურთი – სოფელი ჩეჩნეთში.

<sup>5</sup> ქიში – ჰაჯის მამა.

<sup>6</sup> ევთარ-იურთში.

<sup>7</sup> გუნოი-იურთი – სოფელი ჩეჩნეთში.

<sup>8</sup> ჰაჯის ნათესავები.

<sup>9</sup> ჰაჯის ნათესავები.

<sup>10</sup> ჰაჯის ნათესავები.

„ღმერთის თანხმობით ქვეყანა დატოვე,  
ამ ქვეყნის ვაება შენზე იტვირთე...“

საგარაუდოა, რომ ეს ნაზმი შეიქმნა იმ პერიოდში, როდესაც ყველაზე მეტად გაუჭირდა ჰაჯის სამოს, რადგან სიმღერაში იგრძნობა პესიმიზმი.

ქუნთ-ჰაჯიზე ძალიან ბევრი ნაზმია შექმნილი, ასევე ბევრი ნაზმია თვით მოციქულ მუკამებზე, მის თანამებრძოლებზე (ასხაბბზე), მუკამედის ნაოე-სავებზე, უმთავრესად რელიგიური ხასიათისა, მაგრამ არის ციკლი ნაზმებისა, რომლებიც ასახავენ ვაინახი ხალხის ცხოვრების ყველაზე ღუჭირ ეპიზოდებს.

ვაინახთა წინაპრები, რომლებიც ქმნიდნენ სასულიერო პოეზიის ნიმუ-შებს, ტრადიციულ უანრში ნაზმებისა, მარტო რელიგიური თემატიკით კი არ იფარგლებოდნენ, არამედ ასახავდნენ თავიანთი ხალხის სულს, ხასიათს, მენტალიტებს. მაგალითისათვის ავილოთ ნაზმები ჩეჩენთა გადასახლებაზე და მის ავტორზე – სტალინზე, სადაც ხალხი ნათლად გამოხატავს თავის ტკი-ვილს, სიშმაგეს, დაურკებელ ღტოლვას თავისუფლებისაგან. ასეთი ხასიათის ნაზმები მკვლევარისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენენ, რადგანაც მათში ასახულია ხალხის გაუტეხელი სული, იმ ხალხისა, რომელმაც არნახული უბედურება იწვნია 1944 წლის 23 თებერვალს, იმ დღეს, რომელსაც ზეიმობდა კომუნისტური ხელისუფლება, როგორც წითელი არმიის შექმნის დღეს, იმ არმიისა, რომელმაც ვაინახი მოსახლეობა დაარბია, აყარა მშობლიური მიწი-დან და ფზახთა უკიდევონ ველებზე გადასახლა, რომელიც თავისი ხალხის სისხლით გაწითლდა, „ყაზახეთის ტყვეობამ“ ვაინახები სულით კი არ დასცა, არამედ გამოაწროო, დაუშირჩილებლობის სული შთაბერა. ცამეტი წლის განმავლობაში ქედმოუხრელად აწყდებოდნენ სატანურ ძალმომრეობას, არა-სოდეს დაუკარგავთ იმედით თავისუფლებისა და სამშობლოში დაბრუნებისა.

ნაზმში „გადასახლება“ ავტორი აღწერს იმ საშინელებას, რაც შვილი წლის განმავლობაში იწვნია ჩეჩენში და ინგუშშა ხალხშა და ღმერთის სამარ-თალსა და შემწეობას სთხოვს:

„დროთა ვითარებაში გვემატება ვაება;  
დღიდან დღემდე მატულობს შიში და საფრთხე;  
და-ძმისაგან მოწყვეტიდან შვილი წელი გავიდა...  
ოჳ, ღმერთი! მოგვცემ უარეს უბედურებას!“

ნაზმში მოთხრობილია, თუ როგორ ირლვევა მათი უფლებები, რომ არ აქვთ უფლება დატოვონ დასახლებული პუნქტები, რაც ყველაზე დამამცირებე-ლი იყო თავისუფლებისმოყვარე ხალხისათვის:

„ამ სამყაროში ჩვენი უფლებები აყრილია,  
დღიდან დღემდე მძლავრდება ჩვენზე ზეწოლა...  
ხალხის სოფლიდან გასვლის უფლებაც ჩამორთმეულია...  
აგვარიდე ასეთი დამცირება, უფალო ღმერთო!“

ზუსტად ასეთი უუფლებობაა დამამცირებელი უდანაშაულო ხალხისა-  
თვის, ამ დამცირების მოხსნას სთხოვენ ყოვლისშემძლე ღმერთს მარტო მის  
იმედზე დარჩენილი ბედკრულები:

„ჩვენთვის ძალიან აუტანელია ამგვარი მძლავრი დამცირება;  
მწარე, შხამიანი გახდა მზიანი სამყრო ამებად;  
მხოლოდ შენ ძალგის ამ მწუხარების მოხსნა, მაღალი ღმერთი!“

ასევე დამამცირებელია მათოვის, რომ კომუნისტური ხელისუფლება  
სულიერი დეგრადაციისკენ უბიძგებს: მოითხოვს დასმენებს, თანამემამულეთა  
გაყიდვას და სხვა საზიზღრობებს:

„ეს ჩვენი მტერი უზომოდ შეუბრალებელია და  
გვთხოვენ თანამომეთა გაცემას, მორწმუნეთა გაცემას;  
ერთმანეთში დასმენას გვირჩევენ მუხთლად...“

რა აწუხებს ყველაზე მეტად ამ მძიმე უამს ვაინახებს? მხოლოდ ის, რომ  
მოთმინებამ არ უდალატოს, რომ ნებისყოფა არ მოტეხოს მეტისმეტმა  
მწუხარებამ და სულიერად არ დაეცნენ. ეს იქნებოდა მათოვის ყველაზე დიდი  
უბედურება და ამისგან დახსნას სთხოვენ კიდეც:

„გვეშნიან, რომ მალე მოთმინება დამთავრდება;  
გულები დაგვიახინჯდება მწუხარებისაგან და ტირიან დაღლილნი.  
შვიდი წელი, უფრო მეტიც, ჩვენ მწარე მარწუხში გვიჭერება...  
ოჰ, ღმერთო! არ მოგვცე არასდროს ამგვარი მწუხარება!“

უფრო მწარედ ქლერს ხალხის მშობლიური მხარიდან აყრისა და  
გადასახლების სიმართლე ნაზმში „ჩეჩენეთისაგან გამოიხოვების დილა“, სადაც  
გულისმოქვლელადა აღწერილი სამშობლოსაგან გამოიხოვების დილა:

„დილა, როდესაც ვტოვებდით ჩვენს მხარეს,  
დილა, როდესაც ტიროდნენ დედები,  
დილა, როდესაც დადკარგეს თავიანთი შვილები.  
დაგვლოცე, მაღალო ღმერთო!“

ეს ის დილაა, როდესაც ადამიანს არა თუ ფიზიკურად გაუსწორდნენ,  
არამედ სულიერად დააპნიენს, დაავიწყეს ის მცნებები, რომლებითაც საზრ-  
დოობდნენ უხსოვარ დროიდან:

„დილა, როდესაც მოგვწვდა ვაება,  
დილა, როდესაც დაივიწყეს მცნებები,  
დილა, როდესაც გაანადგურეს სამშო.  
დაგვლოცე, მაღალო ღმერთო!“

ეს ის დილაა, როდესაც გამწარდა მშობლიური ადგილები, როდესაც  
სამშობლო ატირდა სიმწრისაგან:

„დილა, როდესაც მოედნები გაწითლდა,  
დილა, როდესაც კუთხის სიტქბო გამწარდა,  
დილა, როდესაც დედა-ჩეჩენეთი ატირდა.  
დაგვლოცე, მაღალო ღმერთო!“

გადასახლებულებს ნაადრევად უსწრაფებს სიცოცხლეს სიღუხჭირე, მათი რაოდენობა თანდათან მცირდება და ღმერთს სთხოვენ დახმარებას და პირველ რიგში თავისუფლებას:

„უდროოდ გვეწევა სიკვდილი,  
ერთმანეთს გაცილებთ-ცოტანი ვრჩებით,  
შენს დახმარებას ველოდებით,  
გაგვათავისუფლე, ო, მაღალო ღმერთო!“

რა არის გადასახლებულ ვანახთა ოცნება? მხოლოდ თავისუფლება, იმ ბელადების გამოჩენა, რომლებიც თავისუფლებისკენ წაიყვანდნენ და ამ ბედნიერებას სთხოვენ გამჩენ ღმერთს:

„გვიყვარს თავისუფლება- მაგრამ არ არის,  
მოვუწოდებთ ბელადებს - მაგრამ არ ჩანან,  
ვთხოვთ - მაგრამ ვერ ვიღებთ ბედნიერებას  
გაგვათავისუფლე, ო, მაღალო ღმერთო!“

როგორც ვხედავთ, ვაინახებში არ ჩამკვდარა თავისუფლების სული და ეს სული ბობოქირობს თვით რელიგიურ პოეზიაშიც, სადაც, ჩვეულებრივ, რელიგიურ ღოგძებზე უნდა იყოს ლაპარაკი და მთავარ გმირებად, მიქაილ ელდიევის სიტყვებით რომ ვთქვაო, „ნაზმების ქანრის გმირები - ესენი მეომარი გმირები და ბელადები კი არ არიან, არამედ ხელოვანი შემომქმედები, ადამიანთა სულის შემქმნელნი“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> Михаил Эльдев. "Назианаш". Огра. № 2. 1999 шо. Джохар-Гіала. 1999 шо.

ეკა ჩხეიძე

## ბაჩანა და ხალხური შემოქმედება („თაღლაურა“)

უფალს უხვად მოუფენია ნათელი და მადლი რაზიკაშვილთა ოჯახისა-ვის. ყოველივეს ღრმად შემგრძნობი სული მათი უფაქიზესი გრძნობების და მადლითც ხებული ნიჭის მეშვეობით გამომზეურდა ქართველ მკითხველთა წი-აშე. საყოველთაოდ ცნობილია ღვაწლი ძმათა, რომელიც ერთგულად ემსახუ-ებოდნენ ქართველ ერსა და ქართულ მწერლობას. ამბობენ, ბაჩანას ბედი კიდეც მიაგადაო გაუს ბედს. ისინი, პოეტად დაბადებული ძმანი, „ერთად იზრდე-ოდნენ სოფელ ჩარგალში, სადაც სახლობდა მათი მამა, მღვდელი პავლე, ასევე ერთად იზრდებოდნენ გორის საოსტატო სემინარიაში და ერთად ეწეოდნენ სახალხო მასწავლებლობას მშობლიურ მთებში. სიკვდილისათვის მაინც ორ-ავე თბილისში მოვიდნენ, რომ უფრო გულდაწყეტით ეგრძნოთ მთების ბნეულის დაშორება, იმ მთების ბუნებისა, რომელთანაც ისინი ასეთივე უნახავი სიყვა-ულით იყვნენ შეერთებულნი“ (ტ. ტაბიძე, „წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე“ საქ ტომაძ, ტ. 2, თბ., 1957 წ. გვ. 41).

პოეტს ღრმად სწამდა, რომ საქვეწო მოღვაწეობას დიდი ცოდნა და გამოცდილება უნდოდა. 1887 წლის 22 ნოემბერს თედო რაზიკაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში ბაჩანა წერდა:

„ჩემი აზრები მარტო სკოლას არ ეხვევინ, არც არა ისე საქვეწო საქ-მეები მაწუხებენ. საქვეწო მოღვაწეობას დიდი ცოდნა და გამოცდილება უნდა. მე კი ორივეზე ქესეტადა ვარ; ...სანამდინ დრო მაქვს, უნდა წავიდე სადმე და ვისწავლო“. (წერილები თ. რაზიკაშვილისადმი. სოლ. ყუბანენიშვილის რედაქ-ციით, საქ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, წიგნი III, ტფ., 1937 წ.).

მაგრამ ოცნება დაშორდა სინამდვილეს. მხოლოდ სიღატაკე, ავადმყო-ფობა, სულიერი მარტოიბა, სიკვდილიანიბა, იმედგაცრუება ხვდა წილად პოეტს – კაცს, რომელსაც მთელი არსებით უყვარდა თავისი მიწა-წყალი. მა-მულიშვილობა ბევრს ავალებდა ბაჩანას, კარგად ესმოდა მას მადლი და ძალა ხალხური პოეზიისა, რომლის საუკეთესო ნიმუშებს დაუზარებლად აცნობდა ქართველ მკითხველს. „ბაჩანამ 1898 წელს გამოაქვეყნა ზეპირი ხალხური შე-მოქმედების ნიმუშები – გაზეთ „ივერიაში“, – გვამცნობს ივანე ქართველიშვილი.

პოემა „თაღლაურას“ შექმნისას ბაჩანა 18 წლის ყოფილა. მის პირად წე-რილებში არ ჩანს, როგორ დაწერა ნაწარმოები, მაგრამ პოემის მომდნარეობა ხალხში არსებულ თქმულებებიდან სახალხო გმირ თაგვა თაღლაურაზე უდაოა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაჩანას თაღლაურა რამდენადმე

კიდეც განსხვავდება თქმულების გმირისაგან. გადმოცემათა მიხედვით, სამშობლის კეთილდღეობისათვის მებრძოლმა თაღლაურამ კახეთის ბატონისაგან წყალობა დაიმსახურა. ასე რომ, აღმოსავლეთი საქართველოს მთიანეთისათვის უცხო არ არის სახალხო გმირის სახელი. გარეშე მტრებთან ბრძოლით აღზე-გვბულსა და გაძლიერებულ თაღლაურას თანასოფლელთა შევიწროება განუწყრახაგს. სოფელ არტანის მცხოვრებ დავით გიორგის ძე მინდოდაურის გადმოცემით, „ისე გადიდებულა თაგვა, რომ მთებს აქეთ თუ რამე გადმოვიდოდა ცხვარი, საქონელი და ა.შ. მას იჭერდა თავისთვინა, თავისობრივი თვითონ“ (თ. ოჩიაური, მთიოლიგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, თბ., 1967 წ. გვ. 123). განრისხებინა ფშაველნი თაღლაურას და გადაუწვავთ სახლ-კარი მისი. „თაგვა ...აქ არ ყოფილა, არაგვის ფშავლები რო დასცემიან, ჩაბანოს ყოფილა წასული ძმობილთან, რო გამაუხენებავ, ბოლი გასძინს თურმე აქაურობასა“ (თ. ოჩიაური, გვ. 123). შინ დაბრუნებული თაღლაურა სასტიკად გაუსწორდა ფშავლებს და ბოლოს მისგან შენდობილმა კოჭლმა თანასოფლელმა ღალატით მოკლა, ბეჭი დაუჭრა ისრით. ასეთია ხალხური თქმულება თაგვა თაღლაურას შესახებ. ბაჩანამ კი გმირის ხალხურ სახეს სიცოცხლე მისცა და თქმულება განავრცო, „გადაასხვავერა“. შთამბეჭდავია ბაჩანას პოემის გმირი თაღლაურა, კაცი, რომელიც ქებულიაფშავში თავისი ვაჟაპიშვის წყალობით, არცისახელი აკლია და არც „ლეგეთიდან“ გადმორეკილი ცხვარ-ძროხა, მაგრამ ცხოვრების ამაოებაზე ფიქრს ფრიად შეუწუხებია ვაჟაპაცი.

„რასა ჰგავს ადამიანი

სიცოცხლისფერობაშია?

ვერ ძლება წუთისოფელი

ვაჟაპაცის მტერობაშია.

ბევრიც ვაჟობდეს, ჰლალობდეს,

დიდხანს არ უნდა ლოდინი,

დღეს არის გორის მძრეველი

ხვალ უგაგმიწის ლოგინი“.

-ამბობს თაღლაურა და დერთადერთ ნატერად გაუხდია სურვილი საგუთარ მამულში დამარხვისა, რადგან სიცოცხლეცა და სიკვდილიც შეედა ვაჟაპაცს, ფშავლებში კაი ყმად წოდებულს სამშობლოს სამსხვერპლოზე მიაქვს.

„ანუ აიქამც მოვკვდები,

სადაც მინდა დამწადიან,

სანგრად რომ ჰყრია ხევები,

მთები ზეცისკე ადიან,

სადაც გამზარდა დედამა

და ძუძუ უწროვებია“.

შურისმაძიებელ ლეგებისაგან აოხრებულ კარმიდამოს, სოფელსა და გატაცებულ ცოლს კაი ყმის გულადობა და მამაცობა თუ იხსნის მხოლოდ, რადგან

„გაი ყმა ცოლზედ მოკვდება

მამულსა საკუთარზედა“ (ვაჟა-ფშაველა, თხზ., ტ. IX, გვ. 85).

„დიალ, როცა ცოლ-ქმრობა დაარსდა... როცა მამაკაცმა დაისაკუთრა დედაკაცი, როგორც დავლა თუ როგორც ნახყიდი ნივთი,...მაშინვე იბადება პრინციპი, რომელიც ვალად სდებს ადამიანს, მოუაროს, დაიცვას თავისი საკუთრება, თუ არ უნდა დგახმდეს საძრახად, საკილავად, ეგეთივე საკუთრებაა კაცისთვის მამული. მამული კაცს ინახავს, იქიბადება, ის ასაზრდოებს, ის ინახავს და სიკვდილის დროსაც თავშესაფარსიგივე აძლევს“, - ბრძანებს ვაჟა-ფშაველა. ამიტომა, რომ არ უშინდება სიკვდილს კაცი, რომლისთვისაც უცხო არაგულადობა, მამაცობა და ზრუნვა მამულისა და ცოლისათვის. სიყვარულით ნაკეთებ საქმეს კი დასასრულიც კეთილი აქს.

„ვინც არ დაექცა, დახოცა

ჯავრი არ შეანარჩუნა,

ყამარიც გულში ჩაიქრა,

ტყვეებიც გამოაბრუნა“

- გვამცნობს ავტორი თაღლაურას ვაჟაცურ ქმედებას.

კაი ყმისთვის არც მტრის შენდობას გრძნობაა უცხო, ამიტომ აპატია თაღლაურამ მოხუცლეეს მშობლიური სოფლის აწიოკება, მაგრამ ვაი, რომ პასუხად ზურგში დახლილი ტყვია მიიღო. თაღლაურას სიცოცხლესთან ერთად მთავრდება მისი ცოლის-ყამარის სიცოცხლეც. ალბათ დროულია ვაჟას სიტყვების გახსენება: „ფაველისაგან ქალის გაღმერთება იქამდის მიდის, იმდენად საყვარელი უნდა გახდეს ქალისათვის, რომ როცა მამაკაცი კვდება, ქალმაც უნდა მოიკლას თავი და იმასთან ერთად დაიმარწოს“ (ტ. IX, 1964 წ. გვ. 106). ამის შემდეგ ბუნებრივია ყამარის საქციელი, კაი ყმის ცოლს მომსპარი აქვს წადილი სხვასთან შეუძლებისა. ასე რომ, - ბაჩანას პოემაში „თაღლაურა“ ამავე სახელის მატარებელი პერსონაჟი ვაჟაცურა და მისი სულის შესაფერისი სიკვდილით ტყვებს ცხოვრებას. ჩნდება სინაწული უღვთოდ მოკლული გმირის გამო. ალბათ ამ სინაწულმა ათქმევინა ვაჟას ბაჩანასთვის: „არ უნდა მოგეკლა დალატით, დედას ცოცხალი უნდა ენახაო“.

თუკი შევუდარებთ ერთმანეთს ხალხურ გადმოცემას და ბაჩანას პოემას, ვნახავთ, რომ თაგვა თაღლაურას მოღალატე, ოქმულების მიხედვით, ცოლის ძმისშვილია, ხოლო პოემის მიხედვით ბიძაშვილი ხუმარი. ხალხური გადმოცემით, თაგვას ძევლელი მისივე თანასოფლელია, ხოლო პოემის მიხედვით თაღლაურას მოხუცა ლეპის მიერ ნასროლი ტყვია კლავს. დავით მინდოდაურის გადმოცემით, ალმოდებული სოფლის დანახვისას თაღლაურამ ლურჯას შეუძახა:

„ჩქარა იარე, ლურჯაო,

არხალს ხარ, განა არტანსა,

რა ფეხებს მიაბაკუნებ,

რო ბერი კაცი არგანსა,

გახედე სატიალეო,  
ცეცხლი ედება სახლ-კარსა“

(თ. ოჩიაური, მითოლ. გადმოც. აღმოსავ. საქ. მთიანეთში.თბ., 1967, გვ. 123).

ასევე შორიდა დალანდა ბაჩანას თაღლაურამაწიოკებული მამული დადმანაც შეუძახა ლურჯას:

„უთხრა, რომ ჩქარა ლურჯაო,  
არხალს ხარ, განა არტანსა,  
რა ფეხებს მიალაწუნებ,  
როგორც ბებერი არგანსა,  
ვერა ჰედავა, ოხერო,  
ცეცხლი ედება სახლ-კარსა“ (გვ. 146).

რა თქმა უნდა, ამ შედარების საფუძველზე ეჭვს არ იწვევს მსგავსება ხალხური თქმულებისა ბაჩანას „თაღლაურასთან“. ასევე ინტერესს იწვევს პოემაში დედის სიზმარი. იგი, როგორც წინათგრძნობა, დამახასიათებელია საგმირო ეპოსისათვის. „სხვადასხვა ნიშანთა შორის სიზმარი იყომიჩნეული ყველაზე წინასწარმტებყველურ ძალად, რომელშიც ეჭვი არავის შეპქონდა“ (ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 412). ხალხს სწამდა ძალა სიზმრისა და ძილში ხილულ საგნებს გარკვეულ მოვლენებს უკავშირებდა. წყალი და წვიმა ცრემლს შეადარა, კიდობანი – კუბოს. ამის მაუწყებელია ერთ-ერთი ხალხური ლექსი:

„-ლურჯი წყალი მოდიოდა,  
ნეტავ, დედავ, რაო?  
ის ხომ შენი ცრემლი არი,  
ვაპ, შენ დედასაო!  
თან კიდობანი მოპქონდა,  
ნეტავ, დედავ, რაო?  
შვილო, შენ კუბი არის,  
ვაპ, შენ დედასაო!

(ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია,თბ., 1961, გვ. 284).

თაღლაურას დედის სიზმარი კი შემდეგი შინაარსისაა:

„მითომ სამ წვიმა მოვიდა,  
დაიწყო დიდი ავდარი,  
ცას ცეცხლი ეკიდებოდა,  
მიწას გაპქონდა ზანზარი,  
თან სეტყვა წამოუშინა,  
გარეგვნა მთა და ბარია  
ჩრდილებში დახვდა ზვავები  
ჩვენს კოშქს მოადგა ღვარია  
მე, შენ და თაღლაურაი  
სანამ მოპგლეჯდა ლიბოსა,

ჩაგსხედით კიდობანშია  
გვერდიც ჩამოხკლა ციხესა  
ღვარმა წარგვიხვნა სამნივა  
იქით და აქეთ ვიდოდით  
„გვიშველეთ თქენი ჭირიმე“  
გამომეტვიძა ვტიროდი.

თაღლაურას დედის სიზმარიც წინასწარმეტყველებად იქცა მომავალში დაღვრილი სისხლისა, ცრემლისა, გარდაცვლილ სხეულთა უკანასკენელ ნავთსაყუდელში – კუბოში დაბინავებისა.

სიკვდილი მოდის და ლიბო იშლება, ციხისა და კოშკის კედელი სკდება. ამის ამსახველი სტროფები გვაქვს როგორც ხალხურ პოეზიაში, ასევე ბაჩანას პოემაში, „თაღლაურა“. ხალხური ლექსი მოგვითხრობს:

„ზენ ბაცალიგოს თოვლსა თოვს, ქვენ ბაცალიგოს შრებისა,  
თინიბექაურთ ციხესა მარჯვენა კუთხე სქედისა,  
ზედ იჯდა შავი ყორანი, ლიბოში გველი ძვრებისა,  
კვირიკა კურდღლაიე გულისუწადნოდგვდებისა“  
(ალ. ოჩიაური, ფშავ-ხევსურული პოეზია, თბ., 1970, გვ. 14-15).

თაღლაურას დედა თამარი კი სიზმარად ხედავს, როგორ მოადგა კოშკს ღვარი და გამოღვიძებული შემფოთებით უყვება რძალს:

„მე, შენ და თაღლაურაი  
სანამ მოჰკლეჯდა ლიბოსა,  
ჩაგსხედით კიდობანშია,  
გვერდიც ჩამოსკდა ციხესა“.

ქართველი კაცი რწმენის გარეშე არარაა, მით უმეტეს მთის შვილი. ცნობილია, რომ ფშავლებიშეადგენენ 12თებს, თითოეულ თებს საკუთარი ხატი ჰყავს, მაგრამ „არც ერთ სხვ ფშაურ „ხატს“ ანუ სალოცავს იმდენი მლოცველი არა ჰყავს, რაძენიც ლაშარის ჯვარს“ (გაუა-ფშაველა, ტ. IX, გვ. 234). ვაზუშტის გადმოცემით, „...აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატი და ჯვარი, ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი და უწოდებენ ლაშარის ჯვარს, და აქუთსასოება მას ზედა ფრიად, რამეთუ ვერცა ფშავი, ვერცა პევსური, უკეთუ იშოვნის ოქრო ანუ ვერცხლი ვერ არაოდ იხმარებენ თავისად არამედ მიუძღვნის ლაშარის ჯვარს“ (ჩ. კიგნაძე, ქართული მითოლ. გადმოცემათა სისტემა, თბ., 1985, გვ. 185), ამიტომ ბუნებრივია, რომ ნაწარმოებში, რომელიც ფშაველთა ცხოვრებას ეძღვნება, ნახსენებია ლაშარის ჯვარი.

„მოხუცმა წაიღუდუნა:  
„გვიშველე, ლაშარის ჯვარო!  
ეშმაკია თუ კაცია,  
ვინც არის ჩვენი მზვერველი

შენი სახელის ჭირიმე  
შენ იყავ ჩვენი მფარველი“.

საზოგადო ხატი, რომლის სამსახურიც ფერლა ფშაველს ევალება, არის ლაშარის ჯვარი და თამარ დედოფალი. ბაჩანას პოემაში „თაღლაურა“ ის ადგილიცაა მოხსენიებული, სადაც ფშავლები თამარ დედოფალს ლოცულობენ.

„ღელეს ატირდა თამარი...“

შორს, შორს იორი ჰმლერდა“

ღელე-ეს არის ადგილი არავის მარცხენა მხარეზე. აქ სცემენ პატივს ფშაველნი თამარ დედოფალს, რომლის სახელზეც ფშავში ცხვრის ფარა ჰყავდათ და ზერგი ჰქონდათ ქართველ მეფეთაგან შეწირული. „თამარ მეფე ერთადერთი ხატია ფშავ-ხევსურეთში, რომელსაც ჰყავს მოლოზონები, „ხატის ქალებად“ წოდებული“ (ვაჟა-ფშაველა, ტ. IV, თბ., 1964, გვ. 225).

პოემაში ხასენებია აგრეთვე პირქუში დადევები.

„შენ გაგონილი გექნება

პირქუშსა, დალონებულსა,

დევი რომ აპდევებიყო

ცხვარშიით მონავლებულსა.

ჯერ დაუძახა სახელი...

იმას ეფიქრა „ვინ არი“.

სუკველამ იცის პირქუში

როგორი ვაჟკაცი არი“, – უყვება დედამთილი რძალს.

ქართულ ზეპირსიტყვიერებას არა ერთი და ორი თქმულება შემოუნახავს პირქუშსა და დევებზე. პირქუში მისი სილმაზით მოხიბლულ დიაცო „შემოტევისაგან“ თავის დაღწევის მიზნით მორიგე ღმერთს შეევედრა თურმე, სახე დამიმახინვეო, რასაც უსრულებს კიდეც დამბადებელი და „მგვარად ულმაზესი ანგელოზი პირქუშად გადაიქცევა“ (ზ. კინაძე, „ქართული მითოლ. გადმოც, თბ., გვ. 245). ამ სახელსატარებს ხევსურეთში – ს. ბაცალიგველთა, ხოლო ფთხავში – ახადელთა ხატი პირქუში. მას სხვადასხვა გადმოცემები შესანიშნავ ისტატად სახავს – საბრძოლო და სხვადასხვა იარაღის მჭედლად. „როდესაც დევდებიან ბრძოლის დროს კოპალას ისრის ზრო უფულება იგი პირქუშთან მიდის „ბარში სადამ“, სადაც პირქუშს სამჭედლო აქვს და სთხოვს იარაღის შეკეთებას. პირქუში უარის ეტყვის, ამით ისარგებლებენ დევები და მოძმისგან შერისხულ პირქუშს ატყვევებენ“ (თ. ოჩიაური, გვ. 30). დევები „შასახედავად ყროლ ყოფილან ბეწვი სხმიგავ პირსახეზე და არც ტანი-სამოსავ, ბეწვ სხმიგავ სხვადავ კაცთა ვით ყოფილნავ, სახე კაცისავ ჰქონავ, მარტო ფეხებ სდგომივავ უკულმავ“. დევები მკვიდრ, ბინადარ ცხოვრებას ეწეოდნენ. გადმოცემებში დაცული მითითებებით, დევები მეურნეობისა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგებს მისდევდნენ. საყიველთაოდ ცნობილია, რომ ფშავ-ხევსურულ ზეპირსიტყვიერებაში, მითოლოგიური ხასიათის თქმულებებიდან, ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ციკლად გვევლინება ღვთის-

შვილთა, იახსარისა და კოპალას მიერ ოდესლაც ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყარის ტერიტორიაზე მოსახლე დევ-კერპთა განადგურების ამბები.

ამრიგად, განხილული მასალის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბაჩანას პოემა „თაღლაურა“ უშუალო კავშირშია ქართულ ხალხურ შემოქმედებასთან.

- დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ბაჩანა, ლექსები, პოემები, 1938 წ. ფედერაცია, სოლ. ფუბანეოშვილის რედაქციით. 2. ბაჩანა, დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, თბ., 1890 წ. 3. ბაჩანა, პირადი წერილები, სოლ. ფუბანეოშვილის რედაქციით, წიგნი III, ტვ., 1937 წ. 4. ვაჟა-ფშაველა, პუბლიცისტური და ეთნოგრაფიული წერილები, ტ. IX, ტვ., 1964. 5. ვაჟა-ფშაველა, ტ. III, პოემები, თბ., 1964 წ. 6. ზანდუქელი მ., ლიტერატურული ნარკვეგბი, ტ. III. თბ., 1961. 7. კინაძე ზურაბ, ქართულ მთოლიგიურ გადმოცემათ სისტემა, თბ., 1986 წ. 9. კოტეტიშვილი ვახტანგ, ხალხური პოეზია (II გამოცემა), თბ., 1961 წ. 10. ოჩიაური ალ., ფშავ-ხევსურული პოეზია, თბ., 1970 წ. 11. ოჩიაური ალ., სტუმარ-მასპინძლიაბა ხევსურეთში, თბ., 1970 წ. 12. ოჩიაური ალ., ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, თბ., 1988 წ. 13. ოჩიაური თ., ქართველია უშველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954 წ. 14. ოჩიაური თ., მითოლოგიური გადმოცემები აღმისავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967 წ. 15. სიხარულიძე ქსენია, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბ., 1966 წ. 16. ტ. ტაბიძე, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ტ. 2, თბ., 1957 წ. 17. **ქართველი ი. ხ. "ბაჩანა (ნიკო რაზიკაშვილი) – жизнь и деятельность,** 1979 г. Тбилиси. 18. ქართული ხალხური პოეზია, 1972 წ. 19. ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956 წ. 20. ხახანაშვილი ალ., ქართული სიტყვიერების ისტორია, XIX ს., 1913 წ.

ეთერ დიასამიძე

## ალექსანდრე საჯაიას „უტუ მიქავა“ –პოემა ისტორიულ და ფოლკლორულ გმირზე

XX საუკუნის ოციანი წლების ბოლოს, როდესაც პოემა „უტუ მიქავა“ იწერებოდა, ქართველი ონტელიგენცია ბოლშევიკური იდეოლოგიის მხრიდან სასტიკ დევნის განცდიდა.

აკაკი ბაქრაძე „მწერლობის მოთვინიერებაში“ წერს: „ლიტერატურის პატრიოტულობის პრინციპმა გააღატაკა მწერლობა საერთოდ და მწერალი კონკრეტულად. უნაყოფვა გახადა მისი შრომა. იმ გაუგონარ ექსპლუატაციას მწერლობა მშვიდად ითმებს და პროტესტის ნიშანდ დაკნავლებისაც კი ეშინა. ექსპლუატაცია ორგავრია – სოციალური და ინტელექტუალური.

მართალია, კომპარტიამ სოციალური ექსპლუატაციის პრობლემას ვერ მოუარა, მაგრამ, სანაცვლოდ, ბეჯითად და მტკიცედ დამტკიდრა ინტელექტუალური ექსპლუატაცია. როცა ადამიანს აიძულებენ, ის ილაპარაკოს და წეროს, რაც მას არ სწავს და არ სჯერა, ეს არის შემზარავი ინტელექტუალური ექსპლოატაცია“ (1,67). სიტუაცია არც მოგვიანო პერიოდში შეცვლილა. მწერლები და პოეტები შეძლებისდაგარად ცდილობდნენ მათოვის მიუღებელი თემატიკა შირმად გამოეცენებინათ და ამით აერიდებინათ თავი არასასურველი იდეოლოგიისათვის. ამიტომაც უმცესესობამ ისტორიული თემატიკა აირჩია საკუთარი პიროვნეული თუ შემოქმედებითი თავისუფლების გადასარჩენად. ქართული მწერლობა, ერთი მხრივ, ხარკს უხდიდა საბჭოურ ლიტერატურას, მეორე მხრივ კი ისტორიულ წარსულში ეძებდა გმირს, რომლის ნაკლებობასაც განიცდიდა.

აღ. საჯაიამ უტუ მიქავას სახე ისტორიული წარსულიდან ამოატივთივა. უტუ გლეხთა მოძრაობის ლიდერი, ჩაგრულთა მოამაგე და კლასობრივი უთანასწორობის მსხვერპლია. ამ გმირს მეგრული ხალხური პოეზიაც ასხამდა ხოტბას. აღ. საჯაიას ბავშვობაში ბევრი რამ პქონდა გაგონილი სახალხო გმირზე. სწორედ ამის და ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალის შერწყმით მწერალმა გმირის საინტერესო მხატვრული სახე შექმნა. აკაკი ბაქრაძე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა მწერლისა და ხალხური ლექსის ინტერესთა ერთიანობას. „საქვეწოდ ცნობილი მწერალი და ხალხური ლექსის უცნობი ავტორი ერთიანად ეძებს უცნაურს, არაჩვეულებრივს, რომ ლეგენდურობის განწყობა შექმნას. ეს ჩვეულებრივია – ჩვენ, პუბლიკუმს, ლიტერატურისა და ხელოვნების პროტაგონისტი მაშინ გვიზიდავს, თუ მის ხასიათსა და თვისებებში არის ლეგენდარული ძალა. ამიტომ შემოქმედი მოვალეა ან კალმით შექმნას ლეგენდა ან პირიქით – ცხოვრებით“ (2,425).

ალ. საჯააია ისტორიული გმირის გაცოცხლებით გადაურჩა პარტიულ წენებს. ამიტომაც არ მიიჩნეოდა იგი საშიშ მწერლად საბჭოთა იდეოლოგისათვის; ამიტომ იყო, რომ მისი შემოქმედება პროკრუსტეს სარეცელზე არ მოუთავსებიათ.

პოემა ცხრა სიძლერისაგან შედგება. იგი არ არის როგორიცაანი ნაწარმოები. მასში გადმოცემულია მხილოდ პირადად უტუსა და სამეგრელოს ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი. აღსანიშნავია ისიც, რომ წამძღვარებული არა აქვს ე.წ. ექსპოზიციური ნაწილი, ანუ განმარტებითი ხასიათის შესავალი.

„სიძლერა პირველი“ ბუნების სურათის აღწერით იწყება. პოეტს შევყავართ უტუ მიქავას სამჭედლოში, სადაც მასთან ერთად მისი პატარა შეგირდიცაა. უტუს ეცოდება პატარა ბიჭი, რომელსაც ეძინება და ქურის მიხედვის თავი არა აქვს. მჭედლი უტუ შეგირდის გასამხნევებლად ზღაპარს ყვება.

ზღაპარი ძალიან საინტერესოა, რადგან იგი შეიცავს როგორც ბიბლიურ, ისე რეალურ ხალხურ ელემენტებს. ალ. საჯააია ზღაპრის თხრობას ჩვეულებრივად იწყებს: ცხრა ზღვას, ცხრამთას იქით, ერთ მეფეს მოსწყინდება მიწაზე სიარული და ვარსკვლავებს წაეპოტინება:

„თქვა ღმერთი ვარ ბუმბერაზი,  
ვარსკვლავებში მივალო!  
სად მცალია ასე წყნარად  
ქვეწად სახეტიალოდ;  
მომიტანთ კიბე ჩქარა,  
მე მთვარესთან მივალო!“ (3,89).

მეფეს აუგებენ ცამდე მაღალ კიბეს. ხალხი იძულებულია ძალ-ღონე მის ახირებას მოახმაროს, მუხისა და წაბლის ხევი კიბისათვის გამოიმუშოს. მეფე აკა ვარსკვლავებში, მაგრამ მიწა მოენატრება:

„მეფის კვალი არვინ იცის  
ზოგი ამბობს: უერთლად იქცა,  
ზოგი ამბობს: ახლაც იწვის,  
ახლაც უნდა შავი მიწა  
ო, მართლა, ვიღას უნდა მეფე ამისთანა?!“ (3,91)

ალ. საჯააიამ ცისკენ მომზირალი, ამაყი მეფის სახე მოგვცა, რომელსაც ვარსკვლავებში ცხოვრება მოუნდა და მიწა იუკადრისა. იგი გოლიათად მიიჩნევს თავს, მიწაზე ყოფნას თაკილობს და ღმერთების საბრძანებელში სურს ცხოვრება. უტუ მიქავა ჰგავს მითოსის გმირ მჭედელს, ყოველ ხუთშაბათს გრდემლზე უროს რომ ურტყამს, რათა ამირამბა ჯაჭვი არ გაწყვიტოს და ქვეყნად ყველა მჭედელი არ ამოხოცოს. ამ ზღაპრის მოთხრობით უძველესი ხალხური წარმოდგენის კვალი აირეკლა ალ. საჯააის პოემაში.

პოემის მთავარი გმირი ამგვარი ზღაპრით არა მხოლოდ ართობს ბიჭს, არამედ სატკიფარსაც უზიარებს მას. როდესაც იგი ამბობს: „ვიღას უნდა მეფე ამისთანა“-ო, მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ ალ. საჯააიასათვის მთავარი სოციალური ჩაგვრის ჩვენება გახლავთ.

მეფის თვის კიბეს ასი წელი აშენებდნენ, მაგრამ იგი ერთ წამში ნაპერში— კალმა ჩაფერფლა. ცას მისკენილი კიბე ადამიანური მედიდურობის სიმბოლოა, რომელიც სოციალური ძალმომრეობის ფონზე აიგო და იმავე მიზეზით გაცმტვერდა:

„ათიათას ალის ფურცელს  
აამლერებს ზეცა უცებ.  
იღეწება დიდიკიბე  
დაუბერავს ქარი კიდევ.  
ასი წელი ერთმა წამმა,  
ასი ერთმა ნაპერშკალმა  
დაამსხვრია დიდი კიბე  
დაბერავდა ქარი კიდევ...“ (3,91).

ცეცხლმოდებული კიბე ბიბლიური „იაკობის სიზმარს“ მოგვაგონებს, რომლის გმირი სიზმარში ნახავს ცაზე მიყუდებულ კიბეს, რომელშეც ანგელოზები ადან და ჩამოდიან (4,68). ალ. საჯაამ თავისი ზღაპრის პერსონა-ჟისათვის მსგავსი გარემო შექმნა. კიბემ ღვთის სასუფეველში მიიყვანა მეფე, მაგრამ ვერ გადაურჩა თავისი ხალხის რისხვას და ბედნიერება უბედურებად გადაექცა. მან ღმერთობა ასვლა შეძლო, ხალხთან დაბრუნება კი ვერ მოახერხა.

ალ. საჯაამ საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ხალხისგან შორს მყოფი მეფე დამარცხებისთვისაა განწირული. მეფეს ხალხის ინტერესები უნდა ამოძრავებდეს.

უტუ მიქავას სამოსახლო ცეცხლს მისცეს, ამაყმა და ძლიერმა უტუმ, გაბეზრებულმა დადიანების მოხელეთა მსუნავობით, თათრის ჯარისთვის წინააღმდეგობის გაწევა არაფრად ჩააგდო. უწინამდგვრა დაჩაგრულ, იმედგადაწურულ თანამომებებს. მას შემდეგ, რაც მეგრელმა გლეხობამ ვაუკაცურად გაუწია წინააღმდეგობა შემოსეულ თათრებს, გმირმა გადამწყვეტი როლი ითამაშა თავდაცვისა და მტრის მოვერიების საქმეში; ყველა მოელოდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება შეამსუბუქებდა გლეხთა მდგომარეობას. მიუხედავად ამისა, ჩაგვრის უღელი კიდევ უფრო აუტანელი და მძიმე გახდა. სამეგრელოს მაშინდელმა გამგებელმა ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისამ არ დააგმაყოფილა კვეშევრდიმთა მოკრძალებული მოთხოვნები და უმადურობა გამოიჩინა იმ ხალხისადმი, რომელმაც სამეგრელოს სამთავროს რუსეთის იმპერიის თვალში ღირსება შეუნარჩუნა. 1857 წლის აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ხალხის ხსოვნაში დიდი კვალი დატოვა. „დღემდე ცოცხლობს ფოლკლორული „უტუს ლაშქრული“, რისებობს პოემაც, რომლის ავტორიც დანიელ ფიფია. გაბაასების ფორმის პოემა „ორი მჭედელი“ ხალხური სიტყვიერების მასალებშია გამოქვენებული“ (5,578).

„უტუ მიქავას სახელს ზეპირი გადმოცემები რაფიელ ერისთავს უკავშირებს, რომელმაც თურმე დახმარება გაუწია მას და დააწერინა გენერალ კოლუბიაკინისადმი მიმართული ისტორიული სიტყვა“ (6,12). უტუ მიქავა, როგორც ისტორიული პირი და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ

მებრძოლი გმირი, მიმზიდველი ფიგურა იყო. გლეხობის წიაღიძან გამოსული გმირების განსაკუთრებულად წარმოჩენის ტენდენცია მისაღები და აუცილებელი გახლდათ საბჭოთა წყობილების დროს, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ჯერ კიდევ ძალას იკრებდა.

უტუ მიქავაზე შექმნილ ფოლკლორულ ნაწარმოებებში ძალიან კარგად ჩანს სოციალური მომენტი. შემორჩენილ ლექსებში – „აბა ულა“ („აბაწასვლა“) „უტუ მიქავა და მარულია თოდუა“, „უტუს ლაშქრული“ – ხაზგამულია გლეხთა გამძლეობა, გაბედულება და უკითხის მომავლისათვის ბრძოლის ჟინი. მაგალითად, „უტუს ლაშქრულში“ თავად-აზნაურთა წინააღმდეგ მიმართული განწყობა ჩანს: „აბა აშო ჯიმალეფი „აბა, აქთ, ძმებო,  
ყაზახიში სქუალეფი გლეხის შვილებო,  
ფოსნაველი გოჭყვადილი– ძირფესვიანად ამოწყვეტილი  
თავდ-ჯინოსქუალეფი... თავადაზნაურები...  
ვოუდო, ვოუდო, ვოუდო, ვოუდო,  
ფილოუდო, ნანინა...“ დილოუდო ნანინა“ (7,260).

უტუ მიქავა ამ ლექსითაც საერთო-სახალხო გმირია. ის და მისი თანამოაზრენი პროგრესული ძალის წარმომადგენლები არიან. თავადაზნაურები, ანუ როგორც მათ სამეგრელოში უწოდებენ – „უინოსქუალეფი“, დასამარცხებლად განწირული არიან. საერთო სახალხო ლაშქარი მათ წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხდება, მაგრამ პირველ საბრძოლო ბატალიებს უფრო ძლიერი შეენაცვლება. პროგრესი სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში მაშინ მართლაც გამოიხატებოდა, რადგან ფეოდალური ჩაგვრის მთელი სისტემა XIX საუკუნის შუა ხანების საქართველოში ეწინააღმდეგებოდა ქვეყნის განვითარებას, მის კულტურულ წინავლას, ამიტომ გლეხთა აჯანყების აუცილებლობა იმთავითვე გამოიკვეთა საზოგადოებაში. ხალხი ვერაფრით შეურიგდებოდა ჩაგვრას. ისნი ერთიანებოდნენ უტუს ლაშქარში. წინამძღოლის სახელი მარცხის შემდგომაც არ გამქრალა და გაფერმკრთალებულა ხალხში, იგი ბოლომდე დარჩა საყარელ გმირად და მისაბაძ პიროვნებად.

ალ. საჯაიას პოეტური ციკლი უტუ მიქავას შესახებ 1938–1939 წლებში შეიქმნა. XX საუკუნის 30-იანი წლებისათვის სოციალურ თემატიკას პირდაპირ უკვეთავდნენ მწერლებს, ამ ტენდენციებს ძალაუწებურად ვყელა ცნობილი თუ ახლად დამწერები შემოქმედი ემორჩილებოდა. ამიტომაც შექმნა ალ. საჯაიამ პოემა უტუ მიქავაზე. გამოკვეთა სახალხო გმირის მონუმენტური სახე, გადმოგვცა მისი როული ცხოვრების ცალკეული ფრაგმენტები.

პოეტი თავისი გმირისთვის თანდათან აფართოებს სამოქმედო ასპარეზს. იგი ჯერ უბრალო მჭედელია, რომელიც მშვიდად უყვება ზღაპარს შეგირდს. ჩვენს წინაშე სრულიად მშვიდი ადამიანი დგას. შემდეგ უფრო იძაბება თხრობა, თვალწინ ენგურის ტალღებისა და ავი ბედისწერის წინააღმდეგ მებრძოლი ჭაბუკი წარმოგვიდება; მესამე სიმღერაში უტუ უკვე მეგობართან ერთად ლაშქარს აგროვებს.

პოეტი ლაკონურად და შთამბეჭდავად გადმოგვცემს მოლაშქრეთა ძალისხმევას. უტუ მიქავა და მისი მეორბარი თავდაპირველად მარტინი არიან, მაგრამ სოფელში მთელ ლაშქარს შეაგროვებენ. პოემაში ნახსენებია სოფლები: ლაგადა, კოლხიდა, მელისქური, ურთა, კოცხელი, კირცხა, რუხი და სხეა, სადაც უტუშ ჯარი შეერიბა. მას გულში „ნაპერწყალი“ უდგივის, რომლისგანაც აღი აითხება. დამერწყმუნეთ, ეს მართლაც საყურადღებო დეტალი გახლავთ.

თაობებია ოცნებობდნენ, რომ შიში დაეძლიათ და აღმდგარიყვნენ საკუთარი უფლებების დასაცავად. აღ. საჯაია გადმოგვცემს იმ მომენტს, როცა მოთმინებიდან გამოსული ხალხი „იღვიძებს“ და მას ღირსეული წინამდლოლიც ჰყავს. მესამე სიმღერის დასასრულს იკვეთება მომავლის იმედი და რწმენა.

აღელვებული მასის ჩვენებას ენაცვლება სოფლის მფუდრო ცხოვრება და მეოთხე სიმღერაში კი მარტი დედების, ქალებისა და ბავშვების ამარა დარჩენილი, დაცარიელებული სოფლის სულისკვეთებაა მოცემული. ღარიბი დედა შვილს ნანას უმღერის და მას უტუს თანამებრძოლად ზრდის:

„იქნებ უტუშ დაგიძახოს, ბოში,  
ურგებელად არ დაგ სახოს, ბოში,  
მხარზე ხმალი გადიკიდე, ბოში,  
დადიანებს მივუფრინდეთ, ბოში...  
მხარზე ხმალი გადიკიდე, ბოში,  
დადიანებს მივუფრინდეთ, ბოში...“ (3,97).

დედის მიერ ნანას თითქოს აკომანირებას ავდარი უწევს, რომელსაც უბედობისა და სიღატაკის ჩვენების გასამაფრებლად ჭოტის ტირილიც თან სდევს. „ეს რა ქარი აღულესნებს, ბოში,

ეს როგორი ავდარია ბოში,  
მარტი რაღამ გადარია, ბოში,  
მოდი ახლო, მომეკარი, ნანა,  
გარეთ სისა ტურებია, ნანა,  
უბედობას ჭოტიც ტირის, ნანა,  
ნანა, მაღლე გასაზრდელო, ნანა!“ (3,97).

მიუხდავად დედის მებრძოლი სულისკვეთებისა – დადიანებთან „მიფრენის“ სურვილისა, სასოწარკვეთა მაინც იგრძნობა, მისი სიმღერა უფრო გლოვას ჰყავს.

პოემაში მოცემულია ჩიქოვანის სასახლის გადაწვის ამბავიც. გლეხებს თავადის საკარმიდამოს ცეცხლისთვის მიცემა არ ენანებათ, რადგანაც ისინი სამაგიეროს გადახდის სურვილით არიან გულანთებულნი. აღ. საჯაია ზშირად ახსენებს ცეცხლს, ნაპერწყალს, რაც მიანიშნებს ხალხის სულისკვეთებაზე. თურქებისაგან დატყვევებული ქალების დახსნა, ხალხის სიხარული და უტუს ჯარის ჭაბუკი მეომრების ქება-დიდგაბა მოცემულია მეოთხე სიმღერაში. პოეტს წინამდლოლი და მისი მხედრობა ერთიან, კეთილ ძალად ჰყავს წარმოჩენილი:

„უტუ მიქა იყო მაშინ, ეს ამბავი ვინ არ იცას?

დამით წვავდნენ სასახლეებს მმები, ხატთან შენაფიცა.

შეკვეთის ბედის ციმციმს და მღეროდნენ დამით ქარში...  
ეს ამბავი ვინ არ იცის: უტუ მიქა იყო მაშინ“ (3,99).

უტუ მიქა ანუ იგივე უტუ მიქავა ქართულ მწერლობაში საკმაოდ რელიეფურად არის დახატული. ფუცუ დგეტუაძე – ფულარის „ოქროს ბეჭედში“ კიდევ უფრო განვიდებულია გმირი, რომლის ლაშქარმაც განდევნა ომარ ფაშა. ალ. საჯაიას პოემაში ვრცლად აისახა თურქებთან მომხდარი შეტაკებები. რომანში „ოქროს ბეჭედი“ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ეპიზოდებია მოცემული. როივე შემთხვევაში კი ჩვენს თვალწინ გადაიშლება უბრალო გლეხის დიდბუნებოვნება და მისი მასშტაბური აზროვნება. უტუმ იცის, რომ უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულს საბოლოოდ დამარცხება ელის, მაგრამ არაფერს ეპუება, არაფერს თმობს. საინტერესოა ისიც, რომ ორივე შემოქმედთან ბუნების სურათები მიზანმიმდართულადაა აღწერილი. რომანში ვკითხულობთ: „უტუს გამოჩენისთანავე უჩვეულო სიჩუმე ჩამოვარდა, ზღვა ხალხი დუმილმა მოიცავა, თითქოს მთელმა მიღამომ პირი შეკრაო, ნიავიც აღარ ქროდა, ფოთლებმაც შრიალი შეწყვიტეს, რომ უტუსთვის ხელი არ შეეშალათ, მისი სამართლიანი ხმა ძლიერი და მკვეთრი ყოფილიყო, თითქოს ბუნებაც ცდილობდა გმირისთვის ხელი შეეწყო“ (8,226).

ბუნება თითქოს თანაუგრძნობს ისტორიულ გმირს. ეს ხერხი პროზაშიც და პოეზიაშიც აძლიერებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს.

„კარგი არის მზე და უტუ, თვითონ მზეც ხომ ის არიო,

დამით მოვარეს შეათროთოლებს მისი თვალის ისარიო“ (3,98).

ალ. საჯაა აღწერს ხალხის უსაზღვრო სიყვარულს, მას მზის თანასწორად მიაჩნია დარიბთა უენიდან გამოსული მაბაცი და შეუდრევები გმირი. ალ. საჯაა თავისი გმირის დამარცხება ორიგინალურად ასახა: სიტყვა დამარცხება საერთოდ არა ნახსენები პოემაში. მხედარი სოფელს მარცხს აუწყებს:

„თვითონ უტუ მეუვე არის,

დიდი რუსის ტახტზე დაობს...

არ უნახავთ მთქმელი, მაგრამ

ამბობენ, რომ ასე თქვაო...“ (3,100).

ასეთი დაუჯვერებელი ამბები, რომ თითქოს უტუ მიქავა ტახტს ეცილება რუსთა ხელმწიფებს, მიუთითებს ხალხში არსებულ რწმენაზე და გადაჭარბებულ წარმოდგენებზე. ეს ერთგვარი პიპერბოლიზაციაა ხელადისა.

უტუ მიქავა ხალხმა იმთავითუე დასახა თავის წინამძღვრლად, რადგან იგი გამორჩეული სიმამაცისა და გონების პატრონი იყო. უტუ მიქავას უკავშირებენ სტეფანე რაზნისა და ემილიანე პუგაჩოვსაც. როცა სერგი ჭილაძამ თავის ისტორიულ რომანში „ეკატერინე ჭავჭავაძე“ თურქებთან პარტიზანულ ბრძოლას გლეხთა აჯანყების სახით გაგრძელება მოუძებნა. ს. ჭილაძას ერთერთი გმირი, ანდრო გეგეჭკორი სტეფანე რაზნისა და პუგაჩოვის შესახებ აალაპარაკა და პარალელები საფრანგეთის დიდ რევოლუციასთან გაავლო (9,281). ამგვარ დიდ მასშტაბებს ალ. საჯაია არ ავითარებს. ის მხოლოდ უტუ

მიქავას პიროვნული ხასიათითა და ბრძოლის უინის ჩერნებით შემოიფარგლება. ავტორი პოემის ბოლო, მეცხრე სიმღერაში საგანგებოდ წარმოაჩენს ბუნების სტიქიას, მის აბობოქრებას და აზვირთებას. უტუ მიქავა თითქოს ხედავს ბუნების თანაგრძნობას, თავად მიმართავს სტიქიას და ჩუმად შესთხოვს:

„...ქე, ღრუბლებო,  
კვლავ მოზღვავდით ცაზე შავად.  
ქარო, ავად ატეხილო,  
იშრიალე ქარიშხალად!  
შავო ნისლო, ფარფატებდე  
მთამდე მსუბუქ ფრთებით,  
შავ პირბადეს იბურავდეს  
აჩონჩხილი თეთრი მთებიც,-  
მზე ამოვა და მოიტანს  
ციურ ცეცხლთა ნიალგარებს  
და წაგლეგავთ, უდღეურო  
შავო დროო, შავო დამევ!“ (3,106).

ალ. საჯაიამ თავისი პოემა „შავი დროის გაქრობის“ იმედით დაასრულა. მისი რწმენით, „შავ დამეს“ აუცილებლად ნათელი მოჰყვება და დაჩაგრულსაც იმედიანი დილა გაუთენდება.

სამეგრელოს ულამაზესი ლანდშაფტი ამბაფრებს და ალამაზებს პოემის პათოსს. ავდარი, სიო, ქარიშხალი, ხეთა ჩურჩული, ბნელი ღამე, ღრუბლიანი ზეცა და ბუნების მრავალი სხვა სურათი ორიგინალურადაა ჩართული ნაწარმოებში. ალაგ-ალაგ სწორედ პეტაჟი გადმოგცემს მარცხისა და გამარჯვების განწყობილებას. სწორედ ბუნების სურათების მეშვეობით გვიჩვენა ალ. საჯაიამ გლეხთა დამარცხების მთელი ტრაგიზმი და თანაც ისე, რომ მომავლის რწმენა არ განელებია. პოეტის გადმოცემით, „შავი ნისლი“ და „მევანი“ ქარი უკან არის მოტოვებული, მთელი ბუნება კი ცისკრის მოლოდინშია გაფეხბული. ეს კი სწორედ ის ცისკარია, რომლის დადგომისთვისაც იბრძოდნენ უტუ მიქავა და მისი თანამებრძოლები და რომელიც ადრე თუ გვიან მაინც გაუთენდებოდა სოციალური ჩაგრისაგან გათანგულ ხალხს.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ბაქრაძე ა., მწერლობის მოთვინიერება, თბ., 1999. 2. ბაქრაძე ა., რწმენა, თბ., 1990. 3. საჯაია ალ., რჩეული, თბ., 1970. 4. სონდულაშვილი მ., ბიბლიური მოთხოვნები, თბ., 1993. 5. ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, თბ., 1991. 6. ერისთავი რ., ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თემურ ჯაგოდნიშვნებმა, თბ., 1986. 7. ქართული ხალხური სიტყვიერები; მეგრული ტექსტები I, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდავამ, თბ., 1975. 8. ფუცუ დგბუაძე – ფულარია, ოქროს ბეჭედი, თბ., 1989. 9. ჭილაია ს., ეკატერინე ჭავჭავაძე, თბ., 1969.

## მარიამ ბაქურიძე

### „ჯავრ არ შავჭამო მტერისა“

ქართველი ერის ისტორია უდიდესი ბრძოლების ისტორიაა. მტერთა გარემოცვაში მოქცეული საქართველო უძველესი დროიდანვე დღენიადაგ იბრძოდა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ჩვენი მეზობელი მძლავრი სახელმწიფოები — ირანი და თურქეთი მოსვენებას არ გვაძლევდნენ. არანაკლებ ზიანს გვაყენებდა კავკასიის მთიელების— ლეკებისა და ქისტების მოულოდნელი თავდასხმები, ამას თან ერთვოდა შინაური აშლილობა, ლალატი, არაერთპირიანობა, რასაც ქვეყანა სრულ განადგურებამდე მიჰყავდა.

ეროვნული თვითარსებობის შენარჩუნებისათვის განუწყვეტელი ბრძოლა მომხდეურთან ზნეობრივ-ეთიკური კოდექსის სიბრტყეზე განთავსდა. ასევე საგანგებოდ გამოიკვეთა მტრისა და მტრობის ცნებების ფილისოფიურად მოტივირებული შინაარსი, რომელიც მთელი სისრულით სწორედ ხალხურ პოეტურ სიტყვიერებაში გაცხადდა.

„ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად გადაარჩინა არა მხოლოდ საკუთარი სხეული, მან ამ ბრძოლითვე შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა თავისი შინაგანი სახე, თავისი სულიერი რაობა“ (1,8).

საკითხის კვლევის წარმართვის მიზნით, საჭიროა, უპირველესად მტრის ვრაობისა და მისი მტრული ქმედების მოტივაციის დადგნა.

მტერია იგი, ვინც შენს მოსახობას, სრულ განადგურებას ცდილობს. მტერს შენდამი უზომო სიძულვილი უბიძებს უმსგავსო მოქმედებისაკენ. სიძულვილს ბადებს შური, სულხან-საბას განმარტებით: „შური არს წუშილი სხვსა კეთილსა ზედა“ (2,53). მტრისადმი სიძულვილი სრულიად ბუნებრივი გრძნობაა: „როდესაც შენს წინ დგას შენი დამქცევი და დამამხობელი, ცხადია, ყველაფერი გმულს მისი, არა მხოლოდ იარაღი, რომლითაც ის გქლავს ან გაწამებს, არამედ მისი იერიც, ჩაცმულობაც, ადათ-წვევებიც, ენაც, სიმღერაც“ (1,8).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ზეპირსიტყვიერი მასალების მიხედვით, მტრად მიჩნეულია მათი მამულის ასაოხრებლად წამოსული უცხო ტომის სარდალიც და მათი მეზობელი რომელიმე კუთხის შვილიც.

მტერთან დამოკიდებულების საკითხშიც თავს იჩენს ორი უკიდურესობა: ან დაუზოგავად წყველიან და ლანძღავნ მტერ-დუშმანს, ანდა განადიდებენ და მისადმი ფარულ სიყვარულსაც კი გამოხატავენ.

თუშურ საგმირო პოეზიას, ისე, როგორც საზოგადოდ, ყველა საგმირო პოეზიას, ახასიათებს თავისი გმირის ხოტბა, მისი გმირობის განდიდება და გაზვიადება, იგი დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით უმღერის საყვარელ

გმირს, მაგრამ, ამასთან ერთად, იგი დიდ ჰუმანიზმს იჩენს მოწინააღმდეგე ტომის გმირის მიმართაც.

მტერთან შეურიგებლობა, სიმტკიცე და შეუპოვრობა ოდითგანვე მოსდგამს ქართველ ხალხს. მამულს უნდა ჰყავდეს მაგარი მეცისოვნე და არა ბოსლის ფურუში მიმაღლული, შიშისაგან აცახცახებული მაჯლაჯუნა. მტერთა ლი-რსეული მეტოქის დაბადებას ნატრობს ერთი თუში მოლექსე:

„მტერსა რომ მტრობას უწევდეს,  
ვაჟკაცის შესაფერია,  
ვისაც მტრის მტრობა აშინებს,  
ქვეყნად ის არაფერია,  
არც მოუხდება აბჯარი,  
არც ომში წასასვლელია,  
არც ვაჟკაცებში ხსენდების,  
არარად ჩასათვლელია.  
უნდა გაზარდოს დედამა  
ვაჟი, მტრის გამჯავრებელი,  
აუგის მთქმელი არ იყოს,  
არც ფეხის დამწყნარებელი,  
არ აშინებდეს სიკვდილი  
სიცოცხლის გამმწარებელი“ (3, 644).

მტერი აფხაზლებს კაცს, უბიძგებს მოქმედებისაკნ, აფრთხილებს: მუდამ ფეხზე იდგეს, მუდამ მზად იყოს, რომ არ დაემინოს, არ დაჩლუბდეს. კაი ემა დღენიდაგ შემართული უნდა იყოს მტერთან საომრად, უნდა ფხიზლობდეს, ისხამდეს აბჯარს, აელვებდეს ფრანგულს და შიშის ზარს სცემდეს მომხედურს. მისთვის პირისპირ შეყრილი მტერი არაფერია:

„მტერი რას მიზამს პირდაპირ?  
მალვით თუ მიზამს ზიანსა,  
მალვით ვინც მტერი მტერს მოჰკლავს,  
ის ქალს ვთა სკობს თმიანსა?  
მტერი ვერ დასწვავს პირდაპირ  
მუზარად-მაზვილიანსა,  
პირდაპირ ომი შეჰვერის  
ვაჟკაცსა ლაზათიანსა“ (4, 6545).

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში მეცხრამეტე საუკუნის ბოლო ხანებამდე შემორჩა მოკლული მტრისთვის მარჯვენა მკლავის მოკვეთის ადათი. მარჯვენის მოკვეთა საიქიოში მტრის დაუძლურებას ისახავდა მიზნად. ამიტომ ისინი მიცვალებულს აჭრიდნენ მკლავს და მიჰქონდათ თავიანთ სოფელში, როგორც უტყუარი საბუთი მტერზე გამარჯვებისა.

მარჯვენა მკლავის მოკვეთის ტრადიციამ თავისებური ასახვა პპოვა ქართულ ხალხურ პოეზიაში. ერთ-ერთ ხმით ნატირალში გამოთქმულია

მწარე სინანული ურჯულოთა მიერ ნათესავისადმი მარჯვენა მკლავის მოქვე-  
თის გამო: „სადრარა მოგქლეს ურჯულოთა,

სადრარა მოგჭრეს მარჯვენაი

სადრა დააკრეს ციხეზედა,-

ციხეს სადრარა ალამაზებს“ (5,30).

ხალხური პოეზიისათვის გმირს წარმოადგენდა ის, ვინც თემის წესებსა  
და კანონებს ასრულებდა და მას ექვემდებარებოდა. დ. წოწკოლაურის აზრით,  
„პოეზიაში მსოლოდ თემის იდეალის მიმღევარი ადამიანი იქცევდა ფურადღე-  
ბას... შემოქმედი ხალხის პოეტური იდეალი თემის შეხედულების ერთგულია.  
გმირს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თემის თვალსაზრისით ხატაქს“. დ.  
წოწკოლაური ასევე ასკვნის: „ნაირ-ნაირი მასალის ანალიზმა გამოავლინა,  
რომ გვაროვნული თემის პოეზიაში საზოგადოების და მისი წევრის იდეალების  
სრული ერთსულოვნება ბატიობს. მათს ერთანხობას აპირობებს თემის შეგნებაში  
დამკიდრებული ადათობრივი სამართლისა და მორალის საყოველთაო წესები“ (6,122).

ეს ადათობრივი სამართლი და მორალი კი არის შურისძიება, სისხლის  
აღება, „მტრის მტრულად დაზვედრა“. თემს თავისი ეტიკეტი აქვს. გმირიც  
შესაბამისდ იცავს მას. იგი მთლიანად დამოკიდებულია თემზე.

შურისძიების მოტივი მეტად ფართო და ამოუწურავი თემაა. მწერლები  
სულ სხვადასხვანაირად იაზრებენ და თავისებურად ამუშავებენ მას.

ვაჟა-ფშაველას ინტერესთა სუეროში შემოდიოდა შურისძიების პრობ-  
ლემა. პოეტი კარგად იცნობდა ხალხურ შემოქმედებას და კარგად იცოდა,  
ვაჟა-ფშაველა რომ მკლავის ძალით ფასდებოდა. მაგრამ ვაჟასთვის მთავარი ადა-  
მინის სულიერ სამყაროში წვდომა და ადამიანურის არსის გარკვევა იყო.

ვაჟას გმირთა ტრაგიკულობა მათ ღრმა პიროვნულობაში დევს. ალუდა  
მუცალის სიკვდილმა დააფიქრა და ასე ათქმევინა:

„ჩვენ ვიტყვით, კაცნა ჩვენა ვართ,

მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი,

ჩვენა ვცხონდებით, ურჯულოთ

კუპრში მოელის ქშენანი“ (7,359).

პროფ. ზ. კიკნაძის აზრით, „...ვაჟას საუკეთესო გმირები სწორედ იმის-  
თვის არიან შობილნი, რომ გაარღვიონ საზოგადოების წარმართული შეგნება.  
მის პოემებში ვხედავთ, როგორ იბადება წარმართულ საზოგადოებაში უნივერ-  
სალური ქრისტიანული რჯული. აღუდა და ჯოყოლა ამ რჯულის აღმომჩენი  
და მისი პირველი მკადრენი არიან...“ (8,48).

დამოწმებული ლიტერატურა: 1. გ. ასათიანი, სათავეებთან, თბ., 1982.  
2. სულხან-საბა ობელიანი, სიტყვის კონა, 1961. 3. თსუფა № 6441. 4. თსუფა № 6545.  
5. ხმით ნატირლები, შეადგინა ირაკლი გოგოლაურმა, თბ., 1981. 6. დ. წოწკოლაური,  
„ვაჟა-ფშაველას ეპოსის წყაროებისა და მსატვრული სტრუქტურის საკითხები“, თბ.,  
1982. 7. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1960. 8. ზ. კიკნაძე, „გილგამეშიანი“, ლიტ.  
საქართველო, № 48, 1984.

## ნანა ოედორაია

### გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“ მითოსური პარადიგმების კონტექსტში

„XX საუკუნე განსაკუთრებით ხასიათდება მითოსისკენ მიბრუნებით, მითის აღორძინებით“ - (7,17). ეს მოტივი კი ერთგვარი მიახლებაა პირველად კაცობრიულ სუნთქვასთან, სამყაროს მისტიურ ჭვრებასთან, ეს კი ის განზომილებანია, რომელიც გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების საძირკვლად გაჰვლინება.

შემოქმედი, რომელიც მითს უდებს საფუძვლად საკუთარ შემოქმედებას, დამოუკიდებელი წილნაყარია, რადგან მას საუკუნეების წიადიდან ამოაქვს ის უმძაფრესი სულიერი განცდები, რაც კი ადამიანთა მოდგმას შეუგრძნია. ეს თავისთავად საწყისთან მიახლებაა და ამ საწყისის მარადგანახლება, რადგან სამყარო, რომლის დასაბამსაც მითში ვეძებთ, ერთი მთლიანი ფენომენია, რომელშიც დმერთია განხორციელებული, მითოსისკენ მიბრუნება კი ფესვებისკენ, სამყაროს საწყისისკენ მიბრუნებაა.

„მითოსი, ადამიანის გონებრივი აქტივობის ერთ – ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულება, ისეთივე უფელესი უნდა იყოს, როგორც მეტყველება. თუ წარმოვიდგენთ იმ პირველ გააზრებულ სიტყვას, რომელიც ოდესაბაც უნდა ეთქვა ადამიანს, ამ სიტყვაში კრისტალივით აისახებოდა მთელი სამყარო და ეს იქნებოდა მითოსის უმარტივესი სახე, მისი ჩანასახი“ – (3,9).

სახარებაში წერია: – „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო დმერთან და სიტყვა იყო დმერთი“. პირველკაცთაგანის სიტყვა კი, რომელშიც კრისტალივით აისახებოდა მთელი სამყარო, კითარცა დმერთი, იყო მითი, რომელიც არ ემორჩილება დროისა და სივრცის ჩარჩოებს, რადგან მითი ადამიანის დიალოგია დმერთან.

„შემოქმედების დასაწყისშივე გრიგოლ რობაქიძემ თავისი ფანტაზია მითის სამსახურში ჩააყენა. იგი იჭრება მითის წარმომქმნელ ძალებში და ცდილობს, საბურველი ჩამოხსნას პირველ საიდუმლოებებს, რომელსაც საუკუნეების მანძილზე არავინ შეხებია“ – (2,9), - წერს რუდოლფ კარმანი. მართლაცდა, მთელი მისი შემოქმედება „პირველადი საიდუმლოებების“ წვდომაა. გარდა ამისა, ეს ერთგვარი ცდაა კოსმიური წესრიგის აღდგენისა, ნაწილის შერწყმა საწყისთან და მთელის გამრთელება – ესაა ერთგ-

ვარი ფორმულა მითოსური სინამდვილისა, რადგან მითი მარად შექცევადი მოვლენაა, მისი საშუალებით საგანი იქცევა სიმბოლოდ, ფიზიკური მეტაფიზიკურად, ყოფითი – მარადიულად. ეს ყოველივე უბრუნდება თავდაპირველს, საწყისს. ეს პროცესი უწყვეტი რეალია, ერთი უზენაესი მთლიანობისკენ მიმართული.

მწერალი, რომელიც მითს უდებს საფუძვლად საკუთარ ნაწარმოებს, მითის ტრანსფორმაციის საშუალებით, კვლავ აცოცხლებს ოდესდაც მომხდარ ამბავს კონკრეტულ დროში. ეს გზა „მითოსური თესლის“ გზაა, რომელიც ზრდის და მწიფობის შემდეგ ისევ ბრუნდება საწყისთან თესლად და ასე, მარადიული ბრუნვით, მარად განახლებით, ქმნის კოსმიურ წესრიგს.

მითის ტრანფორმაციით ლიტერატურული ნაწარმოები თავად ხდება „მითი“ მოცემულ დროსა და სივრცეში, მითოსური გმირი კი არქეტიპი თანამედროვე გმირისა, რომელიც თავისთავში დაატარებს თავისსავე პირველსახის ხატს და ეს პირველსახე ქვეცნობიერიდან ცნობიერში გადადის — ხშირ შემთხვევაში სიზმრებით, გახსენებით. სწორედ მათი საშუალებით ხდება ქვეცნობიერის მიერ შემონახული უძველესი ცოდნის დიალექტიკური გადასვლა ცნობიერში.

აქ პროფანული დრო დაძლეულია, რადგან გმირი საკუთარი საწყისისკენ გზას გადის თავისსავე წიაღში ჩაღრმავებით. ქვეცნობიერის გაცნობიერებით ხდება მასში პირველსატის, თავისი არქეტიპის გახსენება. შესაბამისად ხდება მარადიულის განსხვალება კონკრეტულ დროსა და სივრცეში.

„ვთქვათ კითხულობთ რომელიმე რომანს, საცა მოთხრობილია, სრულიად უბრალო ამბავი, ამბავი ყოველდღიური. თუ გრძნობთ კითხვისას: თითქოს იქ შენი საკუთარი განცდაა მოყოლილი და ამავე დროს და ესაა თავისთავადი — იმასაც თუ გრძნობ თანვე, თითქოს მომხდარი უპვე სადღაც და ოდესლაც მომხდარიყვეს, იცოდე, რომანი მითიურია“ — (5, 40).

„მითიურ რომანში“ კი მითის მარადიული მიმოქცევით, განუწყვეტელი ურთიერთგადასვლით, კონკრეტული გმირი თავისშივე გადის ზოგადს, მთელს კაცობრიობის გზას. იგი ნაწილია, რომელიც თავისთავში მოიაზრებს მთელს და, ამავდროულად, მითისწრაფის გამრთელებისკენ. და ეს უწყვეტი პროცესი „სულის დიალექტიკისა“ არის მითიური რომანის თაურარსი. გრ. რობაქიძის შემოქმედებაც სწორედ ამ პლანშია გადაწყვეტილი.

„XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულმა პროზამ გააფართოვა პერსონაჟთა მოქმედების სივრცე და არე, — გაფართო-

ვება ხდება არა მარტო პორიზონტალური სივრცის, არამედ – ვერტიკალურისაც; მითოლოგიური ფესვების კვლევა, ღმერთის ძიება, წარმართობის, ქრისტიანობისა და ათეიზმის ურთიერთმიმართების რკვევა. გრიგოლ რობაქიძე კი ამ „პორცენტილურ არის და წამომწყებიც“ – (1,201) და სწორედ ამ „პორიზონტალურ“ და „ვერტიკალურ“ სივრცეთა ურთიერთკვეთის მაგალითია „ჩაკლეული სული“, რომლის სიუჟეტური მოდელი უშუალოდ ერთი შუამდინარული გადმოცემის, — თამუზისა და იშთარ — ინანას მითის ფონზეა აგებული. „ და იგი ერთგვარად ამ შუამდინარული მითის ახლებური ვარიანტია“ – (4,214). იმ მითის, რომელიც თავისთავში იტევს ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე დაწყებულ და დაუსრულებულ ჭიდილს სინათლესა და სიბნელეს, სიკეთესა და ბოროტებას, სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის. სწორედ ამ მარადიული ჭიდილის, მსხვერპლად ქცეული, მითიური პერსონაჟების, ტრაგიკული ბედის მატარებელი და მათი სვედრის თანაზიარნი ხდებიან, გრ. რობაქიძის რომანის „ჩაკლეული სულის“ გმირები.

ნაწარმოების პერსონაჟთა მისტიური ნათესაობა თავიანთ მითიურ არქეტიპებთან გაცილებით უფრო მრავალპლანიანია, ვიდრე მარტოოდენ შინაგანი, არსეთაშორისი კავშირი. ეს ფაქტორი კი თავისთავად განაპირობებს მათი მრწამსისა და მსოფლეგვის თანაზიარბას თავიანთ შორეულ წინასახეებთან.

რომანის ცენტრალური ფიგურაა – თამაზ ენგური. ეს სახელი კი მისი ლიტერატურული ფსევდონიმია. „ტყუილად კი არ აირჩია ლიტერატურულ ფსევდონიმად თამაზ ენგური. გარდა კუთილხმოვანებისა, ეს სისუსტე იყო მისი. – აქ სხვა იყო მიზეზი. თამაზმა იცოდა, ქართული ტომები იქიდან მოვიდნენ კავკასიაში, სადაც გილგამეშის ციკლოპური ეპოსი შეიქმნა. თამუზის ვნებებმა მოხიბლეს. ასე აირჩია მისი სახელის ქართული სახესხვაობა. „ენგური“ მდინარეა სვანეთში, აქაფებული. უძრავ კლდეებს შორის მბორგავი, როგორც საფანგში მომწვდეული ნადირი, მაგრამ მისოვის ენგური შეუძრელის ან აქადელის სახელსაც ნიშნავდა ბუნდოვნად.“

თამაზის „სისუსტე“ სწორედ მისი მითიური წარმომავლობიდან მომდინარეობს. მითით მყარდება მისი პიროვნული საწყისი თანადროულობაში. ეს ციტატა ბუნებრივად შეგვხსენებს თამაზ ენგურის დამოკიდებულებას თავის მითოსურ წარმომავლობაზე, შინაგან არსში მიმდინარე დაუსრულებელ ძიებასა და ჭიდილს,

ზოგად- ეროვნულ და, უფრო მეტიც, ზოგადკაცობრიულ იდეას რომ უტოლდება.

თამაზ ენგურის მითიური არქეტიპია შიამდინარული ღვთაება და დუმუზი. და ვინ იყო დუმუზი, რომლის ვნებებმაც მოხიბლეს რომანის მთავარი გმირი? – „პარადოქსული არსება, ცის დედოფალს შეუდლებული მოკვდავი, მისგან გაყიდული საშავეოდ და მისგანვე ცხარე ცრემლით დატირებული. ღვთაება უკვდავების გარეშე, თუმცა ღმერთების წრეში მიღებული, მაგრამ მავნეთაგან დევნილი და ქვესკნელში გატაცებული” – (3, 207).

თამაზ ენგურიც ქვეცნობიერად სწორედ თამუზის ვნებების მატარებელია. იგი ისეთივე პარადოქსული და ტრაგიკული გმირია თავისი ეპოქისა, როგორც მისი მითიური წინასახე დუმუზი შუამდინარული მითოლოგიისა. მისი პიროვნეული პორტრეტის სრულქმილად წარმოდგენა შეუძლებელია ამ მითის გააზრების გარეშე.

თამუზი ანუ დუმუზი ღვთაებათა შვილია, ხოლო თავად კი მოკვდავია. მასში სიცოცხლის მისტიური გზა დასრულებადია. იგი მწყემსიცაა და მიწათმოქმედიც. ღმერთებისგან ჯერ აღზევებული, მერე კი დასაღვაპად განწირული, რადგან ქვესკნელის ძალები ჯოჯოხეთში გაიტაცებენ. სწორედ აქედან მომდინარეობს მისი ტრაგიზმი. კვდომისა და ადგგომისა ამ საკრალურ გზას გადის თამუზი თავის მითიურ წიაღში და ამ გზას გადის ლიტერატურული გმირი, თამაზ ენგური თავის თანადროულობაში.

საგულისხმო ისიც, რომ ნაწარმოებში არაფერია ნათქვაში თამაზ ენგურის წარმომავლობაზე, გარდა იმისა, რომ იგი „ტომით სვანია”, არ არის მინიშნებული არც მისი ნამდვილი სახელი და გგარი, გარდა ფსევდონიმისა. ეს კი თავისთავად მიანიშნებს იმას, რომ ავტორი ცდილობს ხაზგასხმით წარმოაჩინოს თამაზ ენგური — როგორც უშუალო „შთამომავალი” თავისი მითიური წინასატისა.

თავის მხრივ კი საინტერესოა თამაზ ენგურის მითიური არქეტიპის სახელის ეტიმოლოგია. „დუმუზი შესაძლოა ეს არც იყოს მისი ნამდვილი სახელი და იყოს ზედწოდება. წმინდა შუმერული სიტყვა „დუმუ” ნიშნავს „შვილს” ზედსართავი „ზი” ან „ზიღ” კი გაიაზრება როგორც „ჭეშმარიტი”. ერთი სიტყვით რომ გამოვხატოთ, დუმუზი(დ) არის „შვილი ჭეშმარიტი” – (3,223). თავისივე საწყისისა, დასაბამისა.

ენგური კი შუმერულ მითოლოგიაში იშიფრება როგორც „შემოკავებულ სივრცეში ჩახატული ღმერთის ნიშანი” და ეს სიტყვა თავისთავში გაცილებით მეტს მოიაზრებს, ვიდრე მდინა-

რის სახელწოდებას. მაშასადამე, თამუზი ერთდროულად არის „მწყემსი ჭეშმარიტი” და „შვილი ჭეშმარიტი”. მისი სახელის ამგვარი განმარტება ასოციაციას იწვევს მაცხოვრის ხატთან, რომელიც ერდორულად სიმბოლურდება „მწყემსონ” და „ჭეშმარიტ შვილთან”.

თამაზ ენგურში ერთდროულადაა განხორციელებული კვდომადი და აღდგომადი დფთაების, დუმუზის და ქრისტეს ცხოვრების გზა. „აქ პიროვნების ინიციაციის გზაა ნაჩვენები. აქაც პროტაგონისტი გაივლის ურთულესსა და უსაშინლეს ვიწრობებს, შეიძლება ითქვას, თავის გოლგოთას, ჯვარცმას და ამაღლებას” – (7,18).

გრ. რობაკიძის შემოქმედებაში ხომ მითოსური და ქრისტიანული ხატები ორგანულად, კანონზომიერად ერწყმიან ერთმანეთს და მათი ამგვარი სინთეზირება წარმოადგენს მისი შემოქმედების ამოსავალ წერტილს და მსოფლმხედველობრივ ქვაკუთხედს.

„დუმუზი – ლაკონურად გვამცნობს მეფეთა სია იმ კაცზე, რომლის ტრაგიკულმა აღსასრულმა შემრა მთელი შუამდინარეთი, რომლის გრებათა ამბავი შორს გასცდა მისი ქვეყნის ფარგლებს და თვით პალესტინაში გლოვობდნენ მას თამუზის სახელით რჯულს გადაცდენილი ებრაელები. როგორც ვკითხულობთ ეზიკიელის წინასწარმეტყველებაში – აპა, ესერა მუნ სხდნენ და ჰგლოვობდნენ თამუზსა” (3, 221).

სწორედ ამ ტრაგიკული დფთაების სვერის თანაზიარია თამაზ ენგური. იგიც, როგორც მისი მითოური წინახატი, დევნილია მავნეთაგან და ქვესკნელშია დანოქმებული. ნაწარმოებში კი ჯოჯოსეთურ (ქვესკნელურ) ძალად მოიაზრება საბჭოთა სივრცე, ეს ის სივრცეა, რომელიც თავის წიაღში ახშობს ყოველივე დფთაებრივს, უფრო სწორად, დფთაებრივი საწყისის ყოველგვარ ადამიანურ გამოვლინებას. „გპ” – საბჭოთა წყობის უსასტიაქესი სტრუქტურა – ადამიანური თავისუფლების, თავისუფალი ნების ჩაკვლისეკნა მიმართული. პიროვნების შემოქმედებითი არსის, როგორც დფთაებრი ელგმენტის, წინააღმდეგ იღწვის აშკარა და ყველა საშუალებით. სწორედ ამ ძალის წინააღმდეგაა მიმართული შინაგანად თამაზ ენგურის ცნობიერება და მრწამსი და ამ ძალასთან ჭიდილში კლინდება მისი პიროვნული პარადოქსულობაც და ტრაგიზმიც.

მითში თამუზის ჯოჯოსეთიდან მხსნელად და მის „დამტორებლად” გვევლინება ურუქელი ქალღმერთი – იშთარი – ინანა. „ჩაკლულ სულში” მასაც თავისი პროტოტიპი ჰყავს — ნატა.

ნაწარმოების ქვეთავს, სადაც მას ვეცნობით, მწერალი ასე ასათაურებს — „მარადქალური”. ამ სათაურის პოეტიკა ამომწურავად პასუხობს იმ იდეას, რომელსაც ნატას პიროვნება მოიცავს, როგორც მითოსური საწყისიდან ამოზრდილი ქალური საწყისი. შუამდინარულ მითოლოგიაში ვითხულობთ: „არცერთ ქალ-დმურთს არ ქონია ისეთი ბრწყინვალე ბედი და ისე დიდებულად არ გამორჩეულდა თავის „დობილთა” შორის შუამდინარული ცივილიზაციის არსებობის მანძილზე, როგორც ურუქელი ინანა.” რა განაპირობებს მის ბრწყინვალე ბედს და გამორჩეულობას? მითო-თებულია ისიც: „იგი ჩრდილავს ყველას, იმდენად სავსეა მისი ბუნება და იმდენად ფართო მისი მოქმედების დიაპაზონი” (3,205).

მოდერნისტული რომანის ერთ-ერთ თავისებურებას მითო-სური და რეალური სამყაროს მხატვრული სინთეზი წარმოადგენს. პერსონაჟთა შინაგანი ბუნების სრულებრივება მათ მითო-ლოგიურ არქეტიპებთან თანაზიარობით წარმოჩნდება.

იშთარ — ინანას შინაგანი სამყაროც მისი „შთამომავლის”, ნატას პიროვნულ შტრიხებში იყითხება და ისინი არათუ ავსებენ და სრულყოფენ ერთმანეთს, არამედ ხშირად ერთიმეორის ბედს განაპირობებენ კიდევ.

ნატა იმაზე გაცილებით შორულია, ვიდრე სამყაროს ნებისმიერი ქალი. იგი ზოგადად მდედრული საწყისის პირველსახეს დაატარებს თავისთავში, მასში თვით ვვაა განსხვაულებული და იგი, როგორც პირველყოფილი ცოდვის მატარებელი, ამ ცოდვას კი არ დაუთორუნავს, არამედ საპრალური ძალით აღუვსია და მისითვე ჭერებს სამყაროს.

საგულისხმოა ერთი დეტალიც; მითის მიხედვით, ინანას განუშორებელი ეპითეტია „ქალწული”, მაშინ როდესაც, იმავე მითის მიხედვით, მან დაკარგა ქალწულობა. რას უნდა ნიშნავდეს ინანას ეს შინაგანი წინააღმდეგობრიობა? ამაზე პასუხს ნაწარმოებში ვპოულობთ. ნატას შესახებ ავტორი მოგვითხრობს: „მისი არსებობის სიღრმეში ვიდაც რაღაცას იხსენებდა. ეს იყო ვვას მოგონება, პირველი ქალის. მისი გრძნობები ბრძა პლაზმის ნათელილვა იყო. ამ წამს თითქოს მისი სხეულის ნაწილებში ვვას ვნებები ამოძრავდნენ.” მიუხედავად ამ პირველყოფილი შეგრძნებისა, რომელიც მასში ბნელ წიაღს ადანთებს, ნატა თვითგანწმენდის ეტაპსაც გადის, რომლის შედეგადაც იგი გვევლინება, როგორც „მარადქალური”, განახლებული საწყისით. გაგიძგლი ქალლერთის მაგალითით ცდილობს იგი „ქალწულად” ყოფნის ახსნას. ნეითის ქანდაკების კვარცხლებებზე საისში წერია: „მე

ვარ ის, რაც არის, რაც იყო და იქნება. არავის აუხდია ჩემი საბურველი. ნაყოფი, რომელიც მე ვშვი, მზე იყო.”

ბუნებრივია, ეჭვს ბადებს სტრიქონი, „არავის აუხდია ჩემი საბურველი”, რადგან გადმოცემის თანახმად, ნეითი ავხორცი იყო. პასუხი, ისევ და ისევ, დვთიურ საწყისშია საძიებელი. მა-მაკაცური და ქალური ელემენტები მარადიულად ილტვიან ერთ-მანეთისკენ. ამ ლტოლვაში დვთაებრივი იდეა — თვით „დვთიური სხივი” დაემებს მეორეს, ბნელს, გაურკვეველ წიაღს, დედა-კაცს. ავტორი ამბობს: „ამით დაიწყო დმერთმა ცხოვრება, მაგრამ დვთიურს უნდა შეეწირა თავისი ძალის ნაწილი. სიბრუნვილიან სინათლე წარმოიშვა. წიაღმა შვა მზე. გველს არ შეუცდენია პირ-ველი ადამიანი, თუ იმ ხის ნაყოფს იგემებთ, იქნებით როგორც დმერთები. ევამ იგემა, ადამმა იგემა და იყო დაბადება და დვთიური საქციელი.” დედაკაცმა შვა მზე, როგორც ნაყოფი. ამა-შია შექმნის საიდუმლო, ამაშია „მარადქალურობის” იდუმალებაც

ჩვენს მიერ მოყვანილი მაგალითი კოჯრის ეპიზოდიდანაა, სადაც თამაზი და ნატა ისკვებებს. ეს ეპიზოდი გაიაზრება რო-გორც „საკრალური ქორწინება”. ის ფარდას ხდის ყველა დაფა-რულ არსს და ეს ის პროცესია, რომელიც ცნობიერების მიღმიერ სივრცეში გადაინაცვლებს. რაციონალური აზროვნებისთვის შეუ-ცნობელი და აუხსნელია მისი მისტიკა, მაგრამ იგია სწორედ პირველსაწყისი, რომლისგანაც მომდინარეობს ყოველივე.

საკრალური ქორწინება შედგა როგორც თამუზსა და იშ-თარს, ისე თამაზსა და ნატას შემთხვევაში. ეს ქორწინება კი იმ დიდი შესაქმის განხორციელებაა, რომელსაც „დვთიურ საქცი-ელს” უწოდებს გრიგოლ რობაქიძე. თამაზისა და ნატას ურთიერ-თობა იმ საკრალური აქტის არსითაა გაჯერებული და ყველა ნიუანსის სათავედაც იგი გვევლინება.

საგულისხმოა ასევე ხის სიმბოლიკა როგორც მითში, ასევე ნაწარმოებში და უპირველესად უნდა აღნიშნოთ თვით სიმბო-ლოს მნიშვნელობა მხატვრულ აზროვნებაში. იგი გვხვდება კა-ცობრიული აზროვნების ყველა ეტაზე. სიმბოლო სამყაროს აღქ-მის გამოხატულებაა და ხშირ შემთხვევაში იგი შემეცნების კრი-ტერიუმადაც გვევლინება. ეს მაშინ ხდება, როდესაც სიმბოლო განსაკუთრებული იდეოლოგიური ფუნქციით იტვირთება.

შეამდინარული მთის მიხედვით, ხის სიმბოლოს მნიშვნე-ლოგანი როლი აისრია. ეს ხე მოიხსენიება „ცარბათუე”. იშ-თარს შინაგანი ლტოლვა აქვს ამ ხისადმი. მასთანაა დაკავშირე-

ბული ქალღმერთის უმნიშვნელოვანესი დეტალები. სიმბოლურია ისიც, რომ „ცარბათუს“ ჩრდილქვეშ კარგავს იგი ქალწულობას.

„ცარბათუ არახვეულებრივი ხეა, შესაძლოა, პირველგახარჯ-ბული მცენარე ადამიანთა მიწაზე... ცისა და მიწის კავშირის განსახიერება. ეს ხე სიცოცხლის ხედ უნდა მივიჩნიოთ, სადაც საფუძველი ჩაეყარა ცოცხალ არსებათა პირველ საზოგადოებას“ (3,206). „სიცოცხლის ხე“ – ზოგჯერ ასეც უწოდებენ ბიბლიურ ხეს, რომლის ნაყოფთანაა დაკავშირებული ადამისა და ევას პირველადი ცოდვა.

ნატას პირველსაწყისიდან წარმომავლობაზე ზემოთ უპევ გვქონდა საუბარი. აქ კი უნდა ადგინიშოთ, რომ ნატასა და თამაზის „საკრალური ქორწინება“ „სიცოცხლის ხის“ ჩრდილში უნდა მოხდეს და ის, რასაც გრ. რობაქიძე „დვოთიურ საქციელს“ უწოდებს, სწორედ იმ მითოსურ სივრცეშია განვითარდი, რომელიც პირველსაწყისში აბრუნებს ადამიანურ არსს და კოსმიური წესრიგის მატარებლად გვევლინება. ეს დეტალი არა შეოლოდ ნაწარმოების მხატვრული ქსოვილის კუთვნილებაა, არამედ, უპირველესად პერსონაჟთა არსთაშორისი კავშირის საკრალურობაზე მეტყველებს და მათი მითოსურ — მისტიკური ბუნების გახსნას ემსახურება.

მითის მიხედვით, იშთარმა დაიხსნა თამუზი ქვესკნელიდან, მაგრამ იქამდე მისახლელად ტანჯვითა და წამებით სავსე გზა განვლო. იგი გვევლინება, როგორც

„ცის ბრწყინვალე დედოფალი და ტყვე ქვესკნელისა, სამ-კაულთაგან განძარცვული და გაშიშვლებული: ამორმალი და უმწეო ქალწული, რომელსაც ყოველ წამს შეურაცხყოფა ემუქრება მოკვდავთაგან“ (3,205).

ეს თვისებები, რომლებიც იშთარის წინააღმდეგობებით ადსავსე, იდუმად ბუნებაზე მიუთითებს, სიმბოლურად გადმოტანილია თანამედროვე სივრცეში და პროფანული დროის დაძლევით ნატას სახეშია ამეტყველებული.

ნაწარმოებში იმ თავს, სადაც მოთხოვობილია ნატას მიერ თამაზისათვის გადგბული მსხვერპლის შესახებ, „იშთარის ვნებები“ ჰქვია. აშეარა და მკაფიო იღენტურობა მითოსურ წინასახესთან, სიუჟეტიდანაც იგივე მტკიცდება, ნატამ კველა ეტაპი უნდა განვლოს, რათა „გპუ“-ს ცოხეში (იგივე ქვესკნელში) დატყვევებული თამაზი დაიხსნას. იგი არ ერიდება შეურაცხყოფას, დამცირებას. ყველა გავლენიან ნაცნობს სთხოვს დახმარებას. „რას არ გადაიტანდა თამაზის გულისათვის, საკუთარ ქალობასაც

კი შესწორავდა მას. „ნატა იყო იშთარი, რომელმაც დაკარგა თამუზი, იშთარივით ქვესნელში უნდა ჩასულიყო, რათა თამაზი გადაერჩინა. ყველა საბურველი უნდა ჩამოეხსნა, გაშიშვლებულიყო, დამდაბლებულიყო, მრავალი ავადმყოფობა აეღო თავზე, რათა ბნელეთიდან გამოიხსნა მიჯნური”.

ნატას მიერ ბერზინისათვის დახმარების თხოვნა ამ საბულისწერო მსხვერპლის გადებას უტოლდება. ბერზინი სწორედ იმ ბნელეთის ძალის მოციქულად მოიაზრება, რომელსაც მოელი საბჭოეთი მოუცავს. მის წინაშე შიშვლდება ნატა, როგორც იშთარი იძარცვება სამქაულთაგან ჯოჯოხეთამდე მისაღწევ გზაზე. ნატა მზად არის, მას „აგემოს” თავისი ქალურობა, თანაც ისეთივე ბუნდოვანი და გაურკვეველი შეგრძნებით ნებდება მას, როგორც პირველყოფილი მდედრული საწყისისთვისაა დამახასიათებელი. ნატას ქალური ბუნება ხომ თავისთავში ევას, იშთარის, ნეითის მატარებელია. ბერზინი კი ცივი და უსხეულო დემონია, რომელიც, უპირველესად, ამ ბუნდოვანი პირველსაწყისის წინააღმდეგ გაა მიმართული. მისი მხრიდან ნატას ქალურობის „უგულებელყოფა” თანამედროვე იშთარზე გამარჯვებად აღიქმება.

„ქალღმერს დაედო მსჯავრი და მოკვდა, როგორც ყოველი ხორციელი კვდება, მაგრამ ინანას არა აქს სიკვდილის უფლება, რადგან მის ბუნებაშია დაუნჯებული ის ძალა – სიცოცხლის ხალისი და ვნება, რომლის წყალობითაც მრავლდება ამქვეყნად ყოველი არს” (3,240).

არც ნატას აქს „სიკვდილის უფლება”. მის მიერ გაღებულ მსხვერპლს ნაყოფი გამოიაქს – თამაზს ათავისუფლებენ.

როგორც ვნახეთ, „ჩაკლული სულის “პერსონაჟები, იდეურად და თვისებრივად, ენათესავებიან შუმერულ — აქადური მოთის გმირებს. ადვინიშნეთ ისიც თუ რა მოტივითაა განპირობებული მოდერნისტულ რომანში მითოსური სივრცის განვენა. მის ფონზე ხდება რომანის პერსონაჟების იდეურ — მხატვრული ფორმირება, რაც ამთლიანებს და სრულყოფს ნაწარმოების არსობრივ მხარეს.

თამაზ ენგურისა და ნატას მაგალითით მკაფიოდ წარმოჩნდა ის ზოგადკაცობრიული მოტივები, რომლებიც ეროვნულ წიაღში, ეროვნული ფორმით და თვითშეგნებითაა დამკვიდრებული და რომელთა დაფარულ არსში წვდომა მხოლოდ პირველსაწყისი (მითოსური) ხატების მოძიებით და მათი გადააზრებითად შესაძლებელი.

გრ. რობაქიძის „ჩაკლული სული” თანადროული ეპოქის გამოძახილია. მასში დეტალურადაა აღწერილი საბჭოთა სისტემის მიერ პიროვნების დეგრადირებისკენ მიმართული ტენდენციები. თუმცა ნაწარმოების მხატვრული სივრცე მითოსურ პლანშია გადაწყვეტილი, რაც ახლავბური ფორმით გვიხატავს ეროვნული და ზოგადეკაცობრიული იდეალებისკენ სწრაფვის არსეს. მითის ტრანსფორმაციის ფონზე იშლება პერსონაჟთა შინასამყარო. ეს ფაქტორი განსაზღვრავს მწერლის მსოფლეოდელობრივ მრწამსეს. შორეული წარსულის, ძირების, პირველსაწყისთან ზიარება, პირველხატის მიგნება და მასში განსხვეულება.

რომანის მთავარი პერსონაჟის თამაზ ენგურის პიროვნების ფორმირება მითოსური და თანამედროვე ეპოქალური სივრცის მხატვრული სინთეზის ფონზე ხდება. მისი ცხოვრების გზა, საკრალურად, თავისივე მითოსური არქეტიპის გზას მოიაზრებს. ამასთან, თანადროული რეალობის გათვალისწინებით, იგი მიმართულია პიროვნების შინაგანი სრულქმნილებისკენ, გამთლიანებისკენ. თამაზ ენგურის წინააღმდეგობრით აღსავსე შინასამყარო ზოგადეკაცობრიული ხატია, რომელიც ეროვნულ წიაღმია განვინდილი და მითოსური არსით განმტკიცებული.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ბაქრაძე ა., ქარდუ, თბ. 1999. 2. კარმანი რ., გრიგოლ რობაქიძე და მითის აღორძინება, ლიტერატურული საქართველო, 1988. 3. კიბაძე ზ., შემდინარული მითოლოგია, თბ. 1979. 4. ნიკოლეიშვილი ა., XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 2000. 5. რობაქიძე გრ., სათავენი ჩემი შემოქმედებისა, ლიტერატურული საქართველო 1989. 6. ჯალიაშვილი მ., ქართული მოდერნისტული პროზა, თბ. 1997. 7. ჯანჯიბუხაშვილი მ., მითის პოეტური ტრანსფორმაცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში, თბ. 1996.

## ხეთისო მამისიმედიშვილი

### გადმოცემები ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის პანკისელ „შეფიცულთა“ შესახებ

1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველო დაიპყრო. კომუნისტებური რეჟიმის დამყარების პირველ წლებში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებმა განსაკუთრებით ფართო და მასობრივი ხასიათი მიიღო.

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას წითელი რუსეთის წინააღმდეგ 1921 – 1925 წლებში ხელმძღვანელობდა ქართული არისტოკრატიის ბრწყინვალე წარმომადგენელი, მატენელი თავადი, მეფის არმიის პოლკოვნიკი ქაიხოსრო (ქაჯუცა) ჩოლოყაშვილი.

ღოკუმენტური ცნობები ქაჯუცა ჩოლოყაშვილის შესახებ ძირითადად ემიგრანტულმა ლიტერატურამ დაგვიტოვა. 1981 წელს სან-ფრანცისკოში დაიბეჭდა ალექსანდრე სულხანიშვილის „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“. საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის ელიზბარ მაყაშვილის მემუარული უანრის თხზულება „ჩემი თავგადასავალი“ კი, რომელიც 1921 – 1924 წლებში საქართველოში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებს ეხება, სამწუხაროდ, დღემდე არ გამოქვეყნებულა.

1921 წლიდან მოყოლებული, მთელი 70 წლის მანძილზე, საქართველოში აკრძალული იყო ქაჯუცას შესახებ ყოველგვარი საუბარი. მიუხედავად ამისა, ხალხის მახსოვრობამ დღემდე შემონახა ქაჯუცას ბობოქარი და ტრაგიკული ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვანი გადმოცემები. ამ ზეპირ ტექსტებში ზოგი რამ შეიძლება გაზიადებული მოგვეჩვნოს, მაგრამ თითოეულ მათგანს გააჩნია სინამდვილის პრეტენზია, რაც მთავარია, ქაჯუცას შესახებ შექმნილ თქმულება-გადმოცემებს საფუძლად უდევს ლეგანდარული გმირისადმი ხალხის ღრმა სიყვარული.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები ქაჯუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით პანკისის ხეობაში შეიკრიბნენ და 1921 წლის ზაფხულში ჩამოაყალიბეს „შეფიცულთა რაზმი“. მათ პანკისის ხეობის ჩრდილოეთით, შუაგულ ტყეში, მოაწყვეს ბაზა და იქ რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდნენ. „შეფიცულებს“ ოავიანთი შეკრების ბაზად პანკისის ხეობა შემთხვევით არ შეურჩევიათ. ქაჯუცა მატენელი თავადი იყო, მატანი კი უშუალოდ პანკისს ემუ-

ზობლება. ქისტური სოფლები დიდ მხარდაჭერას უწევდნენ და ყველანაირად ეხმარებოდნენ აჯანყებულებს. როგორც ცნობილია, პანკისის ხეობაზე გადის ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი ერთ-ერთი უმთავრესი გზა-ბილიკი. ქაქუცა ჩოლოფაშვილს სურდა, ამ გზით დაკავშირებოდა პირიქითა ხეებურეთს, იქმდან კი ჩეჩენეთსა და ინგუშეთს. მას სურდა, რუსეთის წინააღმდეგ დაურაზმა კავკასიის სხვადასხვა ხალხები.

პანკისელმა ქისტებმა წითელი არმიის ნაწილების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა ჯერ იყდეს 1921 წელს მიიღეს, როდესაც ბოლშევიკები თელავისკენ მიიწვედნენ. ე. მაყაშვილის ცნობით, ბოლშევიკების ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად „კახეთის ყველა კუთხიდან აწყდებოდნენ მოხალისები. პანკისელი ქისტებიც დაძრულიყვნენ, ალა ილახის ხმაზე თავით ფეხებამდე შეიარაღებული ჩამოსულიყვნენ საბრძოლველად“ (2. 28).

როდესაც ეროვნული გვარითა წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხდა, ქისტებმა, ისევე როგორც სხვა ქართველმა მთიელებმა, იარაღის დაყრაზე უარი განაცხადეს და თავიანთი ცეხენ-იარაღით სახლებისკენ გასწიეს. თუმცა იარაღის ტარების უფლება მაშინ მხოლოდ პარტიულებს ჰქონდათ.

ბოლშევიკების თვალში პანკისელი ქისტები ცუდი რეპუტაციით სარგებლობდნენ. მათ ყაჩაღებისა და მძარცველების სახელი ჰქონდათ და სელისუფლებას წინააღმდეგობას უწევდნენ. თოვი მათვებს სავალდებულო ნივთს წარმოადგენდა და თექვსმეტი წლიდან სამოცდაათი წლის ასაკამდე ყველა დაატარებდა (2. 89).

პანკისის ბაზაზე „შეფიცულებს“ ნელ-ნელა უერთდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები.

ბოლშევიკები ყველა ეჭვმიტანილს აპატიმრებდნენ. პანკისში დასახლებული სომეხი მედუქნე კარაპეტა და მისი დახლიდარი ტიგრანაც დაეჭირათ. ე. მაყაშვილის ცნობით, შეფიცულებს მათგან პაპიროსი და თუთუნი კეთიდათ და მათთან კავშირი ბრალდებოდათ. კარაპეტა ამბობდა: „ვახ, ამიშენდა ოჯახი! ვიდა მოუვლის ჩემს დუქანს, ნალდად ქისტები გამიძარცვავენ უპატრონოდ დატოვებულს“ (2. 48).

შეფიცულებს დიდ დახმარებას უწევდნენ პანკისელი ფშავლებიც. ქაქუცა ჩოლოფაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრი გახდა ახალგაზრდა ფშაველი პოეტი მიხა ხელაშვილი. ის ფშავის სოფელ ახალში დაიბადა. შეძლებ დიაკნად მუშაობდა. ბოლშევიკები დევნიდნენ ეკლესიის მსახურებს. კომუნისტურმა ძალმომრეობამ მიხა ხელაშვილი პანკისში, ქაქუცა ჩოლოფაშვილთან მიიყვანა.

მიხა ხელაშვილს პანკისელ ფშავლებში ნათესავებიც ჰყავდა, რომ-ლებიც სურსათ-სანოვაგით ეხმარებოდნენ შეფიცულებს. მიხა ხელაშვილმა ბევრი ლექსი სწორედ პანკისის ხეობაში, შეფიცუ-ლებთან ყოფნის პერიოდში დაწერა.

ფშავლებისა და ქისტებისაგან განსხვავებული პოზიცია დაი-კავეს პანკისელმა ოსებმა. პანკისის ხეობაში, როგორც ცნობილია, რამდენიმე ქისტერი სოფელია. პანკისელი ოსები, თანამედროვეთა გადმოცემით, თითქმის ერთსულოვნად საბჭოთა ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს. ისინი ხეობაში 1900–1903 წლებში გადმოსახლდნენ ჯავის რაიონის სოფლებიდან. ისევე როგორც ჩრდილოეთ ოსეთში, ჯავის რაიონის სოფლებშიც ძლიერი იყო ბოლშევკიების პროპაგანდა. 1920 წელს შიდა ქართლში მცხოვრებმა ოსების ნა-წილმა წითელი რუსეთის წაქეზებით დამოკრატიული საქართვე-ლოს წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო. დამოუკიდებელი საქართვე-ლოს მთავრობამ ვალიკო ჯუღელის მეთაურობით აჯანყებულები მყაცრად დასაჯა. ქართულ-ოსურ საუკუნოვან ძმობას საფრთხე დაემუქრა.

საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე ქისტებისა და ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა“ რაზმის წინააღმდეგ ბოლშევკიები ხშირად პანკისელ ოსებს იყენებდნენ. 1926 წელს პანკისის ხეობაში მასწავლებლად მივლინებულ ელიზბარ მაყაშვილს საბჭოთა რევიმით უკმაყოფილო ლევან (კაც) ფარეულიძემ უთხრა: „ – კომუნისტს მოელ ქისტებში მარტო სამ კაცს ვიცნობ. ოსები თითქმის ყველა პარტიულია, ყველა შეიარაღებულია. ყველა მთავ-რობაშია“ (2.93). პრორუსულად განწყობილ ოსებს საქმაო საფუძ-ველი პქონდათ იმისათვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრე ძალები სძულებოდათ. პანკისის ხეობაში დაბანაკებულ აჯანყებულებს და მათ მოკავშირეებს ადგილობრივი, ცალკეული ოსები ხშირად აბეზღებდნენ „ჩეკაში“. „ჩეკისტები“ სასტიკად უს-წორდებოდნენ მოწინააღმდეგ ძალებს. ბოლშევკიებმა პანკისის ხეობის სულიერი მოძღვარი, ქისტერი წარმოშობის მდგდელი, მათე ალბუთაშვილიც დააპატიმრეს. ლეილა მარგოშვილს თავის წიგნში მოჰყავს მათე ალბუთაშვილის ავტობიოგრაფიული ჩანაწე-რი: „ახლად შემოსულ ბოლშევკიებთან ჩემმა მრევლმა – ოსებმა – დამწამეს კონტრრევოლუციონერობა. ოსებს ენივლათ რევერმში. პანკისში რომ რუსი სალდათები გაუგებრობით ვიღაც ჩენელმა ქისტ-მოლამ დახოცა, ოსებმა ის მე დამაბრალეს. განცხადება მიეცათ, ხალხი ააჯანყაო, იმაზე დახოცეს რუსი სალდათებიო და დამატუსადეს“ (1.158). „უდანაშაულო მათე ალბუთაშვილმა ექვსი

თვე თრთაჭალის ციხეში გაატარა. ბოლშევიკების ამგვარი ქმედება მოსახლეობის წინააღმდევებობას კიდევ უფრო აძლიერებდა. შეფიცულთა რაზმი თანდათან იზრდებოდა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილმა 1922 წელს ალექსანდრე სულხანიშვილი რუსეთის წინააღმდევების წენების ასაჯანყებლად მითხოსა და ჯარებოში გაგზავნა. ალექსანდრე სულხანიშვილი ჯარებოში დიდი პატივით მიიღეს, შემდეგ კი, საქართველოში წამოსახვლელად ალექსანდრე სულხანიშვილმა სოხოვა ჯარებოებს, რომ მისთვის მეგზურად პანკისიდან გადმოსული ქისტი მოეძებნათ. შემოდგომობით ჩენენეთში მუდამ გადადიოდნენ პანკისელი ქისტები. ალექსანდრე სულხანიშვილს სულ მალე მოუნახეს ქისტი მეგზურები. ერთი მათგანი მისი თანამებრძოლისა და მმადნაფიცის, ომალოელი დათიკო ფარეულიძის ბიძაშვილი აღმოჩნდა (4. 51).

პანკისში ალექსანდრე სულხანიშვილი 1922 წლის სექტემბერში დაბრუნდა და მაშინვე შეხვდა თავის ძმადნაფიცს, დათიკო ფარეულიძეს, რომელსაც ჯერ კიდევ შეეძლო სოფელში ლეგალურად ცხოვრება.

1922 წლის ხევსურეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ჩეკისტები „შეფიცულებს“ სახტიკად დევნიდნენ, ხელისუფლებას ყოველ მაზრაში გამოყვანილი ჰყავდა მდევარი. სექტემბერში ჩენენეთიდან დაბრუნებულმა ალ. სულხანიშვილმა დეკემბერში ძლიერ შეატყობინა ქაქუცა ჩოლოყაშვილს თავისი აღგილსამყოფელი.

ალექსანდრე სულხანიშვილს ძალიან გაუმნელდა პანკისის ტყეებში სამი თვე მარტოდმარტო ხეტიალი. ოუმცა დამით თითო-თოროლა საათით ხშირად ჩადიოდა მეგობრებთან პანკისის სოფლებში და მერე კალაპ ტყეში ბრუნდებოდა, სადაც ერთი ლამაზი წაბლის ქვეშ იძინებდა ხოლმე.

1922 წლის ნოემბერში პანკისში ალ. სულხანიშვილთან მივიდა ხევსურეთის აჯანყების დროს დაჭრილი „შეფიცული“ შალიკო კანდელაკი. ახლა უკვე ორნი იყვნენ. მალე მათ შეუერთდათ ომალოელი ქისტი დათიკო ფარეულიძე, მას როგორც ახლად შემორიგებულს, კომუნისტები ალმაცერად უყურებდნენ და სახლშიც აღარ დაედგომებოდა. ალ. სულხანიშვილის ცნობით, „ის ოცდათხუთმეტი წლის მაგარი ვაჟპაცი იყო და, ამასთანავე, საუკეთესო მსროლელიც.“

სამწუხაროდ, სულ მალე დათიკო ავად გახდა. საშინელი სიცხე ჰქონდა. როგორც იყო, მთახერხეს და პანკისიდან ფერშალი ამოიყვანეს, რომლისგანაც გაიგეს, რომ მას მუცლის ტიფი სჭირდა. ამ ამბავმა „შეფიცულები“ ძლიერ შეაშფოთა. რანაირად უნდა

მოევლოთ ტყეში ავადმყოფისათვის, როდესაც მუხლებამდე თოვლი იღო და სიცივე ძვალ-რბილში ატანდა?

კლდის ძირში ერთი მაგარი, ვაკე ადგილი გამოქვენეს და ავადმყოფს იქ გაუშალეს ლოგინი, მაღლიდან კარვის პატარა ჩარდახი წამოახურეს და წინაც კარგი ცეცხლი დაუზიოეს. საკეთი დათიკოს ძმა, დანიშა, უზიდავდათ. ალექსანდრე სულხანიშვილი ავადმყოფს წითელ ლობიოს უხარშავდა, მერე მას მარილში წურავდა და ამ წევნს ასმევდა. საბერი ნელ-ნელა დაუკლო და ავადმყოფი გამოკეთდა. 21 დეკემბერს ქაქუცასგან გაგზავნილი კაცი მიუვიდათ. მას ალექსანდრე სულხანიშვილი, დათიკო ფარევულიძე და შალიკო კანდელაკი შეფიცულების ბინაზე უნდა მიევანა. დათიკო ცხენზე შესვეს, დანარჩენები წინ და უკან მიჰყებოდნენ. ძალიან სახიფათო იყო ამ გზაზე სიარული, რაღაც შეიძლება მილიციას წასწყომოდნენ, მაგრამ შეფიცულები ამისთვისაც მზად იყვნენ. ისინი მშვიდობით მივიდნენ ქაქუცას რაზმთან. მათ მატნის თავზე, მთაწმინდის ტყეებში დაედოთ ბინა (4.59).

ხევსურეთის აჯანყების შემდეგ ქაქუცას იმედი ჰქონდა, ჩეხ-ნეთ-ინგუშეთი ჯარს მიაშველებდა და გაერთიანებული ძალით ბოლშვიკებს საქართველოდან განდევნიდნენ, მაგრამ იქიდან შემოუთვალეს: ადრევული ზაფხული რომ იყოს, ქუდზე კაცი გამოვიდოდა, ეხლა კი ისეთი დროა, ვერ გამოვალოთ. პანკისელი „შეფიცულების“ აზრით, ამის შემდეგ ქაქუცამ გამარჯვების იმედი დაკარგა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმიდან უკელაზე ხანდაზმული პაასეი (არსენა) აჭიშვილი გარდაიცვალა 1994 წელს. ის პანკისის ხეობაში, სოფელ ჯოყოლოში ცხოვრობდა. პაასეი შეფიცულებს ხევსურეთის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1922 წლის შემოღომაზე შეუერთდა, როდესაც წითლებთან დამარცხებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით პანკისის ხეობაში დაბრუნდა. მომდევნო თრი წლის მანძილზე, ქაქუცას საფრანგეთში წასვლამდე, პაასეი გვერდიდან არ მოშორებია შეფიცულებს.

პაასეის გადმოცემით, ერთ დამეს შეფიცულები სოფელ ომალოს თავზე, ნაქერალის ტყეში, დაბანაკებულან. მგელი მისტანებიათ. შეფიცულებს იარაღი მოუმარჯვიათ სასროლად, მაგრამ ქაქუცას დაუშლია: – ცოდოა, ეგეც ჩვენსავით არის, მარტო კომუნისტები გამარცვეთ და დახოცეთ (3. 3).

ქაქუცას საფრანგეთში წასვლის შემდეგ პაასეის მასზე აღაფერი სმენია, თუმცა პაასეი იგონებს: „ერთხელ დოგინში ვიწერ ქი და ჩოლოყაშვილის ხმა შემომესმა, ის ამბობდა:

„დებო, იტირეთ, იტირეთ,  
ცრემლი დაღვარეთ ჩემზედაო.“

გამოვიდვიძე და თურმე სიზმარი ყოფილა... ეპს, ვაიმე, ტიალო  
დროო, მიდის და მიდის“ (3. 3).

ქაქუცას საფრანგეთში წასვლის შემდეგ ჰაასეი საბჭოთა  
მთავრობამ შეირიგა, თუმცა საბჭოთა ორგანოებს მოელი 70 წლის  
მანძილზე არ შეუწყვეტიათ მის ოჯახზე თვალოვალი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში ერთ-ერთი შეფიცულთაგანი  
იყო ომალოელი ქისტი მაჯამეტა იმედაშვილი, მეტსახელად ქოსა.  
ის სინამდვილეშიც ქოსა ყოფილა. ელიზბარ მაყაშვილი მას თავის  
მეგობრად იხსენიებს. ქოსა ძველი და თავის დროზე განთქმული  
აბრაგიც ყოფილა, ბევრი მხარე ჰქონია მოკლილი, ცოტ-ცოტა რუ-  
სულსაც ამტკრევდა. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ თხუთმე-  
ტამდე ქისტით ტყეში გაჭრილიყო და ქაქუცას რაზმს შეერთვ-  
ბოდა. შემდეგში დანარჩენებთან ერთად მთავრობას შერიგებოდა,  
მაგრამ დიდი სიფრთხილით იქცეოდა, რადგან ხელისუფლებას  
მაინცდამაინც არ ენდობოდა.

ქაქუცას რაზმში განსაკუთრებით მრავლად ომალოელი ქის-  
ტები ყოფილან. ელიზბარ მაყაშვილმა თავის მოგონებებში ფრაგ-  
მენტულად შემოგვინასა მათი სახელები: „ქოსა ომალოელი იყო.  
მის მეგობრებსაც ყველას სათითაოდ ვიცნობდი: დათიკო ფარეუ-  
ლიძე, დანიშა, მიტო, ჩიდა და სხვები. თითოეული მათგანის თავზე  
მოელ დავიდარაბას გადაეარა და რაღაც სასწაულად გადარჩე-  
ნოდა სიკვდილს. გრძელი გამოვა მათი ამბის მოყოლა. ყველა  
ისინი მთავრობასთან შერიგებულები იყვნენ, მაგრამ თავიათ  
სოფელს იშვიათად სცილდებოდნენ და მუდამ მზად იყვნენ რაიმე  
სახიფათო დროს ტყეს შეპყარვოდნენ“ (2.100).

პანკისელი ოსები სულ სხვაგვარად უყურებდნენ საქართვე-  
ლოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესების. მათი აზრით, ქაქუცა  
ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის წევრები, ყველანი, ბანდიტე-  
ბი და კონტრრევოლუციონერები იყვნენ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმელებთან პანკისელი ოსების  
ურთიერთობის შესახებ 2003 წელს საყურადღებო ცნობები მომა-  
წოდა დუმასტურელმა უხუცესმა შოთა შავლოხოვმა. მამამისი –  
ილიკო შავლოხოვი მეოცე საუკუნის ოციან წლებში ჯერ თია-  
ნეთის, ხოლო შემდეგ ახმეტის სათემო პარტიული კომიტეტის პი-  
რველ მდივნად მუშაობდა. ილიკო შავლოხოვს, როგორც იმ კუთ-  
ხის პარტიულ თავკაცს, მთავრობისაგან თურმე პანკისელი „შეფი-  
ცულების“ ხელისუფლებასთან შერიგებაც დავვალა.

როგორც ჩანს, ილიკო შავლოხოვი მეტად ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა კომუნისტებშიც და პანკისის მოსახლეობაშიც. ერთხელ ქოსა მახამას შოთა შავლოხოვისთვის უთქვამს: თიანეთიდან პანკისში მიმავალი ილიკო რამდენჯერმე მიზანში მყავდა ამოდგებული, უნდა მომებადა, როგორც ბოლშევიკი, მაგრამ მისი გაკეთებული ბევრი სიკეთე და კაიკაცობა გამსხვებია, დავფიქრებულვარ და თოფისთვის სასხლეები აღარ გამომიკრავს.

ილიკო შავლოხოვი აქტიურ მონაწილეობას იდებდა დაპირისპირებული ძალების შერიგებაშიც. კერძოდ, მან ქოსა მახამას დაჯგუფების, შოთა შავლოხოვის ცნობით, 37. ხოლო ელიზბარ მაყაშვილის მოგონებების მიხედვით, 15 კაცი ხელისუფლებასთან შეარიგა. როგორც შოთა შავლოხოვმა გადმომცა, 1922 წლის გაზაფხულზე ილიკომ გავლენიანი ქისტი უხუცესები მიუგზავნა „შეფიცულებებს“. უხუცესებმა დაარწმუნეს ისინი, რომ ილიკო არ უდალატებდათ და შემორიგების შემთხვევაში ყველას თავის სახლში დააბრუნებდა. აჯანყებულები მოლაპარაკებაზე დათანხებდნენ. შეხვედრის ადგილად დათქეს სოფელ ჯოვლოს დასავლეთით – ჭობითს ტყე. 1922 წლის 14 მარტს, დღის 12 საათზე, ჭობითს ხატის მახლობლად, ასწლოვანი მუხების ქვეშ, თავი მოიყარეს ქისტმა უხუცესებმა, იქ იყო ქოსა მახამაც. შოთა შავლოხოვის ცნობით, ქოსა მახამას თხილის ჯოხი მოუთხოვია. მას ჯოხის ერთი ბოლო მიწაზე დაუდია, მეორე უკრთან მიუტანია და უთქვამს: – ილიკოს ფეხის ხმა მესმის, ეხლა საკობიანოს ფშას გამოსცდათ“. მართლაც, 15 წელის შემდეგ ილიკო შავლოხოვი თავისი წაბლისფერი იორდა ცხენით ჯოვლოს ბოლოსთან გამოჩენილა. ჭობითსთან ქისტი უხუცესები დახვედრიან. ცხენი დუმას-ტურელ ახალგაზრდას, გიგი ცხოვრებოვს ჩამოურთმევია. ქისტებს ილიკო განზე გაუყვანიათ და ქოსა მახამასთან შეუხვედრებიათ. ქოსას მიუძახებია: – დალატი არ იყოსო! ილიკოს დაუფიცია, რომ არ უდალატებდათ და ქოსა მახამასთვის უთქვამს: – შენი ჯგუფის წევრები შემახვედრე, გავეხაუბრები და ამის შემდეგ თუ არ შეურიგდებით ხელისუფლებას, თქვენი ნება იყოსო!

შოთა შავლოხოვი გადმოგცემს: „მართლაც, ჭობითში დაბანაკებული 37 კონტრრევოლუციონერი ბანდიტი შეხვდა ილიკო შავლოხოვს. ისინი ადრევე იცნობდნენ ერთმანეთს. მოლაპარაკება ორ საათს გაგრძელდა. ილიკო შავლოხოვმა პირობები გააცნო, ესაუბრა მათ სოციალიზმისა და კომუნისტების პროგრამის შესახებ. ბოლოს შერიგებაზე შეთანხმებულან. ილიკომ შერიგების ფუ-

რცლები ყველას სათითაოდ დაურიგა და ბანდიტები სახლებში გაუშვა.

ადსანიშნავია, რომ ეს შერიგება მთლად მტკიცე არ ყოფილა. შემორიგებულებს ჩეკისტები უთვალთვალებდნენ და დამშვიდებული ცხოვრების საშუალებას არ აძლევდნენ. ერთი სიტყვით, ზოგიერთი მათგანი იძულებული გამხდარა ისევ ტყეში გასულიყო. მაგალითად, ომალოელი დათიკო ფარეულიძე კომუნისტებმა ჯერ თითქოს შემორიგეს, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ის კვლავ „შეფიცულთა“ რაზმს დაუბრუნდა, რადგან მას დევნიდნენ. ჰაასეი აჭიშვილის ცნობით, მოგვიანებით დათიკო ფარეულიძე გადაუსახლებიათ, საიდანაც ის ცოცხალი აღარ დაბრუნებულა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის საქართველოდან წასვლის შესახებ კი ჰაასეი ასეთ ამბავს იხსენებს. ერთხელ ომალოს ტყეში დაბინავებულ ქაქუცასთან ერთი კაცი მისულა და უთქვამს: „დატოვე ომალო, თორემ სოფელს ააოხრებენ“ (3. 3). ქაქუცა თავისი შეფიცულთა რაზმით წასულა, თუმცა წასვლის წინ დუისში, ერთ-ერთ ოჯახში, ქისტებს მისთვის დიდი გამოსამშვიდობებელი ნადიმი მოუწყვიათ. ამის შემდეგ ქაქუცამ შეფიცულებთან ერთად დატოვა საქართველო და საფრანგეთს შეაფარა თავი.

ტრაგიკული იყო შეფიცულთა ხვედრი. მათი პოლიტიკური იდეალები დამსხვრა, მაგრამ შეფიცულთა მოღვაწეობამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა მაღალი ადამიანური დირებულებების დამკვიდრებას, თანამედროვეთა შორის პიროვნული თავისუფლებისა და დირსების გრძნობის გადვივებას. შეფიცულებმა მომავალ თაობებს შემოუნახეს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა, საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური მრავალსის მქონე ხალხებს შორის განამტკიცეს მმობა და მეგობრობა, მოქალაქეობრივი შეგნება.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ბარგოშვილი ლ., პანკისის ხეობა, თბ., 2002. 2. მაყაშვილი კ., ჩემი თავისადასავალი, მონაცემი (ნაშრომი გადმომცა პროფესორმა ზურაბ კიქნაძემ). 3. საგინაშვილი ლ., ჰაასეის ტკიცილიანი მოგონებანი წარსულზე გაზ. „წუთისოფელი“, თბ., 1991. №9. 4. სულხანიშვილი ალ., მოგონებები შეფიცულთა რაზმები, სან-ფრანცისკო, 1981.

## მანანა გაბური

### მთის ხალხური პოეზიით მეცნიერული დაინტერესების დასაწყისი საქართველოში

საქართველოს კუთხეების ეთნიკური მრავალფეროვნება და მდიდარი ხალხური სიტყვიერება განათლებული, წიგნიერი ხალხის ფურადღების არეში XIX საუკუნიდან მოექცა. ილია ჭავჭავაძეს დიდი სურვილი ჰქონდა ყოველ-მხრივ შესწავლილიყო უბრალო ხალხის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, იგი მიესალმა ხალხური პოეზიის ინტენსიური შეკრების გაჩაღებას, მაგრამ ურ-ჩევდა ამ საქმის მოთავეებს, მთლიანობაში განეხილათ და გაეშუქებინათ ხალ-ხის ცხოვრების სხვა მხარეებიც: „სადაც მდაბიო ხალხის ცხოვრების შეს-წავლა ნამდვილ გზაზედ არის დაყენებული, სადაც შეგნებული აქვთ, თუ რა საუნაკეა დარწენილი სხვადასხვა ჩვეულებებში, იქ მდაბიო ხალხის ყო-ველგვარ ჩვეულებას, ცხოვრების ყოველგვარ საგანს ჯეროვანს ყურადღებას აქცევნ და გამოუკვლეველად არაფერსა სტოვებენ. სწორედ ამგარ შესწავ-ლას და გამოკვლევას მოაქვს სასარგებლო და კეთილი ნაყოფი; მხოლოდ ამნაირის შესწავლით და გამოკვლევით შეიძლება ყოველმხრივ შევიგნოთ ხალხის წარსული და აწმყო, იმისი ავი და კარგი, იმისი წადილი, საჭიროება: სადაც ასე არ არის, იქ ყოველთვის შესაძლოა შევცდეთ და ვერ შევიტყოთ – რა სურს ხალხს და რას აქცევს ზურგს იგი“ [6,163].

ილია ჭავჭავაძის მოთხოვნების მართებულობა უჭვგარეშეა და ქართული საზოგადოებაც, ბუნებრივია, მთლიანად გაიზიარებდა მას. განათლებულმა ქართველობამ მართლაც მეგიდრი საფუძველი ჩაუყარა ხალხის უძველესი ზენ-ჩვეულებების, სხვადასხვა ყოფითი მხარეების შესწავლას და მეცნიერუ-ლი სკოლის შექმნას.

ქართველ და უცხოელ ეთნოგრაფებსა და ფოლკლორისტებს ყოველ-თვის აინტერესებდათ საქართველოს მთა, რაღან იქ ეგულებიდათ შემორ-ჩენილი უძველესი ადათ-ჩვევები და რიტუალები. საქართველოს მთიანეთით დაინტერესებამ ფართო მასშტაბებს მიაღწია. XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ისიც კი დაიწერა, რომ უცხოელი მეცნიერები გაცილებით უფრო ხშირად მოგზაურობენ სვანეთსა და ხევსურეთში, ვიდრე ქართველებით.

სვანეთი და ხევსურეთი ეთნოგრაფებისა და ფოლკლორისტების საგან-გებო დაინტერესების საგნად იქცა, რაღან აქ შემონახული ცხოვრების რიტმი, ადამიანთა მეტყველება, პოეზია და რიტუალები სრულიად არქაულ იერს ინარჩუნებდა და ეგზოტიკური მომზიბდელობით ატყვევებდა შორიდან მაცქე-რალთ. უფრო ახლოს მცნობი ხევსურებსა და სვანებსაც ძველი კულტურის

მატარებლებად მიიჩნევდნენ, რაც ინტენსიური დაკვირვების საფუძველი გახდა და რამაც აშგარად კეთილი ნაყოფი გამოიიღო. მართალია, ფაქტობრივი მასალის შეკრება და შესწავლა შედარებით გვიან მოხდა, მაგრამ ფოლკლორით ვროპაშიც მოგვაინებით (XIX ს. დასაწყისი) დაინტერესდნენ. თეომურაზ ჯაგოდნიშვილი წერს: „ქართული ფოლკლორის ძირითადი „ფონდი“ შედარებით გვიან, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან არის ჩაწერილი. ამის გამო ეროვნული ზეპირსიტყვიერების თავისთავადობის მაუწყებელმა მასალამ ჩვენამდე ფრაგმენტულად მოაღწია. ეს გარემოება, რასაკვირველია, ამნელებს ერთანი სურათის შექმნას. ამის გამო ზოგჯერ ერთობ სათუოც კი ხდება ასეთი მასალის არსებობა საერთოდ; ჭირს მისი მტკიცება. ამის სამწუხარო მაგალითად თუნდაც ქართული მითოსიც იკმარებდა“ [8,4].

საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვანება წარმოშობს მთელ რიგ თავისებურებებს, რაც ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მრვალმხრივი შტრინგებით გამოიხატება. ხევსურეთი ამ მრავალფეროვნების თვალსაზრისით ერთერთი საინტერესო და მნიშვნელოვანია კუთხეა. ამითაა განპირობებული მისადმი გამოჩენილი განსაკუთრებული ყურადღება; ს. მაკალათია ასე ასაბუთებს ხევსურეთისადმი მკვლევარ-მეცნიერთა საყოველთაო ყურადღებას: „ხევსურეთი თავისი ყოფა-ცხოვრების პრიმიტივობით და ნივთიერი კულტურის არქაული ფორმებით კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს მთიელებში წარმოადგენს ფრიად საინტერესო კუთხეს. ამიტომ ხევსურეთის გაცნობა, მისი შესწავლის მიზნით, დაიწყო ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან და ეს ინტერესი დღემდე არ შენელებულა. სოციოლოგები და ეთნოგრაფები ხევსურეთში ეძებდნენ კავკასიური კულტურის „პრიმატებს“ და ადამიანის საზოგადოებრივი განვითარების პირველადი ფორმაციის გადანაშთებს. მოგზაურები ხევსურეთს ეტანებოდნენ, როგორც ეგზოტიკურ სანახაობას და აქ ეძებდნენ ჯვაროსანთა წინაპრებს“ [2,5].

ხევსურეთის ერთგვარმა ჩაკეტილობამ ამ კუთხეს თავისი ადათ-წესები თითქმის უცვლელად შემოუნახა. ხევსურეთი ორ ნაწილად იყოფა: პირიქეთი და პირაქეთი ხევსურეთი. ს. მაკალათიას აზრით, გეოგრაფიული სახელწოდება „ხევსურეთი“ წარმომდგარია გეოგრაფიული გარემოდან, რომელიც ღრმა ხევებით არის დაღარული. ხევსურეთს ქისტეთი, ფშავი, თუშეთი, ხევი და გუდაყარი ესაზღვრება. მის მოსახლეობას ყოველთვის უჭირდა. ნაკლებმოსავლიანი ნიადაგი და ბუნების სიმკაცრე განსაკუთრებულ გულმოდგინებასა და ერთგულებას მოითხოვდა ხევსურებისაგან. XX ს. 50-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ თავის სამიქედო გაგმაში ხევსურთა ბარად ჩამოსახლება დაისახა და აღასრულა კიდეც. დღეს ხევსურები საქართველოს სხვადასხვა რაიონში ცხოვრობენ: ღუშეთში, ყაზბეგში, საგარეჯოში, მცხეთაში, ახმეტაში, წითელწყაროში და სხვ.

ხევსურული მეტყველება ქართულ დიალექტოლოგიაში განსაკუთრებულ მოვლენად ითვლება, რადგანაც „ბევრი მისი თავისებურება მნიშველოვანია ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით“ [1,1].

„ქართული დიალექტოლოგიის“ ავტორებს ხევსურულთან მიმართებით ისიც აღუნიშნავთ, რომ: „ხევსურული, ისე როგორც ხევა დიალექტები, დღითი დღე კარგავს თავისებურებებს და უახლოვდება საერთო ქართულს. დიალექტთა ნიველირება გამოწვეულია ლიტერატურული ენის დანერგვით ფართო მასებში და ახალი ყოფის შექმნით, რაშიც ასე ერთგულად იღებს მონაწილეობას ხევსური ახალგაზრდობა“ [1,2].

ჩაკეტილი და იზოლირებული საზოგადოების რღვევასთან პირდაპირ არის დაკავშირებული ძველი რწმენა-წარმოდგენების გადასხვაფერება და გამარტივება. ხევსურებში ხატის მსახურთა იერარქია, მათი საკრალური მსახურებანი, მათი სასულიერო ტექსტები ასე თუ ისე სრულყოფილად არის შესწავლილი და მოძიებული.

მეცნიერების ფურადღება ხევსურეთისადმი კიდევ უფრო გაიზარდა პოეტური საგანძუროს გამომზეურების შემდგომ. პირველხარისხოვნი პოეტური ტექსტები თავისი მნიშვნელობით გასცდა ფოლკლორის ფარგლებს და მიიპყრო გაცილებით ფართო საზოგადოებრივი სპექტრის კურადღება. პავლე ინგოროვასათვის ხევსურული ძველი, არქაული საქართველოს მეტყველება იყო, გრიგოლ რობაქიძეც სრულიად იზიარებს ამ აზრს: „ფშავხევსურული ფშანა ქართულისა. 1917 წელს პავლე ინგოროვამ თქვა ერთხელ ჩემთან გასაუბრებისას: ფშავ-ხევსურული არქაული ქართულია და არა პროვინციალიზმით. მე დავაზუსტებდი: ერთი ძველთამაველი ფენა ქართულისა. მთებში შერჩებილი და დღემდე ცოცხალი... ფშავხევსურული მართლაც სალი კლდის ნაკვეთია ყოველ თქმაში. კვეცილი ფორმა ამ ფშანისა მკვეთრია ძალზე და დავუმატებდი: ვაჟურ-მკვრივი-, სწორუბოვარი ელლიპსი ქართულისა – ართქმული, გარნა ნაგულისხმევი – ფშავ-ხევსურულში მოშვილდულია პირდაპირ“ [3,101].

ფშავ-ხევსურულის არქაულ ქართულად, ქართულის „ფშანად“ მიჩნევა ზემოთ დასახელებული პირების მიერ ნაწილობრივ გაიზიარა ქართულმა საზოგადოებამ, ხოლო ამ აზრის საყოველთაოდ აღიარებას უფრო სხვაგვარი შესწავლა და კვლევა სჭირდებოდა. ასეთი ამაგი ხევსურულს აკაკი შანიძემ დასდო. მან ქართული ენის სტრუქტურის შესწავლა დიალექტების კვლევით დაიწყო. 1911 წ. ზაფხულში ფშავ-ხევსურულის შესწავლა გადაწყვიტა და ერთი თვე იმყოფებოდა მთაში. 1913 წელს კვლავ დაბრუნდა ამ აღგილებში. ალ. ჭინჭარაულის წიგნში „აკაკი შანიძე-მთის მკვლევარი“ დაწვრილებით არის აღნიშნული, სად და როდის შეკმნა და გამოქვეყნდა აკაკი შანიძის გამოკვლევები, რა მნიშვნელობა აქვთ მათ ჩვენი მეცნიერებისათვის. ალ. ჭინჭარაული ეხმიანება ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს, პ. ინგოროვას და გრ. რობაქიძეს ადრევე რომ გამოუთქვამთ და აღნიშნავს: „არ იქნება გადაჭირბებული, თუ

ვიტყვით, რომ აკაკი შანიძემ „დაფუძნა მკვიდრ საძირკველზე ქართული დიალექტოლოგია. მან სწორედ აღმოსავლეთ საქართველოს მთით დაიწყო და ეს არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. მთის დიალექტებს კარგად აქვთ შემონახული ძველი ქართულის ბევრი ენობრივი ფორმა, სანტაქსური წყობა და ლექსიგა. ამდენად, ქართული ენის მკვლევარი ამ დიალექტებს გვერდს ვერ აუგვლის“ [7,9].

აკაკი შანიძემ „გევსურული მასალები“ გამოაქვეყნა 1924 წელს, ეს იყო აკაკი შანიძისა და ბესარიონ გაბურის მრავალწლიანი გულითადი და ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგი. წიგნის ავტორის სახელი და გვარი აკაკი შანიძემ ასეთი დაწერილობით შესთავაზა საზოგადოებას - ბესარიონ გაბუური. ბესარიონ გაბურის „გევსურული მასალები“, საერთო აზრის თანახმად, არის უაღრესად საინტერესო და საყურადღებო ნაშრომი, ჩაწერილი დიდი ცოდნითა და ცოცხალი ენით. ბესარიონ გაბურის მასალების მნიშვნელობას აკაკი შანიძე ასე წარმოაჩენდა და წარუდგენდა საზოგადოებას: „მთავარი მიზანი, რომელიც დასახული გვქონდა ბეს. გაბურის მასალების გამოცემის დროს, იყო გევსურული კილოს შესწავლა და გამოკვლევა. არა ეთნოგრაფიული წერილებისა და ლეგენდების შინაარსი, არა „ნალხური“ პოეზიის ნიმუშების გამოქვეყნება თავისთავად, არამედ ამ მასალების ენა, - აი, რა გვაინტერესებდა უპირველეს ყოვლისა. დღვევანდელ ქართულ კილოებს შორის გევსურულს, უთუოდ, უპირველესი ადგილი უჭირავს; დიდია და განუზმელი მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის. ამ მეტად თავისებური კილოსთვის აქამდის ძალიან მცირე მასალა მოგვეპოვებიდა და ისიც ზოგიერთი გრამატიკული მოვლენის შესახებ. სრულებით არ გაგვაჩნდა ტექსტები და სწორედ ამ ნაკლის შესავსებად გამოვეცით ეს მასალები“ [4,335]. აკაკი შანიძე ბესარიონ გაბურის ტექსტებს ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და დიალექტოლოგიური თვალთახედვით. ამ ტექსტებით შეივსო მანამდე არ სებული ხარვეზებით, წერს ცნობილი ქართველი მეცნიერი და დასხენს: „ბესარიონი მელექესეა თვითონ, ნიჭით იგი არ ჩამოუვარდება პირველხარისხოვან „მათქამებს“ გევსურეთში. მის ლექსებში ყველაზე უფრო საყურადღებოა პოემა „ნათულა და გამახელა“, რომელიც დიდი გრძნობით არის დაწერილი და რომლის ბოლოც, სადაც ბათირა ხუცესი ქალვაჟს „ხატში“ ამწყალობნებს (ია თავი), მშვენიერი ნიმუშია ნამდვილი პოეტური შემოქმედებისა“ [4,334].

აკაკი შანიძისა და ბესარიონ გაბურის ურთიერთობამ ხევსურული ლექსის, ხევსურული გადმოცემებისა და მითების სამყარო დაუახლოვა სრულიად საქართველოს. საყოველთაო აღიარებისა და შესწავლის საგანი გახადა „არქაული“ ხევსურეთი. ამასთანავე, თავად „მათქვამთა“ შორის ერთ-ერთი საინტერესო პირიც ცალკე გამოიკვეთა და გაბურთა გვარიც საქვეყნოდ ცნობილი გახადა ბესარიონ გაბურის „გევსურულმა მასალებმა“. ქართულმა ფილკლორისტიკამ სერიოზული კვლევა-ძიების პირველი მაგალითი მოგვცა. „განვიზ-

რაზე, რომ რევიზია მეყო და თავი მომექარა პირველად მთელი მასალისათვის, რომელიც საქართველოს ერთ კუთხეს შეეხება, მთას, შემეგსო ძველი ფონდი ჩემ და სხვათა მიერ ახალჩანაწერი ნიმუშებით. დამერთო სათანადო ახსნა-განმარტებანი და ლექსიკონი და ამგვარად შემოწმებულ-გაცხრილული, გა-მართული და დაღაგებული მიმეწოდებინა მკითხველისათვის, როგორც სანდო მასალა და ამით საფუძველი დამედო ხალხური პოეზის მუცნიერული გამო-ცემისათვის და გზა გამეცაფა ფართო და სერიოზული ფოლკლორისტული კვლევა ძიებისათვის ჩვენში“ [5,03], -წერს აკაკი შანიძე. როგორც ვხედავთ, ბესარიონ გაბურის ტექსტებით საფუძველი ჩაეყარა „ხალხური პოეზის მეცნიერულ გამოცემას“ და სათავე დაედო „სერიოზული ფოლკლორისტული კვლევა-ძიების“ საქმეს საქართველოში.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. გიგინეიშვილი ი., თოფურია ვ., ქავთარაძე ი., ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბ., 1961. 2. მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1984. 3. რობაქიძე გრ., ვაჟას ენგადი, იხ. გრ. რიბაქიძე, კრებული, მიუნისენი, 1984. 4. შანიძე ა., ხევსურული მასალების გამო, „წელიწდებული“, I, ტფ. 1924. 5. შანიძე ა., ქართული ხალხური პოეზია, I, ხევსურული, ტფ., 1931. 6. ჭავჭავაძე ილ., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987. 7. ჭინჭარაული ალ., აკაკი შანიძე – მთის მკვლევარი, თბ., 1977. 8. ჯაგოდინშვილი თ., წინასიტყვაობა რ. ერისთავის ფოლკლორულ-ეთნოგრა-ფიული წერილებისა, თბ., 1986.

## მაყვალა კოჭლავაშვილი

### სახოტბო საწესჩვეულებო ლექს-სიმღერების შესრულების ტრადიცია

სახოტბო ლექს-სიმღერა ქართული ხალხური პოეზიის უძველესი უნიკალური განვითარებული და განვითარებული სიმღერებია. სახოტბო სახოტბო ლექს-სიმღერები მოეხდინათ ზებუნებრივ ძალებზე. კეთილად განეწყოთ ისინი, მათი შემწერობით დოკუმენტების მოეპოვებინათ. ამრიგად, ხოტბის რიტუალს წესჩვეულების შესრულების დროს გარკვეული დანიშნულება პქონდა. უძველესი სიმღერები მიმართული იყო ფანტასტიური არსებისადმი, რომელიც ადამიანის სახით წარმოედგინათ. ასეთი ლექს-სიმღერები ჩვენამდე მცირე რაოდენობითაა მოღწეული. შემდგომ ხანებში ამ ლექს-სიმღერებმა თანდათან დაკარგეს თავიანთი თავდაპირველი მნიშვნელობა და მათი მიზანი გახდა გამორჩეული ადამიანების საქვეყნოდ შექება, ქების ობიექტის გაიდეალება, მისი არაჩვეულებრივი თვისებების წარმოჩენა, სახოტბო პოეზიის მიზანმა განსაზღვრა მისი პოეტიკა, კომპოზიციისა და გამომსახველობითი საშუალებების მრავალფეროვნება, დიალოგური და მონოლოგური ფორმები, სათქმელის აღწერითი ხასიათი. ამრიგად, სახოტბო ლექს-სიმღერებში, გამომდინარე მისი ფუნქციიდან, მიზანდასახულობიდან, აისახა ხალხის იდეალები ადამიანის სულიერ და ფიზიკურ სიღა-მაზეზე, ღირსებებზე, ქცევაზე, ბედნიერ ცხოვრებაზე. სახოტბო ლექსებში ამა თუ იმ პიროვნების შექება გარკვეული სქემებით ხდება. აღიწერება მისი გარეგნობა, მოქმედება და ა.შ. რაც გარკვეულად იწვევს ერთი და იგივე ან მსგავსი მოტივების დომინირებას.

წერილობით ძეგლებში, მოყოლებული მე-12 საუკუნიდან, გვხვდება ცნობები საწესჩვეულებო სახოტბო ხასიათის ლექს-სიმღერებისა და მათი შესრულების შესახებ, რაც უდავოდ მოწმობს საქართველოში საწესჩვეულებო სახოტბო სიმღერების მძლავრ ტრადიციას.

ხატობებსა და სხვადასხვა თავყრილობის დროს შესასრულებელი სახოტბო ლექს-სიმღერები თავისი არქაულობით დიდ ინტერესს იწვევს. როგორც აღვნიშნეთ, ამ ტიპის სიმღერებში ადრესატი ზოგ შემთხვევაში ფანტასტიური არსებაა ადამიანის სახით წარმოდგორენილი (ღვთისშვილები, ბატონები და სხვა), ხოლო ზოგჯერ გამოჩენილი ისტორიული პირი, ტომობრივი გმირი. სიმღერაში შექებული მათი ფიზიკური ძალა, გარეგნობა, ჩაცმულობა, საქციელი. ლექსები აღწერითი ხასიათისაა. ისინი აუცილებლად უნდა შესრულებულიყო ხატობებში. ამის ტრადიცია საქართველოს მთაში, როგორც აღინიშნა, დღესაც დასტურდება. გამომდინარე ამ ფაქტიდან, სახოტბო ფანრს

დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველი ლექსი გუნდურად სრულდებოდა და მჭიდროდ იყო დაკავშირებული მაგიურ და რელიგიურ მსოფლმხედველობასთან.

დღემდე შემორჩენილი საწესრეულებო სახოტბო სიმღერები უმეტესად საფერხულოა. აღსანიშნავია, რომ მათ რიტუალის შესრულების დროს გარკვეული ადგილი ეკაგათ: ჯერ უნდა ემღერათ ამა თუ იმ გმირისადმი მიძღვნილი ხოტბა, ხოლო შემდგომ მასზე შექმნილი საგმირო ქმედების შემცველი სიმღერა. საწესრეულებო სიმღერების შესრულების ეს თანმიმდევრობა დაცულია ფოლკლორული მასალის ჩამწერების მიერ მთელ რიგ ჩანაწერებში. მაგალითად, ავიღოთ ერთ-ერთი გავრცელებული საფერხულო ლექს-სიმღერა „იახ-სარის ლექსი“, რომელიც, როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, სრულდებოდა როგორც იახსარის, ისე კოპალას სახელზე ხევსურეთისა და ფშავში გამართულ ხატობებში. ამ საფერხულო ლექს-სიმღერის უმეტესი ვარიანტები, რომელიც ა. შანიძეს აქვს გამოქვეყნებული, ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი – იახსარის ქებას წარმოადგენს, ხოლო მეორე ნაწილში კი მოთხოვთ ამბავი, როგორ გაუმცლავდა იახსარი დევებს (1,57). ამგვარად, ლექსის პირველი ნაწილი, უფრო ზუსტად, შესავალი ნაწილი სახოტბო ყანრს განეკუთვნება, მეორე ნაწილი კი ლირო-ეპიკურ ყანრს. მაგრამ თუ გავაანალიზებთ ტექსტს, დავინახავთ, რომ ფაქტიურად ამ შემთხვევაში ჩვენ იახსარზე გამოთქმული ორი დამოუკიდებელი ლექსი გვაქვს, რომლებსაც ფერხულში ერთი-მეორის მიყოლებით ასრულებდნენ. ა. შანიძეს ეს ვითარება გათვალისწინებული აქვს და, თითქმის ყველა ვარიანტში ეს ორი ნაწილი ერთმანეთსაგან გამოყოფილია გამყოფი ხაზით, რაც მამანიშნებელია ლექსების სწორებ ამგვარი დაყოფისა.

ბევრ ვარიანტში იახსარის სიმღერასთან გაერთიანებულია მესამე ლექსიც, თამარ მეფისადმი მიძღვნილი სახოტბო ლექს-სიმღერაც და ეს სიმღერაც, ისევე, როგორც იახსარის შესაქები სიმღერა ჩამწერს გამოყოფილი აქვს გამყოფი ხაზით, რომ უფრო ნათელი გახდეს ეს სურათი, მოგვყავს ჩანაწერი:

დვოთის კარზე შავიყარენით სამოცდასამი ხატია,

დაგვიდეს სასწორ-ჩარექი, ოქრო ნაჭედი ტახტია.

სამოცსა ფუთსა რკინასა ვერვინ შაუგდო ძალია.

ქვემოთთ დავვე ტახტზედა, კვირას ჩემკე აქე თვალია.

„მაგას იაგსარ აიღებს, – არაგვის მერისა არია.

ავსწიე, ისე ავიღე, ქვეშ გაუტარე ქარია.

მაჩუქა დამბადებელმა მშენლდ-ლაზტი საომარია (1,58).

აქ თავდება იახსარისადმი მიძღვნილი ხოტბა, რომელიც გამოყოფილია ხაზით და შემძევ მას მოსდევს მეორე ლექსი, კერძოდ, იახსარის დევებთან შებმის ამბავი, რომელიც მითიური, ლირო-ეპიკური ლექს-სიმღერაა:

შეიყრებიან დევები, სადაც დიდ მოედანია,

გაარიგებენ იმასა: „ერთურთს უჭიროთ მხარია.

დვოთისშვილთ მოუკლათ კოპალა, თვალში დაუცნეთ ქვანია და ა.შ.

ამ ლექსის შეკმდეგ ისევ გამყოფი ხაზია და შემდეგ ოწყება სახოტბო ლექს-სიმღერა თამარ დედოფალზე:

შვილი წლის ქალი თამარი მეფედ თქვეს, დედოფალია,

ზღვის პირზე შავიყარენით, შაგვექნა საომარია.

ზღვასა გადაპკრა ჩიქილა, გადააქნნა წყალნია.

შუა ზღვას ჩადგა სამარი, არ გადმოსცილდეს ცვარია.

შიგ ააშენა სიონი, დაადგა ოქროს ჯვარია.

სახელი თამარ მეფისა ზედ დაწერა, გვარია

ურჯულოთი და თათარო ყველას სარწმუნომც არია! (1,582).

როგორც ვხედავთ, შანიძის მიერ დაბეჭდილი № 542 „იახსარის სიმღერა“ რამოდენიმე დამოუკიდებელი ლექსისაგან შედგება, მაგრამ, რადგან ერთმანეთის მიყოლებით სრულდებოდა, ჩამწერს ამ სახითა აქვს ჩაწერილი, ოღონდ თითოეული ლექსი ერთმანეთისაგან გამოყოფილი აქვს. ჯერ სრულდებოდა სახოტბო ლექსი ამა თუ იმ გმირზე, ამ შემთხვევაში იახსარზე, შემდეგ გადმოცემული იყო მისი უმაგალითო გმირობის ამბავი. სახოტბო ლირიკული და ლირო-ეპიკური ლექსების ამგვარი თანმიმდევრობა ამყარებს ზემოთ აღნიშნულ, ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას სახოტბო ლექსის ფუნქციის თაობაზე საკრალური ინსტრუმენტებისადმი ლექსით შესხმასთან დაკავშირებით, კერძოდ, რომ ძველად ამ მიმართვა-ხოტებს გარკვეული ფუნქცია ჰქონდა. „ისტორიულმა პოეტიკამ ასეთი ხა-სიათის მიმართვა იცის უძველესი ძროიდან მოყოლებული დღევანდლამდე და იცის ყველაგან... ალბათ, ძველად განვთიარების იმ საფეხურზე ჩვენი მომ-დერლის პრელუდის ადრესატიც კი სხვა იქნებოდა, რომელიც შემდგომ გან-ვითარების საფეხურზე დავიწყებას მიეცა და ხოტბის საგნად თვით ინსტ-რუმენტი იქცა“ (2,185).

ჩანაწერებიდან ვხედავთ, რომ ღვთისშვილებისადმი, ისტორიული პირებისადმი მიძღვნილი ლექსები რიტუალის თავშივე სრულდებოდა. სახოტბო ლექს-სიმღერების შესრულების ამ ტრადიციას ადასტურებს საწესჩვეულებო ლექს-სიმღერები „ბატონებზე“. „ბატონებისადმი“ განკუთვნილი რიტუალის დროს ჯერ სრულდებოდა „ბატონებისადმი“ მიძღვნილი სახოტბო ლექსი და შემდეგ მას მოსდეველა სავედრებელი სიმღერა.

ამგარად, საწესჩვეულებო ცერემონიალი სახოტბო ლექს-სიმღერების შესრულების გარკვეულ წესზე მიგვანიშნებს. კერძოდ, სახოტბო ლექს-სიმ-ღერა უნდა შესრულებულიყო რიტუალის დასაწყისში.

**დამოწმებული ღიატერატურა:** 1. აკ. შანიძე, ხალხური პოეზია, ტფ., 1931.  
2. ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961.

## თამარ გოვოლაძე

### ცხოველთა ზღაპრების მხატვრული გააზრება

საშეარო უსასრულოდ მრავალფეროვანია. ადამიანი ყოველთვის ცდილობდა მის შეცნობას, რაც ხელოვნების სხვადასხვა დარგში განსხვავებულად აისახა. ფოლკლორი, კერძოდ, ზღაპარი, აზროვნების თავისებური ფორმაა, მისი ავტორი არ არის ერთი პიროვნება, მწერალი, რომელიც შეიძლება დაგახსასიათოთ ინდივიდუალური მწერლური მნიშვნით ან სტილით. მწერალი ხალხია, ერთი ნაწარმოები ცვლილებას განიცდის სხვათა ხელში – ზოგი მიუმატებს რამეს, ზოგი გამოაკლებს. ზღაპარს აქვს თავისი სპეციფიკა, რაც მას განასხვავებს სხვა უანრებისგან.

ცხოველთა ზღაპრები დღესაც დიდი ინტერესით ისმინება. მას ახასიათებს სადა ენა და ლაკონური თხრობა. ცხოველთა შორის ურთიერთობები ადამიანურია. „გარდა მეტყველებისა და აზროვნებისა, ის ჩვეულებრივ კაცთა ცხოვრებით ცხოვრობს“ (7), მიწას ამუშავებს (4,13), ცეცხლს ანთებს (4,9), ისინი ერთმანეთს რჩევას აძლევენ (4,25), დანას ლესავენ (3,9), ნათლობაში დადიან (4,18), მარხულობენ (4,14). ისინი ერთმანეთთან ადამიანურ ურთიერთობებს ამყარებენ, ჰყავთ: ცოლი, შეკილი, ბიძა და სხვა.

ცხოველთა ზაპრის პერსონაჟებს შორის დამოკიდებულება მუდამ კონფლიქტურია, მიუხედავად იმისა, რომ ზღაპრის დასაწყისში მათ შორის დამოკიდებულება კეთილმეგობრულია, ხშირად ისინი ერთმანეთთან ძმობილდებიან კიდეც. ისინი ურთიერთს საკვების მოსაპოვებლად უპირისპირდებიან, მაგალითად: დათვი, მელია და მგელი დამმობილდენ, იპოვეს საკვები და დაიწყეს გაყოფა, მაგრამ დათვმა მეზობლები „ცარიელზე გაუშვა“ (5, 366), დათვი და მელია დამმობილდნენ. მელიამ საკვების გამო დათვი არ დაინდო და მოტყუებით კლდეზე გადააგდო (5,368). ყოველივე ეს თავშესაქცევად, იუმორის გრძნობით არის მოთხრობილი. ამავე დროს, ცხოველთა ზღაპრის ორსახოვანი გმირი დაფარული აზრის მატარებელია, რომლის არსესაც უნდა ჩავწევდეთ.

ცხოველთა ზღაპრებში შემონახულია უძველესი კულტურა და ცხოვრებისეული გამოცდილება. აქ ხდება მოდელირება იმდროინდელი შრომითი საქმიანობებისა, ურთიერთობებისა და წეს-ჩვეულებებისა, როცა ის შეიქმნა.

„საკუთრივ ცხოველთა ზღაპრების ნიმუშთა სწორად გააზრებისათვის აუცილებელია შესაბამისი ეპოქის, აზროვნების, მსოფლმხედველობის, რწმენა-წარმოდგენების, სოციალური გარემოს გათვალისწინება“ (6,10). ცხოვრებისეულ გამოცდილებას ხალხი ინახავს მეხსიერებაში და გადმოგვცემს სინამდვილეს მხატვრულ სახეებში – აქ სინამდვილესთან შერწყმულია ხალხის შეხედულება, ფანტაზია, მისწრაფება, ოცნება. მხატვრულ სახეში თავს იყრის არა მხოლოდ მხატვრის შემოქმედებითი ფანტაზიით გადმუშავებული ფაქ-

ტები სინამდვილისა, არამედ აგრეთვე მისი პირადი დამოკიდებულება გამოსასახთან...“ (1,217).

ცხოველთა ზღაპრებში ზერელედ, მაგრამ მაინც თავმოყრილია ამა თუ იმ ხალხის ყოფილისათვის დამახასიათებელი ნიშნები, ის თვისებები, რაც ადა-მიანური ურთიერთობებისათვის არის ნიშანდობლივი. ყოველივე ეს გადმოცე-მულია ნათლად, განსაკუთრებული ემოციური ფონის გარეშე. „ცხოველთა შესახებ ზღაპრებში იგრძნობა შემოქმედთა ძალზე ორიგინალური ხელწერა და მკაფიო, ნათელ შინაარსს დამორჩილებული ადეკვატური ფორმა“ (2,89). ცხო-ველთა ზღაპარი სინამდვილეს კომიკურ ელფურში გვაძლევს. ცხოველთა შო-რის ურთიერთობები ღიმილისმომგვრელია და სასაცილო თუნდაც იმ შემთხ-ვევაში, როცა ერთ-ერთი გმირი კვდება ან მარცხდება, მაგალითად, „გაჰყვა დათვი კვახის რისის და გადავარდა კლდეზე“ (5, 368). ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, გმირის გამარჯვება-დამარცხებას განსაზღვრავს ტოტემი. „იმ უძველეს ეპოქაში მთელიტომები და ცალკეული ადამიანებიც თავიანთი ტო-ტემების – პირველწინაპრების სახელებით იწოდებოდნენ. ყოველი ტომის სა-ხელწოდება აღნიშნავდა კაცს და ასევე ტოტემს. ამ ეპოქის ადამიანი შეკითხ-ვაზე: „შენ ვინ ხარ? უპასუხებდა: „მე მგელი ვარ“ და სხვა. ადამიანი აღიქმე-ბოდა მხოლოდ იმ სოციალური ჯგუფის სახით, რომელსაც ის ეკუთვნოდა. „ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟიც, ამა თუ იმ ტომის ტოტემური პირველ-წინაპარიც, მთელი თავისი ტომის მოქმედებს“ (6,11).

მაგრამ ზღაპარი არის მხატვრული ნაწარმოები და მას, რასაკვირველია, ესთეტიკური ფუნქცია გააჩნია. მისი წაკითხვა გსიამოენებს, გამშვიდებს, გა-ღელვებს, გაციიებს ისე, რომ არ ფიქრობ, რა ისტორიაული სინამდვილე უდევს მას საფუძვლად. ცხადია, ეს მიიღწევა გარკვეული მხატვრული ხერხებით, რითაც შევდივართ სრულიად უჩვეულ, მოჯადოებულ მხატვრულ სამყაროში. ამის შესახებ ი. ბორევი აღნიშნავს: „ავტორი სახეებად გადაამუშავებს ცხოვ-რებისეულ ძასალას და ქმნის ახალ რეალობას“ (1, 178).

ზღაპრის პერსონაჟი ცხოველები ამა თუ იმ ხასიათს ქმნიან, ისინი სახე-სასიათები არიან.

ცხოველთა ზღაპრის პერსონაჟი მელამზატვრული სახეა, ისთავის თავ-ში მოიცავს მელიის თვისებას – ეშმაკიბას, მაგრამ იქცევა ისე, როგორც ადა-მიანი. მაგალითად, „ბერად“ შემდგარი იერუსალიმს მიემგზავრება და მართლაც აბრიყებს: მამალს, ბატს, ძერას, მწყერჩიტას და ოფიფს. ე. ი. ამ შემთხვევაში შეიძ-ლება წარმოვიდგინოთ ადამიანი მელიის თვისებებით (ეშმაკი, ცბიერი ადამიანი).

დათვი ზოგან ბრიყვია, ზოგან კი-უხეში. ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე იყენებს თავის ფიზიკურ ძალას ზღაპარში „დათვი, მელია და მგელი“. ცხოველები შეთანხმდნენ, ნადავლი სამართლიანად გაეყოო, მაგრამ დათვმა სხვას არა-ფერი დანება და მოქმედიც ასკვის: „ძალა მოვიდაო და სამართალი ბაზზე ავიდაო“.

ოფოვი ჭეკვანი და მოხერხებულია, რისი წყალობითაც გადაირჩნეს სიცოცხლეს ზღაპარში „იერუსალიმს მიმავალი მელია“.

მელის სახეში ხაზი ესმება ისეთ ადამიანურ თვისებებს, როგორიცაა ეშმაკობა, ცაირუება, სიცრუე, მოხერხებულობა. დათვის სახეში ჩანს: სიბრიყე, მიმნდობლობა, უხეში ძალა. მგლის სახეში- დაუნდობლობა და სიბრიყე, ოფოფის სახეში – ჭკუა, მოხერხება, სამართლიანობა და ა.შ. ეს პერსონაჟები მსატერიული სახეები არიან, მათ ავტორი ოსტატურად იყენებს ცხოვრებისეული მოვლენების, ურთიერთობების, წესების საჩვენებლად. თანაუგრძნობს ან დასცინის მათ. აქ სინამდვილი გარდასახვა ხდება ხალხის იდეალების შესაბამისად. ავტორი საზოგადოებრივად მნიშვნელოვან წინააღმდეგობას კომიკურ ელფურში გააძლევს. ხალხი ბრძნად და წწორებ ეს სიბრინე ამათრახებს სიბრიყეს, სიხარბეს, ტყუილს, დაუნდობლობას, უხეშობას. ეს არის ჯანსაღი აზრი, რომელიც ებრძის ყოველივე არაკეთილგონიგრულს, არაკეთილშობილს და ამით ამცვიდრებს სიკეთეს.

ცხოველთა ზღაპრებში კომიზშის ქმნის კონტრასტი, დაპირისპირება და ა.შ. მოქმედების განვითარებისას მოელი ერთს და მოულოდნელად სულ სხვა რამ ხდება. მაგალითად, მმობილები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებიან და სხვა.

მელის ინსტიქტი, რომლის საშუალებითაც ის ატყუებს ყველას, დათვის მოუქნელობა, ოფოფის გამჭრიახობა ასოციაციურად დუკავშირდება ადამიანთა ჩევულებებს, მანერას, რითაც დაცინვის ობიექტი ხდება, ანუ მას-ხარვება ადამიანთა ნაკლოვანებები. ეს არის მხილება უარყოფითი თვისებებისა, „ხოლო რასაც საზოგადოება დასცინის, უნდა გამოსწორდეს, ან უნდა მოისპონ“ (1, 118).

არ არის ეთიკური მელის საქციელი ზღაპარში „დათვი და მელია“. უსინძისოდ მატყუარა მელია აქ კომიკურია თავისი „სტუმრობით“ ნათლი-მამასთან და ნათლულებით („თავმოყხოჭილი“ და „შუა“), მაშინ, როდესაც დათვს გადანახულ ერბოს უჭამს და შეფერადებულად უყვება სიმართლეს, როცა ეუბნება, ბავშვს „თავმოფხოჭილი“ დავარქვით და გვეცინება დათვის მიუხვედრებულობაზე: –ნათლობაზე არაფერი წამოიღო? –რომ ეკითხება.

ძალიან სიანტერესოა ზღაპრის „მელიას ეშმაკობა“ სიუჟეტი. ნაფეტ-ვარი – სახლი – მეცხვარე – გლეხი – ქვრივი – მხვნელ-მთესველები – სორო. ეს არის გზა, რომელიც გაიარა მელია ამ ზღაპარში. დასაწყისშივე ჩანს ავტორის ირო-ნიული დამოკიდებულება – მელიასგან კარგს არაფერს უნდა ელოდოო. მან ზიანი უნდა მოიტანოს: „ბევრს ზიანს ვიზარდო“ და ასევე ხდება. ყველგან ტყუების, მიზანდასახული და გააზრებულია ყველა მისი ნაბიჯი, მაგრამ გამარჯვებულ მელიას ავტორი ისეთ წინააღმდეგობას შეახვედრებს, რომ ყველაფერს კარგავს და ადგილს ისევ სოროში მიუჩენს. ეს წინააღმდეგობა ზღაპარში შემთხვევითი შეხვედრაა მხვნელ-მთესველებთან. სიცილს იწვევს, გამარჯვებული გმირის ნაცვლად სოროში ძალიას პირისპირ დარჩენილ მელიას რომ ვხედავთ: „...ამოვარდა გუდიდან ძალი, გაიგდო მელია და გააძრო ქურქი“. მთელ ზღაპარს ამოძრავებს მელიას ხასიათი – ავზნიანობა, ეშმაკობა, სიხარბე, რომელიც ვერ დაკმაყოფილდა და უფრო მეტი უნდა. სწორედ ამ ხასიათს ჩაუსაფრა ავტორმა „შემთხვევითობა“ მხვნელ-მთესველების სახით. ცხრილით წყლის მოტანაც აშკარად სიმბოლურია – როგორც ცხრილით

წყალს ვერ მოიტან („...ავსებს წყალს, მაგრამ ცხრილი რას დაიჭირდა!..“), ისე ავაზაკიბით, ტყუილით გამარჯვებას ვერ იზეიმება - ასეთია ხალხის შეხედულება.

ხელოვნება, კერძოდ, ზღაპარი გვიჩვენებს ცხოვრებას მხატვრული სახეების პრიზმაში. „მხატვრულ აზრში ისეა საგნები ერთმანეთთან შეერთებული, რომ ყოველი მათგანი შენახულიცაა და გათქვევილიც სხვაში, რის შედეგად იქმნება არნახული არსება, რომელიც საოცრად ახამებს ერთმანეთთან თავისი წინაპრების ელემენტებს“ (1, 208).

ხალხის გონიერება და ფანტაზია ჩანს კომიკურ სიუჟეტში „იერუსალიმს მიმავალი შელია“. ამ ზღაპარშიც შემთხვევითი შეტვედრების ჯაჭვაა: მიდის მელია, ხვდება მამალი, შემდეგ - ბატი, ძერა და ოფოფი. „სულის საცხონებლად წასვლა“ - ეს ხერხია, რითაც დაიმსახურა მელიამ სხვა პერსონაჟების ნდობა და ის წინამდოლადაც კი გაიხადეს - სადაც მიდის, ბრძანდ მიჰყებიან. სხვა რომ არაფერი მოხდეს, უკეთ კომიკურია მამლისა და ბატის შეამხანაგება მელიასთან. ისინი ვას გაეყარნენ (გამოექცნენ პატრონებს, რომლებიც დაკვლას უპირებდნენ) და უის შეეყარნენ (მელიის სახით). მელიას ნებისმიერი საბაბის (როგორიცაა მამლის ყივილი, ბატის ყიყინი) გამოყენება შეუძლია ფრინველების დასასჯელად და გამარჯვების მისაღწევად.

ზღაპარში ჩანს ხალხის კრიტიკული დამოკიდებულება სინამდვილი-სადმი, ჭეშმარიტების ძიება წინააღმდეგობებში, პრობლემებში...

ადამიანი შემოქმედი არსებაა, რომელსაც ყოველთვის აინტერესებდა სამყაროს შეცნობა. იგი უხსოვარი დროიდან მოყილებული თავისებურ მხატვრულ სახეს, ფორმას უქებნიდა ამ მრავალფეროვნებას და ქმნიდა უჩვეულო სამყაროს ზოგადი ხსიათებითა და ზღაპრული ელგუმნტებით. მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში - ცხოველთა ზღაპრის ორსახოვან პერსონაჟებს ცხოველთა გარეგნობითა და ადამიანური შესაძლებლობებით, ასევე მათ შესახებ თავ-შესაქცევ სიუჟეტებსა და სახალისო, ჭკუის სასწავლ ამბებს.

ხალხი ცხოველთა ზღაპრებში უმეტესად დასცინის სიბრივეებს, რადგანაც მოსწონს მახვილგონიერება, მოხერხებულობა და ამ თვისებებით დაჯილდოებული გამარჯვებული გმირის მხარეზეა მუდამ. ვინ იტყვის, რომ ასეთი ურთიერთობები ცხოვრებისთვის დამახასიათებელი არ არის. ხალხის გრინაშე ცხოვრებისეული შეხედულებები, გამოცდილებები, საკუთარი ოცნებები, მისწრაფებები, მსოფლმხედველობა გაართიანა და დაგვიტოვა უკვდავი მხატვრული სახეები, რომლებიც ყოველ დროში ახლებურად სუნთქავენ, რაც განაპირობებს კიდევ მათ უკვდავებას.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ბორევი ა., ესთეტიკა, თბ., 1986. 2. ზანდუკელი ფ., ცხოველთა ეპისის სტრუქტურის სკაიოხები, მისივე წიგნში: ქართული საბავშვო ფილკოლირის საყითხები, თბ., 1977. 3. სვანური ზღაპრები, შემდგ. უ. ცინდელანი, თბ., 1975. 4. ქართული (აჭარული) ზღაპრები, რედაქტ. ალ. მსხალაძე, ნ. ნორაიდელი, ბათ., 1973. 5. ქართული ზღაპრები, შემდგ. ალ. ღლონგტი, თბ., 1975. 6. ჩოლოფაშვილი რ., უძველეს რწმენა-წარმოდგნათა კვალი ხალხურ ზღაპრულ ეპისში, თბ., 2004. 7. ჩოლოფაშვილი რ., ცხოველთა ეპისის მხატვრული ანალიზი, ღლოტერატურული ძიებანი, თბ., 2000.

## ლია წერეთელი

### გელათის მშენებლობის ლეგენდები

„ძიბე განსთალე გელათის ნაგები“...  
„ძიბედ ვინად ცად მიმავლენ, წარმიმართე“.  
პუტინ გელათელი

დავით აღმაშენებლის მიერ გელათის მშენებლობას მოგვითხრობენ ხალხური ლეგენდები (სხვადასხვა ვარიანტებით – მესხური, რაჭული, იმერული, ქართლური).

თხრობის ძირითადი სიუჟეტი ერთსახოვანია – გელათის მშენებლობის უამს დაბრკოლება ეშმაკის მიერ, მშენებლობის შეწყვეტა, მეფის მიერ ეშმაკის შეპყრიბა, ეშმაკის ჯორად ქცევა, მეფისაგან ლაგამით დამორჩილება, მშენებლობის გაგრძელება და გასრულება, ეშმაკის ძალის გამოყენება, ეშმაკის გასხლტომა მსახურის წინდაუხედავობით... – ამ ძირითად სიუჟეტს განსხვავებულად მოგვითხრობენ ვარიანტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ხალხური სიტყვიერების უმთავრესი წყაროა დავით აღმაშენებლის უცნობი ისტორიკოსის თხზულება „ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი“ და მასში მოთხრობილი გელათის მშენებლობის ღრმადსულიერი საზრისი, აღმშენებლობის მოარყული საერთაშორისო ფოლკლორული მოტივები, მითოსური ხანიდან სახეცვლილი და ქრისტიანიზმებული მზა-ფორმულები, ზღაპრულად პიპერძოლიზებული ეპიზოდები, სასწაულებრივი საგნები, რათა დიდი მეფის ღვაწლი გადმოიცეს სრულქმნილად:

„დავით აღმაშენებლი იყო ძალიან მოწყალე და ღვთისმოყვარე. იმას უყვარდა ეკლესიების შენება და ძალიან ხალისიანადაც ასრულებდა ამ საქმეს. ერთი ომის გათავების შემდეგ მოისურვა დავითმა – აეგო დიდებული გელათის მონასტერი.

მისი სურვილი, რასაკვირველია, სისრულეში უნდა მოსულიყო. მუშები დაიბარეს და დაიწყეს შენება.

წყეულმა ეშმაკმა მოინდომა ხელი შეეშალა მისთვის ამ წმინდა ღვთის სასიამოვნო საქმეში. კედლები რამდენჯერ ააშორეს ბალავერს, იმდენჯერ ანგრევდა ი წყეული ღამღამობით. დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ და არ იქნა, კედლები ბალავერს ვერ ააშორეს. მეფე რასაკვირველია, მიხვდა, რომ მისი ხელის მცარავი ეშმაკი იყო და გადაწყვიტა, როგორც უნდა დაჯდომოდა, ეშმაკი ხელთ ეგდო. იმან აიღო ჯამი, აავსო წყლით და დადგა ბალავრის მახლობლად. თითონ კი კუთხეში მიიმალა და დაუწყო დარაჯი. როგორც კარგად დაბწელდა, სად იყო, სად არა, გაჩნდა ი წყეული და გულმოლგინედ შეუდგა თავის საქმეს. ამ დროს იმან შეინშნა წყლიანი ჯამი და ზედ მივიდა, უცებ საფარიდან გამოხტა

დავითი და ხელები სტაცა. ეშმაკი ჯორად იქცა, მაგრამ გულადი მეფე მაინც არ შეშინდა, იმან ამოსდო ჯორს პირში ლაგამი და სწრაფად მოახტა ზედ.

ამ დღის შემდეგ ის ამ ჯორს არ იშორებდა. ამის შემდეგ ადვილად მოათვა გელათის მონასტერიც. აგრეთვე ვარძია და სხვები.

გელათის მონასტრის აგებაზე მეფე დავითს დიდი შრომა გაუწევია. წყალწითელადან თავის ხელით ამოუტანია ორი უზარმაზარი ქვა. ეს ქვები მეტათ დიდებია. ისინი არიან დატანებული სამხრეთ-დასავლეთის ფურეში. ერთ მათ-განზე დღემდისაც არის ვითომ დავითის მიერ გაკეთებული მზის საათი. დარუბანდიდან ჩამოუტანია დიდი, უშველებელი კარები და მონასტრის გალავანზე დაუკიდია.

ეს ეშმაკ-ჯორი კი ისევ ემსახურებოდა დავითს. დადიოდა ის აქთ-იქით იმ ჯორით. გაჭირვების დროს, ცუდ გზებზე, როცა მათრახი მოხვდებოდა ხოლმე, ისეთი სიმწარით ადგამდა ჯორი ფეხს, რომ ყველგან კვალს აჩენდა. დღესაც იმერეთში უჩვენებენ ერთ კლდეზე ნიშანს, რომელსაც „ჯორის კავალს“, ანუ „ეშმაკის ნაფეხურს“ ეძახიან. ის ორი ვეება ქვა და დარუბანდის კარებიც თურმე იმ ჯორით მოიტანა დავითმა. უკან შემოკრული, დავითი ამ ჯორს თავის ხელით უვლიდა. დაყვადა წყლის დასალევათ და საძოვრათ, რადგანაც სხვას არ ენდობოდა. „ეშმაკი მოატუებს და გაექცევაო“.

ერთხელ მეფეს მოუცლელობის გამო არ შეეძლო თითონ წაეყვანა წყალზე ეშმაკ-ჯორი, დაუძახა მეჯინიბეს და უბრძანა ჯორი წყალზე წაეყვანა. ამასთანავე უთხრა: „არამც და არამც აღვირი არ წაჰყაროო“.

მეჯინიბემ მიიყვანა ეშმაკ-ჯორი წყალზე. ჯორმა დასუნა წყალს, თავი ისევ მაღლა აიღო და მოყვა საშინლად ფრთხვენას და წიხლებს ისროდა. მეჯინიბემ იფიქრა: საწყალს იქნება აღვირი უშლისონ და წაჰყარა. ეშმაკ-ჯორმა სიხარულით დაიფთხინა, წყაროში ჩატეა და გაუჩინარდა“ (1,212).

ეს ლეგენდა და მისი ვარიანტები ქსენია სიხარულიბემ საგანგებო კვლევის სფეროდ აქცია წიგნში „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“. მეცნიერმა აღმშენებლიბის საერთაშორისო ხასიათის მოტივითალმუდურ თქმულებასთან, ძველი აღთქმის აპოკრიფულ თხრობასთან მიმართებაში განიხილა, დაასკვნა, რომ „მავენე ძალის დაჭერის მოტივი“ აღმშენებლიბათა ამ ცავლში და მშენებლობაში ჯადოსნური ძალის გამოყენების მოტივი საერთოა ყველა ერის შემოქმედებაში:

„ქართული ლეგენდის ვარიანტებით დავით აღმაშენებელმა გელათი ააშენა. მსოფლიო პარალელების უმრავლესობით სოლომონი იერუსალიმის მაშენებელია, ირანულით – თაპმურას დევებს აგებინებდა შენისებს, ქართულ ლეგენდას მტკიცე რეალური საფუძველი აქვს. ზოგი ვარიანტით დავითმა ვარძიაც ააშენა, ზოგით კი – მარტვილისა და სუჯუნის ეკლესიებიც. აღნიშნულ ტრადიციულ სიუჟეტზე აგებული თამარ მეფის ციკლის ნაწარმოებები უფრო დაშორებულია მის მსოფლიო პარალელებს, ვიდრე დავით აღმაშენებლის შესახებ არსებული ლეგენდის ვარიანტები. თუმცა თამარ მეფის საღმშენებლო მოღვაწეობის ამსახველ ნაწარმოებებში არის მსოფლიო მითოლო-

გით ცნობილი ისეთი მოტივებიც, რომელიც უცხოა დავით აღმაშენებლის ციკლისთვის“ (1,216).

ვფიქრობთ, ხალხური თხრობის ძირითადი წყარო – „ცხოვრებად მეფეთ-მეფისა დავითისი“ ერთგვარად განაპირობებს დავით აღმაშენებლის მიერ გელათის მშენებლობის ხალხურ თქმულებათა იდეურ საზრისს. თავად უცნობი ისტორიკოსის მიერ დავითისგან გელათის მშენებლობის თხრობა მრავალსახოვანია და სახისმეტყველურად სრულქმნილი ეპიზოდი:

„ესრეთ რად თვითმშეყრობელობით დაიცყრა ჰერეთი და კახეთი და ნებიერად აღიზუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზეებრ მიჰვინა წყალობად ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა, და ვინავთგან ღმერთი ესრეთ განა-გებდა საქმეთა დავითისთა და წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა და მოს-ცემდა უამად-უამად ძლევათა საკვირველთა და უძროდ ძალითი ძალად, არცა იგი უდებდა განმრავლებად ტალანტთა – საქმეთა კეთილთა და სათხოთა ღმრთისათა – არამედ სრულითა გულითა ჰმსახურებდა და მათ იქმოდა, რომელი ნებისად ღმრთისად დაამტკიცნის და სათნო – ყოვილად მისდა აღუჩინდის, ვითარცა აწ ითქვას.

რამეთუ მოიგონა აღშენებად მონასტრისად და დაამტკიცა, რომელიცა გამოირჩია მადლომან სალმროომან, ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლი-თურთ უნაკლულოსა, რომელსა შინა ვითარცა მეორე ცავ გარდაათხა ტაძარი ყოვლად წმიდისა დედისა ღმრთისად, რაბამ რაღმე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულობისა, რომელი ზეშთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთაცა სივრცითა და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა და მოქმნულობისა შეუს-წორებლობითა, რომელსა თანა-მოწამედ ჰქონან თუალნი მხედვარი და აღავსო სიწმინდეთა მიერ. პატიოსანთა ნაწილთა წმიდათაღსა, წმიდათა ხატთა და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა ძვრად საბოვნებელთა“.

მეფებ ყოველივე მონაგები და ძვირფასეულობანი შეწირა „საკსენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკურველისა“, „შემოკრიბა კატიოსანნი ცხორებითა და შეგმობილნი ყოვლითა სათხოებითა არა თვეთა სამეფოთა ოდენ შინა პავინდნი, არამედ ქუეყანისა კიდეთა, სადავთცა ესმის ვითომე სიკეთე, სისრულე და სულიერითა და კორციელითა სათხოებითა აღსავსეობად, იძივნა და კეთილად გამოიმიგნა, მოიგანა და დაამკვიდრნა მას შინა“...

გელათი, დავითის ისტორიკოსის თქმით, „მეორედ იერუსალიმად, სას-წაულად ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესს მისსა საღმრთოთა შინა, წესად და კანონად ყოვლისა საეკლესიოდსა შუენიერებისად“ (2-174, 175).

მემატიანის თხრობაში გელათის მშენებლობის სულიერ-ფიზიკური საზრისი გამჭვირვალე და ცხადია: მეფე დავით აღმაშენებელმა დაიპყრო კახეთი და ჰერეთი, აიღო ციხენი და სიმაგრენი, ვით „ღვთის ხატმა“ მეფემ (ფსალმუნური თხრობის გაცოცხლებით – „ვითარცა განამრავლე წყალობად შენი, ღმერთი“ (ფსალმ. 35,7). „მოჰვინე წყალობად შენი“ (ფს. 35,10), „დაადგინე იგინი მთავრად ყოველსა ქვეყანასა ზედა“ (ფს. 44,16). „წყალობად

და ჭეშმარიტებად უფალსა, მაღლი და დიდებად მოსცეს ღმერთმან“ (ფს. 83,11). „უფალი ნაწილ არს მკვიდრობისა ჩემისა... მომაგე მე მკვიდრობად ჩემი ჩემდა, „სამკვიდრებელი ჩემი მტკიცე არს ჩემდა“ (15, 5-6), „ნათესავმან მისმან დამკვიდროს ქუეყნაი“ (ფს. 32,14). მეფე ღვთის წყალობას „მზეებრ მოჰვენდა“ თავის სამკვიდრო-ქეყანაზე, მეფეს ღმერთი წარუმართავდა „ყოველთა გზათა“ („მძიელუ მე სიმართლითა შენითა და მტერთა ჩემთათვის წარპმართე შენ წინაშე გზად ჩემი“ - ფსალ. 5,8).

ღმერთი აძლევდა მეფეს მტერზე ძლევას, გამარჯვებას, უძლოდა და მეფე დავითიც „სრულითა გულითა ჰმესახურებდა“ უფალს („გამოვიძიო ჰკული შენი და დავიმარხო იგი ყოვლითა გულითა ჩემითა“ (ფსალმ. 118-34)), „აღგიარო შენ უფალო, ყოვლითა გულითა ჩემითა“ (ფს. 137-1), ღვთის ნებას აღასრულებდა განამრავლებდა ტალანტს „-საქმეთა გეთილთა და სათხოთა ღმრთისათა“.

„ტალანტთა გამრავლება“ სახარებისეული კრედითა - უფლის იგავით (მათე 25) - ფული სხვადასხვაგვარად მოიხმარეს: „ორმა „აქმნია“ (ე.ი. აბრუნა ფული)... „ტალანტთა გამრავლება საჭიროა, ქრისტიანული სენტენცია სწორედ აქედან მომდინარეობს“ (3,90).

თხრობის იღეური საზრისია მეფის მიერ ღვთის წყალობის სანაცვლოდ, საპასუხოდ, ღვთის ნების აღსრულება, ღვთისგან ბოძებული ტალანტი მეფემ „გამარავლა“, ანუ საქმით, ღვთისათვის სათხო მოქმედებით განაგო თავისი მეფური ღვაწლი და ღვთისმობლის სახელობის ტაძრის აშენება „მოიგონა“.

ტაძრის შენებლობის სურვილი მეფის მიერ ღვთისგან მონიჭებული წყალობისა და ომში გამარჯვების პასუხად უკუ-ძლვნა ღვთისადმი.

სამართლიანად შენიშნავს ა. თვარაძე თავის წიგნში „საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში“ ამის თაობაზე:

„ფაქტიურად დავითის ურთიერთმიმართება ღმერთთან, თუ შეიძლება ასე ითქვას, ორმხრივ სვლებზეა აგებული. ღმერთის ყოველ წყალობას მოსდევს დავითის ქმედება, ღმერთისათვის სასურველი. ღმერთის მოსაწონია გელათის მონასტრის აგება“ (15,43).

„შიომღვიმისადმი ანდერძი“ ასევე განსაზღვრავს:

„შარვანსა ჩემსა შარვანსა ზედა განმართვისასა შევევდრე შეწევნად ჩემდა შესავედრებელსა ჩემსა წმიდასა მამასა შიოს... - ომში წასვლის წინ მეფე წერს ანდერძს, სადაც თავად ახსენებს ღვთის დიდ, „წყალობას“, „ქველისმოქმედებას“, მისი მეფობის „რწმუნებას“ და ამის სამაღლობლად მეფეს გადაუწყვეტილა შიომღვიმის საგანეზი ღვთისმობლის სახელობის ტაძრის აშენება, ომში წასვლის წინ უკვე აშენებული ეკლესიაც მოუხილავ.

მემატიანე ამქვეყნიურ გამარჯვებებს ომში, ღვთის წყალობას, მეფის სვიანობას წარმოისახავს - ჯვარსახოვნად აღწერს - ეს არის სულიერი საზრისი ამ თხრობისა და თავად ტაძრის სულიერი ქვა - საძირკველი (ანუ საძირე ქვა, ძირი-ქვა), ბალავარი. გელათის შენებლობის თხრობა ღვთის ნებისა (ვერტიკალი) და (ჰორიზონტალი) ამქვეყნად „ღვთის - ხატი“ მეფის მიერ

ღვთის ნების შეცნობა, მსახურება ღვთისა „ყოვლითა გულითა“, ღვთის წყალობის სამადლობლად გელათის მშენებლობის „მოგონება“.

აგიოგრაფი მწერლის ხატწერა ზეპირი თხრობის კანონიკის სპექტრში სხვაგარად გარდაისახება. ხალხური თხრობისას ზესკნელ-შუასკნელს აუცილებლად თან ახლაუს ქვესკნელურის გაზრდება.

თუ აგიოგრაფი ხატწერისთვის ჯვარსახოვნება თხრობისა გულისხმობს სინერგიას – ღვთის ნებისა და ადამიანის ნების გადაკვეთა-თანხვედრას, განმჭვალვს რწმენა, რომ ღვთის ნებას ვერავერი აღუდგება წინ („ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ეწევიან მას“), ზეპირისტყვიერი თხრობა უძველესი მითოსური აზროვნების კვალში წარიმართება და „სამი სკნელის“ მთლიანობა იხატება, ამდენად, „ქვესკნელი“ – „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“ – ეშმაკი, ვითარცა ყოველი ღვთიური საქმის „წინააღმდეგი ამქვეყნად“ დააბრკოლებს უცილობლად ტაძრის მშენებლობას – ეს თხრობა უკვე ქრისტიანიზებულია, მაგრამ მისი ძირები სიღრმისეულად ნათელს მოჰკვენს უძველესი, ქრისტიანობამდელი სიუჟეტების, ფუნქციადაკარგული მოტივების სახეცვლილებას:

ზეპირი თხრობის ეს ტენდენცია საერთოა ყველა ერისათვის და აპოკრიფული ხასიათის ოქტოცენტრულებიც ერთსახოვანია.

სოლომონის ტაძრის მშენებლობას ხელს უშლიდა ორნიასი – იგი ყოველთვის მზის ჩასვლისას სტაცებდა საკვებისა და ხელფასის ნახევარს მშენებლობის ზედამხედველს, მარჯვენა ხელის ცერიდან სწოვდა სისხლს და აუძლურებდა მას. სოლომონმა ღმერთს სოხოვა შველა. ღმერთისა გამოუგზავნა ბეჭედი მიქალ მთავრანგელოზის ხელით. ამ ბეჭედით მშენებლობის ზედამხედველმა დაიჭირა ორნიას. სოლომონმა მას დაამტკრეინა ტაძრის საშენი ქვები“ (4,140).

თაღმუდის მიხედვით, სოლომონი აშენებს იერუსალიმის ტაძარს. ქვების მოპოვების საშუალება იცოდა დემონთა მეფებ ასმოდეიმ. სოლომონმა მისი დაჭერა უბრძანა ბენაიას, რომელმაც ორმოში ღვინო ჩასხა, თავად ხეზე ავიდა და დაუდარაჯდა. მოწყურებული ასმოდე ღვინოს დაეწაფა, დაითრო, დაიძინა. ბენაიამ სოლომონის ჯაჭვით დაიჭირა იგი. ტაძრის აშენებისას სოლომონმა ასმოდეის ცოდნა გამოიყენა (5,158).

ტაძრის მშენებლობა აპოკრიფული, ანუ არა კანონიკური თხრობით წარიმართება თხრობის უძველესი ტრადიციისამებრ, რომელშიც მითოსური საზრისია განვევნილი.

ვ. კოტეტიშვილი გამოკვლევაში „ღეგნედის წარმოშობა“ – (სურამის ციხის ლეგენდის წარმოშობა და მისი პარალელები მსოფლიო ფოლკლორში) კარგად წარმოაჩნეს უძველეს მითოსურ შრეებს, რომელიც საერთოა ყველა ერისათვის.

მშენებლობის (ციხის, სახლის, ტაძრის) დაბრკოლებას და ცოცხლად ადამიანის კედელში (ან საძირკველში) ჩატანებას უძველესი მსხვერპლშეწირვის რიტუალი უდევს საფუძვლად – ვ. კოტეტიშვილი კაცობრიობის განვითარების გზაზე ადამიანის მსხვერპლად შეწირვის საფეხურებს წარმოადგენს: I – ადამიანის მსხვერპლად მიტანა ნამდვილად, II – ადამიანის მსხვერპლის შე-

ნაცვლება ცხოველით, III- ცოცხალი არსების შენაცვლება ნივთით – სიმბოლური მსხვერპლი IV- ადამიანის მსხვერპლად მიტანა ა) როგორც მოგონება, ბ) როგორც დაუჯერებელი ამბავი, გ) გადმოცემათა გაფანტუსტიურება.

თანმიმდევრულად აქვს მეცნიერს გაანალიზებული მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში თითოეული ეს საფეხური, რასაც ქართულ ფოლკლორშიც მდიდარი მასალა წარმოადგენს. განვიხილოთ მსხვერპლშირვის ეს გზა:

სქემა ოხრობისა ერთისახოვანია – აშენება უნდათ (ტაძრის, ციხის, სახლის), მაგრამ კედლები ვერ ამოჰყავთ, აიტანენ და ისევ ინგრევა. აუცილებელია კედელში ცოცხალი ადამიანის ჩატანება:

საქართველოში სურამის ციხის ლეგენდას – ცოცხლად კედელში ჩატანებულ ზურაბს – სხვადასხვა კუთხეებშიც ეძებენება ანალოგი: „მინდა-ციხე“ – რაჭაში, (მინდელი ჩააშენეს ცოცხლად), ხონის ეკლესის მშენებლობის ლეგენდა (დედისერთა ლეგანს ჩაატანენ კედელში), აფხაზეთში – კელასურის კედელი (ქალი და ძროხა ჩაატანეს კედელში). ვ. კოტეტიშვილი მანგლისის აშენების ხალხურ ლექსშიც ვარაუდობს ცოცხლად ქალის ჩატანებას:

„ადგანან კალატრზები,  
გვერდებს ულესენ კირითა,  
შიგ ქალი ჩასვეს ლამაზი,  
თმა შეუღებეს ინითა“.

„უსაგნო ფანტაზია არ არსებობს. არც ლეგენდა, არც ზღაპარი და არც სხვა რაიმე სახე შემოქმედებისა არ და ვერ წარმოიშობოდა სრულიად გარკვეული რეალიების გარეშე. ყოველგვარი ფანტასტიკის ძირი რეალობა არის. ფანტასტიკა კი იქ იწყება, სადაც რეალიები ჰკარგავენ თავიანთ პირდაპირ ფუნქციას და ახალი ფუნქციისთვის ან გადატანითი მნიშვნელობა ეძლევა, ან შეტოლებით, ანდა განცხების გზით იქმნება მსგავსი ნიშნების კომპლექსი, მეზობლობის ასოციაციის საფუძველზე, პარალელების გაერთიანება, რომელსაც სინამდვილეში პირდაპირი შესატყვისი აღარა აქვს. ლეგენდის ძირიც სინამდვილეში უნდა მოიძებნოს. ეს სინამდვილე არის მსხვერპლადშირვა ადამიანისა. ამ სინამდვილეზე არის აღმოცენებული სურამის ციხის ლეგენდა – ასკვნის ვ. კოტეტიშვილი (6,151).

ადამიანს მსხვერპლად სწირავდნენ კარგი მოსავლის მისაღებად, საბერძნეთში იცოდნენ განკითხვის თხის, ანუ ტარიგის შეწირვა, ასე გამორჩეული სილამაზის ქალს ან კაცს არქმევდნენ. მთელი წელი საუკეთესოდ აჭმევდნენ, შემოსავდნენ საღვთო ტალავრით, რთავდნენ რტოებით, ყვავილებით, შემდეგ ამ მსხვერპლს ქალაქის გალაგის პირას ჩაქოლავდნენ.

ათინაში შავი ჭირი, გვალვა, შიმშილი თუ გაჩნდებოდა ადამიანის მსხვერპლს გაიღებდნენ.

ლეგენდოს მცხოვრებნი კლდიდან ზღვაში აგდებდნენ ზღვის ღვთაები – სადმი შესაწირ ადამიანს.

ასეთი წესი არსებობდა სატურნალიების დროს – სატურნის საკურთხეველი ადამიანთა სისხლით იყო ნასხურები.

ფრეზერის ცნობით, სატურნალიის დღეობაზე მსხვერპლად ადამიანის შეწირვას ქრისტიანობის პირველ საუკუნეებშიც ჰქონდა ადგილი.

ადამიანის მსხვერპლშეწირვის ერთი კონკრეტული სახეობაა ადამიანისთვის გულის ამოცლა და მზისთვის ან სხვა ღვთაებისთვის შეწირვა:

„მექსიკაში მაისის ღვთაებისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე ლამაზ გოგონას რთავდნენ ყვავილებით, მაისის თაგვულებს აასხამდნენ (შდრ. ქართული – „აქედან და შენამდი ვარდი მასხია ყელამდი“), ქურუმები გოგონას ბოსტნეულისა და პურეულის გროვაზე წამოაქცევდნენ და თავს მოჰკვეთდნენ, სისხლს აგროვებდნენ და ასხურებდნენ კერპს.

სეიმიტებშიც იყო ამგვარი წესი – უბედურების, მტრის თავდასხმის დროს მეფე შვილს მსხვერპლად სწირავდა – ისრაელმა თავისი შვილი იეჟიდი მორთო სამეფო ტანისამოსით და დაკლა საკურთხეველზე.

სხვა ცნობით, ადამიანს ოთხ ნაწილად ჭრილნენ და ქალაქის ოთხი კუთხის საზღვარზე მარხავდნენ, რათა საზღვარი გამაგრებული და უძლეველი ყოფლიყო.

ერთ-ერთ დიალიგში, რომელიც პლატონს მიეწერება, საუბარია ადამიანის მსხვერპლად მიტანაზე კართაგენელთა შორის, იგივე წესი პლუტარქეს დროსაც ყოფილა და ა.შ.

საძირკველში ადამიანის ცოცხლად დამარხვის მაგალითებიც მრავლად არის მსოფლიო ფოლკლორში:

გეზერში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილმა ქალისა და მამაკაცის ჩინჩჩების ნახევრებმა პროფ. სტუარტ მაკალაისტერს საბუთი მისცა დასკვნა, რომ ეს ფართოდ გავრცელებული წესის – საძირკველში შენობის სიმტკიცისთვის ადამიანის ჩატანების მაგალითია.

შემდგომში ადამიანის ცოცხლად შეწირვა შეცვალა ცხოველის შეწირვამ, რომლის ნიმუშად ასახელებენ მკვლევარი ბიბლიური აბრამის ვაჟის, ისაკის, ნაცვლად კრავის შეწირვას:

„სრულად გარკვეულად, მართალია, ლეგენდარულად ჩანს ადამიანის შეწირვის აღკვეთა, ფაქტი აღიკვთა, მაგრამ მოგონება დარჩა“ (6,156).

მსოფლიო ხალხთა ფოლკლორში და ასევე ქართულ ფოლკლორშიც ზღვა მასალაა დადასტურებული ცხოველის შეწირვისა – სახლის აშენებისას, საძირკვლის ჩადგმისას.

შეკვლევარის ვარაუდით, „როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ფუძის ანგელოზისადმი არის განკუთვნილი ის თხა, რომელიც უნდა დაიკლას შენობის დამთავრების შემდეგ“.

„კერისა და ზღურბლის სამღვრობაც ფუძის ანგელოზის მიმართ თაყვანისცემასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ეს კულტი მთელ ქვეყნად არის მოღებული“.

შემდგომ საფეხურზე შეწყვილებითი მსხვერპლი სიმბოლურად შეიცვალა - „ეს მომენტი კარგად შეინახა ქრისტიანულმა ეკლესიამ: სეფასკვერისა და ზედაშის სახით იესო ქრისტეს სხეულისა და სისხლის წარმოდგენა - „მიიღოთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, თქვენთვის განტეხილი, მისატევებელად ცოდვათა“, „მიიღოთ და სვით, ესე არს სისხლი ჩემი, თქვენთვის და მრავალთათვის დაზნეული, მისატევებელად ცოდვათა“ და ეს მსხვერპლის სიმბოლიკა დღემდე სრულდება ქრისტიანული ეკლესის მიერ“ (6,157).

ვუნდტის აზრით, ადამიანის მსხვერპლად მიტანა განწმენდის მსხვერპლის უკიდურესი სახეა. ადამიანის შეწირვა პირუტყვის შეწირვამ შეცვალა, მაგრამ „ერთი ფორმით, ადამიანის მსხვერპლის შეწირვა შერჩათ ძველი ქეყნის კულტურულ ერებს და ეს შემდეგშიც გაჰყავთ, სახელდობრ: ხებაყოფლობითი სიკვდილი ანუ თავის დადება, როდესაც ერთი ადამიანი იღებს სიკვდილს, თავისი თემის ცოდვათა გამოსასყიდად“ (7,303).

ჩვენთვის განსახილევლი ლეგენდა „დავით აღმაშენებლის მიერ გელათის მშენებლობისა“ უთუოდ გულისხმობს უძველეს საფეხურს - ადამიანის მსხვერპლად შეწირვას, შემდგომში ქრისტიანიზმული - მშენებლობის ხელისშემლელი ეშმაკის შეპრობა და მისი ძალის გამოყენება. მართალია, თქმულებებს აღარა აქვთ შერჩენილი კვალი ცოცხლად ადამიანის შეწირვისა, მაგრამ ვფიქრობთ, დიდი ქვების ამოტანა მეფის მიერ და კედელში ჩადგმა - უძველესი მსხვერპლშეწირვის სიმბოლიკად ქცევის შედეგია.

ქვა - საძირკველი, ქვა-სვეტი და ქვა-ლოდი მშენებლობის უამს სიმტკიცეს იღებდნენ (ზევითმოხმობილი მასალის მიხედვით) ცოცხლად ადამიანის ჩატანებით, ქრისტიანობამ დაამკიდრა სიმბოლიკა ქვა-კლდეთა სიმტკიცისა, თავად ადამიანის სულიერი ღვაწლისა, მოთმინებისა და რწმენის განსახიერებად რომ წარმოსდგება:

მაცხოვარი ასე მიმართავს კლდედ წოდებულ პეტრეს: „შენ ხარ კლდე“, „ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიად ჩემი“ (მ. 16,18).

სიმბოლურად ადამიანის საძირკვლად დადება, მსხვერპლშეწირვა იგულისხმება. საძირკვლად ადამიანის ცოცხლად ჩადგმის - ტაძრის სიმტკიცისა და რწმენით ნაგები ეკლესის დაურჩეველობის ხატსახოვნება ცხოვლად შენახულია სვეტიცხოვლის ტაძრის მშენებლობის თხრობაში - ქალწული მაცხოვრის კვართთან ერთად დამარზულია. სვეტიცხოველი სამი სკნელის მითოსური მთლიანობის განმსახიერებელია - ქვესკნელი (ქალწული კვართთან ერთად დამარზული საძირკვლში, შუასკნელი - ტაძარი და ზესკნელი, რომელთანაც დაკავშირებულია სვეტი, ჩამოეშვა ნათლითმოსილი ჭაბუკი ზეციდან. ტაძარი, ეკლესია ყოველთვის ამ სამსახოვნებას გულისხმობს. მაცხოვრის რწმენით გასხივოსნებული ადამიანი, რომელიც აშენებს ტაძარს, სიმბოლურად იმარხება ტაძრის საძირკვლში და იქცევა თავისი სახელობის ტაძრის კლდე - საძირკვლად. ტაძრის მაშენებელი მსხვერპლად შეწირული,

ღვაწლოსილი ადამიანია, იგი სულიერ-ფუნდამენტად, საძირკვლად, ფუძე-ქვად მოიაზრება – შიო მღვიმელი და შიომღვიმე, თანა ზედაზნელი და ზედაზნი, ანტონ მარტყოფელი და მარტყოფი, დავთი გარეჯელი და გარეჯა და ა.შ.

ფუძე-ქვა, მომავალი ტაძრის მშენებლობის ადგილი და საძირკველი ხატმეტყველურად მოიაზრება ქველი აღთქმის თხრობაში. უფალმა ბრძანა იორდანე რომ შუაზე გაიპო, აელოთ 12 ქვა და თან წაედოთ, თითო ქვა აეკიდათ ზურგზე 12 შტოდან თითო წარმომადგენელს. ეს ქვები სამარადისოდ უნდა შეინახონ და შვილებს მოუთხრონ – ეს უფლის აღთქმის კიდობნის წინაშე აღებული ქვებია, როცა იორდანე გაიპო....

იორდანეს შუაგულში დადეს 12 ქვა, სადაც ფეხი ედგა აღთქმის კი-დობნის მღვდლებს. დღემდე იქ აწყვია ის ქვები (ისო ნავეს ძე, 4,3).

სახისმეტყველურად მდინარედან ქვის ამოტანა და ეკლესის კედლელში ჩადგმა ბიბლიური ეპიზოდის ხატსახოვნებაა გელათის მშენებლობის ლეგენ-დებში გაცოცხლებული.

იაკობის სიზმარი და ქვა, რომელიც მონიშნავს „წმიდა ადგილს“, ქვა, როგორც ადამიანის ხატ-სახე, რწმენის სიმტკიცე ქცეული უნდა ვიგულისხ-მოთ დავით გარეჯელის „ცხოვრების“ თხრობისას აღწერილ ქვებშიც – ეს უბრალო ქვები არ არის, არამედ „მადლის ქვები“, მომავალი ტაძრების ფუნ-დამენტები, სიზმარში ეცხადება იერუსალიმის პატრიარქს ღვთის ნება და ორ მათგანს იერუსალიმში ტოვებს.

ადრეული საფეხურის – მითოსური გააზრებით ეს სამი ქვა – ქალაქის სიმტკიცის ზღუდე-ქვებია, ქვა-სამანები, რომლის საზრისიც გულისხმობს დიდ ძალას, სიმტკიცესა და მფარველობას. ეს კვალი უთუოდ შენახულია ამ ლეგენდარულ თხრობაში.

ქვა-სიმტკიცე და რწმენის სიმბოლო, თავად მოწამის ხატსახედ არის ქცეული. იგი ამქვეენიური ცხოვრების უარყოფას გულისხმობს, მსხვერპლშე-წირვის დასაბამს აღნიშნავს. ამგვარად მოჩანს „შუანიკის წამებაში“: „და მიერ დღიოგან, ვინავთგან პყრობილ ყვეს იგი ციხესა მას შინა, სართულსა ზედა თავი არა მიღვის, გარნა ალიზაკი ერთი დაიღვის სახოუნალ“ (8,56).

„ქვები – ცადან ჩამოცავნილი აეროლითები, რომელთაც ციდან გამოგ-ზაგნილად სთვლიდნენ და თაყვანსა სცემდნენ. პავსანიუს (II ს.) ბევრგან უნა-ხავს ქვები ტაძრებში, როგორც თლილი, ისე გაუთლელი, რომელთაც თაყვანსა სცემდნენ. ეს ქვათა თაყვანისცემა ყველგან იყო გავრცელებული როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, ამ თაყვანისცემის ნიშნები ჩვენში დღემდე შენახულა თუნდ იმავე ჯავახეთში, ფარავნის ტბის არემარეში, იქ დღესაც გვიჩვენებენ გაქვავებულ ცხვრის ფარას თავისი მწყემსებით, მანგლისის მთაში „მამიდაის ქვა“, ამინდთან დაკავშირებული, კოპალეს ქვა ფშავში, სალოცავი ქვა, დღემდე შენახულა. დოლაბი – წისქვილის ქვა სრულიად გარკვეულ აზრს იღებს“ (8,335).

ქრისტიანობამ ქვა-ლოდების მითოსური საზრისი გარდაქმნა და რწმენის, ქრისტესთვის ადამიანის მსხვერპლად შეწირვის, ტაძრის საძირკვლად წმინდანის სულიერი ღვაწლის დადება, ანუ სულიერი აღმშენებლობის ფუნქცია მიანიჭა, აღრეულ საფეხურზე მითოსური საზრისით, ქვა-ღრუბელთან, ჰექა-ჸეხილთან იყო დაკავშირებული, ღვთაებათა სიმბოლოებად წარმოსდგებოდა.

ქვათა გააზრების თთოული საფეხური ქართულ ფოლკლორში მდიდარი მასალით არის წარმოდგენილი – მითოსურიდან ქრისტიანულად გარდაქმნის, გადააზრების კვალიც სრულიად გამჭვირვალეა. ამდენად, დავით აღმაშენებლის ლეგენდა გელათის მშენებლობისა იყენებს ფოკლორულ მზამოტივს დიდი მეფის ღვაწლის წარმოსაჩენად – დიდი ქვები, ვეება ლოდი, რომელიც სხვა ვარიანტით მდინარიდან ამოიტანა დავით აღმაშენებელმა, მეფის ძლევამოსილების, რწმენისა და სასწაულებრივა ძალის გამოხატულებაა. კედელში ჩადგმა ამ ქვებისა – აღრეული ფუნქციით – კედელში ცოცხალი ადამიანის ჩადგმის სახეცვლილებით, დიდი ღვთასმოსავი მეფის, ღვაწლმოსილებით გამნტკიცებაა შენობისა და მისი სიმაგრის გარანტი, თავად მეფის ღვაწლის გამოხატულება.

დიდი ქვა და ლოდი რწმენისა და ზოგჯერ პარდაპარ ღვთის ხატ-სახოვნება ზღაპრებში. ერთ ქართულ ზღაპარში, ბერიკაცის ანგელოზი სამოთხეში წაივანს იმ პირობით, რომ ხმა არ უნდა ამოიღოს. საიქიოში ბერიკაცი ხედავს ლოდს, რომელსაც ხალხი ესევა და აქეთ-იქით სწევენ. კაცი შესძახებს – ეგრე როგორ დასძრავთ ლოდსაო და აღთქმას გატეხს... ანგელოზი უხსნის, რომ ეს ლოდი ღმერთს აღნიშნავს და აქეთ-იქით სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ეწევინ, ყველა ცდილობს ქვა თავისიკენ გაათრიოს, ყველა თავის რწმენას აქებსო...

ვ. კოტეტიშვილი ამ ზღაპარს და მის საზრისს უკავშირებს ხალხურ ლექსს, „წუთისოფელი რა არი აგორებული ქვა არი“ – არამდგრადი, მოძრავი, წარმავალი უპირისპირდება უძრავ, მყარ, მტკიცე ქვა-ლოდს, რომელსაც ვერავინ დაძრავს, რომლის სიმძიმე ღვთიურს მოიაზრებს.

ზღაპრებში კარგად არის გშანფენილი და ზღაპრულ ხატსახოვნებად არის ქცეული ეს დაპირისპირებულობა – სიმძიმისა (ლოდი) და სიმსუბუქისა (ბამბა, კენჭი). პირეველი ღვთიურ საზრისს გულისხმობს და მხოლოდ ღვთის რჩეული ადამიანი ასწევს. მეორეს მიწიერი საზრისი აქვს და დრო-სივრცულ განზომილებაში ღვთიურისგან მთლიანად დაშორებულია – სიმსუბუქეც ამას გულისხმობს.

ის რაც ერთისთვის ძალან მსუბუქია, სხვა ძვრას ვერ უზავს – ეს ერთი ყველაზე გავრცელებული მოტივია მსოფლიო ფოლკლორში.

ქვა, როგორც ფუნდამენტი, ქართული ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, სახლის კერიად ცხადდება, ანუ ცენტრია, შუაგულია. „კერიის“ ქვაზე შიბია „ცაში“, ანუ ეს ქვა უკავშირდება ზეკსკნელს.

გელათის მშენებლობის ლეგენდაში მეფის სარწმუნოებრივი ძალმოსილებისათვის ეშმაკის დატერის, მისი მომსახურების – ჯორად ქცეული ეშმაკის სწრაფმავალ სამუალებად გამოყენება, მოთვინიერება და მისი კადოსნური

ძალით – სარგებლობა, ასევე მსოფლიო ფოლკლორისთვის კარგად ცნობილი მზა-სიუჟეტია.

რაც შეეხება ეშმაკის სარწმუნოებრივი ძალით დათრგუნვას და თავის სამსახურში ჩაყენებას, ეს მოტივი ბიბლიიდნაც კარგად ცნობილია – მაგ. როდესაც იორდნება გადალახვა დასჭირდა, წმიდა ენოქი ეშმაკს შეაჯდა მხრებზე.

თავად დავითის უცნობი ისტორიკოსის თხრობით დავითმა „რაოდენნი ეკლესიანი აღაშენნა, რაოდენი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალი ქვაფენილვნა, რაოდენნი ეკლესიანი, წარმართ-თაგან შეგინებულნი, განწმინდნა სახლად ღმრთისად, რაოდენნი ნათესავნი წარმართთანი შვილად წმიდისა ეშმაზისად მოიყანნა და შეაწნარნა ქრისტესა და დადვა მისთვის უმეტესი მოსწრაფება, რათამცა ყოველი სოფელი მოსტაცა ეშმაკსა და შეასაკუთრა ღმერთსა“.

ანუ დავითის ღვთივსულიერი ღვაწლი – ქრისტეს სარწმუნოების მოფენა, მსახურება ქრისტესი – „მესიის მახვილი“, მეფის აძქვენიური ღვაწ-ლი-აძქვენის მულობელს – ეშმაკს „სტაცებს“ ყოველ სოფელს და „ღმერთს უსაკუთრებს“ – სახისმეტყველური ფორმელა მეფის სარწმუნოებრივი ღვაწლისა.

თავად დავით აღმაშენებლის სიტყვაში დიდგორის ბრძოლის წინ გან-სიტყვებულია მეფის მიერ რწმენით „ეშმაკის დამარცხება“.

„ეპა, მეომარნო ქრისტესნო, თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძით, არამცუუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დაგამარცხებთ“ – ამ სიტყვაში წარმოსდგება ხმლითა და ჯვრით მებრძოლი მეფის სარწმუნოებრივი სიმტკიცე, ჯვარშემოსილი მყოფიბა.

ხალხური თქმულება დავით აღმაშენებელს ეშმაკს დამტკრად და ამლაგმელად, ვფიქრობთ, ამ თხრობათა მიხედვით წარმოსახავს.

ღვთივსულიერი შინაარსი, რაც დიდგორის ომის წინ წარმოითქვა დავითის პირით, რაც განაცხადა დავითის ისტორიკოსმა სახისმეტყველურად, ხალხური თხრობით სრულიქმნა ფოლკლორული მოტივებისა და მზა-ფორ-მულების გამოყენებით.

რაც შეეხება სასტაულებრივ ნივთს – ლაგამს.

„ქართულ ზღაპრებში არაშევათია ჯაჭვის, ლაგამის, აგშარის საშუალებით რაშად გადაქცევის მოტივი. ქართული ზღაპრის მიხედვით, ტბასთან მოტყუებით მიყვანილი აღები ღვინით დათვრეს, დამორჩილეს და შემდეგ მშენებლობაში გამოიყენეს. სულხან-საბა ორბელიანის „ქაჯთა შემპყრობელის“ მიხედვით, ადამიანმა ღვინით მიიტყუა ქაჯები და დასაძინებელი წამლის საშუალებით დაიჭირა. ქართული ზღაპრის მიხედვით, ჯადოსნური ლაგმის საშუალებით ეშმაკმა ვაჟი აქცია რაშად. აღნიშნული სიუჟეტისა და მოტივის ტრადიციულობის მაჩვინებელია აგრეთვე მისი ანალოგიები მსოფლიო ფოლკლორშიც (ქ. სიხარულიძე) (1,210).

თამარ მეფეს დვოისგან ნაკურთხი ლაგმით წყეული ყავდა რაშად ქცეული, მასზე მჯდომი დაქროდა სხვადასხვა კუთხეში და აშენებდა ეკლესია-მონასტრებს.

ასევე შუქურ-ვარსკვლავი თამარ მეფეს სადავის საშუალებით ცხენად ჰყავდა ხილმე გადაქცეული (1,216).

ლაგამი, აღვირი - ბიბლიური სახისმეტყველებით მორჩილების გამომხატველია.

ლაგამი - ეშმაკის იარაღიც არის, ქართულ ზღაპარში „ეშმაკის ლაგამი“, იგი სიძუნწით იმოწებს ადამიანს, ხოლო ლაგამის ახსნა ამ სენისგან ათავისუფლებს.

ლაგამით შეპყრობა ეშმაკისა და შემდგომ მსახურის (ანუ საიდუმლოს არ მცოდნე ადამიანის) მიერ ლაგამის აყრა და ეშმაკის გაუჩინარება, აღმა-შენებლისა და თამარ მეფის ციკლის ხალხურ ლეგენდებში ერთასირად არის ამეტყველებული, ანუ ორი დიდი ლვთისმოსავი მეფე, სარწმუნოებრივი ძალით ეშმაკს სძლევენ და თავისი ინტერესებისთვის იყენებენ, როგორც ამ თხრობას სახისმეტყველურად განიხილავს გრ. რობაქიძე:

„საკალურს არ შეიძლება მიეახლოს უბირი“... თავად ეშმაკის გასხლ-ტომა ფოლკლორული მოტივია, მარადიულად დატყვევება ეშმაკისა - უცხოა მთხრობელთათვის, გარკვეული დრო-უამის შემდგომ იგი თავს იხსნის და უჩინარება.

გელათის მშენებლობის ლეგენდაში ეშმაკის შეპყრობისა და გასხლ-ტომის მოტივი სრულად არის გაცოცხლებული.

**ბაგრატ მეფის ბოძებული „სასისხლო სიგელი ავშანდაძისა“ -**

1452 წლის დოკუმენტი

დავით აღმაშენებლის მიერ გელათის მშენებლობის ლეგენდა აისახა 1452 წლის დოკუმენტში - „სასისხლო სიგელი ავშანდაძის“, ბოძებული ბაგრატ მეფის მიერ, ლეგენდა ფრაგმენტულია, მთლიანი თხრობის შემადგენლი ელემენტი.

„ოდეს დარუბანდით გამოვიდა ავშანდაძის გვარის კაცი, დიდად ნამ-სახური მეფისა, როდესაც აღმაშენებელი გელათის აშენებდა და გალავნიდაღმა გარდამოგარდა. სამას და ხუთი აქიმი მოასხეს და ვერა უშველეს. მაშინდა სხუა ერთი ექიმი მოვიდა ყველას უკანას ბოლოსა. მან ასრე თქეა: „ავშანდაძესა უთქსო თორმეტი ფური ირმის მეწველიო. იპრიანა ღმერთმან. დარჩა აღმაშენებელი“.

ავშანდაძის სიგელით ცნობილი ლეგენდა დაგით აღმაშენებელს წარ-მოგვიდგენს. საგულისხმოა, რომ ავშანდაძეთა სასისხლო სიგელი, XIV საუ-კუნის დოკუმენტი, ჩვენამდე მოღწეული პირველი ისტორიული წყაროა, სა-დაც დავით IV აღმაშენებლად იწოდება. თითქმის ორი საუკუნეა გასული დაგითის მეფობიდან, ეს საკმაო დროა, ხალხური ლეგენდის სრულქმნისათვის, ისევე როგორც დიდი მეფის ზედწოდების - აღმაშენებელი დამკვიდრებისა-

თვის, ლეგენდა და ზედწოდება უკვე ხალხური თხრობის ნიმუშია ამ დოკუმენტში. ხალხში კარგად ცნობილი და გავრცელებული ეპიზოდია გელათის მშენებლობისა, მეფის განსაცდელისა, „სასისხლო სიგელი“ მხოლოდ გადმოსცემს ამ კარგად ცნობილ ხალხურ ლეგენდას და ფრაგმენტულობაც ბუნებრივა.

ამდენად, XIV ს-ის დოკუმენტში დამოწმებული ლეგენდა შუასაუკუნეობრივი ხალხური თხრობის ნიმუშია. ხატწერის კანონიკა – მეფეს ხელში უჭირავს ტაძრის გამოსახულება – ანუ არის აღმშენებელი ამ ტაძრისა, ხალხური თხრობის კანონიკით სიუჟეტად წარმოსდგება და ეს სიუჟეტი მოარულია მსოფლიო ხალხთა ფოლკლორში – მშენებლობის დროს განსაცდელი შეხვედება მშენებელს, მეფეს, ოსტატს, ხუროთმოძღვარს, მშენებლობა შეჩერდება... განსხვავებულია გზა განსაცდელის დაძლევისა, მაგრამ ყოველთვის უცვლელია – მსხვერპლშეწირვა და „ეშმაკის ძლევა“ ღვთიური ძალით. ხელისშემშლელად ეშმაკი სახელდება – აშენებულს ის ანგრევს. აუცილებელია მშენებლობის გაგრძელება და ადამიანური განსაცდელის ღვთიური ძალით დაძლევა – მშენებლობა სრულდება და განსაცდელი დაიძლევა...

ეს ტრადიციული სიუჟეტია – ფარგაზის უშრეტი წყარო კველა ერის ფოლკლორში. ამასთან, მითოსური აზროვნებით კვალდამჩნეული და შემდგომში ქრისტიანიზმული.

გელათის მშენებლობის თხრობაში მეორე საერთაშორისო მოტივია გამოყენებული – ზღაპრებში მრავალსახოვნად გაცოცხლებული – „სამას ხუთი ექიმი უძლური აღმოჩნდა და ბოლოს მოსულმა ურჩია მეფეს“... რიცხვი „სამას ხუთი“ არ არის კონკრეტული, მხოლოდ მრავლობითობის აღმნიშვნელია და ზღაპრული თხრობის დარად ჰიპერბოლიზებული. მითოლოგიზებულია ლეგენდის თხრობის დასასრული – აგშანდაძეს თორმეტი მეწველი ფური ჰყავს ირმებისა და მეფეს მხოლოდ ირმის რეჟ უწამლებს... ასე განკურნეს დავით აღმაშენებელი...

ხალხური თხრობა, ზღაპრული ეპოსი მეფის განმკურნებელს უმეტესად „უცხო ქვეყნიდან“ მოსულად, უცნაურ კაცად, „გლახაკად“ წარმოსახავს, რითაც შენარჩუნებულია მითოსური საზრისი – განკურნება შეუძლია მხოლოდ ბრძენს, უცხოდ განსწავლული, გულთმისანს, სხვა ქვეყნიდან მოსულს...

ეგლაზე საინტერესო ლეგენდის თხრობაში ირმისა და ირმის რძის სიბოლიკა, ზოგადად ირემი და მისი გააზრება მითოსური აზროვნების კვალს ასახავს, და ამასთან, ქრისტიანული საღვთისმეტყველო სახისმეტყველებით არის გაძლიერებული.

ირემი სამი სკნელის ცხოველია – ზეცას რქებით სწვდება, დედამიწასა და ზეცას შორის შუამავალია, მიწისქვეშეთშიც ჩადის ირემი.

ამირანის მითის თანახმად, ირემს გამოდევნებული სულკალმახი შეხვდება დალის, ნადირობის ქალღმერთს. მეფე ფარნავაზის „ცხოვრების“ თანახმად, ირემი მზიური ცხოველია. ნადირობისას ჭაბუკი ფარნავაზი განძით სავსე გამოქვაბულთან ირემმა მიიყვანა. ირემს ციურ სამყაროსთან აკავშირებს ლე-

გენდა ირმის ნახტომის „შესახებ“, ირემი შეეჯიბრა ხარს ცის გადარბენაში, მო-სწყდა ცას, დაიღუპა და ცაზე დატოვა კვალი – ირმის ნახტომის სახით (9,212).

ირმის განსაკუთრებულობასა და ზებუნებრივობაზე მიუთითებს მისი ოქროს რქები, ირემი მონაწილეობს ამირანის სასწაულებრივ დაბადებაში და გმირის დედის თანმხლებ ცხოველად წარმოსდგება (10,25). სხვა თქმულების თანახმად, ამირანი ზრდას ირმის ფაშეში ასრულებს.

ზებუნებრივი ძალით არიან დაჯილდოებულნი, ხალხის რწმენით, ირმის ძუძუნაწოვა გმირები. ქართული ჯადოსნური ზღაპრის „ირმისას“ მიხედვით, ბავშვი ირემმა გამოკვება, გამოზარდა... ირემი ბაგრატიონი მეფეების გამზრ-დელად არის წარმოდგენილი ხალხურ ლეგენდა-თქმულებებში – ლაშა გიორგი, ერეკლე მეფე. ბაგრატიონების გვარის წარმომადგენელი ირემს არ მოჰკლავდა. ირმის ხორცის არ სჭამდა“ (11,20).

„ფოლკლორული მასალის მიხედვით, ირმის რქე და ირმის წველა ღვთაებათა ხვედრია. ერთი ზღაპრის მიხედვით მზისა და მთვარის ასული, რო-მელსაც ფრინველები და ცხოველები ემორჩილებიან, ორმოც ირემს წველის, მათ რქეს ადუღებს და შიგ ბანაობს... მატერიალური კულტურის ძეგლებზე ირმის გამოსახულებები ხშირად რელიგიურ კოსმოგონიურ კონტექსტშია მოქცეული“ (12,115).

ირემი „ჯსალმუნთაგან“ დამკვიდრებული სახისმეტყველებაა – ღვთისა-კენ სწრაფვას, სულიერ წყურვილს გამოსხატავს.

აგიოგრაფიასა და ქრისტიანულ ხატმეტყველებაში ირემი ჰქვებავს წმინდანებს – („დავით გარეჯელის ცხოვრება“).

ირემს შეუასეულებელი გამოსახავდნენ რქებს შორის ჯვრით.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავშანდაის სასისხლო სიველი, რომელშიც ხალხური ლეგენდა ჩაწერილი, ასახავს მითოსურ და ქრისტიანულ სახის-მეტყველურ აზროვნებას. დავით აღმაშენებელი, როგორც ბაგრატიონი მეფე, ირმის რძით სასწაულებრივად განიკურნა, ეს განკურნება ახლად შობის ბადა-ლია თქმულებში, ინციაციის საფეხურია, მეფის ცხოვრებაში ღვთის ცხადი სასწაულია – „იპრიანა ღმერთმან“ – ღვთის ნებით აღსრულდება მეფის გამოჯამრთელება.

ხალხურ თხრობაში გამოყენებულია მზა სიუჟეტები – მშენებლობის უას განსაცდელი, მრავალ ექიმთაგან ბოლოს გამორჩეული მკურნალი, ირმის რძით განკურნება მეფისა – მითოსური ხანიდან გადმოსული აზროვნება ქრისტიანიზებულია, განსაცდელის დაძლევა ღვთის ნების მსახურებაშია მთაზრებული.

შეფეთა ცხოვრების აღმწერნი და მემატიანენი იყენებდნენ ხალხურ თხრობას მასალად, ამასთან, ყოველთვის წინასწარგანსაზღვრული ქარგა ჰქონდა თხრობას – აგიოგრაფიული და „ცხოვრებათა“ უანრული კანონიკა, ხატწერა ამას ცხადოფუს.

ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება – „ალექსანდრიანი“, რომლითაც, პაპელიძის მოსაზრებით, უსარგებლიათ „ქართლის მოქცევის“ ავტორს და

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, მსგავს სიუჟეტს აღწერს მეფის განსაკურნებლად:

„შემძლებელ ვარ ამისა შეწევნად, ვითარ სამთა დღეთა ცხოვრებათ და-გიცვა, ვიდრემდის ყოველივე ქვეჭნიერი სამეფონი წარმართო...“

ფილიპე მკურნალმან აღექსანდრესმან მსჯუ ცოცხალი გააპო (სახედარი – ლ.წ.) და მას შინა შთასვა აღექსანდრე“ (13,173).

მეფეთა ცხოვრებები, ისე როგორც გამორჩეულ გმირთა და წმინდანთა ცხოვრებები, მასალად იყენებენ მითოსური აზროვნების მზა-სიუჟეტებად ქცე-ულ ეპიზოდებს – ირმის, ხარის, სახედრის და ა.შ. ზოგადად ცხოველის ფაშვ-ში, სხეულში „გამოშუშება“, ღვთის ნებით განკურნებად არის გააზრებული.

გელათის მშენებლობის ლეგენდა, მოთხრობილი დოკუმენტში „სასის-ხლო სიგელი ავშანდისა“, XIV საუკუნის ძეგლში, შუასაუკუნეობრივი ხალხური თქმულებაა, რომელშიც უკვე ქრისტიანიზებულია მითოსური აზროვნება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დავით აღმაშენებლის მიერ გელათის მშენებლობას, მეფის ღვთიურ ღვაწლს ხალხური ლეგენდები დავითის ისტორიკოსის თხრობის აგიოგრაფიული ხატწერის დარად წარმო-სახავენ. ზეპირსიტყვიერება – მითოსური ხანიდან ცნობილი მოტივებისა და მზაფორმულების გამოყენებით, ხალხური თხრობის კანონიკით დადი მეფის ცხოველმყოფელ ხატს სრულებრივის.

ამ თხრობის თანახმად, დავით აღმაშენებელი გელათის მესამირკვლეა. გელათი „მეორედ იერუსალიმად“ და „სხუად ათინად“ – რწმენისა და ცოდნის ერთიანობის სიმბოლოა. აქ განსწავლული სახავენ გელათს „ცად მიმავლენ კიბედ“.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ქსენია სიხარულიძე „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომ-ცემლობა, 1949 წ. 2. „ცხორებად მეფეთ-მეფისა დავითისი“ – ტექსტი გამოსაცემად მო-ამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი დაურთო მზ. შანიძე, მცნიერება, თბ., 1992. 3. **Fleck, Anecdota maximam partem Sacra, leipzig, 1831.** 4. **Tr. Spiegee, Die traditionale literatur der Pazsen, Wien, 1860.** 5. ვ. კოტეტიშვილი, „რწეული ნაწერები“, დ. გამეზარდაშვილის გამოცემა, თბ., 1967. 6. ვ. ვუნდტი, „Мифы и Религия“. 7. იაკობ ცურტაველიდა „წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისად“ თბ., მერანი, 1986. 8. ვ. კოტეტიშვილი, ექსკურსები, „ხალხური პოეზია“, თბ., 1934. 9. დ. შენგელაძა, წერილები, თბ., 1955. 10. **М. Чиковани,** Народный грузинский Эпос о прикованной Амирани, М., 1966. 11. ბაგრატიონი ნ., „ბურებოა“, თბ., 1951. 12. ი. სურგულაძე, „ქართული ხალხური ორნამენტის სიმბო-ლიკა“, თბ., 1993. 13. „აღექსანდრიანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომეტარები, ლექსიკი და საძიებელი დაურთო რევაზ მირიანაშვილმა, მცნიერება, თბ., 1980. 14. ა. თვარაძე, „საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში“, თბ., 2005. 15. თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, მერანი, თბ., 1979.

**მაია კიკაბიძე**

## **ფოლკლორის როლი ეროვნული სულის აღზევებაში აკაკი წერეთლის შემოქმედების მაგალითზე**

ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში უზარმაზარი წვლილი შეიტანეს თერგდალუულებმა, XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებმა აკაკიმ და ოლიამ, რომლებმაც მოელი სიცოცხლე ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირეს.

რუსეთის კოლონიური პოლიტიკა მიზნად ისახავდა ქართველი ერის ისტორიის გაყალბებას, ქართველი მეფებისა და საზოგადო მოდვაწეების აბუზად აგდებას, ყოველმხრივ ახშობდა ხალხში ეროვნულ თვითშეგნებას, ეროვნული დირსების გრძნობას.

თერგდალუულთა უმთავრესი იდეის - ეროვნული თავისუფლების იდეის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა საკუთარ კულტურულ ღორებულებათა დაცვა და პოპულარიზაცია გახდა. ამიტომ ანიჭებდნენ სამოციანელები ხალხურ სიტყვიერებას დიდ მნიშვნელობას, სწორედ მას უნდა ეთამაშა მნიშვნელოვანი როლი ეროვნული ცნობიერების გამოვლიბებაში.

ზეპირსიტყვიერების წიადში პოტენციურ მდგომარეობაში მყოფი ეროვნული ენერგია ძალუმად უნდა აღზევებულიყო, რათა ქართველ ხალხს ეგრძნო თავისი სულის სიძლიერე და ქართული აზროვნების ძალა. ყოველივე ამისათვის საჭირო იყო გაცოცხლება უძველესი მითოსისა და თანადროულობაში მისი გადმოტანა, ამასთანავე მას უნდა ეკისრა ძლიერი იდეოლოგიური ფუნქცია, რომელიც ეროვნულ ცნობიერებას გაადმავებდა და ეროვნული კულტურის თვითმყოფადობის უძველეს გენეზისსა და მის საუკუნეთა სიღმეში მიმავალ ფესვებზე მიუთითებდა.

“მტერი ამჟამად მის სულიერებას ემუქრებოდა, ეროვნული კულტურის უქონლობას აბრალებდა, რათა ამით გაემართლებინა

“განმანათლებელი” რუსეთის მიერ “ველურ, უწარსულო” საქართველოში ცივილიზაციის შეტანის დღიუნგი, ქართველი ხალხისათვის საკუთარ (რუსულ) კულტურულ ფასეულობათა თავსმოხვევის მცდელობა, ქართულ-რუსული დაპირისპირება იდეოლოგიის სიბრტყეზე იყო გაშლილი და პასუხიც შესაბამისი უნდა მოძებნილიყო. უწარსულობას, უკულტურობას დიდებული და დიდი წარსულის, მდიდარი და თვითმყოფადი კულტურის წარმოჩენა-გამომზეურება უნდა დაპირისპირებოდა. ამაში ზეპირსიტყვიერებასაც უნდა ეთქვა თავისი სიტყვა<sup>1</sup>.

აკაკი მუდამ ქადაგებდა იმ აზრს, რომ საქართველოს განთავისუფლება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ერთ თაგზის თავს კარგად შეიცნობს, ამის ერთადე-ერთი გზა კი ერის წარსულის შესწავლაა, ხოლო “ხალხური პოზიცია უტყუარი სარკეა გასული ცხოვრებისა და ისტორიის მტკიცე საფუძველი<sup>2</sup>. ამ მიზნით, აკაკი მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრება-შესწავლისათვის, მრავლრიცხოვან პუბლიცისტურ წერილებში მსჯელობს რა ქვეყნის საჭირობოროტო საკითხებზე, აფხისლებს და, ამასთანავე, აფრთხილებს საზოგადოებას, რომ ამ საქმეს დაჩქარება ჭირდება და “სადღეს-ხვალიო გადასადები” არ არის: “ქართველებს რომ დღეს ბევრი სხვადასხვა საჭიროება გვაძეს და აუარებელი საქმეც გვაწვეს ტვირთად, ეს ვინ არ იცის? ... მაგრამ არც ერთი მათგანი ისეთი საჭირო და სასწავლო არ არის, როგორც ზეპირ-გადმოცემების შეკრება და შეგროვება! ... შედარებით ამ დიდ საქმესთან ყველა თითქმის “ჩსირკედელაობათ” უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ჩვენ კი მაინც ამოდენა ხანია განზე კუდგებით ამ საჭირო საქმეს<sup>3</sup>.

დიდი საზოგადო მოღვაწე მუდამ ხალხის სამსახურში იდგა. მთელი საქართველო ფეხით მოიარა, პირადად ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას, მის ჭირსა და ლხინს იზიარებდა და მადლიანი სიტყვით ქვეყნისადმი სამსახურს შთააგონებდა. აი, რას იგონებს სოფორომ მგალობლიუმილი: “აკაკიმ რაც წერით გააკეთა, ერთი იმდენი ხალხში გასვლით. იგი ყოველ წლივ ეწვეოდა ხოლმე ხან ერთს ჯუთხეს საქართველოსას, ხან მეორეს, ხან მესამეს. პირადად ეცნობოდა თავის ერს, ცხოველი სიტყვა გაპქონდა ხალხში და ჭირ-ვარამს უქარვებდა ... მაშინ ჩვეულებად ჰქონდა: უბით დაპქონდა რვეული. ჩასწერდა ხოლმე ლექსს და სხვა რაიმე გამოგონილს ამბავს ხალხურსა.”<sup>4</sup>

XIX საუკუნის 60-იან წლებიდან მოყოლებული თერგდალეულების და მისი ერთ-ერთი მეთაურის აკაკის მიერ რუსიფიკაციის

პოლიტიკის წინააღმდეგ გამართული უკომპრომისო ბრძოლა მოითხოვდა ეროვნულ ლიტერატურას, რომლის შესაქმნელადაც აუცილებელია მტკიცე კავშირი ხალხური პოეზიის სათავეებთან.

აკაკი კი ზეპირსიტყვიერების დიდი მცოდნე და მოტრფიალე იყო. მე-19 საუკუნის რამდენიმე მწერალი თუ შეედრება მას ქართული ნაციონალური ფოლკლორის ცოდნასა და დაფასებაში. იგი ბავშვობიდანვე დაუკავშირდა ხალხურ სიტყვიერებას და მისგან შთაგონებული თავისუფლებას მძლავრად უმდეროდა: “... ზამთრის გრძელი დამეტების შესამოკლებლად, გადია ჩემი ზღაპრებს მეუბნებოდა ხოლმე. ხოგიერთი მათგანი დღესაც გულის ფიცარზედ მაწერია ...მასხსოვს, ერთს მკაცრ ზამთარში, როდესაც შავი, უკუნი სარკმელებში იხედებოდა და ქარიშხალიც გარეთ ისევ გულსაკლავად ზუოდა, რომ თითქოს სიცივისაგან ატანილი, თბილ ოთახში შემოშვებას იხვეწებაო, – გამხიარულებული ბჟერის წინ, შვლის ტყავზე რბილად და თბილად ვიჯექი და სულგანაბული ყურს ვუგდებდი გადიას: იმ დროს ის ამბობდა “ოქროს წყაროს ზდაპარს“?

ხალხურ საუნჯეზე გაზრდილმა პოეტმა იცოდა ამ საოცრების მნიშვნელობა, იცოდა რა დიდი ძალა პქონდა მას, რათა ხალხს ეგრძნო რა მდიდარი კულტური შთამომავალი და მემკვიდრე იყო. ამიტომ უქადაგებდა დიდსაც და პატარასაც მის შეკრებას: “ესები ყველა რომ შეიკრიბება, მაშინ შევიტყობოთ ჩვენი ქვეყნის ფასს და ჩვენ ფასსაც გაფიცნობთ, კიდეც ვიმეორებ, დიდი და პატარა, შეძლებისდაგვარად ყველა ვალდებულია, რომ ამ საქმეს მიეჭველოს“.<sup>6</sup>

თვითონ დიდი პოეტი თავის შემოქმედებაში ოსტატურად იყენებდა ქართულ იგავარაკებს, თქმულებებს, ანდაზებს, ზღაპრებს, მახვილსიტყვაობას, რაც დიდ ძალას მატებდა მის ნაწარმოებებს. აკაკი ხალხური სიტყვიერების ყველა ნიმუშს დიდ ყურადღებას აქცევდა, თუმცა ეროვნული თავისუფლების იდეის მძლავრად გამდისათვის იგი მუდამ ისეთ ფოლკლორულ მასალას არჩევდა, რომელშიც იმედიანობა, სულის სიმტკიცე, ერთი ძალა იგრძნობოდა, როცა კი შესაფერის ნიმუშს აღმოაჩენდა მაშინვე შეუდგებოდა მის პოპულარზაციას, ასეთი ნიმუშები იყო სწორედ “მუმლი მუხასა“ და “ამირანი“.

ქართულ ეპოში მთავარი ადგილი უჭირავს თქმულებას ამირანზე. ამირანის სახე და მასში არსებული იდეა აკაკის ძალზე აინტერესებდა, ამირანი ხომ ძლიერი ფოლკლორული გმირია, მო-

ნობას შეურიგებელი, თავისუფლების ტრფიალი. სწორედ ამიტომ გახდა იგი შთაგონების წყარო აკაკის პოეტური აღმაფრენისა.

პოემაში “თორნიგე ერისთავი” მან პირველმა “გააცოცხლა ქართულ პოეზიაში ეს უდიდესი სახე ძველ-ქართული მითოსისა”.<sup>7</sup>

ამირანის სახით პოეტმა დახატა დამონიგული საქართველო, რომელიც ისწრაფების სანუკვარი მიზნისათვის, ეროვნული თავისუფლებისაკენ: “კავკასიის მაღალ ქედზე

მიჯაჭვული ამირანი  
არის მთელი საქართველო  
და მტრები კი ყვავ-ყორანი,  
მოვა დრო და თავს აიშვებს,  
იმ ჯაჭვს გასწყვატს გმირთა გმირი.  
სიხარულად შეცელება,  
ამდენი ხნის გასაჭირი.“

აკ. წერეთელი ძლიერ დიდ ყურადღებას აქცევდა უძველეს ლექსს “მუმლი მუხასა”.

დიდმა პოეტმა მას გამოაცალა წარმართული გაგება და ეროვნული თავისუფლების იდეას დაუკავშირა “ხილს რომ გარს მწერ-ბუზები შემოეხვევიან, გუნდათაც რომ დაჯდენ გარედან, მაინც იმდენს ვერას ავნებენ, რამდენსაც ერთი უჩინარი, მაგრამ შიგნით, მის გულშივე-კი, გაჩენილი მატლი!.. გარედან მოსეულებისაგან ხშირად, ბევრჯელ მოულოდნელადაც კი რომელიმე სტიქორნის ძალა გადაარჩენს ხოლმე: ხან ქარი გააფანტავს, ხანაც წვიმა გადარცხებაგს, ხან მზე დააცხენებს და ძირს ჩამოყრის, ხან კიდევ სხვა რამ და ამგვარად. მაგრამ მის გულშივე გაჩენილი მატლისაგან კი ვედარა იხსნის რა“ ...ეს არის მსოფლიო კანონი და არა მარტო ხილისა და ნაყოფის შესახებ! ...ამავე კანონს ექვემდებარება კერძოდ ყუველივე კაცად-კაცადი და საერთოდ მთელი ერიც. ეს არ გამოჰქმარვია ჩვენი წინაპრების ყურადღებას და აღუნიშნავს ანდაზებით: “მტერი იმას ვერ უზამს კაცს, რასაც თავისი თავიო“, და “ციხე შიგნიდან გატყდებაო.“ მარტო ეს ანდაზებიც რომ ადარ უკმარებია, კიდევ უფრო ნათლად და უფრო საბულისხმოდ სახალხო სიმდერით გადმოუცია. ამ შესანიშნავ ხალხურს პქვიან: “მუმლი მუხასათ“ და სხვანი. აქ ძლიერ მუხად საქართველოა დასახული, რომელსაც მტრები მუმლივით გარს ეხვევიან, მაგრამ შტოებ-გაშლილსა და ფესვებ-გამდგარს ვერას აკლებებები! . . . ის სდგას ამაყად, შეუპოვრად, სანამ შიგნივ წყალი არ ჩაუდგება და ჭია არ გაუჩნდება! . . . მაშინ კი . . . და მხოლოდ მაშინ ეღება ბოლო.“<sup>8</sup>

რადგან ეროვნული თავისუფლების იდეით მძღავრად არის გაუძენთილი ეს ლექსი, აკაკი მუდამ თაგს დასტრიალებდა მას და დიდი სიყვარულით ახსენებდა ყოველთვის, რათა ხალხს ეგრძნო მისი სიცხოველე და მასში საშვილიშვილოდ გადმოცემულ სიბრძნეს ქართველის გულში მძღავრად გაედგა ფესვები:

“მუძღი მუხასა, მუშურს რომ ვამბობთ

არ ვმდერთ უაზროდ და უადგილოდ

არა, იმაში სიბრძნეა ხალხის

გადმონაცემი საშვილიშვილოდ.“<sup>9</sup>

აკაკი მუდამ იყენებდა ფოლკლორულ მასალას, იქიდან აღებულ მხატვრულ მოტივებს თუ ფოლკლორული გმირების სახეებს, რომლებსაც ახალ პოეტურ სიცოცხლეს ანიჭებდა. ასეთებია პოემები: “ნაცარქექია“, “გოგია მეზონგურე“, დრამატული პოემა “ჰატარა კახი“, ისტორიული მოთხოვნა „ბაში-აჩუკი“.

თავისი იდური მიზანდასახულობით ნაწარმოებები ხალხს თავის სულში ჩახედვებდა, პატრიოტულ სულისკეთებით განაწყობდა, ეროვნული დირსების გრძნობას უდივებდა, რადგან კაცობრიობის ისტორიაში არ მომხდარა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა პოლიტიკური, კულტურული თუ სოციალური, რომელსაც იდეოლოგიური საფუძველი არ ჰქონდა. ხალხური სიტყვიერებაც თავისუფლების მიღწევისათვის გაშლილი იდოლოგიის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო და ამიტომაც აკაკი მალასა და დონეს არ იშურებდა მისი პოპულარიზაციისათვის. იგი თავის კრებულში “აკაკის კრებული“ ხშირად ბეჭდავდა ზეპირსიტყვიერების მასალებს, რადგან: “ხალხური ლექსები, შაიორები, ზდაპრები, თქმულება, ლეგენდები, იგავ-არაკები და სხვანი, რაც კი შეაღგენს ზეპირსიტყვიერებას, საზოგადოო ყოველი ხალხისათვის ძვირფასი განძია, როგორც მტკიცე საძირკველი მისის ისტორიისა და უტყუარისარე მისი წარსული ცხოვრებისა, თუ არ მომაკვდავი ხალხი, ისე ამ განძზედ ხელს ვერ აიღებს ვერც ერთი აკაკი ხალხს მუდმივად შთააგონებდა, რომ საქართველო უძველესი კულტურის, უზარმაზარ ისტორიის ქვეყნაა. ამით მათ უდვიძებდა მიჩქმალულ ეროვნულ ენერგიას, მათ ჩვენი “ზეპირგადმოცემების“ დიდ დირსებაში არწმუნებდა: “ხალხური პოეზია უტყუარი სარკეა გარდასული ცხოვრების და ისტორიის მტკიცე საძირკველი და მიტომაც ცნობილია დღეს ყოველ განათლებულ ერისაგან ერთ უპირველეს საჭიროებად. ჩვენი ქართველი “ზეპირგადმოცემები“ მით უფრო შესანიშნავი არის სხვებისაზე, რომ კერძო მნიშვნელობის გარდა, მსოფლიო ხასიათიც აქვთ. საქართველო იყო ხიდად და გზად იმ დი-

დი მოძრაობის დროს, როდესაც სხვადასხვა ერი აზიიდან ევროპაში გადაღიოდა. მაშასადამე ჩვენი ქვეყანა უძველესი დროიდანვე ბევრის მომსწრეა, მნახველი და მოწამე.“<sup>11</sup>

აკაკიმ 1913 წლის 30 მარტს აღ. აბაშელის სადამოზე წაიკითხა ლექცია, სადაც ამბობს, რომ ჩვენს სიტყვიერებაში ასახულია ქართველი ხალხის წარსული ცხოვრება, ფოლკლორი, როგორც ცხოვრების სარკე ისტორიულ წყაროდ გვევლინება, თუ გვინდა ერის წარსული ვიცოდეთ უყოფანოდ ზეპირისიტყვიერებას უნდა მიგმართოთ: რადგან “იმათი დაკიტება წარსულზე ხელის აღებაა, იმისი დაკარგვა, დავიწყება ჩვენი სიკვდილია.“<sup>12</sup>

დიახ, ახეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი პოეტი, დიდი საზოგადო მოღვაწე ქართულ ფოლკლორს ერის სულიერი ძალების გაცოცხლებაში. ხანგრძლივი, გამანადგურებელი პოლიტიკო შერყეულ ეროვნულ ცნობიერებაში უნდა მომხდარიყო მენტალური რევოლუცია. ეს კი უძნელესი საქმე იყო, ამაში თავის სიტყვა უნდა ეთქვა ფოლკლორსაც და დიდმა მამულიშვილებმა იღიამ და აკაკიმ ეს მოახერხეს კიდევ. ფოლკლორული მასალების წინ წამოწევამ. მათ პროპაგანდა-აგიტაციამ და პოპულარიზაციამ, სხვა მრავალ ქვეყნის სასიკეთოდ მიმართულ საქმესთან ერთად, რომელსაც ნახევარი საუგუნის მანძილზე ეწეოდნენ აკაკი და ილია შეუძლებელი შეძლო. ქართველები ხალხმა გაითავისა ეროვნული მოძრაობა, ქართველი ერის ასიმილაციის, საქართველოს მოსპობის გეგმამ მარცხი განიცადა.

**დამტებული ლიტერატურა:** 1. თემურ ჯაგოლიშვილი, “ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია”, გამომცემლობა “მეცნიერება”, თბ., 1969 წ. გვ. 265. 2. აკაკი წერეთელი, განცხადებისათვის, ჟურნალი “კალი”, 1895 წ. №6, გვ. 10. 3. აკაკი წერეთელი, განცხადებისათვის, ჟურნალი “კალი”, 1895 წ. №6, გვ. 11. 4. სოფორმ მგალობლიშვილი, “ჩვენთან არის აკაკი”, ჟურნალი “თეატრი და ცხოვრება”, 1915 წ. №5. 5. აკაკი წერეთელი, თხულებათა სრული კრებული, ტომი IV, თბ., 1957 წ., გვ. 323. 6. აკაკი წერეთელი, თხულებათა სრული კრებული, ტომი VI, თბ., 1957 წ., გვ. 483-484. 7. პავლე ინგოროვა, თხულებათა სრული კრებული, შვიდ ტომად, სახელმწიფო გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, ტომი I, თბ., 1963 წ., გვ. 487. 8. აკაკი, საცა არა სჯობს, ჟურნალი “კრებული”, 1900 წ., №3-4, გვ. 14. 9. აკაკი წერეთელი, თხულებათა სრული კრებული, ტომი III, თბ., 1957 წ., გვ. 488. 10. აკაკი წერეთელი, “მოგონება მარგანეცხე”, ჟურნალი “კალი”, 1893 წ., №2 გვ. 12. 11. აკაკი წერეთელი, თხულებათა სრული კრებული, ტომი VI, თბ., 1957 წ., გვ. 489

## მარინა ტურაშვილი

### ადამიანთა საკუთარი სახელები და მეტსახელები (ყვარლის რაიონის სოფელ ალმატის მასალების მიხედვით)

მეტსახელი განუმორებელი ნაწილია სახელისა, თუ თავდაპირველად მეტსახელებიდან წარმოიშვა საკუთარი სახელები, აბლა იგი მის აპარალელურად იხმარება.

საკუთარ სახელთა და მეტსახელთა შესწავლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ხალხის ენის სისტემის, ყოფითი რეალიებისა და კულტურის წარსულის გასათვალისწინებლად. ყოველი ხალხის ონომასტიკონში თვითმყოფთან ერთად გარევეული აღგილი გარედან შემოსულ მასალას უჭირავს. ქართული ონომასტიკა უცხოური მასალით ქრისტიანიზმის გავრცელების ხანაში შევსებულა მწიგნობრობის გზით. წარმართულ ონომასტიკონზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ის ადგილობრივ ნიადაგზეა აღმოცენებული უძველეს ეპოქაშია დამკვიდრებული ხალხის ყოფაში (2, 116).

ადამიანის საკუთარი სახელები ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებად. საკუთარ სახელებს სხვადასხვა წარმოშობა აქვთ და მათ გავრცელებას სხვადასხვა პირობები განსაზღვრავდა. უწინარეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ მათი გაჩენა პრაქტიკულმა საჭიროებამ გახდა აუცილებელი – ერთი პიროვნება უნდა გარჩეულიყო მეორისაგან. ერთგან ცხოვრება-ურთიერთობის პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ სახელის აუცილებლობა გამოიწვია (2, 116).

თავდაპირველად ადამიანთა საკუთარ სახელად გამოუყენებიათ ნივთის, საგნის, ცხოველის, ფრინველის, მწერის, თვისების, მოქმედებისა და სხვა სახელწოდებანი. ამის კვალი კარგადაა შემონახული იმ საკუთარ სახელთა შინაგან სტრუქტურაში, რომელსაც ძელი წერილობითი ძეგლებიდან და ხალხის წარმართული ყოფის ჩვენამდე მოღწეული გადმონაშობით ვიცნობთ.

თანამედროვე ანთროპონიმიკა საკუთარ სახელებს ორი ასპექტით იკვლევს: დესკრიფიულად (ე. ი. დღევანდელი ვითარების ჩვენებით) და დიაქრონულად (ე. ი. განვითარების ისტორიის ჩვენებით) (3, 159).

საკუთარი სახელი და საზოგადო სახელი ერთურთის საპირისპირო ისეთი სიტყვებია, რომელთაც ინდივიდუალური ნიშან-დობლივი თვისებები აქვთ. აკაკი შანიძის ფორმულა: “სახელი შეიძლება იყოს საკუთარი და ხაზოგადოო” (1, 38), – სწორედ ამას გულისხმობს, მაგრამ, ამასთან ერთად, საზოგადო და საკუთარ სახელებს ბევრი რამ აქვთ საერთოცა და განსხვავებულიც. მართალია საკუთარი სახელი აღნიშნავს ერთ პირს, **ის აღნიშნავს და არ ახასიათებს** საგანს, მაგრამ განხოგადების ძალას მაინც ინარჩუნებს. **ეთერ, რუსუდან, ვახტანგ, ზურაბ...** ერთსა და იმავე დროს ათეულობით პირსაც პევია, მაგრამ ამ მრავლობაში მაინც კარგად ვარჩევთ ინდივიდს, მის ნიშნებს. ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ საკუთარი სახელი გენეტიკურად იგივე საზოგადო სახელია, ხოლო საკუთარი სახელის გადასვლა საზოგადო სახელთა ჯგუფში და, პირიქით, საზოგადო სახელისა – საკუთარ სახელთა ჯგუფში, დღესაც ბუნებრივი პროცესია. საკუთარ და საზოგადო სახელთა განსხვავებას, ისევე, როგორც მათ მსგავსებას, გვერდს ვერ ავუკლით. ამასთან, ისიც უნდა ვთქვათ, რომ საკუთარ სახელებს, საზოგადოსაც განსხვავებით, სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანიც აქვთ. სპეციფიკას ჩვენ ვეძედავთ მათს როგორც გამოყენებაში, ისე, რაც მთავარია, გრამატიკულ სტრუქტურასა და სემანტიკაში (3,159-160).

საზოგადო სახელი, ცხადია, აღნიშნავს საგანს, საკუთარი სახელი კი სახელს სდებს საგანს. სახელდება თითქის ორივე მათგანის საერთო თვისებაა, მაგრამ ეს – მხოლოდ გარეგნულად. აღნიშნვასა და სახელდებას, წოდებას შორის, მსგავსებასთან ერთად, განსხვავებაც უნდა დავინახოთ. **ფოცხვერი** მაგ., საზოგადო სახელია, აღმნიშვნელი გარკვეული სახის გარეული ცხოველისა. ამ სიტყვით ცხოველთა სამყაროდან გამოიყოფა ერთი სახის გარეული ცხოველი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც არ არის საკუთარი სახელი. ამასთან, **ფოცხვერა** უკვე საკუთარი სახელია, რადგან ერთ კონკრეტულ ადამიანს შეერქვა. რა განასხვავებს მათ? გამოყენება და სტრუქტურა: **ფოცხვერი** სქრუქტურულად ბრუნებადი მარტივი სიტყვაა, რომელსაც აქვს ორივე რიცხვი: მხოლობითიც და მრავლობითიც, **ფოცხვერა** კი წარმოქმნილია: “–ა” აქ დერივაცია, მაწარმოებელი მოვერებითობის (კნინბისა), რომლის დართვამ საკუთარ სახელთა თანრიგში გადაიტანა. ამ სუფიქსით წარმოქმნილ საკუთარ სახელს მრავლობითი რიცხვი არა აქვს: მრავლობითში დასმა გამოიწვევს მის საზოგადი სახელთა თანრიგში გადასვლას. ანალოგიური სურათი იშლება ჩვენ წი-

ნაშე სხვა ამისთანა მაგალითებზე დაკვირვებისას (შდრ.: ჩიტი – ჩიტა, კურდღელი – კურდღელა, ვეფხვი – ვეფხვია). გამოდის, საზოგადო სახელი ნამდვილად აღნიშნავს საგანს, საკუთარი სახელი კი სახელს სდებს მას (3, 159-160).

მაშასადამე, საკუთარი სახელი ენის ლექსიკის უდავო ნაწილია, სტრუქტურით და ფუნქციით სპეციფიკური სიტყვაა, რომელიც კი არ ითიშება, არამედ ორგანულად უგავშირდება საზოგადო სახელთა სისტემას.

ქართველ საკუთარ სახელებს დიდი ტრადიცია აქვთ. ქართველ ტომებს თავიდანვე შეუქმნიათ საკუთარი, ადგილობრივი ონომასტიკა, რომელიც თაობიდან თაობას გადმოუკავს. ფეოდალიზმის ეპოქაში, როგორც ჩანს, ადამიანთა საკუთარი სახელები ქართველ ტომებში გავრცელდა გვიან, მწიგნობრობის შექმნის შემდეგ, მაგრამ, დიდი დაწოლის მიუხედავად, უცხოური ონომასტიკის ტალღამ ვერ წალეკა ადგილობრივი სახელები. ჩვენამდის მოვიდა წარმართვული ონომასტიკა, რომლის გათვალისწინება სახელების შეცვლის პროცესის ახალ პერსპექტივას შლის ჩვენს წინაშე.

ქართველ ტომებს საკუთარ სახელთა თავიანთი სისტემა შეუქმნიათ ჯერ კიდევ ადრე, მატრიარქატიდან პატრიარქატზე გადასვლის ეპოქაში. ყოველ შემთხვევაში, ახლა დადასტურებულადაც უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ თავიდანვე ქართველ ტომებს კარგად ჩამოყალიბებული თვითმყოფი ონომასტიკონი ჰქონიათ. ამას მოწმობს წარმართვულ ღვთაებათა საკუთარი სახელები, რომელთა ერთი ნაწილი (ადილა, დალი და მისთ) შემდეგ ადამიანის სახელებს შეუსისხლხორცდა. მომდევნო ეპოქებში თავისთავად საკუთარ სახელებს ნასესხებიც შემორევია. ნასესხებ ანთროპონიმთა ბევრი ნიმუში შესწავლილი აქვთ 6. მარს, ივ. ჯავახიშვილს, ქ. ქმპელიძეს, ი. აბულაძეს, ქ. თაყაიშვილს, აკ. შანიძეს, ს. ყაუხესიშვილს, ს. კაკაბაძეს, გ. მელიქიშვილს, გ. უორდანიას...

ს. ყაუხესიშვილმა სპეციალური გამოკლევა მიუძღვნა ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემას ქართვლში (9, 105).

ამჟამად საქართველოში სხვადასხვა წარმოშობის მრავალი სახელია გავრცელებული, სახელთა მირითად მასას შეადგენს ქ. წ. კალენდრის სახელები (პეტრე, ივანე, გიორგი, მარიამ და მისთანები), მაგრამ ამათ გვერდით გვხვდება ისეთი სახელები, როგორიცაა ძველთაგანვე (შუა საუკუნეებიდან) შემოსული სპარსული სახელები, რომელთა დიდი ნაწილი საქმაოდ სახეცვლილია (როსტომი, ზურაბი, ქეთევანი...); ერთი ჯგუფი რუსული სახელებისა, რომლებიც XIX საუკუნიდან გავრცელდა ჩვენში (ვლადიმერი,

ოლდა, ნადეჯდა...); თურქელი წარმოშობის სახელები (ჯემალი, მუსტაფა...); კვროპული წარმოშობის სახელები (ჰენრიხი, კორდელია, იზოლდა, ტრისტან...); საკუთრივ ქართული წარმოშობის სახელები (მაყვალა, ნათელა, მზია...); საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ადგილობრივი სახელები (ყაფიბა, ბერია, დათვია, ბონდო, ბუხუბი, ჭიჭიკო...); ახალი შერქმეული სახელები, რომლებიც წარმოადგენებ ან უცხო გვარების გამეორებს (ბისმარკი, უროვესი), ან ისინი გამოჩენილ პირთა სახელების დასაწყისი ასოების ან მარცვლების შეერთებითაა მიღებული (დაზმირი – **და ვძრავს ცხოველის მარცვლების შეერთებით** (გრივერი = გრიშა+ მერი, ლეომერი = ლეო+მერი...), ან კიდევ სხვადასხვა საგნის თუ ცნების აღმიშვნელი სიტყვად გამოყენებული სახელად (ტროლეიბუზი, სექტეტო...) და სხვა. ამასთან ერთად, უკანასკნელ სანებში ძალიან გავრცელდა საშინაოდ სახმარი სახელების გამოყენება (თამრიკო, მარიკო, ანუკი და მისთ).

ქრონოლოგიურად ქართულ ანთროპონიმიკაში გამოიყოფა უძველესი და გვიანდელი ფენა. უძველესია **ძირული** (თაყა, ხეიჩა, ვაჩა, ზურო...) ან **წარმოქმნილი** (ობოლა, დავითა, საბერო...) სახე ანთროპონიმთა, მომდევნო კი **კომპოზიტური** სახელებია (გულნაზი, პირიმზისა, მზექალა...). **ქნინობითი** ფორმებიც (ბიჭიკო, ზურიკო...) შედარებით გვიანდელი უნდა იყოს, ვიდრე ჩვეულებრივ წარმოქმნილი სახელები.

საკუთარ სახელთან ერთად ქართულ ტომებში ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა ადამიანისათვის **მეტსახელის შერქმევა**, რაც დღესაც არ მისცემია დავიწყებას. მეტსახელის შერქმევისას, უწინარეს ყოვლისა, მიზანში იღებენ ადამიანის პირად თვისებებს, მისწრაფებებს, მოსაქმეობას, გარეგნობას, ამიტომ აქ გონებამახვილობასა და შემოქმედებას უსაზღვრო ასპარეზი პქონდა. მეტსახელს მთის კილოუბში **თიკუნის ანუ ფსევდონიმს** ეძახიან და იგი აქ მამაკაცსა და დედაკაცს ერთნაირად პქონდა.

მეტსახელი ან თიკუნი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ცნობილი. ზოგჯერ ადამიანს მეტსახელით უფრო იცნობენ, ვიდრე – ნამდვილი სახელით.

თიკუნის შესწავლას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ ანთროპონიმთა მთავარი ნაწილი სწორედ მათგან მომდინარეობს. მეტსახელთა საფუძველზე საკუთარ სახელთა სისტემის შექმნა-განვითარება საყოველთაო მოვლენაა. ეს პროცესი დასტურდება არა მარტო ქართულსა და მის მონათესავე ნებზე მოლაპარაკე ტომებში,

არამედ იმავე ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო ბევრი სხვა ხალ-  
ხის ანთროპონიმიაც.

მეტსახელი უდევს საფუძვლად ძველი და ახალი აღთქმის  
წიგნების ონომასტოკონის მთავარ ნაწილსაც. ბერძნულ-ლათინური  
ენობრივი სამყაროდან შეთვისებული ანთროპონიმები დღესაც ად-  
ვილად ითარგმნება სხვა ენებზე. რაც, უწინარეს ყოვლისა, იმის  
მანიშნებელია, რომ ისინი თიქუნის ტიპის სახელებისაგან მომდი-  
ნარეობენ. ამის ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ: **ალექსი** – თა-  
ნაშემწე, **ალექსანდრე** – ვაჟაპური დახმარება (საბას მიხედვით:  
“მწყემსი ზროხათა”), **ანდრია** – ვაჟაპური (საბას მიხედვით: “მხენი”),  
ანა – ბარაქიანი, **ვიქტორ** – გამარჯვებული, **ბესარიონ** – მთავრორიანი,  
გიორგი – მიწისმოქმედი, **გალინა** – კაშაშა, **დიმიტრი** – მიწის ნა-  
ყოფი, **ელისაბედ** – ფიცი, **სოფიო** – ბრძენი, **ირინე** – მშვიდობა,  
**ელენე** – რჩეული, **კონსტანტინე** – მაგარი, **ქსენია** – სტუმართ-  
მოყვარე... (3,178-179).

ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟთა სამყაროზე და-  
კვირვება ცხადყოფს, როგორ განვითარდა თიქუნიდან საკუთარი  
სახელი. მეტსახელებია: **ცერა**, **ხუთ-კუნჭულა**, **ჭინჭრაქა**, **სიზმარა**, **ცე-  
როდენა**, **ირმისა**, **ნაჯარქექია**, **მუჭანახვარა**, **ლომეკაცა** და მისთ., რო-  
მელთაც იცნობს ქართული ზღაპრების ანთროპონიმიკა (8,330-332).

მეტსახელი ლექსიკის შენაკადია. მისი ხმარება საქართვე-  
ლოს ცალკე კუთხეებში მეტნაკლებადა გავრცელებული. წარმო-  
ვადგენთ კვარლის რაინის სოფელ ალმატში შეკრებილ მეტსახელებს:

### გარეგნობის მიხედვით შერქმეული მეტსახელები

**აღდგომელა** – წითელი თმის გამო (წითელი კვერცხი)

**ბუთხეზა** – სიმსუქნის

**გრუზა** – ხშირთმიანია

**თავდერა** – დიდი თავი აქვს

**ტუჩა** – დიდი ტუჩები აქვს

**ქაჩალა** – უთმო

**ცხვირა** – დიდი ცხვირი აქვს

**წითელთავა** – წითელი თმა აქვს

**წიკა** – გამხდარია

**ჭაღარა** – ქერა, მოთეთრო თმა აქვს

**ჭროლო** – ქერაა

**ხიჯა** – ნაჭრილობევიანია

## **ხასიათის ამა თუ იმ ნიშან-თვისების მიხედვით შერქმეული მეტსახელები**

**ბანგუნე – უყვარს ჩხები (ბანგუნი, ბრაგუნი...)**

**ბაქიანი – ბაქია, ტრაბახაა**

**დრინჯა – დინჯი, აუჩქარებელია**

**კბენელა – ბავშობაში ყველას ქბენდა**

**კიკილა – ბავშობაში ყვარებია ლექსის “კიკლი კიკლი კიბესა...”  
ოქმა და ამიტომ შეარქვეს**

**კრეჭელა – სულ იცინის**

**ქარიშხალა – სწრაფი სიარული იცის**

**ჭიმო – ჭიმიაა, თავის გამოჩენა უყვარს**

**ცოფიანი – საშინლად აგრესიულია, კონფლიქტიანი**

**ჰყიო – ბავშვებს რომ დაინახავს, “ჰყ, ჰყ”-ს ეუბნება და ამიტომ  
შეარქვეს.**

## **ცხოველთა სახელებისაგან ნაწარმოები მეტსახელები**

**ბაყაყო – დიდი ოვალები აქვს**

**ლაბა – წყნარი კაცია (ლაბა – ძროხის ან ხარის სახელია)**

**ჟირაფა – გრძელი კისერი აქვს**

**ყვატო – ცხვირში ლაპარაკობს (ყვატი = ბაყაყი)**

**ყურშა – დიდი ყურები აქვს (ყურშა < ყურშა(ვა))**

**ჯაგარა – თმიანია, ღორის ჯაგართან იწვევს ასოციაციას**

## **ფრინველთა სახელებისაგან წარმოქმნილი მეტსახელები**

**კოდალა – კეხიანი, დიდი ცხვირი აქვს**

**მერცხალა – ჩქარი სიარულის გამო ეძახიან**

**ყვავი – სიშავის გამო ეძახიან**

**ჩიტია – პატარაა**

**ჩიტო – პატარა ტანისაა**

**ჩხიკვი – უცნაური ხმით ლაპარაკობს**

## **მწერთა სახელებისაგან ნაწარმოები მეტსახელები**

**ბუზია – უყვარდა პირდია სიარული და თურმე ეუბნებოდნენ:**  
“პირი დაკეტე, ბუზი არ შეგიფრინდესო”

**ჭიანჭველა** – ბავშობაში თურმე, თუ რამეს ნახავდა, ყველაფერი  
სახლში მიჰქონდა (ოღონდ არ იპარავდა), მსგავსად  
ჭიანჭველის ჩვეულებისა

### **მცენარეთა სახელებისაგან ნაწარმოები მეტსახელები**

გოგრის ყვავილი – წითურაა  
მუხა – ტყიდან შეშას ეზიდება და ყიდის  
ნიყვა – ნიყვა სოკო უყვარს  
ქონდარა – დაბალი ტანის კაცია  
ფოთოლა – სუსტი და თხელი ქალია

### **თხულების ან პერსონაჟის მიმსგავსებით შერქმული მეტსახელები**

მურტალო – “კუკარაჩა”  
ტარზანი – “ტარზანი”  
ლუდუ – “ძილისპირული”  
ჩიტა – “ტარზანი”  
ჯიბუტი – “ხარება და გოგია”

### **რაიმე საგანთან მიმსგავსებით შერქმული მეტსახელები**

კუკლა – (რუს. თოჯინა)  
სიდენია – (რუს. Сидение) დაბრტყელებული ცხვირის გამო  
ეძახიან  
ქლიბო

### **რეალურ პირებთან მიმსგავსების ნიშნით შერქმული მეტსახელები**

ბერია = ლ. ბერია  
იპოლიტე = იპოლიტე ხეიჩია  
მაგელანი = სიარული უყვარს  
პელე = ფეხბურთელი პელე, ფეხბურთის სიყვარულის გამო  
შეარქვეს  
პუშკინა = ხვეული თმები აქეს, რუსი პოეტის მსგავსად  
ჩიგაძე = ფეხბურთელი ჩიგაძე, ფეხბურთის სიყვარულის გამო  
შეარქვეს

## **რაიმე ნაკლის მიხედვით შერქმეული მეტსახელები**

ადაუდა – არ იცოდა სწორად ლაპარაკი  
ბუღბუღა – მეტყველება უჭირდა  
გვერდელა – ერთი ფეხი მოკლე აქვს  
კისერა – მარჯვნივ თავგადაწეული დადის  
უენო – მეტყველება უჭირს

## **ხელობა-მოსაქმეობის მიხედვით შერქმეული მეტსახელები**

ავლანა – ავლანეთში იბრძოდა  
იმპორტნა – მაღაზიაში მუშაობდა თურმე, ყველაფერზე  
“იმპორტულიაო” გაიძახოდა  
კაპიტანა  
მედოლე

## **კნინობითი ფორმის მეტსახელი**

### **ბიჭიკო**

## **მეტყველების თავისებურების მიხედვით შერქმეული მეტსახელები**

აჭა – ბაგშობაში ხაჭაპურის ნაცვლად “აჭაპურს” ამბობდა და  
ამიტომ უწოდეს  
აწია თინა – იმერელი ქალია კახეთში გამოთხვილი და “აწი”-ს (  
= ახლა) ხმარობს მეტყველებისას და ამიტომ შეარქვეს  
გია-გია – რომ ეკითხებოდნენ, “რა გქვიაო? ” – “გია-გიაო”, –ასე  
პასუხობდა ჩქარა

## **სოციალური ყოფის თუ მდგომარეობის მიხედვით შერქმეული მეტსახელები**

კინტო – ქალაქელია სოფელში ჩასიძებული (“ქალაქელი  
კინტოაო”)  
სომები – სომქია

## **მეტსახელები, რომლებიც ახსნილი არაა**

**ბეჭვია**

**კოქო**

**პრუსტანა**

**ტვირა**

**ტონია**

**ფუშრუა**

**ჩუხია**

**ციცქახო**

ამრიგად, საკუთარ სახელთა სპეციფიკას გვაჩვენებს მათი სემანტიკა და სტრუქტურული თავისებურებანი, სახელდობრ, მრავ-ლობითი რიცხვის უქონლობა, კნინობით-მოფერებით ფორმათა წარმოება. დებულება: საკუთარი სახელი შეადგენს გაქვავებული სახის ენობრივ ფაქტს, რაზედაც ხშირად ამჟარებენ თავიაანთ ვარაუდებს ონომასტიკოსები, არსებითად ვერ გვიჩვენებს ამ სახელთა შინაგან სტრუქტურასა და სემანტიკას, მეორე მხრით, განსხვავდება მათგან. ამ მსგავსება-განსხვავების ამპლიტუდის შეფასებისას საჭიროა ზომიერების დაცვა, რაღაც საკუთარი სა-ხელები ყოველთვის როდი იმეორებენ ყველა იმ სტრუქტურულსა და სემანტიკურ ნიშან-თვისებას, რასაც საზოგადო სახელები გვიჩვენებენ და, პირიქით, საზოგადო სახელები ყოველთვის ვერ წარ-მოაჩენენ საკუთარ სახელთათვის ბუნებრივ სტრუქტურასა და სე-მანტიკურ თვისებებს.

საკუთარ სახელთა ისტორიას შორს მივყავართ. მათი დიდი უმეტესობა მეტსახელებიდან მომდინარეობს. მეტსახელების ხმარე-ბა კი, როგორც მოძიებული მასალიდან ჩანს, ახლაც ხშირია: ზოგჯერ ადამიანს იცნობენ არა ნამდვილი, არამედ მეტსახელით. მეტსახელების დიდი ნაწილი გვიანდედი წარმონაქმნია, შექმნი-ლია იმ თავისებური დირსებისა თუ ნაკლის მიხედვით, რაც ამა თუ იმ კონკრეტულ ადამიანს ახასიათებს. იგი საკუთარი სახელის პარალელურად იხმარება და ერთგვარი ეპითეტია, საქებარი ან გასაკილი.

მეტსახელი განუშორებელი ნაწილია სახელისა, თუ თავდა-პირველად მეტსახელებიდან წარმოშევ საკუთარი სახელები, ახ-ლა იგი მის პარალელურად იხმარება. როგორც ზემოთ შეკრები-ლი და განსხილული მასალიდან ჩანს, მეტსახელთა შერქმევა დღე-

საც ძალიან პროდუქტიულია და მათი შერქმევისას მიზანში ამოულიათ ამა თუ იმ პიროვნების პირადი თვისებები, მოსაქმეობა, ფიზიკური გარეგნობა და ა. შ. ამასთან, მრავლად არის შემთხვევები იმისა, რომ ერთსა და იმავე პიროვნებას რამდენიმე შეტხასებდი ჰქონდეს შერქმეული. ასეთებია მაგ.: გია – აღდგომებდა და წითელთავა, გლო – გიუ და მურტალო, გია – ცხვირა, ნოხა და ტვირა და სხვ.

აქ სშირად, აგრეთვე, ადამიანს, თიკუნის-მეტსახელის შერქმევის შემდეგ, ნამდვილ სახელს აღარავინ ეძახის, თითქმის დავიწყებას მისცემია. ასეთებია: ბაქიანი (ფირუზა), ბუთხუზა (რეგაზო), კოქო (თამაზი), კოტალე (გოგია), გუშურუბა (ხაშიკო), იმპორტნა (ფირუზა), პრუსტანა (დათო) და ა. შ.

ამასთან მრავლადაა შემთხვევა, როცა შთამომავლები წინაპრის მეტსახელით მოიხსენიებიან (მრავლობითი ფორმით). მაგ.: ბაქიანები, ბუთხუზანები, კოკილაანები, ფიაჭამიაანები და მიხო.

ვფიქრობთ, შესაძლებელი იყოს ერთი კონკრეტული სოფლის მაგალითზე შესწავლითი ტრადიციის შედარებით ვრცელ ტერიტორიაზე გავრცელებაც, თუმცა, შედარებით-ტიპოლოგიური კვლევის ჩატარებამდე, როგორც ჩანს მაინც აჯობებს თავი შევიკავოთ მსგავსი განზოგადებისაგან.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. აკ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1953; 2. ალ. ლომიტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964; 3. ალ. ლომიტი, ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1988; 4. ალ. ლომიტი, ქართული საკუთარი სახელები, თბ., 1986; 5. ბ. ფოსხვა, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1988; 6. თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, “მეცნიერება”, თბ., 1986; 7. ბ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ?, თბ., 1986; 8. ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1966; 9. ბ. ჭუმბურიძე, ბერძნულ მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში, “არილი”, თბ., 1925.

## მაია ოღრაპიშვილი

### „სახელის მილოცვა“

არაერთ მკვლევარს აღუნიშნავს, რამდენადაა დავალებული გიორგი ლეონიძე ხალხური პოეტური შემოქმედებისაგან. ჩვენ მართლაც ჭარბა ვერჩნობთ ხალხური ინტრონაციებს. ხალხური სიბრძნე, გამოცდილება, შეხედულება სამყაროზე, ლიტერატურული გემოვნება ხომ საუკუნეების განმავლობაში გროვდებოდა და იხვეწებოდა. ამიტომაც პოეტმა ჭეშმარიტად სწორ გზამკვლევს მიაგნო.

ქართული ხალხური პოეზია მუდამ იმედიანი, ომახიანი, შემმართებელი იყო. ის ადამიანს განაწყობდა უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად, უნერგავდა სიცოცხლის სიყვარულს, რადგან სწორედ ამგვარი ფენომენი იყო საჭირო თვითგადარჩენისათვის. მუდმივად სხვა ერთან აღრევის საშიშროება ემუქრებოდა მცირერიცხოვან ქართველ ხალხს. ხოლო ხალხური შემოქმედება მას სულს უმტკიცებდა. ეს შემართება გიორგი ლეონიძის ნაწარმოებებშიც აშკარაა, რომლებიც მართლაც არ იძლევიან მოდუნების საშუალებას და ოდითგანვე ხალხში დამკვიდრებულ ქრისტიანულ მორალს განამტკიცებენ, რომ უანგარო სიკეთე, ჰატიონსება, ჭეშმარიტი სიყვარული, მეგობრობა, სამშობლოზე ზრუნვა, თავდადება მოვასისათვის – მარადიული კატეგორიებია. სწორედ ამ თვისებების მატარებელი არიან გიორგი ლეონიძის პერსონაჟები. ამასთან, მათ ახასიათებთ პირდაპირობა, სიაღაღე, გულუბრყვილობა. საერთოდ, ხალხური ქმნილებებისთვის დამახასიათებელია გულუბრყვილობა – ამ სიტყვის ფართო და საუკეთესო გაგებით. ჩვეულებრივ, ყველა, ვინც კი ხალხური შემოქმედების ნიმუშებს ეხება, აღნიშნავს მათ ამ თავისებურებას. ეს თვისება ჭარბად ახასიათებს გ. ლეონიძის პერსონაჟებს, რადგან ისინ თავად არიან ხალხის წარმომადგენლები. თითოეული მათგანი ავტორის თანამედროვე და რეალურად არსებული პიროვნებაა, რომლებსაც გულუბრყვილოდ სჯერათ თავიანთი წარმოსახვით შექმნილი ზღაპრების, ოცნებების განხორციელებისა. მათი აღნიშნული თვისება განსაკუთრებით თავს იჩნეს მიუკიბავ გამოთქმებში, გმირთა აღაღ მეტყველებაში და საქციელში, შეუნიღბავ პირდაპირობაში.

ქართულ ლიტერატურულ შემოქმედებაში ხშირია ხალხური ლექსიკით სარგებლობის შემთხვევები. გიორგი ლეონიძეს, ხალხური მეტყველების ლექსიკური ფონდიდან, გაბედულად შემოაქვს ლექსში ლიტერატურისთვის სრულიად ახალი, ან იშვიათად ხმარებული სიტყვები: „აბეზარი“ („ბერი და აბეზარო, თელავის ნეკერჩხალო...“), „ლიდარი“ („წამოვიდა ლექსის ლიდარი“), „ნატისუსალი“ („თემურის ხანძით ნატისუსალი...“), მოუსავალი („საით წახველი, მოუსავალო...“), „გარჩხი“ („ყონვის კარჩხი თვალს გიკაწრავს...“) და სხვ. მის პროზასა თუ პოეზიას ხალხურობის თავისებური, ორიგინალური

იერი გააჩნია. ხალხური ხასიათი ვლინდება უაღრესად ეროვნულ შინაგან კოლორიტსა და ყლერადობაში. ამიტომაცაა, რომ ლეონიძის ეული თითოეული სიტყვა ქართული სულით სუნთქვას და ადგილს იმკვიდრებს მკითხველთა გულებში. გრიგოლ აბაშიძის მიხედვით, „ვაჟა-ფშაველას შემდეგ, მასავით (იგულისხმება გიორგი ლეონიძე – ხაზი ჩემია, მ.ო.) ახლო არავინ ყოფილა ხალხური პოეზის სათავეებთან და არავის ისე მძლავრად არ გაუდგამს ფესვი მშობლიური მიწის სიღრმეში“.

მიხეილ ჯავახიშვილს წიგნი უჩუქებია გიორგი ლეონიძისათვის წარწერით: „ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლულ პოეტს“. მართლაც, ქართული მიწა და ყოველივე ქართული იყო მისი სიცოცხლისა და შემოქმედების უპირველესი მასაზრდოებელი. ასევე საინტერესოა გრიგოლ ხერხეულიძის აზრი გიორგი ლეონიძის შესახებ: „გიორგი ლეონიძე უაღრესად ეროვნული პოეტია. მისი სოფლშეგრძნება, სამყაროს აღქმის მისეული მანერა და მხატვრულ სახეობა მთელი სისტემა თითქმის მთლიანად ჯანსაღი მშობლიური წიაღით საზრდოობს“. ქართული მხატვრული სიტყვის სურნელს იგი სწორედ ხალხური შემოქმედების წიაღში ეძიებს:

„რომელ მერანზე მოფრინდი,  
რომელ მქროლავი რაშითა?  
„ლილეოს“ ქუხილთა ხმებში  
ნიაღვარების ტაშითა!“

(„გაზაფხული“)

გიორგი ლეონიძის რწმენით, თანამედროვე ქართველი პოეტი ძირძველი, ფესტავარი ტრადიციებიდან უნდა ამოღიოდეს და ქართული სიტყვის ახალ ასამაღლებელს ამბობდეს:

„დღეს ხეობებში ჩემი ლექსი ჰქონის,  
მიწით შესვრილი ტახის ღონისა,  
ასამაღლებელს ახლა მე ვიტყვი,  
სათქმელს მიმინოს მოკივილითა, –  
აპა, სამშობლო, სიტყვა ქართული“.

(„მცხეთის მთებში“)

მის სისხორცეულ კავშირს მშობელ კვეყნასთან მისივე სიტყვები ადასტურებს: „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,

როგორც წყალში დგას წნორის ძირები“.

(„გუმრერ სამშობლოს“)

1959 წლის დეკემბრის საიუბილეო საღამოზე გიორგი ლეონიძეს უთქვამს: ერთხელ ღმერთს საჩუქრები მიართვა მთელმა სამყარომ. ზოგმა რა მოუტანა და ზოგმა რა... მიწამ ოქრო მიართვა, ზღვამ თვალ-მარგალიტი, ჭიანჭველამ კი ერთი ღერი ჩადლა... ცა რომ ქაღალდად გადაიქცეს, ღამის ჰაერი მელნად, ვარსკვლავები გადამწერებად მყავდეს და იმაზე მეტი ასოები დავსხა ქაღალდზე, რაც ზღვაში ქვიშა და თევზია, მაინც ვერ გამოვხატავ ჩემს სიყ-

ვარულს ჩემი ერისადმი, -ამ სიტყვებში უდიდესი გრძნობაა ჩადებული. რამ-ხელა სიყვარული უნდა ღულდეს გულში, რომ ეს სიტყვები გათქმევინოს ადამიანს. ამას ქართველი ხალხიც შესანიშნავად გრძნობს და ამიტომ გიორგი ლეონიძე მისი საყვერელი პოეტი იყო და იქნება მუდამ. „ხალხის მიერ გ. ლეონიძის შემოქმედების დიდი აღიარების დასტურია ისიც, რომ სიმღერებად ქცეული მისი ლექსები ფართოდ მოდებულია მოსახლეობაში. ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში გადავიდა ხალხში მისი შემოქმედების საუკეთესო ნი-მუშები და ზეპირ ბრუნვაში მოექცა, - ვარიანტები გაიჩინა, გახალხურდა“ (1,78).

გრიგოლ კაკნაძე აღნიშნავს: „შხოლოდ მაშინ მიუთითებენ ქმნილების ხალხურობაზე, როდესაც იგი საგანმურს წარმოადგენს“ (4,156). არაერთხელ აღნიშნულა, რომ გ. ლეონიძის მრავალი ლექსი და მთელი მისი პროზა ხალხურობითაა გაჭლებითილი. აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტი ტრადიციული მასალის ჩარჩოში არ ექცევა და მასში შეაქვს სრულიად ახალი მოტივები, ნიუანსები, თანამედროვე თვალთახედვა. მაგალითისთვის გავიხსენოთ ლექსი „ყივჩაღის პაემანი“, რომელიც ხალხური „შემომეყარა ყივჩაღის“ საფუძველ-ზეა შექმნილი, ოუმცა გ. ლეონიძემ მას სრულიად განსხვავებული იდეური დატვირთვა მიანიჭა. არ იცვლებან პერსონაჟები, არც ნაწარმოების თემა იცვლება, მაგრამ პოეტმა წინ წამოსწია მარადიული სიყვარულის მოტივი. ლექსში ჩაქსოვილი ცოცხალი განცდა, თანამედროვეობის სულით აღბეჭდილი და „ახალი პაემანის“ მოლოდინი გ. ლეონიძის ლექსის არდავიწყების გარანტია და ხალხური ლექსის გალიტერატურების საუკეთესო ცდა.

პოეტი ხალხური ბალადის ლექსიკითაც სარგებლობს. მაგალითად, მუხრანი, თავთუზი, ხოხობი, ბადაგი, ელვა და სხვა, პირველწყაროდან არის გადმოსული. გარდა იმისა, რომ ხალხური პოეზიდან გადამუშავებული მასა-ლები ჩართულია პროზაში, მწერალი მათ უცვლელი სახითაც იყენებს - მისი პერსონაჟები ხალხურ ლექსებსა და სიმღერებს წარმოსთქამებ, ზოგ მოთხ-რობას კი ეპიგრაფადაც აქვს წამბლვარებული. მაგალითად, „ნატვრის ხე“, „სახელის მილოცვა“, „ციციკორე“. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში ხალ-ხური ლექსები ან საერთოდ არ იცვლება, ან ცვლილება უმნიშვნელოა. მოთხ-რობას „სახელის მილოცვა“, ასევე წამბლვარებული აქვს ხალხური გამო-ნათქვამი, რომელიც უცვლელადაა გამოყენებული ეპიგრაფად:

„სახელიანებ საფლავებს

გულდიდად გადმოვცერიო“.

(ხალხური)

საქართველო მდიდარია სახელოვანი მამულიშვილებით. ბავშვები აკ-ვანშივე, დედის რძესთან ერთად, ეზიარებიან მშობლიური ქვეყნის სიყვარულს. გავიხსენოთ, როგორ არიგებს ციციკორე მეჩონგურეს: „- კაი ბიჭები შეაქე, რომ ლაჩრებიც გაკარგდნენ!... ვაჟქაცი კარგად უნდა შეაქო... ლაჩრებიც შაეც-დებიან!“ („ციციკორე“).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავს სააღმზრდელო შეგონებას ადგილი აქვს ერთ-ერთ ხალხურ ლექსშიც:

„კა ყმა შავაქოთ, ვაჟებო,-  
ცუდებიც შაეცდებან“ (2,23).

მოდალატე ყოველთვის გმობას იმსახურებდა, როგორც ქვეყნის, ასევე ხალხის და თვით დედების მხრიდანაც. ჩვენთვის ცნობილია მრავალი ფაქტი, როდესაც დედები თავად აგზავნიდნენ შეილებს მამულის მტერთან საბრძოლ-ველად, ხოლო ბრძოლის ველიდან გამოპარულების მიღებაზე უარს ამბობდნენ და ცოცხლად გლოვობდნენ, რადგან მათ დაკარგეს უმთავრესი რამ ქართველი კაცისათვის – სახელი. ციციკორესაც, რომელიც დღენიადაგ სოფლის ზნეობის დაცვაზე ზრუნავდა, სახელი ყველაფერს ერჩივნა და ასეთივე შემართებით ზრდიდა ახალგაზრდებს:

„ციციკორეს, როგორც ყოველ ქართველ კაცს, სახელი ყველაფერს ერჩივნა!

-სახელი! არ დააგდო მიწაზე! -გვეტყოდა ზრუნვით ახალგაზრდებს. - სირცხვილი დიდი ქვა არის! სახელი არ გასრეუსინოთ ამ ქვას“ („ციციკორე“).

ვაჟკაც, გმირ შვილებს საუკეთესო დედები ზრდიდნენ. სახელოვანი დე-დების სახე დაგვიხატა გ. ლეონიძემ დეიდა მაიკოს, ლასურიძეანთ ხვარამ-ზესა და დეიდა ჩატტაურას სახით. სწორედ ამგვარ დედებს, ასეთი დედის მაღალ ღირსებას უძღვნა ილია ჭავჭავაძემ თავის დროზე პოემა „ქართვლის დედა“.

ეროვნულ ტრადიციებთან, ხალხურ ადათ-წესებთან შემოქმედებითი კავშირით ფრიად საგულისხმოა მოთხოვობა „სახელის მიღოცა“, რომელიც „საინტერესო ჩანახატით გამოირჩევა. მოთხოვობის პირველი ნაწილი ძველი ისტორიული ქრონიკის ასოციაციას იწვევს. ენობრივი მასალაც სხვაგვარადაა შერჩეული, ავტორი ძველ მემატიანესავით სიტყვაძუნწია, ზოგად შტრიხებს იძლევა, მაგრამ ქრონიკა თანდათან ცოცხლდება, რეალური გმირები ავსებენ ასპარეზს“ (2,236).

თავად ნაწარმოების სახელწოდება მთიელთა ტრადიციიდან მომდინარეობს. მათ ბოლო დრომდე შემოუნახავთ „სახელის მიღოცის“ ჩვეულება. ხალხი აფასებდა სამშობლოსათვის გმირულად დაღუპული ვაჟკაცის თავდა-დებას, ამიტომ ჯერ მის ცხედარს მიმართავდნენ სახოტბო მისალოცი სიტყვით, შემდეგ ჭირისუფლებს მიუსამძიმრებდნენ. ეს წესი არაერთ ხალხურ ნაწარმოებშია ფიქსირებული, ხოლო ერთი ნიმუში კი, უმნიშვნელო ცელი-ლებით, მწერალს ამ ნაწარმოების გამორაფად ასე გამოუყენებია: მკვდარს ულოცავენ სახელსა, ჩვენ კი გვიწყენ ჭირსაო“. ხალხურ ლექსშიც ეს ტაები ასევე იკითხება: „მკვდარს შაულოცვენ სახელსა, ჩვენ კი გვიწყენ ჭირსაო“ (1,88).

ავტორი კიდევ ერთხელ იხსენებს, რომ მის სოფელს მტერი არაერთ-გზის დასხმია თავს და ყოფლა შემთხვევა, როცა ციხის გარეთ ტყვიები ნიჩ-ბითაც კი უხვეტიათ. სოფელში შემონახულა ასეთი ლეგენდა: თურმე, დანიშ-

ნულ ღამით ციხის კიბეზე თმაჭაღარა მანდილოსანი ჩამორბის და გააფთრებული უძახის თავის შერცხვენილ ვაჟს, რომ არ გაბედოს და ახლოს არ მიეკაროს, რადგან მას დავიწყებია ვალი მშობლიური ქვეყნის წინაშე და ახლა სირცხვილნაჭამი მისდგომა დედას. თითქოს წყვდიადში ისმის უჩინართა შეძახილები, თითისტარი მიეცი, თავს ჩიქილა დაანურე, თმა ჩამოიწნას ქალისა... და განსაკუთრებული ძალით გაისმის დედის სასტიკი ხმა, რომელსაც დედა-შვილურ სიყვარულზე მაღლა სამშობლოს სიყვარული დაუყენებია, გულიდან ამოუგლეჯია შვილისადმი უფაქაზეს გრძნობა და მისი გამყინავი ხმა ადგილზე აშეშებს შერცხვენილს. ეს ჭაღარა მანდილოსანი რეალურად არსებული პიროვნება, ღლასურიძეანთ ხვარამზე ყოფილა, რომელსაც ერეკლე მეფის დროს უცხოვრია. მას არაერთი შვილი შეუწირავს სამშობლოსათვის. მხოლოდ ერთი გამომდგარა მხდალი. ამიტომ გმირი დედა იმ დადუბულ შვილებს კი არ ტირის, რომლებმაც ვაჟების სახელები დატოვეს ამ ქვეყნად, არამედ ცოცხლად გადარჩენილ, მაგრამ სახელგატეხილსა და სირცხვილნაჭამ ნაბოლარას. უსაზღვროა დედის რისხევა.

თითქოს ამ ძლიერი, პატრიოტი ქალის სისხლი თაობიდან თაობას გამოჰყოლია და ახლა მის სული ამავე გვარის ქალს – დეიდა ჩახტაურას ჩასახლებია. მეორე მსოფლიო ომში მასაც სამი შეიღლი გაუგზავნია. ორი დაღუპვია და მხოლოდ ერთი, გვარის გამგრძელებელი შეიღლიდა შემორჩენია. ოდესალაც მრავალრიცხოვანი გვარი ახლა გადაშენების გზაზეა დამდგარი. მაგრამ არც ნაბოლარა შალია დაინდო ბედმა, მან სახელოვნი სიკვდილი ირჩია. მისი გმირობის შესახებ ხალხი ათას რამეს ამბობდა: შალია სიკვდილს ხმლით ეომარ, ცხრა კაცი დაგაფა და მეათემ ბეჭებში ჩასცაო, ერთიც არ დაუკინესიაო და სხვა. ლექსიც მიუძღვნეს, რომელიც ასე მთავრდებოდა:

„სახელისათვის მომკვდარო,  
ბეკრ ცოცხალს ჯობხარ მკვდარიო!“

დეიდა ჩახტაურას არ სურს ირწმუნოს შვილის სიკვდილი, მაგრამ როცა საბოლოოდ დარწმუნდება ამაში, სანახებლად ერთი რამ გაუხდება – მისი საფლავი მაიც იცოდეს, რომ დაიტიროს და სახელი მიულოცოს ვაჟების.

აქვთ თავად ავტორი გვაცნობს ხალხის ჩვეულებას, რომელიც არ ივიწყებდა სახელოვან გმირებს და წინასწარ არჩეულ დღეს მათ სახელს მიუღოცავდა. ყოველ წელს, აღდგომა კვირას, სასაფლაოზე გადიოდნენ, თან პურმარილსაც გაიყოლებდნენ და თითოეული გმირის საფლავზე მოსაგონარს სვამდნენ. სოფლებულები დასტირობნენ თავიანთ მიცვალებულებს.

თუ ნაწარმიების დასაწყისში ავტორი სიტყვამუნწია, აქ მწერალი მდიდარი ხალხური ენით მეტყველებს. სახალხო დატირება პოეზიის სიმაღლემდეა აყვანილი:

„-ადე, შვილო, თაფლით შედედებულო, ადე, თვალებში გაკოცო, სახელი მოგიღლოცო! -ჩაცეკრით მიწას ელაპარაკებოდა ჩახტაურა, დედაკაცები მდუღარე ცრემლით სტიროდნენ ისე, როგორც ქრისტეს გარდამოხსნაზე.“

-ვაპმე, სად დაჭენა სივაჟის ყვავილი! რამ გაანედლოს დამწვარი საკი-შე კვირტი გვარისა, ჩემი უბის სითბოთი გამოზრდილი.

მწუხარების ანძალზე აცმული დედა უღრუბლოდ იმდუღრებოდა. ნაწ-ლავი ეწოდა... ძუძუ სტკიოდა... მოწყლული გული ოდნავ უცემდა...  
ცრემლით დაებანა შალიას ახალუხი...

-ვაი, ოქროს ძარღვო, სახელდებულო! მიწაში ჩადებულო“, - გმინავდა ჩახტაურა.

მწურალი გვიხატავს მგლოვიარე დეიდა ჩახტაურას სახეს. მისი ტირი-ლის ხმა ერწყმის სახალხო მწუხარებას. გმირი შვილის დედა გახარებულია იმით, რომ სოფელმა დააფასა მისი შვილის ვაჟაცობა და უზომო მწუხარების შემდეგ ყოფნის ძალა, სხვებიც დიმილით დალოცოს: „რა სახელიანი შვილი მყავდა! დახე, სოფელმა სახელი მიუღოცა! თქვენც კარგები დაიზარდენით, ტყემლის ბოყებონ!“ - მიმართავდა იგი გზად შემოხვედრილ ბალღებს, მომა-ვალ ვაჟაცებს.

შალიას სახალხო დატირების შემდეგ, თურმე, ხვარამზეს აჩრდილიც გამქრალა ციხის კედლებიდან. ხალხს უთქვამს, რომ იგი ჩახტაურას ცრემლა დააწენარაო.

გიორგი ლეონიძე ამ მოთხრობით კვლავ გვაპრუნებს ისტორიულ წარ-სულში. ამ ლეგენდის გახსენებით გ. ლეონიძე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, თუ როგორ ექცეოდნენ ძველად მშიშარასა და ლაჩარს. ჩვენთვის მახლობელი ხდება თითოეული ქართველის გულის ძერა და სისხლს გვიჩქროლებს. აი, თურმე, რით ვყიფილვართ ქართველები ძლიერნი, რად ვერ გვტეხდა მოძალე-ბული ურჯველო.

ნაწარმოებში ცხადად იგრძნობა ავტორისეული პოზიცია. მწერლის ენა წყალუხვ მდინარესავით მოედინება. ავტორი ჩვეული ენამახვილობით, ხალ-ხური თქმების, იღიომების საშუალებით ჩვენც ამბის უშუალო მონაწილეებად გვაგრძობინებს თავს.

ამასთან, გ. ლეონიძე ცდილობს, დავიწყებას არ მიეცეს ქართული ხალ-ხური ტკბილსასმინარი სიტყვები. თავადაც ცდილობს ორიგინალურ სიტყვათ-ქმნადობას, მაგრამ არა თვთონებურად, არამედ კანონისა და ხალხური ტრადი-ციების ფონზე“ (1,98). იგი დიდ ფერადებას ამახვილებს პოეტურ სიტყვაზე. ის ძალიან სადად და, ამავე ძროს, მდიდარი, ხატოვანი თქმებით, უძლიდრესი ლექსიკის გამოყენებით ახერხებს გადაგიყვანის საოცარ სამყაროში.

აღფრთოვანებას იწვევს მისი ნეოლითიზმები: თვალცეცხლი, თავგული, გულზვავი, სახელდებული, დაგიშრულქოჩრიანი, თავმომწონეობდა, ჯიღათვა-ლება, ტანსწრაფი, ხელუერთობელი, თავისწვერა, ფერგადატეტკილი, ცნობა-მიხდილი, სისხლდათხეულები, გადასერილ-გადმოსერილი, სახეჩამოსერი-ლი, ცალქლავა, გულისღვარული, რქამაღალი და ბევრი სხვა. და რაც აუცილებლად აღსანიშნავია, თითოეული ეს სიტყვა მწერლის ორიგინალური სიტყვათშემოქმედების ნიმუშია, რომლებიც ძალად თავსმოხვეული კი არ

არის, არამედ ქართული ენის მდიდარი ტრადიციებიდან ამოზრდილი, რომ-ლებიც კიდევუფრო მეტად უწყობს ხელს ნაწარმოების მხატვრულობას. ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა ლექსი კი არ თქვა მხოლოდ ლამაზად და მოხდენილად, არამედ პროზაც ლექსად აქცია და ამის ერთ-ერთი მთავარი მასაზრდოებელი ქართული ხალხური გენია, ქართული სიტყვის ამოუწურავი მადანია. მწერალი სწორედ უმდიდრესი ლექსიკის გამოყენებით ახერხებს გადაგვიყვანოს საოცარ მითიურ სამყაროში, რაც ასე ლიდებულად არის მოცემული ბრწყინვალე მოთხოვაში „სახელის მილოცვა“. ნაწარმოების სათაური, ეპიგრაფი, ფასულა გაედგნებილია ხალხური ტრადიციების, ეროვნული პოეტური შემართების მადლით, ძირძველი ტრადიციისადმი ერთგულებით. მოთხოვაში მთავარი პერსონაჟი – დეიდა ჩახტაურა თამამად დაიკავებს საპატიო ადგილს ვეფხვთან მებრძოლის დედის, ოთარანთ ქვრივის, ცხრა მმა ხერხეულიძის დედისა თუ სანათას გვერდით.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. დავით გოგოჭური, ხალხური მასალები გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში, იხ. გიორგი ლეონიძე -100. საქ. მეცნ. აკადემიის შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შრ., თბ., 2000. 2. სარგის ცაიშვილი, გ. ლეონიძის პროზა, იხ. ქართველი მწერლები სკოლაში, გ. ლეონიძე, თბ., 2001. 3. ხალხური პოეზია, I, ხევსურული (შემდგენელი ა. შანიძე), ტფ., 1931. 4. გრიგოლ კოქნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, სახელგამი, თბ., 1957. 5. „გიორგი ლეონიძე“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, გამომცემლობა საარი, თბ., 2001. 6. გიორგი კალანდაძე, გიორგი ლეონიძის შემოქმედება, თბ., 1961. 7. გრიგოლ ხერხეულიძე, გიორგი ლეონიძის პოეზია, თბ., 1981.

## ირმა ყველაშვილი

### გველის სახე ფოლკლორსა და რეგაზ ინანიშვილის მოთხოვნებში

“ქსოფლიო მითოლოგიაში გველი ტიპობრივი ხატონური ცხოველია” (8,119). იგი კულტად ითვლებოდა ანტიკურ სამყაროშიც, “წმინდა გველის კულტი ითვლებოდა ერთ ყველაზე ცოცხალ და გავრცელებულ კულტად ანტიკურ სამყაროში” - წერდა ალოსევი (3,42). აფრიკული მითების მიხედვით, ათინა პალაძი გველია, ხოლო არგოსში გველი სელშეუხებელი იყო.

გველის კულტი გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. ხალხის წარმოდგენაში გველი განსახიერებულია კეთილ, მფარველ და სათხო სულად, ადამიანთა შემწედ, ბარაქისა და ხვავის მომტანად. ოჯახის წმინდა ანგელოზად მოვლენილი ხშირად გვხვდება ძველ ქართულ ნივთიერ ძეგლებზე, ეთნოგრაფიულ ყოფაში, ხალხურ შემოქმედებასა და ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

ქართულ ფოლკლორულ სინამდვილეში დამოწმებული გმელის კულტის არსებობა და მასთან დაკავშირებული ხალხური წეს-ჩვეულებები ამ ინსტიტუტის სიძღველეს და სიმკვიდრეს ადასტურებს.

შორეული წარსულიდან მომდინარე გველზე შექმნილი მრავალი გადმოცემისა თუ თქმულების მიხედვით, ქართველთა ტომები ძველად, როგორც დედამიწის, წყლის არსებას, გველს უკავშირებდნენ დოვდათიანობას და ნაყოფიერებას.

გველი, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმბოლო საქართველოში, დაკავშირებულია ხოთონურ და ქალურ საწყისებთან (მათ აერთიანებთ საზიარო ნიშნები: ლუნარული სიმბოლიზმი, ნაყოფიერების და რეინკარნაციის იდეა); რიგ შემთხვევაში იგი ფოლიკურ სიმბოლოდ აღიმება.

“გველს თაყვანს სცემდნენ, როგორც სახლისა და კერიის მფარველს, იგი დედამიწასთან (დედა დვთაებასთან) ორი ასპექტით არის დაკავშირებული: როგორც მისი ატრიბუტი, ნების გამომხატველი და გამოვლინება, მეორე მხრივ, როგორც მიცვალებულთა სამყაროსთან დაკავშირებული სიმბოლო” (1,17).

ზეპირსიტყვიერებაში დამკვიდრებული, წარმართობის დროინდელი გველის კულტი, ხალხურ ცნობიერებაში არსებული, - ხვავის, სიჯანსაღის, სიკეთის, სიმრავლის, ნაყოფიერების დვთაება

– რეგაზ ინანიშვილს მხატვრულ სამყაროში შემოჰყავს, როგორც მითოსური პერსონაჟი, სიბრძნის, სიკეთის, მაგიური ძალის მფლობელი, წმინდა წყაროს ბატონ-პატრონი.

მოთხოვთ აშენებთ “გველი” იშთარის ცხოველი სიმშვიდისა და სიბრძნის მომნიჭებელი პერსონაჟია. მოთხოვთ გადმოცემულია თორმეტი წლის სოფლები, შრომას შეჩვეული, ჯიქური ხასიათის ბიჭის უეცარი შეფეთება გველთან.

პაპანაქება თიბათვეში, პამიღვრის ჭიგოსთვის ფეხშველა მიმავალი, თვეში ნაკლებად დარწმუნებული, ცოტა მშიშარა პატარა ბიჭი თვალდებაფართოებული აღიქვამს სამყაროს. ბუჩქებში მძრომი ხვლიკები, დაჭოები, ბულბულები აცილებენ აღმასივით მურელი ცულით შეიარაღებულ ბიჭს. საოცარი სილადით და სიცოცხლის მთელი განცდით ხატავს მწერალი ბავშვის ბრძოლას ჭიგოებთან. დაუდალავად, მონდომებით აგროვებს ბიჭი ჭიგოებს, თითქოს ულევი ხვავი და ბარაქა მაქონდეს შინ. შეპკრავს, აიკიდებს ჭიგოების მძიმე კონას, ტალახიანი, მოძაგმაგე ფეხებით მიაქვს ნაშრომი სახლში. წყალი სწყურია და იქვე ახლოს წყაროს ეწაფება გამაღლებული.

“არ ვიცავ არავითარ წესს, გგრევე ვემხობი, მთელ სახეს ჩავყოფ წყალში, მერე ვიწევი, ვსვამ, თვალები ხედავენ ფსკერის სხვადასხვა სიდიდისა და ფერის ქვებს, კენჭებს. თითქოს ისინიც თრთიან, მართლა თრთიან. აშკარად ამოიწია ქვამაც, მერე მეორემაც, კენჭები აქეთ-იქით გარბიან. მთლად აბუნტდებიან ქვები, აწიოკედებიან კენჭები და მათ შორის ამოიმართება, ამოიღუნება ვებერთელა მცურავის ჭრელი, მოყავისფრო წელი. მე ქვამორტყმული ბაყაყივით გადავვარდები უკან, როდის გამოვიძრე წალდი!?! ორივე ხელით მაქს ჩაბდუჯული, წყაროს ანგარა თახთახა ზედაპირზე კი ამოვა, თაგს ამოიმაღლებს ოქროს საყურეებიანი დიდებული გველი; თითქოს ცეკვაგა კიდეც, შემომყურებს მე, მე ქვებს დავწვდები, ავიმართები, ის უკავ აღარ ჩანს... ვმშვიდდები, ვმშვიდდები, წალდის გავირჭობ წელში, მშვიდად ავიკიდებ კონას, გავიზნიქები, ავმაღლდები, და ვარ ამაღლებული, მაღლიდან მაყურებელი...”

მითოსიდან მომდინარე, უძებესად წყალთან დაკავშირებული ძლიერი პერსონაჟი, სიუხვისა და ნაყოფიერების ღვთაება მთელი თავისი დიდებულებით წარმოუდგება თორმეტი წლის ბიჭს. მწერალს შემთხვევით არ შემოჰყავს მოთხოვთაში პატარა, ჯერაც დაუგაუკაცებელი, თითქოს მშიშარა, მაგრამ მშრომელი ბიჭი. საბამიდვრე ჭიგოების დამზადებაშია გამოხატული ხვავისა და ბარა-

ქის ოჯახში მოტანა და დაგროვება. დოვლათის გამრავლება და უხვად მოწევის ხელისშეწყობა.

ოჯახის დოვლათის წყაროს დაწაფებულ პატარა ჭიგოს იშთარის ცხოველი წამოეზნიქება თავისი საყურებით “ზედ ტუჩებთან”, “ზედ თვალებთან”, თითქოს წაუცეავებს, თვალებში ჩახედავს და გაქრება.

მწერალი სიბრძნის მაგიური ძალით აღჭურვილ, წყალს და-პატრონებულ ნაყოფის დვთაებას, სხვებისაგან ოდნავ გამორჩეულ სოფლებს პატარა ბიჭისთვის სიკეთის, სიმშვიდის და სიძლიერის უნარს ანიჭებინებს:

“იმ დღიდან გავხდი ძალიან კეთილი, მშვიდი, ძლიერი, დი-ლით რომ ავიზმორებოდი, უჩეულო მოქნილობას, სიმკვრივესა და ძალას გგრძნობდი კიდურებში, სხეულში; გავიდოდი და სიამოგნე-ბით დაგუდგებოდი ასე აზნექილი გახარებულ მზეს... ყოვლისმხი-ლველიც არის მზე”.

წარმართულ აზროვნებას და უძველეს თქმულებებს ჩაყოლი-ლი რევაზ ინანიშვილის მწერლური ალლო, სიმბოლურად უპავში-რებს ერთმანეთს კვლავაც დაუსრულებელი მონაყოფისა და მა-რად დასრულებული ნაყოფიერების დვთაებად წოდებული გველის შეხვედრას. გველი ერთი შეხვედვით ამადლის მიწიერ არსებას სი-აკეთეს, სიმშვიდეს, სიძლიერეს, მოქნილობას.

მითიური სამყაროს უძლიერესი წარმომადგენელი, სიბრძნისა და სიუხვის დვთაება მთელი თავისი სიძლიერით და მშვენიერე-ბით წარმოადგინა მწერალმა მოთხოვნაში. გველთან შეხვედრის შემდეგ ინიციაციაგამოვლილი პატარა ბიჭი სამყაროს ახლებურად აღიქვამს.

გველს შეფერებული პატარა ბიჭი იერს იცვლის. იგი ისეთი-ვე სიუხვის, ნაყოფის მომტანი და ოჯახის მფარველი ხდება, რო-გორც თვით გველი. რომელიც მთელ საქართველოში არა მხო-ლოდ ბარაქის მომტანად ითვლებოდა, არამედ სახლსაც იფარავ-და; “ისიც ოჯახს და კერას იფარავდა, მის სახელს “ვაშინარი” ედო და მისი მოკვლა არაფრით შეიძლებოდა” (7,253).

პატარა ბიჭი გველისგან დამადლებულ სიბრძნეს, სიმპვრივე-სა და სიმშვიდეს ისე უფრთხილდება და ისე აღიქვამს, როგორც ხევსური გველის თვალს; იგი ისეთივე ბედნიერია, როგორც ხევ-სური გველის თვალის პოვნისას. ხევსურები გველის თვალს ნატე-რისთვალს ადარებდნენ, “ხევსურული რწმენა-წარმოდგენების მი-ხედვით, გველის თვალი (მძივი) იგივე ნაწილი, ნატერისთვალი ანუ ხვითოა” (2,445).

უხსოვარი დროიდან “მეზირის”, “ვითანის”, “ხატის”, “ჯვრის” და სხვა მიწის ლვთაების სამლოცველოდან მომდინარე გველის პატივისცემა და მფარველ ანგალოზად მიჩნევა რევაზ ინანიშვილის პერსონაჟების ყოფაში მხატვრული სახით სხვადასხვა ხასიათის მასალაშია განთვენილი.

უძველესი წარმოდგენებით, გველის მოკლა ხვავისა და ბარაქის გამოლევას მოასწავებდა და ოჯახის წევრთა სიკვდილსაც კი იწვევდა. გველის მოკლა ლვთაების უარყოფას უტოლდებოდა, უღვთოდ დარჩენილი ოჯახი კი სასტიკად ისჯებოდა. განსაპუთრებული პატივით ექცეოდნენ ოჯახში მყოფ გველს. მოხევეთა რწმენით, ზოგჯერ ოჯახში დაბუდებულია ფუძის გველი ან ალალი გველი (ანკარა). “ფუძის გველს დიდი მზრუნველობით უვლიან და რომ არ გააჯავრონ, მას რქეს უდგამენ” (4,195). ოჯახის მფარველად სახავს გველს დავით წერედიანიც: ”მეზირი ოჯახის მფარველი ძალაა, რომელიც ქვეწარმავლის თუ ცხოველის სახით პყავთ წარმოდგენილი... თავდაპირველად მეზირი გველი უნდა ყოფილიყო” (9,170).

ოჯახის გველის მოკლა მყისიერ დასჯას იწვევდა ოჯახისას; უძველესი მითის მიხედვით, ოჯახს მხოლოდ ერთი გოგო ჰყავდა, რომელიც ძლიგს იზრდებოდა. ერთხელ დედამ რძიანი ჯამი დაუდგა, შიგ პური ჩაუყარა და თვითონ საქონელის მისახედად წავიდა, უკან მობრუნებულს საშინელი სურათი დახვდა: ”ბავშვთან მისულა დიდი გველი, რომელსაც თავი ბავშვის კალთაზე დაედო და ბავშვთან ერთად ჭამდა რძიანი პურის ნამცეცებს. ბავშვი გველს თავზე ხელს უსვამდა და ეუბნებოდა:

ჭიუწუაო, კოიტა-კოიტა შენცა ჭამე  
ცუცუნი – ცუცუნა მეც მინდაო.  
დედა შეშინდა, ბავშვი გამოიყვანა, გველი კი მოკლეს, რის შემდეგაც ბავშვი დედის ხელში მოკვდა” (6,123).

მთოლოვიაში გაპნეული გველთან ურთიერთობის ქს ასპექტი რევაზ ინანიშვილმა “გრძნეულთა საგანმგებლოს” წარმომადგენელს – ბებიას დაუკავშირა. ბებიას ამოაოხერებინა – რა საშინელების უქადდა ოჯახს ტაბუირებული ცხოველის ხელყოფა.

მოთხოვთ მოკლას უკავშირებს:

“მამიდას სიკვდილის შემდეგ ხშირად წაიშენდა ხოლმე ხელებს თავში, მარანში დიდი გაელი ენახა დახხვეული, ბიძინასთვის დაეძახნა, ბიძინას მოეკლა და ეხლა ნანიბდა, - ისეთი თვალებით შემომხედა იმ გველმა, კარგს რომ არაფერს დაგვმართებდა, ამას

მაშივე მივხვდიო. თანაც ქვეწარმავლებისა მაინც და მაინც არ ეშინოდა ბებოს”. მოხუცმა შვილის სიკვდილი გველს დაუკავშირა, ამით ცხადეყო სიახლოვე ხალხურ ცნობიერებასთან.

რევაზ ინანიშვილის მოკლე და სხარტ ფრაზებს მითოსური ძარღვე ასაზროებს; გველთან ურთიერთობის გამომხატველ მარა-დიულ ტრადიციას, გადმოცემულს მითებში, ხატოვნად ასახავს მისი ნაწარმოებების პატარ-პატარა ეპიზოდები. მწერალი ახერხებს ამ მცირე ეპიზოდების მიღმა გარკვეული კუთხით წარმოადგინოს მითოსური სამყარო.

რევაზ ინანიშვილის შემოქმედება ქართულ ტრადიციაში და-მკვიდრებულ გველის აბივალენტურ აღქმასაც არ ტოვებს უჟუ-რადღებოდ.

“ქართულ ისტორიულ და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შე-ლოცვებისა და სხვათა სახით დაცულ ზოგიერთ ცნობაში გველი წარმოდგენილია მავნე არსებადაც, რომელიც აჩენს ამა თუ იმ და-ავადებას” (5,101).

თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსი ამბობს:

“ბევრ მონადირე დავალის, გიორგის იცნობ კვალზედა, ჭიხოს ძირ დაგძინებია, ნამაშვრალს ციგსა ქვაზედა, ზედ გველი გადმოგწოლია, თავი დაუდევ თავზედა, არ ჩაგივიდეს, ვაჟგაცო, წაგიშლის პირისახესა” (10,32).

ასე უარყოფითად, მავნე არსებად წარმოდგენილი გველი სახეს არ კარგავს რევაზ ინანიშვილის პროზაში. რიგ მოთხრო-ბებში იგი მავნე სულად არის წარმოდგენილი.

“ჩანაწერებში სამაგიდო რეველიდან” მწერალი ახალგაზრდა ქალს ათქმევინებს, თუ როგორ მოკლეს ეზოში გველი მისმა ოჯა-ხის წევრებმა. ამ “ჩანაწერის” მიხედვით, გველის სიკვდილი არა-კითარ საშიშროებას არ მოასწავებს. ავტორს ამის შესახებ არა-ფერი აქვს ნათქამი. პირიქით, უხსენებლის ეზოში ყოფნაა თავად საზარელი ფაქტი. ამიტომაც იბრძვიან ასე თავგამეტებით. აქ გვე-ლი უკვე დგომის ცხოველად, ოჯახის დამცველად კი არა, მაგნედ და ავსულად არის მოაზრებული.

ქართულ მითოლოგიაში ორი უძთავრესი აზრი და წარმოდ-გენა გველის შესახებ: - უპირველესი და უძლიერესი, როგორც ნა-ყოფის დვთაების, წმინდა სულის და ოჯახის დამცველის. მეორე,

როგორც საშიში და ბოროტი არსებისა, რევაზ ინანიშვილმა მხატვრულად დაამუშავა და ლამაზი ეპიზოდებით გააცნო მკითხველს.

რევაზ ინანიშვილი დაკვირვებით მაძიებელია ქართული მითოსისა. თავისებური ხელწერით აცოცხლებს მითოსურ სამყაროს მოთხოვნებში. მითოსის კადი ჩანს როგორც მხატვრული სამყაროს ზედაფენებში, ასევე შიგნით, სიღრმისეულ შრეებში.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. აბაქელია ნ., სიმბოლო და რიტუალი ქართულ ქულტურაში, თბ, 1997. 2. არაბული ა., ნაწილიანობის მოტივი ქართულ ფოლკლორში, ლიტ. ძიებანი, XVII, თბ, 1983. 3. ლოსევი ა., ანტიკური მითოლოგია, მ. 1957. 4. მაკალათია ს., ხევი, თბ, 1934. 5. ფირფილაშვილი პ., ნარკევები ქველი ქართული მედიცინის ისტორიიდან, თბ, 1989. 6. ქართული მითოლოგია., რედ. აპ.სილაგაძე, კომენტარები დაურთო აპ. ცანავაშ, თბ, 1992. 7. შენგელაია დ., წერილები, თბ, 1955. 8. ცანავა აპ., ფოლკლორი და თანამედროვე ქართული მწერლობა, თბ, 1986. 9. წერედიანი დ., სვანური საკულტო საგალობლები, “მაცნე”, ენისა და ლიტერატურის სერია, №6, 1970. 10. ხალხური სიტყვიერება, ტ. II, პირველი სერიის II ნაწ., გ. ჩიქოვანის რედაქციით. თბ, 1953.

## ტრისტან მახაური

### მათქვამების ხალხურ პოეზიაში

მათქვამების შესწავლისას აუცილებლად დაისმის ხალხური ნაწარმოების აგტორობის საკითხი. პირველად ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია აკაკი შანიძემ, როცა აღნიშნა, მათქვამებად ავტორები იგულისხმებიანო. მეცნიერმა ძირითადი ტექსტებიდან გამოაცალკევა ავტორთა ვინაობის აღმნიშვნელი სტრიქონებია, როგორც ლექსის შინაარსისაგან დამოუკიდებელი ნაწილები. ამით მან ერთგვარად ხაზი გაუსვა მელექსეობის ანუ მათქვამობის ძლიერი ტრადიციის არსებობას ფშავ-ხევსურეთში.

მათქვამები, ჩვეულებრივ, ბოლოში დაერთვის ლექსს:

„მელექსეს თუ რას იკითხავთ,  
გრანჯაის გამათქმულია“.

ან: „ამაგის მალექსებელი  
ომათ სუხია ვარია“.

არის იმგვარი ნიმუშებიც, რომლებშიც ავტორი თავშია მოხსენიებული.

„რას ხფიქრობ, ბესარიონო,  
ლექსის გამოთქმის ხანია“, –

ერთ ლექსს პირდაპირ ასე იწყებს ცნობილი ხალხური მელექსე ბესარიონ გაბური.

მათქვამი შეიძლება შეგვხვდეს ლექსის შუა ნაწილშიც:

„ვინაც ვაჟ იქამს სახელსა,

გასპარაძე იცის ქებისა,  
მამუკასა და სადარას

შესაფერს ვერვინ ეტევისა“ (შან., გვ. 97).

გასპარა, როგორც მკვლევარმა დავით გოგოჭურმა დაადგინა, ქორია ქიბიშაურის ფსევდონიმი იყო. მათქვამის აღნიშვნა ავტორის გაუჩინარების წინააღმდეგ იყო მიმართული. ხალხური ლექსი ზეპირბრუნვაში ექცეოდა და ავტორს არ სურდა, რომ მისი სახელი დაკარგულიყო.

„ლექსო, არ დაიკრგები,

ნათქვამო ომაისაო“ (შან., გვ. 203).

იყო ისეთი შემთხვევა, როცა ავტორი თვითონვე ჩქმალავდა საკუთარ სახელს. ამ მიზნით ის ირჩევდა ფსევდონიმს ან ნათქვამს გადააბრალებდა სხვა პიროვნებას. სახელის დამალვა და ფსევდონიმით მოხსენიება დამახასიათებელი იყო სატირულ-იუმორისტული პოეზიისთვის. როცა საქმე ეხებოდა ვინ-მეს გაკილვას, ნაკლის მხილებას, გამოაშეარავებას, მაშინ მელექსე თვითონ ცდილობდა უჩინრად დარჩენილიყო, შარ-ხათაბალაში არ გაეხვია თავი,

მაგრამ ხშირ შემთხვევაში მაინც მუღლავნდებოდა ხოლმე. ხალხის მახვილ თვალს არაფერი გამოეპარებოდა.

მათქვამის ხსენება-დანაბარები კაფიის დასაწყისშიც გვხვდება:

„ჩამუა და ქოთილად  
ლაპარაკობს კაფიასა“...  
„ფოცხვერმ წაიკაფიავა  
ნელა-ნელა სიცილითა“...  
„ყრუვ გიორგიმ დაიუბნა,  
მოგვივიდა რა დრუება...“

ხმით ნატირალ ლექსებში აგტორი, როგორც წესი, არ იხსენიება. შეიძლება გადმოცემით ახსოვდეს ვინმეს, რომ მავანმა მოტირალმა გრძნობით დაიტირა მიცვალებული. ეს არის და ეს, მაგრამ ასეთი სახის ლექსებშიც შეუღწევია მოტირლის ვინაობას:

„კოწიწათ ქალი არა ვარა,  
თავმწვეტი მწივან გველივითა?!“  
„ეგეოთკი არვის რა უნხავ,  
თავად რო ვნახე ბეჭოს ქალმა...“

„მათქვამებში“ ბევრ საყურადღებო ცნობას ვპოულობთ ავტორთა შესახებ. ზოგან მითითებულია ასაკი, სქესი, საზოგადოებრივ-სოციალური მდგომარეობა, პროფესიული ოსტატობა, ხელობა, მისი მდგომარეობა ლექსის თქმის პროცესში, ავტორის დამოკიდებულება ლექსით გადმოცემული ამბისადმი.

დამახასიათებელია გასამრჯელოს მოთხოვნაც. თუ ქალია ავტორი, მოითხოვს საყურ-ბეჭედს, შიშაქ ცხევარს, საქსლო იარაღებს და ა.შ. ავტორი ვაჟები ითხოვენ ხანვალს, ხმალს, თოფს, ტყვიებს, ყანწს, არაქს. ზოგი ლექსის თქმის პროცესშივე კარგ ხასიათზეა და ბაზუსთან თანაზიარი ენაწყლიანობს.

მათქვამებში წშირია აგრეთვე მუსიკალური იტნსტრუმენტის ხსენება და მისადმი მიმართვა. იგი ავტორის შთაგონების წყაროდ ითვლება.

## გულნაზ კაუშაშვილი

### ფოლკლორული მოტივები „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანში“ ერთობ საინტერესო რეალისტური ინტერპრეტაციით წარმოისახა ზღაპრულ-მითოლოგიური ხასიათის ფანტასტიკური ელემენტები...

პოემაში ხორციელებული დევები და ქაჯები იძლენად მოდიფიცირებულ-ნი არიან, რომ შორს დგანან თავიანთი პროტოტიპებისაგან...

ხალხურ პოეზიასა და მითოლოგიურ გადმოცემაში ასახულია ბრძოლები, რომელსაც ქართველი ტომები აწარმოებდნენ დევებთან და ქაჯებთან.

ხალხის წარმოდგენით, „დევი ადამიანის მსგავსი არსებაა. მას აქვს ოჯახი, ჰყავს ცოლ-შვილი, მისდევს მეურნეობას და, როგორც წესი, მუდამ მტრობს ადამიანს.

ერთადერთია, რასაც დევები დაუფლებიან, მჭედლობაა. მათ არ იციან ხენა-თესვა და არ აქვთ საქონლის მოვლის კულტურა. მჭედლობის საიდუმლოს ისინი საგულდაგულოდ ინახავენ...

შოთა რუსთაველი გარკვევით ამბობს, რომ დევები კაცნი არ არიან. საგულისხმოა ტაეპი: „ესე ქვაბნი უკაცურნი ვპოვე, დევთა შეეკაფენს“. ე.ი. დევები ქაჯთაგან განსხვავდებიან. მართალია, ისინიც ხორციელნი არიან, მაგრამ არა ადამიანური სახისა; არა ისეთნი, როგორც ქაჯები, რომელთა შესახებ ნათქვამია: „იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი...“

დევთაგან გამოიქვაბულის განთავისუფლება და ადამიანთა საცხოვრისად ქცევა მიანიშნებს ტარიელის განსაკუთრებულ როლს, რაც საბოლოოდ პოემაში გაცხადდება ქაჯეთის ციხეში შესასვლელი გვირაბის უვნებელყოფით. ტარიელი ხომ გვირაბში პირველი შევიდა. გვირაბი ტარიელის გზის ნებისმიერ მონაცემთან შედარებით ყველაზე საყიფათო და მნიშვნელოვანია. მისი დაძლევა რჩეული ადამიანის, „დავლათიანის“ ხევდრია... გამოქვაბული, რომელ-საც ბოროტი ძალები ანუ დევები დაპატრონებიან, საიდუმლო ადგილია, სადაც განძი და ისბრძნება დაუწევებული...

ქაჯთა სამეფოზე, ქაჯეთის ციხეზე საომრად მიმავალი გმირები განსაკუთრებული იარაღით უნდა აღიჭურვონ. ქაჯეთში ჩასვლა ყველას არ შეუძლია, იქ მიღის მხოლოდ ის, ვისაც აქვს სიბრძნე და სთანადო გამოცდილება.

ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში ყურადღება გამახვილებულია ქაჯეთის გატეხვაზე („ქაჯავეთ რო გაუტეხავ ღვთისშვილთ“...). გმირებმა ძალის გამოყენებით უნდა წამოიღონ, რაც წამოსაღებია, ხოლო ის, რაც იქიდან მოაქვთ, აუცილებელია საყმოსთვის, მისი არსებობისთვის, ისევე, როგორც ნესტანი ტარიელისთვის.

რუსთაველის პოემაში წარმოდგენილ ქაჯებს შემოცლილი აქვთ დემონოლოგიური საბურველი და ჩვეულებრივი ადამიანებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ „გრძნებით მოქმედი“ არიან.

ქაჯთა ხორციელობის დადასტურებას დიდი მხატვრული ფუნქცია აკისრია რუსთაველის მხატვრულ სამყაროში, რადგან ამ რეალისტური დეტალის ხაზგასმით „არ ქაჯია, კაცნიაო“ და „იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელიანი“ აგტორმა დამაჯერებლად ასახა გმირთა ბრძოლა ქაჯების წინააღმდეგ და მათზე გამარჯვება.

ქაჯების, როგორც ბოროტების სიმბოლოების, შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ თანმიმდევრული აზრია განვითარებული. არაა მოულოდნელი, რომ ქაჯეთან დაკავშირებული პერსონაჟი დავარი აყენებს პირველ ვნებას ნესტან-დარეჯანსა და ტარიელს. მან ინდოეთის მეფის ასული ზანგ მონებს მისცა გადასაკარგავად. მეცნიერთა უმრავლესობა ამ გარემოებას დავარის „ქაჯობით“ ზნის.

როდესაც დავარმა ნესტან-დარეჯანი გადაკარგა, ის მაშინ გონებადაბინდული იყო, ბოროტი გრძნობებისა და ინსტიტების ტევეობაში იმყოფებოდა, ხოლო ამ ჩანაფიქრის აღსრულების შემდეგ მიხვდა, რა სიავეც ჩაიდინა, ინანა თავისი საქციელი, მასში კვლავ გაიღვია კეთილადამიანურმა ბუნებამ და თავი მოიკლა, რითაც თავისი უდანაშაულობაც თავიდან აიცილა.

მკითხველი მოელის ბოროტების სიმბოლოსთან-ქაჯეთის ციხესთან გმირთა შეხვედრას, ტარიელმა უნდა დაამარცხოს ქაჯები, გაანადგუროს ქაჯეთის ციხე და ისევე გამოიხსნას ნესტან-დარეჯანი, როგორც ოდისევებსა პენელოპე, დანტემ ბეატრიჩე, ფაუსტმა, გრეტაზენი. ეს ადვილი არ არის, მაგრამ არც შეუძლებელია.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, „ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია, ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია, მას კლდესა შიგან გვირაბი, ასაძრომელი ხვრელია, მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა წველია“.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ნესტანის წერილიც, რომელშიც ასევე აღწერილია ქაჯეთის ციხე და აღნიშნულია მისი მიუვალობა. ნესტანი მიუთითებს აგრეთვე ქაჯთა საომარ მოქმედებებზე და აღნიშნავს, რომ ისინი სხვა მებრძოლთა წესების მიხედვით არ იძრძვიან...

გრძნეულთა მონის მიმოსვლამ და ამბების გაგებამ გაუადვილა გმირებს ქაჯთაგნ ნესტანის დახსნა. ტარიელმა, ავთანდილმა და ფრიდონმა სწორად შეაფასეს მცირე ლაშქრის წაყვანა საომრად. დროც შესანიშნავი შეარჩიეს, ვიდრე დულარდუხტი არ იყო ქაჯეთში და რომაქიც სამეკობროდ დაძრწოდა. გმირები ისწრაფვოდნენ ქაჯეთში შეჭრას სწორედ მათ მოსვლამდე, რადგან შემდეგ ბრძოლა გაჭირდებოდა. ფატმანიც ამას უებნებოდა ავთანდილს: „თუ ქაჯნა მოგესწრებიან, მუნ მისვლა გაგიძნელდების“. მომავალი გამარჯვების ერთ-ერთი პირობა ქაჯეთის ციხეზე დროული შეტევა იყო. მეორე პირობა

დევთა გამოქვაბულში ნაპოვნი სამი აბჯარია, რომლებიც მხოლოდ ქაჯებთან ომის დროს გამოსაყენებლად იყო განკუთვნილი...

მართლაც, გონივრული გეგმით, ქაჯთა მეთაურების შორს ყოფნის წყალობით, საკვირველი აბჯრის გამოყენებით „ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა“, რის შედეგადაც დაემხო ქაჯეთის ციხე, ვითარცა ბოროტების სიმბოლო.

საყურადღებოა ერთი დეტალიც: „ვეფხისტყაოსნის“ რაინდები დამარცხებული მტრის მიმართ მოწყალებას იჩენენ ხოლმე. სანიმუშოდ შეიძლებოდა ტარიელისაგან ხატაელთა შენდობისა და ავთანდილისაგან ცოცხლად დარჩენილ მეკობრეთა დანდობის ეპიზოდების გახსენება, მაგრამ ქაჯეთის ციხეში ისინი ამგვარად არ იქცევიან. მათ არც ერთი ქაჯი არ გაუშვეს ცოცხალი, რასაც განსაკუთრებული მიზანი ჰქონდა – მთლიანად გაენადგურებინათ და აღმოეფხვრათ სიავის ბუდე-ქაჯეთის ციხე და მოესპოთ ქაჯთა მოდგმა („მონახეს და არ აცოცხლეს, რაცა ბრძოლით დარჩომოდათ“).

ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მცდელობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო: მათ გაათავისუფლეს ქაჯთა ტყვეობაში მყოფი ნესტან-დარეჯანი, რითაც სიკეთის იდეას გაამარჯვებინეს.

## ლია ზალიაშვილი

### უმცროსი ძმის მოტივი ჯადოსნურ ზღაპარში

უმცროსი ძმის მოტივი მთავარი და განმსაზღვრელი მოტივია მთელ რიგ ჯადოსნურ ზღაპრებში. უმცროსი ძმა ბოროტ ძალებთან და დემონურ არსებებთან მებრძოლი გმირია. „პერსონაჟთა შორის განსაკუთრებულ სიმპატიას იმსახურებს უმცროსი ძმა და მზეთუნახავი. უმცროსი ძმა, უფროსების მიერ გარიყელი და დასჯილი, მრავალ ტანჯვას გამოივლის და მიზანს მაინც მიაღწევს“, – აღნიშნავს მიხეილ ჩიქოვანი (3,425).

ქართული ჯადოსნური ზღაპარი ძალიან უხვ მასალას იძლევა უმცროსი ძმის შესახებ. ხშირ შემთხვევაში ზღაპრის მთავარი გმირი სწორედ უმცროსი ძმაა (არის ზღაპრები, სადაც გმირს მები საერთოდ არა ჰყავს, ხოლო სადაც რამდენიმე ძმაა, იქ უმცროსია მთავარი). უმცროსი ძმა მიღის ყველაზე სახიფათო გზით. ის ასრულებს ძნელ დაგალებას, არ უშინდება დაბრკოლებას, მაგრამ უფროსებს შეურთ და დალატსაც არ ერიდებიან მის მიმართ.

მებიდან უმცროსი არის ყველაზე გულადი და ძლიერი. ზღაპარში „ჯეირნის ქალი“ მოთხოვობილია, თუ როგორ აჯობა უმცროსმა ძმამ დანარჩენებს. იყო ოცი ძმა. ჯერ უფროსმა სოხოვა მამას რაში. მამამ უთხრა: ერთ სილას შემოგრავ, თუ გაუძელ, მოგცემო. უფროსმა ვერ გაუძლო. ასე დაუმართა სხვა ძმებსაც... „მერე მიბრუნდა უმცროსი ვაჟი, სოხოვა მამას რაში. მამამ უთხრა: სილას გავარტყამ და თუ არ წაიქეცა, მოიხმარ კიდეცაო, დადგა. გაარტყამს სამ სილას, მაგრამ ფეხსაც ვერ მოაცვლევინებს. მაშინ მისცემს თავის რაშს, ულოცავს გზას. ვაჟი შეჯდება, დაეწევა ძმებს. ეწყინათ ძმებს: რატომ შეე მოგცა და ჩვენ არაო“ (7, 226).

მსგავსი ამბავია აღწერილი ზღაპარში, „გაუციარი ხელმწიფე“. ვაჟების სურვილია – გაიგონ, რატომ ჰქვია მათ მამას ეს უწნაური სახელი. უფროსი მივა. მამა ღვინიან ჯამს დაალევინებს, სილას გააწნავს და ქოჩორზე დაატრიალებს. შემდევ შეუათანასაც ასე გაუმეორებს. ბოლოს მივა უმცროსი. მამა სამჯერ შემოჰკრავს უმცროსს და ერთხელაც ვერ მოაცვლევინებს ფეხს. რაკი ფეხს ვერ მოაცვლევინებს, მაშინ აგზავნის მძიმე დავალების შესასრულებლად – ჩემი თავის სხელა ბროწეულები მომიტანეო.

მსგავს ეპიზოდებს ზღაპარში ჟაჭროთ ადგილებს უწოდებენ. ანალოგიური ეპიზოდების აღწერით მეზღაპრე ხახს უსვამს გმირის არაჩვეულებრივ ფიზიკურ სიძლიერეს, სიმტკიცეს, მოუდრეკლობას. ფიზიკური ძალის გამოცდას უმცროსი ძმა ბრწყინვალედ აბარებს. კვანძიც სწორედ აქედან ინასკვება, რადგანაც მძიმე დავალების შესრულება ასეთი ტიპის გმირს ხელეწიფება მხოლოდ.

მმებზე ბევრად უფრო ძლიერია ივანე ცისკარი. მის ხმალს და აბჯარს უფროსი მმები (ივანე საღამოსი და ივანე შუალამისა) ძვრასაც ვერ უზამებ. უმცროსი მმის ეს ფიზიკური უპირატესობა, რა თქმა უნდა, გულზე არ ეხატებათ უფროსებს.

უმცროსი მმა გულადი და უკანდაუხველია. ღამით მხოლოდ ის ყარაულობს მამის საფლავს („ხელმწიფის ზღაპარი“, „ხასან-ხესანა“, 3, 66-74; 7, 121-125). უფროსებს ან ძილი მოერევათ, ანდა შეეშინდებათ და სასაფლაოდან სათითოდ, უჩუმრად გამოპარულები ღამეს ბოსელში ათევენ. სახლში დილით ბრუნდებიან, უმცროსს კი ატყუებენ – ვუყარაულეთო. უმცროსი მმა უშიშარია. მხოლოდ ის რჩება ერთგული მამის ანდერძისა. იგი ფხიზლობს და არაჩვეულებრივი ამბის მხილველი შეიქნება: მოფრინდება მამალი და მამამისის საფლავს ქეკვას დაუწყებს ან მოვა სამი ხელმწიფე – მამამისის მტრები, რომლებიც ვაჟის მსხვერპლინი ხდებიან და ა.შ. უმცროსი მმა თავის საქმეს უმთავრესად მაშინ აკეთებს, როცა უფროსებს ძინავთ და ბაიბურში არ არიან, რა ხდება მათ თავს.

ფიზიკურ სიძლიერესთან ერთად უმცროს მმას მოხერხების უნარიც ახასიათებს. ხუთკუნჭულა სწორედ გონების გამჭრიახობითა და მოხერხებით იხსნის მმებს დევების ლუქმად გახდომისაგან. მოხერხებით წაართმებს დევს გულთმისან თხას, ძვირფას ხალიჩას, თვით მას მოტყუებით მიიყვანს ხელმწიფის კარზე. იქაც ოინებს მიმართავს. თვითონ ხეზე ავა, მერე გაახსნევინებს კიდობანს, საიდანაც ამოვარდნილი გამწარებული დევი ნაზირ-ვეზირებსა და მათ მეფეს გადასანსლავს. ასევე მოტყუებით მოუღებს ბოლოს ბოროტ დევს და მთელი ავლა-დიდების ბატონ-პატრონი თვითონ გახდება.

ხელმწიფე, რომელმაც თავისი უმცროსი შეიღლი ფიზიკურ ძალაში გამოსცადა და უეხიც ვერ მოცვლევინა, დალოცავს უმრწემეს ძეს და რაშისაც მისცემს. ამგარადვე იქცევა შეირე ხელმწიფე მამის ანდერძის შემსრულებელი უმცროსი შევილის მიმართ: „უმცროსმა დილით მამის ლოცვა გაიგონა: „შვილო, შენ ღმერთმა ისეთი ძალა მოგცეს, რომ დედამიწას უჭირდეს შენი ტარება. შენს მმებს ძალა ისე დააკლოს ღმერთმა, წინ პური ედოთ და ვერ შეჭამონი!“ (7, 122).

უმცროსი ვაჟი ზარმაცისა და უქნარას ნიღაბს ატარებს, სიზარმაცის გამო ის მოძულებული ჰყავს ოჯახს და უფროს მმებს: „ხელმწიფეს ერთი შეიღლი ჰყავდა ისეთი, რომელიც არაფერს არ აკეთებდა და ნაცარქექიას ეძახდნენ“ (7,66).

სწორედ ეს ნაცარქექია ის გმირი, რომელიც უფროს მმებსაც აჯობებს და მზეთუნახავსაც მოიპოვებს. იგი სულ სხვა გმირია და არ უნდა ავურიოთ ცნობილ ნაცარქექიაში, თუმცა საბოლოო შედეგით ისინი ორივენი გამარჯვებულები არიან.

უმცროსი მმა ხშირად უფროსებისაგან დაჩაგრული და გარიფულია. საშოვარზე წასული მმები უქმაბოფილონი არიან თავიანთი მწირი შემოსავლით და ჯავრს უმცროსზე იქრიან. „მმებმა თქვეს: ყველანი რომ შინ ვიყვნეთ, რა

უნდა ვჭამოთ. ავდგეთ, ზოგი სად წავიდეთ და ზოგი სად, ლუქმა მაინც ვიშმოვნოთ.

ადგნენ, მართლაც, და წავიდნენ სამუშაოდ. იშოვეს ცოტა რამ, მოიტანეს და დაიწყეს ცხოვრება. ისიც რომ გაუთავდათ, უმცროსი ძმა გამოაგდეს: წადი შენთვის, რაც გინდა ჰქენიო!“ (1,17).

უმცროსი ძმის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებისადმი იმდენად არასერიოზულია უფროსების დამოკიდებულება, რომ მოსმენის ღირსადაც არ თვლიან მის ნათქვამს. მაგალითად, უმცროსი, ვინც დამე ოქროს ვაშლის ყარაულად იყო წასული, უფროსებს ეუნდება: „ჩევნი ვაშლის ქურდი დავკოლე და მოძებნა უნდა.

ძმებს სიცილადაც არ ეყოთ იმის საუბარი, მაგრამ ის ადგა და უთხრა: გამომყევით და მე დაგიმტკიცებთ, რომ ტეულილი არ ვიციო“ (1,119).

ზემოთ აღინიშნა, რომ უმცროსი ძმა უმთავრესად მაშინ აკეთებს თავის საქმეს, როცა უფროსებს სძინავთ და ისინი, ძილით გამომცხარი, თავიდან ვერ გრძნობენ უმცროსის ნამოქმედარს. ისინი ვერ ხვდებიან, რომ უმცროსმა მათ უყარაულა მთელი ღამე, მოკლა მათ შესაჭმელად წამოსული ცხრა ძმა დევი, თან მაყოლა მათი დედაც. დევების ტყვე ქალები თავის ძმებზე დანიშნა – მძინარეებს უწუმრად წამოაცვა თითებზე მათი ბეჭდები. ბოლოს დაღლილი „უმცროსი ძმა წაწვება კარებში. გათვინდა დილა. იღვიძებენ ვაუები, წაჰკრავენ წიხლს, რა დაგემართა, ვერ გაძებ ძილითაო?“ (7,228).

ამ ეპიზოდის მოთხოვნით მეზღაპრეს უნდა გვიჩვენოს, თუ როგორ მასხრად ჰყავთ აგდებული უფროსებს საბოლარა ძმა, ვინც მათი გულისთვის ამდენი გადაიტანა ერთი ღამის განმავლობაში. მაგრამ უფროსები გაიგებენ თუ არა უმცროსის არნახული გმირობის ამბავს, აღიარებენ თავიანთ შეცდომას, უბოლიშებენ მას და უპირატესობას ანიჭებენ: „შენა ყოფილხარ ჩვენი მსსნელი. აქამდის მასხრად გიგდებდით, რადგან გვეგონა, არავერი შეგეძლო. მართლა ბიჭი ჰყოფილხარ, კარგი მხედარიო“ (7, 228).

მაშასადამე, უფროსი ძმები ჭკვიანი არიან, უმცროსი კი სულელი და აბუჩად აგდებული. ჯადოსნური ზღაპრის გმირთა ამგვარი სახით წარმოდგენა სათავეს იღებს ხელდასხმის უძველესი რიტუალიდან. გმირი გადიოდა ინიციაციის გზას. ინიციაცია, როგორც ინსტიტუტი, საუკუნეების წინ გაუქმდა და დაგიწყებას მიეცა, ხოლო მისი შემაღენელი ნაწილები ფრაგმენტების სახით ზღაპარმა შემოგვინახა.

სიზარმაცე და სისულელე დღდევანდელი მკვლევარის თუ მკითხველის თვალთახედვით გმირის ნიღაბია, მაგრამ პერსონაჟის ასეთ მდგომაერეობაში ყოფნა საუკუნეების წინათ უდიდეს სულიერ ტკივილებთან იყო დაკავშირებული. ი. იუდინი მიიჩნევს, რომ ზღაპრის სულელი გმირის პირველსახედ იყო ახალგაზრდა, რომელიც ინიციაციის წეს-ჩევულების დროს უდიდესი ფიზიკური ტანჯებისა და რიტუალური წამებისას რეალურად თუ მოჩვენებით კარგავდა გონებას და შეშლილ მდგომარეობაში იმყოფებოდა (10,52).

ვლადიმერ პროპის აზრით, „ამ მომენტში ის ერთის მხრივ წარმოადგენდა და გამოიყურებოდა, როგორც შეურაცხადი, შეშლილი. მეორეს მხრივ კი როგორც სულის მიერ შეპყრობილი, მასში ჩასახლებული. ეს დრო მისთვის იყო არა მხოლოდ გონების დაგარგვის პერიოდი, არამედ სულის ჩასახლების, ე.ი. შესაბამის უნართა შექნის მომენტი“ (9,76).

ხელდასხმის შეძლევ ჭაბუკი თუ გადარჩებოდა, მას აუცილებლად ეტყოდნენ: „მართლა ბიჭი პყოფილხარ, კარგი მხედარიო!“ ამგვარი შეხედულების ერთი გამოძახილია ის, რომ უფროსები აღიარებენ უმცროსის უპირატესობას, მაგრამ ჯადოსწერი ზღაპრისთვის ეს არ არის ტიპიური შემთხვევა. ხშირად უფროსები შეურით აღიგსებიან უმცროსის მიმართ და გადამწყვეტ მომენტში ღალატობენ მას: „როცა ძებმა დაინახეს გამარჯვებული უმცროსი ძმა, შური აღეძრათ; ჩუმად მოილაპარაკეს, დააწყვეს საქმე, თუ როგორ დაეღუპათ ოგი. გაიტყუეს და უთხრეს: –წამოდი, ერთი საკვირველება გაჩვენოთ! წაიყვანეს, ერთ ღრმა აკლადამასთან მიიგვანეს და ჩაახედეს შიგ. თავი წინ რომ წაიღო და ჩახედა, ჰკრეს ხელი და შიგ ჩაგდეს. წამოვიდნენ, მივიდნენ ქალთან. ქალმა საქმრი იყითხა. მათ უთხრეს: მოვაო. იადონმა და ბულბულმა ფრთხები ჩამოუშვეს. ქალმა იფიქრა: რაღაც უბეღურება ჩემს თავსო. იტირა ბევრი, მაგრამ მაზლებმა გაუქარწყლეს. დასხდნენ ხალიჩაზე და მამის ქალაქში წავიდნენ“ (7, 189).

გაუცინარი ხელმწიფის შვილს ძმები დახვდნენ მაუწყებელ ქვასთან. ვაჟმა ამოიღო ბროწეულები და ძმებს დაურიგა თითო-თითო. ერთი თვითონ დაიტოვა. ძმებს შეშურდათ, რადგან მათი მოტანილი ბროწეულები პატარა იყო. გზაზე წყალი მოსწყურდათ. „ერთი ჭალა იყო. ამ ჭალას ეძახდნენ ბულაეს. მივიდნენ ძმები ბულაყთან და წყალი უნდა ამოეღოთ. ჯერ უფროსი ძმა ჩაუშვეს. ცოტა რომ ჩაუშვეს, ყვირილი მორთო: ამწით, ამწით, დავიწვიო! ამოსწიეს და ამოიყვანეს. ახლა შუათანა ძმა ჩაუშვეს. მანაც ისე დაიწყო ყვირილი. ამოსწიეს და ისიც ამოიყვანეს. უმცროსმა ძმამ – მე ჩამიშვით და რამდენიც ვთქვა „დავიწვიო“, იმდენი ძირს ჩამიშვითო. ჩაუშვეს უმცროსი ძმა და დაიძახა: „დავიწვიო“ და უფრო ჩაუშვეს. ჩავიდა ვაჟი და დალია წყალი. ჯერ წყალი ააწოდა ძმებს, ახლა თვითონ მოიბა წელზე, მაგრამ შუა გზაზე გადაჭრეს ძმებმა თოკი და ჩაგდეს ძირს“ (7, 138-139).

ზღაპრული ტრადიციით, უმცროსი ძმა უშიშარია. უფროსები ვერ ბედავენ ჭაში ჩასვლას, საიდანაც ცეცხლის ალი ამოდის. ისინი ვერ ჩადიან აგრეთვე დევის ბენაგში. უფროსი კი იძახის: „ჩამიშვით, ჩამიშვით!“ ანდა პირიქით არის: ძმებს უუბნება: რამდენსაც ვიტყვი „დავიწვიო“, იმდენი უფრო ჩამიშვით ძირს.

ვაჟმა დევის ოთახში სამი მზეთუნახავი ნახა. ქალებს მაღლა აგზავნის. უმცროსი ქალი ეუბნება უმცროს ვაჟს: „–ძმები გილალატებენ, ჯერ შენ ადი, მერმე მეც ამიყვანეო!“ (1,120). მართლაც, „აგზავნა საცოლე ვაჟმა და როგორც

კი ავიდა უმცროსი ძმის საცოლე, ძმებმა თოკი მოჰკვეთეს, წავიდნენ შინ და წაიყვანეს ქალიც“ (1, 121).

როგორც წესი, მოსალოდნელი ღალატის შესახებ ქალი აფრთხილებს ვაჟს, მაგრამ ვაჟი გულუბრყვილოა, აზრადაც არ მოსდის ძმების ღალატი. ეს არის მისი ერთ-ერთი ნაკლი, მისი სისუსტე როგორც მაშინ, როცა ქალი ანტაგონისტი დედაბრის შესახებ აფრთხილებდა: არ ამოიყვანო კოშკშიო („ზღაპარი ტიტველი მგლისა“).

ქვესკნელში ჩავარდნილ შავ-თეიმურაზს ქალი ჩასძახებს: „—აკი გეუბნებოდი, რატომ არ დამიჯვრეო. მერე ასწავლა: მანდ ბაღში სამი თხაა, წითელი, შავი და თეთრი. თეთრს თუ დაიჭერ და შეჯდები, მაღლა ამოგაგდებს, წითელი აქეთ-იქით მიგახეთქებს და შავზე თუ შეჯდები, მეორე ქვესკნელში ჩაგადებს“ (7,88).

შავ-თეიმურაზმა ვერც თეთრი თხა დაიჭირა და ვერც წითელი. ბოლოს ისევ შავზე შეჯდა და ქვესკნელში მოადინა ბრაგვანი (როგორც ქალმა უთხრა: „მეორე ქვესკნელში ჩაგაგდებსო“).

თეთრი ზესკნელის სიბოლოა, წითელი — შეუ სკნელის, ხოლო შავი ფერი ქვესკნელის სიმბოლო. ჯადოსნური ზღაპრის გმირი სამივე სკნელში მოძრაობს. ზეცაში ის რაშს აკყავს, ხოლო ქვესკნელში შავი ცხვარი ან შავი თხა ჩაიყვანს. ალექსანდრე ღლონტის მიერ ჩაწერილ ერთ ზღაპარში ეს სიბოლიკა დარღვეულია, რაც მეზღაპრის გულმაგიწყობის შედეგად უნდა იყოს გამოწვეული. ქალი მოსალოდნელი ღალატის შესახებ აფრთხილებს ვაჟს და რჩევა-დარიგებასაც აძლევს: „ვიცი, გიღალატებენ, შენ აქ დარჩები. ესე გაიღლი, ერთი ოთხათ, იქ ორი ცხვარი აბია, ერთი თეთრი და ერთი შავი; შავზე შეჯდები, აქვე დარჩები, თეთრზე შეჯდები — ქვეცას წაწვალ. იცოდე, როცა ქვეცას გაგაქანებს ის ცხვარი, შენ დაიძახე: „ბებრის ბანი ბამბიანი, ბებრის ბანი ბამბიანი და რბილად დაეცემიო“ (1, 121).

სკნელი ზღაპარში „ცას“ ნიშნავს, ცის სინონიმია (ამ სიტყვის ეტიმოლოგიური ძიება მოცემულია მიხეილ ჩიქოვანის ნაშრომში): ზესკნელი — ზეცა, შეუ სკნელი — შეუ ცა და ქვესკნელი — ქვეცა. გარდა ზღაპრებისა, ეს ტერმინები ხალხურ პოეზიაშიც გახვდება. მაგალითად, ერთ გამოცანაში, რიმლის გამოსაცნობი საგანი კაგალია, ნათქვამია:

„ქვეცას ვარ, ქვეცას ფეხ მიდგას.“

ადამთა ვემუდარები.

მწარე მცვავ ტანისამოსი,

მზეს პირად გავედარები“.

ზესკნელს და ქვესკნელს აკავშირებს მითიური ხე, ძირითადად ალვისხე. სკანდინავიურ მითოლოგიაში იგი „იგდრასილის“ სახელითაა ცნობილი.

ქვესკნელური ანუ ზოონური არსებანი არიან დევები, ქაჯები, გველეშა-პები. ერთი სიტყვით, ის ბოროტი არსებანი, რომელთა წინააღმდეგ იბრძვის ჯადოსნური ზღაპრის გმირი. რუსულან ჩოლოყაშვილის დაკვირვებით, კა-

დოსნური ზღაპრის გმირი გენეტიკურად ვეგეტაციური ლეთაება არის, რო-  
მელიც სამივე სკნელში მოძრაობს. ხდება მისი ქვესკნელში ჩასვლა და კვლავ  
აღდგენა (4).

ახლა დავუბრუნდეთ მმების ღალატის მოტივს. იგი დიდ მსგავსებას  
პოულობს იოსებ მშვენიერის ბაბლიურ თქმულებასთან. იოსები უმცროსი მმაა.  
იგი უფროსების მიერ გაწირული და გაყიდულია. უფროსმა მმებმა ის, ზღაპრის  
უმცროსი მმის დარად, ჯერ ჭაში ჩააგდეს, სადაც წყალი არ იდგა, ხოლო  
შემდეგ, როცა დაინახეს, რომ მიღიანელი ვაჭრების ქარავანი მიღიოდა გზაზე,  
ჭიდან ამოიყვანეს და მათ მიჰყიდეს 20 ვერცხლად. ერთ-ერთ მმას – რეუბენს  
ეს არ დაუნახავს და იოსები დაკარგული ეგონა. იოსების გაყიდვის განზრახვა  
იუდამ გააცნო მმებს და მათაც აღასრულეს მაშინ, როცა რეუბენი მათთან არ  
იმყოფებოდა.

ღალატის მიზეზი იყო შური, რომელიც მმებს აღეძრათ იოსების მიმართ,  
როცა ამ უკანასკნელმა მათ წინასწარმეტყველური სიზმარი უამბო:

„აპა, მნებს ვკონავთ შუაგულ ყანაში. აპა, წამოდგა ჩემი მნა და  
ზეალიმართა. გარს შემთადგნენ თქვენი მნები და თაყვანი სცეს ჩემს მნას.

უთხრეს მმებმა: ნუთუ ჩვენზე იმეჯებ? ნუთუ პატრონად გაგვიხდები? და  
კიდევ უფრო მეტად შეიძლეს იგი მისი სიზმრისა და მისი სიტყვების გამო.

კვლავ დასეიზმრა სხვა სიზმარი და უამბო მმებს და უთხრა: კვლავ  
დამესიზმრა სიზმარი: აპა, მზე და მთვარე და თერთმეტი ვარსკვლავი მცემენ  
თაყვანს.

უამბო მამასა და მმებს და გაკიცხა იგი მამამ და უთხრა: რა არის ეგ  
სიზმარი რომ გეიზმრა? ნუთუ მე და დედაშენი და შენი მმები უნდა გეახლოთ  
და თაყვანი გცერ?“ (დაბადება, თავი 37-ე).

თუ მამასთან და მმებთან ნაამბობმა სიზმარმა ეს უკანასკნელნი გაა-  
ნაწყენ, ხოლო მმებში ისე იმძლავრა შურის ვრძნობამ, რომ იოსების გაყიდვის  
განზრახვა შიაღებინა, საძაგიროდ სხვაგან, სხვა ვითარებაში, სიზმრების ახ-  
სნამ იოსები აღაზევა, სახელი და დიდება მოუტანა მას.

მმებისაგან გაყიდული იოსები მიღიანელმა ვაჭრებმა ეგვიპტეში ჩაიყვა-  
ნეს და ფარაონის კარისკაცს, ქონდაქართუხუცესს – ფოტიფარს მიჰყიდეს. აქ  
იოსებს ერთი უსიამოვნო ამბავი შეემთხვა: თავისი პატრონის ცოლს ძალიან  
მოეწონა იგი და სთხოვდა, მასთან დაწოლილიყო. იოსები სასტიკ უარზე იდგა.  
ქალის დაუინებული მოთხოვნა ინტრიგით დასრულდა და ფოტიფარმა დი-  
ლეგში ჩაასმევინა იოსები. დილეგში მასთან ერთად ფარაონის მეპურეთ-  
უხუცესი და მწედეთუხუცესი იჯდა. საპყრობილებში იოსებმა სიზმრების ახსნის  
გასაოცარი ნიჭი გამოავლინა. მწედეთუხუცესს სამ დღეში გათავისუფლება და  
თავის ძველ ადგილზე დაბრუნება უწინასწარმეტყველა, მეპურეთუხუცესს კი  
– ჩამოხრიობა. ორივე სიზმარი ახდა. იოსებმა გონებამახვილურად ახსნა  
ფარაონის სიზმარიც: „ფარაონი დგას ნიღლისის პირას. მდინარიდან ამოდის  
შვიდი მსუქანი ძროხა და ლერწმიანში ბალახობს. მეორედ ესიზმრა: ნიღლო-

სიდან ამოდის შვიდი მჭლე ძროხა, ისინი ყლაპავენ მსუქან ძროხებს და ისევ მჭლებად რჩებიან.

ფარაონს კვლავ ესიზმრა: ერთი ღეროდან ამოდის შვიდი სავსე თავთავი. შემდეგ ერთი ღეროდან ამოდის შვიდი ფშუტე თავთავი და ისინი აქრობენ შვიდ სავსე თავთავს“.

იოსებმა სიზმარი ასე ახსნა: შვიდი მოსავლიანი წელიწადის შემდეგ დადგება შვიდი შიმშილის წელიწადი და ფარაონს ურჩია, თადარიგი დაეჭირათ, რომ ხალხი არ დახოცილდეთ.

მართლაც დადგა შვიდი შიმშილის წელიწადი. იოსებმა ეგვიპტე შიმშილისაგან იხსნა. ამის გამო მას დიდი სახელი გაუვარდა. ფარაონმა ის მთელი ეგვიპტის გამგებლად დანიშნა. მხოლოდ ტახტით ვარ შენზე აღმატებულიო, ეუბნებოდა ფარაონი იოსებს.

იოსების ბიბლიური მოთხრობა ქართულ ხალხურ (და არა მარტო ქართულ!) ჯადოსნურ ზღაპრებთან ორი ძირითადი მოტივით შეიძლება დავგავავ-შიროთ: 1. უმცროსი ძმის მოტივი და 2. სიზმრის ახსნის ხალხური ტრადიცია და მისი წინასწარმეტყველური ხასიათი.

ბიბლიური მოთხრობისა და ხალხური ზღაპრების მიხედვითაც უმცროსი ძმა პირველ ხანებში დაჩაგრული და ღალატის მსხვერპლია, ბოლოს კი გამარჯვებული და თაყვანისცემის ღირსი. უმცროსი ძმა განსაკუთრებით გაიდეალიზებულია ხალხურ ზღაპრებში.

ელიაზარ მელეტინსკიმ მონოგრაფია მიუძღვნა უმცროსი ძმის გაიდეალების მიზეზთა საგანგებო კვლევას, რადგან მოტივის წარმოშობა უშუალოდ ამ პრობლემებთანა დაკავშირებული..

უმცროსი ძმის გაიდეალების მიზეზთა გარკვევას ცდილობდნენ ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენლებიც.

ა. ლენგი რამდენჯერმე შეეხო ამ პრობლემას და მიუთითა მინორატზე, როგორც ზღაპრისეული უმცროსი ძმის გაიდეალების ყოფით საწყისზე. მინორატი, როგორც ცნობილია, მემკვიდრეობის განაწილების ფეოდალური წესია, რომლის მიხედვითაც ქონება მთლიანად გადადის ოჯახში ყველაზე უმცროსის ხელში.

აღნიშნულ პრობლემას ჩაუღრმავდა მაგ კალოკიც. მისი დაკვირვებით, ყველა ზღაპრული მოტივი პირველყოფილი წეს-ჩვეულებებიდან იღებს სათავეს. ამავე ლოგიკით უმცროსი ძმის ზღაპრებშიც მემკვიდრეობის განაწილების უძველესი ჩვეულება უნდა ირეკლებოდეს.

მელეტინსკიმ გადაჭრით უარყო ეს თვალსაზრისი და აღნიშნა, რომ „უმცროსი ძმა ზღაპარში გაიდეალდა არა მაშინ, როცა რაღაც უპირატესობით სარგებლობდა, არამედ როცა ისტორიულად დაჩაგრული აღმოჩნდა“ (8,147).

ჯადოსნური ზღაპარი რეალისტური ნაწარმოები არ არის და არასოდეს გადმოსცემს სინამდვილის სურათებს. პირიქით: აქ მთავარი ადგილი ფანტას-

ტიკურსა და მოჩვენებითს ეთმობა; ზღაპარი შებრუნებულად წარმოაჩენს მოგლენებს: სასურველი აქ შესაძლებლად არის წარმოლენილი.

იოსების ბიბლიური მოთხოვნის შესახებ საყურადღებო მონოგრაფია შექმნა როსტომ ჩხეიძემ. მან ძირითადად გაიზიარა ელიაზარ მელეტინსკის აზრი უმცროსი მმის გაიდეალების მიზეზთა წარმოშობის შესახებ და აღნიშნა: „ამდენად, მინორატის დროს კი არ მომხდარა უმცროსი მმის გაიდეალება და მისი სახელით ცნობილი ციკლის შექმნა ზღაპრულ ეპოსში, არამედ მაიორატის დროს, როცა უმცროს მმას მემკვიდრეობით არაფერი ერგებოდა და ისიც დაჩაგრული და ბედის ანაბარად მიტოვებული აღმოჩნდა, საკუთარი უნარისა და სიმარჯვის იმედად. ამიტომაც შეიმოსა მისი ცხოვრების გზა იღეა-ლური ელფერით“ (6,17).

მართლაც, ჯადოსნურ ზღაპრებში უმცროსი მმა სრულიად მარტოა. მას გადამწყვეტ მომენტში ღალატობებ უფროსები, ხოლო მხსნელად ევლინებიან სულ სხვა პერსონაჟი-ადამიანები ანდა ფანტასტიკური არსებანი (ფასკუნჯი, არწივი, კეთილი დევები და კეთილი დედაბრები და ა.შ.).

უმცროსი მმის მოტივის უკეთ შესწავლაში დაგვეხმარება კიდევ ერთი ეპიზოდის გახსენება ზღაპრიდან „ჯეირნის ქალი“. უფროსი მმები მასხრად იგდებენ უმცროსს, ხოლო როცა გაიგებენ, რომ ღამით სწორედ მან გადაარჩინა ისინი სიკვდილს და უჩუმრად დანიშნა დევების ქალებზე, ეტყვიან: „მართლა ბიჭი ჰყოფილხარ, კარგი მხედარიო“ (7,228)..მოხმობილ ეპიზოდში ორი მომენტია საყურადღებო: 1. უმცროსი მმა მასხრად არის აგდებული, 2. უმცროსი გადეალებული, ღირსებითა და პატივით შემკულია („შენა ყოფილხარ ჩვენი მხსნელი...“). პირველი რეალობის სფეროს უნდა განხევთვნებოდეს, ე.ი. იმ დროს, როცა უმრწემესი დაჩაგრულ მდგომარეობაშია, ხოლო მეორე –მეზღაპრის ფანტაზიით შეთხზულს, რათა მოხდეს უმცროსის კომპენსაცია, მისი გათანაბრება და შემდგომი აღმატება უფროსებზე.

იზიარებს რა ელიაზარ მელეტინსკის თვალსაზრისს მაიორატის დროს უმცროსი მმის გაიდეალების მიზეზთა წარმოშობის რთაობაზე, როსტომ ჩხეიძე დასმენს: „ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით ნათელი ხდება, თუ რატომ აირევდა ზღაპრებში მინორატი, მაიორატი კი არ აირევლა, ან რატომ შემორჩა უმცროსი მმის მოტივი ზღაპრებში მას შემდეგ, რაც მინორატის ჩვეულება გაქრა. ნათელი ხდება ისიც, თუ რატომ არ არსებოს უმცროსი გაუის ზღაპრები კულტურულად რამდენადმე ჩამორჩენილ ხალხთა ფოლკლორში, სადაც შენახულია მინორატი, ხოლო ძლიერ არის გავრცელებული არაერთ ხალხში, სადაც მინორატი ან საერთოდ დავიწყებულია, ან თითქმის დავიწყებულია“ (6,17).

იოსების ბიბლიური მოთხოვნის ერთი ეპიზოდი პარალელურ გამოძახილს პოულობს ქართულ ხალხურ ზღაპარში „სიზმარა“. იოსების სიზმარი და სიზმარას სიზმისეული ჩვენება ვარიანტული სახეს ხვაობებია. ბიბლიურ თქმულებასა და ხალხურ ზღაპარს შორის პარალელის გავლებისას საგულის-ხმოა ის გარემოება, რომ იოსებიც და სიზმარაც სიზმრების ახსნის განსაც-

ვიფრებელ უნარს ავლენენ. ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა მზევინარ ჩაჩავაშ. მან აღნიშნა, რომ ეს ბიბლიური ეპიზოდი თავისებურად აისახა „იოსებზილიხანიანში“ და იქიდან კი ქართულ ფოლკლორში პპოვა გავრცელება. მზევინარ ჩაჩავა რამდენიმე პარალელს ავლებს ქართული ზღაპრისა და „იოსებზილიხანიანში“ ეპიზოდებს შორის და აღნიშნავს: „აქაც სიზმარა წინასწარმეტყველურ სიზმარს ნახავს. ცალი ფეხი ბაღდადს ედგა, მეორე ბაღდადის ბოლოს, აქეთ მზე ეჯდა, იქით მთვარე, შუქურვარსკვლავი ხელ-პირს აბანინებდა (იუსუფის სიზმარი: თერთმეტი ვარსკვლავი და მზე და მთვარე თაყვანს სცემდა). სიზმარასაც, ისევე როგორც იუსუფს, ეს სიზმარი მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ აუხდა. ხაროში ჩაგდებულ სიზმარას ხელმწიფის ქალიშვილი უზიდავს საკმელს, ხაროში მყოფი სიზმარა უხსნის ხელმწიფეს გამოცანებს (ნაცვლად სიზმრებისა)“. იქვე მზევინარ ჩაჩავა ასკვნას, რომ „ამ ეპიზოდების თავმოყრა ერთ ზაპარში მიგვანიშნებს, რომ „სიზმარა“ „იუსუფ და ზელიხას“ ამბის გავლენითაა შექმნილი“ (2, 158).

როსტომ ჩხეიძე უარყოფს ასეთ გავლენას. ჩვენ კი დაგენდით: „სიზმარა“, „იუსუფ და ზელიხას“ გავლენითაა შექმნილი თუ არა, შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ იმდენადაა გაქართულებული, ჩვენს ნაციონალურ ბნეუბას, ხასიათსა და ფსიქიკას მორგებული, რომ ვერც კი წარმოვიდგენთ მისი სიუჟეტის ნახესობას. განსაკუთრებით ნაციონალური შინაარსისაა გმირის სახელი სიზმარა, რომელიც პერსონაჟის შინაგანი ბუნებიდან და ამბის სიუჟეტური განვითარებიდან გამომდინარებს. ხსენებულ ზღაპარში თავს იჩენს აგრეთვე გერისა და დედინაცვლის მოტივი. სიზმარა გერია – ავი დედინაცვლის მიერ სახლიდან გაგდებული და დაჩაგრული, მაგრამ ბოლოს გამრჩევებული და თაყვანისცემის ღირსი.

ქართული ჯადოსნური ზღაპარი მთელი სისრულით წარმოაჩენს უმცროსი ძმის სახეს. მოუხედავად იმისა, რომ მოტივი საერთაშორისო გავრცელებისაა და სიუჟეტური მომენტებიც ანალოგიებს პპოვებენ მსოფლიო ფოლკლორსა და ბიბლიურ თქმულებაში, ქართული ზღაპარი შინაარსობრივი თვალსაზრისით მაინც გარკვეულ თავისებურებას ავლენს, იტვირთება ნაციონალური ხასიათითა და შტრიჩებით.

ზოგან უმცროს ძმას უმცროსი სიძე ენაცვლება. ასე, მაგალითად, ქაჩალ-მებატე ზღაპრული რაშის დახმარებით ასრულებს ხელმწიფის ყველა დავალებას, დაამარცხებს უფროს სიძეებს და გამეფდება.

უფროსს ძმები ყველა ზღაპარში როდი ღალატობენ უმცროსს. ასეთი ტიპის ზღაპრებში ძმობა-ერთობის სულისკვეთება მძლავრობს. ზღაპარში „სასწაულმოქმედი პერანგი“ მოთხოვილია, როგორ შეაპარა ბანგი კუდიანმა დედაბერმა ბედინიერ ქალ-ვაჟს, მძინარე ვაჟს ყელი გამოსჭრა, ქალს კი თოკი მოაბა, ნავში ჩაუშვა და ხელმწიფებს მიპგვარა.

უფროს ძმას, რომელმაც ვაჭრობაში ბევრი ფული მოიგო, მობეზრდა აქეთ-იქით სიარული, წამოვიდა ძმების სანახავად. მივიდა ჯვარედინ ქვასთან.

ნახა, რომ შეუათანას აუღია თავისი ბეჭედი და წასულა. უმცროსის ბეჭედი კი იქვე იყო. უფროსი ძმა გაპყვა უმცროსის ნაკვალევს, ნახა კეთილი დედაბერი (შემწე), რომლის მეშვეობითაც მიაგნო სასახლეს, სადაც მისი ძმმა კვდავი ძმა ხრიალებდა (ჯერ კიდევ არ იყო მკვდარი, კუდიან დედაბერს მისოვის კარგად ვერ გამოეჭრა ყელი, სასულე ძარღვი მთელი დარჩენოდა, - გვეუბნება მეზღაპრე). ესაა გულუბრყვილო, მაგრამ ერთგვარი მხატვრული ხერხი ზღაპრის თხრობაში, როცა მეზღაპრეს არ უნდა გმირის დაღუპვა). ძმამ ბალში გაიარა და დგაიგონა ბალახების ძახილი: მე ამისი წამალი ვარ, მე ამისიო (აქ ურიგო არ იქნება, მოვიტანოთ შესაბამისი პარალელური ჰასაჟი ვაჟა-ფშაველას „გველის-მჳამელიდან“, როცა გამეცნიერებულ მინდიას ყვავილები და ბალახები სათითაოდ ეტიტინებიან: „მე ვარო ა მი ს წა ა მ ა ლ ი“,

სხვა გაიძახის - „ი მ ი ს ა.“.

მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს,

ჯერ ზედ ნამი აქვთ დილისა“.

უფროსმა გამაცოცხლებელი ბალახი დაადლ მომაკვდავს და ფეხზე დააყნა. როცა უმცროსმა უთხრა, ახლა მე შემიძლია მარტოკამ გაგვგრძელო გზაო, უფროსმა დატოვა და სახლში დაბრუნდა.

ზღაპრის დასასრულს უმცროსი ძმა მზეთუნახავთან ერთად დაბრუნდა საკუთარ მებთან. ძმებს უკვე აეშენებინათ დიდი სასახლე და გაუჭირვებლად და ბეჭირად ცხოვრობდნენ ერთად (7, 284-285).

ამგვარი სულისკვეთების ზღაპრები ცოტაა და ძირითადად ორი ძმის სიუჟეტის ძმენე ზღაპრებში გვხვდება. სხვა სახის ნამუშებში ძმები, მართა-ლია, არ ღალატობენ უმცროსს, მაგრამ არც ეხმარებიან, არაფრის მაქნისები არიან და უმცროსის გარეშე ვერაფერს აკეთებენ.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ღლონტი ა., ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1956. 2. ჩახავა მ., „იუსუფ და ზელიხას“ ქართული ხალხური ვერსია, ქართული ფოლკლორი, ტ. X, თბ., 1980. 3. ჩიქოვანი მ., ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952. 4. ჩოლოფაშვილი რ., ჯადოსნური და ნოველისტური ზღაპრების გმირთა გენეტიკური კავშირი, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XXIV, თბ., 2003. 5. ჩოლოფაშვილი რ., უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვალი ქართულ ხალხურ ზღაპრებში, თბ., 2004. 6. ჩეგიძე რ., იოსების ბიბლიური მოთხრობა, თბ., 1993. 7. ჯადოსნური ზღაპრები, შეადგინა ვ. ჩიქოვანმა, მ. ჩიქოვანის რედაქციით და შესვალი წერილით, თბ., 1991. 8. Мелетинский Е. М., Герой волшебной сказки, М., 1958. **9.** Пропп В. Я., Исторические корни волшебной сказки, Л., 1946. **10.** Юдин Ю.И., Типология героев бытовой сказки, Русский фольклор, т. XIX, Л., 1979.

## მანანა ჭრელაშვილი

### „ხის ბეჭის“ მითის ვარიანტები კავკასიურ ფოლკლორში

მითი ხის ბეჭის, ანუ ნადირთ ღვთაების მიერ მოკლულ და გაცოცხლებულ ნადირზე მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული მითოსური სიუჟეტის ლოკალურ კლასიკურ ვარიაციას წარმოადგენს. ელ. ვირსალაძე მას გენეტიკურად მსოფლიოს ხალხთა სამონადირეო ეპოში ფართოდ გავრცელებულ მოკვდავ და აღდგენად ღვთაებზე არსებულ წარმოდგენებს უკავშირებს (1, 33–5). აღნიშნული მითის საფუძველს, თ. ოჩიაურის აზრით, წარმოადგენს ანიმისტური რწმენა პარ-ციალური (საკუთარი) სულის შესახებ. ძვლის სიმტკიცით გაოცებული პირველყოფილი ადამიანი, ბუნების სხვა მოვლენათა მსგავსად, მასაც სასიცოცხლო უნარს მიაწერდა და თვლიდა, რომ, ისევე, როგორც ადამიანის სხეულის სხვა ნაწილებს, ძვალსაც საკუთარი სული გააჩნდა. მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მითის წარმოქმნაში მიცვალებულთან დაკავშირებულმა რწმენა-წარმოდგენებმაც. პირველყოფილ ადამიანს სწავლა, რომ გარდაცვლილ ადამიანს ან მიკლულ ცხო-ველს სიცოცხლე კვლავ უბრუნდება, მაგრამ ამისათვის მისი ძვლები იმავე თან-მიმდევრობით უნდა განლაგდეს, როგორც სიცოცხლეში პქნდა. საკამარისია ჩონჩხს ერთი ძვალი მაინც დააკლდეს, რომ მკვდარი არ გაცოცხლდება (2, 226). ამ რწმენის საფუძველზე მსოფლიოში ფართოდ იყო გავრცელებული ძვლის დაცვა-შენახვის ტრადიცია. მაგ., რ. ერისთავისა და ალ. რობაქიძის გამოკვლევვით, საქართველოში დღემდეა შემორჩენილი ძვლის შენახვის ჩვეულება. როდესაც შესანახი ადგილი აღარ ჰყოფნიდათ, ძვლებს მიწაში მარხავდნენ, ან წყალში ყრიდნენ, ან წვავდნენ. ნადირის ძვლის დახვრა ძალლსაც კი ეკრძალებოდა, მას ცხო-ველის შიგნეულობით კვებავდნენ. სკანეთში ძვლების დაცინვაც იკრძალებოდა (2, 228; 3, 162).

ძვლის ფეტიშიზაცია ზღაპრულ ეპოშიც პპოვა ასახვა. მაგ., ქართულ ზღა-პრებში ხშირია ძვლის მეტამორფოზასთან დაკავშირებული მაგალითები – მიწაში ჩამარხული ძვლის ადგილზე ვაშლის ხე ამოდის, მიწაში ჩამარხული ძვალი რაშად იქცევა და სხვა (2, 227).

კავკასიურ ზეპირსიტყვიერებაში ხის ბეჭის ქართული, ოსური, ჩეჩენური, სომხური და აფხაზური ვარიანტები დასტურდება. საქართველოში აღნიშნული მითის ვარიანტები რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, ხევსურეთსა და თუშეთშია ჩაწერილი. ყველაზე არქაული სახით, მეცნიერთა აზრით, იგი ხევსურულმა მითოლოგიაში შემოინახა. ქვემოთ მოგვყავს მითის ქართული ვარიანტები.

## ხევსურ ული გარიანტი

მონადირეს ტეში შემოაღამდა. ღამის გასათევად ერთ კლდის ეხში (გა-მოქვაბულში) დაბინავდა, ცეცხლი დაანთო და ნანადირევი ჯიხვის შეწვას შეუდგა, მაგრამ მოულოდნელად ნადირი გაცოცხლდა და გაიქცა. ამ საოც-რებით გაოგნებულ მონადირეს გაკვირვების შეძახილი აღმოხდა.

- საკვირველი ეს კი არა, ის არის, რაც ბათირს გადახდა, - მოესმა კაცს ეშმაკების ძახილი. გაკვირვებულმა მონადირემ ბათირს დაუწყო ძებნა. ბევრი წვალების შემდეგ მიაგნო კიდეც და სთხოვა, თავისი თავგადასავალი მოეთხრო მისთვის.

- იმ გამოქვაბულში, სადაც შენ ღამის გასათევად დაბინავდი, მეც ვი-ყავი, - დაიწყო ბათირმა თავისი ამბავი. - შუალამეს ეშმაკების ძახილი შემო-მესმა - ჩემს მასპინძელ ეშმაკს ქორწილში ეპატიუებოდნენ, მაგრამ მან ჩემი სტუმრობა მოიმიზება და უარი უთხრა. „არა უშავს, წამოდი და სტუმარიც თან წამოიყვანე“, - დაუძახეს ეშმაკებმა ჩემს მასპინძელს. ორივე იქითევ გავე-შურეთ. ადგილზე რომ მივედით და ტაბლებს შემოუსხდით, ჩემმა მასპინ-ძელმა ჩამჩრუჩულა - ჩემს უკითხავად ხმა არავის გასცეო. ეშმაკებმა სამი ჯიხვი დაკლეს, მოხარშეს და ხორცი და არაყი სტუმრებს ჩამოურიგეს. ერთი სასმისა მეც მომაწოდეს, მაგრამ არ დავლიე.

- რატომ არ სგამს შენი სტუმარი? - ჰკითხეს მექორწილეებმა ჩემს მას-პინძელს.

- გამოელის რამესო, - უპასუხა იმან.

- ხგალ ერთ ჯიხვს მოკლავო, - აღმითქვეს ეშმაკებმა და არაყი ხელ-მეორედ შემომთავაზებს, მაგრამ დალევაზე კვლავ უარი ვანიშნე.

- რა სწყინს შენს სტუმარსო, - კვლავ ჰკითხეს ეშმაკებმა ჩემს მასპინძელს.

- გამოელის რამესო, - კვლავ უპასუხა იმან.

- ხგალ ორ ჯიხვს მოკლაგსო, - კვლავ აღგვითქვეს ეშმაკებმა და არაყი მესამედ მომაწოდეს, მაგრამ კვლავ ვიუარე.

- ხგალ სამ ჯიხვს მოკლავო, - მესამედ აღმითქვეს ეშმაკებმა. ამ შემოთ-ავაზებამ დამაკმაყოფილა და ავსულებს არაყიანი ჭიქა ჩამოვართვი.

ნადიმი რომ გათავდა, ეშმაკებმა პირველად შეჭმული ჯიხვის ძვლები ისევე დაალაგეს, როგორც სიცოცხლეში ჰქონდა, შემდეგ ტყავი მოახვიეს, მათრახი დაპკრეს და გააცოცხლეს. მკვდრეთით აღმდგარმა ნადირმა ტყეს მისცა თავი. ასევე გააცოცხლეს მეორე ჯიხვიც. ჯერი მესამეზე მიღვა. დრო გახელთე და მასპინძლის რჩევით ბეჭის ძალი დაგმალე. რაკი ბეჭი ვერ იპო-ვეს, ეშმაკებმა ხის ბეჭი გამოთალეს, მესამე ჯიხვის ჩინჩხს ჩაუდგეს, ტყავი მოახვიეს და შეულოცეს:

„ადეგ ადეგ, ხეჭეჭაო,  
ხისა გიგდავ ბეჭადაო!“

ნადირმა ხორცი შეისხა და გაცოცხლებული ტყეში გაუჩინარდა. მეორე დღეს სანადიროდ წავედი და სამი ჯიხვი მოვგალი, რომელთაგანაც ერთ-ერთს ხის ბეჭი ჰქონდა ჩადგმული.

შემდეგ ბათირი ყვება, როგორ დაჲკრა რძალმა მათრახი და დროგორ აქცია ძაღლად, როგორ გადაარჩინა ძაღლადქცეულმა მგლის ხროვისგან ცხვრის ფარა და როგორ იქცა მკითხავის შელოცვის შედეგად პგლავ ადამიანად (8, 40-42).

### თუშური გარიანტი

ნადირობაში ხელმოცარულ კაცს ტყეში შემოადამდა და ღამის გასა-თევად გამოქვაბულში დაბინავდა. მონადირე და მისი მასპინძელი ადგილის დედა ეშმაკებმა სტუმრად დაპატიჟეს. ნადიმზე სამ ჯიხვს შეექცევიან. ლხინის დროს ერთ-ერთი ეშმაკი ყვება, თუ როგორ მიეპარა დღეს ნადირს და როგორ დატოვა მშრალზე უცნობი მონადირე.

ნადიმი რომ გათავდა, ეშმაკებმა ჯიხვების ძვლების მოგროვება დაიწყეს. მონადირემ დრო იხელთა და ერთ-ერთის ბეჭის ძალი ჩუმად მდინარეში გადა-აგდო. მის მაგიერ მასპინძლებმა ხის ბეჭი გამოთალეს, ჩონჩხს ჩაუდგეს და შესძახეს:

„ადეგ, ადეგ, ხეჭეჭაო,  
ხისა გიდგავ ბეჭადაო!“

ჯიხვები გაცოცხლებულ და გაიქცნენ. მეორე დღეს მონადირემ ხისბეჭანი ჯიხვი მოკლა (8, 42-43).

### რაჭული გარიანტი

მონადირემ ნაწილიანი ჯიხვი მოკლა, ხორცის ნაჭერი ამოჭრა, მწვადი შეწვა და შეჭამა. როდესაც შიძმილი მოიკლა და უკან მოიხედა, დაინახა, რომ მოკლული ჯიხვი გაცოცხლებულა და განზე გარბის. ამ სურათით გაოგნებული მონადირე ჯიხვს დაედევნა.

-ტყეილად მომდევ, სულერთია ვერ მომკლავ, - გამოსძახა უკანმობრუ-ნებულმა ნადირმა მდევარს.

-რატომ?! - მიაძახა ჯიხვს უფრო მეტად გაკვირვებულმა მონადირე.

-ამირან ბათუყოელს ჰქითხე და ყველაფერს აგინძნის, - გამოსძახა ჯიხვმა მონადირეს. კაცმა ამირანი მოძებნა, ყველაფერი უამბო და სთხოვა, მისთვის თავისი თავგადასავალი მოყელო.

-განთქმული მონადირე ვიყავი და ნადირიც ბევრი მყავდა დახოცილი, - დაიწყო ბათუყოელმა თავისი ამბავი. - ერთხელ კარზე ორი კაცი მომადგა და შემატყობინა, რომ ნადირთ ანგელოზი თავისთან მიბარებდა. შეშმინებულმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაგბედე და კაცებს უკან მორჩილად გავყევი. ჩემბა მეგზურებმა ერთ გამოქვაბულში მიმიყვანეს. შიგ ლხინი ჰქონდათ გამართული. კაცებმა გამაფრთხილეს, ვიდრე არ განიშნებთ, ჰქონდათ

სუფრასთან მსხდომნი რომ შევათვალიერე, შევამჩნიე, რომ ყველას ნადირთ ანგელოზის გარდა ნადირის სახე ჰქონდა, მხოლოდ ნადირთა გამგებელს ჰქონდა ადამიანის სახე.

-რატომ არაფერს ჭამს ჩვენი სტუმარი?-ჰკითხა ნადირთ ანგელოზმა ჩემზე კაცებს.

-თქვენ წყალობას ელისო,-მოახსენეს ჩემმა მეგზურებმა.

-ერთი ამ ნადირებს გადახედეთ,- მიმართა ნადირთა გამგებელმა კაცებს,-ზოგი მათგანი კოჭლა, ზოგი ბრძა, ზოგიც დაჭრილ-დასახიჩე-ბული. ყველანი თქვენმა სტუმარმა გააფუჭა.

-მიუხედავად ამისა, მაინც თქვენს წყალობას გამოელის,- მოახსენეს კვლავ ჩემმა მომყოლებმა.

-თუ ასეა, მაშინ ყოველ დილას კარზე თითო ჯიხვი მისდგომოდეს, ეგ კი სანადიროდ არ გამოვიდესო,-აღუთქვა ნადირთ ანგელოზმა ჩემს მეგზურებს, მაგრამ არც ამჯერად ვჭამე პური.

-კარგი, მაშინ დაე თქვენი სტუმრის კარზე ჯიხვთან ერთად ყოველ მესამე დღეს თითო არჩივიც მივიდეს, მხრუქებიათ,-აღუთქვა ნადირთა გამგებელმა ჩემს მეგზურებს. ამჯერად მისმა სიტყვებმა დამაკმაყოფილა და პური გავტეხე. ნადირთ ანგელოზმა დანაპირები პირსათლად აასრულა. იმ დღიდან მოყოლებული ყოველ დილას კარზე თითო ჯიხვი მომდინადა, ყოველ მესამე დღეს კი თითო არჩიო,- დაასრულა ამირან ბათუყოელმა თავისი თავგა-დასავალი (3, 195).

როგორც შესავალში აღნიშნეთ, „ხის ბეჭის“ მითი კავკასიის სხვა ხალხთა ზეპირსიტყიერებაშიც დასტურდება. გამოქვეყნებულია მისი ოსური, სომხური, ჩემნური და აფხაზური ვარიანტები. ქვემოთ მოგვყავს შესაბამისი ტექსტები:

### ოსური ვარიანტი

მონადირე ჯამბულათს ტყეში შემოალამდა და დასაძინებლად ხის ქვეშ წამოწვა. შუალამისას კაცი ლაპარაკის ხმამ გამოაღვიძა. მონადირემ მიაყურადა და დაასკვნა, რომ ხმა ხეთა კენწეროებიდან მოდიოდა. ლაპარაკიდან ჯამბულათმა გაარკვია, რომ ავსათი (ნადირთ პატრონი ოსურ მითოლოგიაში) კადი რუხს-ტყეთა მფარველ წმინდანს ნადიმზე ეპატიუებოდა.

-კადი რუხს, ძალიან გთხოვ, სტუმრად მეწვიო. ახლოშობილი ირემი დავკალო და წვეულებას ვმართავ. სხვა წმინდანებმა კარგა ხანია თავი მოიყრეს, შენდა გვაკლიხარ, -მიმართა ავსათმა კადი რუხს.

-არ შემიძლია, ავსათი, მონადირე ჯამბულათი მყავს სტუმრად, - იუარა ტყეთა მფარველმა.

-არაუშავს, ეგეც თან წამოიყვანე, ხელს არ შეგვიშლის, -დაამედა ნადირთ პატრონმა.

წმინდანმა მონადირე გააღვიძა და მასთან ერთად წვეულებაზე მივიდა. აგსათის ჩათვლით ყველა სტუმარმა ადამიანის სახე მიიღო.

მასპინძელმა მთლიანი შეკრუბილებს შესთავაზა. ჭამის დროს სტუმრები ძვლებს ერთ ადგილას აგროვებდნენ, ჯამბულათმა კი საერთო უფერადლებობით ისარგებლა და შელის ნეკნა მალულად უბეში შეინახა. ნადიმი გათავდა. დანაყრებულმა სტუმრებმა ავსათს გამასპინძლებისთვის მაღლობა გადაუხადეს. ნადირთ პატრონმა შექმული შელის ჩონჩხის აღდგენა დაიწყო. ყველა ძვალი დაალაგა, მაგრამ ნეკნს ვერსად მიაგნო. აგსათმა შესანიშნავად იცოდა, რომ ძვალი ჯამბულათმა მოიპარა, მაგრამ სტუმრის შეურაცხოფას მოერიდა და არ გაუჩხრებია. დაკარგული ნეკნის მაგიერ ნადირთ პატრონმა ბზის ტოტი მოტეხა, მისგან ჯოზი გამოთალა და შვლის ჩონჩხს ჩაუდგა, შემდეგ მათ-რახის დაკვრით გააცოცხლა. მკვდრეთით აღმდგარმა ნადირმა ტყეს მიაშურა.

დანაყრებული სტუმრები დაიშალნენ. მეორე დღეს ჯამბულათმა შეკრუბილი მოკლა. გატყავებისას ნადირს ხის ნეკნი აღმოაჩნდა. მონადირე მიზვდა, რომ ეს სწორედ ის შეკრუბილი იყო, რომლითაც ავსათი სტუმრებს გაუმასპინძლდა (5, 63-66).

### ჩეჩნური გარიბაზი

სამი ძმა სანადიროდ წავიდა, მაგრამ იმ დღეს ხელი მოეცარათ. სალამოსთვის ღმერთმა მოწყალება მოიღო და მონადირებს გარეული თხა გამოუგზავნა. ძმებმა თხა მოკლეს და შინისაკენ გასწიეს. კარგა ხანს მიდიოდნენ ნაცხობ გზაზე. მზე დიდი ხნის გადასული იყო. ცაზე მთვარე ანათებდა, სახლი კი არსად ჩანდა. ახლა კი მიხვდნენ ძმები, რომ მათ აღმასი (მდედრობითი სქესის ბოროტი სული) ამასხარავებდა. უცეც ერთმა მმამ შორს გამოქვაბული შენიშნა. გახარებული მონადირები იქითკენ გაუშურნენ დამის გასათევად. ახლოს რომ მივიღნენ, ძმებს გამოქვაბულიდან სამი აღმასი – ცალთვალა გოლიათი ქალი გამოუგება. მათ დანახვაზე გულგახეთქილი მონადირები შიშით ადგილზე გაქვავდნენ, მაგრამ მასპინძლებმა დაამშვიდეს და დამის გასათევად გამოქაბულში მიიატიქეს. ერთ-ერთმა ძმამ ქალებს ვახშმად მოკლული თხა შესთავაზა, მაგრამ მასპინძლებმა იუარეს. დედა აღმასმა თავისი ქალიშვილები ტყეში გაგზავნა ნანადირევის მოსატანად. დები მალე დაბრუნდნენ, თან არჩვი მოიყვანეს. ქალებმა ნადირი დაკლეს, მოხარშეს და ძმები ვახშმად მიიწვიეს, თან გააფრთხილეს, რომ ჭამის დროს ძვლები კი არ გადაეყარათ, არამედ ერთ ადგილას დაეგროვებინათ. „აქ რაღაც ცუდი ამბავია“, – იფიქრეს ძმებმა. ჭამის დროს ერთ-ერთმა მათგანმა მასპინძლებისგან მალულად ბეჭის ძვალი უბეში შეინახა.

ვახშმას რომ მორჩნენ, ქალები ძვლების მოგროვებას შეუდგნენ. ბეჭის გაუჩინარება რომ შენიშნეს, ძმებისთვის სიტყვაც არ უთქვამთ, ისე გამოთალეს ხისგან ახალი, შემდეგ ძვლები ნადირის ტყავში ჩაყარეს და შესძახეს – „არჩვო, ტყეში დაბრუნდი!“ გაცოცხლებული ნადირი ტყეში მიიმალა.

ვახშმობის შემდეგ ქალებმა ძმები გამოქვაბულის წინ მოედანზე მიიწვიეს და მათ პატიიგაცემად ცეკვა გამართეს. როკვის დროს გოლიათები ისე მძიმედ ხტოდნენ, რომ მიწას ზანზარი გაჰქონდა. შიშით თავზარდაცემული ძმები

ძრწოლით შეჰქერებდნენ, როგორ ტრიალებდნენ მათ წინ ქალები მხრებზე გადაკიდებული ვეება ძუძუებით, ზემოთ აშვერილი ხელებითა და ხარხარით.

ცეკვით რომ გული იჯერეს, ალმასები მიწაზე დაენარცხენ და ხვრინვა ამოუშვეს, შეშინებულ მონადირეებს კი დილამდე თვალი არ მოუხუჭავთ.

დილით ძმებმა გოლიათებს გამასპინძლებისთვის მაღლობა გადაუხადეს და კვლავ სანადიროდ წავიდნენ. ტყიდან რომ გამოლიოდნენ, წინ არჩივი გადაუტეათ. შეუათანა ძმამ ნადირს თოფი ესროლა და მოკლა. მონადირეებმა არჩვი შინ წაიღეს და ცოლებს უბრძანეს, მათვის საჭმელი მოეზადებინათ. მეზობელ-ნათესავებმა რომ ძმების დაბრუნება შეიტყეს, შინ ეწვიობნენ და მათ პურიბას შეუერთდნენ. უცბად ჭამის დროს ერთ-ერთმა სტუმარმა ხორციდან ხის ბეჭი ამოაძრო და შეკრებილებს უჩვენა. მის დანახვაზე ძმები მიხვდნენ, რომელ არჩვს წააწყდნენ ნადირობისას და სტუმრებს ყველაფერი უამბეს, შემდეგ ის ბეჭის ძვალი აჩვენეს, რომელიც ერთ-ერთმა მათგანმა გუშინ ალმასებთან გახშმობისას დამალა. ახლა კი მიხვდნენ სტუმრები, ვინც უმასპინძლა ძმებს ტყეში და გახარებულებმა მონადირეებს შინ მშვიდობით დაბრუნება მოულოცეს (6, 265-266).

### აფხაზური ვარიანტი

მონადირე გარეულ თხას დაედევნა, მაგრამ ვერ მოკლა. ნადირმა იგი უღრან ტყეში შეიტყეა, სადაც ვეება კოცონს ღმერთები შემოსხდომდნენ. მათ მონადირე ცეცხლთან მიიპატიუეს, თხა დაკლეს და სტუმარს ხორცით გაუმასპინძლდნენ. ჭამას რომ მორჩინენ, ღმერთები ძვლების ტყავში ჩაყრას შეუგნენ. მონადირემ დრო იხელთა და ერთი ძვალი მოიპარა, მის მაგიერ კი ჯოხი დადო (ზოგი ვარი-ანტით დანა).

ძვლების ჩაყრას რომ მორჩინენ, ღმერთებმა დაკლული თხა გააცოცხლეს და იგი ჩვენს მონადირეს მიაკუთხნეს. მეორე დღეს კაცმა მართლაც მოკლა გარეული თხა. ნადირს რომ ატყავებდა, ხორცში ჯოხი (დანა) ალმოაჩინა.

მითის ჩამწერი ცნობილი აუხაზი მეცნიერი ნ. ჯანაშია აღნიშნავს, რომ ანალოგიური თქმულება მეცნიერ ზეპირსიტყვიერებაშიც დასტურდება, ოღონდ იქ ნადირთ პატრონის ფუნქციას ტყავშავა ასრულებს, ნადირისას კი ტახი (7, 54-55).

### სომხური ვარიანტი

აბრაამს სტუმრად უფლის ანგელოზი ეწვია. მასპინძელმა ძვირფასი სტუმრისთვის ხბო დაკლა. ხორცს სუჯრაზე რომ აწყობდა, მაგიდას ძროხა მიადგა და ბლავილი მორთო. ამის შემსედვარე ანგელოზმა აპრაამი აიძულა ხბოს ძვლები ტყავზე დაწყო, რის შედეგადაც პირუტყვი გაცოცხლდა (4, 89).

როგორც ზემოთმოყვანილი ტექსტებიდან ჩანს, „ხის ბეჭის“ კავკასიური ვარიანტები, სომხური, სვანური და ზოგი რაჭული ვარიანტის გამოკლებით, თითქმის არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან – ყველგან სანადიროდ წასული კაცი ნადირთ ღვთავების წვეულებაზე ხვდება, რომელზეც მასპინძელი მონადირეს მის მიერ შექმული ნადირით ასაჩუქრებს. მეორე დღეს კაცი მარ-

თლაც კლაგს ცხოველს, რომლის ძვლებშიც მის მიერ მოპარული ძვლის ხის ანალო-გიას პოულობს, როგორც ღვთაების პირუტეხობისა და ძლევამოსილების სიმბოლოს.

ირ. სურგულაძის აზრით, აღნიშნული სიუჟეტი გვაროვნული წყობის პირობებში წარმოიშვა და მიზნად ისახავდა მაგიური რიტუალის საშუალებით ტოტემური, „წმინდა“ ნადირის გამრავლებას (4, 84–104).

ზემოთმოყვანილ მითებს გულლასმით თუ გავეცნობით, ადვილად შევამჩნევთ, რომ ისინი ნადირთ ღვთაების სახის ევოლუციის სხვადასხვა საფეხურს ასახავენ, ამიტომ, საკითხის უფრო ნათლად წარმოსაჩენად, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ ნადირთ პატრონის სახის ევოლუციის საფეხურები.

ნადირობას უმნიშვნელოვანესი ადგილი ეჭირა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებაში. ისევე, როგორც ადამიანის საქმიანობის სხვა დარგებს, ნადირსა და ნადირობასაც საქუთარი ღვთაება მუჯარველობდა. თავდაპირველად ადამიანს იგი ზომომრგვული (ცხოველური) სახით ჰყავდა წარმოდგენილი. ეს იყო ჯიხვი, არჩვი ან ირემი, რომელსაც მისივე ჯიშის სხვა ცხოველებისგან რაიმე განსაკუთრებული ნიშანი – თეთრი ჟერი, ოქროს რქები, ცალი რქა ჭრელი ტყავი ან სხვა ამდაგვარი გამოარჩევდა (1, 29).

მატრიარქატის ეპოქაში ნადირთ პატრონის ზომორფულმა სახემ ანთ-როპომორფიზაცია (გაადამიანება) განიცადა და ქალის სახე მიიღო. სანადიროდ წასვლის წინ მონადირები მის სახელზე ლოცვას აღავლენდნენ, ნადირობაში ხელის მომართვას შესთხოვდნენ, იღბლიანობის შემთხვევაში კი ქალღვთაებას აუცილებლად ნანადირევიდან წილს სწირავდნენ.

კავკასიელთა რწმენით, ძღვდომითი სქესის ნადირთ პატრონი ახალგაზრდა, ლამაზი, ოქროსთმიანი ქალია. იგი ინტიმურ კავშირს ამყარებს ახალგაზრდა, უცოლო მონადირებთან და მათ ხორციელ ქალებთან ურთიერთობას უკრძალავს, სამაგიეროდ ნადირობაში იშვიათი იღბლიანობით ასაჩუქრებს. თუ მონადირებ ნადირთ ღვთაებას ინტიმურ კავშირზე უარი უთხრა, მისი დაღუპვა გარდაუვალია. საქართველოში ქალი ნადირთ პატრონის ყველაზე გამოკვეთილ სახეს სგანური დალი და მეგრული ტყაშმაფა – ტყის მეფე-ქალი წარმოადგენენ. მათი კავკასიური კორელატები არიან: ოსებში ქალი-ხაირა-გები, ვანახებში მდედრობითი სქესის ალმასები, აფხაზებში – მამრობითი სქესის ნადირთ პატრონის – აუკეთშას ქალიშვილები (1, 29–64; 91–113). სწორედ ამ – ნადირთ პატრონის განვითარების მეორე საფეხურს ასახავს მეგრული მითი ხის ბეჭზე, რომელშიც მონადირის დამსაჩუქრებლის როლს ტყაშმაფა ასრულებს. მითის განვითარების ეს საფეხური ნამსხვრევის სახით თუშურ ვარიანტშიც ფიქსირდება, სადაც მონადირეს ადგილის დედა მასპინძლობს. მითის თავდაპირველ ვარიანტშიც ფიქსირდება, სადაც მონადირეს ადგილის დედა მაგიერ ადგილობრივი ნადირთ პატრონი ქალღვთაება იქნებოდა.

მატრიარქატის პატრიარქატით შეცვლის შედეგად ქალ ნადირთ პატ-რონს მამაკაცი ნადირთ პატრონი ჩაენაცვლა სატრიოს, ქმრის ან მმის სახით. ხანგრძლივი დაპირისპირებისა და ბრძოლის შემდეგ მან ნაწილობრივ ან

სრულებით გამოდევნა ქალი ნადირთ პატრონის სახე ადამიანის მეხსიერებიდან და გაბატონებული ადგილი დაიკავა. მონადირე ახლა უკვე მას ეველრება ნადირობის წინ იღბლიანობას და მასვე სწირავს წარმატების შემთხვევაში ნანადირევიდან წილს. ასეთები არაან ქართულ მითოლოგიაში ოჩოპინტრე, ანთარი, ანატორი და სხვა (1,32, 74-90, 116-126). მათ კავკასიურ კორელატებს წარმოადგენს: ისებთან აგსათი, ვაინაზებთან ელტა, აფხაზებთან აუკვეფშაა. ნადირთ პატრონის სახის განვითარების აღნიშვნული პატრიარქალური საფეხური ოსურმა მითმა შემოგვინახა, სადაც მონადირის დამსაჩუქრებლის როლში მამაკაცი ნადირთ პატრონი აგსათი გამოდის. მითის თავდაპირველ ვარიანტში, რა თქმა უნდა, ქალი ნადირთ პატრონი ხაირაგი იქნებოდა. ოსებს ავსათი გრძელმათრახიანი კაცის სახით პყავდათ წარმოადგენილი. სხვა ღმერთების მსგავსად ისიც ცაში ბინადრობს და დროგამოშვებით მიწაზე ეშვება. ოსთა რწმენით, სწორედ მასზე იყო დამოკიდებული ნანადირევის რაოდენობა, ამიტომ, ღვთაების კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით, მონადირები ნადირობის შემდეგ ყოველთვის ტროვებდნენ ავსათისათვის ირმის შიგნერულობას.

ავსათი ყოველ ახალმობალ ირქმს კლავს და დაუნაზევრებლად, ტყვაიანად ქვაბში აგდებს. ხორცი რომ მოიხარშება, ღვთაება სტუმრებს ნადიმზე ეპატიუება და შვლის ხორცით უმასპინძლდება. ჭამის დროს სტუმრები ძვლებს არ ამტვრევენ და არც ყრიან, არამედ ერთ ადგილზე აგროვებენ. ხალხი რომ დანაყრება, ავსათი ძვლებს იმავე რიგზე ალაგებს, როგორც ნადირს სიცოცხლეში ჰქონდა და მათრახის დაკვრით აცოცხლებს მას (5,63).

მამაკაცი ნადირთ ღვთაებები განაგებენ ნადირსა და მონადირეობას აფხაზეთსა და ჩეჩენეთშიც. ესაა ელტა (ჩეჩენებში) და აუკვეფშა (აფხაზებში). ორივე სრულებით გამოდევნა ქალი ნადირთ ღვთაება ადამიანთა მეხსიერებიდან და ნადირისა და მონადირეობის ერთადერთ მფარველად დიქცა. ისევე, როგორც ოსებში, აქაც ჩეჩენებსა და აფხაზებსაც სწამდათ, რომ მონადირის იღბლიანობა ნადირობის დროს მთლიანად მათზე იყო დამოკიდებული, ამიტომ, სანადიროდ წასვლის წინ აფხაზი და ჩეჩენი მონადირები აუცილებლად ლოცვას აღავლენდნენ თავისი ღვთაებებისადმი, ევედრებოდნენ არ დაეფრთხოთ მათვის ნადირი, იღბლიანი ნადირობის შემდეგ კა მადლიერების ნიშნად ნანადირევიდან წილს სწირავდნენ (6,54; 7, 54-55, 128; 9, 76-87).

პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე გადასცვლის შედეგად, წარმართულმა ღვთაებებმა როგორც ხარისხობრივი, ისე ფიზიკური დაკნინება განიცადეს – მრისხანე და ყოველისშემძლე ნადირთ ღვთაებებიდან ფიზიკურად მახინჯ, ბოროტ, ადამიანებისადმი მტრულად განწყობილ არსებებად იქცნენ. განსაკუთრებით ეს ქართულ და ვაინაზურ ზეპირსიტყვიერებას დაეტყო – ლამაზი და ყოფლისშემძლე დალი და ტყაშმაფა საქართველოს ზოგ კუთხეში მახინჯ, საზარელ ალებად იქცნენ, მამაკაცი ნადირთ პატრონები კი – ქაჯებად და ეშმაკებად (1, 114-117). ასეთივე დაკნინება განიცადეს ვაინაზურ მითოლოგიაში წარმართულმა ნადირთ პატრონებმა ქრისტიანობისა და ისლამის ზეგავლენით.

ქალი ნადირთ ღვთაება, ოომლის სახელიც ვაინახურმა ზეპირსიტყვიერებამ ვერ შემოინახა და მამაკაცი ნადირთ პატრონი ელტა ვაინახებში ქრისტიანობისა და ისლამის ზეგავლენით მდედრობითი და მამრობითი სქესის აღმასებად იქცნენ. ორივე მახნჯი, ბალნით დაფარული არსებაა. კაცებს მკერდიდან ნაჯახი მოუჩანო, ქალებს ვეება ძუძუები მხრებზე აქვთ გადაკიდებული, მწითური თმა კი ერთ ნაწავად დაწნული. ორივე ბოროტი და ვერაგი არსებაა, ორივეს სტულს ადამიანი და მათთან შეხვედრა ამ უკანასკნელისათვის კარგს არაფერს მოასწავებს (6, 52-53).

ნადირთ პატრონის სახის განვითარების ეს ბოლო საფეხური „ნის ბეჭის“ ვაინახურმა და ქართულმა ვარიანტებმა შემოინახა, სადაც მონადირის დამსაჩუქრებლის როლში ერთ შემთხვევაში ეშმაკები (ქართულში) გამოდიან, მეორე შემთხვევაში (ჩეჩენულში) მდედრობითი სქესის აღმასები.

ქრისტიანობის გაბატონების შემდეგ, „ნის ბეჭმაც“, სხვა მითების მსგავსად, ახლებური გააზრება-გადამუშავება განიცადა და ახალი რელიგიის აგიტაცია-პროპაგანდის სამსახურში ჩადგა. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მითის სომხური ვარიანტი, სადაც წარმართი ნადირთ პატრონი უფლის ანგლოზით არის შეცვლილი, ოომლის ბრძანებითაც აბრამი ხბოს აცოცხლებს (4,89).

ამგვარად, ნაშრომში განხილული ხის ბეჭის კავკასიური ვარიანტების მაგალითზე, საშუალება მოგვეცა გვერცებინა ნადირთ პატრონის სახის ევოლუცია მატრიარქატიდან ქრისტიანობამდე. რა თქმა უნდა, განხილული ტექსტები სიუხვითა და თანმიმდევრულობით არ გამოირჩევან - რაც ერთი ხალხის მითოლოგიაშია შემონახული, დაკარგულია მეორისაში და პირიქით, მაგრამ ისინი აესებნ ერთმანეთს და საშუალებას იძლევინ ჩვენთვის საინტერესო საკითხი მეტ-ნაკლები სისრულით წარმოვაჩინოთ. მაგ., ქართულ მითოლოგიში შემონახულია ნადირთ ღვთაების სახის განვითარების პატრიარქალური საფეხური ტყაშმაფას სახით, მაგრამ დაკარგულია პატრიარქალური საფეხური, რომელიც, თავის მხრივ, ოსურმა მითმა შემოინახა. ასევე ქართულ და ჩეჩენურ მითებში მოიპოვება „ნის ბეჭის“ განვითარების ქრისტიანულ-ისლამური საფეხური, რაც ოსურ და აფხაზურ ვარიანტებში დაკარგულია. ყოველი-ვე ზემოთქმული კიდევ ერთხელ (ცხადყოფს კავკასიის ხალხთა ზეპირსიტყვიერებების გენეტიკურ სიახლოვეს.

**დამოწმებული ღიატერატურა:** 1. ვირსალაძე ე., ქართული სამონადირო ეპოსი, თბ., 1964. 2. ოჩაური თ., ხევსურეთის მთილოვებიდან (ხის ბეჭი), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბ., 1955. 3. რობაქებე ალ., კულტურული ნადირობის გამძინაშობი რაჭაში, თბ., 1941. 4. სურგულაძე ი., მითოს, კულტი, რიტუალი საქართველოში, თბ., 2003. 5. **Баранов Е.**, Из осетинской народной солвесности, СМОМПК, т. XXIV. 6. **Далгат У.Б.**, Героический эпос чеченцев и ингушей, М., 1972. 7. **Джанашия Н.С.**, Статьи по этнографии Абхазии, Сухуми, 1960. 8. **Дзидзигури Ш.В.**, Грузинские варианты нартского эпоса, Тб., 1971. 9. **Чурсин Г. Ф.**, Материалы поэтнографии Абхазии, Сухуми, 1957.

## ქათევან ბარბაქაძე

### ვასილ ბარნოვის „გაკვეთილების“ კერძომეთოდიკური მნიშვნელობისათვის

ეროვნული ზეპირსიტყვიერების შეკრება-შესწავლასთან ერთად, ვფიქრობთ, არანაკლებ საინტერესოა ქართული სკოლაში მისი სწავლების ისტორია. ამჯერად, ჩვენი კვლევის ობიექტია ვასილ ბარნოვის მეთოდიკური შეხედულებანი ზეპირსიტყვიერების სწავლების შესახებ, რაც თავის დროზე გამოქვეყნდა მის რამდენიმე საგაზირო-საუკუნალო პუბლიკაციასა („განათლება“ 1918წ №1; 1919წ №1-2) თუ ცალკე ნაშრომში „ქართული სიტყვიერების გაკვეთილები“, რვეული პირველი (1919წ). ვ. ბარნოვის თხზულებათა სრული კრებულის I ტომში (1961) ამ ნაშრომის შესახებ სარედაქციო კოლეგია წერს: „წინამდებარე გამოცემაში... სრული სახით პირველად იბჭელდება აგრეთვე „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“, რომელიც ადრე ნაწილობრივ იყო დაბეჭდილი (1919წ)<sup>1</sup>. თუმცა, უნდა აღნიშნოთ, რომ ბარნოვის თხზულებათა X ტომში, რომელშიც ზემოხსენებული ნაშრომია დაბეჭდილი, რატომდაც, ამოდებულია „გაკვეთილების“ ბოლოს დართული რეკომენდაციები. თავად მოსწავლე და შემდგომში მასწავლებელი – ვ. ბარნოვი ამ რეკომენდაციებს მომავალ პედაგოგებს საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილების საფუძველზე აძლევდა. ეს მეთოდიკური რეკომენდაციები დღესაც არ უნდა იყოს ინტერესებოდებული.

ცნობილი პროზაიკოსისა და პედაგოგის ვ. ბარნოვის „ქართული სიტყვიერების ისტორიის გაკვეთილები“ დღემდე საფუძვლიანად არაერთგზისა შესწავლილი ცნობილი ფოლკლორისტების: პროფ. გ. ჭელიძისა<sup>2</sup> და თ. ჯაგონიშვილის<sup>3</sup> მიერ. ჩვენ ვცადეთ, ავტორის სიცოცხლეშივე გამოცემული ნაშრომის (1919წ) საფუძველზე გაგვეანალიზებინა „გაკვეთილების“ არა წინდა ფილოლოგიური, არამედ მეთოდიკური მხარე, კერძოდ, ის კერძომე-

<sup>1</sup> ვ. ბარნოვი, თხ. სრ. კრ. ტ. I, თბ., 1961, გვ. 6.

<sup>2</sup> გ. ჭელიძე ვ. ბარნოვი ფოლკლორის სპეციფიკის შესახებ, კრებულში: ფოლკლორი და ლიტერატურა, 1980, გვ. 134.

<sup>3</sup> თ. ჯაგონიშვილი, ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, 2004.

თოდიკური რეკომენდაციები, რომლებიც ასე მნიშვნელოვანია მე-  
თოდიკური აზოროგნების განვითარების ისტორიის შესასწავლად.

ვ. ბარნოვის თხზულებათა X ტომში სარედაქციო კოლეგია  
შენიშვნავს: „ჩვენამდე მოღწეულია ვ. ბარნოვის მოზრდილი ნაშ-  
რომი „გადავთილები”, რომელიც წარმოადგენს აგტორის მიერ  
თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფებთან წაკითხულ დექ-  
ციებს. ზოგიერთი ნაწილი ამ შრომიდან ვ. ბარნოვმა გამოაქვეყნა  
ქართულ პერიოდულ გამოცემებში, ხოლო ქართული სიტყვიერება  
ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1923წელს”-ო.<sup>1</sup> აღნიშნული ნაშრომის არ-  
სებობა ფაქტობრივად არ დასტურდება. ჩვენს ვარაუდს ამყარებს  
შემდეგიც:

1. ზემოხსენებული ნაშრომი შეტანილი არ არის ქართულ  
წიგნში<sup>2</sup>; 2. სარა ბარნაველის მიერ აღნიშხულ ვასილ ბარნოვის  
1915-1939 წლების ბიბლიოგრაფიაში<sup>3</sup> აღნიშნული ნაშრომი არაა  
მითითებული. უფრო მეტიც, მკვლევარი, რუსულან კუსრაშვილი,  
რომელიც ბარნოვის თხზულებათა ათტომებულის შედგენისას  
მწერლის საოჯახო არქივით სარგებლობდა, აღნიშნული წიგნის  
არსებობას არ აღასტურებს.

ირკვევა, რომ სკოლაში ზეპირსიტყვიერების სწავლებისას  
ცნობილ პედაგოგს ფართოდ გამოუყენებია საუბრის მეთოდი. ეს  
მეთოდი იმ პერიოდში რეკომენდირებული იყო. მის „უდიდეს სარ-  
გებლობაზე” ცნობილი რუსი პედაგოგი კ. უშინსკი მიუთითებდა.

როგორც ცნობილია, ამ მეთოდის ეფექტურობა დამოკიდებუ-  
ლია იმაზე, თუ რამდენად სწორად ჩამოაყალიბებს პედაგოგი კით-  
ხეებს, რა თანმიმდევრობით დაუსვამს მათ მოსწავლეებს და რო-  
გორ ჩართავს მთელ კლასს აქტიურ კითხვა-პასუხში. ამ თვალ-  
საზრისით საინტერესოა ვ. ბარნოვის თოთოეული კითხვა. მაგალი-  
თად, „გადავთილების” შესავალ ნაწილს, სადაც განმარტებულია  
სიტყვიერების რაობა, დართული აქვს კონსაკეტი კითხვებით: „1)  
რა არის სიტყვიერება? 2) რას იყრობს თავისი შინაარსით სიტ-  
ყვიერება? 3) სიტყვიერება ზეპირი და წერითი ანუ ხალხური და  
ავტორისაგან თხზული. 4) როგორა ჩნდება ხალხური ნაწარმოები?  
5) გარჩევა ხალხური ანუ უბირი ნაწარმოებისა და ხელოვნური

<sup>1</sup> ვ. ბარნოვი თხ. სრ.გრ. ტ.X, თბ., 1964, გვ.512.

<sup>2</sup> ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ.II, 1921-1945, ნაკვეთი II, თბ., 1951.

<sup>3</sup> სარა ბარნაველი, ვასილ ბარნოვის ნაწარმოების დაბეჭდილი 1915  
წლიდან-1939 წლამდე.

ნაწარმოების შორის; 6) რა აქვთ საერთო უბირს და ხელოვნურ ნაწარმოებთ?“<sup>1</sup>

სავარაუდოა ამგვარ კითხვებს ვ. ბარნოვი მიმართავდა ერთის მხრივ, შესწავლილი მასალის ცოდნის გასამტკიცებლად, მეორეს მხრივ, მოწაფეთა აზროვნების განვითარებისათვის.

როგორც „ბაპვეთილების“ ანალიზისას ირკვევა, ხალხური პერსონაჟის დახასიათება, ძირითადად, ხორციელდება გმირის ხასიათის ჩამოყალიბების ვერტიკალური ხაზით. გმირის პორტრეტის დახასიათებისათვის, ავტორი იყენებს პორტრეტულ მონაცემებს, ილუსტრაციას. ამირანის დახასიათებისას ავტორი შემდეგ მონაცემებს გვაძლევს: „ბალდობიდანვე ძლიერი იყო ამირანი: მერწყულო დასცინებს აკანში მწოდს ამირანს. ის წამოდგა და თავი თავს უხალა მათ, ჯურჭელი დაუმტკრია“<sup>2</sup>.

ზოგჯერ გმირის დახასიათებას, ბარნოვი ყრმობიდან იწყებს, შემდეგ ჭაბუკობის პერიოდს განიხილავს. „დავაუკაცდა ამირანი და შესაზარი ჭაბუკი დადგა: შავს ღრუბელსა გავდა საავდროდ განმზადებულს, საცეროვით თვალი ესხდა, ერთი კბილი ოქროსი ქონდა ოქროს დალალებიანი დედისაგან დაყოლილი; ეს კბილი იყო მისი ნიშანი, ამითი სცნობდნენ მას. არ მოკვდებოდა ამირანი სხვანაირად, თუ ნეკს არ მოსჭრიდნენ. უშველებელი რამ იყო აგებულობით და ამიტომ საჭმელიც ბევრი უნდოდა: სადილად ბუღა კამერი, ვახშმად არც სამი ყოფნიდა. მის ხმალს ვაჟკაცი ვერ დასძრავდა. ცხრა ლიტრა რკინისაგან გამოკვერილი შვილდი ექირა“<sup>3</sup>.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამირანის დახასიათებისას ავტორი მიმართავს როგორც პირდაპირ, ასევე შედარებითი დახასიათების ხერხსაც. „არც წინდასედულება და შორს განმჭვრეტელობა აქვს ამირანს, როგორც სტიქიურ რამ ძალას, შეუგნებლად მოქმედებს: აფრთხილებენ, ბაყბაყის თავებიდან გამოსული ჭიები დახოცე, თორექმ ინანებო, ის კი უურადღებას არ აქცევს ამას და შემდეგში წინ დახვდებიან მას იგინი, უკვე გველეშასებად ქცეულნი.“

ეს თვისებები აახლოვებებს მას დევებთან, რომლებიც არიან სტიქიურთავე ძალთა განხორციელებანი, ბოროტმოქმედ ძალთა: დევებიც მოუხეშავნი არიან, მხოლოდ ფიზიკურ ძალაზე დამყა-

<sup>1</sup> „ბაპვეთილები“, გვ. 7.

<sup>2</sup> იქვე,

<sup>3</sup> იქვე, გვ. 24.

რებულნი და წინდაუხედავნი. რომელიმე ქოსა თუ ნაცარქექია ისე ატყუებს მათ, როგორც ბაგზექს”<sup>1</sup>.

ვ. ბარნოვს დიდი ყურადღება მიუქცევია სწავლების პროცესში მოწაფეთა გააქტიურებისათვის. კერძოდ, მასწავლებლის მითოებით მოსწავლეები ანდაზების მიხედვით დამოუკიდებლად ამუშავებდნენ კონკრეტულ წერილობით თემას, რაზეც მიგვითოთებს გაკვეთილის ბოლოს დართული შენიშვნაც: „ყოველი ანდაზა ივარგებს თემად: მასწავლებელი დაუსახავს მოწაფეებს იმ უმთავრეს დებულებებს, რომლებზედაც აგებულია ანდაზა, ხოლო ანდაზის ფართოდ გაშლას და მის შინაარსის დაწვრილებით დამუშავებას მიანდობს მოსწავლეს”<sup>2</sup>.

მოსწავლეთა სასწავლო პროცესში გააქტიურებისა და ლოგიკური აზროვნების გასავითარებლად ბარნოვს შეუმუშავებია შემდეგი შინაარსის კითხვებიც: „1) აბესალომი, როგორც რაინდი (დახასიათება) 2) ეთერი და მისი ხასიათი. 3) დედააზრი ეთერიანისა და როგორ არის იგი ნაწარმოებში გატარებული”<sup>3</sup>. და ეს მაშინ, როცა ვ. ბარნოვს დედააზრი „ეთერიანისა” ჯერ არ განუხილავს. ჩვენის აზრით, ცნობილი პედაგოგი, ამ დროს მოსწავლეთაგან ითხოვდა მასწავლებლისგან დამოუკიდებლად ემსჯელათ აბესალომზე და ეთერიზე. ამის საფუძველზე კი ნაწარმოების დედააზრი გაეგოთ. ხოლო მომავალ გაკვეთილზე უკვე თვით პედაგოგი, ვ. ბარნოვი, მსჯელობდა ნაწარმოების მთავარ გმირებზეც და „ეთერიანის” დედააზრზეც, ხოლო მოსწავლეებს კი ვგალებოდათ საშინაო დაგალების სახით წარმოდგენათ: „ეთერის განვითარება სურათებად (მძინარე ეთერი და აბესალომ; ეთერი უცხადებს თავის შემთხვევას თავის დედ-მამას; აბესალომი უცხადებს თავის სურვილს სასახლეები...”<sup>4</sup>.

კვიქრობთ, ამგვარი სწავლება დიდად შეუწყობდა ხელს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების სრულყოფა-განვითარებას.

ვ. ბარნოვი მიიჩნევდა, რომ მთლიანი ნაწარმოების შესწავლა გაკვეთილზე შეუძლებელი იყო, მაგრამ ნიმუშების წაკითხვა აუცილებლობას წარმოადგენდა. „მთელი თხზულების შესწავლა გაკვეთილზედ უხერხულიც არის: ერთი კითხულობს, სხვა კურს არ

<sup>1</sup> „გაბევთილები” გვ. 56.

<sup>2</sup> იქვე, 79.

<sup>3</sup> იქვე, 91.

<sup>4</sup> იქვე, 94.

უგდებს და უბარაქოდ იკარგება მიზომილი წუთები. ნიმუშების საგანგებოდ წაპითხვა კი გაკვეთილებზე რასაკირველია, აუცილებელია”.<sup>1</sup>

როგორც ვხედავთ, ნოვატორ პედაგოგს საჭიროდ ჩაუთვლია შესასწავლი თხზულებიდან „ნიმუშების საგანგებოდ წაპითხვა”, თუმცა, მეორეს მხრივ, „შეიძლება ვივარაუდოთ: იქნებ ავტორი გულისხმობდა იმ ნიმუშებს, რომელიც მას დაურთავს გაკვეთილებისათვის”?

ვ. ბარნოვი ერთგვარ ნაკლად თვლის ყოველი გაკვეთილის ბოლოს კონსაკექტებისა თემების მითითებას, რადგან ასეთი მეთოდიკური რეკომენდაციებით თურმე ჭრელდებოდა გაკვეთილი.

„მთელ წიგნს რომ დავათავებ-წერს იგი-თემებისა და კონსაკექტების კრებულს ბოლოში მოვაქცევ. იქნება ზოგი გაკვეთილი მოზრდილი აღმოჩნდეს: მასწავლებელი დაანაწილებს, მოსწავლებს შეიფერებს”.<sup>2</sup>

ამ შენიშვნაში კარგად ჩანს, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ვ. ბარნოვი ზეპირსიტყვიერების გაკვეთილების მეთოდიკური რეკომენდაციების შემუშავებას.

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ვ. ბარნოვის კერძომეთოდიკურ შეხედულებებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ფოლკლორისტის, ასევე XX საუკუნის 20-იანი წლების ქართული მეთოდიკური აზროვნების ისტორიის შესწავლისთვისაც.

<sup>1</sup> „გაკვეთილები” გვ. 3.

<sup>2</sup> იქვე.

## იოანე გრემი ლუარსაბ ტოვონიძე

### მაქსიმე შარაძის ღვაწლი ქართული საგალობლების გადარჩენის საქმეში

დღევანდელი საქართველო მომსწრეა შუა საუკუნეების ქართული მართლმადიდებლური საგალობლების აღორძინების პროცესისა.

ქართული საგალობლებისთვის უმძიმეს გამოცდას წარმოადგენდა მე-19 საუკუნე, როდესაც ცარიზმის მმართველობის ქვეშ მყოფი საქართველოს განათლების და საეკლესიო ორგანიზაციის ახალმა სისტემამ გამოიწვია საგალობო სკოლების ტრადიციების დარღვევა. ამ პერიოდში, როგორც ჩვენვის ცნობილია, მზარდი ქართული ეროვნული სულისკეთებით განშესჭვაულმა მოღვაწეებმა გმირული ძალისხმევა გასწიეს საგალობო ტრადიციების სრული დაკარგვისაგან გადასარჩენად. სწორედ ამ გადარჩენის მეთოდებზე მინდა შევაჩერო თქვენი ფურადღება, განსაკუთრებით კა მაქსიმე შარაძის როლსა და მის მიერ 1882 წ. დაფუძნებულ კაბინეტზე.

მაქსიმე შარაძე მკვლევართათვის ბოლომდე ამოუცნობ პიროვნებად რჩება. მისი ცხოვრების ამსახველი ცნობები და სურათები ძალზე მცირეა (შესაძლოა მისი პირადი არქევი დაიკარგა ექვთიმე კერისელიძის სიკვდილის შემდეგ), სამწუხაროდ, მან მხოლოდ 47 წელი იცოცხლა. წარმოშობით იყო იყო გურიიდან, სოფელ ეწერიდან; დედისერთა ადრეულ ასაკში დაობლდა. შემდომში, თბილისში მოღვაწეობის პერიოდში, ეროვნული იდეებით გამსჭვალული, იგი დაუღლალავად იღწვის ქართული პრესის სამსახურში და იმავე დროს განსაკუთრებულად შრომობს ქართული საეკლესიო გალობის გადასარჩენად. მას საკუთარი ოჯახი არასოდეს ჰყოლია. მაქსიმე მართლაც ბერის მსგავს ცხოვრებას ეწეოდა პიროვნული სიწმიდით და წესიერებით.

მეგობრისა და თანამშრომლის ექვთიმე კერესელიძის თქმით, მან თავისი კეთილი ცხოვრებით ყველას გული მოიგო და არ იპოვებოდა ქალაქში მისი მომდურავი, ან ძვირის მოქმედი კაცი: ყველა მისი მაქებარი იყო, როგორც მართალი, მოწყვლე, კეთილ-მოქმედი და სხვისი დამზარე, ყველასთან თააზიანი, მშვიდობიანი და საქმის ერთგული კაცისა და რაცხდნენ მას ძლიერ სანდოდ და გონიერ კაცად!

შარაძე თითქოს ამოუწურავი ენერგიით იყო აღსავსე. იგი გაზეთ „ივე-ის“ მესტამბე და ამ გაზეთის რედაქტორის, დიდი ეროვნული მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის პირადი მდივანი და მოურავი იყო. გარდა „ივერიაში“ მუშაობისა, მაქსიმე 1882 წელს დააფუძნა უფასო ბიბლიოთეკა, ე.წ. კაბინეტი, რომელიც

შემდგომ საგალობლების გადარჩენის მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. კაბი-ეტში თავი მოიყარეს ახალგაზრდა ადამიანებმა, რომელთა ერთობის მიზეზი ქართული კულტურისა და ხელოვნების სიყვარული იყო.

კაბინეტში არსებულმა სამძომ შეიმუშავა წესდება და განსაზღვრა საომავლო ამოცანები. შარაძემ იქინავა დიდი ოთახი ბაზრის ქუჩაზე, სადაც თაროებით, მაგიდებით, უურნალებით და სასულიერო ხასიათის ბროშურებით აღჭურვილი უფასო ბიბლიოთება გახსნა.

კაბინეტის გახსნიდან ცოტა ხნის შემდეგ შარაძე სამი დღით დააპამრეს სახალხო მღელვარების ან სექტანტობის შესაძლო ქადაგებისათვის; რუსულ ოფიციოზთან გასაუბრების შემდგომ რუსი სასულიერო პირების მიერ იგი უდანაშაულოდ ცნეს და კაბინეტის საქმიანობის თვალყურის დევნება დაევალა ორ მღვდელს, რომელთაგან ერთ-ერთი პეტრე განჯოშვილი მაქსიმეს სულიერი მამა და ახლო მეგობარი გახდა. იმდროინდელ თბილისში მძაფრად იგრძნოოდა ეროვნული მუხტი. ისეთ დიდ მოღვაწესთან სიახლოვემ, როგორიც ილია ჭავჭავაძე იყო, შარაძეც ამ პროცესში ჩართო.

ამ ნაშრომში ჩვენ გვნიდა წარმოგიდინოთ მაქსიმე შარაძის ლგაწლის სამი უმნიშვნელოვანესი მხარე. უპირველესად, როგორც ბრძენი ორგანიზა-ორისა, რომელმაც მატერიალურად უზრუნველყო კაბინეტის სრულფასოვანი ფუნქციონირება გაღობის გადარჩენის საქმეში. მეორე როგორც ავტორის, რომელიც „ივერიაში“ გამოქვეყნებული სტატიების საშუალებით საზოგადეო-ას ქართული გალობის გადასარჩენად მოუწოდებდა. და მესამე, როგორც ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის უმთავრესი შთამაგონებელი და თანმდევომი.

1885 წლის გიორგობამ მნიშვნელოვნად შეცვალა შარაძის ცხოვრება. თბილისში, ქაშუეთის ეკლესიაში მაქსიმეს ცრემლი მოჰკვარა ძეველ ქართულ კილოზე ნაგალობებ წმინდა ვიორგის ტროპარის მოსმენაში. იგი განაცვიფრა და შეძრა ძეველი ქართული გალობის სილამაზე, უბრალოებამ და ლოცვითმა განწყობამ. მსახურების შემდეგ იგი შეხვდა გუნდის ლოტბარს, მელქისედეკ ნაკაშიძეს, რომელიც თავის განსწავლულ გურულ მგალობლებთან ერთად ჩა-ოსულიყო თბილისში, ეპისკოპოს ალექსანდრე ოქროპირიძის (ქართული საეკ-ესიო გალობის აღმადგენელი კომისიის თავმჯდომარე) მოწვევით. ამ შეხვედამ განაპირობა შარაძის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ჩაბმულიყო საგალობ-ების გადარჩენის პროცესში.

შარაძის თხოვნით ნაკაშიძემ სამძოში ჩამოაყალიბა საგალობლების შემსწავლელი ჯგუფები. ექვთიმე კერესელიძე წერს: გალობას ყველაზე უფრო ნიჭიერად და ჩქარა სწავლობდა მ. შარაძე და მასვე ავალებდა მელქისედეკი, რომ დილ-დილობით დაესწავლებინა სხვებისათვის. ამრიგად დაიდგა წესად და ჩვეულებად მოსვლა და თავის დროზე წასვლა<sup>2</sup>.

ასე გაგრძელდა 6 წლის მანძილზე. მაგრამ უმთავრესი საკითხი, თუ როგორ უნდა დაეცვათ საგალობლები მომავალი თაობებისათვის, ღიად რჩე-

ბოდა. შარაძეს ესმოდა: მიუხედავად იმისა, რომ გალობის სწავლა მნიშვნელოვანი იყო, დიდი გალობის ოსტატებისა და მათი მოსწავლეების დიდი სკოლების დრო წარსულს ჩაბარდა. საჭირო იყო საგალობლების გადარჩენის უკოთვის მეთოდები.

მომავალი თაობებისთვის ამ პრობლემის მოგვარების გზა ფილიმონ ქორიძის, იტალიისა და სანქტ-პეტერბურგის სცენებზე მოღვაწე საოპერო მომღერლის გაცნობისთანავე გამოჩნდა, რომელიც ამ პერიოდში გალობით დაინტერესდა. 1885 წ. ფილიმონმა დაიწყო საგალობლების ჩაწერა ნაკაშიძის-გან. იგი იყო ინიციატორი ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის მიერ ქუთაისში წამოწყებული საგალობლების ჩაწერის საქმისა 1885-1887 წ.წ.; ამ პერიოდში იგი ხვდებოდა და თანამშრომლობდა ისეთ დახურულებულ მგალობლებთან, როგორებიც იყვნენ ანტონ დუმბაძე, რაჭელნ ხუნდაძე, ივლიანე წერეთელი და დიმიტრი ჭალაგანიძე. დიდი გამოცდილებისა და ნიჭის წყალობით მგალობლებისა და ქორიძის შრომა წარმატებით დაგვირგვინდა. ქუთაისში მისი მუშაობის პერიოდში ქორიძის უკრაინელი ეროვნების მეუღლე გარდაიცვალა და 1891 წელს, თბილისში დაბრუნებულ ქორიძეს, რომელსაც აღარც სამსახური ჰქონდა, აღარც ოჯახი და სახლ-კარი, შარაძემ ჩაუნერგა იმედი და განახლებული ენერგია, რათა გაეგრძელებინა მოღვაწეობა საგალობლების გადარჩენის საქმეში.

იმ დროის შესახებ კერძესელიძე წერს: ფილიმონ (ქორიძე): ახლა წამოვედი, ჯერ შინა არა მაქვს ნაქირავები, ჩვენ უთხარით: ოღონდ ნოტები გვასწავლეთ და ჩვენ შინასაც მოგცემთ და სასწავლებელ ფულსაც მოგაროოთვთ. მთხოვნელი ვართ, ისე კარგად ვიცოდეთ ნოტები, რომ თქვენი დაწერილი საგალობლებით ჩვენცა ვგალობდეთ-მეთქი<sup>3</sup>.

მათ არა მარტო აასრულეს დანაპირები და უშოვეს ბინა წყლით და სათავსოებით, არამედ მაქსიმებ მოახერხა ქორიძისთვის თვეში ათასი მანეთის ოდენობის ხელფასის დანიშვნა, რათა მას სამმოსთვის დასავლური მუსიკალური ნოტაცია ესწავლებინა. ქორიძე ყოველდღე დადიოდა და ასწავლიდა დასავლური ნოტაციის კითხვას და ჩაწერას – ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმიანობა იყო როგორც შარაძისთვის, ასევე კერძესელიძისთვის. ისინი დამეგობრდნენ და სამმოს წევრები ესწრებოდნენ ქორიძის თეატრალურ გამოსვლებს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს შარაძის კომუნიკაცელურობა და დიდი უნარი – გაეერთიანებინა სხვადასხვა ნიჭისა და მონაცემების მქონე ადამიანები ერთი საერთო მისწრაფებით – ქართული საგალობლების გადარჩენის საქმით.

1891 წ. შარაძემ სამმოს საქმიანობა ახალ დონეზე აიყვანა. ილია ჭავჭავაძის კავშირების გამოყენებით მაქსიმებ მისწერა წერილი პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილს მოსკოვში თხოვნით, რომ გამოეგზავნა ნოტებზე გადაღებული საგალობლების გამოსაკვებენებლად საჭირო მუსიკალური სიმბოლოების საბეჭდი შრიუფტის კომპლექტი. შარაძის ერთ-ერთი უადრესი ხელნაწერი ნათელს ჰქონის მის თავდადებულ განზრახვას, თავი მიუძღვნას ამ

საშვილიშვილო საქმეს. წერილის დასასრულს მან დაწერა: მაინცა და მაინც მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი ადრე იქნება თუ გვიან ჩემი სურვილი განვახორციელო. რადგან ნოტებით გალობას ხელი მოვკიდე და ეს საქმე წარმატებითაც მიღის. ამისთვის განვიზრახე ამ ნოტების დაბეჭდვა. როგორც მითხრეს, ნოტების დაბეჭდვა შესაძლებელი ყოფილა წიგნების საბეჭდავ მანქანაზედაც, მხოლოდ საქმე ისაა, რომ ასოები არა გვაქს ნოტებისა. ამისთვის მოგმართავთ უმორჩილესის თხოვნით გვიშუამდგომლო ასოების ჩამომსხმელ გერძეკასთან, გამოგვიგზავნოს იმდენი მასალა, რომ ოთხი გვერდი ერთად იბეჭდებოდეს, თუ ძალიან ძვირი არ დაჯდება. შემიძლია ფული ნაღდად მიცეც, თუ ბევრს დაიჭირს, მაშინ, რაღა თქმა უნდა, ვერ შევძლებთ და ჩვენი განზრახული საქმეც ჩაგვეშლება. მაინცა და მაინც მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი ადრე იქნება თუ გვიან, ჩემი სურვილი განვახორციელო. სიჩქარისთვის თქვენი შემწეობა და დახმარებაა საჭირო, თქვენ, თუკი იქნებით და გვიშუამდგომლებთ<sup>4</sup>.

ერთი წლის თავზე, სანოტო შრიოფტის მიღების შემდეგ, მაქსიმე შარაძე და ამხანაგობა მოუთმენლად ელოდა საქმის დაწყებას. შარაძემ გააგზავნა მეორე წერილი ქუთაისში, ამჯერად ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის მისამართით. იგი სთხოვდა მას, დასტამბვის მიზნით დაეთმო ქორიძის მიერ 1880-იან წლებში ქუთაისში გადაღებული სანოტო ხელნაწერები. წერილში გამოთქმული იყო შეტყოობება უნიკალური ხელნაწერების შესაძლო განადგურების გამო. ეპისკოპოსმა გაბრიელმა განჭვრიტა შარაძის სანდოობა და ხელნაწერები მგალობელ ივლანენ წერეთლის ხელით სრულიად უცნობ პიროვნებას გამოუვზავა. სანოტო შრიოფტის გამოყენების სათანადოდ შესწავლის შემდგომ, 1895 წელს, ძმობამ დაასრულა პირველი სანოტო გამოცემის დასტამბვა. საზოგადოებისათვის უკვე ხელმისაწვდომი იყო 1500 ერთეული გალობის სანოტო წიგნი.

მაქსიმე შარაძე იყო პირველი, რომელმაც ამ უზარმაზარი საქმის, ქართული გალობის გადარჩენის ყველაზე რეალური და ხელმისაწვდომი გზა გააცნობიერა. ასობით ნოტებზე გადაღებული საგალობლის გარდა კიდევ რჩებოდა უთვალავი, რომელიც სადღაც პროვინციებში, მხოლოდ რომელიდაც შემორჩენილ მგალობლის მეხსიერებაში იყო. შარაძე მუხლიაუხრელად შრომიბლა გაზეთ „ივერიის“ დასაბეჭდად, აქვეწებდა მცირე ბროშურებს, რათა შესაძლებლობა მისცემოდა, გაღლიბის ნოტებზე გადაღების საქმე მატერიალურად უზრუნველეყო. რა თქმა უნდა, ამხანაგების და მათ შორის, უპირველეს, კერძეს გლიძის დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო საქმიანობის წარმართვა. აუცილებელი იყო ახალი პოპულარული გამოცემების განხორციელება, დაბეჭდილი ეგზემპლიარების გაყიდვა, დასასტამბი ნოტების არაერთჯერადი კორექტურა. ასევე მნიშვნელოვანი იყო გალობის დაბეჭდვისათვის შემოწირული თანხის კონტროლი და გაზეთში გალობის ნოტებზე გადაღების მხარდაჭერთა გასამხნევებელი წერილების წერა. მაგრამ უპირველესად უნდა

ითქვას: „შარაძე ტკირთულობდა სრულ ფინანსურ პასუხისმგებლობას და მთელ პირად შემოსავალს ახმარდა ამ საქმიანობას.

ვხედავდი, რომ სხვა ამხანაგები შემოეცალნენ, თუმცა დადიოდნენ კაბინეტში მავრამ ფულით არ ეწეოდნენ; ყოველივე ხარჯს თავისი საკუთარი ფულიდან ასწორებდა<sup>5</sup>.

თვალსაჩინოა მაქსიმე შარაძის კეთილი გავლენა ექვთიმე კერესელიძის პიროვნებაზე, როგორც ამ საქმიანობის მემკვიდრის მზარდი როლი საგალობლების სამოძალოდ დაცვის საქმეში. კერესელიძე, შარაძის მსგავსად, უბრალო გლეგზური წარმოშობის იყო. 16 წლის ასაკში, ლუქმა-პურის საშოვნელად, მშობლიური სოფლიდან გადმოხვეწილი, ჯერ ქუთაისში, შემდგომ თბილისში მზარულის თანაშემწედ ნამუშევარი. მნელი წარმოსადგენია, როგორ მოხდა, რომ ეს უბრალო ადამიანი შეუს საუკუნეების ქართული საგალობლების უმნიშვნელოვანესი გადამრჩენი გახდა, რომელმაც მიუძღვნა თავისი სიცოცხლის მეორე ნახევარი ათასობით საგალობლის ორგანიზაციას, ჩაწერასა და გადათეორებას. პასუხს ექვთიმეს საკუთარ ჩანაწერებში ვიპოვით. სიცოცხლის ბოლო წლებში მან დაწერა პატარა წიგნი სათაურით – „ქართულ საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორია“. თუმცა წიგნის უძიდესი ნაწილი ერთი ადამიანის ცხოვრებასა და საქმიანობას ეძღვნება.

კერესელიძე წიგნს ამ სიტყვებით იწყებს: 1882 წელს თბილისში ცხოვრობდა მაქსიმე – როსტომ შარაძის ძე... წიგნის ბოლოს, ეპილოგში, ექვთიმე დასძენს: ჩემს ცოვრებაში მხოლოდ ერთი ნამდვილი გულითადი მეგობარი მყავდა – მაქსიმე როსტომის ძე შარაძე, რომლის სიცოცხლეც, სამწუხაროდ, ხანძოელე გამოდგა... იყო დრო, როდესაც ბოროტი ადამიანები მტანჯავდნენ; ბევრჯერ ვყოფილგარ მშიერი, მწყურვალი, შიშველი, ავადმყოფი, ციხეშიც კი მოვხვედრილგარ... მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი ამ მშვენიერი საგალობლების შეგროვებას და შენთან მოტანას<sup>6</sup>.

ქართული გალობის გადარჩენის საქმეში არაერთმა ღირსეულმა მამულიშვილმა შეიტანა პირადი წვლილი, მიუხედავად ამისა, კერესელიძიმე გამოარჩია შარაძის ცხოვრება, რათა გაემუქებინა გალობის გადარჩენის მთლიანი პროცესი. თუ ადამიანზე შეიძლება მეგობრების მიხედვით მსჯელობა, კერესელიძის ასეთი ერთგულება შარაძისადმი საუკეთესოდ ახასიათებს იმ ადამიანს, რომელიც საგალობლების დაცვის საქმის დიდ სიყვარულს და ერთგულებას ატარებდა და თავისი დიდი ორგანიზატორული ნიჭით მთელ საზოგადოებას შთავაონებდა.

ახალი ხანა დაიწყო 1893 წელს, როდესაც შარაძე დაეხმარა ფილიმონ ქორიძეს ოზურგეთში მოგზაურობასა და ხანდაზმულ მთავარ მგალობელთან ანტონ დუმბაძესთან ისტორიული თანამშრომლობის გაგრძელებაში. ტიბოგრაფიას ჯერ არ ჰქონდა გამოცემული პირველი კრებული, რომელიც ორი წლის მერე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ისეთი მგალობლის ასაკის გათვალისწინებით, როგორიც ანტონ დუმბაძე იყო, შარაძეს ესმოდა, თუ რაოდენ მნიშვ-

ნელოვანი იყო საგალობლების სრული ჩაწერის დაუყოვნებლივ განხორციელება. თავის მაღალფარდოვან სტატიაში, რომლის მიზანს ამ ისტორიული მოვლენის გაშუქება წარმოადგენდა, შარაძე წერს:

„დღეს ამ თვის 16-ს, მიემგზავრება ბ-ნი ფილიმონ ქორიძე. ოზურგეთს, მაშასადამე, ხვალ ორი მაჟულისშვილი, ბ-ნი ფილიმონ ქორიძე, რომელსაც ფოტოგრაფსავით სისწორით გადააქვს ჩვენი გალობა ნოტებზე და ბ-ნი ანტონ დუმბაძე, რომელიც სრული და შეუდარებელი მგალობელია მთელს საქართველოში, ერთად შეიყრებან. „წყალობა და მშვიდობა შეიმთვინეს და ამბორი უყვეს ურთი-ერთასო“, სწორედ ამას ემგვანება ხვალ იმათი შეხვედრაც. ხვალ ერთმანეთზე უკეთესნი და უმჯობესნი, ერთი ნოტებისა, ხოლო მეორე – ზეპირ გალობისა, ერთმანეთს მიესალმებიან და გაუზიარებენ ერთიმეორეს სურვილსა და წადილს. ხვალ უნდა გადასწყვიტონ ამათ ჩვენი გალობის ბეჭ-ილბალი. საკირველია და აუწერელი ამ ორი კაცის ბეჯითობა, ხალისიანობა და გულ-გაუტეხელობა გალობის საქმეში, კაცი რომ დააკვირდეს ხვალ ამათის გულის ძგერას, უეჭველად ამას ამოიკითხავს: ესენი თან ანუგეშებენ, ამხნევებენ და თან ეჯიბრებიან ერთმანეთსა: აბა, ვნახოთ, რომელი ვაჯობეთ და რომელი გავიყოლებთ ბოლომდე ხალისს, რომ გალობა სრულად ნოტებზე გადავიღოთ და მით ჩვენი წადილი შევისრულოთო. ვინ არ იცის, რა სიმდიდრე და გვირგვინია ეკლესიისა და ხალხისათვის გალობა. ეკლესია უგალობოდ თითქმის ეკლესიად აღარ ჩაითვლება და უეკლესიოდ, უსარწმუნოებოდ და უკეთილ-საქმოდ რაღა უნდა იყოს ხალხი. უამისოდ ქვეყნერი ცხოვრება ბავშვების აშენებულ ხუხულას ემგვანებოდა და ამ ხუხულაში ერთს დღესაც არ ღირდა კაცს თავი შეეფარგბინა. კაცი კეთილის საქმისთვისაა გაჩენილი და ვინც ამ დანიშნულებას ასრულებს, მარტო იმას შეუძლიან სთქვას, ბედნიერი ვარო, ხოლო ვინც შეძლებისდა გვარად მაინც არ ასრულებს ამ დანიშნულებას, ამის-თანა კაცი სულ რომ არ ყოფილიყ ქვეყანაზე, დიდა მაღლი იქნებოდა. როცა რაიმე კეთილი და სასარგებლო საქმე იწყება, მხოლოდ მაშინ შეგიძლიანო მიხვდეთ და გაიგოთ, ვინ რა კაცია, ვის როგორ სწამს კეთილი საქმე და როგორის გულით ეკიდება. ეხლაც, როცა ეს კეთილი საქმე იწყება, გავიგებთ, ვინ არის სიტყვით და საქმით ერთი, ერთის სიტყვით, თითოეულის თანავრძნობა და შეწევნა ამ საქმეში იმისი მაჩვენებელიც იქნება, ვინ რა რწმენისაა, როგორ მაჩნია კეთილი საქმე და ერთგულია თუ ორგული – გალობის ერთი მოყვარულთაგანი<sup>7</sup>.

ამ გრძნობით განმსჭვალულ სიტყვებში კარგად ჩანს შარაძის უნარი, მნიშვნელობა შესძინოს იმ საქმიანობას, რომელსაც ფართო საზოგადოება დიდ ყურადღებას არ აქცევს და, ამასთანავე, მოიზიდოს შეწირულობანი. მან თავის პირად პასუხისმგებლობად მიიჩნია ქორიძისა და დუმბაძის ხელფასით უზ-რუნველყოფა. მარტო 1894 წლის განმავლობაში შეწირულობის სახით 600 მანეთზე მეტი მიიღო, რომლის უმეტესი ნაწილი დიდი მგალობლისა და ქველმოქმედის არისტო ქუთათელაძის გაღებული იყო<sup>8</sup>.

შარაძის ტიპოგრაფია ფილიმონ ქორიძის მიერ საგალობლების ჩაწერას მრავალი წლის განმავლობაში აფინანსებდა. პატარა ფისგარმონიაც კი შეიძინეს შრომის გასაადგილებლად. ოეგულარული ხელფასის გარდა შარაძე მაქსიმალურად ცდილობდა ფილიმონ ქორიძისა და მისი შრომისადმი მოწიწება გამოიხატა. ქორიძის შესახებ პრესის საშუალებით მრავალი ტებილი სიტყვები მიიღო. შარაძის მიერ გამოცემულიც კი იყო ზოგიერთი მისი შრომათაგანიც, გამოიცა მაგ., ნოტების შესწავლის სახელმძღვანელო. ქორიძემ ერთხელ საოცარი გრძნობით სავსე სიტყვები მისწერა კერუსელიძესა და შარაძეს<sup>9</sup>. მან ასობით ახლადგადაღებული ნოტი გამოუვზავნა კაბინეტს, რომელთაც დიდი გულმოლგინებით ინახავდნენ სამმოს წევრები.

გადატვირთული საქმიანობის მიუხედავად, შარაძემ თავად გადაიღო ქართული გალობა ნოტებზე და 1898 წელს დაამზადა ნაკლებად ცნობილი, 840 გვერდიანი ხელნაწერი (შარაძემ გადაიღო გალობა მგალობელ სიმონ მოლარიშვილისაგან და შემდგომ იქმნა სამ სმაზე გამშვენებული იღუმენის, ექვთიმე კერუსელიძის და მღვდლის ივლიანე ნიკოლაძის მიერ)<sup>10</sup>.

იბადება შეკითხვა: თუ შარაძემ ასე კარგად ისწავლა გალობა, ზეპირიც და სანოტოც, რატომ მან თავის თავზე არ აიღო გალობის ანტონ დუმბაძისაგან ნოტებზე გადაღების საპატიო საქმე. უნდა ვიფიქროთ, რომ მან არ იჩქარა თავი მოეწონებინა და ყველას უკლებლივ დაეჭმარა, ეკეთებინა ის საქმე, რომელშიც საუკეთესო იყო.

1895-1908 წლებში მობამ საქუთარი სახსრებით ხუთი საგალობო კრებულის გამოცემა შეძლო. სამწუხაროდ, შარაძის მიწიერი ცხოვრების დასასრული ნააღრევი იყო. მსგავსად სხვა მისი მუშაკებისა, რომელთაც ქიმიურ ნივთიერებასთან ჰქონდათ შეხება. დაავადდა ჭლექით და აღსრულა 1908 წელს. მისმა სიკვდილმა მეექვსე კრებულის დაბეჭდვა შეაფერნა, რომელიც აღარ დასრულებულა. ექვთიმე კერუსელიძემ მეგკვიდრეობად მიიღო მრავალი ხელნაწერი და დაბეჭდილი წიგნი, რომელსაც მმობა წლების მანძილზე აგროვებდა. ამქვენიდან გასვლის დღემდე კერუსელიძემ მოახერხა შეეკრიბა, გაემშვენებინა და გადაერჩინა ათასობით საგალობელი. მისი ცხოვრების ისტორია არანაკლებ საინტერესო და აღმაფრთოვანებელია.

ამ თავდადებულ პირთა ნამუშევარი ჩაკეტილი იყო თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე. ამჟამად ეს საგალობლები ყველასათვის ხელმისაწვდომია და თანდათან პოპულარული ხდება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ანჩისხატის ტაბრის გუნდის მოლვეწეობა. მაგრამ რამდენია გასაკეთებელი! ფილიმონ ქორიძის და მმები კარბელაშვილების მიერ ნოტებზე გადატანილი მრავალი საგალობელი ჯერ კიდევ დასაბეჭდია და ისინი ისევ ერთეულების სახით არიან შემორჩენილი, როგორც იყენენ ას წლის წინ. მაქსიმე შარაძის დარი თავდადებული შრომაა საჭირო ამ საგალობელთა გამოსაცემად და გასავრცელებლად. როდესაც ვხედავ ახალ გამოცემებს, კერუსელიძის სიტყვები მახსენდება<sup>11</sup>.

მაქსიმე შარაძეს არ მიუღია ძვირადლირებული განათლება მოსკოვსა თუ პარიზში, მაგრამ მისი სახით გვყავს ძლიერი ნებისყოფის ადამიანი საქართველოს კუთხიდან, რომელმაც თავისი უსაზღვრო სიყვარული საქმედ აქცია. ბევრი კარგი თვისება მოეპოვება ადამიანს, ხოლო არა ვონებ, თანაგრძნობას რამ აღვმატებოდეს. ეს თვისება იმითია კარგი, რომ იგი ნეტარებასა და სიამოვნებას აგრძნიბოდეს თვით თანაგრძნობასც და იმასაც, ვისაც თანაუგრძნება<sup>12</sup>.

თუ თანაგრძნობამ შექმნა კეთილი საქმის დიდი წინამდლოლი, მისი სიტყვები გულში ჭეშმარიტად უნდა დავივნოთ.

და ბოლოს, მინდა აღვნიშნო მაქსიმე შარაძის სამგზის წარმატება. 1. მან მოახერხა სამმოს კაბინეტის დაარსება, პრესის ყიდვა და გალობის ნოტებზე გადაღება. 2. მან შეძლო საზოგადოების თანადგომის მოპოვება. გააჩნდა უდიდესი სიყვარული საგალობლებისა. 3. სასიკეთოდ, ბევრი ნიჭიერი ადამიანი შთავინა ქრონული გაღიანვით გადარჩენის საქმეში.

მაქსიმე შარაძე ღირსია ჩვენი პატივისცემისა და ყურადღებისა.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორია, ექვთიმე კერესელიძე, 1936 წელი, კ. ფოცხვერიშვილის საოჯახო არქივი, გვ. 3. 2. ქართულ საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორია, ექვთიმე კერესელიძე, 1936 წელი, კ. ფოცხვერიშვილის საოჯახო არქივი. 3. ქართულ საეკლესიო სანალიბლების ნოტებზე გადაღების ისტორია, ექვთიმე კერესელიძე, 1936 წელი, კ. ფოცხვერიშვილის საოჯახო არქივი, გვ. 21. 4. მაქსიმე შარაძის წერილი პროფესიონალურ სახანაშვილისადმი, 1893 წელი, 7 თებერვალი, კორნელი კეპელიძის ალექსანდრე ხახანაშვილისადმი, 1893 წელი, 7 თებერვალი, კორნელი კეპელიძის ხახელობის ხელნაწერისა სახელმწიფო ინსტიტუტი. ალექსანდრე ხახანაშვილის პარადი ფინდი, დოკ. 698. 5. მაქსიმე შარაძის წერილი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისადმი, 1891 წელი, ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 21, საქმე 12544. 6. ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორია, ექვთიმე კერესელიძე, 1936 წელი, კ. ფოცხვერიშვილის საოჯახო არქივი, გვ. 7. ქართული საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორია, ექვთიმე კერესელიძე, 1936 წელი, კ. ფოცხვერიშვილის საოჯახო არქივი, გვ. 21–18. 8. მაქსიმე შარაძე, „გაღობის ნოტებზე გადაღების შესახებ“, გაზეთი „ივერია“, 1893, № 125. 9. მაქსიმე შარაძე, „ჩვენის საეკლესიო საგალობელთა ნოტებად გადაღებისა და დაბეჭდების გამო“, „ივერია“, 1893, № 276. 10. საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორია, ექვთიმე კერესელიძე, 1936 წელი, კ. ფოცხვერიშვილის საოჯახო არქივი, გვ. 30. 11. საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორია, ექვთიმე კერესელიძე, 1936 წელი, კ. ფოცხვერიშვილის საოჯახო არქივი, გვ. 30. 12. საეკლესიო საგალობლების ნოტებზე გადაღების ისტორია, ექვთიმე კერესელიძე, 1936 წელი, კ. ფოცხვერიშვილის საოჯახო არქივი, გვ. 80.

## ფოლკლორისტიკა – 2004

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე დონე უცილობლად გულისხმობს კვლევის ახალი მეთოდების გაცნობას, გამოყენებას და იმ არსებითი თავისებურებების წარმოჩენას, რაც ამა თუ იმ ერის ინტელექტუალურ პოტენციალს სხვათაგან გამოარჩევს.

დღეს ტიპოლოგიური ძიებებისა და პარალელური მოხმობის გარეშე ერთობ ნაკლული იქნებოდა ეროვნული სიტყვიერების, ქართული ფოლკლორული შემოქმედების იდეური სიღრმის, თემატური მრავალფეროვნებისა და მსოფლიშედველობრივი მასშტაბების შესახებ საუბარი; ჩვენს ხელთ არსებული უნიკალური სულიერი კულტურული მემკვიდრეობის შეძლებისდაგვარად სრული სურათის წარმოსახვა და იმ განსაკუთრებული წილისა თუ წვლილის განსაზღვრა და გასიგრძეგანება, რომელიც ქართველ ერს შეუტანად და შეაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში...

ქართული ფოლკლორისტიკა აგრძელებს თავის ჩვეულ, ნაცად, ტრადიციულ გზას და, ამასთან, ითვალისწინებს იმ სიახლეებს, რაც სამამულო მეცნიერების საზღვრებს გარეთ ხდება.

კოლეგიალური კონტაქტები უცხოეთთან ჯერ კიდევ სუსტია, მოკლებულია ინტენსივობას და აზრის გაცვლა-გამოცვლის დანამიგრას, თუმც ამ მხრივაც იკვეთება გარკვეული პერსპექტივები, რაც იმედით განგვაწყობს და გვაფიქრებინებს, რომ კერძო პირთა თუ კპლევით დაწესებულებათა სათანადო ძალისხმევა თავის სასურველ შედეგს მოიტანს.

ამ თვალსაზრისით უთუოდ დასანახი, დასაფასებელი და მნიშვნელოვანია ის კეთილმოსურნეობითი განწყობა და საქმიანი ურთიერთობა, ბრიტანეთის ფოლკლორული საზოგადოების ერთ-ერთ აქტიურ წევრს, პროფ. დევიდ ჰანტს რომ აკავშირებს საქართველოსთან, პირადად ქ-ნ მერი წიკლაურთან, ვისი უშუალო რჩევით, მონაწილეობით და ხელშეწყობით რამდენიმე საფურადლებო ქართული ფოლკლორული კუბულისა თუ მონოგრაფიის თარგმნა და გამოცემა განხორციელდ ინგლისურ ენაზე...როცა ვლაპარაკობთ ზოგადსაკაცობრით სააზროვნო სივრცესთან ზიარებასა და ნოგატორული მეთოდოლოგიური პრინციპების ათვისების აუცილებლობაზე, ერთი წამითაც არ უნდა ვივიწყებდეთ იმას, რომ ზეპირსიტყვიერი შემოქმედება უაღრესად ეროვნული, ასე ვთქვათ, ავტონომიური მოვლენაა, თავისთავადობის მკვეთრი ნიშნით აღბეჭდილი კულტურული ფენომენია და მისი განხილვა მშობლიური ნიადაგისაგან გამოცალკევებით, ხალხის ყოფით რეალიებზე დაუყრდნობლად ყოველთვის ცალმხრივობისა და ზედაპირულობის აშკარა იერის მატარებელი იქნება.

ფოლკლორი, მოხდენილი რუსული შესიტყვება რომ გავიხსენოთ, „ცოცხალი სიძველე“, მუდამ, ნებისმიერი ისტორიული ცვალებადობისა თუ

კატაგლიზმების პირობებში ინარჩუნებს თვითმიერობას, შეუვალობას და მარადყოფობის იმ ურლვევე გარანტიას, შემქმნელი ერის უწყვეტი მოდენილობის ბოლომდე ამოუცნობ საიდუმლოებაში რომ უდგას ფესვი.

ვინც ფიქრობს, რომ საყოველთაო ინტეგრაციისა და გლობალიზაციის მკაცრ ეპოქაში ფოლკლორულმა შემოქმედებამ ამოწურა თავისი შესაძლებლობანი და მხოლოდა წარსულის დიდებულ შენობათა „ნგრეული ნაშთის“ ანდა უქმი რელიქტის სახით და სტატუსითდა არსებობს, მწარედ ცდება.

ერის სულიერი ფიზიონომია, მისი ზნე-ხასათი, ბუნება, ერთადერთობა და, გნებავთ, პოეტური ტალანტი არსად, ადამიანური მოღვაწეობის არცერთ სხვა სფეროში ისე ცხადად არ ჩანს, როგორც ნაივურ და, ამავდროულად, სიბრძნის ზეგარდომ მაღლით ცხებულ ხალხურ სიტყვიერებაში.

მოშლილი ეთიკური ნორმების, დარღვეული ზნეობრივი ზღუდეებისა და გაუკულმართებული, ჩვენთვის ყოვლად უცხო და მიუღებელი ქცევის წესების დამკიდრებისა და აღზევების უამს სწორედ მცირე თუ ვრცელი მოცულობის ზეპირსიტყვიერ ტექსტებს ძალუებს იმ კეთილი მეგზურის საპატიო მისიის შესრულება, რომელიც საკუთარი ძირებისკენ მიახედებს გეზგამრუდებულ თაობას და თვითშემეცნების მწვერვალისკენ მიმავალ ბილიკებს მიასწავლის...

\* \* \*

2004 წლის „ლიტერატურულ ძიებანში“ ფოლკლორისტიკის რუბრიკით გამოქვეყნებულ წერილებსა და გამოკვლევებში კარგად იკვეთება იმ საკითხებისა და პრობლემების მკაფიო კონტურები, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ აქტუალობა, რეზონანსი და ხელახალ, აწ უკვე იღეოლოგიური ზეწოლისგან და კინიუქტურისგან აბსოლუტურად თავისუფალ ანალიზს საჭიროებენ.

გივი ახვლედანის ვრცელი წერილი ნიკო ზიზანაშვილის (ურბნელი) ფოლკლორული მოღვაწეობის ამოწურავ დახასიათებას გვაწვდის და კიდევ ერთხელ მიგვახედებს მთიელთა საკრალური ყოფის ცალკეულ მხარეთა იმ ფართო სპექტრისაკენ, რასაც დიდხანს აკვირდებოდა და კვალიფიციურად განიხილავდა ეს მრავალმხრივ განსწავლული მატულიშვილი და საზოგადო მოღვაწე...

ღვთისშვილთა ეპთეტებისა და ატრიბუტების სტანდარტიზაციის გამოწვლილებით გარკვევას ისახავს მიზნად ნინო ბალანჩივაძის გამოკვლევა „ქუდ აღარ მატცა მორიგემა...“

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის შესახებ ჩვენს ცოდნას აღრმავებს და აფართოვებს დალილა ბედიანიძის აქ წარმოდგენილი შშვენიერი ოპუსი...

ბელა მოსია სიცოცხლის ხის ირგვლივ საუბარს ვარდისა და ის სიმბოლიკის კვლევის გზით წარმართავს და ლოგიკურად მიდის დასკვნამდე, რომ ხალხურ სინამდვილეზე უდიდესი გავლენა იქონია ქრისტიანულმა ცნობიერებამ, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია წარმართული ელემენტების გათვალისწინებაც...

გახტანგ კოტეტიშვილის კოლოსალური ღვაწლისა და არაორდინარული ფოლკლორისტული ნააზრევის უმთავრესი შტრიხებია ხაზგასმული და წინ წამოწეული ეკა ჩხეიძის კომპაქტურ, კვალიფიციურ ნარკვევში.

მიღმური სამყაროს, შავეთ-სულეთის ანუ გარდაცვლილთა სამუდამო სამყოფელის საინტერესო მოდელს გვთავაზობს თავის გამოკვლევაში ეკა ცხადაძე, თუმც აქვე იმასაც ვიტყოდი, რომ დამოწმებული ლიტერატურის სია არასრულია და სასურველი იყო ავტორს აღნიშნული საკითხის გარშემო ბოლო წლებში კომპეტენციული ნაშრომებიც გაეთვალისწინებინა.

მერი წილაური კვლავ ამირანის თქმულების მითოსური ძირების ძიებით გახდავთ დაგვაგებული და ამჯერად ამირან-ყამარის მაბის ეპიზოდების წამყვან მოტივებს ეხება და განიხილავს ცის მითოსის ჭრილში. ავტორი ტიპოლოგიური კვლევის გზით მიღის დამაჯერებელ დასკვნამდე, რომ „ამირანის თქმულების პირველსაწყისი ცისკრის ვარსკვლავის ღვთაების მრავალფეროვან ფუნქციათა მითოსური ციკლებია...“

კრებულში „კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა“ სამი ფოლკლორისტული სტატიაა დაბეჭდილი. ესენია: ეთერ ინწურავლის „იობის წიგნის“ ფოლკლორული ვერსია“, ბელა მოსიას „განგებისა და ბედის საკითხი ღვთისმეტყველებასა და ხალხურ სიტყვიერებაში“, ნინო თოხაძის „გარგოლიები, გროტესკები, მონსტრები“.

სამივე სერიოზული და, გარკვეულწილად, სიახლის შემცველი ნაშრომია. იგრძნობა ახალგაზრდა მკვლევართა წერის მაღალი კულტურა, გემოვნება და ის, თუ რაოდენ ღრმად აქვს გათავისებული თვითეულ მათგანს საანალიზო შერჩეული საკითხი.

აქვე შევნიშნავდი, რომ განგებისა და ბედის საკითხზე მსჯელობისას ბელა მოსიას ნაშრომს თუ არაფერს შემატებდა, არც არაფერს დააკლებდა გაცნობა და გათვალისწინება ჩვენი გამოკვლევისა „ბედის გაგება ქართულ ფოლკლორში“, რომელიც „ლიტერატურული ძებანის“ მე-XX ნომერშია გამოქვეწებული...

აღარ შევჩრდები თექვსმეტწლიანი ინტერვალის შემდგომ აღდგენილი „ქართული ფოლკლორის“ მე-2 (XVIII) ტომზე, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილის დაბადებიდან 110 წლისთვავს ეძღვნება და რომელშიაც 24 ავტორია წარმოდგენილ.

გარდა ცნობილი გვარ-სახელებისა, აქ შეხვდებით იმედისმომცემ ახალბედა მკვლევარებს, რომელთაც ხსნებულ ტომში დასტამბული წერილების სახით საგულისხმო სამომავლო განაცხადი გააკეთეს. ესენი გახდავთ: მანანა გაბური, ირმა ყველაშვილი, თამარ არაბული, ლალი თიბილაშვილი და ლელა მახაური.

„კრიტერიუმის“ მე-10, მე-11 და მე-12 ნომრებში ექვსი ნაშრომით არის წარმოდგენილი ქართული ფოლკლორისტიკა.

ლია წერეთლის გამოკვლევაში ნაჩვენებია მითის მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა წმინდა გრაალთან მიმართებაში; ახლადგამოვლენილ სვანურ მასალებზე დაყრდნობით დალის პრობლემისა და სამონადირეო

ტრადიციების განსხვავებული გააზრების წარმატებული ცდაა მოცემული ოთარ ონიანის სტატიაში „სვანური სამონადირეო ძეგლები“; დიდად საინტერესოა ნიკოლოზ ლალიაშვილის წერილი „დავლათი და დოვლათი“, რომელიც პროფანულისა და საკრალურის ურთიერთმიმართების განასერში განიხილავს გაბუდაცების, დასაზღვრული ზღურბლის გადაბიჯების და ადამიანური ქცევის ნორმათა დარღვევის საკითხებს; საგულისხმოა ასევე თამარ დოლიძის და გიორგი მახარაშვილის ნაკლებობი, სადაც, შესაბამისად, საფერხულო ლექს-სიმღერებისა და შესაქმის ლეგენდის აჭარულ ვარიანტზე არის ყურადღება გამსხვილებული....

2004 წელი ქართული ფოლკლორისტიკისათვის არც ცალკეული მონოგრაფიების გამოქვეყნების მხრივ ყოფილა მწირი და უნაყოფო.

გამოვიდა თეიმურაზ ჯაგოდნიშვილის რვაასგვერდიანი, ერთობ საჭირო კვალიფიციური წიგნი „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“.

ეს განხლავთ საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომი, რომლისთვისაც ნიშან-დობლივია განსასჯელი ფაქტებისა და საკითხების ლოგიკური თანამიმდევრობა, ეროვნული ფოლკლორისტიკის მაგისტრალური გზის ძირითადი ეტაპების აქცენტირება და დღემდე მთლიანობაში თვალმოუდევნებელი პრობლემების ამომწურავი დასახელება და დახასიათება.

ავტორის კვლევა დამყრებულია ტრადიციულ ყოფაში დადასტურებულ ავთენტიკურ ფაქტოლოგიურ მასალაზე, რაც აუცილებელი წინაპირობაა საიმისოდ, რომ თავიდან იქნას აცილებული ტენდენციურობა და სუბიექტი-ვიზმი რიგი საკავანო თუ საკამათო საკითხების ანალიზის დროს.

მონოგრაფიაში ხაზუასმული და ყურადღებულია ფოლკლორისტიკასა და ეთნოგრაფიას შორის გაელებული სადემარკაციო ხაზის დაცვის სიმნივე, წარმართული და ქრისტიანული ეპოქების ურთიერთმიმართება ზეპირსიტყვიერ მონაცემთა ჭრილში, ქართული მეცნიერული ფოლკლორისტიკის სათავები და ხელნაწერი ანთოლოგიები.

წიგნის თვალსაწირები XIX საუკუნეა მოქცეული და, გამომდინარე აქედან, ამ საუკუნის ქართველ თუ არაქართველ მოღვაწეთა მეტყველი მეცნიერული პორტრეტებია დახატული. აქვეა გამოკვეთილი ქართველ რომანტიკოსთა ფოლკლორისტული ინტერესები; ქართული პერიოდიკის წვლილი, ქართველთა შორის წერა-კითხების გამავრცელებელი საზოგადოებისა და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების როლი, სამოციანელთა კონცეპტუალური გამოკვლევების მნიშვნელობა ევროპული ფოლკლორისტული აზრის დამკვიდრებისათვის საქართველოში....

ზღაპარმცოდნეობის ამჟამინდელ დონეს და მდგომარეობას დიდწილად განსაზღვრავს რუსულნ ჩოლოყაშვილის მიზანმიმართული შრომა ამ სფეროში. მის ბოლოდროინდელ გამოკვლევებში ზღაპრული ეპონის ბევრი ისეთი წახანაგია წარმოჩენილი, რომელთაც აქამდე ნაკლები ყურადღება ექცევდა. პრობლემის არსში ღრმად წვდომის თვალსილული ნიმუშია მკვლევარის მონოგრაფია „უძველეს რწმენა-წარმოდგენათა კვალი ხალხურ ზღაპრულ

ეპოში“. ამ სოლიდურ ნაშრომში განხილულია ზღაპრული ეპოსის სამივე ქვეყანრის მიმართება უძველეს რწმენა-წარმოდგენებთან; მონიშნულია ზღაპრის განვითარების არსებითი საფეხურები; დასმული და გაშუქებულია მისი პერსონაჟების გენეზისის საკითხი; ასენილია ინტენსიური განმეორებადობით გამორჩეული სახე-სიმბოლიკი; გამოვლენილია მეტამორფოზის და სამყაროს ხის ფუნქციები ზღაპრში, სამაგობის პრინციპის დაცვის გამოწვევი მიზეზები და ა.შ.

პოეტური თუ პროზაული უანრების სუფთა სახით არარსებობა ზეპირ-სიტყვიერი შემოქმედების იმანენტური ნიშანია. ამ კუთხით ყველაზე სახიერ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საგმირო და სამგლოვიარო ხალხური პოეზია, რომელთა ტიპობრივი ნიმუშებში პარმონიულად თანაარსებობს კაი გმის კულტი და მტერთა ბრძოლაში მეორების დაღუპვით გამოწვეული მწუხარება.

მსგავსი მოვლენა არც ზღაპრული ეპოსისთვის გახლავთ უცხო რამ. რუსუდან ჩილოყაშვილის ნაშრომის ერთი უმთავრესი ღირსება, მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ გვთავაზობს ზღაპრული ეპოსის ახლებურ კლასიფიკაციას: ცხოველთა, ჯადოსნური, ნოველისტური და გარდამავალი უანრის ზღაპრები. გარდამავალი უანრის ნიმუშებად მიჩნეულია ის ტექსტები, რომელნიც ერთდროულად შეიცვენ რამდენიმე ქვეყანრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

მრავალწლიანი შრომის შედეგად შექმნილ თინა შიომვილის მონოგრაფიაში „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, რომელიც ორ წიგნად დასტამბა გამომცემლობა „აჭარაა“, ეროვნული სიტყვიერების ზნეობრივი ასპექტებია გაშუქებული. საკვლევი საკითხების სპეცირი ერთობ ფართოა და ქართველთა ყოფის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ნაშრომში ნაჩვენებია ქრისტიანობის უდიდესი როლი ქართველთა ზნეობრივი მრწამსის შემუშავებისა და სრულყოფის საქმეში. აღსანიშნავია ისიც, რომ მონოგრაფიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია თვით აგზორის მიერ აჭარაში მოპოვებულ ფოლკლორულ მასალას.

წლის ნაშრომთა შორის უდავოდ საყურადღებოა თეიმურაზ ქურდოვანიძის „ფოლკლორი და ქართული მწერლობა“.

ფოლკლორულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა რკვევა ქართველ ფოლკლორისტთათვის იმთავითვე იყო დარგის პრიორიტეტული მიმართულება. შეუცვლელია უნივერსალური ნიშნების მქონე ზეპირსიტყვიერების ადგილი და მხატვრული ფუნქცია ეროვნულ მწერლობასთან მიმართებაში.

თ. ქურდოვანიძე ითვალისწინებს წინამორბედთა ნაშრომ-ნააზრებს და „ვეფხისტყაოსანში“, „სიბრძნე სიცრუისაში“, „დავითიანსა“ თუ შალვა დადიანის რომანებში პოულობს ისეთ მოტივებს, პასაუებსა და ეპიზოდებს, რომელთაც ხალხური ძირები ეძებნებათ და დღემდე მკვლევართა აქტიური ფურადღების მიღმა რჩებოდნენ...

ორიგინალურობით და ზომიერად თამამი თვალსაზრისების სიუხვით გამოირჩევა გიზო ჭელიძის წიგნი „პაუ, მოვდივართ საიდან! ანუ ქართველები კაცობრიობის კარიბჭეებთან“.

ავტორსა და მის ორ ახლობელ ქალბატონს შორის გამართულ ცოცხალ დიალოგში ქართველი ხალხის უშორეულების წარსულის იერსახე იკვეთება. საკითხის კვლევა არქეოლოგიური, ლინგვისტური და მითოსური მონაცემების ჭრილშია წარმართული. ეტრუსკებთან, ბასებთან და პელაზგებთან გენეტიკურ და ტიპოლოგიურ თანხევდრათა ხაზვასმა და პედალირება შემაგრებულია არგუმენტებით, რომელთა მყარ ლოგიკას ბენებრივად ერწყმის ავტორისეული თხრობის სილალე და მახვილგონივრული დაკვირვებანი...

ქართული ხალხური შემოქმედების მსოფლიოსთვის გაცნობა წარმოუდგენელია საცნობარო ლიტერატურაში, სხვადასხვა სახის კატალოგებსა თუ ენციკლოპედიური ტიპის კრებულებში მის შესახებ ვრცელი ინფორმაციის განთავსების გარეშე.

სწორედ ამ მხრივ გახლავთ ფასეული ელგუჯა დადუნაშვილის სოლი-დური სტატია, სათაურით „ქართული ფოლკლორი“, რომელიც ქალაქ გრინგუდში (აშშ) 2004 წელს გამოცემულ „მსოფლიო ფოლკლორის ენციკლოპედიაში“ არის შეტანილი.

უცხოელ მკითხველს ეძლევა საშუალება, გაცემოს საქართველოს არა მხოლოდ ფოლკლორს, არამედ მის გეოგრაფიულ მდებარეობას, ისტორიას, სარწმუნოებას, სპორტულ თამაშობებს, ხურითმოძღვებას, რეწვას და სამზარეულოს...

მრავალფეროვანია თუ ფოლკლორისტიკის კათედრის თანამშრომელთა მიერ 2004 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომთა თემატიკა.

„ისტორია-ფილოლოგიის“ სერიის მე-III ტომში წარმოდგენილი მარიამ ბაკურიძის, შოგნა კვანტალიანის და თინა ჩხაიძის წერილები ხარის კულტის, ქართული სუფრის ფენომენისა და ერთი ინგილიური ზღაპრის რიგი ასპექტების გარკვევას ეძღვნება.

აღმანახ „პირობზეში“ დასტაბულ ტრისტან მახაურის ნარკვევში „მოსემ თქვა“ ცნობილი ხალხური მთქმელის შემოქმედებითი პორტრეტია ამეტყველებული, ხოლო კათედრის ახალგაზრდა თანამშრომელი ელენე გოგიაშვილი ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებულ თავის შეიძლება „ქრისტიანიზირებული“ ქართული ხალხური ზღაპრების პერსონაჟთა ვინაობის საკითხებს ეხება...

შეიძლებოდა დასახელება და განსვა კიდევ რამდენიმე ავტორის საგაზეოთ თუ საუკრანალო სტატიისა, 2004 წელს რომ გამოქვეყნდა, მაგრამ შტრიხები ერთიანი სურათისათვის, ამ მოკლე მიმოხილვაში რომ გამოიკვეთა, დიდად არ შეიცვლებოდა და, უპრიანია, ამით დაგასრულოთ.

## ამირან არაბული

## ს ა რ ჩ ე ვ ი

<b>გივი ახელედიანი</b>	— წარმართული რელიგიის პროტოლემები ნიკოლოზ ურბნელის (ხიზანაშვილის) ეთნოგრაფიულ ნაწერებში.....	<b>4</b>
<b>ნანა კუცია</b>	— ხატი ქამისა (მგლის პარადიგმისათვის გოდერძი ჩოხელის რომანში „მგლი“).....	<b>7</b>
<b>ოთარ ონიანი</b>	— გამოქვაბულის დალი და დალთა ლაშქარი.....	<b>27</b>
<b>ნანა კოტეტიშვილი</b>	— ვანო ხორნაული — ქართული ხალხური სიტყვიერების მოამაგე.....	<b>35</b>
<b>მერი ხუხუნაშვილი-წიკლაური</b>	— ამირანის მშობლების მითოსური ძირების შესწავლისათვის.....	<b>44</b>
<b>რუსუდან ჩოლოყაშვილი</b>	— ცხოველთა შესახებ ზღაპრების მთავარი გმირი — მელია.....	<b>53</b>
<b>ეთერ თათარიძე</b>	— ეშმა ადამიანის ტყვეობაში.....	<b>61</b>
<b>შარლოტა ქვანტალიანი</b>	— დევის ფუნქცია „ვეფხისტეასანში“.....	<b>69</b>
<b>დალილა ბედიანიძე</b>	— „ნაცარქექია“ (ტიპოლოგიური პარალელები).....	<b>74</b>
<b>ნათელა კაპანაძე-გაფრინდაშვილი</b>	— ბედის „წერა-მწერელნი“ ქართულ საბავშვო ზეპირსიტყვიერებაში.....	<b>81</b>
<b>არჩილ სპარსიაშვილი</b>	— ქალი ხვარამზე — კოსმოსიდან? .....	<b>89</b>
<b>თამილა გოგოლაძე</b>	— ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხალხური წყაროები.....	<b>98</b>
<b>სოფიო ჯაფარიძე</b>	— იდუმალი ნიღბები.....	<b>107</b>
<b>ელენე გოგიაშვილი</b>	— ქართული ზღაპრები ახალ საერთაშორისო კატალოგში.....	<b>112</b>
<b>მექა ხანგოშვილი</b>	— რელიგიური ხასიათის სიმღერები ვაინახურ ეპოსში.....	<b>120</b>
<b>ეკა ჩხეიძე</b>	— ბაჩანა და ხალხური შემოქმედება („თაღლურა“).....	<b>138</b>
<b>ეთერ ლიასამიძე</b>	— ალექსანდრე საჯაიას „უტუ მიქავა“ — პოემა ისტორიულ და ფოლკლორულ გმირზე.....	<b>145</b>
<b>მარიამ ბაკურაძე</b>	— „ჯავრ არ შავჭამო მტერისა“.....	<b>152</b>
<b>ნანა თედორაძა</b>	— გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“ მითოსური პარადიგმების კონტექსტში.....	<b>155</b>
<b>ხვთისო</b>	<b>მამისიმეგიშვილი</b> — გადმოცემები ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის პანკისელ „შეფიცულთა“ შესახებ.....	<b>165</b>
<b>მანანა გაბური</b>	— მთის ხალხური პოეზიით მეცნიერული დაინტერესების დასაწყისი საქართველოში.....	<b>173</b>

<b>მაყვალა კოჭლაგაშვილი</b> – სახოტბო საწესჩვეულებო ლექს-	
სიმღერების შესრულების ტრადიცია.....	<b>178</b>
<b>თამარ გოგოლაძე</b> – ცხოველთა ზღაპრების მხატვრული	
გააზრება.....	<b>181</b>
<b>ლია წერეთელი</b> – გელათის მშენებლობის ლეგენდები.....	<b>185</b>
<b>მაია კიკაბიძე</b> – ფოლკლორის როლი ეროვნული სულის	
აღზევებაში აკაკი წერეთლის შემოქმედების	
მაგალითზე.....	<b>200</b>
<b>მარინა ტურაშვილი</b> – ადამიანთა საქუთარი სახელები და	
მეტსახელები (ყვარლის რაიონის სოფელ ალმატის	
მასალების მიხედვით).....	<b>206</b>
<b>მაია ოლრაპიშვილი</b> – „სახელის მილოცვა“.....	<b>216</b>
<b>ირმა ყველაშვილი</b> – გველის სახე ფოლკლორსა და რევაზ	
ინანიშვილის მოთხრობებში.....	<b>223</b>
<b>ტრისტან მახაური</b> – მათქამები ხალხურ პოეზიაში.....	<b>229</b>
<b>გულნაზ კაჯაშვილი</b> – ფოლკლორული მოტივები	
„ვეფხისტყაოსანში“.....	<b>231</b>
<b>ლია ზალიაშვილი</b> – უმცროსი ძმის მოტივი ჯადოსნურ	
ზღაპარში.....	<b>234</b>
<b>მანანა ჭრელაშვილი</b> – “ნის ბეჭის” მითის ვარიანტები კავკასიურ	
ფოლკლორში.....	<b>244</b>
<b>ქეთევან ბარბაქაძე</b> – ვ. ბარნოვის „გაკვეთილების“ კერძო-	
მეთოდიკური მნიშვნელობისათვის.....	<b>253</b>
<b>იოანე გრემი, ლუარსაბ ტოგონიძე</b> – მაქსიმე შარაძის დვაწლი	
ქართული საგადობლების გადარჩენის საქმეში.....	<b>258</b>
<b>ამირან არაბული</b> – ფოლკლორისტიკა - 2004.....	<b>266</b>

ტირაჟი 150

დაიბეჭდა გამომცემლობა „ზეკარის“ სტამბაში.

თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
2006